780/3
2004

სპეტაკი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ლიტერატურული ტრიბუნა"

3–4

2004

საუნჯე

(125)
მაისი
აგვისტო

საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური ჟურნალი
2004, № 3-4

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

„საუნჯე“ 30 წლისაა

ჭაბუა ამირეჯიბი — ორიოდ სიტყვა ჟურნალ „საუნჯის“ ოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით 3
მუხრან მაჭავარიანი — ღმერთმა მკითხველი უმრავლოს „საუნჯეს“ . 3
დალი ფანჯიკიძე — 30 წელი საკმაოდ დიდი დროა 4
თამარ ერისთავი — სულ „საუნჯე“ იყავი 5
ლილი მჭედლიშვილი — მრავალი მომელოცოს 6
ვახტანგ ჭელიძე — „საუნჯის“ რედაქციას 63
თამაზ ჩხენკელი — სიხარულით ვესალმები შესანიშნავი და აუცილებელი ჟურნალის 30-ე წლის იუბილეს 63
თამარ ჯავახიშვილი — ძვირფასო „საუნჯევ“ და ყველა საუნჯელო, ჩვენო მშვენიერო ძალგატონო ნანა 64
ჯემალ აჯიაშვილი — ოცდაათი წლის „საუნჯეს“ 188
თამარ ჩიჯავაძე — დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებ 189
ცისანა თოფურიძე — სახელოვანი ოცდაათი წელი 189
ნანა გოგოლაშვილი — ჩემო „საუნჯევ“! 190
გივი შაჰნაზარი — დიადი დინასტიის უღირსეულესი მემკვიდრე . . 191
გურამ გოგიაშვილი — „საუნჯე“ პირდაპირი მნიშვნელობით . . . 191

პროზა და პოეზია

გაბრიელ გარსია მარკესი — პატრიარქის შემოდგომა. რომანი. გაგრძელება. ესპანურიდან თარგმნა **ელზა ახვლედიანმა** 7
უილიამ შექსპირი, ჯორჯ გაირონი — ინგლისური პოეზია. ინგლისურიდან თარგმნა **გიორგი ნიშნიანიძემ** 65
ანტონ ჩეხოვი — მოთხრობები. თარგმნა **ლილი მჭედლიშვილმა** . . . 72
ემილი დიკინსონი, ედგარ ალან პო — ამერიკული პოეზია. ინგლისურიდან თარგმნა **გიორგი ნიშნიანიძემ** 179
ინგებორგ ბახმანი — მეც მიცხოვრია არკადიაში. მოთხრობა. გერმანულიდან თარგმნა **დალი ფანჯიკიძემ** 194
ინგებორგ ბახმანი. — ჩემი ფრინველი. ლექსი. გერმანულიდან თარგმნა **დალი ფანჯიკიძემ** 196
ეუჯინიო მონტალე — ლექსები. თარგმნა **სილოვან ნარიმანიძემ** 198

(გაგრძელება იხ. მე-2 გვ-ზე).

(შინაარსის გაგრძელება)

პაულო კოელიო — ალქიმიკოსი. რომანი. დასაწყისი. თარგმნა **გურამ გოგიაშვილმა** 201
სომხური პოეზია. თარგმნა **გივი შაკნაზარმა** 233

ეროვნული ბიბლიოთეკა

წ ე რ ი ლ ე ბ ი

ჩესტერფილდი — წერილები ჩემს ვაჟს. თარგმნა **რუსუდან ქებულაძემ** . 238
ლუ ალგერტ-ლაზარდი — გზები რილკესთან ერთად. გერმანულიდან თარგმნა **ლულუ დადიანმა** 257

მთავარი რედაქტორი

ნანა დარჩია-გოლქვაძე

სარედაქციო საბჭო:

ელზა ახვლედიანი
ნანა ახოგაძე
მანანა ამისულაშვილი
ჯემალ აჯიაშვილი
ნანა გართაია
გურამ გოგიაშვილი
ნანა გოგოლაშვილი
თამარ ერისთავი
რუსუდან ქებულაძე
დალი ფანჯიკიძე
ეთერ ყურაშვილი
გივი შაკნაზარი

ვაჟა ჩორდელი
პ/მგ მდივანი

ჩვენი მისამართია: თბილისი. 380026. ლესელიძის ქ. № 4. ტელ.: 99-73-41.

გადაეცა წარმოებას 10. 09. 2004 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 17. 09. 2004 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/16, სააღრიცხვო თაბახი 15,5. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 20 ფორმა. ტირაჟი 300. შეკვ. 413.

შ. პ. ს „გამომცემლობა სამშობლოს" სტამბა.
თბილისი, მ. კოსტავას 14.

„საუნჯე“ 30 წლისაა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორიოდ სიტყვა

ჟურნალ „საუნჯის“ ოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით

ცნობილია, ყოველი ერის ლიტერატურული მონაპოვარი შეიცავს იმას, რაც მან წინაპართაგან მიიღო; იმას რაც მოქმედმა მწერლობამ თავად შექმნა და იმისგანაც, რაც მას უცხო ლიტერატურებთან ურთიერთობამ მოუტანა.

ქართული კულტურა საერთოდ და ლიტერატურა კერძოდ არასოდეს ყოფილა უცხოურის ისეთი გავლენის ქვეშ, რომ თავისი ერთადერთი და განუმეორებელი სახე დაეკარგა. ჩვენ ვითვისებდით იმას და იმდენს, რაც არ გაგვაჩნდა; ვითვისებდით იმ ზომით, რამდენადაც ამას ჩვენი მოდგმითი გამოცდილება, გენეტიკური მონაცემი გვაძლევდა უფლებას. მგონია, ზემოთქმული ყველა ცივილიზებული ერის ლიტერატურათა განვითარებასა და წინსვლაზე ვრცელდება. ქართულ ლიტერატურას დასაბამითვე ახასიათებდა უცხოური კონტაქტები და, ვფიქრობ, ამანაც განაპირობა მისი დღევანდელი დონე.

ოცდაათი წელიწადია ჟურნალი „საუნჯე“ არსებობს და მან არაოუ განაგრძო ქართული ლიტერატურისადმი პირუთვნელი სამსახური, არამედ განავითარა კიდეც ეს პროცესი, რითაც მართებულად დაიმსახურა ქართულ საჟურნალო გამოცემათა შორის წამყვანი ადგილი.

მივულოცოთ „საუნჯის“ რედაქციას და ქალბატონ ნანა დარჩიას ჟურნალის ოცდაათი წელი და ვუსურვოთ შემდგომი გამარჯვებები.

ჭაგუა ამირეჯიბი,
23 აგვისტო, 2004 წ.

23403

ღმერთმა მკითხველი უმრავლოს „საუნჯეს“

ჟურნალ „საუნჯეში“ ჩემი მუშაობის პერიოდი ჩემი ბიოგრაფიის მცირე, მაგრამ ერთობ ლამაზი მონაკვეთია.

„საუნჯესთან“ დაკავშირებულია ჩემთვის მუდამ ტკბილად მოსაგონარი დღეები.

ჩემს მომცრო კაბინეტში შეკრებილან მწერლები (ზოგი დგას, ზოგი ზის): ცხარე კამათია, ლაღობენ (სამწუხაროდ, ზოგიერთი, ვინც მაშინ იქ იყო, ცოცხალი აღარაა).

„საუნჯემ“ თავისი არსებობის 30 წლის მანძილზე ბევრი საშვილიშვილო საქმე გააკეთა.

განვლილი ხნის განმავლობაში „საუნჯეში“ გამოქვეყნდა არაერთი მაღალმხატვრული თარგმანი.

„საუნჯის“ თანამშრომელნი (მე როგორც მახსოვს) მიწყივ დიდი გულისყურით ეკიდებოდნენ თავიანთ საქმეს.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვე, ვფიქრობ, ზედმეტი არ იქნება თუ ვიტყვი, რომ „საუნჯეს" რედაქტორიც ყოველთვის ღირსეული ჰყავდა (რა თქმა უნდა, ჩემი ჩათვლით) და ჰყავს დღესაც.

ახლა, „საუნჯის" 30 წლისთავზე მინდა სიყვარულითა და პატივისცემით მოვიგონო ყველა, ვინც ამ ჟურნალში მუშაობდა და დღეს აღარაა (კ. ლორთქიფანიძე, შ. ნიშნიანიძე, გ. ძნელაძე, რ. იმნაიშვილი).

მინდა დღეგრძელობა და წარმატებანი ვუსურვო ყველას, ვინც ახლა მუშაობს ამ ჟურნალში (მთ. რედაქტორით ტექ. რედაქტორამდე).

ღმერთმა მკითხველი უმრავლოს „საუნჯეს" და სიხარული არ მოაკლოს „საუნჯელთ"!

მუხრან მაჭავარიანი
12. VI. 2004
თბილისი

30 წელი საკმაოდ დიდი დროა

დღევანდელ დღესავით მახსოვს „საუნჯის" წინამორბედების „ხომლისა" და „ცისარტყელას" დაბადება. ეს იყო ქართველ მთარგმნელთა თაობების ნაოცნებარი ჟურნალები, რომლებსაც სხვადასხვა გარემოებათა გამო თავიდან ალმანახები ეწოდებოდა. დღემდე სასოებით ვინახავ იმ პირველ ნომრებს და დროდადრო სიამოვნებით ვათვალიერებ ხოლმე. მახსოვს, რა მოუთმენლად ველოდით ყოველი ნომრის გამოსვლას და, შეიძლება ითქვას, ეს მოლოდინი ყოველთვის გვიმართლდებოდა. „ხომლმა" და „ცისარტყელამ" ერთბაშად წარმოაჩინა ქართველ მთარგმნელთა დაგროვილი შემოქმედებითი ენერგია და პირველი რედაქტორების ვახტანგ ჭელიძისა და კონსტანტინე ლორთქიფანიძის მაღალი ლიტერატურული გემოვნებაც. მათ ჰქონდათ მასალისა და მთარგმნელების შერჩევის უტყუარი ალღო, რაც საშუალებას იძლეოდა უკომპრომისო პასუხი გაეცათ კითხვაზე: რას ვთარგმნით და როგორ ვთარგმნით? ეს მარადიული კითხვა დგას მათი მემკვიდრის წინაშეც და „საუნჯეც" დაარსების დღიდან ცდილობს სათანადო პასუხი გასცეს ამ კითხვაზე. ცხადია, ყოველ ნომერში მსოფლიო დონის ნაწარმოებები ვერ დაიბეჭდება, არც ისაა მოსალოდნელი, რომ ყველა თარგმანი იდგეს უმაღლეს დონეზე, მაგრამ არსებობს ორი დაწერილი თუ დაუწერელი კანონი: თარგმნილი ნაწარმოები თავისი ქვეყნის ლიტერატურისთვის მაინც უნდა იყოს მნიშვნელოვანი და თარგმანიც ნორმატული სტილისტიკის ნორმებს არ უნდა არღვევდეს.

„საუნჯის" ერთ-ერთი დანიშნულება ახალი სახელების წარმოჩენაა, მაგრამ დამწყებმა მთარგმნელებმაც უნდა იცოდნენ, რომ „საუნჯე" სავარჯიშო ჟურნალი არაა, „საუნჯეში" აისახება ჩვენი მთარგმნელობითი სკოლის დონე, სხვაგვარად რომ ვთქვათ, „საუნჯემ" უნდა გვიპასუხოს კითხვაზე, საერთოდ გვაქვს თუ არა უფლება ვილაპარაკოთ ქართული მთარგმნელობითი სკოლის არსებობაზე.

„საუნჯეში" ბევრ მთარგმნელს დაუდასტურებია ამ სკოლის არსებობა და მეც შემიძლია ვიამაყო, რომ მათ შორის მოვიაზრები. აქ

დაიბეჭდა ჩემი თარგმანები: თომას მანის რომანი „ყალთაბანდ ფელიქს კრულის აღსარება“, მაქს ფრიშის რომანები „ჰომო ფაბერი“ და „ვიქნები თუნდაც განტენბაინი“, გოეთეს „პოეზია და სინამდვილე“ (! ნაწილი), ინგებორგ ბახმანის, ალფრედ დობლინის მოთხრობები, თანამედროვე ავსტრიული პროზის ნიმუშები და სხვა მრავალი, მაგრამ საგანგებოდ უნდა გამოვყო ულრიხ პლენცდორფის ვრცელი მოთხრობა „ახალგაზრდა ვ.-ს ახალი ვნებანი“, რომლის თარგმნა 1979 წელს იმ დროს „საუნჯის“ პასუხისმგებელმა მდივანმა ნანა დარჩიამ შემომთავაზა და დღეს მინდა საჯაროდ მოვახსენო მადლობა ამისათვის, რადგან ჩემს შემოქმედებაში ამ თარგმანს გამორჩეულ ფაქტად ვთვლი.

„საუნჯე“ ასევე ყოველთვის მაძლევდა საშუალებას მის ფურცლებზე გამომექვეყნებინა მიმოხილვითი თუ თეორიული ხასიათის წერილები, სადაც კრიტიკული შენიშვნებიც იყო ხოლმე გამოთქმული. აქვე ვისარგებლებ შემთხვევით და საუნჯელებს ვურჩევ მთარგმნელებთან ერთად თარგმანის კრიტიკოსებიც შემოიკრიბონ, რადგან მხოლოდ კრიტიკას შეუძლია წაახალისოს ნიჭიერი მთარგმნელები და დააფრთხოს გრაფომანები.

* * *

ამ ოცდაათი წლის მანძილზე „საუნჯეში“ იცვლებოდნენ რედაქტორები, მაგრამ არ შეცვლილა ის ბირთვი, რომელმაც ეს დიდი გზა „საუნჯესთან“ ერთად გამოიარა. იყო წლები ჩვენს უახლოეს წარსულში, როცა „საუნჯის“ ყოფნა-არყოფნა ბეწვზე ეკიდა, მაგრამ ამ ბირთვმა თავის რედაქტორთან ნანა დარჩია-ბოლქვაძესთან ერთად შეძლო შეუძლებელი — მოცულობის, პერიოდულობისა და ტირაჟის შემცირების ხარჯზე შეინარჩუნა ჟურნალი და დღემდე მოიყვანა.

მართალია, ზემოთ ჩამოთვლილი დათმობების გამო „საუნჯე“ მკითხველთა ფართო წრეს ვეღარ მოიცავს, მაგრამ იმედია ქვეყნის მოლონიერებასთან ერთად „საუნჯეც“ მოლონიერდება და წარმატებით განაგრძობს იმ საშვილიშვილო საქმეს, რომელიც ამ 30 წლის მანძილზე არ შეუწყვეტია.

დალი ფანჯიკიძე

სულ „საუნჯე“ იყავი...

ჩემი თაობისა თუ სხვა მკითხველთათვის „საუნჯე“ აღიქმება როგორც „ხომლის“ ალტერეგო, როგორც მისი პირმშო და მემკვიდრე. უცხოური ლიტერატურის თარგმნა თანამედროვე საქართველოში სისტემატური და მიზანმიმართული ხასიათი სწორედ ჟურნალებით „ხომლისა“ და „ცისარტყელას“ დაარსებით მიიღო. მან დარაზმა უცხო ენების მცოდნე ქართველ მკითხველთა მთელი არმია ამ ასპარეზზე სამოღვაწეოდ. შემდეგ „საუნჯედ“ სახელდებულსა ამ ჟურნალმა რედაქტორის ძალისხმევით გააგრძელა ეს მისია.

დიდი ტირაჟით ეფინებოდა ჟურნალი „საუნჯე“ მთელ საქართველოს და მრავალრიცხოვანი მკითხველი ეწაფებოდა მსოფლიოს სხვადასხვა ენიდან თარგმნილი პროზისა თუ პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს.

დღეს, ჩვენს შეჭირვებულ დროში „საუნჯეს“ მძიმე ალი უდგას. პროფესიონალთა კოლექტივი თავდაუზოგავად იღწვის, რომ უმცირესი ბიუჯეტით, ტირაჟითა და ფორმატით მას არსებობა შეუნარჩუნოს. ძალა ნუ მოჰკლებოდეს მის დღევანდელ რედაქციას, რათა ეს დიდი ეროვნული საქმე არ შეეწყვიტოს და სახელმწიფოს მხარდაჭერით კვლავ აღმავლობის გზაზე დაეყენებინოს.

ვულოცავ ჟურნალ „საუნჯეს“ ოცდაათი წლის იუბილეს და უფრო ილბლიან სიჭარმაგეს ვუსურვებ ჩვენი სულიერი კულტურის ამ ერთ-ერთ ღირსეულ ამაგდარს.

თამარ ერისთავი.

მრავალი მოგელოცოს...

ჟურნალი „საუნჯე“ ოცდაათი წლისაა! ამ ოცდაათი წლის მანძილზე, ვინ მოთვლის, რამდენჯერ გაუხარებია ქართველი მკითხველი, რამდენჯერ უზიარებია მსოფლიო ლიტერატურის შედევრებს. როგორც ცნობილია, ბოლო წლებში განვითარებულმა ეკონომიურმა სიძნელეებმა თავისი დაღი საგამომცემლო საქმესაც დაასვა, გაჭირდა წიგნის, ჟურნალის გამოცემა, პოლიგრაფიულად გამარტივებული ჟურნალის ერთი ნომრის გამოსაცემი სასტამბო ხარჯების მოსაპოვებლადაც უდიდესი ძალისხმევა და თავგამოდებაა საჭირო. მიუხედავად ამისა, „საუნჯის“ კოლექტივს ერთ დღესაც არ შეუწყვეტია ძალისხმევა, არ შეუჩერებია ჟურნალის გამოცემა. დიდი მადლობა თქვენ, „საუნჯის“ კოლექტივის თვითეულ წევრს, ჩემთვის, ჟურნალის ერთ-ერთი ერთგული მკითხველისთვის ესოდენ საპატივსაცემო და საყვარელ ადამიანებს, თქვენ, ვისაც არასოდეს გიღალატნიათ საკუთარი პროფესიონალიზმისათვის. გისურვებთ წარმატებებს, სიკეთით გევლოთ! ჟურნალი „საუნჯე“ კიდევ დიდხანს, დიდხანს მდგარიყოს ქართული ენის სიწმინდის სადარაჯოზე, დიდხანს გაეხარებინოს ახალ-ახალი თარგმანებით ქართველი მკითხველი. ხოლო ის, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს თარგმანს ენის, კულტურის, ინფორმაციის, კულტურათა შორის კომუნიკაციის საქმეში, ვფიქრობ, ეჭვს არავისში უნდა იწვევდეს.

ლილი მჟედლიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბაბრიელ გარსია მარკესი

პატრიარქის შემოდგომა

რომანი

ესპანურიდან

თარგმნა ეროზა ახვლედიანმა

●

ასე ვიპოვეთ იგი მკვდარი თავისი შემოდგომის დასაწყისში, უფრო სწორად, იგი კი არა, პატრისიო არაგონესი. ასე ვიპოვეთ იგი მკვდარი წლების შემდეგაც, მაგრამ უკვე აღარავის სჯეროდა, მართლა ის იყო მკვდარი თუ სხვა, მართლა მისი იყო სვავებისგან დაკორტნილი და მატლებისგან შეჭმული გვამი თუ სხვისი. ძნელად თუ ვინმე დაიჯერებდა, რომ ეს გახრწნილ-დაღვლარჭნილი ხელი ის ხელი იყო, გული რომ ეჭირა ხოლმე, ან ეს გვამი იმ კაცისა იყო, სასოწარკვეთილი რომ ათენალამებდა ხმაურის დროინდელ წლებში ერთი არაჩვეულებრივი ქალიშვილის მხრიდან მისდამი გამოჩენილი გულგრილობის გამო. ერთი სიტყვით, ვერა და ვერ დავადგინეთ მიცვალებულის ვინაობა. რა თქმა უნდა, აქ არც არაფერია გასაკვირი. როცა იგი თავისი დიდების ზენიტში იმყოფებოდა, მაშინაც კი არავის სჯეროდა მისი რეალური არსებობა. მისი პირადი მსახურებიც კი ვერ იტყოდნენ, სინამდვილეში რამდენი წლისა იყო მათი პატრონი. ნივთების ლატარიაში მონაწილეობისას ოთხმოცი წლისას ჰგავდა, აუდიენციებზე სამოცისას, ოფიციალურ დღესასწაულებზე ორმოცზე ნაკლებისას. ელჩი პალმერსტონი, ერთ-ერთი ბოლო დიპლომატთაგანი, ვინც მას რწმუნების სიგელი გადასცა, თავის მემუარებში, რომელიც აკრძალული იყო ჩვენს ქვეყანაში, წერდა, ძნელი წარმოსადგენია, ამ კაცზე უხნესი კაცი იყოს სადმე, ძნელი წარმოსადგენია, ამ უწესრიგობასა და ქაოსზე უარესი იყოს სადმე. გაჭირვებით დავაბიჯებდი ამ ე. წ. სასახლეში ქაღალდის გროვებზე, ვფრთხილობდი ფეხი არ ჩამეკრა ფუნაში ან დერეფნებში მთვლემარე ძაღლების სალაფავში. ვინმესთვის რომ რამე გეკითხა, პასუხის გამცემი არა-

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საუნჯე" № 1-2.

ვინ იყო, შემთხვევით გადავაწყდი კეთროვნებსა და ხეიბრებს. სააუდიენციო დარბაზი იმათმა მიმასწავლეს. გობელენებზე გამოსახულ პერის თავთავებს ქათმები მისეოდნენ ამოსაკენკად. ერთი ძროხა რომელიღაც ეპისკოპოსის სურათს მიდგომოდა და მის ჩამოგლეჯას ლამობდა, რა თქმა უნდა, შესაჭმელად. რაც შეეხება პრეზიდენტს, მიგვვდი, ყრუ იყო. მე ერთს ვეკითხებოდი, ის მეორეს მპასუხობდა, წუხდა, ჩემი ჩიტები ალარ მღერიანო, არადა, ისე ჟივჟივებდნენ, უსიერ ტყეში მეგონა თავი. უცებ მან შეწყვიტა რწმუნების სიგელის გადაცემის ცერემონიალი, სახე გაუნათდა, მომრგვალებული ხელის გული ყურთან მიიდო და მანიშნა ფანჯრისკენ, რომლის მიღმაც ოდესღაც ზღვა დგაფუნობდა, ახლა კი ქვიშიანი ვაკე გადაჭიმულიყო. მერე რაც ძალა და ღონე ჰქონდა, დამიყვირა, გესმით ფლოქვების თქარუნი, ჩემო ძვირფასო სტეტსონ, რატომღაც სტეტსონად მომნათლა, ჯორები გარბიან აქედან, ზღვა ბრუნდება. ძნელი დასაჯერებელია, რომ ამ ბეხრეკ კაცს ოდესღაც მესიად მოიხსენიებდნენ, რომ თავისი რეჟიმის პირველ წლებში უშიშრად გადიოდა ხალხში, თანაც იქ, სადაც არ ელოდნენ და თანაც დაცვის გარეშე. ერთი ფეხშიშველი გუახირო ახლდა მხოლოდ, რომლის ერთადერთი იარაღი მაჩეტე იყო. ეს ე. წ. მესია მავანთ და მავანთ თითის მიშვერით ურიგებდა დეპუტატობასა და სენატორობას. სოფელ-სოფელ ჩამოვლისას გლეხებს მოსავალზე, საქონელზე, ოჯახზე ეკითხებოდა. უმეტესწილად სოფლის მოედანზე უყვარდა ხალხთან საუბარი, თვითონ იჯდა სარწეველა სავარძელში ხის ჩრდილში და სახეს ინიავებდა უბრალო სომბრეროთი, რომელსაც ამ ბოლო დროს იხურავდა ხოლმე, და თუმცა გარედან მაცქერალს ეგონებოდა, სიცხისაგან შეწუხებული უგულისყუროდ უსმენს მოსაუბრესო, სინამდვილეში სოფლელი ქალებისა და კაცების უკლებლივ ყველა სიტყვას იმახსოვრებდა და, რაც მთავარია, ყველას გვარ-სახელით მიმართავდა. მარტო სოფლის კი არა, მთელი ქვეყნის მოსახლეობის გვარ-სახელს, უამრავ ციფრს და ერის ყველა გასაჭირსა თუ სატკივარს ინახავდა თავში. ახლაც ისე მიმიხმო თავისთან, თვალი არც გაუხელია. მოდი აქ, ხასინტა მორალეს, მითხარი ერთი, ის ყმაწვილი როგორ არის, შარშან ძალით რომ დავალევინე საფალარათო ზეთი. ხუან პრიმიტო, მერე მე მომმართა, როგორ არის შენი საჯიშე ხარი, ხომ უშველა ჩემმა შელოცვამ, ჭირსაც გადავარჩინე და ყურებშიც გაუქრა მატლები, ხომ ასეა. მეც გამომელაპარაკა, აბა, მატილდე პერალტა, მადლობა შენზეა, გაქცეული ქმარი დაგიბრუნე, აგერ არის შენი ქმარი, თოკმობმული მოგიყვანე, თან მკაცრად გავაფრთხილე, თუ კიდევ გაბედავ და ცოლს მიატოვებ, იცოდე, ჩინურ ხუნდებს დაგადებ ფეხებზე და იმ ხუნდებიანად დაგალპობ-მეთქი. ასევე მარტივად და სწრაფად წყვეტდა იგი საქვეყნო საქმეებსაც. საქმის გარჩევას არაფრით არ გადადებდა. განაჩენი მაშინვე გამოჰქონდა. ერთხელ ყასაბს უბრძანა, ქურდ ხაზინადარს ახლავე სასალხოდ მოკვეთე მკლავიო. ყველაფერში ცხვირს ჰყოფდა, ყოვლისმცოდნეობას იჩემებდა. გასინჯავდა ვინმეს ბოსტანში მოწეულ პამიდორს, ჩაფიქრდებოდა და მერე დიდის ამბით გამოუცხადებდა თანმხლებ აგრონომებს, მიწას ნაკელი აკლია, თანაც მამალი ვირისა, თვითონ მივადევნებ თვალს, საველმწიფოს ხარჯზე მოგამარაგონ ნაკელითო. ერთხელ ფანჯარაში შე-

მომძახა სიცილით, ეი, ლორენცო ლოპეს, ოცი წლის წინათ საკერავი მანქანა რომ გაჩუქე, როგორ მუშაობსო. მე ვუთხარი, დიდი ხანია თქვენი ჭირი წაიღო, ხომ იცით ქვეყნად მარადიული არავინ და არაფერია, არც ადამიანები და არც ნივთები-მეთქი. მან კი მიპასუხა, შენ არაფერი გაგეგება, ჩემო ლორენცო, სამყაროა მარადიულიო, [illegible] შემოვიდა, დაფახფახებულ საკერავ მანქანას მიუჯდა და ხელი [illegible] აწყობას, ზეთიც ჩაასხა, ისე გაერთო, სულ გადაავიწყდა ქუჩაში მომლოდინე ამალა. მძიმედ ქშინავდა, ცხვირს ხარივით ათუთხუნებდა, თავიან-ფეხიანად ამოითხვარა ზეთში, მაგრამ იმდენი იფხაკურა, მანქანა მაინც შეაკეთა სულ რაღაც სამ საათში. ასეთი იყო იგი იმ წლებში, როცა ერთნაირად მიჰქონდა გულთან უბრალო, ყოფითი თუ სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეები, ერთნაირი სიმტკიცითა და შეუვალობით წყვეტდა მათ. იმ ხანებში მას მართლა სწამდა, რომ ადამიანებს შეიძლება აჩუქო ბედნიერება, სიკვდილი კი გააცურო სალდათური მოხერხებულობით. ვინ დაიჯერებდა, რომ ეს ბეხრეკი კაცი ოდესღაც იმოდენა ძალაუფლებას ფლობდა, რომ თუ ვინმეს ჰკითხავდა, რომელი საათიაო, მაშინვე უპასუხებდნენ, თქვენ რომელიც გაგეხარდებათ, ჩემო გენერალო. და მართლაც, დღეს ღამედ აცხადებდა, ან პირიქით. სადღესასწაულო დღეებიც თავის ნებაზე გადაჰქონ-გადმოჰქონდა. კალენდარს ისე ადგენდა, რომ მისი ჩასვლა რომელიმე კუთხეში მაინცდამაინც რომელიმე დღესასწაულს დამთხვეოდა და იგივე დღესასწაული სხვაგანაც არ გამორჩენოდა. ფეხშიშველი ინდიელი ყველგან და ყოველთვის ახლდა თან საკუთარი აჩრდილივით. თან ახლდნენ სასეჩამომტირალი სენატორებიც, რომლებიც დიდებული მოჩხუბარი მამლებით სავსე ხის გალიებს მოათრევდნენ. როგორც წესი, ლამის ყველა სოფელში ტარდებოდა მამლების ბრძოლა. ის ხმამაღლა ენიძლავებოდა მაყურებელს. თუ რომელიმე მამალი მოუვიდოდა თვალში, ფსონსაც მაშინვე ჩამოდიოდა მის სახელზე. მისი უცნაური ხარხარი დოლების ბრაგუნს ჰგავდა, მთელი გალიერა[1] ძაგძაგებდა, აღარც მუსიკა ისმოდა და აღარც შუშხუნების ტკაცატკუცი, რადგან ჩვენც მასთან ერთად ვხარხარებდით, თუ გაჩუმდებოდა, ჩვენც უნდა გავჩუმებულიყავით. აგზნებული და გახარებული უკრავდა ტაშს, როცა მისი მამლები ჩვენს მამლებს ამარცხებდნენ. რა იცოდა მან, რომ ჩვენს მამლებს საგანგებოდ ვწვრთნიდით მის მამლებთან დასამარცხებლად. აქამდე არც უმტყუნიათ მამლებს ჩვენთვის, მაგრამ ერთხელ მოხდა ისე, რომ დიონისიო იგუარანის უძლიერესმა მამალმა სიცოცხლეს გამოასალმა უმაღლესი ხელისუფალის მამალი. გალიერაში სიჩუმე ჩამოვარდა, სული განაბა ყველამ, მაგრამ ის წამოდგა, დიონისიოსთან მივიდა და ხელი ჩამოართვა, ყოჩაღ, მართლა მაჩო ყოფილხარო. ისეთ კარგ გუნებაზე იყო, მადლობაც უთხრა, ძალიან მასიამოვნეთ, მძაფრი წუთები განმაცდევინეთ შენ და შენმა ჭრელმა მამალმა, იქნებ მომყიდოო. სიამოვნებით, ჩემო გენერალო, მოკრძალებით უპასუხა დიონისიომ, რომელიც ამის შემდეგ ტაშით, მუსიკითა და პეტარდების ბათქაბუთქით მიაცილეს სახ-

---

1 საგანგებოდ მამლების ბრძოლისთვის განკუთვნილი შენობა.

ლამდე. იმ ღამესვე თავის საძინებელში ჩაიკეტა, მთელი ბოთლი შინნახადი ლერწმის რომი გამოცალა, ჰამაკის თოკს მარყუჟი გაუკეთა და თავი ჩამოიხრჩო. საბრალო დიონისიო იგუარანი. ამ დროს კი თავად გენერალი ბაიბურშიც არ იყო, მისი ზარზეიმური სტუმრობის მერე რა უბედურებაც ატყდებოდა ოჯახებს თავზე, არ იცოდა „ბოროტ-სურველ“ ადამიანთა გვამებს რომ ტოვებდა თავის სისხლიანი ბილიკების ბოლოზე, ვერც იმას მიხვდა, თავისდა უნებურად რა საშინელი განაჩენი გამოუტანა საკუთარ თანამოაზრეებს, რომელთა გვარებიც შეცდომით მოიხსენია თავის არაკეთილისმყოფელთა გვარებთან ერთად. თავწახრილი შემსრულებელი ბევრი ჰყავდა და მათაც ეს საბედისწერო შეცდომა უდანაშაულო ადამიანთა დასასჯელი ბრძანების მანიშნებლად მიიღეს, სიცოცხლე გაუმწარეს საცოდავებს. ის კი სოფლიდან სოფელში, ქალაქიდან ქალაქში დადიოდა, როგორც სჩვეოდა, არმადილიოსავით[1] ადგამდა ფეხებს, ოფლის სუნად ყარდა, უბოდიშოდ შედიოდა სახლებში, სამზარეულოებში. ერთი შეხედვით თითქოსდა უწყინარი მოგზაურის შთაბეჭდილებას ტოვებდა, მაგრამ მის დანახვაზე მაინც შიშით გული უსკდებოდა ყველას. ხაპით ილებდა წყალს თიხის ჭურჭლიდან, პირდაპირ ქვაბში ჰყოფდა ხელს, ხორცის ნაჭრებს ხარბად ჭამდა. უსიამოდ შინაურულად იქცეოდა, არ იცოდა, რომ მისი სტუმრობის დამლა ამიერიდან სამუდამო უბედურებად დაედებოდა ამ სახლს. მისი უბრალოება და შინაურულობა პოლიტიკური ანგარიშიანობით როდი იყო გამოწვეული, არც საყოველთაო სიყვარულისა და აღიარების მოხვეჭაზე იტკიებდა თავს, უბრალოდ, მართლა შინაურული კაცი იყო ბუნებით. ძალაუფლების უფსკრულს ჯერ კიდევ არ დაელო პირი მის წინაშე, როგორც ეს მოგვიანებით, მისი მაძღარი შემოდგომის ხანს მოხდა. იგი ჯერ კიდევ სადღაც შიგნით თუხთუხებდა, ძალას იკრებდა და ერთ დღესაც ჩვენს თვალწინ ამოხეთქა პირველქმნილი სიღრმეებიდან. მანამდე კი, ვიდრე ეს მოხდებოდა, ძალაუფლება კი არ განაგებდა მას, იგი განაგებდა ძალაუფლებას. საკმარისი იყო, თითით ენიშნებინა იმ ხეზე, რომელსაც ნაყოფი უნდა მოესხა, რომ მაშინვე იხუნძლებოდა ნაყოფით, ან თითი მიეშვირა საქონელზე, რომელიც უნდა გამრავლებულიყო, რომ მაშინვე მრავლდებოდა, ანდა იმ ადამიანებზე მიენიშნებინა, რომელთაც წარმატება თავთავიანთ საქმეებში ჰაერივით ჭირდებოდათ, რომ კიდეც აღწევდნენ სასურველ შედეგს. მას შეეძლო წვიმა შეეწყვიტა იქ, სადაც მოსავალს კარგი პირი უჩანდა, ან პირიქით, მოეყვანა იქ, სადაც მიწა გამხმარი და გამომშრალი იყო. ყველაფერი საკუთარი თვალით მაქვს ნანახი, სენიორ, სხვის ნათქვამს არ გეუბნებით. ლეგენდა ჩვენს პრეზიდენტზე მანამდე შეიქმნა, ვიდრე სრულ ძალაუფლებას მიაღწევდა, ყოველ შემთხვევაში, თვითონ დაიჯერა, რომ მიაღწია. ლეგენდა ჯერ კიდევ იმ წლებში შეიქმნა, როცა მას ღრმად სწამდა წინასწარმეტყველებისა და სიზმრებისა, როცა მას შეეძლო, სადმე გამგზავრება მხოლოდ იმიტომ გადაედო, რომ რომელიღაც ჩიტმა სტვენით გადაუფრინა თავზე, შეეძლო ხალხის წი-

---

1 ძუძუმწოვარა ცხოველი, ზურგი და კუდი დაფარული აქვს რქოვანი ქერქით. საფრთხისგან თავის დასაცავად შეუძლია ბურთულასავით შეიკუმშოს.

ნაშე აღარ გამოსულიყო დათქმულ შეკრებაზე მხოლოდ იმიტომ, რომ დედამისმა ბენდისიონ ალვარადომ ქათმის კვერცხში ორი გული აღმოაჩინა, ეს კი ცუდი ნიშანი იყო. ერთხელ მან არ იახლა თავისი ამალა, სენატორები და დეპუტატები, რომლებიც, როგორც წესი, მის მაგიერ გამოდიოდნენ სიტყვით, რადგან თვითონ ვერ ბედავდა, არ ახერხებდა ხალხის წინაშე სიტყვით გამოსვლა. უარი თქვა თავის [illegible] იმიტომ, რომ წინა ღამეს საშინელი სიზმარი ნახა, ვითომ სადღაც უზარმაზარ სახლში იყო, გარს ეხვევნენ ნაცრისფერ სერთუკებში გამოწყობილი სახეგაცრეცილი კაცები ხორცის საჭრელი დანებით ხელში. როგორ არ ცდილობდა თავი დაეღწია მათგან, ვერ ახერხებდა, მისი სახის დასასერად და თვალების ამოსათხრელად მომარჯვებულ პირალესილ დანებს აწყდებოდა ყველგან. სახეგაცრეცილი, მდუმარე, უცნაურად მომღიმარე მკვლელებით გარშემორტყმული, კუთხეში მომწყვდეულ მხეცს ჰგავდა. ნეტავ ვინ დაარტყამს ბოლოს დანას, ვინ დაასრულებს მსხვერპლშეწირვის რიტუალს, პირველი ვინ დალევს მის სისხლს. მიშის გრძნობაც გაქრობოდა და განრისხების უნარიც. რაღაცნაირი სიმსუბუქე შეუდგა ტანში, ნელ-ნელა მჩატდებოდა, მის სხეულს სიცოცხლე ტოვებდა, მალე სრულიად უწონადო გახდა, სულში ისეთი სიმშვიდე ჩაეღვარა, გაიღიმა კიდეც, თავის მკვლელებსა და თავის ხვედრს გაულიმა, ბოლოს ერთმა, რომელიც ვითომ მისი ვაჟიშვილი იყო, ზედ საზარდულში ატაკა დანა, და როცა იქიდან ბოლო პაერმა დატოვა სხეული, ისღა მოახერხა, სისხლიანი პონჩო აეფარებინა სახეზე, ვისაც ცოცხალი არ ვუნახივარ, მკვდარსაც ნუ მნახავსო და იატაკს დაენარცხა სიკვდილის კლანჭებში მოქცეული. სიზმარი ისეთი ცხადი მოეჩვენა, რომ ვიდრე ჯანდაცვის მინისტრს არ უამბო, ვერ მოისვენა. ისიც მიხვდა, რა უფორიაქებდა სულს მის მეგობარს და უთხრა, ჩემო გენერალო, ასეთი სიკვდილი ერთხელ უკვე მოხდა კაცობრიობის ისტორიაშიო, და წაუკითხა პატარა ნაწყვეტი გენერალ ლაუტარო მუნიოსის სქელტანიან, ფურცლებშერუჯულ წიგნიდან. ზუსტად ჩემს სიზმარში ნანახს ჰგავდა, დედა. მართლაც ისე ჰგავდა, რომ, როცა უსმენდა, ყველაფერი გაიხსენა, რაც გამოღვიძებულს დავიწყებული ჰქონდა. ვიდრე კლავდნენ, პრეზიდენტის სასახლის ყველა ფანჯარა ერთბაშად გაიღო, თუმცა ნიავიც კი არ ქროდა, და რაც ყველაზე საგულისხმოა, სიზმარში იმდენი ჭრილობა მიაყენეს დანით, რამდენი ფანჯარაც იყო ცხადში. ოცდასამი. იმ კვირაშივე სენატსა და უმაღლეს სასამართლოს თავს დაესხნენ შეიარაღებული ძალების უგერგილობით გათამამებული ყაჩაღები. მთლიანად დაარბიეს სენატის შენობა, ჩვენი დიდებული მოღვაწეების უწმინდესი სახლი. სასახლის აივნიდან ჩანდა, გვიან ღამემდე როგორ მძვინვარებდა ხანძარი, მაგრამ პრეზიდენტის გულს არც მიჰკარებია, სენატის შენობიდან ქვა ქვაზეც რომ არაფერი დარჩენილა. დაგვპირდა, დამნაშავეებს ვიპოვით და სამაგალითოდ დავსჯითო, მაგრამ დამნაშავეები დღესაც დაუსჯელნი დადიან, იმასაც დაგვპირდა, შენობას პირვანდელი სახით აღვადგენთო, თუმცა დაპირება დაპირებად დარჩა. რაც შეეხება სენატორებსა და სასამართლოს მოხელეებს, არც უცდია ის კოშმარული სიზმარი დაემალა მათთვის, პირიქით, გაეხარდა კიდეც, თავისი საქციელის

გასამართლებელი შემთხვევა რომ მიეცა, სიზმარი თავად კარნახობდა, თავიდან მოეცილებინა კანონმდებლები და დაეშალა მოძველებული რესპუბლიკური სასამართლო. დეპუტატებისა და მოსამართლეების მსარში დგომა აღარ ჭირდებოდა, მათი დამოწმების გარეშეც ორმად იყო დარწმუნებული თავისი ძალაუფლების კანონიერებაში. [illegible] მათ ჯილდოები, აღიარება, სიმდიდრე და ელჩებად გაგზავნა [illegible] მდიდარ ქვეყნებში, თავისთან კი ერთგულ აჩრდილად დაიტოვა მაჩეტეთი შეიარაღებული ფეხშიშველი ინდიელი, რომელიც წამითაც არ ტოვებდა მარტო, პირველი ის სინჯავდა პრეზიდენტის საჭმელსა და წყალს, თვალს ადევნებდა, პრეზიდენტს ვინმე არ მიახლოვებოდა დადგენილ მანძილზე უფრო ახლოს. ეს ინდიელი, სენიორ, ჩემი სახლის კართან იდგა, სანამ პრეზიდენტი ჩემთან იყო. ხალხი ჩემზე ჭორაობდა, პრეზიდენტის საყვარელიაო. რის საყვარელი, სენიორ, რა საყვარელი, წლების მანძილზე თვეში ორჯერ მოდიოდა კარტზე სამკითხაოდ. ეს ის წლები იყო, როცა ის თავს ჯერ კიდევ უბრალო მოკვდავად მიიჩნევდა, როცა ეჭვები აწუხებდა, როცა ჯერ კიდევ გააჩნდა იმის გამბედაობა, გულახდილად ელიარებინა, შეუმცდარი არც მე ვარო. ეს ის წლები იყო, როცა კარტისა უფრო სჯეროდა, ვიდრე საკუთარი ველური ინსტინქტებისა, ჩემთან ყოველთვის შიშს მოჰყავდა, რაღაცის თუ ვიღაცის შიშს. შიშისაგან დაბერებული, სწორედ ასეთი იყო, პირველად რომ მესტუმრა, ბდუმარედ გამომიწოდა თავისი მრგვალი, გომბეშოს მუცელივით გადატკეცილი ხელის გული, ასეთი ხელი არასოდეს მინახავს მთელი ჩემი ხანგრძლივი სიცოცხლის, ნათელმხილველის სიცოცხლის მანძილზე. ორივე ხელი მაგიდაზე დააწყო და მუდარითა და სასოწარკვეთით შემომაჩერდა. მე დავინახე მისი მტანჯველი შიში და საკუთარი თავისადმი უნდობლობა, მე დავინახე იმედებისა და ოცნებებისაგან დაცლილი კაცი და გამაოცა მისმა ხელებმა კი არა, არამედ მისმა უსაზღვრო ნაღველმა და მარტოობამ. შემეცოდა ეჭვებით გაწვალებული მოხუცი და გადავწყვიტე მემკითხავა, მაგრამ ამაოდ, მისი ბედ-იღბალი უჩინარი აღმოჩნდა ჩემთვის. ვერაფერი ამოვიკითხე ვერც მის ხელის გულზე და საერთოდ, ვერც სხვა ხერხებით, თუკი რამ ვიცოდი. როგორც კი კარტს შეავლებდა ხელს, გამიჭრიდა, ქალალდი გუბის წყალივით მუქდებოდა, ყავა მის ფინჯანში მღვრიე სითხედ იქცეოდა. ამაოდ ვეცადე, პირადად მასზე რამე შემეტყო, სამაგიეროდ მის გარშემო მყოფთა ბედ-იღბალი დღესავით ნათელი იყო ჩვენთვის, მკითხავებისთვის. ერთხელ დედამისი ბენდისიონ ალვარადო ისე ცხადად დავინახე, ძალზე მოხუცი და ძითქმის თვალდაშრეტილი როგორ აფერადებდა ჩიტებს, რომ პრეზიდენტსაც კი ვაჩვენე. საბრალო დედა, თქვა მან. მეორე ჯერზე ჩვენი ქალაქი ამოუვიდა კარტში, ციკლონგადავლილი, დანგრეული ქალაქი, თანაც ისეთი მძვინვარე ციკლონისა, რომ ქალის სახელი, მას რომ ერქვა, ნამდვილად სასაცილოდ ეღერდა. ერთხელაც მწვანენიღბიანი კაცი ამოუვიდა დაშნით ხელში, მაშინვე იკითხა შეშინებულმა, ეს კაცი ამჟამად სად არისო, კარტმაც უპასუხა, უფრო ხშირად სამშაბათობით არის პრეზიდენტის ახლოს, კვირის სხვა დღეებში ნაკლებადო. აჰა, თქვა მან. რა ფერის თვალები აქვს ამ კაცსო. კარტმა უპასუხა, თუ სინათლეზე შეხედავ, ერთი თვალი გუარაპოს ფერისაა, ღვინის ფერი, მეორე

მუქი. აჰა, თქვა ისევ მან. ამ კაცს გულში რა უდევს, იქნებ მითხრაო
მეც ვარჩიე მეთქვა ის, რაც კარტში ამოუვიდა, მწვანე ნიღაბი ტალატ-
სა და ვერაგობას ნიშნავს-მეთქი, აჰა, შეჰყვირა გახარებულმა, კიცი,
ვინც არისო. ეს კაცი აღმოჩნდა პოლკოვნიკი ნარსისო მირავალი, მისი
უახლოესი თანაშემწე. არ გასულა ორი დღე, რომ მირავალმა თავი მო-
იკლა, ყურში დაიხალა ტყვია, პატარა წერილიც კი არ დაუტოვებია.
აი, ასე, მკითხავების ნათქვამის მიხედვით განაგებდა იგი ადამიანები-
სა და სამშობლოს ბედს, სახელმწიფოს ისტორიულ აწმყოსა და მომა-
ვალს იმ დრომდე, სანამ ყური არ მოჰკრა საგულისხმო ამბავს, ერთი
ნათელმხილველი გამოჩნდა, ჩვეულებრივ წყალზე მკითხაობს, ჩაიხე-
დავს თურმე წყლიან თასში და გეტყვის, როდის და რა ვითარებაში მო-
კვდებიო. კრინტი არავისთან დაუძრავს, მალულად გასწია ამ მკითხავის
საძებნელად, თან, რა თქმა უნდა, თავისი მაჩეტეიანი მფარველი ან-
გელოზი იახლა. ისეთი ბილიკებითა და ხრამებით იარეს, მხოლოდ ჯო-
რი თუ გაივლიდა. ბოლოს, როგორც იქნა, მიადგნენ ქოხს, სადაც ნა-
თელმხილველი ცხოვრობდა შვილთაშვილთან და მის სამ შვილთან ერ-
თად. ერთი თვის წინ დაქვრივებული ქალი მეოთხე შვილს ელოდებოდა.
დედაბერი ბნელი ოთახის ერთ კუთხეში გაბმულ ჰამაკში იჯდა უმოძრა-
ოდ, თითქმის ბრმა. ხელი წყლიანი თასის ზემოთ გააჩერეო, უთხრა
მოსულს, ასეც მოიქცა და სიბნელეც მაშინვე გაიფანტა, წყალი თასის
ფსკერიდან განათდა და კაცმაც საკუთარი თავი დაინახა წყალში, იატა-
კზე პირქვე იწვა, უნიშნო საველე ფორმა ეცვა, მარცხენა ფეხის კრაგ-
ზე ოქროს დეზი ჰქონდა მიმაგრებული. როცა ჰკითხა, სად არის ეს ად-
გილი, სად ვწევარ იატაკზეო, მისდა გასაოცრად ბრმა დედაბერმა განა-
თებულ წყალს ჩახედა და უთხრა, ამ ოთახზე ცოტა დიდი ოთახია. სა-
წერ მაგიდას, ვენტილატორს, ზღვისკენ გაჭრილ ფანჯარას, თეთრ კე-
დლებს, კედლებზე ცხენების სურათებს და დრაკონამოქარგულ დროშას
ვხედავო. აჰა, ძლივს ამოთქვა სტუმარმა, ეცნო თავისი ოთახი სხდო-
მათა დარბაზის გვერდით. ბარემ ისიც მითხარი, მომკლავენ თუ ავადმ-
ყოფობით მოვკვდები. არც ერთი, არც მეორე. ბუნებრივი სიკვდილით
მოკვდები, დაძინებული, უტანჯველად. აჰა, თქვა პრეზიდენტმა და
მღელვარებისგან სულშეგუბებულმა ჩურჩულით ჰკითხა, იქნებ ისიც
მითხრა, როდის მოვკვდები. მშვიდად იძინე, უპასუხა დედაბერმა, ჩემს
ხნამდე — ას შვიდ წლამდე ხომ მიაღწევ, მერე კიდევ ას ოცდახუთ
წელს იცოცხლებო. აჰა, თქვა მან და სნეული დედაბერი ჰამაკშივე მო-
კლა, თავისი კრაგების თასმით ისე მოგუდა, თითქოს ამ საქმეში დიდად
გაწაფული ყოფილიყოს. ერთი კვნესაც არ დაცდენია საბრალო ქალს.
აქამდე პირადად მას საკუთარი ხელით არც კაცი მოუკლავს და არც ნა-
დირი, არც ომში და არც მშვიდობიანობის ჟამს. საბრალო დედაბერი
ერთადერთი სულიერი იყო, ვინც მან საკუთარი ხელით მოკლა მხოლოდ
იმიტომ, რომ არავის სცოდნოდა, როდის, როგორ და სად მოკვდებოდა
პრეზიდენტი. საკუთარი არაკაცობის გახსენება სულაც არ უშფოთებდა
სულს შემოდგომის ღამეებში ჩაძირულს, პირიქით, სიამოვნებითაც კი
იგონებდა ამ შემთხვევას, თავს იწონებდა, ზოგჯერ საჭიროა შეუბრა-
ლებელი იყოო. მაგრამ მას შემდეგ, რაც მანუელა სანჩესი თვალსა და
ხელს შუა გაუქრა მზის დაბნელებისას ჩამოწოლილ მრუმეში, ხშირად

ამუნათებდა თავს წარსულში თავის გულქვაობისთვის და ცდილობდა ამოეძირკვა ის მტანჯველი შეგრძნებაც, დამცირებულსა და გამასხარავებულს შხამიანი ნესტარივით რომ ჩასობოდა სხეულში. ხეების ჩრდილში გაბმულ ჰამაკში ჩაწოლილი უსმენდა ფოთლებში [illegible]ებულ ქარის ზანზალაკებს და ზიზღით იხსენებდა მისი [illegible]ვენების დამკარგავს მანუელა სანჩესს. ამასობაში კი შეიარაღებული ძალები ქალიშვილს ეძებდნენ ყველგან, მიწაზე, ცაში, წყალში, უსიცოცხლო უდაბნოში, გვარჯილის საბადოებზეც კი. ამაოდ. მიწამ უყო პირი თუ ცამ, მის კვალს ვერსად მიაგნეს. სად ეშმაკებში ხარ, ოხრავდა გულგასიებული, რა ისეთ ადგილას დაიმალე, რომ ჩემი ხელი ვერ გწვდება, თორემ გაჩვენებდი, რასაც ნიშნავს ძალაუფლება. სული წვეთწვეთობით ევსებოდა სიძულვილით, მკერდზე დასვენებული სომბრერო რისხვით ანთებულ გულის ცემაზე ზემოთ-ქვემოთ ადი-ჩადიოდა. იგი აინუნშიც არ აგდებდა დედის, ბენდისიონ ალვარადოს ქოთქოთს, რა გჭირს, იმ დაბნელების შემდეგ რა დაგეტაკა ასეთი, ხმას რომ არ იღებო. თავგაბეზრებული დგებოდა ჰამაკიდან და გინებ-გინებით ტოვებდა იქაურობას, დედა კი არა, მძღ...ია, მიდიოდა და მიათრევდა სპილოს ფეხებს. დამცირებული, თავმოყვარეობამელახული, გულში ღრმად დაჭრილი მუდამდღე ვიღაც უხილავს უზიარებდა თავის ხვაშიადს, ნუთუ ჩემს თავს ხდება ეს ამბავი, ნუთუ ისე გამოვშტერდი, რომ აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე, როგორ ვიცხოვრო, ნუთუ წინანდელივით აღარ შემიძლია ვიყო საკუთარი თავის ბატონ-პატრონი, ნუთუ ყველაფერი იმის ბრალია, რომ იმ გომბიოს სახლში დედამისის ნებართვით შევედი და არა ისე უბოდიშოდ და უნებართვოდ როგორც ერთ დროს შევედი ფრანსისკა ლინეროს გრილსა და მყუდრო სახლში ლოს სანტოს იგუერონესში. იმ ხანებში მას ჯერ კიდევ არ ჰყავდა ორეული პატრისიო არაგონესი და პირადად უწევდა საკუთარი ძალაუფლების გამომზეურება. მახსოვს, სენიორ, ისე შემოვიდა ჩემს სახლში, ჭიშკარზე ჩაქუჩი არც დაურახუნებია, უნდოდა და შემოვიდა, მორჩა და გათავდა. შემოვიდა და საათმაც ზუსტად მეთერთმეტეჯერ ჩამოჰკრა. ვიდრე ოთახში შემოვიდოდა, პატიოდან მესმოდა საათის რეკვას აყოლილი მისი დეზეების წკარუნი, დაფხვნილი აგურით მოფენილ ბილიკზე მისი სპილოსავით ნაბიჯების ხმა. დანახვით არ დამინახავს, მაგრამ შიშმა მანამდე ამიტანა, სანამ არასასურველი სტუმარი შიდა ტერასაზე გამოჩნდებოდა. მოოქროსფრო გერანებში წყლის ბუღა ხმიანობდა, საათისა არ იყოს, ისიც გვამცნობდა, რომ უკვე თერთმეტი იყო. მღეროდა გვინეოს[1] სურნელით თავბრუდახვეული მოლალური. დამწიფებული გვინეოს აკიდოები ტერასაზე ჩარდახქვეშ გვქონდა დაკიდული. იმ საბედისწერო აგვისტოს სამშაბათ დღეს მზის სხივები მხიარულად დასთამაშებდნენ თაფლივით ტკბილ გვინეოს, ხასხასა ფოთლებს და თავდაყირა დაკიდულ ირემს. ირემი ჩემმა ქმარმა პონსიო დასამ სწორედ იმ დილით მოკლა და თავდაყირა დაკიდა, სისხლისგან რომ დაწრეტილიყო. სტუმარმაც სწორედ მაშინ შემოდგა ფეხი ტერასაზე. უფრო საშინელსა და პირქუშს კოშმა-

---

1 ბანანის ნაირსახეობა.

რულ სიზმარშიც ვერ ნახავდა კაცი, ჭაობის ტლაპოში ამოთხვრილი ჩექმები და ოფლით გაზინტლული ხაკისფერი ქურთუკი ეცვა. ქამარში იარაღი არ ჰქონდა გარჭობილი, სამაგიეროდ მის გვერდით იდგა მაჩეტემომარჯვებული ფეხშიშველი ინდიელი, ვისი შეუბრალებელი თვალებიც ცხადად მეტყველებდნენ საბედისწერო გარდუვალობაზე. სტუმარმა, თითქოს ძილბურანშიაო, ქალური ხელი გაიწოდა. სკიდოხკენ. ერთი გვინეო მოგლიჯა და ხარბად შესანსლა, კიდევ მოგლიჯა და შეჭამა, კიდევ, კიდევ. ყბა უთახთახებდა, პირი ჭაობივით უბუყბუყებდა, გვინეოს გემოს ატანდა და თან მომხიბვლელ ფრანსისკა ლოპესს თვალებით ჭამდა, ქალი დაბნეული იდგა. ახალგათხოვილს უცხო კაცი რომ ასეთი ხარბი თვალებით უცქერდა, უხერხულობისგან არ იცოდა რა ექნა. მიხვედრით კი ნამდვილად მიხვდა, ეს კაცი მასთან იყო მოსული თავისი სურვილის დასაკმაყოფილებლად და თუ თვითონ არ გადაიფიქრებდა, სხვაფრივ ვერავინ შეაცვლევინებდა ამ განზრახვას, ხოლო რომ არ გადაიფიქრებდა, ეს აშკარად ეტყობოდა. შიშისგან გახევებულს ქმარი მომიჯდა გვერდით, მესმოდა მისი დამძიმებული სუნთქვა, ისიც შეშინებული იყო რაღაც ცუდის მოლოდინში. გაქვავებული ვისხედით ხელჩაჭიდებულები და გულებითაც გადაჯაჭვულნი, ზუსტად ისე, სენიორ, ლია ბარათებზე რომ ხატავენ მტრედებთან ერთად. ჩვენი გულები ერთი გულივით ცემდა, ჯადო ბერიკაცი კი იქვე იდგა ორ ნაბიჯზე და ჭამდა და ჭამდა გვინეოს, ნარჩენებს მხარზემოდან ისროდა და მომშტერებოდა. როცა მთელი აკიდო გაცალა, თავის ფეხშიშველ ინდიელს რაღაც ანიშნა, ჩემს ქმარს კი უთხრა, გაყევი ჩემს მეგობარს, შენთან საქმე აქვსო. შიშით გული კი მელეოდა, მაგრამ მაინც შევუძახე თავს, თუ გინდა ცოცხალი დარჩე, ამ ბეხრეკს ყველაფრის უფლება უნდა მისცე, ყველაფრის, რასაც კი მოისურვებს, აი, აგერ, პირდაპირ ამ მაგიდაზე დავუდებ ჩემს სხეულს, თუ უნდა-მეთქი. უფრო მეტიც, სენიორ, თვითონ დავეხმარე, კაბა გაეძრო ჩემთვის, მაქმანებში გაიბლანდა საცოდავად, უცებ თათის ერთი მოქნევით შემომაფხრიწა ქვედა საცვალი და უხერხულად დამიწყო ჯაჯგური. წმინდაო სამებავ, გავიფიქრე მე, დღეს რომ არ დამიბანია, რა სირცხვილია, ვერ მოვიცალე, გადავყევი ამ ირემს. ბოლოს და ბოლოს მან მიიღო ის, რაც სურდა, მაგრამ ისე სწრაფად და უგემურად გააკეთა, მიხრწნილი ბებერი ან ცხვირმოუხოცავი ღლაპი რომ გააკეთებდა, მოულოდნელად ატირდა, შარდივით თბილი ცრემლი გადმოსცვივდა. ისეთი მარტოსული და მიუსაფარი ჩანდა, რომ მარტო ის კი არა, ყველა მამაკაცი შემეცოდა და თითის წვერებით შევეხე თმაზე მოსაფერებლად, ნუ ნაღვლობთ, გენერალო, ცხოვრება ჯერ კიდევ წინა გაქვთ-მეთქი. ვიდრე აქ ეს ამბავი ხდებოდა, ფეხშიშველა ინდიელმა პონსიო დასა ბალში გაიყვანა და მოფარებულ ადგილას მაჩეტეთი გამოასალმა სიცოცხლეს. მოკლულის ნაკუწები ღორებმა დაიტაცეს. საბრალო პონსიო მიწას ისე მიაბარეს, გვამი ვერც კი შეაკოწიწეს. სხვა გზა არ ჰქონდა, პონსიო უნდა მოეკლა, თორემ მტრად გადაეკიდებოდა, სიცოცხლეს გაუმწარებდა. ჰოდა, აიდგა და მოაკვლევინა. წარსულის მოგონებამ სული დაუმძიმა, ბოლმა ახრჩობდა, მისი ძალაუფლება ისეთი წყალწყალა აღმოჩნდა, ვერაფერი მოუხერხა მზის დაბნელების დროინდელ დაწყევლილ ჯადოს. დაბოღმილი და გულგასიებუ-

ლი უჯდა ხოლმე დომინოს მაგიდას თავისი ძვირფასი, მუდამ მშვიდი მეგობრის, გენერალ როდრიგო დე აგილარის პირისპირ. ანამებრძოლთაგან ის იყო ერთადერთი, ვისაც ენდობოდა, უფრო სწორად, ვისაც თავისი სიცოცხლე მიანდო მას შემდეგ, რაც მაჩეტეიან ფეხშიშველა მფარველი ანგელოზის სახსრებს ნიკრისის ქარმა შეუტია. შეპყურებდა ძვირფას მეგობარს და ათასნაირი უკეთური აზრი უტრიალებდა თავში. იქნებ სულაც ეს კაცია მისი უბედურების თავი და თავი იქნებ მეტისმეტად ენდობა, მეტისმეტი უფლებები მიანიჭა. ეგ არ იყო ჩემი ვირად ქცევა რომ მოინდომა განა ეს ჩემი ძვირფასი მეგობარი არ ცდილობდა მოღვაწე კაუდილიოს[1] ყველა ნიშან-თვისება ჰაიპარად თმასავით ჩამოეპარსა ჩემთვის და ვექციე სასახლის ინვალიდად, ვისი ბრძანებებიც შეგიძლია ერთ ყურში შეუშვა და მეორედან გამოუშვა განა მან არ მოიფიქრა ეს სახიფათო ორეულობანას თამაში განა ის არ მაიძულებს ვიღაცის ზურგს ამოვეფარო საკუთარი ხალხის წინაშე გამოსვლა მეშინოდეს თუნდაც პირადი დაცვის მთელი არმია მეხვიოს გარს არადა იმ კეთილმოსაგონარ ძველ დროში ერთი ფეხშიშველი ინდიელი თავისი მაჩეტეთი მიკვლევდა გზას ხალხის ტალღაში ჩამოგვეცალეთ ბრიყვებო მბრძანებელი მოდის არც არაფერი ხდებოდა ცუდი თუმცა მაშინ ჯერ კიდევ არ შეგვეძლო ამ ხალხის ტალღაში და ტაშის გრიალში ამოგვეცნო ვინ იყო ჭეშმარიტი პატრიოტი ვინ მოღალატე და ყაჩაღი ეს ახლა ვიცით თორემ მაშინ რა ვიცოდით რომ ვინც ყველაზე ხმამაღლა გაჰყვირის გაუმარჯოს მაჩოს გაუმარჯოს გენერალს სწორედ იმისგან უნდა ელოდო მუხანათობას მაშინ ერთი ფეხშიშველი ინდიელი არ ეპუებოდა ხალხის უზარმაზარ ტალღას ამ ჩემს ძვირფას მეგობარს კი ჯარი არ ჰყოფნის ის სასიკვდილე დედოფალი მომიძებნოს. რომ ახსენდებოდა, როგორ გაეპარა მანუელა სანჩესი, როგორ აღმოჩნდა იგი მისი ბებრული ავხორცობის ღობის მიღმა, გაცოფებული იატაკზე ფანტავდა დომინოს ქვებს, თამაშს წყვეტდა და გინებით იკლებდა იქაურობას. ერთხელაც ასეთი შემოტევის დროს როგორღაც ბეჩავად იგრძნო თავი, გაიფიქრა, ადრე თუ გვიან ამქვეყნად ყველაფერი პოულობს თავის ადგილს, მე რაღა დამემართა, ასე რომ ვბორგავ და მოუსვენრად ვარო. სულშეხუთულმა აღმოაჩინა, რომ პერანგი გასაწური გახდომოდა ოფლისაგან, გაუკვირდა, არც ისე ცხელაო. ზღვის შლამის სუნში ლეშის სუნი გამოარჩია, თიაქარმაც შეახსენა თავი ნესტიან პაპანაქებაში, ვერაფრით გაეგო, რა ხდებოდა მის თავს. ალბათ უჰაერობის ბრალიაო, დაასკვნა მან, მაგრამ მთლად დარწმუნებულიც არ იყო, რაღაც სტანჯავდა და აწვალებდა. ფანჯარასთან მივიდა, ნეტავ რა ანათებს ასე უცნაურად, ან რატომ ჩამკვდარა ქალაქი, მხოლოდ სვავები ჩანან, დამფრთხალი ტოვებენ თავიანთ სამყოფელს, ღარიბთა საავადმყოფოს სახურავს. მაგრამ აგერ ერთი სულიერი მაინც გამოჩნდა ქალაქში, დე არმას მოედანზე ბრმა კაცი იდგა და თითქოს გრძნობდა ფანჯარასთან მომდგარი ბერიკაცის შეშფოთებულ მზერას, ჯოხის ქნევით რაღაცას

---

1 კაუდილიო — სარდალი. მეთაური, უფროსი, ხელმძღვანელი და ა. შ.

ანიშნებდა ჩქარ-ჩქარა, რაღაცას უყვიროდა კიდეც. ესეც ავის მომასწავებლად ენიშნა. უძლურობის შეგრძნება არ ტოვებდა, ცოტა ხან და რაღაც მოხდება, მაგრამ ერთხელ კიდევ დაიმშვიდა თავი, ალბათ უჰაერობის ბრალიაო. დაწვა და მაშინვე ჩაეძინა, თუმცა ისე ფხიზლად ეძინა, ფანჯრის მინებზე წვიმის წკაპუნი ესმოდა, რაღაცამ მსხვილ-გასქონა ძილბურანის ფილტრში და მიაღწია მის გონებას. შეშინებულმა გამოიღვიძა. მანდ ვინ არის. არავინ იყო, მის გულს გაჰქონდა ბაგაბუგი რაღაც უჩვეულოს მოლოდინით შემკრთალს. გამთენიის ხანი იდგა, მაგრამ მამლების ყივილი არ ისმოდა და მან უცებ იგრძნო, ვიდრე ეძინა, სიმშვიდისა და სიმყუდროვის ხომალდმა იგი მიატოვა და რომელიღაც ბურუსით მოცულ ნავსადგომში მიიმალა. ცისა და ხმელეთის ბინადარნი, ფრინველები და ცხოველები, რომლებსაც სიკვდილის წინათგრძნობა კარგად აქვთ განვითარებული და შეუცდომლად, უფრო ზუსტად შეუძლიათ მოსალოდნელი კატაკლიზმის ამოცნობა, ვიდრე ადამიანთა მიერ შექმნილ მეცნიერებას, გასუსულიყვნენ რაღაც საშინელის მოლოდინში. ჰაერი ჩამოიხუთა, დრო შეჩერდა, ბერიკაცი წამოდგა, იგრძნო, ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე როგორ უსივდებოდა გული, ყურის აპკები დასკდომაზე ჰქონდა და უცებ ცხვირიდან რაღაც მასა გადმოუსკდა, გასისხლიანებული ხალათის დანახვაზე კი გაიფიქრა, ეს სიკვდილია. არა, გენერალო, ეს ციკლონია, უპასუხეს მას. მაშინ კი მიხვდა, რომ ციკლონი უახლოვდებოდათ, ყველაზე დამანგრეველი იმ ციკლონთა შორის, ოდესღაც ერთიანი კარიბის სამეფო ცალკეულ კუნძულებად რომ მიფანტ-მოფანტა. ეს იყო საიდუმლო კატასტროფა, რომლის მოახლოებაც თავისი პირველყოფილი ინსტინქტით მან უფრო ადრე იგრძნო, ვიდრე ძაღლებსა და ქათმებს შეუდგებოდათ ფორიაქი. ადამიანებისთვის ციკლონი ისე სწრაფად და მოულოდნელად მოვარდა, რომ არეულობაში ძლივს მოასწრეს მისთვის ქალის სახელი შეერქმიათ. თავგზააბნეული ოფიცრები დაზაფრულები გარბი-გამორბოდნენ, ეს დასასრულია, გენერალო, ქვეყანა მოუსავლეთში მიექანება. მან მაშინვე გასცა ბრძანება, საგულდაგულოდ ჩაეკეტათ კარ-ფანჯრები, ყარაულები დერეფნებში დაებათ, ძროხები და ქათმები პირველ სართულზე შეერეკათ, ყველაფერი, რისი დაჭედებაც შეიძლებოდა, ადგილზევე დაეჭედათ. მთელი ქვეყანა, დაწყებული დე არმას მოედნიდან, დამთავრებული შიშის მარწუხებში მოქცეულ ამ მწუხარების სამეფოს ყველაზე მივარდნილ სოფლამდე, ჰგავდა ქარიშხლის წინ ღუზაზე მდგარ ჩასაძირად განწირულ ერთ დიდ ხომალდს. პანიკის შემთხვევაში ნაბრძანები იყო სროლა, ჯერ ორი გამაფრთხილებელი გასროლა ჰაერში, ხოლო თუ საჭირო გახდებოდა, მესამე გასროლა უკვე სასიკვდილო იქნებოდა, მაგრამ ციკლონმა ყველაფერი წალეკა, ერთი უმძლავრესი დარტყმით შუაზე გადახლიჩა ფოლადის ჭიშკარი, მთავარი შესასვლელი ნაფოტებად აქცია, ძროხები ჰაერში აიტაცა. პრეზიდენტი ველარ აზროვნებდა, ეს რა ხდება, კოკისპირული წვიმა ღრიალით დააცხრა თავზე, ჰორიზონტალურად წვიმდა, ყუმბარებივით სკდებოდნენ აივნები, ნაპირზე ენარცხებოდნენ ზღვის სელვადან ამოყრილი ცხოველები, მაგრამ პრეზიდენტს ეს საშინელი კატაკლიზმი შიშს ალარ ჰგვრიდა, პირიქით, ამ წარღვნასა და ქაოსში გულღრძოობისა და ბოროტი სიხარულის სასიამოვნო გემოს გრძნობდა. სადა

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხარ, ჩემო ბედის წყევლავ და ვაებავ მანუელა სანჩეს, სად დაემალე ჩემს აბობოქრებულ შურისძიებას. როცა გაავებული ციკლონი როგორც იქნა წყნარმა შტილმა შეცვალა, სახელმწიფო საბჭოს ნავარქმნილ სხდომათა დარბაზიდან გამოცურა ნიჩბებიანმა ბარკასმა, რომელზეც ის იჯდა თავის უახლოეს თანაშემწეებთან ერთად. ბარკასმა ჩაუარა კარეტების ფარეხს და დე არმას მოედანზე შეცურდა. გაჭირვებით მიიკვლევდა გზას წყლიდან თავამოყოფილ პალმების კენწეროებსა და ძიგრეხილ-მოგრეხილი ფარნების წვეტებს შორის. დე არმას მოედნიდან ბარკასმა ტაძრის მკვდარ წყლებში შეაღწია და სწორედ აქ, ზედ ტაძრის გუმბათქვეშ ჩაგუბებულ წყალში გენერალს უეცრად წამით გაუნათდა გონება, მიხვდა, იგი არასდროს ყოფილა და არც არასდროს იქნება ყოვლისშემძლე ხელისუფალი, რამეთუ არის თურმე რაღაც, რაც მას არ ემორჩილება. ამ აღმოჩენამ გუნება მოუშხამა და ვიდრე ტაძრის მკვდარ წყალში დავცურავდით, არც გამოკეთებია. ბარკასი ხან ტაძრის კედლებს ეხეთქებოდა, ხან ჩასქელებულ წყვდიადში იკარგებოდა, ხანაც გზას მიიკვლევდა ფერადი ვიტრაჟებიდან შემოპარულ შუქზე, რომელიც საკურთხევლის ზურმუხტითა და ოქროთი შემკულ ჩუქურთმებსაც სწვდებოდა და იქაურობას წამიწამ ანათებდა. ანათებდნენ ცოცხლად დამარხულ ვიცე-მეფეთა და გულაცრუებისგან აღსრულებულ არქიეპისკოპოსთა საფლავის ქვები, ანათებდა ზღვებისა და ოკეანეების ადმირალის ჯერჯერობით ცარიელი აკლდამის გრანიტი, რაზეც ამოტვიფრული იყო სამი კარაველა. ეს აკლდამა პრეზიდენტმა წინასწარ ააგო ადმირალისთვის, თუკი ის, რა თქმა უნდა, მოისურვებდა თავისი ძვლების ჩვენი ძვლების გვერდით დასვენებას. საკურთხეველთან გასასვლელი არხი ვიპოვეთ, მივყევით და ტაძრის პატიოში გავედით. პატიო განათებულ აკვარიუმს ჰგავდა, რომლის შორენკეცით მოპირკეთებულ ფსკერზე ზღვის თევზები დასრიალებდნენ ტუბეროზებსა და მზესუმზირებს შორის, პატიოდან ბარკასი განცალკევებით მდგარ პირქუში შენობისაკენ, ბისკაელ ქალთა მონასტრისაკენ გაემართა. ბარკასზე მსხდომთ საზარელი სურათი გადაეშალათ თვალწინ. ცარიელი სენაკები წყალს დაეტბორა, სამუსიკო დარბაზი აუზად და კლავიკორდის სადრეიფო ადგილად ქცეულიყო. თავად ღვთისმოსავი ქალები, მორჩილები, სასადილო ოთახში გრძელ მაგიდასთან როგორც ისხდნენ, ისევე დამხრჩვალიყვნენ. მონასტრიდან აივნის კარით გავაღწიეთ გარეთ და ყველამ დავინახეთ, იქ სადაც ქალაქი იყო, ლაჟვარდი ცის ქვეშ უზარმაზარი ტბა გაწოლილიყო. ეს მსოფლიო წარღვნა ალბათ იმიტომ მოუვლინა ღმერთმა ქვეყანას რომ მე გავენთავისუფლებინე მანუელა სანჩესზე მტანჯველი ფიქრისაგან დალახვროს ეშმაკმა ეს რა ბარბაროსული მეთოდები აქვს მამაზეციერს ჩვენთან შედარებით, გაიფიქრა მან და კმაყოფილებით ჩააცქერდა ჩამუქებულ ტბას, რომელშიც დასამარებულიყო მთელი ქალაქი. უკიდეგანო წყლიანი სივრცე დამხრჩვალ ქათმებს გადაევსო. თავი ამოეყოთ მონასტრის გუმბათს, შუქურას, ვიცე-მეფეთა სასახლეების მზიან ტერასებს. ძველი პორტის რაიონში, სადაც ოდესღაც მონებით ვაჭრობდნენ, მიმოფანტულ კუნძულებზე ციკლონს თავდაღწეული ადამიანები დაბანაკებულიყვნენ. ისინი უნდობლად შესცქეროდნენ ეროვ-

ნული დროშის ფერებით მოხატულ ბარკასს, რომელიც მდოვრედ მიიკ-
ვლევდა გზას სარგასოს ზღვის მოწითალო-მოყავისფრო წყალმცენარეე-
ბივით მოფენილ დამხრჩვალ ქათმებში. უეცრად დავინახეთ ნაცნობი
ნაღვლიანი თვალები, უსიცოცხლო ტუჩები და იდუმალი ხელი, რომე-
ლიც პირჯვარს სახავდა ჰაერში, წვიმავ, გადაიღე, მზეო, ...ანათე.
და მან სიცოცხლე დაუბრუნა დამხრჩვალ ქათმებს, წყალს უბრძანა და-
წეულიყო და წყალმაც დაიწია. ზანზალაკები მხიარულად აწკრიალდნენ,
სადღესასწაულო ფოიერვერკმა ტკაცატკუცით გააყრუა მიდამო, დე
არმას მოედანზე თავი მოიყარა ხალხმა, რათა ზარზეიმით აღენიშნათ
აღდგენითი სამუშაოების დაწყების აღსანიშნავი პირველი ქვის ჩადება და
ემღერათ სადიდებელი იმ კაცისა, ვინც უკუაქცია ქარიშხალი-ურჩხული,
ამ დროს პრეზიდენტს ვიღაცამ ხელი ჩაავლო და აივნისკენ უბიძგა,
ხალხს შენი გამამხნევებელი სიტყვების გაგონება სურსო. უარი არ გა-
უვიდა. მისი გამოჩენა აივანზე და ხალხის შეძახილი, გაუმარჯოს მაჩოს,
ერთი იყო. ამ შეძახილმა ქარიშხალივით დაუარა გულ-მუცელში, თავისი
რეჟიმის პირველი დღეებიდანვე ნაცნობი იყო მისთვის ეს შეგრძნება, რა-
ღაცნაირი უსუსური და დაუცველი ჩანდა, როდესაც მთელი ქალაქის
პირისპირ იდგა. ახლაც გაუსხლტდა თავში შეუბრალებელი სიმართლე,
ვერც ვერასოდეს ბედავდა და ვერც ვერასოდეს გაბედავს აუთრთოლებ-
ლად, აი, ასე, მთელი ტანით გამოჩნდეს იმ უფსკრულის პირას, რომ-
ლის სახელიც ხალხია. ქვემოთ, დე არმას მოედანზე მდგომებმა, როგორც
ყოველთვის, ახლაც მხოლოდ რაღაც ეფემერულს მოვკარით თვალი,
პრეზიდენტის აივნიდან დალოცა ხალხი და გაქრა, მაგრამ ჩვენთვის ეს
წამიერი გაელვებაც კმაროდა, რომ იმედიანად ვყოფილიყავით. ის ჩვე-
ნთან იყო, ის დარაჯად ედგა ჩვენს ძილსაც და ჩვენს სიფხიზლესაც
მაშინაც კი, როცა საგარეუბნო სახლის ეზოში, ისტორიული ტამარინ-
დების ჩრდილქვეშ სარწეველა სავარძელში იჯდა და ლიმონათს წრუპავ-
და. დედამისი ბენდისიონ ალვარადო კი ამ დროს სიმინდს ანიავებდა
გულამოცლილ გოგრაში. პრეზიდენტი თვალდახუჭული უსმენდა სიმინ-
დის მარცვლების რაკარუკს. დღის სამ საათზე, როცა გახურებული ჰა-
ერი თრთის და ირგვლივ ყველაფერს ბუღი ასდის, ის კვლავ სარწეველა
სავარძელში იჯდა და ბუღის მარმაშის მილმა შესცქეროდა მოფუსფუსე
დედას. ბენდისიონ ალვარადომ იქვე მობორიალე კვამლისფერი ქათამი
დაიჭირა, ამოიიღლიავა და შესაშური სინაზით მოუგრიხა კისერი, თან
შვილის დაყოლიებას ცდილობდა, თვალებში შემომხედე, ბევრს ფიქრობ,
ცუდად ჭამ, ჭლექიანს დაემსგავსე, დარჩი ამ საღამოს ჩემთან, ქათამს
მოგიხარშავ, გემოზე გავახშმებ. მის იღლიაში მომწყვდეული, კისერ-
მოგრეხილი ქათამი საცოდავად აფხარკალებდა ფეხებს. კარგი, დედა,
დავრჩები, დაყაბულდა შვილი. დაბინდებამდე იჯდა სარწეველა სავარ-
ძელში და ჩვენს ყოფაზე დაფიქრებულს ცხვირში საამოდ ულიტინებდა
ქვაბში მოჩუხჩუხე ქათმის წვნიანის მადისაღმძვრელი სუნი. ეს კაცი
იყო ჩვენი მიწიერი არსებობის ერთადერთი იმედი, რა უაზრო იქნებო-
და ცხოვრება უამრწმენოდ, ის აქ არის, ჩვენს გვერდითაა, მას ვერა-
ფერს დააკლებს ვერც შავი ჭირი, ვერც ციკლონი და ვერც მანუელა
სანჩესის მხრიდან გამასხარავება. დროც უძლურია მის წინაშე, ერთი
სიტყვით, მესიად იყო მოვლენილი, ჩვენს კეთილდღეობაზე ფიქრობდა,

ვიცოდით, ჩვენს საზიანოდ არაფერს მოიმოქმედებდა, აკი ამიტომაც უძლებდა ცხოვრებისეულ სიძნელეებს, ბედის ტრიალს. მან იცოდა, ჩვენ რა გვინდოდა, ჩვენს ყოფას ინაწილებდა, მხოლოდ გულადობამ ან განსაკუთრებულმა გონიერებამ როდი გააძლებინა [illegible]. მან იცოდა, ჩვენ რა გვსურდა, რა გვჭირდებოდა და რა არ [illegible], ჩვენ მაგიერ იცოდა და ჩვენზე უკეთ იცოდა ყველაფერი. მე ვიყავი იქ, დედა, როგორც იქნა, მივაღწიე იქამდე. მართლაც მოინახულა ის ადგილი ჩვენი ქვეყნის შორეულ აღმოსავლეთ საზღვარზე, იმ ისტორიულ ქვაზე იჯდა, რომელზეც ამოკვეთილი იყო იმ ჯარისკაცის გვარ-სახელი და თარიღები, ვინც უკანასკნელი დაიღუპა აქ აღმოსავლეთ სანაპიროზე სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში. იგი ქვაზე იჯდა და გასცქეროდა საზღვრის გაღმა მხარეს, სხვა ქვეყნის მიწას, პირქუშ ქალაქს, სადაც მუდამ ცივად ცრის და ჩაჭვარტლული ბურუსია. დაინახა ქუჩაში მორიხინე ტრამვაები, ტრამვაებში გემოვნებით ჩაცმული ადამიანები, დაინახა სამგლოვიარო პროცესია, კატაფალკის უკან კარეტების გრძელი მწკრივი. კარეტებში შებმულ თეთრ პერშერონებს ლამაზფრთიანი ჩალმები უმშვენებდათ თავს. ტაძრის კართან გაზეთებწაფარებულ ბავშვებს ეძინათ. პრეზიდენტი გაოცებას ვერ ფარავდა, დალახვროს ეშმაკმა, ეს რა უცნაური ხალხია, პოეტებს ჰგვანან. არა, ჩემო გენერალო, რის პოეტები, ესენი გოდოები[1] არიან, იქაური ხელისუფალნი, უთხრა ვიღაცამ. ამ მოგზაურობიდან ამაღლებული გუნება-განწყობილებით დაბრუნდა, სიხარულით ატაცებულმა აღმოაჩინა, რომ არაფერი შეედრება სიდამპლეშეპარულ გუაიაბას სურნელს, მშობლიური სოფელ-ქალაქების ხმაურიან ბაზრებს, ვერაფერი შეცვლის იმ ტკივილიან ნაღველს, საღამოს მიმწუხრს რომ იპყრობს ხოლმე ადამიანს აქ, ამ უბადრუკ ქვეყანაში, რომელსაც ის არასოდეს მიატოვებს და არ მიატოვებს არა იმიტომ, რომ სავარძლის დაკარგვისა ეშინია, როგორც მისი მტრები ირწმუნებიან, არამედ იმიტომ, დედაჩემო, რომ ადამიანი ხეა თავის ტყეში, ნადირია თავის ტყეში, ნადირი, რომელიც თავის ბუნაგიდან მხოლოდ საჭმლისთვის გამოდის, მომაკვდავის აღსარების გულახდილობით არწმუნებდა საკუთარ თავს, რასაც ვამბობ, სრული სიმართლეაო. ერთხელ, სიესტის ძილბურანში მყოფს გაახსენდა, შორეული აგვისტოს ხუთშაბათის საღამოს როგორ აღიარა, ძალაუფლების სიყვარულს თავისი საზღვარი აქვს და რომ იგი ბევრს არ ნატრობს, მხოლოდ თავისი ქვეყნის მართვა სურს და მეტი არაფერი. ასეც უთხრა თავისუფლებისთვის მებრძოლ ერთ ახალგაზრდა უცხოელს, რომელიც მან თავისი კაბინეტის სულისშემხუთველ ნახევრად სიბნელეში მიიღო. ეს იყო მორცხვი, პატივმოყვარე ყმაწვილი კაცი და რაც პირველი შეხედვისთანავე ეტყობოდა, მარტოობისათვის განწირული. არიან ადამიანები, რომლებსაც აკვნიდანვე დაჰყვებათ ხოლმე მარტოობის ნიშანი. ახალგაზრდა კაცი უძრავად იდგა კართან, სიბნელეს თვალს აჩვევდა. სიცხეში გლიცინიები განსაკუთრებულად აფრქვევდნენ სურნელს. ჯერ ვერ ხედავდა სავარძელში მჯდომ ბერიკაცს, რომელსაც დამუშტული ხელი ცარიელ მაგიდაზე ედო, ხოლო როცა ნახევრად სიბნელეს ნელ-ნელა შეაჩვია თვა-

1 არისტოკრატების საძულველი ზედმეტი სახელი.

ლი, ბერიკაცი ისეთი ჩვეულებრივი, ისეთი უფერული ეჩვენა, სულ არ ჰგავდა ოფიციალურ სურათებზე გამოსახულ პრეზიდენტს. კაბინეტში დაცვა არ ჩანდა, თვითონაც უიარაღოდ იყო, გაოფლილი პერანგი ეცვა. ჩვეულებრივი მოკვდავივით მიეკრა საფეთქლებზე თავის ტყვილის საწინააღმდეგო სალბის ფოთლები. მოგვიანებით მივხვდი, რომ სწორედ ეს ლამის დაჟანგული ბერიკაცი იყო ჩვენი ბავშვობის დროფტარეული-პი, ჩვენი ნათელი იდეალების ცოცხალი განსახიერება. ახალგაზრდა კაცი მაგიდას მიუახლოვდა და საქმიანი კაცის მჟღერი ხმით წარუდგა მასპინძელს, მანაც ჩამოართვა თავისი ნაზი, ეპისკოპოსის ხელივით მოშვებულ-მოდუნებული ხელი. სმენად ქცეული მოხუცი გაკვირვებას ვერ მალავდა, ისეთი აღფრთოვანებითა და მგზნებარებით ლაპარაკობდა ახალგაზრდა უცხოელი საყოველთაო ზღაპრულ ბედნიერებაზე. სიტყვის დასასრულს პოლიტიკური მსარდაჭერა და იარაღი ითხოვა. თქვენო ბრწყინვალებავ, ულმობელ ომში ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავამხოთ კონსერვატორთა რეჟიმი ალიასკიდან პათაგონიამდე. გენერალი გააღიზიანა სტუმრის მგზნებარებამ, კი მაგრამ, ეშმაკსაც წაულიხარ, ცხვირს რატომ ჰყოფ ამ საქმეში, რისთვის იკლავ თავს, რაზეც უცხოელმა წინანდელზე არანაკლები მგზნებარებით უპასუხა, რისთვის და, ჩემი სამშობლოსათვის, თქვენო ბრწყინვალებავ, სამშობლოსათვის სიკვდილი ხომ უმაღლესი ბედნიერებაა. მასპინძელმა ნაღვლიანად გაუღიმა, ნუ სულელობ, ყმაწვილო, სიცოცხლე — აი, ეს არის სამშობლო. მაგიდაზე დასვენებული მომუშტული ხელი გაშალა და შუშის ბურთულა დაანახა, ამას ხომ ხედავ, ყმაწვილო, ეს ბურთულა ან არის ან არ არის, მაგრამ ვისაც აქვს, იმას აქვს, ასეა სამშობლოც. წამოდგა და სტუმარს კარისკენ უბიძგა, ზურგზე ხელის ტყაპუნით მიაცილა კარამდე. არაფერს შეპპირებია, თავის ადიუტანტი კი გააფრთხილა, ამ ყმაწვილს ხელი არ ახლოთ, არც უთვალთვალოთ, ტყუილად დრო არ დაკარგოთ, სისხლი უდუღს ძარღვებშიო. ეს სიტყვები კარგა ხანია არ გვსმენია მისგან, ციკლონის გადავლამდე არ დაცდენია. ციკლონის გადავლის მერე კი გამოცხადდა ამნისტია პოლიტპატიმრებისათვის, გასახლებულებსაც მიეცათ სამშობლოში დაბრუნების ნება, რა თქმა უნდა, გარდა ინტელექტუალებისა, მაგათ არც არასოდეს დავაბრუნებ, მამლაყინწობენ, სისხლი უდუღთ ძარღვებში, ვერაფერში გამოიყენებ, თუ გამოიყენებ და, გარწმუნებთ, პოლიტიკოსებზე და მღვდლებზე უარესები არიან. დანარჩენებს შეუძლიათ დაბრუნდნენ. ქვეყანა ერთად უნდა ავაშენოთ. ძალაუფლება კვლავინდებურად მას ეპყრა ხელთ, ჯარიც მას ემორჩილებოდა უსიტყვოდ, განსაკუთრებით მაშინ, როცა სტიქიის მიერ დაზარალებულთათვის უცხოეთიდან გამოგზავნილი სურსათი, მედიკამენტები და სხვა საჭირო ნივთები უმაღლეს მთავარსარდლობაში გაანაწილა. მინისტრები არასოდეს ყოფილან ასეთი მორჩილები, აბა, რას იზამდნენ, კვირა დღეებში ოჯახებთან ერთად პლაჟებზე გაშლილ წითელი ჯვრის საველე ჰოსპიტალთან ტრიალებდნენ. საგარეო ვაჭრობის სამინისტრო ცდილობდა ჯანდაცვის სამინისტროსთვის საზღვარგარეთიდან მიღებული სისხლის პლაზმა და ტონობით რძის ფხვნილი მიეყიდა, ჯანდაცვის სამინისტრო კი თავის მხრივ ღარიბთა საავადმყოფოებს ევაჭრებოდა. გენშტაბის ოფიცრები თავიანთ ამბიციებს საზოგადოებრივ მშენებლობებზე სანარ-

დო სამუშაოთი იკმაყოფილებდნენ აღდგენითი პროგრამის ჩარჩოებში, ელჩმა უორენმა ამ სამუშაოთა შესასრულებელი თანხა სესხად გამოუყო ქვეყანას ჩვენს ტერიტორიულ წყლებში თევზჭერის განსაზღვრელი უფლების სანაცვლოდ. ჯანდაბას მაგათი თავი, ამბობდა პრეზიდენტი და ხშირად იხსენებდა თავის საუბარს იმ ახალგაზრდა მეოცნებესთან, ვის შესახებაც აღარავის არაფერი სმენია. ხელის გულზე დადებული ფერადი შუშის ბურთულა რომ უჩვენა, ისიც ბევრჯერ გაიხსენა. ეს ბურთულა იმას აქვს, ვისაც აქვსო, უთხრა მაშინ იმ ყმაწვილ კაცს, პრეზიდენტი მთელი არსებით ჩაერთო ქალაქის აღდგენით სამუშაოებში. მისი სურვილითა და განკარგულებით ქალაქი პირვანდელი სახით უნდა აღმდგარიყო, რაკი ასე სურდა, თვალიც უნდა მიედევნებინა სამუშაოებისათვის, არაფერი გამოჰპარვოდა, აქ, ამ ადგილას მკვდრეთით უნდა აღსდგეს ის ქალაქი, მომავალში მის სახელს დიდებით რომ მოიხსენიებს. როგორც იმ შორეულზე შორეულ წლებში, ხელისუფლებაში თავისი მოსვლის პირველ სანებში სჩვეოდა, ახლაც ერთპიროვნულად წყვეტდა ყველა საკითხს, არავის არაფერს ეკითხებოდა. სომბრეროჩამოფხატული, რეზინის ჩექმებით დააბოტებდა წარღვნის მერე შლამითა და ტალახით გადავსებულ ქუჩებში და... ეს სახლები აქედან მოაშორეთ, სხვაგან გადაიტანეთო, კარნახობდა ინჟინრებს. იმათაც გადაჰქონდათ. ამ კოშკს ორი მეტრი კიდევ მოუმატეთ სიმაღლეში, საოკეანო გემებს კარგად დავინახავთო, უმატებდნენ. ეს მდინარე აღმა გაუშვითო, უარის თქმას ვინ გაბედავდა. ერთი სიტყვით, ამ საქმით გართულს აღარც მელანქოლია უმძიმებდა სულს და აღარც სხვა დარდი, სახელმწიფოში თუ იყო სხვა საქმე გასაკეთებელი, აღარც ახსოვდა, მაგრამ ერთხელ თითქოს კედელს შუბლით დაეჯახაო, საიდანღაც ბავშვები ამოუტივტივდნენ სადარდებლად. გენერალო, რა ვუყოთ ბავშვებს, მოულოდნელად ჰკითხა ადიუტანტმა, ვისაც სულაც არ ევალებოდა ამ შეკითხვის დასმა, მაგრამ შეკითხვა უკვე დასმული იყო და პრეზიდენტიც უმალ დაეშვა მიწაზე. რომელ ბავშვებზე მეკითხებით, ეშმაკმა წაგიღოთ, და მას გაუმხილეს ის, რასაც კარგა ხანი უმალავდნენ. ჩემო გენერალო, იმ ბავშვებზე გეკითხებით, ლატარიის გათამაშების დროს თოფრაკებიდან დანომრილ ბურთულებს რომ ილებდნენ. სამხედროებს ჰყავთ დამწყვდეული. თავი მოგვეჭრებოდა, ჩემო გენერალო, მთელ ქვეყანას მოსდებდნენ, ყველა გათამაშებაზე მაინცდამაინც თქვენი ბილეთი რატომაც იგებდა. გამწარებული მშობლები დღედაღამ დაეძებენ თავიანთ შვილებს, თქვენი ხელი ურევია მათ გაქრობაშიო, გვეუბნებიან. ტყუილია, ოპოზიცია გვიგონებს-თქო, ჩვენც ვეუბნებით, მაგრამ არ სჯერათ. ამას წინათ ერთ-ერთი ყაზარმის აღებაც კი დააპირეს, ნაღმმტყორცნებით მოვიგერიეთ, ნამდვილი სასაკლაო მოვაწყვეთ, ჩემო გენერალო. ბავშვები პორტის ციხესიმაგრეში არიან დამწყვდეულები, რა თქმა უნდა, არაფერს ვაკლებთ და მადლობა ღმერთს, ჯანმრთელადაც არიან, მაგრამ ორი ათასამდე ბავშვმა მოიყარა თავი და უკვე აღარ ვიცით, როგორ მოვიქცეთ. ლატარიის „ჩაწყობის" ეს ყოვლად მარტივი, გენიალურად მარტივი იდეა ბილიარდის დანომრილი ბურთულების დანახვისთანავე წარმოიშვა თავისთავად და მის განსახორციელებლად მაშინვე გამოცხადდა კიდეც საერთო-ეროვნული ლატარია, მიუხედავად პაპანაქება სიცხისა,

ღე არმას მოედანი ჯერ კიდევ შუადღემდე გაივსო გულაჩუყებული და მოგების იმედით ატაცებული სალხით. მადლიერების გამომხატველ შეძახილებსა და ტრანსპარანტებს თვლა არ ჰქონდა. ხალხი დიდხანს სიცოცხლეს უსურვებდა იმ დიდსულოვან კაცს, ვინც ლატარიის მოწყობა და მათთვის ბედნიერების განაწილება ითავა. [illegible] მუსიკოსები და მუშაითები, იყო ღვინო და ფრიტანგა.[1] ამუშავდა [illegible] ადამდელი სათამაშო რულეტი და ლატარია—თაგუნიათი და პატარა ყუთში ჩალაგებულ ქაღალდის ნაგლეჯზე დაწერილი ბედ-იღბლით. ეს ანაქრონისტული, აწ უკვე გამქრალი დროისა და სამყაროს თამაშობები მოკრძალებულად ცდილობდნენ დიდი ფორტუნის ჩრდილქვეშ ცოტა მაინც მოეთბოთ ხელი, ილუზიების ნამცეცებით დაკმაყოფილებულიყვნენ. დღის სამ საათზე ფიცარნაგზე სამი ბავშვი აიყვანეს, ასე, შვიდი-რვა წლისები. ხალხმა თავად ამოარჩია ისინი, აქაოდა, არავის დაბრალდეს ლატარიის უპატიოსნო წარმართვაო. თითოეულს სხვადასხვა ფერის თოფრაკი მისცეს. თითოეულ თოფრაკში ნულიდან ცხრის ჩათვლით დანომრილი ბურთულა ეყარა, რაც შემოწმებული იყო საგანგებოდ მოწვეული მოწმეების მიერ. ყურადღება, ბატონებო და ქალბატონებო. ხალხმა სული განაბა, ბავშვებს თვალები აუხვიეს. ყურადღება, თითოეული ბავშვი თოფრაკიდან ამოიღებს თითო ბურთულას. პირველად ლურჯთოფრაკიანი ამოიღებს, მერე წითელთოფრაკიანი. ბოლოს ყვითლიანი, ბავშვებმა რიგრიგობით ჩაყვეს ხელი თოფრაკებში, მიურ-მოურიეს და ის ბურთულა ამოიღეს, რომელიც სხვა ბურთულებთან შედარებით ცივი იყო. წინასწარ იყვნენ გაფრთხილებულები, ცივი ბურთულა ამოეღოთ. ამგვარად, ყოველ გათამაშებაზე ბავშვები თავთავიანთ თოფრაკებიდან იღებდნენ ბურთულებს, უჩვენებდნენ ხალხს, ხმამაღლა აცხადებდნენ ნომერს და სამივე ნომერი ბურთულებისა, გათამაშებამდე ყინულში რომ ედოთ, სასწაულებრივად ემთხვეოდა პრეზიდენტის ბილეთის ნომერს, მაგრამ ჩვენ ერთი რამ ვერ გავითვალისწინეთ, ჩემო გენერალო, ბავშვებს შეეძლოთ ვინმესთან დასცდენოდათ ეს საიდუმლო. ამიტომაც გადავწყვიტეთ დაგვემწყვდია ისინი. ჯერ ის სამი ბავშვი გამოვკეტეთ, მერე ოთხი, ხუთი, ოცი, ახლა კი იმდენი არიან, აღარ ვიცით, სად წავიყვანოთ ან როდემდე ვმალოთ. პრეზიდენტმა ძაფის ბოლოს ჩაავლო ხელი, მოქაჩა და მთელი გორგალიც გამოაყოლა თან. აღმოჩნდა, რომ ეროვნული ლატარიის თაღლითობაში ჩათრეული იყვნენ არა მარტო სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალების მაღალჩინოსნები, არამედ პირველი სამი ბავშვის მშობლებიც, სწორედ მშობლების თანხმობით მონაწილეობდნენ ბავშვები გათამაშებაში, სწორედ მშობლები დაეხმარნენ ლატარიის მომწყობთ, პატარებისათვის ესწავლებინათ, რომელი ბურთულა ამოეღოთ, მაგრამ მომდევნო გათამაშებებზე უკვე ძალითა და მუქარით აჰყავდათ ბავშვები ფიცარნაგზე, ახლა უკვე მშობლებიც დაფეთდნენ. ხმა დაირხა, ფიცარნაგზე ასული ბავშვები გვინახავს, მაგრამ ჩამოსული არაო. საგანგებო დანიშნულების საჯარისო ნაწილები ხალხს სახლებში უვარდებოდნენ ღამღამობით, რათა ბავშვები

---

1. წიწაკითა და გოგრით შეზავებული ძმწვარი პამიდორი.

ძალით წაეყვანათ ლატარიის გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ მშობლებმა ჭკუა ისწავლეს და გადამალეს შვილები. დიპლომატები აუდიენციას ითხოვდნენ პრეზიდენტთან, რათა შუამავლობა შეეთავაზებინათ წამოჭრილი კონფლიქტის მოგვარების საქმეში, მაგრამ ჩინოვნიკებისაგან ისეთ აბსურდულ მიზეზებს ისმენდნენ პრეზიდენტის მოუცლელობის თაობაზე, რომ გაოცებული ტოვებდნენ სასახლეს. ნაირ-ნაირ ლეგენდებს თხზავდნენ, ჩვენს პრეზიდენტს მუცელში ბაყაყები ჩაუსახლდნენ და მოსვენებას არ აძლევენო, უძილობა აწუხებს, იგუანასავით[1] მთელ ხერხემალზე ძვლოვანი სავარცხელი გამოეზარდა და ზეზეურად ძინავს, ვერ წვებაო. ერთი საპროტესტო დეპეშაც კი არ უჩვენებიათ მისთვის, არადა, დედამიწის ყოველი კუთხიდან მოდიოდა დეპეშებიცა და მოთხოვნებიც ბავშვების განთავისუფლების თაობაზე. რომის პაპმაც კი გამოუგზავნა სამოციქულო წერილი, რომელშიც დიდ წუხილს გამოხატავდა უდანაშაულო, უმანკო სულების მწარე ხვედრისა გამო. არც ეს წერილი უჩვენებიათ მისთვის. ჩემო გენერალო, ციხეები ამბოხებულ მშობლებს ველარ იტევს, ორშაბათის ლატარიისთვის ერთი ბავშვიც კი ვერ ჩავიგდეთ ხელში. პრეზიდენტი მხოლოდ მაშინ მიხვდა, ავად ხახადაღებულ უფსკრულის პირას რომ აღმოჩნდა, როცა სასახლის პატიოში ერთ ადგილას შექუჩებული ის უბედური ბავშვები იხილა. თითქოს სასაკლაოზე მიერეკებიანო, მიწისქვეშეთიდან დაფეთებულ თხებივით ამოჰყავდათ, თვეობით გაგრძელებული საშინელი ღამის შემდეგ დღის შუქით დაბრმავებულები აქეთ-იქით აწყდებოდნენ. ბევრნი იყვნენ და მაინც ერთ სხეულს შეადგენდნენ. პრეზიდენტმაც ასე აღიქვა, არა ცალცალკე, არამედ როგორც ერთი უზარმაზარი, უფორმო და მრავალსახა ცხოველი, ჭუჭყიანი და გაუბედურებული, მიწისქვეშა წყალივით აბუყბუყებული. ამ მრავალსახა ცხოველს ახლა აქ ასე უცებ ვერ მოკლავ, ამდენ სიცოცხლეს ასე ერთბაშად ვერ მოსპობ, დედამიწას შეძრავს ეს საშინელება. ჯანდაბას მაგათი თავი, რაღაც უნდა მოიფიქროს. სასწრაფოდ მოიწვია სამხედროები. წამში ეახლა თოთხმეტი ჩინოსანი. მუდამ აუღელვებელნი და სასტიკნი ახლა კარგად ცახცახებენ, საკუთარი ტყავის გადარჩენაზე ფიქრობენ, თვალებით გაბურღა თოთხმეტივე და მიხვდა, თვითონ მარტო იყო, ისინი ერთად, და მაინც ნირშეუცვლელად, რკინისებური ხმით მიმართა შეკრებილთ, როგორც არასდროს ისე გვჭირდება ახლა ერთიანობა, რათა არ შეილახოს პატიოსანი კაცისა და შეიარაღებული ძალების სახელი. მე არასოდეს შემპარვია ეჭვი თქვენს ერთგულებაში, ესა თქვა და მომუშტული ხელი მძიმედ დადო მაგიდაზე, რათა დიახაც რომ ეჭვშეპარული თრთოლვა დაეფარა, სენიორებო, გიბრძანებთ, ჩვეული მონდომებით განაგრძოთ თქვენზე დაკისრებული მოვალეობის შესრულება, საგანგაშო არაფერია, ყველაფერზე მე ვაგებ პასუხს. სხდომა დამთავრებულია, სულ მალე ბავშვები დახურული მანქანებით ქვეყნის ყველაზე მივარდნილ მხარეში გააქანეს, რასაც უმალვე მოჰყვა პრეზიდენტის ოფიციალური განცხადება, მავანნი რომ ირწმუნებიან, ბავშვები სამხედროებს ჰყავთ დამწყვდეულიო, სრული სიცრუეა. მთავრობა ბავშვების დამწყვდევის უფლე-

---

1 გიგანტური ხვლიკი.

ბას არავის მისცემს, მით უმეტეს, რომ ქვეყანას საერთოდ არ ჰყავს პატიმარი, ციხეები ცარიელია, მასობრივ დაპატიმრებებზე ჭორებს ღვარძლიანი რენეგატები გვივრცელებენ, ამაოდ ცდილობენ აამღვრიონ ხალხის პატრიოტული სული, ვისაც სიმართლის გაგება სურს, მობრძანდეს, ჩვენი ქვეყნის კარი ყველასათვის ღიაა. მართლაც, ამ [illegible] პასუხად ქვეყანაში ჩამოვიდა ეროვნებათა საბჭოს წარმომადგენლობითი კომისია, ყველა კუთხე-კუნჭული მოათვალიერეს, ყველა საიდუმლო ხვრელში შეჰყვეს ცხვირი, მეტისმეტი გულმოდგინებით დაჰკითხეს ყველა, ვინც თვითონ შეარჩიეს, ბენდისიონ ალვარადოც კი არ გამორჩენიათ. ვინ არიან ეს სპირიტისტებივით ჩაცმული ყეყეჩები, სახლში შემომივარდნენ, ორი ათას ბავშვს ჩემს საწოლქვეშ ეძებდნენ, ხელსაქმის კალათაშიც ჩაიხედეს და ფუნჯების ქილაშიც, ვაი მაგათ პატრონს. კომისიამ ბოლოს და ბოლოს ოფიციალურად გამოაცხადა, ციხეები ცარიელია, ქვეყანაში სიმშვიდეა, წესრიგია და ვერავითარი საბუთი იმისა, რომ აქ ირღვეოდა ან ირღვევა ადამიანთა უფლებები ან ჰუმანიზმის პრინციპები, ჩვენ ვერ აღმოვაჩინეთ. მშვიდად იძინეთ, გენერალო, და წავიდნენ. მხრებიდან ტვირთმოხსნილი პრეზიდენტი ფანჯარასთან იდგა და ამოქარგული ცხვირსახოცის ქნევით ემშვიდობებოდა გემით მიმავალ კომისიის წევრებს, მშვიდ ზღვასა და ბედნიერ მგზავრობას გისურვებთ, ბრიყვებო. გულზეც მოეშვა, ესეც ასე, ეს საქმეც ჩაფარცხდა. მაგრამ გენერალმა როდრიგო დე აგილარმა შეახსენა, არაფერიც არ ჩაფარცხულა, ჩემო გენერალო, გეტყობათ, ბავშვები დაგავიწყდათ. უსიამო შეგრძნება დაეუფლა, ისღა მოიფიქრა, ჯერჯერობით თავი შეეკავებინა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისაგან, მანამდე კი ბრძანა, ბავშვები გამოეყვანათ ტყიდან და იმ პროვინციაში გაეგზავნათ, სადაც გამუდმებით წვიმს და ქარი არ იცის. ქარს შეუძლია ბავშვების ძახილი ჰაერში მიფანტ-მოფანტოს და ადამიანთა ყურთასმენას მიაწვდინოს. ისეთი ადგილი მოძებნეთ, სადაც მარადიული სინესტეა და ცხოველები ცოცხლად ლპებიან, სადაც სიტყვებსაც კი ნესტი ედებათ, სადაც ხეებს შორის სლიპინა ცხრაფეხები დაცოცავენ. ბრძანა, ანდების ამშორებულ, ნისლით ამოვსებულ გამოქვაბულებებში დაემალათ ისინი და, საერთოდ, ხშირად ეცვალათ მათი ადგილსამყოფელი, რათა კაციშვილს ვერ მიეგნო პატარებისთვის. მერე ალბათ რაღაცას მოიფიქრებს და საბოლოო გადაწყვეტილებასაც მაშინ მიიღებს. წითელი ჯვრის აეროპლანიდან რომ ვერ დაენახათ, ბავშვები რამდენიმე დღე ბრინჯის ყანაში ყელამდე წყალში იდგნენ თურმე. ციება შეჰყრიათ საბრალოებს და მანაც მაშინვე ქინაქინა და თბილი საბნები გაუგზავნა. ხოლო როცა ბავშვებს ქუნთრუშაც შეეყარათ, ბრძანა, დღისით მზის თვალისმომჭრელი ბრიალი და ღამით ვარსკვლავების ციალი წითელი შუქით დაებინდათ. აეროპლანიდან პესტიციდიც გადმოაფრქვიეს, ხის ტკიპებმა ბავშვები არ შეაწუხონო. პატარებს თავზე ხან კანფეტები აწვიმდათ, ხანაც ნალებიანი ნაყინი ათოვდათ. ვიდრე რამეს მოვიფიქრებდე, მინდა, ბავშვებმა გაიხარონო, თქვა მან, საკუთარი ქველმოქმედებით მოგვრილმა სიმშვიდემ ნელ-ნელა დაუბინდა მეხსიერება და ბავშვებიც ასევე ნელ-ნელა მიეცნენ დავიწყებას. პრეზიდენტი უძილო ღამეებისა და ერთფეროვანი დღეების ჭაობში ჩაიძირა. იგი არაფერს შეუშფოთებია ერთ

საღამომდე. იმ საღამოს საათმა ცხრაჯერ რომ ჩამოკრა, პრეზიდენტმა ფანჯრის რაფებზე მთვლემარე ქათმებს აუქშია და საქათმეში შეყარა. ის იყო ქანდარებზე შემომსხდარი ქათმების დათვლას მოჰყოლია, რომ საქათმეში მეფრინველე მულატი ქალი შევიდა და მთელი დღის განმავლობაში დადებული კვერცხების აკრეფა დაიწყო. კაცს უცებ წლებით დაუხარჯველი გზნება შემოენთო, კაბის შარიშურმაც აალერსა ქალს მიუახლოვდა. ფრთხილად, გენერალო, ჩურჩულით უთხრა ერთიანად აცახცახებულმა ქალმა, კვერცხები არ დამიტეხოთ. ეშმაკსაც წაუღია კვერცხები, წაიბუტბუტა მან და რალაც გაურკვეველი წინათგრძნობით ატანილმა ხელის ერთი დაკვრით იატაკზე წააქცია ქალი, ჩვეულებისამებრ, არც უცდია კაბა გაეძრო მისთვის, არც თვითონ გაუძვრია შარვალი. რალაც განსაკუთრებული უნდა მოხდეს ამ სამშაბათ დღეს, ოღონდ რა, ჯერ არ იცის. მწვანე სკინტლზე ფეხი აუცდა, თავი ვერ შეიკავა და გადაეშვა კიდეც ილუზიებისა და მოჩვენებითი თავდავიწყების მოჩვენებითვე უფსკრულში, გადაეშვა სულისშემხუთველ ოფლის ნიალვარსა და ღონიერი ქალის ხვნეშაში. მიფრინავდა დავიწყების ხრამის ფსკერისკენ და ცას მოწყვეტილი ვარსკვლავის მანათობელ კუდივით უკან მისდევდა ოქროს დეზების ბრჭყვიალ-წკრიალი, მოჩქარე კაცის მყრალი ქოშინი და ძაღლივით წკმუტუნი. ასე მიფრინავდა იგი ტკბობის სამინელებით შეპყრობილი, სიკვდილთან წამიერად შესაყრელად ელვისა და უხმო ჭექა-ქუხილის თანხლებით, ასე უსასრულოდ და უშედეგოდ დაფრინავდა იგი იქამდე, ვიდრე კვლავ არ აღმოჩნდა უფსკრულის ძირში სკინტლით მოფენილ მიწაზე, სადაც ქათმების უძილო თვლემა და დატეხილ კვერცხებში კაბაამოსვრილი მულატი ქალი დახვდა. ხომ გეუბნებოდით, გენერალო, კვერცხებს დამიტეხავთ-მეთქი. უსიყვარულო სიყვარულით კიდევ ერთხელ გაბეზრებულმა, დაუკმაყოფილებელმა და გაბოროტებულმა კაცმა შეულრინა, დაითვალე რამდენი გატყდა, ხელფასიდან დაგიქვითავ. ათ საათზე ფერმაში შეიარა, ძროხებს სათითაოდ დააკრეჭინა კბილები, ღრძილები დაუთვალიერა, ფერმიდან გამოსულმა იმ დაფახფახებულ ბარაკს ჩაუარა, სადაც მისი ქალები ცხოვრობდნენ, ერთ კარმოღიავებულ ოთახში იატაკზე გართხმული ფეხებგაჩაჩხული და ტკივილებისგან სახედამანჭული ქალი დაინახა. ბებიაქალს ის იყო მისი საშოდან ყელზე ჭიპლარშემოხვეული ბავშვი გამოეყვანა. ბიჭია, ჩემო გენერალო, რა დავარქვათ. რაც გინდათ, ის დაარქვით. თერთმეტ საათზე ჩვეულებისამებრ გადაითვალა ყარაულები, საკეტები შეამოწმა; ჩიტების გალიებს ნაჭერი გადააფარა და შუქი ყველგან ჩააქრო. თორმეტ საათზე ქვეყანას ეძინა, ირგვლივ სიმშვიდე სუფევდა, ის კი ჯერ ისევ თავისი საძინებლისკენ მიემართებოდა ჩაბნელებული დერეფნით, დროდადრო წამიერად თუ შემოანათებდა შუქურას მწვანე სხივი. საძინებლის კართან ლამპა ჩამოკიდა, ხომ შეიძლება გაქცევამ მოუწიოს მალულად. სამ გასაღებზე, სამ ბოქლომზე, სამ ურდულზე ჩაკეტა კარი და თავის პორტატულ უნიტაზზე მოკალათდა. როცა ბოლომდე გამოწურა ის მცირეოდენი შარდიც, რაც გააჩნდა, ფერება დაუწყო თავის თიაქარიან გულქვა ბავშვს, იქამდე ეფერა, ვიდრე არ დაძაგრა, ვიდრე ხელზე არ მიაძინა, ვიდრე არ ჩაუყუჩდა ტკივილი, მაგრამ საიდანღაც უცებ მოვარდნილმა შიშმა გაუახლა ტკივილი, ელვასავით დაუარა მთელს

ტანში. შორეული უდაბნოდან, გვარჯილის საბადოების მხრიდან, ქარმა ფანჯარაში ქვიშასავით შემოყარა სიმღერის ხმები, ეჭვი არ იყო, ბავშვები მღეროდნენ, გულიდან ამოხეთქილი ხმით უხმობდნენ საიმედოდ წასულ რაინდს, სად არის ჩვენი მხსნელი, ავიდეთ კოშკზე, იქნებ იქიდან თვალი მოვკრათ, იქნებ ბრუნდება, ო, იგი არ ჩანს, მაგრამ [illegible] დაბრუნდა, სამწუხაროდ, ხავერდგადაკრულ კუბოში მწოლი. პრეზიდენტმა ვერა და ვერ დაიძინა, იქნებ ვარსკვლავები მღერიან, მე კი ბავშვები მგონიან, მაგრამ სიმართლეს სად წაუვიდოდა, ნამდვილად ბავშვები მღეროდნენ. გაცოფებული წამოიჭრა, ჯანდაბას მაგათი თავი, კმარა, ან მე, ან ისინი, რა თქმა უნდა არჩევანი თავის სასარგებლოდ გადაწყვიტა. ჯერ კიდევ გათენებამდე გასცა ბრძანება, ბავშვები ცემენტით დატვირთული ბარჟებით სიმღერ-სიმღერით გაეყვანათ ქვეყნის ტერიტორიული წყლებიდან. ასეც მოიქცნენ, გაიყვანეს და ააფეთქეს. სიმღერაში გართული ბავშვები ისე წავიდნენ ფსკერისკენ, ვერც კი მოასწრეს გაეგოთ, რა მოხდა. როდესაც სამმა ოფიცერმა პრეზიდენტს მოახსენა, გენერალო, თქვენი ბრძანება შესრულებულიაო, პრეზიდენტმა ჯერ ორი ჩინით დააწინაურა ისინი, ერთგულებისათვის მედლებიც უბოძა, ხოლო შემდეგ ბრძანა, სამივე დაეხვრიტათ როგორც ჩვეულებრივი დამნაშავენი, რადგან არის ბრძანება, რომელიც შეიძლება გაიცეს, მაგრამ არ შეიძლება შესრულდეს. საბრალო ბავშვები. მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე პრეზიდენტი არაერთხელ დარწმუნდა, რომ ამქვეყნად ყველაზე საშიში მტერი შინაური მტერი იყო. ის ადამიანები, რომლებიც მისი სრული ნდობით სარგებლობდნენ, ვინც მას ერთგულები ეგონა და ვინც მან ოდესღაც აღაზევა, რათა საიმედო დასაყრდენი ჰყოლოდა მთავრობაში, ზოგი ადრე და ზოგიც გვიან იწყებდა თავისი მარჩენალი ხელის მოჭრას, ასეთ უმადურებს იგი ასწრებდა და ტორის ერთი დაკვრით ანადგურებდა, სამაგიეროდ არარაობიდან, დავიწყების ბურუსიდან გამოჰყავდა სხვები, აწინაურებდა, თანამდებობებს ჰაიჰარად, მკერდზე თითის დადებით ურიგებდა, შენთვის კაპიტნობა მიბოძებია, შენთვის მაიორობა, შენთვის პოლკოვნიკობა, შენთვის გენერლობა, დანარჩენებისთვის ლეიტენანტობაო. პირველ ხანებში თვალს აღევნებდა, როგორ სუქდებოდნენ მისი აღზევებულები, ლამის მუნდირები დასკდომოდათ ტანზე, მერე ცოტახნით ეკარგებოდნენ თვალთახედვიდან და მხოლოდ ისეთ შემთხვევებში ამოტივტივდებოდნენ, როგორიც იმ ორი ათასი ბავშვის თავსდამტყდარი საზარელი ამბავი იყო, და ისიც ხვდებოდა, რომ ერთი კაცი კი არა, ლამის მთელი არმია ატყუებდა, თვალში ნაცარს აყრიდა. გულნამცეცები არიან, მარტო რძის ულუფის მომატებაზე ფიქრობენ, სხვა არაფერი ადარდებთ, საქმე საქმეზე რომ მიდგება, შიშით ლამის იმ თეფშზე დაიცალონ კუჭი, რომელზეც ეს წუთია ჭამდნენ, არადა, ჩემი შექმნილები, ჩემი ნეკნიდან შექმნილები მაინც არ იყვნენ ეს ძაღლისშვილები, მე მოვუპოვე მათ პური არსობისა, მე მოვუპოვე მათ სახელიცა და დიდებაც. ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ ძილი და მოსვენება მაინც დაკარგა, ყველგან ღალატი ელანდებოდა, ქვეშევრდომთ თავს უქონავდა, ცდილობდა დაეკმაყოფილებინა მათი ამბიციები, იძულებული იყო ყურად ეღო მა-

თი მოთხოვნები. ყველაზე საშიშებს გვერდიდან არ იცილებდა, ასე უფრო იოლია მათი თვალისდევნებაო, ზოგსაც საზღვრისპირა გარნიზონებში ამწესებდა, მაგრამ ეჭვის ჭიას ვერა და ვერ იშორებდა, განა სწორედ ამ ოფიცრების გამო არ დათანხმდა, ქვეყანაში გრინგოების საზღვაო ქვეითი რაზმი გადმოესვათ ყვითელი ციებ-ცხელების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისათვის კი არა, როგორც ოფიციალურ კომუნიკეში აღნიშნა ელჩმა ტომპსონმა, ან იმიტომ კი არა, რომ ხალხის რისხვისა ეშინოდა, როგორც ქვეყნიდან გაძევებული პოლიტიკოსები ირწმუნებოდნენ შხამიანად, არამედ იმიტომ, რომ მე მსურდა ჩემი ოფიცრებისთვის წესრიგი ესწავლებინათ, დედა, იმათმა კი რა ასწავლეს, ფეხშიშველი ჯარისკაცი ვის გაუგონიაო, ასწავლეს ტუალეტის ქაღალდისა და პრეზერვატივის ხმარება, მე კი მასწავლეს, როგორ უნდა წავკიდო ერთმანეთს სხვადასხვა სამხედრო დაჯგუფებები ისე, რომ თვითონ არსად გამოვჩნდე და არც არაფერი დამიშავდეს. გრინგოებმა რაღა არ შეგვიკოწიწეს, ეს ეროვნული უშიშროების სამმართველოო, ის გამოძიებათა სააგენტოო, ეს საყოველთაო წესრიგის დაცვის ეროვნული დეპარტამენტიო, მოკლედ, იმდენი ჯანდაბა მოიგონეს, სახელებს ვერც ვიმახსოვრებ. სამაგიეროდ წარმატებულად იყენებდა ამ სამსახურებს ერთმანეთის დაბეზღებასა და სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადამტერებაში. დღეს რომ ერთს აქეზებდა მეორის წინააღმდეგ, გითვალთვალებენო, ხვალ მეორეს უსხამდა ცეცხლზე ნავთს, თქვენზე ასე და ასე ამბობენო. მისი ბრძანებით, არასაიმედო ყაზარმებს ქვიშაგარეულ ტყვია-წამალსაც უგზავნიდნენ. ბოლოს და ბოლოს ისე აურ-დაურია ყველა და ყველაფერი ერთმანეთში, რომ ვერავინ მიმხვდარიყო რა ჰქონდა ჩაფიქრებული ამ დესპოტ ბერიკაცს. ერთხელაც მოახსენეს, ჩემო გენერალო, ამა და ამ ყაზარმაში ამბოხებამ იფეთქაო. მაშინვე გაქანდა იქით, პირზე დუჟმორეული აღრიალდა, ახლავე გაეთრიეთ აქედან, რქიანებო, ბრიყვებო, მე ხელისუფალი ვარ. აქოშინებული დაათრევდა ფეხებს დაბნეული ოფიცრების წინ, სულ ახლახან სროლაში რომ ვარჯიშობდნენ სამიზნედ დაყენებულ მის სურათებზე. ის კი ისე ღრიალებდა, აჰყარეთ იარაღიო და ისეთი სიმტკიცე უჩანდა ხმაში, რომ ოფიცრებს არ დასჭირვებიათ სხვისი დახმარება, თვითონვე დაჰყარეს იარაღი. ახლავე გაიხადეთ ეგ ფორმა, თქვენ ხომ კაცები არ ხართ, და ოფიცრებმაც ფაცხაფუცხით გაიხადეს უნიფორმა. ჩემო გენერალო, სან ხერონიმოს ბაზაც აბუნტდა. ახლა იქით გაქანდა, მთავარი ჭიშკრით შევიდა ეზოში, ბებრულად ადგამდა უზარმაზარ ავადმყოფ ფეხებს. მთავარსარდლის დანახვაზე მხედრულად გაჯგიმულ გვარდიელებს ჩაუარა. შტაბში მარტო შევიდა, უიარაღოდ, მაგრამ ისეთ ხმაზე აყვირდა, შიშის ფეთება შეუყენა სამხედრო ჩინოსნებს. ახლავე დაეყარეთ იატაკზე, ხელისუფალი მობრძანდა, პირქვე დაემხეთ-მეთქი, დამპლებო, და თვრამეტივე ოფიცერი მორჩილად დაემხო იატაკზე, მერე კი ამ უბედურებს ზღვისპირა სოფლებში დაათრევდნენ და აიძულებდნენ მიწა ეჭამათ. ყველამ უნდა დაინახოს, რას ნიშნავს ოფიცერს რომ მუნდირს გახდიან. ნაბიჭვრებო, ღრიალებდნენ ჯარისკაცებიც ათუხთუხებულ ყაზარმებში და ოფიცრების ოხტში ამოდიოდნენ, ისინიც ითხოვდნენ ამბოხების მოთავეებისათვის ზურგში მიეჭედათ ტყვია. ასეც გააკეთეს, შემდეგ კი

გვამები ფეხებით დაკიდეს პაპანაქება სიცხეში, ერთხელ და სამუდამოდ შეიგნოს ყველამ, ვინც ღმერთს შეაფურთხებს, ეს დღე მოელის, კი, ასე, არამზადები. მაგრამ სისხლიან წმენდას მისთვის სიმშვიდე არ მოუტანია, შეთქმულების სნებამ, მას რომ ალაგმული ეგონა, კვლავ გამოჰყო თავისი საცეცები, ფესვებივით მოედო სასახლის დერეფნებს. შეუპოვრობით გამორჩეულ პრივილეგირებულ ოფიცრებს [illegible], გადამწყვეტი დარტყმისათვის ნელ-ნელა იკრებდა ძალას. იგი იძულებული იყო ოფიცრებისთვის საკენკივით დაეყარა თავისი ძალაუფლების რაღაც ნამცეცები მაინც, ნდობა გამოეთქვა მათთვის, თუმცა უმეტესად საკუთარი სურვილის წინააღმდეგ სჩადიოდა ამას, სხვა გზა არ ჰქონდა, იცოდა, ოფიცრობა წარმოადგენდა მის მთავარ საყრდენს, მთელი უბედურება კი ის იყო, რომ მათ გვერდით თანაარსებობაც არ შეეძლო, არ შეეძლო ის ჰაერი ესუნთქა, რომელსაც ისინი სუნთქავდნენ, მაგრამ მარადიული სიცოცხლისთვის განწირულს ყველაფერი უნდა მოეთმინა. არამზადები, ეს ხომ უსამართლობაა. ეჭვის ჭია შეუჩნდა და აღარ ასვენებდა, თავისი ძვირფასი მეგობრის გენერალ როდრიგო დე აგილარის პატრიოტობა და ერთგულება ეჭვის ასწორზე შეაგდო. მტკივნეულად განიცდიდა ამ ეჭვს. კაბინეტში შემომაკითხა, სახეზე მკვდრის ფერი ედო, მკითხა, მართალია, მთელი ქვეყანა რასაც ლაპარაკობს თქვენზე, ორი ათასი ბავშვი ზღვაში ჩააძირვინაო. პრეზიდენტს არც კი ათრთოლებია ხმა, ჩემო მეგობარო, ეგა ჭორიკანა რენეგატების მოგონილია, ღვთის წყალობით, ბავშვები კარგად არიან, ყოველლამ მესმის მათი სიმღერა საღამოც იქიდან, და ხელი გაურკვეველი მიმართულებით გაიქნია, მეორე დღეს ელჩი ევანსიც კი გააოგნა თავისი აუღელვებელი პასუხით, არ მესმის, რომელ ბავშვებზე მეკითხებით, თქვენმა წარმომადგენელმა ეროვნებათა საბჭოში აკი საჯაროდ განაცხადა, ბავშვები საღსალამათნი არიან და სკოლაშიც დადიანო, მეტი რაღა გინდათ, ბოლოს და ბოლოს აღარ უნდა დამთავრდეს ამ გაუგებრობაზე ლაპარაკი მაგრამ გაუგებრობა არ დამთავრებულა, უსიამოვნება მაინც არ აცდა. ჩემო გენერალო, გაიღვიძეთ, ორ გარნიზონში ამბოხებამ იფეთქა, აჯანყდნენ კონდეს ყაზარმაშიც, რომელიც აქედან ხელის გაწვდენაზეა. აჯანყებას გენერალი ბონიფენტა ბარბოსა უდგას სათავეში. ხედავთ, როგორ გალალდა ეგ გაიძვერა, ათას ხუთასი კაცი ჰყავს კბილებამდე შეიარაღებული, თანაც კონტრაბანდული იარაღით, რომელიც ოპოზიციურად განწყობილმა საელჩოებმა მიაწოდეს, ასე რომ, ჩემო გენერალო, დრო აღარ ითმენს, კაცმა არ იცის, რა უბედურებას გვიმზადებენ. წინათ პოლიტიკური ვულკანის ამდაგვარი ამოფრქვევა ბრძოლის ჟინსა და რისკიანობას ჰმატებდა პრეზიდენტს, მაგრამ ახლა მასზე უკეთ ვინ უწყოდა, რას ნიშნავდა წელთა სიმრავლე. ახლა მხოლოდ ერთი საზრუნავილა ჰქონდა, როგორმე დაეძლია სხეულში იდუმალად შემოპარული რღვევა. ზამთრის ღამეებში ხელში მოიგდებდა ხოლმე თავის ჩამოსიებულ, თიაქარიან კვერცხებს და ვიდრე ალერსითა და ღიღინ-ღიღინით, დაიძინე, ჩემო ცის ნათელოო, არ მიაყუჩებდა ამ გულქვა, შეუბრალებელ ბავშვს, რომელსაც მბურღავი ტკივილის მეტი არაფერი მოჰქონდა თავისი პატრონისათვის, მანამდე თვითონაც არ იძინებდა. ღამღამობით თავის განუყრელ პორტატულ უნიტაზზე უშედეგო ჯდომა

მართლაც რომ გაუსაძლის ტანჯვად ექცა, სულში ისე წვეთწვეთობით ელვენთებოდა სისხლი, თითქოს ობმოდებულ ფილტრში იწურებაო. მაგრამ რა დროს ეს არის, მთავარია გაერკვეს ვინ ვინ არის, ხომ შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს ფეხი გადაუბრუნდეს, ხომ უნდა იცოდეს, ვის ენდოს ამ შავბნელ, უბადრუკ სასახლეში, რომელსაც მისი ნება რომ იყოს, კარგა ხნის წინ სიამოვნებით გაცვლიდა ოხდიელთა ქოხზე შორეულზე შორეულ სოფელში, სადაც არავის ეცოდინებოდა, რომ ის ქვეყნის შეუცვლელი, წლებით დამძიმებული პრეზიდენტი იყო. უსასრულოდ გაჭიმული წლების სათვალავი კი თვითონაც არეული ჰქონდა და მაინც როდესაც გენერალმა როდრიგო დე აგილარმა პრეზიდენტს შუამავლობა შესთავაზა მასა და მეამბოხეებს შორის გონივრული კომპრომისის მისაღწევად, თავისდა მოულოდნელად პირისპირ შეეჩეხა არა გამოყეყეჩებულ ბერიკაცს, რომელსაც აუდიენციებზე ეძინა ხოლმე, არამედ ძველებურად შემართულ ბიზონს, რომელმაც ეგრევე მიახალა, ჩემი ფეხები გამოგივათ, გენერალო, არ გადავდგები. როცა აგილარმა შეჰბედა, საქმე ის კი არ არის, თქვენ გადადგებით თუ არ გადადგებით, საქმე ის არის, ჩემო გენერალო, რომ ყველანი ჩვენ წინააღმდეგ გამოდიან, ეკლესიაც კი. ეგრე გეგონოს, ეკლესია იმის მხარეზეა, ვისაც ძალაუფლება უპყრია ხელთო, უპასუხა. როდრიგო დე აგილარმა კიდევ სცადა მისი დაყოლიება, შუამავლობა აუცილებელია, ჩემო გენერალო, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენი გენერლები აგერ უკვე ორმოცდარვა საათია ბჭობენ და კაცმა არ იცის, რას მოიმოქმედებენო. მან კი უპასუხა, გაუშვი, ილაყბონ, ვნახავთ, რა კურდღელსაც დაიჭერენ, როცა გაიგებენ, ვინ მეტს უხდის მათ. კი მაგრამ, ჩემო გენერალო, სამოქალაქო ოპოზიციის მოთავეები სრულიად აშკარად მართავენ მიტინგებს ქუჩაში, ხმას აუწია დე აგილარმა. მით უკეთესი, უპასუხა მან, ბრძანებას გავცემ, დე არმას მოედნის ლამპიონებზე ჩამოახრჩონ სათითაოდ. ყველას დავანახებ, ვინ არის ამ ქვეყნის მმართველი. ეს შეუძლებელია, ჩემო გენერალო, ხალხი მათ მხარეზეა, ტყუილია ეგ, ხალხი ჩემს მხარეზეა, ასე რომ, მკვდარს თუ გამიტანენ აქედან, თორემ ცოცხალს ვერაფერს დამაკლებენ. და მან მაგიდას დაჰკრა მომუშტული ქალური ხელი. ასე სჩვეოდა ყოველთვის, როცა კი საბოლოო გადაწყვეტილებას იღებდა. გენერალი როდრიგო დე აგილარი უბოდიშოდ მიატოვა და თავისი საძინებლისკენ გაემართა და მანამდე ეძინა, სანამ ძროხების წველის დრო არ დადგა. ალიონზე საძინებლიდან გასულს კი სხდომათა დარბაზი შუშის ნამსხვრევებითა და ქვებით სავსე დახვდა, ეტყობა, კონდეს ყაზარმიდან მეამბოხეებმა კატაპულტის საშუალებით დასცხეს ქვები სასახლის ფანჯრებს, მერე ცეცხლმოკიდებული საჰაერო ბუშტებიც მიაყოლეს ჩამსხვრეულ ფანჯრებში. მთელი ღამე თვალი არ მოგვიხუჭავს, ჩემო გენერალო, ზოგი წყლით, ზოგიც ფარდაგებით ვაქრობდით ცეცხლს. რომ გენახათ, ჩემო გენერალო, არ დაიჯერებდით, ერთ ადგილზე რომ ჩავაქრობდით, მეორე ადგილზე სწორედ იქ ჩნდებოდა ხანძარი, სადაც ნაკლებად ველოდით. იგი დიდად არ შეუშფოთებია ამ ამბავს, ხომ გითხარით, ყურადღებას ნუ მიაქცევთ-მეთქი, ფერფლით მოფენილ დერეფნებში, დანაფლეთებულ ხალიჩებსა და ფარდაგებზე დაათრევდა თავის მკვდრის ფეხებს და ეტყობოდა, სადღაც ფრენდა მისი ფიქრი. კი მაგ-

რამ, ისინი არ ცხრებიან, ჩემო გენერალო, ასე შემოგვითვალეს, ცეცხლ-მოკიდებული ბუშტები გაფრთხილება იყო, მალე ყუმბარებს გამოგიგ-ზავნითო. რით ვერ გაგაგებინეთ, ნუ მიაქცევთ-მეთქი ყურადღებას, ხმას აუწია მან და ბალისკენ გასწია. მიალაჯებდა ხეივანში და ფსმენდა, განთიადის მდუმარებაში შრიალით როგორ იფურჩქნებოდნენ ბარვის კოკრები, გრძნობდა, ზღვის ქარი როგორ ულვიძებდა მამლის სურვილს. როგორ მოვიქცეთ, ჩემო გენერალო. დასწყევლოს ღმერთმა, რამდენ-ჯერ უნდა გითხრათ, ყურადღებას ნუ მიაქცევთ-მეთქი. დილის ჩვეულებას არც ახლა უღალატა, ფერმაში წავიდა, ძროხების წველას თვალი მიადევნა, მერე კი, როგორც ყოველთვის ყოველ ალი-ონზე, კონდეს ყაზარმაში ექვსი კასრი რძით დატვირთული ჯორშებ-მული ფორანი გაგზავნა. მეფორნეც, როგორც ყოველთვის, იგივე იყო. მართალია, თქვენ იმ ხელს კბენთ, რომელიც გაჭმევთ და გასმევთ, მა-გრამ ჩემმა გენერალმა მაინც გამოგიგზავნათ რძე. ეს სიტყვები მეფო-რნემ ისეთი გულწრფელობით, ისეთი სიალალით წარმოთქვა, რომ გე-ნერალმა ბონივენტა ბარბოსამ ბრძანა, მიეღოთ რძე, მაგრამ ერთი პი-რობით, ჯერ მეფორნემ დალიოს, ხომ შეიძლება მოწამლული იყოსო, რკინის ჭიშკარი გააღეს, ათას ხუთასი გვარდიელი ყაზარმის აივნები-დან გაფაციცებული ადევნებდა თვალს ფორანს, რომელიც კენჭებით მოკირწყლულ შუა ეზოში შეჩერდა. დაინახეს, ფორანზე როგორ აძვრა გენერალ ბარბოსას დენშჩიკი დოქითა და ჩამჩით ხელში, დაინახეს, როგორ მოხსნა ერთ კასრს თავი, დაინახეს, როგორ აიტაცა ჰაერში ცეცხლოვანი აფეთქების ეფემერულმა ტალღამ და მეტი აღარც არა-ფერი დაუნახავთ და ველარც დაინახავენ აწ და მარადის, უკუნითი უკუ-ნისამდე, ფერფლადქცეულნი ჩაიკარგნენ ამოფრქვეული ვულკანივით ცაში ავარდნილ ყვითელი პირქუში შენობის ნანგრევებში. ექვსმა კას-რმა დენთმა თავისი საქმე გააკეთა, მთელი ყაზარმა მიწასთან გაას-წორა. ამ ადგილას ყვავილიც კი აღარასოდეს ამოვა მერე. ესეც ასე, შვებით ამოისუნთქა მან, როცა აფეთქების ტალღამ სასახლემდეც მი-აღწია და შეაბარბაცა. მარტო კონდეს ყაზარმა კი არა, მახლობელი ოთხი სახლიც დაინგრა. ქალაქშიც და გარეუბნებშიც, თითქმის ყველა სახლში დაიმსხვრა ქორწილებში ნაჩუქარი ჭურჭლეულიც, რომელიც შუ-შის კარადებს ამშვენებდა. ესეც ასე, შვებით ამოისუნთქა მან, როცა პორტის ციხე-სიმაგრიდან ნაგვის ფორნებით გაიტანეს თვრამეტი ოფიცრის გვამი. ტყვია-წამალი რომ დაეზოგათ, ეს საცოდავები ორრიგად დააყენეს და ისე დახვრიტეს. ესეც ასე, შვებით ამოისუნთქა მან, როცა როდრიგო დე აგილარი გამოეჭიმა და მოახსენა, ჩემო გენერალო, ცი-ხეები პოლიტიკური მოწინააღმდეგეებით გადაიჭედაო. ესეც ასე, შვებით ამოისუნთქა მან, როცა მხიარულად აწკრიალდნენ ზარები, ფერადი მა-შხალები შეესიენ ცას, შესრულდა კიდევ ას წელიწადს სიმშვიდისა და სიკეთის ბურჯის, პირველი კაცის სადიდებელი ჰიმნი. ესეც ასე, რო-გორც იქნა, ბოლო მოელო არეულობას. გამარჯვებით გათამამებულმა ისე დაიჯერა საკუთარი უძლეველობა, რომ სრულიად გადაავიწყდა საკუთარი უსაფრთხოება. ერთ სისხამ დილით ფერმიდან სასახლეში რომ ბრუნდებოდა, მოულოდნელად კეთროვანი გადმოუხტა ვარდის ბუ-ჩქიდან. შიშის ელდამ წამით დაუბინდა გონება, მხოლოდ მაშინ გამოერ-

კვა, როცა ოქტომბრის წვიმის მტრედისფერ ბაღეში ყორანივით შავმა რევოლვერმა გაიელვა, როცა აკანკალებული თითი ჩახმახის გამოკვრას აპირებდა. პრეზიდენტმა მკერდი წინ წამოსწია, მკლავები გადაშალა, აბა, ყოჩაღად, ბრიყვო, ყოჩაღად-მეთქი, დარწმუნებული იყო, ასეთი აღსასრული არ ელოდა, არა, ეს იმ სიკვდილს არ ჰგავდა, ოდესაც, ძალიან დიდი ხნის წინათ ნათელმხილველმა რომ უწინასწარმეტყველა. არა, ეს სიკვდილი სულაც არ ჰგავდა კამკამა პირველქმნილ წყალში ამოკითხულ სიკვდილს. მესროლე, რაღას უცდი, მესროლე-მეთქი თუ ხარ კაცი, მთელ ხმაზე ყვიროდა იგი. კეთროვანი შეცბა, თვალებში მარტოსული ვარსკვლავი ჩაუქრა, ტუჩის კუთხეები ჩამოეშვა და კანკალმა აიტანა, წამიც და, ეროსავით მუშტი მოხვდა ყურში, მიწაზე წაქცეულსაც წიხლები დააყარეს. ყვირილზე მცველები აქეთ გამოქცეულიყვნენ, რა მოხდა, გენერალო. იმავ წამს გაისმა ხუთი გასროლა, ხუთი ლურჯი ნაპერწკალი გასხლტა ბაღში, კეთროვანმა მუცელში დაიხალა რევოლვერი, რათა კაციჭამია გვარდიელებს ცოცხალი არ ჩავარდნოდა ხელში. მან კი სისხლის გუბეში მცურავ დაკრუნჩხულ გვამს გადაალაჯა და ხმის ჩახლეჩამდე ყვირილით, რომელმაც გადაფარა სასახლის ბინადართა შეშფოთებული შეძახილები, ბრძანა, გვამი აექნათ და გამოეშროთ, დამარილებული თავი სხვათა ჭკუის სასწავლებლად დე არმას მოედანზე გამოედოთ, მარჯვენა ფეხი აღმოსავლეთით, სანტა მარია დელ ალტართან გამოეკიდათ, მარცხენა ფეხი დასავლეთით, უდაბნოში, გვარჯილის საბადოებზე, ერთი ხელი ზეგანზე, მეორე სელვაში, ღორის ქონში შემწვარი გვამის ნაწილები ქვეყნის ყველა მხარეში, ამ ბინძური ბორდელის ყველა განედსა თუ მიუვალ, სახიფათო ადგილებში, მზესა და ქარში გამოეფინათ მანამ, სანამ ცარიელი ძვლები არ დარჩებოდა. ყველამ უნდა გაიგოს, რა ელის იმას, ვინც თავის მამაზე აღმართავს ხელს. ამ ბრძანების გაცემის შემდეგაც ვერ დაშოშმინდა, რისხვისაგან გამწვანებული შეძვრა ვარდის ბუჩქში და იქიდან ადევნებდა თვალს, მისი გვარდიელები კეთროვნებს ხიშტებზე როგორ აგებდნენ მატლებივით. სასახლეში დაბრუნებული, კიბეზე ასვლისას მუჯლუგუნებით აღვიძებდა ხეიბრებს, ბოზიშვილებო, უმადურებო, თავი ასწიეთ, შემომხედეთ, თუ იცით, ვისი წყალობით მოევლინეთ ამ ქვეყანას, თუ იცით, ვინ დააორსულა თქვენი დედები, თუ იცით-მეთქი, ძაღლისშვილებო. დერეფანშიც მთელ ხმაზე გაჰყვიროდა, გზა მომეცით, წყეულებო, ხელისუფალი მოდის. უკან მისდევდნენ შიშით დაზაფრული ჩინოვნიკები, უკვდავი ხარო, ელაქუცებოდნენ, ის კი მიალაჯებდა და უკან ტოვებდა ლავასავით გავარვარებულ ხვნეშას. ელვასავით გადაუარა სახელმწიფო საბჭოს სხდომათა დარბაზს, იქიდან პირდაპირ თავის საძინებელში შევარდა, სამ ბოქლომზე, სამ გასაღებზე, სამ ურდულზე ჩაკეტა კარი და ჩასვრილი შარვლის გახდას მოჰყვა. იხდიდა ფრთხილად, თითის წვერებით, რათა არ ამოქვარქნილიყო საკუთარ განავალში. და მაინც ვერც ახლა მოიპოვა სულის სიმშვიდე, იმ კეთროვანს რომელიღაც ჩემიანმა ჩაუდო ხელში იარაღიო. შფოთავდა, გრძნობდა, მტერი სულ ახლოს იყო, ხელის გაწვდენაზე, თანაც ისეთი ახლობელი, რომ თაფლიანი ქილები სად მაქვს დამალული, ალბათ ისიც იცისო. ნამდვილად ჭუჭრუტანიდან უთვალთვალებს, კედლებს მისი ყურები აქვთ გამობმული, ჩემი სურათებივით

ალბათ ყოველ წუთსა და ყოველ ნაბიჯზე მხვდება სასახლეში, მისი არსებობა იგრძნობა იანვრის ქარების ქროლვასა და ცხელი ღამეების ჟასმინის სურნელშიც. ის უძილობაა, კოშმარია, მოუშორებელი ჭირია, ის სასახლის ყველა კუთხე-კუნჭულში ფუთფუთებს, სიბნელეში ბორიალობს უხილავი, საზარელი აჩრდილივით, მაგრამ ერთ საღამოს დომინოს თამაშისას ამ კოშმარულმა აჩრდილმა მოულოდნელად მატერიალური სახე მიიღო. დიახ, ეს მისი ხელია, დომინოს ქვას რომ დებს მაგიდაზე. შინაგანმა ხმამ უკარნახა, სწორედ ეს არის მოღალატის ხელიო. ეშმაკმა დალახვროს, აქამდე როგორ ვერ მიხვდა, არაფერი შეიმჩნია, თვალები ასწია და მაგიდის თავზე დაკიდულ ლამპის შუქზე პირისპირ შეეჩეხა თავისი განუყრელი მეგობრის არტილერისტის გენერალ როდრიგო დე აგილარის ლამაზ, მეტყველ თვალებს. შეუძლებელია, როდრიგო ხომ ჩემი მარჯვენა ხელია, მეგობრობას მეფიცება, მაგრამ არა, ვერ მომატყუებს, თავს მაჩვენებს მეგობრად. ეჭვმა გონება აუმღვრია. სულ რაღაც ერთ წამში ყველაფერი თავდაყირა დაინახა. თურმე ატყუებდნენ, უმალავდნენ სიმართლეს, ხლართავდნენ ინტრიგების ქსელში. აქამდე რატომ ვერ მივხვდი, ამდენი წელი ვითომ გვერდით მედგა ძვირფასი მეგობარი, ახლობელი ადამიანი და თურმე მედროვე პოლიტიკოსების სამსახურში კი ყოფილა. მაგრამ ნეტავ ვის უბრაზდება, საკუთარი მიზნების მისაღწევად განა თვითონ არ გამოათრია ბნელ-ბნელ სოროებიდან ეს პოლიტიკოსები, განა მან არ აღაზევა ისინი, განა მან არ ჩასვა ეს გაიძვერები ოქროში ფედერალური ომის მერე, განა მან არ მიანიჭა მათ განუზომელი უფლებები, განა მისი ხელშეწყობით არ გამდიდრდნენ და გაზულუქდნენ ისე, რომ საცოდავ არისტოკრატიას არც დაესიზმრება ასეთი ყოფა, თუმცა სადღაა ახლა არისტოკრატია, ლიბერალურმა ქარებმა გაფანტეს ისინი კიდით კიდემდე, ამ ნაბიჭვრებმა კი მეტისმეტი მოინდომეს, ღვთის რჩეულის ადგილს, ჩემს ადგილს ეპოტინებიან და თავიანთი მზაკვრული მიზნების განსახორციელებლად ისეთ ადამიანს ირჩევენ, ვისაც მე სრულად ვენდობი და საქვეყნო საქმეების გამო ხშირად ვხვდები. ასეთი დაახლოებული პირი კი გენერალი როდრიგო დე აგილარია. ყველა კანონსა და დადგენილებას იგი ჯერ ზეპირად აყალიბებდა, სათანადო შენიშვნების დართვის შემდეგ ქაღალდზე გადაჰქონდა და სწორედ ეს ქაღალდები და სხვა საბუთები შეჰქონდა მასთან ხელმოსაწერად. ისიც მურწასმულ ცერა თითს აჭერდა საბუთის ბოლოში და ბეჭედსაც არტყამდა. მაშინ ეს ბეჭედი სეიფში ინახებოდა, სეიფს კი მის გარდა ვერავინ გააღებდა, შიფრი მხოლოდ მან იცოდა. რაღა გიჭირთ, გამოსახოცი ქაღალდი ბლომად გაქვთ, სიცილით ეუბნებოდა დე აგილარს ხელმოწერილი საბუთების დაბრუნებისას. მაშ ასე, გენერალმა დე აგილარმა მოახერხა შეექმნა სხვა სახელისუფლო სისტემა, შეექმნა საკუთარი სახელმწიფო ისეთ მძლავრსა და უზრუნველყოფილ სახელმწიფოში, როგორიც ჩემია, ეტყობა, ეცოტავა, მეტი მოინდომა და კონდეს ყაზარმაც გადაიბირა, ამიბუნტა. ამ საქმეში ელჩი ნორტონი, თავისი ფარიკაობის მასწავლებელი დაეხმარა. ორივენი ერთად დაეთრეოდნენ ჰოლანდიელ ბოზებთან, სწორედ ამ ნორტონმა მიაწოდა კონტრაბანდული იარაღი, ნორვეგიული თევზის კასრებით შემოაპარა, ისარგებლა იმით, რომ დიპლომატებს საზღვარზე არ ჩხრეკენ,

ბაჟსაც არ ახდევინებენ. ღმერთო ჩემო, ვილას უნდა ენდო, როგორ მეპირფერებოდა დომინოს თამაშის დროს, შენს სახელმწიფოზე უფრო მეგობრული და სამართლიანი სახელმწიფო ჯერ არ მინახავსო. არადა, ნამდვილად მაგათმა ჩაუდეს ხელში იმ კეთროვანს რევოლვერი, თუმცა სულაც არ იყო ის კაცი კეთროვანი, მოისყიდეს ვილაცა ხუთი ათას პესოდ. კუპიურები წინასწარ გაუჭრიათ შუაზე, ერთი ნახევარი თავდამსხმელის სახლში იპოვეს ჩხრეკისას და აღმოჩნდა, რომ კუპიურების მეორე ნახევარი ჩემი მოკვლის მერე უნდა გადაეცა მკვლელისათვის ჩემს ძვირფას მეგობარს გენერალ როდრიგო დე აგილარს, ხომ წარმოგიდგენია, დედა, რა მწარეა, ასეთ ამბავს რომ შეიტყობ. თავდასხმა ხომ ჩაუფლავდათ, მაინც არ იშლიან თავისას, ახლა უსისხლოდ უნდათ მომიშორონ. ჭორებს მიგონებენ. დე აგილარი შინაურებს ალაპარაკებს ჩემზე, ხალხში კი თვითონ ავრცელებს, ისაო, ღამით არ ძინავსო, ლარნაკებს, ეროვნული გმირებისა და არქიეპისკოპოსების სურათებს ელაპარაკებაო, ძროხებს თერმომეტრს ურჭობს ტემპერატურის გასაზომად და სიცხის დასაწევ აბებსაც აყლაპებსო. ვითომ მე გავეცი ბრძანება, აკლდამა აეშენებინათ ადმირალისათვის, რომელიც თურმე მხოლოდ ჩემს ავადმყოფურ წარმოსახვაში არსებობს, არადა, საკუთარი თვალით დავინახე ჩემი ფანჯრიდან ღუზაზე მდგარი სამი კარაველა. დე აგილარი და მისი დამქაშები ჩემს მამხილებელ საბუთებს აგროვებენ, თითქოს მთელი ხაზინა გამოვაცარიელე, რაღაც წარმოუდგენელი, ეშმაკური ხელსაწყოები ვიყიდე და მერე, ოღონდ კი სილამაზის დედოფლის გული მომეგო, თურმე ასტრონომები ვაიძულე, ამ ხელსაწყოებით დაერღვიათ მზის სისტემა. თურმე ნუ იტყვი და ეს დედოფალიც ჩემი ბოდვების ნაყოფია, თურმე მე, გამოთაყვანებულმა ბებერმა, ვბრძანებ: ცემენტით დატვირთული ბარჟებით ორი ათასი ბავშვი გაეყვანათ ზღვაში და აეფეთქებინათ. წარმოგიდგენია, დედა, რა ხალხთან მაქვს საქმე, რა გათახსირებულები არიან. ამასობაში გენერალმა როდრიგო დე აგილარმა შეაგროვა ყველა აუცილებელი საბუთი და გვარდიის შტაბში ოფიცრებთან მოლაპარაკება გამართა იმის თაობაზე, თუ რა გზით და როგორ მოეთავსებინათ პრეზიდენტი ცნობილ მოხელეთა თავშესაფარში. ეს სახლი ზედ კლდის თავზე იდგა და იქ ყოფილი დიქტატორები ცხოვრობდნენ. მოილაპარაკეს და გადაწყვიტეს, ამა წლის პირველ მარტს პირადი დაცვის წევრების წმ. მფარველი ანგელოზის დღეს, რომელიც ტრადიციულად ყოველ წელს აღინიშნებოდა ხოლმე დიდი ზარზეიმით, დაამხონ პრეზიდენტი. ე. ი. სამი დღის შემდეგ, ჩემო გენერალო. სახეზე კუნთიც არ შერხევია, არაფერზე დასტყობია, მის საწინააღმდეგო შეთქმულებაზე ყველაფერი რომ იცოდა, გულღიად შეხვდა ძვირფას სტუმრებს, თავისი დაცვის ოფიცრებს. სუფრასთან მიიწვია, აპერიტივი შესთავაზა, ვიდრე გენერალი დე აგილარი მობრძანდება და მთავარ სადღეგრძელოს იტყვის, თითო ჭიქა გადავკრათო. მშვიდად ებაასებოდა სტუმრებს, ხუმრობდა, ოფიცრები კი ხშირ-ხშირად დაჰყურებდნენ საათებს, ყურთან მიჰქონდათ, ქოქავდნენ, სადაცაა თორმეტი გახდება, გენერალი როდრიგო დე აგილარი კი არ ჩანს. საშინლად ჩამოცხა დარბაზში, ჰაერი ღაიხუთა, მაგრამ ეს იყო გასაოცარი კეთილ-

სურნელოვანი უჰაერობა, იდგა გლადიოლუსების, ტიტეებისა და ვარდების სურნელი, და მაინც სუნთქვა ჭირდა, ვილაცამ ფანჯარა გააღო, ყველამ მოვითქვით სული, კვლავ საათებს დავხედეთ, ღია ფანჯარაში შემოიჭრა მსუბუქი ბრიზი და სადღესასწაულო კერძების მადისაღმძვრელი სუნი. მასპინძლის გარდა ყველანი ოფლში ვცურავდით, თვალს ვერ ვუსწორებდით ამ გადაღეებულ პირუტყვს. თვალებს დაუხუჭავად ახამხამებდა, თითქოს სადღაც საკუთარი სივრციდან, გარდასულ წელთა სიღრმიდან შემოგვცქეროდა ბებერი მხეცი. თქვენ გაგიმარჯოთ, დაბინდული ჭიქა ასწია მასპინძელმა. მთელი საღამო ჭიქას ჭიქაზე უჭახუნებდა ყველას, პირთან მიჰქონდა, მაგრამ არ სვამდა. და უცებ ჩამოვარდნილი სიჩუმე საათის გუგუნმა გაჰკვეთა, გენერალი დე აგილარი კი არა და არ ჩანდა. ვილაცამ წამოდგომა დააპირა, მაგრამ გამანადგურებელმა და იმავდროულად თავაზიანმა მზერამ ადგილზე მიალურსმა, თუ შეიძლება, დაბრძანდით. ყველანი მიხვდნენ, ოდნავი შერხევა და ცუდად წავიდოდა საქმე, შერხევა კი არა, მისი ნებართვის გარეშე სუნთქვაც იკრძალებოდა. საათმა მეთორმეტეჯერ რომ ჩამოჰკრა, კარზე ფარდა გადაიწია და გამოჩნდა ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე, დივიზიის გენერალი როდრიგო დე აგილარი მთელი ტანით ვერცხლის ლანგარზე დადებული, სალათისა და დაფნის ფოთლებით მორთული, შებრაწული და პირში ოხრახუშგაჩრილი. ლანგარი მაგიდაზე დადგეს და მორჩილი ოფიციანტებიც მაშინვე შეუდგნენ მის დაჭრას. როცა თავზარდაცემულ სტუმრებს სათითაოდ ჩამოურიგეს თავდაცვის მინისტრის ნიგვზითა და მწვანილით შეზავებული ხორცის ნაჭრები, ჰაერი გაკვეთა წვეულების დაწყების მაუწყებელმა ბრძანებამ, აბა, მიირთვით, სენიორებო.

●

ცხოვრებაში იმდენ წყალქვეშა კლდეს, იმდენ მიწიერ უბედურებასა თუ ციურ ცეცხლოვან ბურთულებს გადაურჩა, რომ დღეს უკვე აღარავის სჯეროდა, ოდესმე თუ ახდებოდა ნათელმხილველის წინასწარმეტყველება და ბოლოს და ბოლოს ის მოკვდებოდა. მისი სიკვდილი მართლაც ძნელად დასაჯერებელი იყო და ვიდრე ნაპოვნი გვამის გაპატიოსნებასა და დამარხვაზე მსჯელობდნენ, ჩვენც კი, ვისაც ნაკლებად გვჯეროდა მისი უკვდავებისა, თავს არ ვუტყდებოდით, თორემ მომავლის შიში, ცოტა არ იყოს, ჩვენც შემოგვეპარა. თუ ეს მიცვალებული მართლა ის არის, მაშინ ნაწინასწარმეტყველების მეორე ნაწილიც უნდა აღსრულდეს. მისი სიკვდილის დღეს ჭაობებიდან გადმოსკდება შლამი, სისხლის წვიმები აავსებენ მდინარეებს, კრუხები ხუთკუთხა კვერცხებს დადებენ, დედამიწაზე გამეფდება მდუმარება და წყვდიადი, ერთი სიტყვით, დადგება ქვეყნიერების დასასრული. მისი სიკვდილის დაჯერება ძნელი იყო იმიტომაც, რომ ჯერ კიდევ შემორჩენილ ორიოდ გაზეთში ძველებური თავგამოდებით წერდნენ მის უკვდავებაზე, აზვიადებდნენ მის ისტორიულ *დამსახურებას ქვეყნისა და ხალხის წინაშე და თავიანთ ნაზრევს* არქივებში მოპოვებული დოკუმენტებით ამაგრებდნენ. თითქოს დროებაში შეჩერდაო, მისი ერთი და იგივე სურათი მუდამდღე იბეჭდებოდა გაზეთების პირველ გვერდზე. ერთი და იგივე მუნდირი ეცვა, სამხრე-

ებზე ამოქარგული ჰქონდა იმ კეთილად მოსაგონარ წლებიდან სამახსოვროდ შემორჩენილი ხუთი ნაღვლიანი მზე. ეს იყო ლირსული, საქმის წყურვილით სახეანთებული ჯანიანი კაცი, თუმცა მის ასაკზე უკვე ვეღარაფერს ვამბობდით, სათვალავი კარგა ხანია [illegible] ქონდა, გაზეთები სხვა სურათებსაც ბეჭდავდნენ ყოველდღე [illegible] ხის წინათ გახსნილ ძეგლებს ხსნიდა, ხანაც რეალურად არარსებულ კომუნალურ დაწესებულებებს. ერთ სურათზე გადაღებული იყო წინა დღით ჩატარებულ საზეიმო სხდომის თავმჯდომარეობისას, სინამდვილეში ეს სხდომა წინა დღეს კი არა, გასული საუკუნისა იყო. ძალიანაც კარგად ვიცოდით, გაზეთები რომ ცრუობდნენ. ლეტისია ნასარენოს საზარელი სიკვდილის შემდეგ ხომ ის სხდომაზე კი არა, საერთოდ, არსად აღარ გამოჩენილა. მარტოდმარტო ცხოვრობდა უკაცრიელ სასახლეში, სახელმწიფო საქმეები კი უსსოვარი დროინდელი უსაზღვრო ძალაუფლების აქამდე მოღწეული ინერციით მიედინებოდა. ვიცოდით, რომ ის განდეგილივით ცხოვრობდა ამ ლამის წაფერდებულ, იავარქმნილ შენობაში, რომლის ფანჯრებიდანაც გულდამძიმებულები შევყურებდით პირქუში მიმწუხრის დადგომას. თავისი ილუზიების ტახტზე მოკალათებული ალბათ ისიც ასევე შეჰყურებდა ამ სურათს წლების მანძილზე. ჩვენ ვნახეთ, შუქურას სხივი ზღაპრულ მწვანე ტალღასავით როგორ ეცლებოდა დანგრეულ პალატებს, დავინახეთ მბჟუტავი ლამპები სამინისტროების დამსხვრეულ მზემიკრულ ფართო შუშებს მიღმა. სამინისტროთა შენობები ლატაკებს დაეპყროთ მას შემდეგ, რაც მრავალიდან ერთ-ერთმა ციკლონმა პორტის შემოგარენში ბორცვებზე შეფენილ ქოხმახებს გადაუარა და აქეთ-იქით მიჰყარ-მოჰყარა. დავინახეთ ქვემოთ გადაშლილი კვამლის თხელ მარმაშში გახვეული ქალაქი, დავინახეთ მოუხელთებელი ჰორიზონტი, რომელიც დროდადრო მაშინ გამოჩნდებოდა, როცა ვაკეზე მიმოფანტულ ფერფლოვან კრატერებს ცაზე გაკვესებული ელვის მკრთალი შუქი გადაურბენდა ხოლმე. ამ უკიდეგანო ვაკეზე ერთ დროს აწ გაყიდული ზღვა შრიალებდა. ეს პირველი ღამე იყო უმისოდ და ჩვენც მთელი სიგრძე-სიგანით დავინახეთ მისი უზარმაზარი იმპერია ციებიანი ტბებითა და მდინარეთა ჩამყაყებულ დელტებში ჩაფლული უჰაერო სოფლებით, ჩვენ ვნახეთ სიხარბის მავთული, რომელიც ერთმანეთისაგან ჰყოფდა მის კუთვნილ პროვინციებს. მინდვრებს მოსდებოდნენ უახლესი ჯიშის ძროხები, რომლებსაც დაბადებიდანვე თანდაყოლილ ლაქასავით აჩნდათ პრეზიდენტის დამღა. სულ ახლახან გვჯეროდა, რომ ის დიდხანს იცოცხლებდა, კომეტის მეორე კი არა, მესამე გამოჩენამდეც კი, და ეს გვავსებდა ხვალინდელი ბედნიერი დღის რწმენით. თუმცა ცოტას კი ვქილიკობდით მის ხნოვანებაზე. ქცევითაც და გარეგნობითაც ხან კუს ვამსგავსებდით, ხან სპილოს. დუქნებში ანეკდოტებს ვყვებოდით და სიცილით ვიხოცებოდით. ერთხელ თურმე სახელმწიფო საბჭოს წევრებისათვის ვილაცას ამბავი მიუტანია, პრეზიდენტი მოკვდაო. დაფეთებული მინისტრები ერთმანეთს ეკითხებოდნენ თურმე, ვინ წავა და ვინ შეატყობინებს მას ამ ამბავსო. ხა, ხა, ხა. მაგრამ იმ ხანებში უკვე აღარც აინტერესებდა, რას ლაპარაკობდნენ მასზე. რაკი მეხსიერების კიდობანში წარსული ცხოვრებიდან აღარაფერი დარჩენოდა ერთი-ორი ნაგლეჯის გარდა, რომც დაინტერესებულიყო, მაინც ვერ

მიხვდებოდა, მართალს ამბობდნენ თუ ტყუილს. ყველასაგან მიტოვებული და სარკიდან მზირალი გამოსახულებასავით ყრუ დაფრატუნობდა იგი პირქუშ ოთახებში თავისი ბრტყელტერფა ფეხებით. ერთხელ მოეჩვენა, სერთუკსა და გახამებულ პერანგში გამოწყობილმა ვილაც კაცმა, თითქოს რაღაცას ანიშნებსო, თეთრი ცხვირსახოცი [illegible], მსნაც მშვიდობითო, წაილულლულა. ეს თავისთავად უცნაური [illegible] ცხვირსახოცის ფრიალი ლამის რიტუალად დამკვიდრდა სასახლეში. მსახურებსა თუ ყარაულებს, კეთროვნებსაც კი, სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ, სასახლის დერეფნებსა თუ ბაღში, ევალებოდათ მის დანახვაზე წამომდგარიყვნენ და ცხვირსახოცი დაექნიათ, მშვიდობით, ჩემო გენერალო. მაგრამ მოხუცს მათი ხმა არ ესმოდა და, საერთოდაც, აღარაფერი ესმოდა ლეტისია ნასარენოს სიკვდილის დღიდან. სწორედ იმ დღეს შეამჩნია, რომ მის ჩიტებს ხმა შესუსტებოდათ, ეტყობა, მეტისმეტი სტვენა-ჭიკჭიკისაგან მოუვიდათ, და იქნებ ისევ ამღერდნენ ხმამაღლაო, ნისკარტში პიპეტით კანტორინას აწვეთებდა, თვითონ უმღეროდა გარდასულ, უხსოვარი დროის სიმღერებს, იანვრის დიდებულო მზეო, უმღეროდა და ვერ ხვდებოდა, ჩიტებს კი არ ეკარგებოდათ ხმა, თვითონ აკლდებოდა ყურს, ერთ დღეს კი ყურებში ერთბაშად შეუწყდა გუგუნი, ჯერ როგორღაც დანაწევრდა, მერე თანდათან მიილია და გადაიქცა კირნარევ ჰაერად, რომელშიც ძლივს აღწევდა ძალაუფლების ნისლში გზაარეული ილუზიური ხომალდების ნაღვლიანი გუგუნი. ახლა უკვე სადღაც შიგნიდან, სულის სიღრმიდან სწვდებოდა მის ყურთასმენას წარმოსახვითი ქარების ხმაური და ჩიტების ჟრიამული და ეს სულის ჩიტები უფრო მეტად ეფონებოდა გულზე, ვიდრე დუმილის ქვესკნელში მიკარგული რეალური ჩიტები. მხოლოდ ერთ-ორ კაცს თუ ჰქონდა სამთავრობო რეზიდენციაში შესვლის უფლება და ისინიც პრეზიდენტს უმეტესწილად სარწეველა სავარძელში მთვლემარეს ხედავდნენ. შუადღის სიცხისაგან შეწუხებული, ხალათგადაღებული, უჩექმოდ და მეწამულისფერი წინდების ამარა იჯდა და თვლემდა. რომის პაპმა გამოუგზავნა თავისი სანაქებო მქსოველების ნახელავი თორმეტი წყვილი ასეთი წინდა, სამშობლოს დროშის ფერებად აჭრელებული ხმალიც იქვე ესვენა. ძილბურანში ჩაძირული ბერიკაცი ხედავდა, მახლობელი კოლეჯის ცნობისმოყვარე მოსწავლე გოგონები როგორ მოძვრებოდნენ, უკვე მერამდენედ, არცთუ საიმედოდ დაცულ ღობეზე, რათა თვალი შეევლოთ უძილო თვლემაში წასულ, ფერგაცრეცილ, საფეთქელზე ბალახმიდებულ უძრავად მჯდომ ბეხლეწისათვის, ყვავილთა ჩრდილები ყვითელ ლაქებად დაჰფენოდა ტანზე და იაგუარს ჰგავდა, გუბის ფსკერზე განცხრომით გაწოლილ მანტარაიასავით — წყლის ეშმაკივით დაეღო პირი. ბებერო ჩერჩეტო, აბრაზებდნენ გოგონები, ის კი პაპანაქება სიცხის მოცახცახე ბადის მილმა შესცქეროდა მათ, ულიმოდა და უქნევდა ხელს, ამჯერად უხელთათმნოს. ხმა კი არც გოგონებისა ესმოდა, არც ჭრიჭინებისა და, საერთოდ, აღარც არაფრისა, მხოლოდ სუნს გრძნობდა, მჭროლავი ბრიზის მიერ მოდენილი შლამისა და ამყრალებული კრევეტების სუნს, გრძნობდა, ქათმები როგორ უკენკავდნენ ფეხებს, სააქაოში მხოლოდ მაშინ ბრუნდებოდა, როცა ყველაზე ძვირფასი მოგონება, ძველი და ფერგადასული ერთი-ორი ნაგლეჯი წარსულისა, შეურ-

ხევდა გონებას. ეს მოგონებები აცოცხლებდა მას, თუმცა სახელმწიფო საქმეებს კარგახნის ჩამოშორებული იყო, ოდინდელი ძალაუფლების ღრუბლები მაინც არ ეშვებოდნენ და ისიც ამ ღრუბლებში დაფრინავდა უაზროდ და ამჩატებული, ამ მოგონებების წყალობით ერკინებოდა ღრმა სიბერის ქარის სასიკვდილო ქროლვას, საღამოობით უკაცრიელ, გაუდაბურებულ სასახლეში დაბორიალობდა ან მდუმარებაში ჩაყურსულ კაბინეტს აფარებდა ხოლმე თავს. აქ იგი ძველისძველ დავთრიდან გლეჯდა ნაწერ ფურცელს, ახევდა სუფთა კიდეს და ამ ხოლივით ჩამონახევზე ლამაზად გადაჰქონდა ის, რაც წარსულიდან ამოუტივტივდებოდა გონებაში და რაც მას სიკვდილისაგან იცავდა. ერთ საღამოს მან დაწერა, ჩემი სახელია საკარიასი. შუქურას წამით გაელვებულ შუქზე რამდენჯერმე წაიკითხა თავისი სახელი ხმამაღლა, ერთხელ, ორჯერ, ათჯერ, ბოლოს ისეთი შორეული და უცხო მოეჩვენა, რომ გაბრაზებულმა ნაკუწებად აქცია ქაღალდი, რა ჩემ ფესებად მინდა სახელი, მე მე ვარ. სხვა ხოლივით ჩამონახევი ქაღალდი აიღო და დაწერა, ასი წელი მაშინ შემისრულდა, როცა კომეტა მეორედ გამოჩნდა. თუმცა მთლად დარწმუნებული არც იყო, სიმართლეს წერდა თუ არა, სათვალავი უკვე არეული ჰქონდა, როდის და რამდენჯერ მოესწრო კომეტის გამოჩენას. ისევ დაწერა, დიდება ბრძოლის ველზე დაჭრილ და დაღუპულ მეომრებს. ეს ჩანაწერი იმ ეპოქის გახსენებას წარმოადგენდა, რომელზეც ყველაფრის დაწერა შეეძლო. მერე მუყაოს ნაგლეჯზე დაწერა, აკრძალულია უხამსი, ულირსი საქმის კეთება, დაწერა და ფეხსალაგის კარზე მიაკრა. ერთი-ორი დღის წინ სრულიად შემთხვევით გადააწყდა ერთ ოფიცერს, რომელსაც ფეხსალაგის კარი ღიად დარჩენოდა, ჩაცუცქული მასტურბაციით იყო გართული. მერე ბერიკაცი ისევ წაფლატუნდა სამუშაო ოთახისკენ და რათა არასოდეს დავიწყებოდა, ქაღალდის ზოლზე დაწერა ის, რაც ახსოვდა, ლეტისია ნასარენო, ჩემი ერთადერთი და კანონიერი ცოლი. კარგა ბებერი იყო, ამ ქალმა რომ წერა-კითხვა ასწავლა. ახლა, მოგონებების მორევში შესული, ცდილობდა მეხსიერებაში აღედგინა ქალის სახე, ცდილობდა წარმოედგინა იგი საზოგადოებაში, ეროვნული დროშის ფერებად მოხატული აბრეშუმის ქოლგით ხელში, ან როგორც ქვეყნის პირველი ქალბატონი, რომელსაც ყელზე მელიის ბეწვი შემოეხვია, მაგრამ შიშველი უფრო ახსენდებოდა, მოსკიტების თხელი ბადის ქვეშ შუადღის პაპანაქების თეთრ შუქში გახვეული მისი შიშველი სხეული. მთელი სისრულით წარმოუდგა თვალწინ ის წუთები, ვნება და ნეტარება, ქალის ლბილ სხეულს ვენტილატორიდან მონაბერი ზუზუნა სიგრილე დაჰკრავდა. ახლაც ვგრძნობ შენს მოცახცახე ძუძუებს, ახლაც მცემს შენი სუნი, ძუკნა ძაღლის სუნი, მძაფრი სუნი ახალგაზრდული ველური ხელებისა, რომლებსაც შეეძლოთ აეჭრათ რძე, დაეჟანგათ ოქრო, დაეჭკნოთ ყვავილები, სამაგიეროდ დიდებული იყო სიყვარულის სარეცელზე. ქალმა შეძლო მიულწეველისთვის მიეღწია. გაიძრე ეგ ჩექმები, ჰოლანდიურ ხეწრებს დამისვრი. და ისიც იძრობდა, მოიხსენი ეგ შენი აღკაზმულობა, ლამის გულში ჩამერჭოს ბალთები, და ისიც იხსნიდა, მოიშორე ეგ ხმალი, გაიხადე ბანდაჟი, წინდები და საერთოდ, ყველაფერი, ჩემო სიცოცხლევ, თორემ ვერა გგრძნობ, და

ისიც იხდიდა ყველაფერს, მხოლოდ შენთვისო, ეუბნებოდა ქალს და მარ-
თლაც, სხვა ქალთან არც არასოდეს გაუხდია და არც აღარასოდეს გა-
იხდის ლეტისია ნასარენოს შემდეგ. ჩემი ერთადერთი და ჭეშმარიტი სი-
ყვარული, ოხრავდა იგი და ამ თავის ოხვრას აღბეჭდავდა წარღვნამდელ
მოხსენებებიდან ამოხეულ გაყვითლებულ ქაღალდებზე, რომლებსაც პა-
პიროსივით ახვევდა და თუ სადმე მიგდებული ადგილი და პატარა ხვრე-
ლი ეგულებოდა სასახლეში, იქ მალავდა, მხოლოდ მას უნდა სცოდნოდა
და უნდა მოეძებნა კიდეც ეს აღგილები რათა გაეხსენებინა თავისი ვინა-
ობა და გაეხსენებინა მაშინ, როცა სრულიად აღარაფრის გახსენება აღარ
შეეძლებოდა, ეს ჩანაწერები არავის უპოვია, სამუდამოდ ჩაკვდნენ
ხვრელებში. როცა ლეტისია ნასარენოს სახება ბერიკაცის გულმავიწ-
ყობის სადინარებს გაჰყვა ცურვით და მიიკარგა, ერთადერთი მოგონე-
ბალა შემორჩა უცვლელად, მოგონება დედაზე, ბენდისიონ ალვარადო-
ზე, მის უკანასკნელ დღეებზე იქ, ქალაქგარეთა სახლში, ამწვანებულ
პატიოში. ქალი სარწეველა სავარძელში იჯდა, მუხლებზე სიმინდის მა-
რცვლებით სავსე თასი ედო და ქათმებს განგებ უხმობდა ხმამაღლა, შვი-
ლი არ მიხვდეს რომ ვკვდებიო. ბერიკაცმა გაიხსენა, რამდენჯერ სწეევია
დედას ქალაქგარეთა სახლში. ჩაწვებოდა ხეთა ჩრდილში გაკიდულ ჰა-
მაკში და თუმცა დედას ტკივილები ტანჯავდა, მაინც თვითონ მიჰქონ-
და შვილთან ხილის წვენი, არ შემამჩნიოს, ფეხზე ძლივს რომ ვდგავა-
რო. გაიხსენა დედა, რომელმაც იგი სხვისი ჩარევისა და დახმარების
გარეშე ჩაისახა მარტომ და მარტომვე მოავლინა კიდეც ამ ქვეყანას.
გაიხსენა დედა, რომელიც ზეზეურად ლპებოდა თურმე და შვილს კი არ
გაუმხილა მანამ, სანამ მტანჯველი ტკივილი ადამიანური გაძლების ყო-
ველგვარ ზღვარს არ გადასცდა. ერთ დღეს სთხოვა შვილს, ნახე ერთი
ჩემი ზურგი, თითქოს ცეცხლი მიკიდიაო, პერანგი გაიძრო და შვილისა-
კენ ზურგშექცეული დადგა. საშინელების დანახვაზე ენა ჩაუვარდა
შვილს, დედამისს მთელი ზურგი მყრალი, ჩირქოვანი წყლულებით
ჰქონდა მოფენილი, წყლულებში კი მატლები დაფუთფუთებდნენ. ცუდი
დრო იყო, ჩემო გენერალო, ცუდი. პატარა სახელმწიფო საიდუმლო რა
არის, ისიც კი მთელმა ქვეყანამ იცოდა, ერთი ბრძანება რა არის, ისიც
კი არ სრულდებოდა მაშინვე. ასე იყო მას შემდეგ, საზეიმო სუფრა-
ზე საფირმო კერძი, შემწვარი გენერალი როდრიგო დე აგილარი რომ
შემოდგეს, მაგრამ მაშინ პრეზიდენტს ეს ვითარება სულაც არ ადარდე-
ბდა. რა დროს სახელმწიფო საქმეებია, როცა დედამისი ბენდისიონ
ალვარადო ნელ-ნელა იფერფლება ავადმყოფობის ცეცხლზე შვილის
ოთახის გვერდით, სადაც აზიურ სნეულებებში ასე თუ ისე ჩახედული
ექიმების რჩევით გადმოიყვანეს ქალაქგარეთა სახლიდან. ექიმებმა და-
ადგინეს, სენიორას არც ჭლექი სჭირს, არც ჭირი, არც კეთრი და არც
რომელიმე აღმოსავლური სნეულება, ინდიელი ჯადოქრების გათვალუ-
ლია და ისევ ისინი თუ უშველიანო. შვილი მიხვდა, სიკვდილი გარ-
დუვალი იყო და გადაწყვიტა დარჩენილი დღეები დედის გვერდით გა-
ეტარებინა, ჩაიკეტა მის ოთახში და დედასავით ევლებოდა თავს. მზად
იყო თვითონ დამპალიყო, ოღონდ კი არავის ენახა, დედამისს ცოცხლად
როგორ ჭამდნენ მატლები. მისი ბრძანებით სასახლეში გადმოიყვანეს
დედამისის ქათმები, ფარშევანგები, შელებილ-გადაღებილი ჩიტები.

ოღონდ კი დედას არ ედარდა თავის სოფლურ სახლზე და ფრთოსნებს ყველაფრის ნება ეძლეოდათ. შვილი საძინებელში საკუთარი ხელით წვავდა სურნელოვან ხის ტოტებს, რათა ცხვირში არავის სცენოდა დამპალი ხორცის საშინელი სუნი. საკუთარი ხელით უსვამდა ახალ მალამოს ადრე წასმული მალამოებისგან ალაგ-ალაგ გაწითლებულ, გაყვითლებულ, გალურჯებულ ტანზე, ვიღაცამ საიდანღაც [illegible] ბალზამი მოუტანა. ჯანდაცვის მინისტრი, ვისაც პანიკურად ეშინოდა ჯადოქრობისა, არ ურჩევდა ამ ბალზამის გამოყენებას. ჯანდაბას მაგის თავი, კარგი იქნებოდა, ერთად მოვმკვდარიყავით მე და შენ, დედა. მაგრამ ბენდისიონ ალვარადომ კარგად უწყოდა, რომ მხოლოდ ის ერთი კვდებოდა და ჩქარობდა შვილისათვის გაეცხადებინა საკუთარი წარსულის საიდუმლოებანი, რომელთა საფლავში ჩატანას სულაც არ აპირებდა. უამბო, მშობიაროობის შემდეგ როგორ გადაუგდეს ღორებს მომყოლი. ბევრჯერ ვცადე, უამრავ ყმაწვილკაცში ამომეცნო და დამედგინა, რომელი იყო მამაშენი, მაგრამ ამაოდ. ისიც უამბო, ფეხზე მდგომელას ჩამესახე, ქუდიც კი არ მომიხდია, რადგან ვჩქარობდი, მოლურჯომოფოლადისფრო ბუზები გულს მიწყალებდნენ, ტავერნის საკუჭნაოში შინნახად ლუდის კასრებთან ირეოდნენ და საშველს არ მაძლევდნენო. უამბო, ნაადრევად რომ დაიბადა აგვისტოს ერთ დილას დედათა მონასტრის თაღოვან ჭიშკართან ნემსიწვერების მელანქოლურ შუქზე. მარჯვენა საკვერცხე კარგა მოზრდილი ლეღვისოდენა გქონდა, გაუთავებლად ტიროდი, თან გაგდიოდა და გაგდიოდა, სუნთქვისას სტვირი გიტიროდა მკერდშიო. ბაზრობის დღეებში მოედანზე მიჰყავდა შვილი, შემოხსნიდა მონასტერში ნაჩუქარ სახვევებს და გამვლელ-გამომვლელს ყველას შესთხოვდა, იქნებ ვინმემ იცით თიაქარის წამალი, კარგი და იაფიო. ურჩიეს, ბავშვი სუსტი ჩანს და თაფლი არგებსო. დედას ამშვიდებდნენ, რაც უწერია, ვერსად გაექცევაო. ნუ გეშინია, ბიჭი ყველა საქმისთვის გამოდგება. გარდა სასულე ინსტრუმენტზე დაკვრისაო. ერთი მოხეტიალე მკითხავი კი ძალზე გაოცდა, ამ ბავშვს ხელის გულზე ხაზი არ აქვს, ეს კი იმას ნიშნავს, მეფობა ელისო. სომ ხედავ, შვილო, მკითხავი არ შემცდარა. შვილი ემუდარებოდა, დაიძინე, გეყოფა ლაპარაკი, ნულარ აწუხებ მაგ შენს წარსულსო, მაგრამ გულში კი ფიქრობდა, დედაჩემის ნაამბობი მომაკვდავის ბოდვაა, სულაც არ ემთხვევა სამშობლოს უკვე დაწერილ ისტორიასო. ემუდარებოდა, დაიძინეო და თავით ფეხამდე ხვევდა ზეწარში. მისი ბრძანებით შეკერეს უამრავი თხელი და რბილი ზეწარი, რათა ავადმყოფს უარესად არ დასკდომოდა წყლულები, გვერდზე აწვენდა გულზე ხელმიდებულს და მანამდე უმღეროდა ნანას, სანამ არ დააძინებდა. დაივიწყე მძიმე წარსული, დედა, რაც არ უნდა თქვან, მე მაინც მე ვარ. იძინე მშვიდად. იგი ყოველნაირად ცდილობდა სასახლის კედლებს არ გასცდენოდა ქვეყნის მატრიარქის ცოცხლად ლპობის ამბავი. მთავრობა ცრუ ბიულეტენებს აქვეყნებდა მისი ავადმყოფობის თაობაზე. ხალხმრავალ ადგილებში მაცნეები ხმის ჩახლეჩამდე კი კითხულობდნენ ამ ბიულეტენებს, მაგრამ სენიორას რაც ნამდვილად სჭირდა, უკვე ყველამ იცოდა მაცნეებისვე გრძელი ენის წყალობით, ცრუ ბიულეტენებს ჩაიკითხავდნენ თუ არა, მაშინვე მიაყოლებდნენ სინამდვილესაც, ავადმყოფის ოთახიდან ისეთი მყრა-

ლი სუნი გამოდის, კეთროვნებიც ვერ უძლებენო. ხალხი რომ ამბობს, ახლად დაკლული ცხვრის სისხლში ბანენო, ნამდვილად ასეთ ზეწრების გამოხარშვას და რეცხვას ვერ აუდიან, ჩირქის ფუფუ კი ვერაფრით შველიანო. იმასაც ამბობდნენ, ჩვენს პრეზიდენტს წინათ რა დიდი გასაჭირიც არ უნდა ჰქონოდა, თავის ქალებს მარტო ბერებს, ახლა კი აღარც ფერმაში დადის და აღარც ქალებთანო. მომაკვდავის საზიარებლად არქიეპისკოპოსი ეახლა საკუთარი ფეხით, მაგრამ მან უარით გაისტუმრა, ჭორებს ნუ აჰყვებით, მამაო, აქ არავინ კვდება. დედასთან ერთად სადილობდა, ერთი თეფშიდან ერთი კოვზით ჭამდნენ, არად აგდებდა ოთახში დამდგარ მყრალ სუნს, ძილის წინ კეთილშობილი ჯიშის ძაღლის ქონზე დამზადებული საპნით ბანდა. გული უკვდებოდა, დედის დანაბარებს რომ ისმენდა. ჩემი სიკვდილის მერე ჩემს ფრინველ-საქონელს უპატრონეო. ღმერთი არ გაგიწყრეთ, ფარშევანგებს კუდი არ დააგლიჯოთ სომბრეროების მოსართავადო. კარგი, დედა, ჰპირდებოდა შვილი და მალამოს უსვამდა სხეულზე. დღესასწაულებზე ძალით ნუ ამღერებთ ჩიტებს. კარგი, დედა, ჰპირდებოდა შვილი და ზეწარში ახვევდა. ჭექა-ქუხილის დროს კრუხები საბუდრებში არ დატოვოთ, სვლიკებს გამოჩეკენ. კარგი, დედა, დაიძინე, ეუბნებოდა შვილი და გულზე ხელებს უკრებდა. დაწყნარდი, დაიძინე, შუბლზე კოცნიდა. თვითონ, როგორც სჩვეოდა, პირქვე წვებოდა იატაკზე, დარაჯობდა სხეულის ძილს, სხეულის უსასრულო ბოდვას, რომელიც, რაც უფრო ახლოვდებოდა აღსასრული, მით უფრო აზრიანი ხდებოდა. რომ არა ეს მძიმე, ტანჯვით სავსე ღამეები, ალბათ ვერ გადაიტანდა იმ სიმწარეს, ორშაბათ დილას რომ დაატყდა თავს. უეცრად გამოაღვიძა საზარელმა სიჩუმემ, გამოაღვიძა სიკვდილმა, რომელიც მის მშობელ დედას, ბენდისიონ ალვარადოს ალიონზე, მამლის პირველსავე ყივილზე ესტუმრა. მიცვალებულს ზეწარი შემოხსნა და ალიონის ნაცრისფერ შუქზე მან დაინახა ზეწარზე დარჩენილი დედამისის გულზე ხელდასვენებული სხეულის ანაბეჭდი, რომელიც გასაოცრად გლუვი და მკვრივი იყო, სიბერისა და წყლულებისა აღარაფერი ეტყობოდა. თითქოს ზეთით დაუხატავთო, ზუსტად ასეთივე კვალი ემჩნეოდა ზეწრის მეორე მხარესაც და მყრალი სუნის ნაცვლად ასდიოდა ნაზი, ცოცხალი ყვავილების კეთილსურნელება, რომელსაც ოთახიც აევსო. რამდენი არ რეცხეს ზეწარი, რამდენი არ ხარშეს, მაგრამ ნაბეჭდი ვერა და ვერ მოაშორეს ვერც წალმა და ვერც უკუღმა პირიდან, თითქოს შეერწყაო, უხრწნელ გამოსახულებად იქცა უხრწნელ ქსოვილზე. შვილი მაშინ, იმ მძიმე წუთებში ვერ ჩაწვდა ამ საოცრების არსს, სიკვდილზე განრისხებულმა დედის საძინებელი დატოვა და გასვლისას კარი ისე გაიჯახუნა, ზარბაზნის გასროლასავით გაისმა მთელს სასახლეში. ეკლესიამაც არ დააყოვნა და მაშინვე ააგუგუნა სამგლოვიარო ზარები. ასი დღე შეუსვენებლივ აგუგუნებდნენ ზარებს მთელი ქვეყნის ეკლესიები. პირველსავე გუგუნზე შედრკა ხალხი, მაშასადამე, პრეზიდენტი ჯერ კიდევ ფლობს ძალაუფლებას. დედის სიკვდილი მოლბობის ნაცვლად გულს უფრო მეტად გაუქვავებს და გაუმკაცრებს ყოველგვარი გონიერებისა და ადამიანური ღირსების გამოვლინების მიმართ, მისი დაუვიწყარი უძვირფასესი დედა ბენდისიონ ალვარადო აღესრულა ოცდასამ

თებერვალს ორშაბათ დღეს განთიადისას. ბენდისიონ ალვარადოს სიკვდილის შემდეგ ქვეყნისათვის დაიწყო ახალი, მშფოთვარე, ბურუსით მოცული საუკუნე. ჩვენ შორის არავინ იყო ისეთი ხნიერი, ამ სენიორას სიკვდილს მოსწრებოდა, სამაგიეროდ ჩვენამდე მოღწეული ხმების მეშვეობით ვიცოდით მისი დაკრძალვის ამბავი, ესეც ვიცოდით, რომ დედის სიკვდილმა ძალიან გამოცვალა, ობლობა [illegible] ჩაკეტილი ცხოვრობდა სასახლეში, გარეთ აღარ გამოდიოდა, ძილიც არავის დაუფრთხია მისთვის ასდღიანი გლოვისას და მერეც. არც თითონ ენახვებოდა სხვას და ვერც სხვა ბედავდა მისი მყუდროება დაერღვია ამ მწუხარების სავანეში, ამ ნაღვლიან სასახლეში, სადაც სამუდამოდ გაყინულიყო სამგლოვიარო გუგუნი ზარებისა, სადაც საათი მხოლოდ ერთ დროს უჩვენებდა, ბენდისიონ ალვარადოს სიკვდილის დროს, სადაც ყველა ოხრავდა და ვიშვიშებდა. ყარაულები, როგორც რეჟიმის პირველ წლებში, ახლაც ფეხშიშველი დადიოდნენ. მხოლოდ ქათმებს ჰქონდათ მიცემული სრული თავისუფლება ამ აკრძალვებით პირთამდე სავსე სახლში, რომლის უჩინმაჩინივით მობორიალე მონარქს სიკვდილის წინაშე უძლურებისა და დიდი მწუხარების გამო გული სისხლისგან ეწრიტებოდა, დედამისს, უსაყვარლესსა და უძვირფასეს ბენდისიონ ალვარადოს მიასვენებდნენ მის მშობლიურ პარამოსა და ქვეყნის ყველაზე შორეულსა და მივარდნილ კუთხეებშიც, რათა ყველას შეძლებოდა უკანასკნელი პატივი მიეგო მიცვალებულისთვის. რაკი სიცოცხლეში ბედმა არ დაინდო და დალპობა არგუნა, სიკვდილში ცოტა მაინც რომ გამართლებოდა, ნახერხითა და ყინულით ამოვსებულ კუბოში ჩაასვენეს. ზარზეიმით მიცურავდა კუბო სამგლოვიარო პროცესიის მხრებზე, ყველგან გამოეფინათ შავარშიანი დროშები. პარამოს რკინიგზის ბაქანზე, როგორც ოდესღაც პრეზიდენტის მატარებელს, ახლაც იგივე ხალხი დახვდა იმავე სამგლოვიარო მუსიკით. კუბო იმ მონასტერში შეასვენეს, რომლის თაღოვან ჭიშკართან ერთმა ჩიტებით მოვაჭრე ქალმა დიდი ხნის წინათ, ყველა დროის დასაწყისში, ქვეყანას მოუვლინა არავისი შვილი, რომელიც შემდეგში მეფე გახდა. წმიდათაწმიდა ჭიშკარი კვლავ გაიღო ასი წლის შემდეგ. ცხენოსანი ჯარისკაცები ინდიელთა სოფლებს შეესივნენ და ხალხი ცხვრის ფარასავით მირეკეს მონასტერთან, ხელკეტებით აიძულეს, ტაძარში შესულიყვნენ. იქ კი, შიგნით, ხალხი თითქოს მონუსხა ვიტრაჟებზე გაყინულმა მზეებმა, მეწამულისფერ სამოსელში გამოწყობილი ცხრა ეპისკოპოსი სულის მოსახსენიებელ პანაშვიდს იხდიდა, გუნდი სულთათანას გალობდა, კედლებს მიღმა კი აწვიმდათ ნაცნობ ნემსიწვერებს. მონასტრის მორჩილი დები ღვინოს, ღორის ნეკნებს, ნაკურთხ წყალს ყიდდნენ. ვაჭრობა გაჩაღებულიყო პატიოებში, ქვის თაღებქვეშ. სოფლის ტავერნებში უკრავდა მუსიკა, იყო ცეკვა და შუშხუნები. დადგა მარადიული კვირა დღე, დადგა ხანგრძლივი, წლობით გაგრძელებული დღესასწაული, რომელიც მარადიულ ბურუსში ჩაძირულ იმ იდუმალ ბილიკებს მიუყვებოდა, ბენდისიონ ალვარადო სიცოცხლეში ფედერალური პოხონდრიით შეპყრობილ შვილს რომ მისდევდა უკან. ომშიც ფარად ედგა მუდამ. ერთხელ ჯორებშებმულ სამხედრო ფორანს გადასათელად არ დაანება ციებ-ცხელების შეტევით დაკრუნჩხული, მიწაზე დაგდებული შვილი. რჩევა-დარიგებებით

ხომ გულს უწყალებდა, პარამოელებს მეტი სიფრთხილე გვმართებს ქალაქებშიო, ეუბნებოდა, მით უმეტეს, ამოუცნობი, ვერაგი ხეგის სანაპირო ქალაქებშიო. ეშინოდა ვიცე-მეფეთა ძეგლებისაც კი, ეშინოდა კიბორჩხალებისა, ჩვილების ცრემლებს სვამენო, შიშით დაიზაფრა, დიდებული მთავრობის სახლი რომ ნახა პირველად. [illegible] წარმოიდგენდა მაშინ, დიდზე დიდი ხნის წინათ, ერთ წვიმიან [illegible] ტრის თალოვან ჭიშკართან სამშობიარო შეტევისას, რომ სწორედ ამ სახლში მოუწევდა სიკვდილი. ახლა კი ამ მარტოობის სახლში იატაკზე პირქვე დამხობილი მისი ვაჟი უძლური სიშმაგით შეპყრობილი ოხრავდა, ეშმაკმა დალახვროს, სად წახვედი, დედა, სად დამეკარგე, სად გაიხლართე ლელქაშში, ვინ მოგაშორებს სახეზე დასეულ პეპლებს. ამ დროს კი სამგლოვიარო პროცესია ჭაობის სიმყრალით გაჯერებულ ჰაერში მხრებით მიაცურებდა დედამისის ბენდისიონ ალვარადოს ჭადრის ტოტებისგან შეკრულ ბალდახინს, რათა უკანასკნელი პატივის მისაგებლად მთელი ქვეყანა შემოეტარებინათ კიდით კიდემდე. კუბო ყველგან შეჰქონდათ, უდაბნოში, გვარჯილის საბადოებზე, ინდიელთა სოფლებში, სოფლის სკოლებში, სოფლების განაპირა ქოხმახებსა თუ შეძლებულთა სახლებში, შუაში, საჩინო ადგილზე დგამდნენ, თავთან კი უხსოვარ დროს, ახალგაზრდობაში გადაღებულ მის სურათს დებდნენ. სურათიდან იმზირებოდა ლამაზი, თვალებმიბნედილი, მორთულ-მოკაზმული ყმაწვილი ქალი. ძალიანაც არ უნდოდა თურმე, მაგრამ სურათის გადაღებისას ძალით დაუდგამთ თავზე დიადემა, ძალითვე გაუკეთებიათ ძველებური მაქმანის საყელო, გამოუპრანჭავთ, პუდრიც შეუფრქვევიათ და თავის ცხოვრებაში პირველად და უკანასკნელად ტუჩებიც გაუთხუპნიათ ძალით. ხელშიც აბრეშუმის ტიტა შეაჩეჩეს. სენიორა, სწორად არ გიჭირავთ ყვავილი, ყვავილიანი ხელი კალთაზე დაიდეთ თავისუფლად, დაუძაბავად, და ევროპელ მონარქთა ვენეციელმა ფოტოგრაფმა სწორედ ასეთ პოზაში გადაუღო სურათი ქვეყნის პირველ ქალბატონს და სწორედ ეს სურათი გახლდათ თვალსაჩინო საბუთი იმისა, რომ კუბოში სწორედ ბენდისიონ ალვარადო იწვა და თუკი ვინმე დაეჭვდებოდა, შეეძლო სურათზე გამოსახული ყმაწვილი ქალი და მიცვალებული ერთმანეთისთვის შეედარებინა. მსგავსება მართლაც გასაოცარი იყო, კოსმეტოლოგებმა თავიანთი საქმე იცოდნენ, მიცვალებულის გარეგნობას ყოველდღიურად ადევნებდნენ თვალს. საჭიროების შემთხვევაში სახეზე კრემსა და პარაფინს უსვამდნენ, წვიმიან დღეებში თვალების ღრმულებიდან ობს აცილებდნენ, სამხედრო მკერავები კაბას ისე უახლებდნენ, თითქოს გუშინ შეეკეროთ, ფორთოხლის ყვავილის გვირგვინებს ცოცხლად ინახავდნენ, წმ. ქალწულის ფატაც, რომელიც სიცოცხლეში არ ღირსებია, ქათქათა თეთრი უნდა ყოფილიყო. აბა, ერთი ვინმემ გაბედოს ამ კერპთაყვანისმცემელთა ბორდელში და თქვას, რომ სურათზე გამოსახული ქალი შენ არ ხარ, დედა, აბა, ვინმემ გაბედოს დაეჭვება ან საერთოდ, დავიწყება იმისა, ვინ განაგებს ყველას და ყველაფერს აქაც და ყველგან, დაჭაობებულ ტყეებში გაბნეულ უღარიბეს სოფლებშიც კი. ერთხელ შუალამისას დავიწყებისთვის განწირულ ამ მხარეშიც გამოჩნდა ძველისძველი, ხის ბორბლიანი გაჩახჩახებული გემი. ხალხი ნაპირს მიაწყდა, დოლებს აბრაგუნებდნენ, ძველი კეთილი დრო დაგვიბრუნდაო.

გაუმარჯოს მაჩოს, ყვიროდნენ, დალოცვილი იყოს ის კაცი, ვინც სიმართლის სახელით მოდისო, და პირდაპირ წყალში ცვიოდნენ ხორაგეულითა თუ ხილით ხელდამშვენებულნი. გაჭირვებით მიტოვებდნენ გემისაკენ, ხის მოაჯირებს ეჭიდებოდნენ და გემბანზე [illegible]ის [illegible]ით ძვრებოდნენ. ყველას სურდა თავისი მოკრძალებული ძღვენი მიერთმია იმ ყოვლისშემძლე უხილავი ადამიანისთვის, ვინც [illegible] ქვებით წყვეტდა საშობლოს ბედ-ილბალს. მაგრამ გემზე გაჭირვებით ამძვრალები მაშინვე კუბოსთან მიჰყავდათ და ისინიც ადგილზევე ხვდებოდნენ გაოგნებულები პრეზიდენტის სასადილო კაიუტის სარკეებში მრავლად არეკლილ ქვამარილითა და ყინულით გარშემოწყობილ კუბოებისა და ჭერზე წარლვნამდელი დიდფარფლებიანი ვენტილატორის დანახვაზე. ეს ძველისძველი გასართობი გემი თვეობით დაცურავდა ეკვატორულ სიგანედებსა და ეფემერულ კუნძულებს შორის, ბოლოს კი უიმედოდ ჩაიხერგა კოშმართა საუფლოში, სადაც გარდენიებს ეკითხებოდათ ჭკუა და იგუანები დაფრინავდნენ. სწორედ აქ, ქვეყნის დასასრულს, დაჯდა გემი მეჩეჩზე, ბორბალი ოქროსფერ ქვიშაში ჩაერჭო, დაიმსხვრა და გემიც ნახევრად გადაფერდდა წყალში. ყინული ნელ-ნელა დადნა, მარილიც დადნა, მიცვალებულიც გასივდა და ნახერხის სალაფავში ატივტივდა. სწორედ მაშინ მოხდა სასწაული, ჩემო გენერალო, დედათქვენმა თვალები გაახილა. ისეთი ფერის თვალები ჰქონდა, აკონიტოს ყვავილს რომ აქვს იანვარში, როგორც მთვარის ქვას აქვს, ჩემო გენერალო. ურწმუნოებმაც კი საკუთარი თვალით იხილეს, როგორ დაიორთქლა კუბოს შუშის სახურავი, სენიორას როგორ დაასხდა სახეზე ოფლის წვეთები. რომ გაიღიმა, ისიც დაინახეს. ვერ წარმოიდგენთ, ჩემო გენერალო, რა ამბავი დატრიალდა. ჯორებმა ჩოჩორების მოგება დაიწყეს, გვარჯილაზე ყვავილებმა იხარეს, ყრუ-მუნჯები სიხარულით ხტოდნენ საკუთარი ხმის გაგონებაზე, სასწაული, სასწაული, სასწაულიო, ყვიროდნენ. ხალხსაც მეტი არ უნდოდა, კუბოს ეცნენ, შუშის სახურავი ჩაამსხვრიეს, მიცვალებული ლამის ნაკუწებად აქციეს. ყველას უნდოდა, თუნდაც პატარა ნაგლეჯი მაინც შეხვედროდა რელიქვიად. იძულებული გავხდით გრენადერების ბატალიონი გამოგვეძახა, ჩემო გენერალო, ძლივს უმკლავდებოდნენ კარიბის ზღვაში თესლივით მიმოფანტულ კუნძულებიდან წამოსულ ხალხის ტალღას. საიდან აღარ მოდიოდნენ, ჩემო გენერალო. ქვეყნის ყველაზე მივარდნილ მხარესაც მისწვდენოდა საოცარი ამბავი, სენიორა ბენდისიონ ალვარადოს სულს ღმერთისგან ებოძა უნარი, წინ აღდგომოდა ბუნების კანონებსო. ჰოდა, ჩემო გენერალო, ყიდვა-გაყიდვაც გაჩაღდა, ყიდდნენ დედათქვენის სუდარიდან გამორღვეულ ძაფებს, ავგაროზებად ყიდდნენ სუდარისვე ნაჭრებს, კუბოდან მწვეთავ წყალს, მის წმიდათაწმიდა სურათ-ხატებს, ხალხი ემატებოდა და ემატებოდა, გზად ყველაფერს ანადგურებდა ველური ხარების ფლოქვებით. მიწა ისე გუგუნებდა, თითქოს იძვრისო. ახლაც შეგიძლიათ ეს გუგუნი გაიგონოთ, თუ კარგად მიუგდებთ ყურს, აბა, სცადეთ, ჩემო გენერალო, და მანაც ამჯერად ნაკლებად მოზუზუნე ყურთან მიიდო ხელი. ო, დედაჩემო, ბენდისიონ ალვარადო. გაბმული გუგუნი მოესმა, ფანჯარასთან მივიდა და დაინახა ატორტმანებული უზარმაზარი მასა, რომელსაც ჰორიზონტამდე ამოევსო სივრცე. დაინახა ან-

თებული სანთლების ზღვა, რომელიც ქალაქისკენ მოიწევდა ახალ დღესავით, ოლონდ სხივიან შუადღეზე უფრო სხივიანი და შუქმფინარე, ეს — დედამისი, ბენდისიონ ალვარადო ბრუნდებოდა ქალაქში, რომელსაც, როგორც ყველა პარამოელს, სიკვდილივით ეშინოდა. ასე შემოვიდა იგი ქალაქში პირველადაც, ხალხის მხრებზე დაბრძანებულ[illegible] მაშინ ომი იყო, ირგვლივ ომის უმი ხორცის სუნი ტრიალებ[illegible] ქვეყნად აღარაფრის და აღარავისი ეშინოდა, რადგან მისმა შვილმა ბრძანება გასცა, სასკოლო სახელმძღვანელოებიდან და, საერთოდ, ისტორიიდან ამოეგლიჯათ ის ფურცლები, სადაც ვიცე-მეფეები იყვნენ მოხსენიებულები და დაენგრიათ მათი ძეგლებიც, ისინი ძილს მიფრთხობდნენ, დედა. ბენდისიონ ალვარადო ბრუნდებოდა ქალაქში მშვიდობიანი ხალხის მხრებით, კუბოს გარეშე, შიშის გარეშე, ღია ცის ქვეშ, ჰეპლებით აფარფატებულ ჰაერში, ოქროულობაში ჩამალული, რომელსაც გულუხვად სწირავდნენ ყველგან — ღრმად დამწუხრებული სამეფოს გზებზე, ტყეებში, მთასა თუ ბარში ხანგრძლივი სამგლოვიარო მსვლელობისას. მიცვალებულს ზედ ეყარა აწ უკვე განკურნებულ ხეიბართა ნაჩუქარი ოქროს ყავარჯნები, ზღვაში დახრჩობას გადარჩენილთა ოქროს ვარსკვლავები, ახალშობილთა ოქროს გამოსახულებები, რომლებსაც ის ქალები სწირავდნენ მიცვალებულს, კარგა დიდხანს რომ არ უჩნდებოდათ შვილები, მაგრამ რაღაც სასწაულით ორსულობას ორსულობა მიაყოლეს და თანაც ისე სწრაფად ეწყებოდათ სამშობიარო შეტევები, რომ მახლობელ ბუჩქამდე მისვლას ძლივს ასწრებდნენ. დედათქვენი შუაგულ ხალხში იყო, ჩემო გენერალო, ისევე როგორც ომის წლებში იყო იმ ადამიანთა აბობოქრებულ ზღვის შუაგულში, ბიბლიურ გადასახლებულთა მსგავსად უსასრულოდ რომ დაეხეტებიან ნავსაყუდელის ძებნაში, იმ ნავსაყუდელისა, სადაც ბოლოს და ბოლოს შეძლებდნენ თავიანთი ჯამ-ჭურჭლისა და საქონლის დაბინავებას, სადაც გაატარებდნენ სიცოცხლის უკანასკნელ წლებს, მართალია, სულის გადარჩენის დიდი იმედი არ ექნებოდათ, მაგრამ ბენდისიონ ალვარადოს ლოცვა საიქიოდანაც მისწვდებოდათ და სასოებასაც მოჰგვრიდათ. დედის ლოცვას შვილისთვის ბევრჯერ აუცდენია დამიზნებული ტყვია, განსაკუთრებით მაშინ, როცა შუბლზე წითელნაჭერგაკრული გადაეშვებოდა ხოლმე შუაგულ ბრძოლაში ყვირილით, გაუმარჯოს ლიბერალურ პარტიას, გაუმარჯოს გამარჯვებულ ფედერალისტებს, ძირს მძლ... გოდოები. მაგრამ ფედერალისტური იდეები იმდენად არ აწუხებდა, რამდენადაც პარამოელი ანუ მთიელი კაცის პირველყოფილი ცნობისწადილი, ენახა და შეეცნო ზღვა. ლატაკთა ბრბომ, რომელიც დედათქვენს მოასვენებდა, ქალაქი ლამის წალეკოს, ჩემო გენერალო. ეს ადამიანები ყველაზე უმართავნი და შეუსმენელები არიან იმათ შორისაც კი, ვინც ფედერალური ომის დროს არაერთი ზიანი მოუტანა ქვეყანას. ეს ბრბო პანიკაზე საშინელებაა, მსგავსს არაფერს მოვსწრებივარ მთელი თქვენი ხანგრძლივი მმართველობის წლებში, ჩემო გენერალო. შეხედეთ ერთი, რა ხდება. მანაც შეხედა და დარწმუნდა, რომ მართლაც რაღაცა ხდებოდა, პირქუშმა, ფერგამკრთალმა, მკლავზე შავნაჭერშემოხვეულმა სამგლოვიარო ბურუსიდან ნელ-ნელა იწყო გამოსვლა. უკვე მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი,

გამორჩეულად განათლებული მინისტრები, ხოლო თვითონ კი პაპის ნუთა დასაბუთებული დასკვნებისა და მტკიცებულებების საფუძველზე მიეღწია თავისი ძვირფასი დედიკოს ბენდისიონ ალვარადოს კანონიზაციისთვის, წმინდანად შერაცხვისთვის. ამ მიზნით მან რომში მიავლინა გამორჩეულად განათლებული მინისტრები, ხოლო [illegible] პაპის ნუნცი მოიპატიჟა სასახლეში ნამცხვარსა და ჭიქა შოკოლადზე. სტუმარს შინაურულად დახვდა, უპერანგოდ. ყვავილთა ჩეროში გაკიდულ ჰამაკში ნებიერად ჩამჯდარი თეთრი სომბრეროთი ინიავებდა დასიცხულ სახეს. ნუნცი მასპინძლის პირისპირ დაჯდა სარწეველა სავარძელში ცხელი შოკოლადიანი ფინჯნით ხელში. საკვირაო სუტანა ეცვა, ლავანდის სუნს აფრქვევდა, არად აგდებდა სულისშემხუთველ სიცხესა და მტვერს, არც პრეზიდენტის აწ გარდაცვლილი დედის ჩიტების სკინტს, ყვავილების ჩარდახიდან რომ ცვიოდა მზის სხივებთან ერთად, შოკოლადს წრუპავდა და მორცხვი პატარძალივით მიირთმევდა ნამცხვარს, ცდილობდა გაეჭიანურებინა დრო, რაც შეიძლება გვიან დამდგარიყო ის წამი, როცა მოუწევდა ბოლო ყლუპის სიმწარის შეგრძნება და საუბრის დაწყება. იგი იჯდა იმ სავარძელზე, რომელზეც მასპინძელი არავის სვამდა, მხოლოდ თქვენ გითმობთ, მამაო. ძალიან დიდი ხნის წინ, იმ კეთილმოსაგონარ წლებში, ბალბის ყვავილობის ერთ მშვენიერ დღეს ამავე სავარძელში იჯდა სხვა ნუნცი, გულუბრყვილო მოხუცი კაცი, რომელიც ამაოდ ცდილობდა ქრისტეს რწმენისკენ მოექცია თავისი მასპინძელი, ამაოდ უხსნიდა თომა აკვინელის სქოლასტიკურ შეგონებებს. ამჯერად მე მოგიწვიეთ მოსაქცევად. რა არ ხდება ცხოვრებაში, ახლა მე მწამს, თვალდაუხამხამებლად გაიმეორა, ახლა მე მწამს. სინამდვილეში არც არაფერი სწამდა, არც ღმერთი და არც ეშმაკი, მხოლოდ ერთი რამ სწამდა ღრმად, დედამისს ყველანაირი უფლება ჰქონდა წმინდანად შერაცხულიყო პირად კეთილდღეობაზე უარის თქმის, სხვათათვის თავგანწირვის, უსაზღვრო სიკეთისა და სამაგალითო ზნეობისა გამო. მაგრამ როცა დედის წმინდანობაზე ლაპარაკობდა, მას არ უხსენებია ხალხში მოარული ხმები, პოლარული ვარსკვლავი თითქოს სამგლოვიარო პროცესიის მიმართულებით მოძრაობდა, კარადებში ჩაკეტილი საკრავები თავისით იწყებდნენ დაკვრას მიცვალებულის ჩატარებისას. წმინდანობის უტყუარ საბუთად ასახელებდა იმ ზეწარს, რომელშიც თვითონ გაახვია მომაკვდავი დედა და ახლა იალქანივით შლიდა, რათა ნუნცს საკუთარი თვალით ეხილა ის, რაც იხილა — ჯანმრთელი ყმაწვილი ქალის სხეულის მოხაზულობა და არა იმ წყლულებიანი დედაბრისა, რომელმაც ამ ზეწარზე დალია სული. ის იწვა გვერდულად, გულზე ხელმიდებული. შვილმა თითები ალერსით გადაუსვა ანაბეჭდს, ოფლის სინოტივე შეიგრძნო, ყვავილთა ნაზი სურნელება შეისუნთქა, რალაც უცნაურად აქოთქოთებულ ჩიტების ჟღურტულს მიუგდო ყური. ხომ ხედავთ, მამაო, ჩიტებიც კი ცნობენ მას, წალმა-უკუღმა უფრიალებდა ზეწარს ცხვირწინ, მაგრამ ნუნცს ფხიზელი, დაკვირვებული თვალი ჰქონდა, დიდი მხატვრების ფუნჯით შესრულებულ ტილოებზე ვულკანური ფერფლის ნამცეციც კი არ გამოეპარებოდა, ფერთა ინტენსივობასა და სურათის ნაპრალებში შეეძლო ამოეკითხა მხატვრის ხასიათი და რწმენისადმი მისი მერყეები დამოკიდებულებაც კი. ნეტარებას ჰგვრიდა სამყაროს მშვენიე-

რების შეგრძნება და აღტაცებაში მოჰყავდა დედამიწის სიმრგვალეს ბუ-
ნების ტაძარში, სადაც ირეალური ქალაქის განმარტოებულ სამოიცვე-
ლოს ცა ეხურა გუმბათად და სადაც დრო კი არ მიდიოდა, — მიეფარა-
და. მლვდელმა, როგორც იქნა, ზეწარს თვალი მოწყვიტა და ტკბილად
და ამავდროულად მტკიცედ წარმოთქვა, ამ ტილოზე [illegible] ხვე-
ული არამც და არამც არ წარმოადგენს ღვთისმიერ სასწაულს. თქვენო
აღმატებულებავ, ეს არის მხატვრის ნახელავი, თანაც საკმაოდ გამოც-
დილისა როგორც მხატვრობის, ასევე სიცრუის ხელოვნებაში. ამ მხა-
ტვარმა ბოროტად გამოიყენა თქვენი უსაზღვრო დიდსულოვნება და
ყმაწვილი ქალის სხეული მოხაზა. ეს არ არის ზეთის საღებავები, თვით-
ნაკეთი საღებავია და კარ-ფანჯრების შესათითხნად გამოდგება მხოლოდ.
ჩვეულებრივ სკიპიდარზე, ბუნებრივ ფისსა და თაბაშირზეა დამზადებუ-
ლი. აი ეს სინოტივე ტილოზე კი, თქვენ რომ გარწმუნებენ, დედათქვე-
ნის ოფლიაო, არ დაიჯეროთ, ოლიფია. ძალიან ვწუხვარ, თქვენო აღმა-
ტებულებავ. ჭეშმარიტად შეწუხებულ ნუნცს სიტყვა აღარ უთქვამს გა-
ქვავებული ბერიკაცისთვის, რომელიც ჰამაკიდან თვალის დაუხამხამებ-
ლად შემოსცქეროდა, ერთხელაც არ ჩარევია ლაპარაკში, რაღაცნაირი
ახიური სიჯიუტით ჩაძირულიყო ჩასქელებულ მდუმარებაში, ტუჩების
მოძრაობითაც კი არ გამოუხატავს პროტესტი. მან ხომ საკუთარი თვა-
ლით იხილა სასწაული ზეწარზე. მე ხომ საკუთარი ხელით გაგახვიე ამ
ზეწარში, დედა, მე მოწამე გავხდი სასწაულისა, როცა დილაუთენია შე-
ნი სიკვდილის მდუმარებამ დამცა თავზარი, ასე მეგონა, ირგვლივ ყვე-
ლა და ყველაფერი ზღვის ფსკერზე ჩაინთქა-მეთქი. ეშმაკმა დალახვ-
როს, მე ხომ სასწაულის მოწმე გავხდი. მაგრამ ნუნცისთვის არაფერი
უთქვამს, იგუანასავით ისე დაახამხამა თვალი, ორჯერ, ქუთუთო არ
შეურხევია, სტუმარს მოწყალედ გაუღიმა და ამოიოხრა, კარგი, მამაო,
იყოს თქვენებურად, მაგრამ დაიმახსოვრეთ, ეგ სიტყვები ტვირთივით
სატარებელი გაგიხდებათ მთელი ცხოვრება, კიდევ გიმეორებთ, რათა
სიკვდილამდე არ დაგავიწყდეთ, ეგ სიტყვები ტვირთივით სატარებელი
გაგიხდებათ-მეთქი მთელი ცხოვრება, ოღონდ მე არაფერ შუაში ვიქნები,
მამაო. მთელი კვირა საჭმელადაც კი არ გადმოსულა ჰამაკიდან, მთელი
კვირა რაღაც ცუდის მოლოდინში გაყურსულიყო ქვეყანა. ის იჯდა ჰა-
მაკში და მხრებზე ჩამომსხდარ ჩიტებს იგერიებდა, ფოთლებში აჭია-
ტებული მზის სხივებიც ჩიტები ეგონა და იმათაც იგერიებდა, მთელი
კვირა არავინ მიუღია, არავისთვის არაფერი დაუვალებია, ფანატიკო-
სებმა კი საზოგადოებრივი წესრიგის დამცველთა სრული უმოქმედო-
ბით ისარგებლეს, ნუნცების რეზიდენციაში შეცვივდნენ, პირწმინდად
გაძარცვის ისტორიულ რელიქვიათა მუზეუმი, თავზე დააცხრნენ სიეს-
ტის დროს აუზში მობანავე ნუნცს, ამოათრიეს, ქუჩაში შიშველი გაიყ-
ვანეს, დააჩოქეს და ზედ დააქაქეს, ჩემო გენერალო. იგი არც შერხეუ-
ლა ჰამაკში, კუნთიც არ შერხევია სახეზე, არც არაფერი უთქვამს, რო-
ცა ვირზე შესმული საბრალო ნუნცი სავაჭრო ცენტრისკენ წაიჩიქჩიქეს.
აივნებიდან ბინძურ წყალს ასხამდნენ თავზე, უყვიროდნენ, ეი, შე მუ-
ცელგაბერილო მის ვატიკანო, მიდი, შობე. მხოლოდ მაშინ წამოდგა ჰა-
მაკიდან, როცა ამბავი მოუტანეს, ცოცხალ-მკვდარი ნუნცი ბაზრის სა-
ნაგვეზე დააგდესო. სხდომათა დარბაზისკენ მიმავალი ჩიტებს ბუზე-

ბივით იგერიებდა და ხელებს ისე იქნევდა, თითქოს სამგლოვიარო ბადეს იშორებსო სახიდან, თუმცა შავი სამკლავური ჯერ კიდევ არ მოეხსნა. უძილობისგან გამობლეტილი თვალები იქ მყოფთ მოავლო და ბრძანა, შეჰკარით ტივი, ზედ ნუნცი დასვით, მიეცით სამი დღის საჭმელ-სასმელი და დატოვეთ შუა ზღვაში იმ ადგილას, [illegible] მომავალმა გემებმა უნდა ჩაიარონ, მთელმა ქვეყანამ [illegible] გოს, როგორ ისჯებიან ის უცხოელები, რომლებიც ჩვენი სამშობლოს უმაღლეს სიწმინდეს ხელჰყოფენ, პაპმა კი ერთხელ და სამუდამოდ კარგად ჩაიბეჭდოს თავში, რომ ის თავის რომშია პაპი თავისი ბეჭდითა და ოქროს ტასტრევნით, აქ კი მე ვარ მე. თავს გავიდნენ ეგ მუდრეგები, ეგ კაბიანი მძღ...ები. მუქარიანი გაფრთხილება დროული აღმოჩნდა. გადაწყდა, წლის ბოლომდე, ვადაზე ადრე განეხილათ ბენდისიონ ალვარადოს კანონიზაციის საკითხი. უკლებლივ ყველას შეეძლო ენახა საკათედრო ტაძარში საჩინო ადგილზე დასვენებული მისი უხრწნელი სხეული. ქორო სადიდებელ ჰიმნს მღეროდა. ვატიკანთან გამოცხადებული საომარი მოქმედება შეწყდა, დე არმას მოედანზე შეკრებილი ხალხის შეძახილები იქაურობას აყრუებდა, გაუმარჯოს მშვიდობას, გაუმარჯოს ღმერთს. ამ დროს კი მან სასწრაფოდ მოიწვია სარიტუალო კონგრეგაციის აუდიტორი და პოსტულადორი მონსენიორ დემეტრიო ალდოუსი, ცნობილი როგორც ერითრეელი.[1] იგი ჩამოსული იყო საგანგებო მისიით — ძირისძირობამდე შეესწავლა ბენდისიონ ალვარადოს ცხოვრება, შეესწავლა ისე, რომ ყველა დაერწმუნებია მის წმინდანობაში. მამაო, აქ დარჩებით მანამდე, სანამდეც მოისურვებთ. ერითრეელის ხელი თავის ხელში შეაყოვნა და მაშინვე ნდობით განიმსჭვალა მის მიმართ, ამ შავკანიან აბისინიელს ამქვეყნად ყველაფერზე მეტად სიცოცხლე უყვარდა. მიირთმევდა იგუანის კვერცხს, გიჟდებოდა მამლების ბრძოლაზე, მულატ ქალებზე და ცეცხლოვან ცეკვებზე. ჩემო გენერალო, ამეებზე ხომ არც ჩვენ ვამბობთ უარს. პრეზიდენტის ბრძანებით ამ ეშმაკის მსახურ კანონიკის წინაშე უნდა გაღებულიყო ყველა ჩარაზული კარი, არავის არაფერში არ უნდა შეეშალა ხელი მისთვის, დაე, თავად დარწმუნდეს, რომ მწუხარებისგან თავგზააბნეულ ამ სამეფოში არაფერია დაფარული ადამიანის თვალისათვის, არაფერია ისეთი, რასაც შეუძლია ეჭვქვეშ დააყენოს ბენდისიონ ალვარადოს წმინდანობა, რაიც ზენაარის მიერ იყო უკვე განჭვრეტილი. მთელი ქვეყანა თქვენს განკარგულებაშია, მამაო. ჯარისკაცებმა ყველაფერი მიალაგ-მოალაგეს ნუნცის რეზიდენციაში იქ უკვე უამრავი აწ განკურნებული კეთროვანი იყრიდა თავს, წყლულები გაქრობოდათ და ახალი, გლუვი, სუფთა კანი უპრიალებდათ. წმ. ვიტოს ყოფილი პაციენტები ურწმუნო თომებს უჩვენებდნენ, რა სხარტად უყრიდნენ ძაფს ნემსის ყუნწში. აქ მოსულიყვნენ ისინიც, ვინც რულეტის თამაშით დაეღწია თავი სიღარიბეს. ირწმუნებოდნენ, ბენდისიონ ალვარადო დაგვეხმარა, სიზმარში გამოგვეცხადა და ნომრები გვიკარნახაო. ნუნცის რეზიდენციის წინ მოსულიყვნენ ისინიც, ვინც უგზოუკვლოდ დაკარგულებს ეძებდნენ, ისინიც, ვისაც უკვე ეპოვა თავისი ახლობელი ზღვაში დამხრჩვალი, მოსულიყვნენ ისინი, ვინც სულ

---

1 პროვინცია ერითრეა ეთიოპიაში.

ცოტა ხნის წინ უპოვარი იყო, ახლა კი თავზე საყრელი ჰქონდა ყველაფერი, ერთი სიტყვით, მთელი ეს უსასრულო რიგი მიიწევდა წინ და ინთქმებოდა ჩახუთულ კაბინეტში. კედლებზე ეკიდა არკებუზები,[1] რომლებითაც ოდესღაც კანიბალებს ხოცავდნენ, ეკიდა სერ უოლტერ რეილიჯის მიერ გათხრებისას ნაპოვნი პრეისტორიული [illegible], და რაც მთავარია, სწორედ ამ სულისშემხუთველ ოთახში [illegible] დაუღალავი ერითრეელი ადამიანთა ამ უსასრულო რიგს. იგი მოთმინებით უსმენდა ყველას, არავის არაფერს ეკითხებოდა, ოფლად გახვითქული არად აგდებდა უამრავი ადამიანის სუნს და ქაჩავდა და ქაჩავდა თავის იაფფასიან სიგარას, თუმცა ოთახში უმისოდაც ჭირდა სუნთქვა. სიტყვა-სიტყვით იწერდა ბენდისიონ ალვარადოს წმინდანობის მოწმეთა ჩვენებებს, მერე ხელს აწერინებდა, ზოგი გვარს და სახელს აწერდა, ზოგს ჯვარი გამოჰყავდა, ზოგიც, ჩემო გენერალო,თქვენსავით ცერა თითის ანაბეჭდს ტოვებდა. ერთი სიტყვით, ვისაც როგორ შეეძლო, ისე აწერდა ხელს. ერთნი რომ გადიოდნენ ოთახიდან, მაშინვე მეორენი შედიოდნენ, ისინი თითქმის არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ოთახში შესვლისას ყველაფერი თავიდან იწყებოდა. იცით რა, მამაო, მე ჭლექი მჭირდა, ერითრეელიც სიტყვა სიტყვით იწერდა, მე ჭლექი მჭირდა, ახლა კი ნახეთ, როგორ ვმღერი. მე იმპოტენტი ვიყავი, მამაო, ახლა კი ნახეთ, როგორა მაქვს მომართული ჩემი იარაღი, ასე დავდივარ მთელი დღე. მე იმპოტენტი ვიყავი, წერდა ერითრეელი მარადიული მელნით, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ამ მელნით ნაწერს ვერავინ შეცვლიდა და ვერც ჩაასწორებდა კაცობრიობის ისტორიის დასასრულამდე. მუცელში ცოცხალი ცხოველი მეჯდა, მამაო. ცოცხალი ცხოველი მეჯდა, წერდა ერითრეელი და გამოსაფხიზლებლად მაგარ ყავას სვამდა, თან სიგარას სიგარაზე ეწეოდა. ეს დაუღლელი, გაოფლილი, მენიჩბესავით მკერდმოღეღილი მღვდელი ნამდვილი მაჩოა, ჩემო გენერალო. დიახ, სენიორ, ნამდვილი მაჩოა, ბევრი როდია ასეთი, იყო გენერლის პასუხი. ერითრეელი შესვენების გარეშე მუშაობდა, დრო რომ არ დაეკარგა, საღამომდე არაფერს ჭამდა, საღამოს კი დაიბანდა თუ არა, თავის დაკემსილ სუტანას იცვამდა და გარბოდა პორტის დუქანში, სადაც გრძელ ფიცრულ მაგიდასთან ჯდებოდა პორტის მტვირთავებთან ერთად და გამგელებული, უკოვზოდ, ინდიელივით პირდაპირ თეფშიდან ხვრეპდა სალაფავს, თევზსაც ხელით გლეჯდა და ძვლებს თავისი სატანური, სიბნელეში მანათობელი კბილებით ფქვავდა. ჩემო გენერალო, ნეტავი დაგენახათ ადამიანთა ნალექში, ბინძურიალქნიან ნავებზე მომუშავე მატროსებსა და მტვირთავებში ჩამჯდარი ეს ჩვენი მღვდელი. ქლიავითა და მწვანე გვინეოს ნაყოფით დატვირთულ ამ ნავებს მთლად ნორჩი კახპა გოგოებიც გადაჰყავდათ დედამიწის ზურგზე ყველაზე თვალწარმტაც და ყველაზე ნაღვლიან კუნძულებზე, კურასაოზე — შუშის სასტუმროებში მოსაწყობად, — გუანტანამოზე და სანტიაგო დე ლოს კაბალიეროსზე. მამაო, ჩვენც რამდენჯერ დაგვთენებია ამ კუნძულებზე ოცნებებში წასულთ, გაიხსენეთ, რა სხვანაირები ვხდებოდით, როცა ნავები შორდებოდნენ ნაპირს, გაიხსენეთ მკითხავი თუთიყუში მატილ-

---

1 თოფის მაგვარი იარაღი, ფართოპირიანი ლულით.

დე არენალესის სახლში, გაიხსენეთ მათლაფებზე მობორიალე ზღვის კიბორჩხალები, ზვიგენთა ქარი, დოლების შორეული ბრაგუნი, გაიხსენეთ მთელი ცხოვრება, მამაო, მურტალი ცხოვრება, ბიჭებო, როგორც თქვენ ხმარობთ ჩვენებურ გამოთქმას, თანაც ისე, თითქოს მოჩხუბარი ძაღლების უბანში იყოთ დაბადებული და ...! მართლაც, ეს ერითრეელი ბურთსაც დასდევს პლაჟზე, ჩემო გენერალო, აქაურებზე უკეთ შეისწავლა აკორდეონზე დაკვრა, უკეთ მღერის კიდეც, შეისწავლა მეზღვაურთა ხატოვანი გამოთქმები, ყველას გადააჭარბა დედის გინებაში, იგინება ლათინურადაც, მატროსებთან ერთად ღრეობს ბაზრის დუქნებში. ახლა ერთს ეჩხუბება, ღმერთი აუგად რატომ მოიხსენიეო, ხელჩართული ბრძოლაა, ჩემო გენერალო, როგორ მოვიქცეთ. პრეზიდენტმაც ბრძანა, არც როგორ, ნუ გააშველებთ, წრე შემოარტყით. მღვდელმა გაიმარჯვა, ჩემო გენერალო, ასეც ვიცოდი, თქვა მან. მაგრამ მღვდელი არც ისეთი უბრალო ვინმე გახლდათ, როგორიც ეგონათ. იმ ბობოქარ ღამეებში მან უფრო მეტის გაგება მოახერხა, ვიდრე ნუნციის რეზიდენციაში მომჭანცველი მუშაობისას. იმ ღამეებში მან უფრო მეტი გაიგო, ვიდრე ქალაქგარეთა პირქუშ სახლში, სადაც ერთ წვიმიან ღამით შეიპარა. თუმცა მას ეგონა, რომ შეიპარა, რომ პრეზიდენტის უშიშროების სამსახურის გაცურება შეძლო. ყველა კუთხე-კუნჭული დაათვალიერა მთლად გალუმპულმა. გარეთ კოკისპირულ წვიმაში არ დასველებულა ისე, როგორც ამ სახლში. ჭერიდან თავსხმა მოდიოდა და ერითრეელი ისე აიტანა შიშმა, რომ იგრძნო, როგორ ეწეოდა თავისკენ სიმხდალის ჭაობი და ბენდისიონ ალვარადოს დიდებული საძინებლები, სადაც შხამიანი ყვავილები ამოსულიყვნენ. ეს საძინებლები ბენდისიონ ალვარადომ თავის მოახლეებს აჩუქა. კეთილი ქალი იყო, მამაო, მორიდებულიც. მოახლეებს ბატისტის ზეწრებს უფენდა, თვითონ ყაზარმულ საწოლზე დაფენილ ჭილოფზე იწვა. მოახლეებს თავისი საგარეო კაბების ჩაცმის ნებას რთავდა, ნებას რთავდა დენშჩიკებთან ერთად ებანავათ დედიშობილებს ლომის თათებიან ვებერთელა თუჯის აბაზანაში, სურნელოვან, ფერადქაფიან წყალში. მოახლეები დედოფლებივით ცხოვრობდნენ, ქვეყნის პირველი ქალბატონი კი მუხლჩაუხრელად შრომობდა, ჩიტებს აფერადებდა, შეშის ღუმელზე ბოსტნეულის წვნიანს ამზადებდა, მეზობლებისთვის სამკურნალო ბალახს აგროვებდა. ღამე არ იყო, ვინმეს არ გაეღვიძებია, სენიორა, კუჭის სპაზმამ შემომიტია და ისიც აძლევდა წიწმატის თესლს დასაღეჭად. სენიორა, ჩემს ნათლიმამას თვალი აცაბაცა გაურბის, ისიც ეპასოტეს ნაყენს უზიარებდა. სენიორა, ვკვდები, მაგრამ არავინ კვდებოდა, რადგან მეზობლების ჯანმრთელობის საქმე საიმედოდ ეპყრა ხელთ. სიცოცხლეშივე წმინდანი გახლდათ, მამაო, სხვათა უწმინდურობისგან დასაცავად საკუთარი ზნეკეთილობა შემოირტყა გალავანივით, საკუთარი სამყარო შეიქმნა მისთვის უცხო და მიუღებელ ამ მდიდრულ, ცოდვიან სახლში, სადაც მას შემდეგ, რაც იგი ძალით წაიყვანეს პრეზიდენტის სასახლეში, ულმერთოდ ჩამოდის წვიმა ჭერიდან და გულისმომკვლელად კაკუნობს პიანინოს კლავიშებზე თუ მდიდრული სასტუმრო ოთახის თეთრად მოქათქათე მაგიდაზე, რომელთანაც ბენდისიონ ალვარადო არასოდეს მჯდარა. ასე

ამბობდა, გინდა ამ მაგიდაზე გიჭამია და გინდა საკურთხეველი წაგიბილწავსო. თავად განსაჯეთ, მამაო, განა ეს სიტყვები წმინდანის საფერი სიტყვები არ არის, განა ამ სიტყვებში წინათგრძნობის ძარცვალი არ დევს. მაგრამ მიუხედავად ბენდისიონ ალვარადოს მეზობლების ასეთი მხურვალე თანადგომისა და მხარდაჭერისა, შავკანიან ეშმას დიდი ფიქრი არ დასჭირვებია იმის დასადგენად, რომ ქალაქელ[illegible] ასახლის დიასახლისი თავმდაბალი კი არ იყო, უბრალოდ, მისთვის უცხო გარემოს ვერ ეგუებოდა, ეშინოდა მისი, ვერაფრით გაეგო, ვის რაში სჭირდებოდა ეს აბანოზის ხის ნეპტუნები, აბორიგენთა დემონების ნამსხვრევები და სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ანგელოზები, რომლებსაც ამოევსოთ გუშინდელი საცეკვაო დარბაზების სიცარიელე. მაგრამ ერითრეელმა ხელჩასაჭიდი აქ ვერაფერი ნახა, ვერ ნახა ის ერთი სამსახა ღმერთიც, აბისინიის მცხუნვარე ველებიდან რომ გამოაგზავნა ამ მხარეში სიმართლის საპოვნელად. რაც არ არის, რას იპოვიდა, ჩემო გენერალო. მონსინიორ ალდოუსი ქალაქელებისგან გაგონილს არ დასჯერდა და ჯორით გაეშურა ყინულოვანი ზეგანის სოფლებისაკენ, იქნებ იქ მოვიძიო ბენდისიონ ალვარადოს წმინდანობის დამადასტურებელი რაიმე სარწმუნო საბუთიო. იქ, ზეგანზე, ჯერ კიდევ არ იციან, ეს ქალბატონი ძალაუფლების შარავანდედით რომ არის მოსილი, იქნებ იქ ისევ ისეთი, დიდი ხნის წინანდელი ბენდისიონი ახსოვთო. ბურუსიდან ამოზრდილი, ყაჩაღის პონჩოში გახვეული, უზარმაზარჩექმებიან სატანის აჩრდილის დანახვაზე კაჩაკოები დაფეთებული გარბოდნენ, მერე გაოცებისგან თვალებდაჭყეტილები ჩერდებოდნენ და ცნობისმოყვარეობით შესცქეროდნენ უცხო კაცს. ასეთი ფერის ადამიანი ძეხორციელს არ უნახავს აქ. ერითრეელი ყველას ეუბნებოდა, ნუ გეშინიათ, ხელით შემეხეთ და დარწმუნდებით, გუდრონისა რომ არა ვარო. გასამხიარულებლად კბილებსაც უჩვენებდა, ნახეთ როგორ ელავენ სიბნელეშიო. ყველს ხელით ტეხდა, ჩიჩასაც საერთო ხაპით სვამდა. ამ ხერხით ცდილობდა ხალხის გულის მონადირებასა და ნდობის მოპოვებას. დადიოდა სოფლის ულიმღამო დუქნებში, ესაუბრებოდა იქაურებს, იმათაც ყურმოკრულად გაეგონათ, რომ თურმე რომელიღაც სხვა დროში, სხვა ეპოქის დასაწყისში ყოფილა ერთი ქალი, ჩიტებს აფერადებდა და ყიდდა. ძლივს დადიოდა თურმე უამრავი გალიით დამძიმებული. გალიები სავსე ჰქონია უსახელო და უსახური ბარტყებით, მოოქროსფრო ტუკანებით, ფარშევანგივით კუდმოხატული გუაჩარაკებით. პანაშვიდივით ნაღვლიან საკვირაო ბაზრობაზე მიათრევდა, იქნებ ამ ტეტიებს მაინც შევატყუო ჩემი ჭრელაჭრელა ჩიტებიო. აგერ იქ ჯდებოდა თურმე ცეცხლთან და მოთმინებით ელოდებოდა, ან იქნებ ვინმე გამოჩნდეს, დუქნის საკუჭნაოში შემიპატიჟოს და ლუდის რუმბებზე დამაგოროსო. ამას იმიტომ აკეთებდა, რომ შიოდა, მამაო, პურის ფული არ ჰქონდა. არც ისეთი ტეტიები იყვნენ ზეგანელები ფული გადაეყარათ მის გათხაპნილ ჩიტებში, წვიმის პირველსავე წვეთებზე რომ სცილდებოდათ საღებავი და ფარშევანგივით მოხატული კუდებიც ერთიმეორის მიყოლებით რომ ძვრებოდათ. ამ საქმეს ქალი თავისი გულუბრყვილობით მისდევდა, ის იყო ჩიტების წმ. ბენდისიონი,[1] მამაო, ზეგანის ბენდისიონი ან რაც გი-

1 ლოცვა-კურთხევა, დალოცვა (ესპ.).

ნდათ, ის დაარქვით. არავინ იცოდა მისი ნამდვილი სახელი, ან როდის, ან ვინ შეარქვა მას ბენდისიონ ალვარადო, ჩვენებური სახელი არ არის, უფრო ზღვისპირელებისა უნდა იყოს, მამაო, ხედავთ ესეც ვერ გამოიძია ამ ეშმაკის მოციქულმა, ბევრი რამ დაყნოსა და ამოხსნა კიდეც. თუმცა პრეზიდენტის უშიშროების სამსახურის საიდუმლო აგენტები ფეხდაფეხ დასდევდნენ და სიმართლის დასაფარავად რაღას არ იგონებდნენ, ტყუილების აბლაბუდაში ხვევდნენ, ათასნაირად უშლიდნენ ხელს, დაბრკოლებებს უქმნიდნენ. ჩემო გენერალო, იქნებ დროა მის ჯორს ფეხი დაუცდეს უფსკრულის პირას. არამც და არამც, ბრძანა მან, განაგრძეთ თვალთვალი, ოღონდ პირადად მას ხელი არ ახლოთ, ვიმეორებ, პირადად მას ხელი არ ახლოთ, მიეცით მოქმედების სრული თავისუფლება, შეუქმენით ყველანაირი პირობა თავისი მისიის შესასრულებლად. მე გიბრძანებთ ამას, ასეთია ჩემი უმაღლესი სურვილი, შეასრულეთ. ამ ბრძანებას კი იძლეოდა, მაგრამ იცოდა, რისკზე მიდიოდა, საფრთხეს უქმნიდა მითს საკუთარ დედაზე, მითს ბენდისიონ ალვარადოზე. ერითრეელი ჯიუტად ცდილობდა ტაბუდადებულ იმ შორეულ დღეებიდან ამოეტივტივებია დედამისის ნამდვილი სახე, როცა ის სურვილებით აღსავსე ყმაწვილი ქალი იყო, როცა ის ფეხშიშველი და ჩამოძონძილი დადიოდა, როცა ის ლუკმაპურს თავისი მუცლის ქვემოთა ნაწილის მეშვეობით შოულობდა, მაგრამ ისეთი ლამაზი იყო, მამაო, და ისეთი გულუბრყვილო, რომ უსახურზე უსახურ თუთიყუშს ჯიშიანი მამლის ბოლოებს აწებებდა და გუაკამაიად[1] ასაღებდა. ჭირიან, გაქუცულ ქათმებს ინდაურის ბოლოებს მარაოსავით გაშლილს უმაგრებდა კურტუმოზე და მუშტარს არწმუნებდა, სამოთხის ჩიტიაო. რა თქმა უნდა, არავინ უჯერებდა, თავს არავინ ისულელებდა, ჩიტების მარტოსული გამყიდველი ქალის ანკესს არავინ ეგებოდა. ის თავისას მაინც არ იშლიდა, თუმცა საკვირაო ბაზრობების ორომტრიალში მისი ჩურჩული არავის ესმოდა, ვინც ერთს იყიდის, დანარჩენებს ვაჩუქებ. ზეგანელებს ახსოვდათ ეს შერეკილი ღარიბი ქალი, მაგრამ ვინ იყო და რას წარმოადგენდა, ვერა და ვერ დაადგინეს. იმ მონასტრის არქივში, სადაც ის მოინათლა, არავითარი ჩანაწერი არ აღმოჩნდა მისი დაბადების შესახებ, სამაგიეროდ მისი ვაჟის დაბადების მოწმობა აღმოჩნდა, თანაც სამი. აღმოჩნდა, რომ სამი სახელი ჰქონია, რომ სამჯერ ჩასახულა სხვადასხვა ვითარებაში და სამივეჯერ დღენაკლული დაბადებულა. ჩვენმა ისტორიკოსებმა ისურვეს ასე, რათა საიდუმლოდ შეენახათ პრეზიდენტის დედის ნამდვილი წარმომავლობა, მაგრამ ერითრეელმა თითქმის მიაღწია საიდუმლომდე, ის იყო სინამდვილისთვის ფარდა უნდა აეხადა, რომ თოფიც გავარდა. ჩემო გენერალო, გასროლის ექომ კორდილიერებს გრუხუნით გადაუარა, კლდიდან კლდეს შეეჯახა შემზარავი ყროყინი უფსკრულში გადაჩეხილი ჯორისა, რომელიც მარადიული თოვლით დაფარულ კლდეთა შვერილებს ეხეთქებოდა, ოღონდ უკვე სხვა კლიმატურ ზონაში. საბრალო ცხოველმა ყროყინით ჩაუქროლა მყინვარებს, სადაც სანაოსნო დიდი წყალი იღებდა სათავეს, ჩაუქროლა მთის კალთებს, სადაც ბოტანიკის შემსწავლელი სამეცნიერო ექსპედიციის წევ-

---

1 ძვირფასი ჯიშის თუთიყუში.

რები ინდიელებზე შემსხდარნი მცენარეებს აგროვებდნენ თავიანთი იდუმალი ჰერბარიუმებისთვის, ჩაუქროლა ველური მაგნოლიით მოფენილ მთიან პლატოს, სადაც ყოვლად უწყინარი, სამაგალითო ჩვეულების ხორცგემრიელი და უხვმატყლიანი ცხვრის ფარა გაშლილიყო, ჩაუქროლა სნეული ადამიანებით დასახლებულ ბობოქარ [illegible] მცხუნვარე ვაკე ადგილს, საიდანაც სალამოსეულ ნიავს [illegible] პლანტაციიდან მოლალატურად მოკლული მარტოსული ბერიკაცის მყრალი სუნი. კაკაოს დიდ, მკვრივ ფოთლებში წითლად მოჩანდა ყვავილი და მარცვალი, რომლისგანაც ძირითადად მზადდება შოკოლადი, ჩაუქროლა უმოძრაო მზეს, მწველ მტვერს, საზამთროებს, ნესვებს, ატლანტიკოს დეპარტამენტის საძოვრებზე მოფენილ ძვალტყავა, ნაღვლიან ძროხებს, ჩაუქროლა ორასი მილის მონაკვეთზე ერთადერთ საქველმოქმედო სკოლას, მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს და ბოლოს და ბოლოს, ისიც, ჯერ კიდევ ცოცხალი, გუანაბაოს მწიფე ნაყოფივით გასკდა უფსკრულის ძირში. გვინეოს ბუჩქებში კაკბები დაფრთხნენ, ჯორმა მძიმედ ამოიხვნეშა. წყეულები, გადააგდეს, ჩემო გენერალო. ვეფხვზე სანადირო თოფით მოკლეს ანიმა სოლას[1] ხეობაში. კი მაგრამ, როგორ გაბედეს ნაბიჭვრებმა, მე ხომ ვბრძანე, ხელი არ ახლოთ-მეთქი, მე ხომ ტელეგრამები დავუგზავნე ყველას კატეგორიული მოთხოვნით, მაგათ ვუჩვენებ სეირს, გავაგებინებ ვინ ვინ არის. ცოფებს ყრიდა გაცეცხლებული, მაგრამ მისი გაცეცხლება რომელიმე აგენტის ურჩობით კი არა, უფრო სხვა რაღაცის ეჭვით იყო გამოწვეული, რაღაცას უმალავდნენ, დარწმუნებული იყო, რაღაც მნიშვნელოვანს უმალავდნენ, რაკი გაბედეს და მისი ელვა ბრძანებები არად ჩააგდეს. როცა ვინმე ეახლებოდა რაიმე ამბის მოსახსენებლად, თვალებში შესცქეროდა, მოსულის სუნთქვაზეც იყო მიყურადებული, რადგან კარგად უწყოდა, ტყუილის თქმას მხოლოდ ის ბედავს, ვინც სიმართლე იცის, ამიტომაც დღედაღამ იმის ცდაში იყო, როგორმე ამოეხსნა უმაღლესი ჩინის სამხედრო პირთა ჩანაფიქრი, ცდილობდა ამოეცნო, რომელი ღალატობდა. შენ ხარ მოღალატე, არარსებობიდან რომ გამოგათრიე. შენ ხარ მოღალატე, ჩემი წყალობით ახლა რომ ოქროს საწოლში ნებივრობ, ოდესღაც კი მიწაზე ეგდე. იქნებ შენ ხარ, სიცოცხლე რომ შეგინარჩუნე, ან იქნებ შენ, ყველაზე მეტს რომ გიხდი სხვებთან შედარებით, ულირსი დედის შვილებო, რომელი ხართ-მეთქი, გეკითხებით. იცოდა, მათ შორის რომელიღაცამ არად ჩააგდო მისი ხელმოწერილი ტელეგრამა, რომელიც მარტო ხელმოწერით კი არა, გამდნარ ლუქზე დასმული საკუთრივ მისი ბეჭდით იყო დამოწმებული. იგი პირადად ჩაუდგა სათავეში სამაშველო ღონისძიებას. ვბრძანებ, ორმოცდარვა საათის განმავლობაში მოძებნოთ დემეტრიო ალდოუსი და აქ მომგვაროთ ცოცხალი. თუ მკვდარს იპოვით, ცოცხალი მომგვარეთ, თუ საერთოდ ვერ იპოვით, სულერთია, მაინც მომგვარეთ. ბრძანება ისე არაორაზროვანი და საშინელი იყო თავისთავად, რომ ძებნისთვის მიცემულ საჭირო ვადაზე ადრე ამცნეს მას ახალი ამბავი, ჩემო გენერალო, უფსკრულში იპოვეს ბუჩქებში,

---

1 სიტყვასიტყვით: მარტოსული.

ჭრილობები შეხორცებია იქაური ოქროს ყვავილების წყალობით, ცოცხალი კი არა, ჩვენზე უფრო ცოცხალია, ჩემო გენერალო, და ისიც დედათქვენის ბენდისიონ ალვარადოს ჯადოქრული ძალის წყალობით, რომელმაც ამ ყვავილებს სამკურნალო თვისებები შესძინა. დედათქვენმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი უსაზღვრო [illegible] სიწმინდე და, რაც მთავარია, დაუმტკიცა იმ ადამიანს, ვინც [illegible] ჭუჭყი მიეცხო მისი ხსოვნისათვის. ეს კაცი სარებზე დამაგრებულ ჰამაკში ჩააწვინეს და ინდიელთა ბილიკებით ჩამოიყვანეს მთიდან გრენადერების ესკორტის თანხლებით. წინ კი ცხენზე ამხედრებული ალგუასილი მოუძღოდათ. თითქოს სადღესასწაულო წირვაა, გახარებული აწკრიალებდა პატარა ზარს და ქვეყანას ამცნობდა, ხალხო, უმაღლესი ხელისუფალის ბრძანება შესრულებულია, დემეტრიო ალდოუსი ცოცხალი მოგვყავსო. მართლაც, იგი მიიყვანეს სასახლეში და ჯანდაცვის მინისტრის პირადი პასუხისმგებლობით დააბინავეს საპატიო სტუმრებისთვის განკუთვნილ საძინებელში. სწორედ ამ საძინებელში დაუსვა მან წერტილი თავის მისიას, მოამზადა შვიდი 350-350 გვერდიანი საშინელი ტომი და ყოველი ტომის ყოველი გვერდის მარჯვენა მინდორზე წააწერა: მე, დემეტრიო ალდოუსი, განგების ნებით სარიტუალო კონგრეგაციის აუდიტორი და რწმენის პოსტულადორი, ა/წ აპრილის თოთხმეტს ქვეყნად სიმართლის აღმაღლებისა და უფლისა ჩვენისა სახელით, ხელის მოწერითაც და ბეჭდითაც ვადასტურებ, რომ აქ რაც წერია, არის სიმართლე, სრული სიმართლე, მხოლოდ სიმართლე და სხვა არაფერი სიმართლის გარდა. თქვენო უმაღლესობავ, აი ისიც. მართლაც ბიბლიასავით შთამბეჭდავ ამ შვიდ ტომში, თვითეული ლუქის ბეჭდით რომ იყო დამოწმებული, ისეთი შეულამაზებელი, ისეთი ულმობელი სიმართლე იდო, რომ ამ ქვასავით მაგარ ბერიკაცს მხოლოდ თავზეხელაღებული, უპატივმოყვარეო და უანგარო კაცი თუ გაუბედავდა. ბერიკაცი კი იჯდა თავის ჩალის სავარძელში, პაპანაქება სიცხის ალმურს სომბრეროთი ინიავებდა და თვალდაუხამხამებლად ისმენდა ამ სიმართლეს. ყოველ სამარცხვინო მხილებისას ჩუმად ხვნეშოდა, აჰა, როცა სინამდვილე მეტისმეტად იყო გამოაშკარავებული, ოდნავ გასაგონად ურთავდა თავის აჰა-ს და თან სომბრეროთი იგერიებდა ნასუფრალით მოზიდულ აპრილის ბუზებს. სიმართლე ხან მწარე იყო, ხანაც მწველი გავარვარებული ნაკვერცხალივით, რომელიც სულში ჩაყურსული სიბნელის გაფანტვას ელამობდა თითქოს. ეს ყველაფერი ფარსია, თქვენო ალმატებულებავ, კომედიაა. აჰა, მართლაც ასე იყო. განა თვითონ, თავისდა უნებურად არ დადგა ეს სპექტაკლი, როცა საქვეყნოდ გამოფინა ყინულებიან კუბოში ჩასვენებული მშობელი დედა, აქაოდა, მორჩით ჭორაობას, ბენდისიონ ალვარადო ცოცხლად ლპებაო, ან თუნდაც მაშინ, როცა მოახსენეს, ჩემო გენერალო, დედათქვენი სიკვდილის მერეც სასწაულებს ახდენსო და მანაც მიცვალებული მთელი ქვეყანა, ეს უწმინდანო ქვეყანა, კიდით კიდემდე მოატარა უამრავი ხალხის თანხლებით. მინდოდა ყველას გაეგო, რომ შენ წმინდანი იყავი, წლების მანძილზე დამცირებული ყოფის შემდეგ, არაერთი უმადური სიყვარულის შემდეგ წმინდანობის ღირსი ნამდვილად იყავი ჩიტების გაფერადებაში განვლილი, უმიზნოდ განვლილი შენი ახალგაზრდული წლების გამო, დედა. რას ვიფიქრებდი,

რომ სამგლოვიარო პროცესიას ხალხის მოსატყუებლად გამოიყენებდნენ. არადა, თავიდანვე ახლდა ამ პროცესიას სიცრუე. ვითომდა წყალმანკიანი ავადმყოფები პირდაპირ ხალხის თვალწინ ინკურნებოდნენ, წყლებისგან იცლებოდნენ. რა თქმა უნდა, მოსყიდულები იყვნენ. ერთ კაცს ორასი პესო ჩაუჯიბეს, მკვდრეთით რომ აღმდგარიყო. ისიც [illegible] დან მთლად დაძონძილი ამოძვრა, პირი მიწით ჰქონდ[illegible] ფორთხვა-ფორთხვით გაჰყვა პროცესიას. ერთ ბოშა ქალს ოთხმოცი პესო მისცეს იმისათვის, ვითომ იმშობიარა და ორთავიანი სიმახინჯე დაბადა. ასე იმიტომ დავისაჯეო, რომ ქვეყანას მოვდე, მართლა ხომ არ გგონიათ, რომ სასწაულები ხდება, თვითონ ხელისუფლება იგონებს-მეთქი. ერთი კაციც ვერ იპოვეს, მოუსყიდველი არ ყოფილიყო. რაც ყველაზე ყურადსაღებია, ეს ყველაფერი სულაც არ გახლდათ მიცვალებულის წინამე ლაქუცი, როგორც გამოძიების დასაწყისში ეგონა დემეტრიო ალდოუსს. არა, თქვენო უდიდებულესობავ, ეს იყო თქვენი თანამებრძოლების ბინძური თაღლითობა, ეს იყო ყველაზე სკანდალური და მკრეხელური თაღლითობა, როგორიც კი ოდესმე გამოჩეკილა თქვენს ფრთებქვეშ, რამეთუ ისინი, რომლებიც ამ სასწაულებს თხზავდნენ და თვითმხილველებს ფულით ყიდულობდნენ, თქვენი რეჟიმის თავგამოდებული მომხრეები არიან. დედათქვენის საპატარძლო კაბის ნაკუწებს სუვენირებად ყიდდნენ. აჰა. მის სურათს ხატებად და ავგაროზებად ასაღებდნენ. აჰა. კუბოდან რომ დამდნარი ყინული წვეთავდა, იმასაც ყიდდნენ. აჰა. ჰყიდდნენ ზეწრებს, რომლებზეც გვერდზე მწოლიარე, გულზე ხელმიდებული დედათქვენის სხეული იყო მოხაზული. ყოველივე ამას დიდი გასავალი ჰქონდა ინდუსთა ბაზრობებზე. აჰა, ტაძრის მთავარ საკურთხეველში მდგარ კუბოსთან უწყვეტ ნაკადად ჩავლილი ხალხი უღმერთოდ მოატყუეს, თქვენო ბრწყინვალებავ. მიცვალებული არ გაიხრწნა იმიტომ კი არა, რომ წმინდანი იყო, როგორც ხალხს ჩასძახოდნენ და თქვენი გულის მოგებასაც ცდილობდნენ, არამედ იმიტომ, რომ ჩვეულებრივი ფიტული იყო, ისეთივე წესით დამუშავებული და გაკეთებული, რა წესითაც სამეცნიერო მუზეუმებში გამოფენილ ცხოველებს აკეთებენ. თავად უნდა დავრწმუნებულიყავი ყველაფერში, დედა. გავხსენი თუ არა შუშის სარკოფაგი სამგლოვიარო ბაფთები ჩემს სუნთქვაზევე გაიფანტნენ ჰაერში ფორთოხლის ყვავილის გვირგვინი რომ მოგხსენი თავიდან შემზარა ოდესლაც ცხენის ფაფარივით უხეში თმა თითქმის ძირიანად ამოეწიწკნათ სუვენირებისთვის ხელში აგიყვანე დედა ხელში ავიყვანე შენი გამომშრალი ნაწილები ნაკუწებად ქცეულ ფატასთან ერთად გამოფხეკილ გოგრაზე მჩატე იყავი დედა ძველი სკივრის სუნი აგდიოდა მესმოდა ციებაშეყრილივით როგორ გითუხთუხებდა შიგნით რაღაც ჯერ სული მეგონა მერე მივხვდი ჩრჩილი იყო შენს შიგნეულს მისღგომოდა საცეცებით დიდხანს არ მომიწია შენი ხელით ტარება ნაწილებად დაიშალე ბედნიერი დედის სხეული ნაწილებად დაიშალა გულზე ხელმიდებულს მშვიდად რომ გეძინა ახლა მხოლოდ მტვერი და ნაზი გარსი დარჩა შენგან ფერფლის ღრუბელი დარჩა შუშის თვალები კი ეკლესიის ფილაქანზე გადმოცვივდნენ და რწყილებივით მოჰყვნენ ხტუნვას ჩამავალი მზის მეწამულისფერში ჩაძირულ ეკლესიაში შენ

არაფრად იქეცი დედა დაშლილ-დაფერფლილ მატერიად იქეცი. ალ-
გვასილებმა ნიჩბებით ახვეტეს და კუბოში ჩაყარეს ეს ყველაფერი. ამ-
ის დამნახავი ქვასავით გულმაგარი, იდუმალი ტირანი არც შერხეულა,
იგუანის უმოძრაო თვალები არაფერს გამოხატავდნენ არც მაშინ, როცა
ეს მოხდა და არც მაშინ, როცა იგი პირისპირ აღმოჩნდა — იმ ერთად-
ერთი კაცის წინაშე, ვინც გაბედა სიმართლის სარკის წინ დაეყენები-
ნა პრეზიდენტი. ქუჩაში ყურადღება რომ არ მიექციათ, ისინი ჩვეულე-
ბრივ ულერბო კარეტაში ისხდნენ და ფარდის ფოჩებიდან ადევნებდნენ
თვალს პაპანაქება სიცხეში თაღოვან ალაყაფში შეფარებულ ღატაკთა
ურდოებს. ამ ალაყაფთან ადრე თუ შხამიანი ყვავილები, მომთენთავი
ხილი და პატარა წიგნები იყიდებოდა საშინელ მკვლელობებსა და უილ-
ბლო სიყვარულზე, ახლა ლამის ყოველდღე გამოჰქონდათ გასაყიდად
დედამისის ბენდისიონ ალვარადოს კაბის ნაკუწები და სხეულის ნარჩე-
ნები. მონსენიორ დემეტრიო ალდოუსი თითქოს სათქმელს მიუხვდაო,
აზიმზიმებულ ხალხს თვალი მოაშორა და ჩურჩულით უთხრა, ჩემ მიერ
ჩატარებულ გამოძიებას დადებითი მხარეც აქვს, დავრწმუნდი, რომ ამ
უპოვარ ხალხს საკუთარ სიცოცხლესავით უყვარს თქვენი უმაღლესო-
ბა. მართლაც, თუ დემეტრიო ალდოუსი პრეზიდენტის სასახლეში ხელი-
სუფლების მიერ აღზევებულთა ვერაგობას, ანგარებასა და პირმოთნე-
ობას წააწყდა, სამაგიეროდ გარეთ დარწმუნდა, რომ ღატაკი ხალხი
არაფერს ელოდა მისგან, საერთოდ, არავისგან არაფერს ელოდა, არა-
ვისი იმედი არ ჰქონდა, მაგრამ, უბრალოდ, აღმერთებდა იმას, ვინც მა-
სზე მაღლა იდგა. თქვენო უდიდებულესობავ, ისეთი ჭეშმარიტი, ღვთი-
ური სიყვარულით უყვარხართ, ღმერთსაც კი შეშურდება. მაგრამ მის
უდიდებულესობას წარბიც არ შერხევია ამ აღიარებულ სიყვარულზე,
თუმცა სხვა დროს გული სიამით შეეკუმშებოდა ალბათ. ახლა კი მო-
თოკილი აღელვებით სუნთქვაშეკრულმა გაიფიქრა, ძალიანაც გინდო-
დათ არავის ვყვარებოდი მამაო განსაკუთრებით ახლა რომ წაბრძანდე-
ბით და თქვენი ცრუ სამყაროს ოქროს გუმბათქვეშ ჩემი შერცხვენითა
და ჩემი ვარამით მიეცემით ტკბობას მე კი აქ დავრჩები მარტო თქვენი
აღმოჩენილი სიყვარულით მხრებდამძიმებული დავრჩები მოსიყვარუ-
ლე მზრუნველი დედის გარეშე ცოცხალი რომ მყავდეს ხელს წამაშ-
ველებდა ამ ტვირთის ზიდვაში დავრჩები მარტოსული ამ ქვეყანაში
რომელიც მე არ ამომირჩევია ჩემი ნებით მივიღე ისეთი როგორიც თა-
ვად ნახეთ მივიღე ისეთი როგორიც იყო ათადან და ბაბადან ირეალუ-
რობისკენ მიდრეკილი მძღ...ის სუნად ამყრალებული უისტორიო მხო-
ლოდ სიცოცხლეზე მოფიქრალი ადამიანებით ეს ის სამშობლოა რომე-
ლიც ძალით მომახვიეს თავს არავის უკითხავს მინდოდა თუ არ მინდო-
და უფროსობა მამაო ეს არის ქვეყანა სადაც პრეზიდენტის კარეტაში
მზეზე ორმოცი გრადუსია ჩრდილში ოთხმოცდათვრამეტი პროცენტია
ტენიანობა ეს არის ქვეყანა სადაც ლამის დაგახრჩოს მტვერმა სადაც
გტანჯავს თიაქარი რომელიც ყავადანივით სტვენს წვეულებებზე სადაც
არავინაა ისეთი დომინოს პარტია მოგიგოს და სადაც მართლა არავის
არაფერი დაეჯერება თუ შეგიძლიათ შეძვერით ჩემს ტყავში მამაო.
ჩუმად ამოიოხრა, ოდნავ შესამჩნევად დაახამხამა იგუანის თვალები და
დემეტრიო ალდოუსს სთხოვა, ეს ჩვენი დღევანდელი გულახდილი და

მკაცრი საუბარი ჩვენ შორის დარჩესო. მამაო, თქვენ არაფერი გით-
ქვამთ ჩემთვის და მეც არ ვიცი სიმართლე, შევთანხმდით. რა ბუქმა უნ-
და, შევთანხმდით, თქვენო უმაღლესობავ, თქვენ არაფერი იცით, მეც
კაცურად გპირდებით, სიტყვა არავისთან დამცდება. ამის შემდეგ ბენ-
დისიონ ალვარადოს წმინდანობის დამადასტურებელი [illegible] არ-
ქონის გამო შეწყდა ამ საკითხზე ყოველგვარი საუბარი [illegible] არა-
კება. მთავრობის ოფიციალური თანხმობით რომმაც გამოაქვეყნა თავი-
სი ვერდიქტი. პრეზიდენტმა განკარგულება გასცა, შესაბამისმა სამსა-
ხურებმა არ დაუშვან საპროტესტო გამოსვლების მცდელობაც კი და
ყველას მოუწოდა დაეცვათ საზოგადოებრივი წესრიგი. მაგრამ წესრი-
გის დამცველთა ძალისხმევა — ქვეყანაში სიმშვიდე ყოფილიყო — ამაო
გამოდგა. მლოცველთა ურდოებმა საკათედრო ტაძარს კარი ჩამოხსნეს
და დე არმას მოედანზე კოცონები დაანთეს, იმავდროულად ნუნცთა რე-
ზიდენციას ქვები დაუშინეს და ფერადი ვიტრაჟები ნამსხვრევებად აქ-
ციეს თავის ანგელოზებიან-გლადიატორებიანად. ჩემო გენერალო, ან-
გრევენ. მაგრამ ის არც შერხეულა თავის ჰამაკში. ბისკაელ ქალთა მო-
ნასტერს ალყა შემოარტყეს, ჩემო გენერალო, შიმშილით სურთ ამო-
ხოცონ. ძარცვავენ ეკლესიებს, მისიონერთა სახლებს, ანადგურებენ ყვე-
ლაფერს, რასაც სულიერებასთან აქვს კავშირი. არც ახლა შერხეულა
ცოცხალი ყვავილების ჩარდახქვეშ გაკიდულ ჰამაკში, მაგრამ როცა
უკლებლივ ყველა მაღალჩინოსანმა სამხედრომ აღიარა თავისი უძ-
ლურება სახალხო მღელვარების ჩახშობის საქმეში, მაშინ კი იკადრა
ჰამაკიდან გადმობრძანება, სწრაფად გაეშურა კაბინეტისკენ, სადაც არ
შესულა ფიქრისა და განსჯის რამდენიმე თვე, შევიდა და აიღო კიდეც
მთელი პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე — ერთპიროვნულად გამო-
ეხატა ხალხის ნება საგანგებო დეკრეტით, რომელსაც, მართალია, სა-
კუთრივ მან შთაბერა სული, მაგრამ მაინც ერთგვარი შიშითა და რის-
კით გამოაქვეყნა, ძალოვანი სამსახურები არ გაუფრთხილებია და არც
თავისი მინისტრებისთვის უთხოვია რჩევა. დეკრეტის პირველსავე მუ-
ხლში თავისუფალი და სუვერენული ქვეყნის მოსახლეობის უმაღლესი
ნების თანახმად ბენდისიონ ალვარადო საერო წმინდანად ცხადდებოდა.
მას მიენიჭა ერის მფარველის, სნეულთა მკურნალისა და ჩიტების ოს-
ტატის ტიტული. მისი დაბადების დღე ეროვნულ დღესასწაულად გამო-
ცხადდა. მეორე მუხლში იგი ომს უცხადებდა ვატიკანს სამართლებრივი
და საერთაშორისო კონვენციების მიერ დადგენილ ნორმებში, აქედან
გამომდინარე ყველა შედეგით. მესამე მუხლში მოითხოვდა დაუყოვნე-
ბლივ გაეძევებიათ ქვეყნიდან არქიეპისკოპოსი, ყველა ეპისკოპოსი,
სამოციქულოების პრეფექტები, მღვდლები, მონაზვნები და საერთოდ,
სასულიერო წოდების ყველა პირი ან ის ხალხი, ვინც რაღაცით მაინც
იყო დაკავშირებული ეკლესიასთან, აქაურებიც და უცხოელებიც. მათ
სასტიკად ეკრძალებოდათ არა მარტო ქვეყნის ტერიტორიაზე ყოფნა,
არამედ ტერიტორიულ წყლებში ორმოცდაათ მილზე მოახლოებაც კი
სულერთია რა საქმეც არ უნდა ჰქონოდათ მათ და ბოლოს, მეორე მუ-
ხლში იგი აკანონებდა საეკლესიო ქონების, ტაძრების, მონასტრების,
სკოლების, მიწების, შაქრის ქარხნების, ფაბრიკებისა და სახელოსნო-
ების ექსპროპრიაციას, ეს ყველაფერი მას ეკუთვნოდა, მაგრამ ეკლე-

სიის სახელზე იყო რეგისტრირებული, ამიერიდან კი ცხადდებოდა წმ. ბენდისიონ ალვარადოსა და მისი ჩიტების ქონებად სიკვდილის მერე წინამდებარე დეკრეტის გამოქვეყნებისთანავე. დეკრეტი უმაღლესმა ხელისუფალმა ბეჭდით დაამოწმა, დაემორჩილეთ და შეასრულეთ. ბენდისიონ ალვარადოს საერო წმინდანად აღიარებას ბენეფიციარებს ბათქაბუთქი, ზარების რეკვა და საზეიმო სიმღერები მოჰყვებოდა. [illegible] მიკარებია მის გულს, პირადად ადევნებდა თვალს დეკრეტის შესრულებას, არავის არაფერს ანდობდა, აღარ სურდა გამხდარიყო სიცრუის მსხვერპლი, კვლავ მოიგდო ხელში სახელმწიფოს მართვის სადაოები, კვლავ ჩაეჭიდა ქვასავით ღვედებს აბრეშუმის ხელთათმნიანი ხელებით. ისევე როგორც იმ დიად წლებში, როცა მას კიბეზე აჩერებდნენ და თხოვდნენ ქალაქის ქუჩებში დოღის გამართვას, ისიც უსრულებდა მათ თხოვნას, თხოვდნენ ფეხებზე ტომარაწამოცმულ სირბილში შეჯიბრების გამართვის ნებას, ისიც რთავდა ნებას. იყო დრო, როცა იგი ღარიბთა ქოხმახებში შედიოდა და კრუხის კვერცხებზე დასმას თუ ხარის დაკოდვას ასწავლიდა ხალხს, ახლაც ზუსტად ასევე ჩაერთო საქმიანობაში. საეკლესიო ქონების ინვენტარიზაციის აქტს არა მარტო მოაწერა ხელი, არა მარტო ზედმიწევნით გაეცნო, არამედ პირადად ხელმძღვანელობდა ექსპროპრიაციის მიმდინარეობას, რათა არ გამოპარვოდა სურვილსა და ამ სურვილის შესრულებას შორის გაჩენილი თუნდაც პატარა ხვრელი, ამოწმებდა, რამდენად ესადაგებოდა ქაღალდების სიმართლე რეალური ცხოვრების სიმართლეს, ამოწმებდა, თვალს ადევნებდა საეკლესიო თემების განდევნის პროცესს. მათ ბრალად ედებოდათ უკანასკნელი მეფის აღურიცხავი განძის გატანის მცდელობა ორმაგძირიანი ჩემოდნებითა და ეშმაკური კორსაჟებით. ეს განძი, როგორც ამბობდნენ, სადღაც ღარიბთა სასაფლაოზე იყო ჩაფლული და მიუხედავად მრავალი წლის ძებნისა, ფედერალური ომის მესვეურებმა ვერაფრით ვერ მიაგნეს მას. ამიტომაც პრეზიდენტის ბრძანებით, ქვეყნიდან გასვლისას ყველა სასულიერო პირს მხოლოდ ერთი ხელი საცვლის წაღების უფლება ეძლეოდა და რაც მთავარია, გემზე ყველანი დედიშობილა უნდა ასულიყვნენ. ასეც მოხდა, სოფლის მღვდლებს, რომლებსაც დიდად არ ანაღვლებდათ თავიანთი სიშიშვლე, ოღონდ კი მალე დამთავრებულიყო მათი გასახლება, უკან მისდევდნენ ციებით ჯანგატეხილი მისიონერი სამხარეო პრეფექტები და მელოტი ეპისკოპოსები, მათ უკან ჩამწკრივებულიყვნენ მორცხვი მორჩილი დები, ასევე ტლანქი მისიონერი ქალები, რომლებსაც ბუნების მოთოკვა შეეძლოთ საკუთარ ნებაზე, მაგალითად, შეეძლოთ უდაბნოში ბოსტნის გაშენება, და ოდესღაც კლავიკორდზე დამკვრელი, ახლა კი სამონაზვნო ორდენის ნაზხელება და უკარება ტანადი ბისკაიელი ქალები. ყველას, ქალებსაც და კაცებსაც კანის მიხედვით ანსხვავებდნენ ერთმანეთისგან, კანზე ეხატათ კლასობრივი წარმომავლობა, სოციალური მდგომარეობა და საქმიანობა. მათი უსასრულოდ გაჭიმული რიგი მიემართებოდა საბაჟოს უზარმაზარ შენობისკენ კაკაოს თოფრაკებსა და გამხმარი თევზით სავსე ყუთებს შორის და ჰგავდა დამფრთხალ ცხვრის ფარას. ჭენტილიატორის სიგრილეში ქვისგან გამოთლილ ბერიკაცის წინ ჩავლისას ქალები ხე-

ლებით იფარავდნენ მკერდს და მორცხვად იმალებოდნენ ერთმანეთის ზურგს უკან. ბერიკაცი უმოძრაო თვალებით შესცქეროდა შიშველი ქალების უწესრიგო სვლას, შესცქეროდა სრულიად უგრძნობლად და შესცქეროდა იქამდე, ვიდრე ყველანი არ ავიდნენ გემზე. წავიდნენ, ჩემო გენერალო. პრეზიდენტმა უცებ აღმოაჩინა, რომ შიშველი ქალების უსასრულო რიგიდან მეხსიერებაში შემორჩა ერთი ქალი, დამფრთხალი დებიდან თვალის ერთი შევლებისთანავე გამოარჩია ერთი, თუმცა გამოსარჩევი და განსაკუთრებული არაფერი ჰქონდა. ტანდაბალი იყო, ჯანმაგარი ჩანდა, მსუქანი ბარძაყები, დიდებული ძუძუები და უხეში ხელები ჰქონდა. სექსის მიმართ ეტყობოდა მკაცრი იყო. თმა ბაღის სასხლავი მაკრატლით შეეკრიჭა, მეჩხერი კბილები ცულის პირივით ბასრი უჩანდა. ცხვირაპაჭუა და ბრტყელტერფა ერთი ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული ქალი იყო, მაგრამ მან რატომღაც მაშინვე დაადგა თვალი, მაშინვე იგრძნო, რომ ამ შიშველი ქალებიდან მხოლოდ ის იყო მისთვის სასურველი. ისე ჩაუარა, ზედაც არ შეუხედავს ბერიკაცისთვის, სამაგიეროდ რომელიღაც ტყის ნადირის სულის ამაფორიაქებელი სუნი დაუტოვა. ბერიკაცს სუნთქვა შეეკრა, შეუშჩნევლად გააყოლა თვალი, რათა ერთხელ კიდევ დაენახა ის ქალი და უცებ, როცა სიის ამოკითხვისას ოფიცერმა ხმამაღლა დაიძახა ნასარენო ლეტისია და იმ ქალმაც კაცის ხმით უპასუხა, აქ ვარო, ეს სახელი და აქ ვარ ბერიკაცის სულსა და გონებაში დამკვიდრდა სამუდამოდ, სამარის კარამდე. ასე შევიდა მის ცხოვრებაში ის ქალი, ვინც იმ დრომდე ახსოვდა, ვიდრე მისი უკანასკნელი ნაღვლიანი ფიქრები ნელ-ნელა არ მიინავლენ მეხსიერების ლაბირინთებში. და ახლა თითქმის მეხსიერებადაკარგულმა აღადგინა ქალის ხატი და ქაღალდის ზოლზე ჩაწერა, ჩემი სულის ლეტისია, ნახე, რას დავემსგავსე უშენოდ. ქაღალდი საგულდაგულოდ შეჩურთა სამალავში თაფლიანი ქილების გვერდით და კითხულობდა მაშინ, როცა რწმუნდებოდა, ვერავინ მხედავსო. რამდენჯერაც წაიკითხავდა, იმდენჯერვე შეჩურთავდა სამალავში და იმდენჯერვე განიცდიდა იმ წამს, ერთ სხივნათელ დაუვიწყარ წვიმიან დღეს რომ განიცადა. ეს დღე კი იმით იყო აღსანიშნავი, რომ აცნობეს ლეტისია ნასარენო სამშობლოში დავაბრუნეთო. გაუკვირდა, მე არავისთვის არაფერი მიბრძანებია, როგორ მიხვდნენო. მიხვდნენ კი ძალიან უბრალოდ. ჰორიზონტისკენ პირშექცეულ ნაცრისფერ სატვირთო გემს რომ შესცქეროდა, მან ჩურჩულით წარმოთქვა, ლეტისია ნასარენო, მერეც, რომ არ დავიწყნოდა ეს სახელი, ხმამაღლა გაიმეორა, ლეტისია ნასარენო, და უშიშროების სამსახურისათვისაც სწორედ ეს აღმოჩნდა საკმარისი, რათა ლეტისია მოეტაცებინათ იამაიკის ერთ-ერთი მონასტრიდან და ჩამოეყვანათ სამშობლოში. პირაკრული და გიჟის პერანგში გახვეული ქალი ხის ყუთში ჩაჩურთეს, ყუთი დალუქეს და კუპრით წააწერეს, ფრთხილად, შუშაა. ყუთს ახლდა ლიცენზია, რის ძალითაც ნება ეძლეოდათ ქვეყანაში შეუფერხებლად შეეტანათ ორი ათას რვაასი უძვირფასესი ბროლის ბოკალი სასახლის სარდაფში შემონახული საპრეზიდენტო შამპანურისათვის. ყუთი ნახშირით სავსე გემის ტრიუმში დადგეს და ტრიუმვიდანვე მიაბრძანეს სასახლეში ძილის აბებით გაჭყეპილი. ღრმად ჩაძინებული და მთლად დედიშობილა ჩააწვინეს საპატიო სტუმრებისთვის განკუთვ-

ნილ კაპიტელებიან საწოლში. სწორედ ასეთს ისსენებდა ბერიკაცი მერე და მერე, შიშველს, სხივიანი დღის სამ საათზე, მოსკიტების ბადის ქვეშ. ლეტისია ნასარენოს ისევე ეძინა როგორც სხვადასხვა დროს სძინებია აქ ასობით სხვა ქალს, რომლებიც მის დაუკითხავად მოეყავდათ სასახლეში და რომლებსაც ის ლუმინალის ლეთარგიაში ჩაძინებულთ ისაკუთრებდა, მაგრამ დამარცხების სირცხვილსა და სიფერფლეს [illegible] ვერსად ემალებოდა და სწორედ ეს სტანჯავდა ბერიკაცს. მაგრამ ახლა ლეტისია ნასარენოსთვის ხელიც არ დაუკარებია, რაღაც ბავშვური გაოცებით შესცქეროდა, აკვირდებოდა, ეს ის შიშველი ქალია, საბაჟოზე რომ გამოვარჩიე თუ სხვა არისო. გამოცვლილი ეჩვენა. თმა დაუხვევიათ, ინტიმური ადგილი გაუპარსავთ, ფრჩხილები წითლად შეუღებავთ ხელ-ფეხზე, ტუჩებიც პომადით გაუთხაპნიათ, ლოყები შეუფერადებიათ, წამწამები დაუწებებიათ. ერთი სიტყვით, მთელი სხეული კეთილსურნელებას აფრქვევდა, სადღაც გამქრალიყო ტყის ნადირის იდუმალი, მომნუსხავი სუნი. ამ ყეყეჩებმა ყველაფერი გააფუჭეს, მეტისმეტად მოინდომეს, კოსმეტიკური სქელი ფენის ქვეშ ქალი აღარც ჩანდა შიშველი. კაცი თვალს არ აშორებდა, იგი ნელ-ნელა გამოდიოდა ძილის ბურანიდან, ხედავდა, იღვიძებდა, ხედავდა, ქალი მას ხედავდა. დედა, ნამდვილად ის არის, ჩემი ულონობის ლეტისია ნასარენოა. საბოლოოდ გამოფხიზლებული ქალი შიშისგან გაშრა, კვამლისფერი ბადის მიღმა თითქოს ქვისგან გამოთლილი ბერიკაცი იდგა და მდუმარედ შემოსცქეროდა. ქალმა არ იცოდა, რომ ეს ბერიკაცი მიუხედავად თავისი საარაკო ასაკისა და ძალაუფლებისა, მასზე მეტად ჩანდა შეშინებული. კაცმა უფრო მეტად იგრძნო მარტოობა, სასოწარკვეთა და უსუსურობა, ვიდრე მაშინ, როცა პირველად სცადა ქალის შეცნობა. ახლა უფრო დაბნეული ჩანდა, ვიდრე მაშინ, როცა მამაკაცი გახდა, როცა ჯარისკაცების ერთ მეძავ ქალს მალულად უთვალთვალებდა, შეღამებულზე მთლად დედიშობილა რომ ბანაობდა მდინარეში. რიგიანად არც დაუნახავს ის დიაცი, ესმოდა მხოლოდ ცხენივით ფრუტუნი და წყლის დგაფუნი და ამის მიხედვით ვარაუდობდა ქალის სხეულის სიძლიერესა და სიმკვრივეს. სიბნელეში მის ყურთასმენას სწვდებოდა ქალის დახშული, ეული სიცილი, სიბნელეში გრძნობდა, როგორ ხარობდა ქალის სხეული წყალში, თვითონ კი შიშით დადამბლავებული იდგა. მართალია, სამი სამოქალაქო ომი უკვე გამოვლილი ჰქონდა არტილერიის ლეიტენანტის ჩინით, მაგრამ ჯერ ისევ უბიწო ყმაწვილი იყო. და იმის შიშით, კვლავ უბიწო არ დავრჩეო, ყველა სხვა შიში გადალახა და წყალში გადაეშვა მთელი თავისი აღკაზმულობიანად, ღვედებით, გეტრებით, ჩანთით, მაჩეტეთი და თოფით. ისეთი ხმაური აუტეხა წყალს, ისე ფართხუნობდა თავისსავე აბგარ-აბჯარსა და ამოუხსნელ შიშში გახლართული, რომ ქალმა იფიქრა, ალბათ რომელიმე ჯარისკაცი ცხენით გადის მდინარეშიო, მაგრამ რომ დაინახა, ცხენოსანი კი არა, ერთი გასაცოდავებული და შეშინებული ყმაწვილი კაცი იყო, გულმოწყალედ გაუწოდა ხელი დაბნეულობის წყვდიადში ჩაძირულს. მაგრად ჩამეჭიდე მხრებში, დინებამ არ წაგიღოს, ჩაცუცქული ნუ ხარ, მაგრად დადექი, მშვიდად ისუნთქე, თორემ დაიხრჩვებიო, დედაშვილურად არიგებდა ჭკუას და ისიც ბავშვივით მინდობოდა ქალს. დედაჩემო, ბენდისიონ ალვარადო, როგორ ახერხებენ ქა-

ლები, ყველაფერს წამში აულონ ალღო, ეშმაკმა დალახვროს, როგორ ასერხებენ ქალები კაცობას, ფიქრობდა ყელამდე წყალში ჩამდგარი ყმაწვილი. ამასობაში კი ქალი მას ათავისუფლებდა ყველა იმ სირცხვილეული აღჭურვილობისგან, რაც განკუთვნილი იყო სახმელეთო ბრძოლებისთვის, მაგრამ სრულიად ზედმეტი და გამოუსადეგარი იყო ახლა [illegible] წყალთან უძნელეს ბრძოლაში. ყელამდე წყალში ჩამდგარი, შიშისგან [illegible] ყმაწვილი ქალის სხეულის იმედადღა იყო. როგორც იქნა გაუხსნა ქამარი, ღილები, ვერ წარმოიდგენთ რა მომივიდა, როცა ხელი მომიხვდა უზარმაზარ ტესტიკულზე, რომელიც გომბეშოსავით ტივტივებდა ჩაწყვდიადებულ წყალში. შეშინებულმა ქალმა მაშინვე გაუშვა ხელი, ახლავე წადი დედაშენთან, იქნებ ვინმეზე გაგცვალოს, ასეთი არაფრად ვარგიხარ. სწორედ ის შიშის ზაფრა დაეუფლა ახლაც ლეტისია ნასარენოს შიშველი სხეულის დანახვაზე, ოღონდ უფრო ძლიერი და მტანჯველი, გრძნობდა, გამბედაობა არ ეყოფოდა გადაშვებულიყო ლეტისია ნასარენოს იდუმალი წყლების მდინარებაში მანამ, სანამ თავად ლეტისია არ გამოიჩენდა გულმოწყალებას, და ამ გულმოწყალების მოლოდინში საკუთარი ხელით უსწორებდა საბანს, გრამოფონს ფირფიტის გაცვეთამდე უკრავდა, განსაკუთრებით ხშირად ატრიალებდა სიმღერას უბედურ დელგადინაზე, რომელიც საკუთარ მამას შეჰყვარებოდა. ბერიკაცის ბრძანებით ლეტისიას საძინებელში ხშირად ცვლიდნენ ნაჭრის ყვავილებს, რადგან ცოცხალი ყვავილები ქალის ხელის მიკარებაზეკე ჭკნებოდნენ. კაცი მზად იყო შეესრულებინა ლეტისიას ყველა ასირება, მაგრამ საძინებლიდან გასვლის უფლებას მაინც არ აძლევდა, ქალი მანამ იქნება გამოკეტილ ოთახში, სანამ არ მიხვდება, რომ მას სხვა გზა არ აქვს, სურს თუ არ სურს, ამ ბერიკაცის საყვარელი უნდა გახდეს, თანაც ყოველმხრივ უზრუნველყოფილი. შიშისგან თავდახსნილი ქალი ამას საკმაოდ სწრაფად და კარგად მიხვდა, ბოდიშობანა გვერდით გადადო და ბრძანებების გაცემა დაიწყო. გენერალო, ფანჯარა გააღეთ, ვიხუთები. ისიც აღებდა. დასურეთ, მთვარის შუქი პირდაპირ სახეში მცემს. ისიც ხურავდა. ქვეყნის ხელისუფალი ისე ემორჩილებოდა ქალის ყოველნაირ ბრძანებას, თითქოს სასიყვარულო სურვილს უსრულებსო, მაგრამ მორჩილებასთან ერთად საკუთარი თავის რწმენაც ნელ-ნელა ემატებოდა და ბოლოს და ბოლოს ერთ სხივიან და წვიმიან დღეს გაბედა, ბადეში შეძვრა, ქალს ჩაცმული მოუწვა ლოგინში და გაირინდა, ქალი არ გაუღვიძებია. არა ერთი ღამე გაატარა ასე ქალის გვერდით, მაგრამ მაინც მარტომ. ისუნთქავდა მისი სხეულის იდუმალ სუნს, ტყის ნადირის სუნს, ესმენდა მის ცხელ სუნთქვას. ერთხელაც ქალს გამოეღვიძა და გვერდით მწოლარე კაცი რომ დაინახა, შეშინებულმა უყვირა, წადით აქედან, გენერალო. ისიც თავაზიანად წამოდგა, მაგრამ როგორც კი ქალს ჩაეძინა, მაშინვე დაბრუნდა და ისევ მიუწვა გვერდით. თითქმის მთელი წელიწადი ტკბებოდა ასე, თითსაც არ აკარებდა ოთახში გამოკეტილ ქალს. ბოლოს და ბოლოს ქალიც მიეჩვია ამ ყოფას, თუმცა ჯერაც ვერ გაეგო, საით იყო მიმართული სულის დინება ამ უცნაური ბერიკაცისა, რომელმაც უარი თქვა ძალისმიერ ტკბობასა და ამქვეყნიურ სიამეზე და მხოლოდ მისი სხეულის ცქერით კმაყოფილდებოდა. მაგრამ დადგა კიდევ ერთი ნათელი, წვიმიანი დღე და უცნაურმა ბერიკაცმა გადაწყვიტა იე-

რიში მიეტანა ლეტისიაზე და როგორც ოდესლაც მდინარეში, სადაც ჯარისკაცების კახპა დიაცი ბანაობდა, ყველაფრიანად, რაც ზედ ეცვა და ეკეთა, ქამარი, ხმალი, უნიშნო უნიფორმის ჯიბეში გასაღებების ასხმული თუ ოქროს დეზებიანი ჩექმები, ევრევე დააცხრა ქალს, რომელსაც, რა თქმა უნდა, მაშინვე გამოელვიძა და დაფეთებულმა [illegible] მასზე აბიბღეებული ბებერი ცხენის გადაგდება, მაგრამ ცხენ[illegible] ქალიანდა, ლეტისია მიხვდა, ასე ვერაფერს გააწყობდა, დრო უნდა მოეგო. მოიხსენით ეგ თქვენი აღკაზმულობა, გენერალო, მკერდი დამისერა. მოიხსნა. გასაღებები ამოიღეთ ჯიბიდან, ლამის თეძო გამიხვრიტონ. ამოიღო. ყველა მოთხოვნა შეუსრულა, თუმცა სამი თვე მაინც დაჭირდა, ქამრიდან ხმლის მოხსნას რომ დათანხმებოდა. ეგ თქვენი ქამარ-ღვედები სულს მიხუთავენ, გენერალო. ერთი თვეც მუნდირის გახდაზე ემუდარა, სულს მიხუთავენ-მეთქი, გენერალო. ეს იყო ხანგრძლივი მძიმე ბრძოლა. ქალი დროის გაყვანას ცდილობდა, არც ბერიკაცის განაწყენება სურდა, ის ხომ ყველაფერზე ეთანხმებოდა, ყველაფერს უსრულებდა. ერთხელ კი ორივესთვის მოულოდნელად მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო ბოლოს და ბოლოს. ლეტისია ნასარენოს მოტაცებიდან მესამე წლისთავზე მოხდა გარდაუვალი კატაკლიზმი. ღამით კაცმა თბილი ხელისგულები — რომლებზეც ბედის ხაზს ამაოდ დაუწყებდით ძებნას — ქალური მორჩილების რომელილაც ამოუხსნელ, იდუმალ სიმს შეეხო და ლეტისიასაც თავისდა გასაოცრად მთლად გაოფლილსა და სიკვდილის ცახცახით ატანილს გაელვიძა. არც უცდია გადაეგდო მასზე დამხობილი ნადირი, პირიქით, მუდარით შესძახა, სწრაფად გაიძრე ფეხზე, ჰოლანდიური ზეწრები არ დამისვარო. მანაც გაჭირვებით გაიძრო. შარვალიც მიაყოლე, ბანდაჟიც, სწრაფად, ჩემო სიცოცხლევ, ჩაცმულს ვერა გგრძნობ. ბერიკაცი ვერ მიხვდა, როგორ და რანაირად აღმოჩნდა იგი იმ ფორმაში, რა ფორმაშიც დედამისმა მოავლინა ამ ქვეყანას მონასტრის თაღქვეშ ბაბუაწვერების მელანქოლიურ შუქზე. როგორც კი ეს იგრძნო, ბიზონის ძალა მოეცა, მარადიული, აკვიატებული შიში გაუქრა, ერთი დარტყმით დაანგრია წარსული და პირქვე ჩაემხო დუმილის უფსკრულში, სადაც მხოლოდ ლეტისია ნასარენოს კბილების კრაჭუნი ისმოდა, თითქოს გემის ანძები ჭრიალებენო. ლეტისია ნასარენო. აქ ვარ. ქალი ორივე ხელით ჩამაფრინდა თმაში, რათა მარტო ის არ ჩაძირულიყო მორევში. მაგრამ კაცმა მაინც მიატოვა იმ მორევში, თვითონაც მარტო დარჩა წყვდიადში, საკუთარ თავს ეძებდა საკუთარ მლაშე ცრემლში, საკუთარ დორბლში ჩამბალა, საკუთარი შეძრულობით შეძრული. დედაჩემო, ბენდისიონ ალვარადო, როგორ ვიცხოვრე ამდენი წელი უამჭარიშხლოდ. ტიროდა სადღაც შიგნით ტკბილ-მწარე გრძნობებით გაოგნებული, ძალას აცლიდა ლამის ნაწლავებში გამჯდარი გამოუთქმელი შვება, ვერაფრით გაეგო, რატომ დაუფლებოდა აგონია მთელ მის სხეულს, რატომ გრძნობდა თავს ყელგამოღადრულ ნადირად, ვერაფრით აეხსნა, რა იყო ის ცხელი და მყრალი მასა, რომელიც აბინძურებდა ქათქათა ზეწარს და შუშასავით გამჭვირვალე ჰაერს მოსკიტების ბადის ქვეშ. სად გაქრა სხივნათელი წვიმიანი დღე. ეს ხომ მძღ...ია, გენერალო, თქვენი მძღ...

(დასასრული შემდეგ ნომერში)

„საუნჯე“ 30 წლისაა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„საუნჯის“ რედაქციას

გულითადად მოგილოცავთ თქვენი მშვენიერი ჟურნალის იუბილეს. თქვენ დაარსებიდანვე მოჰყვებით „საუნჯეს“ და თავდადებით ემსახურებით ამ დიდ საქმეს, მძიმე წლებში, როცა უსახსრობის გამო ბევრი ჟურნალი და გაზეთი დაიხურა, თქვენმა რედაქციამ უჰონორაროდ მოახერხა ჩვენი ახალგაზრდობისათვის შეენარჩუნებინა ჩვენი საყვარელი ჟურნალი. ამისათვის მთელი საზოგადოების მადლობას იმსახურებს იგი.

„საუნჯეში“ მოღვაწეობდნენ და დღესაც მოღვაწეობენ ჩვენი გამოჩენილი მწერლები და მთარგმნელები. ეს უკვე გულისხმობს ჟურნალის მაღალ ღირსებას, მის დიდ პოპულარობას.

თქვენი ჟურნალის დამსახურება მარტო ის კი არ არის, რომ ამ ოცდაათი წლის განმავლობაში ქართული ლიტერატურა მრავალი უცხოელი მწერლის შედევრებით გაამდიდრა და ჩვენს ახალგაზრდობას საშუალება მისცა თანამედროვე დიდი მწერლების უახლოესი თხზულებანი გაეცნო. ეს თავისთავად ფასდაუდებელი საქმეა. ნაკლები მნიშვნელობა არც იმას აქვს, რომ რედაქციამ გაბედულად გაუღო კარი ნიჭიერ ახალგაზრდებს. „საუნჯის“ ფურცლებზე დაოსტატდნენ ახალგაზრდა მთარგმნელები, რომელთაგან ზოგი ჯერ კიდევ სტუდენტია.

გისურვებთ ასეთივე წარმატებით გაგეგრძელებინათ ეს საშვილიშვილო საქმე.

ვახტანგ ჭელიძე.

სიხარულით ვესალმები შესანიშნავი და აუცილებელი ჟურნალის 30-ე წლის იუბილეს

რას ნიშნავს თარგმნა? ეს ნიშნავს მსოფლიოთი სუნთქვას, მსოფლიოს შეგრძნებას და შეცნობას. ახალ დროში სრულიად შეუძლებელია არსებობდეს ლიტერატურა, რომლის დიდ ნაწილს და შესაძლოა, მომეტებულ ნაწილსაც კი, თარგმნილი პროდუქცია არ წარმოადგენდეს. მთარგმნელთა მოღვაწეობა ყოველთვის ერთგვარი ბარომეტრია ლიტერატურული და კულტურული ინტერესებისა, რადგან იგი სასურველი

ფონი, ხოლო ხშირად სტიმულის მომცემი ფაქტორია ამ უკანასკნელისა. ცალკეულ მაღალმხატვრულ თარგმანებში გამოვლენილმა ექსპრესიულმა ძალმოსილებამ და ენობრივმა ენერგიამ შეუძლია თავად მოიხვეჭოს შინაგანი უფლებამოსილება და ამდენად, ენობრივი პოლიტიკის სწორი ორიენტაციის წყაროდ იქცეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს, ახალი ტექნოლოგიური პროცესების ტოტალური უზურპაციის პირობებში თანადროული ენები კარგავენ თავდაპირველ ფესვეულ იერს და ურთიერთობის საშუალებად — თავისებურ „ხურდა ფულად" გადაქცეულნი ცვდებიან. ჰაიდეგერის თქმით: ყველგან სწრაფად მზარდი გაპარტახება ენისა მარტო სიტყვით სარგებლობის ესთეტიკურ და მორალურ პასუხისმგებლობას კი არ ამცირებს, არამედ თავად ადამიანის არსებობასაც ემუქრება.

ენის ეს „გაპარტახება" დღეს იმდენად თვალსაჩინოა (განსაკუთრებით მასმედიასა და ტელევიზიაში), რომ მაგალითების მოტანასაც არ საჭიროებს. ამას ყველა ხედავს. ფრაზეოლოგიური და სინტაქსური კალკების მოზღვავებამ წალეკა ქართული ენის ბუნებრივი სტრუქტურა. რა განაპირობებს ამას? საჩქაროდ გამოსაქვეყნებელი ტექსტების მთარგმნელთა ლიტერატურული უმწიფრობა და შემოქმედებითი უილაჯობა, უბრალოდ — მათი უკულტურობა, თარგმნის ელემენტარული კანონებისა და ჩვევების უცოდინარობა. დაუშვებელია ქართული ენის (მხატვრულის, საკომუნიკაციო და სხვ.) სილრმისეული, ბუნებრივი ენერგიის გამოფიტვა, მისი თვალით უხილავი, მაგრამ მეტყველების ხალხურ წიაღში ასახული მოდელის უგულებელყოფა...

ქართველი მთარგმნელების ჟურნალი „საუნჯე" სწორედ ამ სადარაჯოზე დგას. ის პირნათლად ემსახურებოდა და ემსახურება იმ ენის შინაგან უნივერსალობას და პერცეფციულ ძალმოსილებას, რომელიც დღეს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ენაა.

მე სიხარულით ვესალმები ამ შესანიშნავი და აუცილებელი ჟურნალის 30-ე წლის იუბილეს.

თამაზ ჩხენკელი.
2004. VIII.

ძვირფასო „საუნჯევ" და ყველა საუნჯელო,
ჩვენო მშვენიერო ქალბატონო ნანა.

გილოცავთ სახელოვან იუბილეს. იცოდეთ, ძალიან გვჭირდებით, ძალიან დიდ საქმეს აკეთებთ. თქვენ ამდიდრებთ და ამშვენებთ ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებას. ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, კვლავაც იღვაწეთ ჩვეული შემართებით.

თქვენი მკითხველი და თაყვანისმცემელი

თამარ ჯავახიშვილი.
23 აგვისტო, 2004.

ინგლისური პოეზია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინგლისურიდან

თარგმნა გიორგი ნიშნიანიძემ

უილიამ შექსპირი

სონეტები

●

თუ გსურს ოდესმე მომიძულო, ახლა გიჯობდეს,
ახლა, ჩემს ძლევად როცა აღდგა მთელი სამყარო,
ბედის შუღლს და ქიშპს შეუერთდი, სულის ღრიჭომდე
მგესლე და ცრემლი სინანულის არ დამაღვარო.
გვედრი, ნუ მოხვალ, თუ გავუძელ ამ გამეტებას,
თუ დავიურვე ტკივილი და ზაკვა ბოროტის —
ქარიშხლის შემდეგ ქუში დილა ნუ გათენდება,
ნუ განსრულდება სიძულვილი ასე ბოლომდის.
ნუ მიმატოვებ, როცა შხამი ყველა კაეშნის
შეწოვილი და დამცხრალია — მაშინ დამაგდე,
როცა ვირღვევი — დაე, ვიგრძნო უზენაესი
ტანჯვა და ბედის სისასტიკე და სითამამე,
რომ სხვა წვრილმანი ჭირი ლხინად იქცეს ობოლი
სულისთვის შენი განშორების დაუნდობლობით.

●

შენ ახლა ჩემში წელიწადის ისეთ დროს უჭვრეტ,
როს ტოტებს ორი ფოთოლიღა ჰკიდია მხოლოდ.
ქარი ჰქრის ცივი, მაგრამ შიშველ ხეებს და ბუჩქებს
შემორჩათ ბინდში მგალობელი ჩიტების ქორო,
შენ ჩემში ხედავ მოგუგუნე დღის მოვანებას,
როცა დასავლეთს გარს ეკვლება ბინდი მუმლივით
და ღამე მწუხრის მქრქალ ფერებს და ყრუ ხმოვანებას
თანდათან ნთქავს და ბეჭდავს თავის შავი დუმილით,
შენ ახლა ჩემში იმ დიდ ხანძრის ათინათს ხედავ,
თავისი სიყრმის ნაცარსა და ფერფლს რომ დაჰნათის

და ძლეულს თავის ძლიერებით ყველაზე მეტად,
ყველაზე მეტად ეჭირვება შვება მარადი.
შენ ყოველივე ამას უმზერ და უფრო გიყვარს
იგი, ვინც თითქმის გარდავიდა უკუნის მიღმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

ნულარ მიტირებ, სულს როგორც კი დანთქავს უკუნი,
როგორც კი მარტოს მოგესმება შორით, უეცრივ,
ჩემი სიკვდილის მაუწყებლად ზარის გუგუნი,
რომ გარდავეგე და მტვერქმნილი მტვერს შევუერთდი.
ნუ მოიგონებ ხელს, რომელიც ამ სტრიქონს წერდა —
ისე მიყვარხარ და იმ წმინდა ცად მესახები,
რომ მაშინათვე დავიწყების ბურანში შემრთავ,
როგორც კი ოდნავ დაგიბინდავს სახეს ნაღველი.
ო, მის ლექსებში, ვინც მიიქცა მიწად და ქვიშად,
ნუ ჭვრეტ სიყვარულს გარდამოსულს ვიდრე ცათამდე,
ნურც იმაზე მეტს, რასაც ჩემი სახელი ნიშნავს —
ჩემს ცხოვრებასთან ერთად შენი ტრფობაც გათავდეს.
ნაღვლიან თვალში რომ ჩაგხედავს ბრძენი სამყარო,
არ დაგაბნიოს და სიცილი არ დაგაყაროს.

●

ჩემთვის, ძვირფასო, შენ არასდროს არ დაბერდები,
სწორედ ასეთი სამი წლის წინ მყავდი ნანახი
და იგივ დარჩი — ამოშრიტა დაუშრეტელი
სამმა ზამთარმა სიამაყე ყველა ბალახის.
სამჯერ მოაზრო გაზაფხული სუსხმა ნოემბრის,
გაჰქრა აპრილის სურნელება გვალვის ღადარში,
სამჯერ დაიწვა მარტის მწვანე ნაწარმოები,
მე როგორც მახსოვს, და შენ მარტო ერთი გადარჩი.
მშვენიერება, ვით ისარი კედლის საათზე,
იპარავს წუთს და ქურდობაზე ვერვინ წაასწრებს,
ველარც მე გამჩნევ ცვლილებას და ასაკს ბრმასავით,
სულ არ იცვლება შნო და ეშხი შენი მეტადრე,
თითქოს ჯერ კიდე არ შობილა შენი ასაკი
და მოკვდა შენი სილამაზე შენს გაჩენამდე.

●

საწყალო სულო, ბინადარო ცოდვილი მიწის,
თითქოს გარს ცხენთა რემა გერტყას გაუხედნელი,

სულ ბნელში ცხოვრობ და თავი რომ ძლივს გაგაქვს
სიმწრით,
ასე მდიდრულად რად მოგირთავს გარე კედლები?
მე მიკვირს, ოდნავ რომ არ უფრთხი სტუმარი ხარჯებს,
რომ დაეხარბე წამიერ და მყიფე სამყოფელს,
თუ ყოველივე უნდა მატლებს და ჭიებს დარჩეთ,
თუ ხვალ მაგ მალალ და ნათელ თაღს ზედ დაგამხობენ!
შენ ხომ შენი ყმის მონაგარით უნდა გეცხოვრა,
შენს ნაცვლად იმას ეწუწუნა, იმას ეჯაფა,
გადაგებრალა მისთვის ყველა შენი შეცდომა,
სახლს რას სჩიოდი, კარგი გესვა, კარგი გეჭამა.
მაშინ შენ სძლევდი მოსისხლე მტერს, ანუ თვით
სიკვდილს,
ყველა მოკვდავი დღეს სიცოცხლის ფასად რომ იხდის.

●

მას, ვისაც ძალუძს მოუტანოს ზიანი მავანს
და თავს იკავებს, ძალუძს ახსნას მისი ბუნებაც,
ვინც ცეცხლს სხვას უნთებს და წყალს პირში იგუბებს თავად
და არასოდეს არ დაჰყვება ქვეყნის ცთუნებას.
მარტოდენ მსგავსნი იმკვიდრებენ წყალობას ცისას,
მსგავსნი ხარჯავენ წუთისოფლის ყველა სიმდიდრეს
და ინახავენ სახეს თვისას, ოდითგან ვისაც
სხვანი მორჩილად მსახურებენ ვიდრე სიკვდიმდე.
შროშანი ისევ გაზაფხულს უყვარს — იგი თავისთვის
არ ცხოვრობს — ჰყავის ხანმოკლედ და ჰქრება მყისიერ,
ხოლო თუ გვერდით სარეველას სუნთქვას განიცდის,
ვერ ეგუება მას და მსხვერპლიც ხდება მისივე,
ანუ კეთილად მას კეთილი სუნი შერაცხავს,
თორემ გახრწნილი ჩამოაჭკნობს სარეველასაც.

●

სულის სიმდიდრე, დახარჯული სირცხვილის ფასად,
ვნებაა, ხოლო ვიდრე იწვის, ვიდრე მოქმედებს,
ვნება ჭირია, ღალატია, სისხლია, რასაც
უფრთხის ყოველი და ვერ უძლებს ველარც მოკეთე.
ვერ იყვარებენ კარგა ხანი, გმობენ მყისიერ,
გვერდით ჩაუარს გულუბრყვილო, მაგრამ გონება
უცებ იზიზღებს მას, როგორც კი გამოიძიებს,
ვითარ სატყუარს, ნასროლს მისდა დასამონებლად
და შლეგი ხდება — ძირის ძირებს ჩხრეკს და ამაყობს
და ბედნიერიც არის ხოლმე მისივ დასტურით,

მაგრამ მერე კი უსაშველო და უსამანო
ჩნდება წუხილი, ვით ტკბილ-მწარე ბანგი მაცთურის,
ეს ყველამ ვიცით და ვინ აღჩნდეს მცოდნედ სიბილწის,
შუქს რომ იმ ცას ჰფენს, ქვესკნელისკენ ჩვენ რომ მიგვიძღვის?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

როდესაც ვფურცლავ ქრონიკონს გარდასულ დროთა,
სივრცე მშვენიერ ხატ-სახეთა დასით ივსება,
ლამაზი სიტყვა კიდევ უფრო ლამაზს ხდის ოდას
მათ ბანოვანთა, მწყაზართა და დარბაისელთა.
ვუყურებ, ლანდი თვალთა, ტერფთა, გინდა ბაგეთა
ვით იკვეთება და თანდათან რარიგ ცხადდება
და ვგრძნობ, ანტიკურ სიტყვამ ვითარ გადაამეტა,
ვერ დააბნევდა იმ დიდ სიტყვას შენი ხატებაც —
ძველები ჩვენს დროს უგალობდნენ და უმეცრებით
თუ წინათგრძნობით დააბანდეს ოქროს სიტყვები;
ისინი ლამაზს ღვთაებრივი თვალით ეძებდნენ,
მაგრამ დააკლდათ იდუმალი ნიჭი მიგნების.
დღეს ჩვენთვის უკვე ყველაფერი არის ნათელი:
ვჭვრეტთ ღვთიურს, მაგრამ ალარ მოგვდევს სიტყვა მათებრი.

●

ვერც სრა-სასახლის მარმარილო და ვერც კვარცხლბეკის
გრანიტი ვერა, ვერ მოიჭამს ამ მძლავრ სტრიქონებს —
შენ ჩემი ლექსის დარბაზებში არ განქარწყლდები
და სულ იბრწყინებ სიტყვად, მე რომ შენთვის ვიგონებ.
როს ყოველივეს დაშლის ომის სული მრისხავი
და ხუროთმოძღვრის ჩანაფიქრის ფესვს ამოძირკვავს,
ვერ შეარხიოს, ვერ დააკლოს ერთი მისხალიც
აქ შენს ხატ-სახეს, ასე ცოცხალს სულით-ხორციან,
შენ ისევ ივლი და სივრცეებს კვლავ გამოძებნი,
დადრკება შენს წინ ბჭე სიკვდილის და ბოროტების,
გალიარებენ მომავალი შორი მოძმენიც,
განკითხვის დღისკენ რომ გაგვრეკენ თავგამოდებით
და ვიდრე შენგნით მოვა ივი დღე უმთავრესი,
შენ აქ იცხოვრებ... და იფრფინებ მიჯნურთ თვალებში.

●

თუ არ არსებობს რამ ახალი, ხოლო ის, რაიც
დღესაც არსებობს, უკვე იყო — მაშინ გონება
ორმაგად წვალობს, რაკი „ახალს“ იძიებს მაინც
და ძიებისას ძველის ტვირთსაც თუ ემონება.
მაშ, საგნებს უნდა უკუმზერით შეხედოს კაცმა —

ალბათ მზის ხუთას ბრუნვას მაინც უნდა გადავცდე:
— სად მომანათებს შენი სახის ღვთიური განცდა,
ვით ჩამოიქნა სული შენი, რომელ ათას წელს?
მინდა გავიგო, რას ამბობდნენ ძველები შენზე,
ოდეს გიმზერდნენ შექმნილს ნათლის სიკაშკაშიდან
ამდენს გაქებდნენ, თუ მრავალწილ მე მეტი შევძელ,
თუ ზუსტად ასეთ საოცრებად გრაცხდნენ მაშინაც?
ჩანს, ძველთა დღეთა აზრი მმსჭვალავს დღეს უაღრესად,
რაკილა ასეთ თაყვანსა ვცემ მდარე საგნებსაც!

●

ვითარ მსახიობს ახალბედას, ტექსტს რომ ივიწყებს
და რეტდასხმული სცენაზე რომ დგას სამარცხვინოდ,
ანდა შლეგს, ვისაც იმდენად ძლევს თვისი სიფიცხე,
რომ მერე თითის განძრევასაც კი აღარ ცდილობს,
მეც, უნდობლობის შიშითა თუ განცდით ლმობისა,
ვერ გამომითქვამს ოდნავადაც ჩემი გულისთქმა
და უნებლიედ უმწეობის გრძნობა მომიცავს
ესდენ ძლიერს და ამაღლებულს სიყვარულისგან:
მჭერმეტყველებად იქცეს ჩემი მზერა უსიტყვო,
დამუნჯებულის სულის ჩემის ერთგულ შიკრიკად,
რომ გულს, პირთამდე სიყვარულით სავსეს, უსმინონ
უმეტეს, ვიდრე ენასა თუ წყაროს ლიკლიკას —
ვინ შეისმინოს იმ მდუმარე, უცხო წიგნიდან,
ანდა რა თვალი ახსნის ბეჭედს და წაიკითხაის?

●

მე სიკვდილს ვუხმობ — ან როდემდე გამიძლოს გულმა,
როცა ვუყურებ, მთხოვარს როგორ გვერდს უვლის ყველა
და ულირსს თავზე დაფნის გვირგვინს ადგამენ უმალ
და პატიოსანს უტიფარი რეგვენი თელავს
და სულგრძელობას უკულმართად და მრუდად სჯიან
და სისპეტაკე ვერ ირიდებს ლაფსა და ტალახს
და სიმამაცე ემონება უძლურს და ჩიას
და სიდიადეს სამარცხვინო სიმდაბლე ჩქმალავს
და სიმახინჯეს ჯერ არნახულ მშვენებად რაცხენ
და ბრძენს სულელად მიიჩნევენ, ბრძენკაცად — სულელს
და დევნიან და პირს უკრავენ სიმართლის მაცნეს
და სათნოება მსახურად ჰყავთ მკვლელებს და თულებს —
სიცოცხლე მართლაც არ ღირს, მაგრამ მე უპატრონომ
შენ როგორ დაგთმო, მეგობარო, სად მიგატოვო?

●

ანესლის მთაო, ცივო და ბერწო,
ჩემი ბავშვობა შენ გებარება,
ო, მთაო, მთაო, შენს ლამაზ
მკერდზე
რა სუსხიანი ქრიან ქარები!

მე ველარ განახავ და ნულარ მელი,
ნაცნობ ადგილებს ვერ ვესაუბრო,
აწ შენს თავს, მთაო, ღიმილი მერის
ვერ მომაჩვენებს ცათა საუფლოდ.

●

როცა ედემი დასტოვა კაცმა,
შეჩერდა თურმე კარიბჭის მიღმა,
დიდი წარსულის ნეტარი განცდა
წუთისოფელში ლანდივით მიჰყვა.

მაგრამ ყარიბად მოარულს სოფლად
გაუტკბა ბედის უკულმართობა,
წუხილად დაშთა ედემში ყოფნა
და რუდუნება ექცა გართობად.

ძვირფასო, მეც ხომ იგივე მელის
და არ მსურს მომკლას იმავ
ცთუნებამ,
რადგან შენს მჭვრეტელს წარსული
ძველი,
ურეკად მაწვება გულზე უნებურ.

მივდივარ, უკან არ ვიხედები,
გშორდები, მაგრამ არ შენანება —
მე ვერ ავიტან ვეფხიტყოს ედემი
და არ შემეძლოს შიგ ნეტარება.

დღეს შემისრულდა ოცდათექვსმეტი წელი

დე, გული დუმდეს — წყნარიც
და ავიც,
რა სხვის გულს მისი ხმა ველარ
ერწყმის,
არვის ვუყვარვარ და ჩემს გულს
მაინც
სწვავს ტრფობის ცეცხლი!

მე ფოთლებივით დამცვივდნენ
წლები,
ჭიის ფაჩუნი იგრძნო სხეულმა —
სევდაა იგი, ხესავით ვხმები
მეც ზეზეულად.

გულს მიდნობს ცეცხლის
კორიანტელი —
ასე კუნძულზე ვულკანიც ლღვება,
ვერ აუნთია ერთი სანთელიც
მის უცხო გზნებას.

დრო იმედების, ძალვის და ღელვის
გაჰქრა და სასოც დადუმდა მიწყივ,
ვერ ვუნაწილებ ჩემს ვნებას ვერვის
და მარტო ვიწვი.

ნუ შემაშინებს კოშმარი ფიქრი:
გმირთა საფლავებს ყვავილი ავსებს
და მებრძოლს დაფნის და მუხის
გვირგვინს
ადგამენ თავზე.

შუბის მახვილით ცა გაპობილა,
ჩამუქებულა ალამის ქარვა,
და ვით სპარტელი, ფარს
დაყრდნობილი,
მეც ლაღად ვდგავარ!

სისხლი პირველად აქ მოგენათლა,
აღსდექი, სულო! ბრძოლის ნაღარა
შენც გიხმობს, ირგვლივ მთელი
ელადა
უკვე აღმდგარა.

და დაიოკე მხურვალე ვნება,
გავიდა ჟამი ახალგაზრდული,
დე, ნუ იქნება ქალწულის კვლემა
შენი მაცდური.

ო, ნუ მისტირი ჭაბუკურ დღეთა,
ვიღას უნახავ ცხოვრებას შენსას,
ხელთ ბედის თასი გაქვს —
ვით ვერ ბედავ
ბოლომდე შესვა?!

მას ეძიებდე, რასაც ისედაც
უნებურ ვპოვებთ — ბრძოლაში
თხრილი
სამარედ გერგოს და განისვენე
მარადის ძილით!

ანტონ ჩეხოვი

მოთხრობები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა ლიდი მჭედლიშვილმა

სამი წელიწადი

I

დაღამდა. სახლებში აქა-იქ სინათლეები აკიაფდა. ქუჩის ბოლოს, ყაზარმებს გალმა, ფერმკრთალმა მთვარემ ნელ-ნელა დაიწყო ამოსვლა. ლაპტევი ჭიშკრის წინ მერხზე იჯდა და პეტრე-პავლეს ეკლესიაში მწუხრის წირვის დამთავრებას ელოდა. ფიქრობდა, წირვიდან დაბრუნებული იულია სერგეევნა გვერდით რომ ჩაუვლიდა, გამოელაპარაკებოდა, ის კი არა, მთელი ეს საღამო შეიძლება მასთან ერთად გაეტარებინა.

აგერ უკვე საათნახევარია ამ სკამზე ზის და გონებაში თავისი მოსკოვური ბინა, მოსკოველი მეგობრები, თავისი საწერი მაგიდა და პეტრე ლაქიას სახე უტრიალებს. გაოცებით გასცქერის შავად ასვეტილ, უმოძრაოდ გარინდულ ხეებს და უკვირს, სოკოლნიკების აგარაკზე კი არა, ახლა ამ პროვინციულ ქალაქში რომ ცხოვრობს, იმ სახლში, რომლის გვერდითაც დილა-საღამოს უშველებელ ნახირს აატარ-ჩაატარებენ, რქის ნესტვს აღრიალებენ და ჰაერი მტვრის კორიანტელით არის გაჯერებული. ახსენდება მოსკოვური გრძელი საუბრები, როცა ყველა ერთხმად ამტკიცებდა, რომ უსიყვარულოდ ცხოვრება შესაძლებელია, რომ ვნებიანი სიყვარული სხვა არა არის რა, თუ არა ფსიქოზი, რომ ბოლოს და ბოლოს, არავითარი სიყვარული არ არსებობს, არის მხოლოდ სქესთა ფიზიკური ლტოლვა, ასე შემდეგ და ასე შემდეგ. იხსენებს ყველაფერს ამას და სევდიანად ფიქრობს. ახლა რომ მკითხონ, სიყვარული რა არის, ვერაფერს ვუპასუხებო.

საღამოს წირვა დამთავრდა, ხალხი გამოიშალა, ლაპტევი კი ზის და ადამიანთა მუქ სილუეტებს დაძაბული მისჩერებია. ბოლოს კარეტით მღვდელმთავარმაც ჩაიარა, ზარების რეკვა მიწყდა. სამრეკლოზე ერთმანეთის მიყოლებით ქრებოდა სადღესასწაულო ილუმინაციის წითელი და მწვანე სინათლეები. ხალხი ჯერ ისევ ლაპარაკ-ლაპარაკით მიუყვებოდა ქუჩას. და აი ლაპტევს, როგორც იქნა, ნაცნობი ხმა ჩაესმა, გულმა გამალებით დაუწყო ძგერა, მაგრამ როცა დაინახა, იულია სერგეევნას თან ორი მანდილოსანიც ახლდა, სასოწარკვეთამ მოიცვა.

— რა უბედურებაა! — ჩურჩულებდა ეჭვით გულდამძიმებული, — რა საშინელებაა!

ქუჩის შესახვევში იულია სერგეევნა ქალებთან გამოსამშვიდობებლად შეჩერდა და უცებ ლაპტევი დაინახა.

— მე კი აქ თქვენ გიცდით, — უთხრა ლაპტევმა, — ბატონ-თან სალაპარაკო მაქვს, ხომ სახლშია?

— ალბათ, — უპასუხა ქალმა, — კლუბში ჯერ არ წასულა, მისთვის ადრეა.

ქუჩის შესახვევი ბალებში იყო ჩაფლული. მესერს ჩაყოლებული ცაცხვები მთვარის შუქზე ფართო ჩრდილებს აფენდა და ღობის იქით ყველაფერი სიბნელეში იყო გახვეული. იქიდან ქალების ხმადაბალი ლაპარაკი და ვიღაცის თავშეკავებული სიცილი გაისმა, ვიღაც ხმადაბლა ბალალაიკას უკრავდა, ჰაერი ცაცხვისა და თივის სურნელით იყო გაჟღენთილი. ლაპტევს ქალების ეს ხმადაბალი ჩურჩულიც აღიზიანებდა და ცაცხვისა და თივის სურნელიც. უცებ დაუოკებელმა სურვილმა შეიპყრო, გულში ჩაეკრა თავისი თანამგზავრი, კოცნით დაეფარა მისი სახე, ხელები, მისი მხრები, მის წინ ქვითინით დამხობილიყო, ეთქვა, რომ დიდი ხანია ელოდა. ქალისგან საკმევლის ძლივს შესამჩნევი სურნელი დიოდა და ლაპტევს იმ დროს ახსენებდა, როცა თვითონაც სწამდა ღმერთი, თვითონაც დადიოდა მწუხრის წირვაზე, როცა ლამაზ, პოეტურ სიყვარულზე ოცნებობდა. ახლა კი, იმის გამო, რომ აი ამ ქალიშვილს არ უყვარდა, ეგონა, ბედნიერება, რაზეც ასე ოცნებობდა, მისთვის სამუდამოდ დაკარგული იყო. ქალმა გულისტკივილით მისი დის — ნინა ფეოდოროვნას ჯანმრთელობის ამბავი იკითხა. ნინა ფეოდოროვნას ამ ორიოდე თვის წინ სიმსივნე ამოაჭრეს და ახლა ყველაფერი ელოდა მისი ავადმყოფობის გართულებას.

— დღეს დილას მოვინახულე, მომეჩვენა, რომ ამ ერთ კვირაში ძალიან გახდა, არა, კი არ გახდა, გაფერმკრთალდა, — დასძინა იულიამ.

— დიახ, — დაეთანხმა ლაპტევი, — მართალია რეციდივი არ არის, მაგრამ დღითი დღე თვალსა და ხელს შუა ილევა, ვერ გამიგია, რა სჭირს.

— ღმერთო ჩემო, როგორი ჯანმრთელი ქალი იყო, სავსე, ფერხორციანი! — ჩაილაპარაკა იულია სერგეევნამ წუთიერი მდუმარების შემდეგ, — აქ ყველანი მოსკოველ ქალბატონს ეძახდნენ. სულ იცინოდა, დღესასწაულებზე გამოეწყობოდა გლეხის გოგოსავით და ეს ისე უხდებოდა!

ექიმი სერგეი ბორისიჩი შინ დაუხვდათ. ეს მსუქანი, ღაჟღაჟა კაცი გრძელ, მუხლებქვემოთ დაშვებულ სერთუკში ფეხებმოკლე, კოჭდაბალი ჩანდა. თავისი კაბინეტის ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში დადიოდა ჯიბეებში ხელებჩაწყობილი და ხმადაბლა ღიღინებდა — რა-რა-რა, რა-რა-რა... თმა და ბაკები ისე აბურდვოდა, გეგონება, ლოგინიდან ეს-ესაა ახალი წამომდგარიაო. მთელი მისი კაბინეტი, თავისი ბალიშებიანი დივნებით, კუთხეებში დასტა-დასტა დაყრილი ძველი ქაღალდებითა თუ მაგიდის ქვეშ შემძვრალი გაზინზლული პუდელით, ისეთივე მოუვლელი იყო და ისეთივე უსიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებდა, როგორც თვითონ.

— მუსიე ლაპტევს თქვენი ნახვა სურს, — უთხრა კაბინეტში შესვლისას ქალიშვილმა.

— რა-რა-რა, რა-რა-რა... — ახლა უკვე ხმამაღლა ამთერდა ექიმი, სასტუმრო ოთახში შევიდა და ლაპტევს ხელი ჩამოართვა: — კარგს რას მეტყვით?

სასტუმრო ოთახში ბნელოდა. ლაპტევმა, [illegible] ხელში ისევ ფეხზე იდგა, შეწუხებისთვის მოუბოდიშა [illegible]

— ჩემს დას მთელი ღამეები არ სძინავს, რას მირჩევთ, მოსკოვიდან ვინმე შინაგან სნეულებათა სპეციალისტი ხომ არ მოვიწვიოთ? — ეკითხებოდა და ის აზრი, ჩემი დილანდელი ვიზიტისას ეს ყველაფერი, მგონი, უკვე ვკითხეო, მოსვენებას არ აძლევდა.

ექიმმა ამოიოხრა, მხრები აიჩეჩა და ორივე ხელით რაღაც გაუგებარი ჟესტი გააკეთა.

წყენია, ეჭვიანი კაცი იყო, ასე ეგონა, ჩემი არა სჯერათ, არ მცნობენ, სათანადოდ არ მაფასებენ, ხალხი ექსპლოატაციას მიწევს, მეგობრებიც კი კეთილგანწყობით არ მეკიდებიანო. საკუთარ თავს დასცინოდა — ისეთი სულელი ადამიანები, როგორიც მე ვარ, მხოლოდ იმიტომ იბადებიან, ყველა თავზე წამოისვანო. აშკარა იყო, იგი ახლაც განაწყენებული ბრძანდებოდა.

იულია სერგეევნამ ლამპა აანთო. ფერმკრთალ, მილეულ სახესა და უხალისო სიარულზე ეტყობოდა, რომ ეკლესიაში ძალიან დაიღალა და დასვენება სჭირდებოდა. იგი დივანზე ჩამოჯდა, ხელები მუხლებზე დაიწყო და ჩაფიქრდა. ლაპტევმა იცოდა, შეუხედავი კაცი იყო, ახლა კი ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს ამ შეუხედაობას მთელი თავისი სხეულით შეიგრძნობდა. ტანდაბალსა და გალეულს ლოყებზე სიწითლე გადაჰკრავდა, თმაშეთხელებულს თავზე სულ სციოდა. მის გამომეტყველებაში იმ ნატიფი უბრალოების ნატამალიც არ იყო, რომელიც უხეშ, ულამაზო სახესაც კი სიმპათიურ იერს აძლევს. ქალთა საზოგადოებაში თავს უხერხულად გრძნობდა, მანერული და ზედმეტად სიტყვამრავალი იყო. ამის გამო ამწუთას ლამის სძულდა თავის თავი. აი ახლაც იულია სერგეევნას მოწყენილობა რომ არ ეგრძნო, რაღაც უნდა ეთქვა, ესაუბრა, მაგრამ რაზე? ისევ დასა და დის ავადმყოფობაზე ხომ არ გაუბამდა ლაპარაკს!

და ლაპტევმა კვლავ მედიცინაზე საუბარი ამჯობინა. ჯერ ჰიგიენა შეაქო, მერე კი დასძინა — მოსკოვში ღამის გასათევი სახლი მინდა დავაარსო, ხარჯთაღრიცხვა უკვე მზადა მაქვსო. მისი გეგმის მიხედვით, მუშაკაცი ღამის გასათევად რომ მივიდოდა, ხუთ-ექვს კაპიკად ულუფა ცხელი შჩიც უნდა ეჭამა, თბილი, მშრალი ლოგინიც ჰქონოდა და ფეხსაცმლისა და სამოსის გასაშრობი ადგილიც.

იულია სერგეევნა მისი თანდასწრებით, როგორც წესი, ყოველთვის დუმდა, მაგრამ ლაპტევი ალბათ შეყვარებული კაცის ალღოთი ქალის აზრებსა და განზრახვას ყოველთვის ხვდებოდა და, ცხადია, ახლაც მიხვდა, რომ მწუხრის ლოცვის შემდეგ რახან თავისთან ჩაის დასალევად და ტანსაცმლის გამოსაცვლელად არ შევიდა, მაშასადამე სტუმრად აპირებდა სადღაც წასვლას.

— ღამის გასათევი სახლის აშენებას მაინცდამაინც არ ვჩქაროობ, — ძიუბრუნდა ახლა უკვე გაღიზიანებული ექიმს, რომელიც [illegible] მისჩერებოდა, ვინაიდან, ეტყობა, მისთვის სრულიად [illegible] იყო, რატომ წამოიწყო ლაპტევმა მედიცინასა და ჰიგიენაზე საუბარი, — ალბათ მალე არ მომიწევს იმ ხარჯთაღრიცხვით [illegible] ღამის გასათევი სახლი იმ მოსკოველი ფარისევლებისა და ბაროხ-ფილანტროპების ხელში არ აღმოჩნდეს, რომლებიც ყოველ წამოწყებას ღუპავენ.

იულია სერგეევნა წამოდგა და ლაპტევს ხელი გაუწოდა.

— მაპატიეთ, ჩემი წასვლის დროა... თქვენს დას მოკითხვა გადაეცით.

— რა-რა-რა... — ამღერდა ისევ ექიმი.

იულია სერგეევნა გავიდა თუ არა, ცოტა ხანში ექიმს ლაპტევიც გამოემშვიდობა და იმანაც შინისაკენ გასწია. როცა ადამიანი უკმაყოფილოა, როცა თავს უბედურად გრძნობს, ყველაფერი უშნო და უხამსი ეჩვენება — ეს ცაცხვებიც, ეს ჩრდილებიც და თვითკმაყოფილი, გულგრილი ბუნების ეს მშვენიერებაც! ცაზე მთვარეს ბდღვრიალი გაჰქონდა, მის ქვემოთ კი სწრაფად მიცურავდნენ ღრუბლები. „რა მარტივი, რა პროვინციულია მთვარე, რა უბადრუკი და რა ულიმლამოა ღრუბლები! ნეტავი მედიცინასა და ღამის გასათევ სახლზე რა მალაპარაკებდა!“ — სირცხვილით იწვოდა ლაპტევი და ფიქრი იმის შესახებ, ვერც ხვალ გამოვიჩენ ნებისყოფას, ხვალაც მის ნახვას და მასთან საუბარს შევეცდები, რათა ერთხელ კიდევ დავრწმუნდე, რა არარაობაც ვარ ამ ქალისთვისო — თავზარს სცემდა. ასე იქნება ხვალაც, ხვალზევითაც, მერედა რა აზრი აქვს, რით ან როდის დამთავრდება ყოველივე ესო? — წუხდა.

იქიდან თავის დასთან, ნინასთან წავიდა. ნინა ფეოდოროვნა ჯერ კიდევ მხნედ გამოიყურებოდა, აღნაგობაც ჯერ ისევ საუცხოო ჰქონდა და ძლიერი ქალის შთაბეჭდილებას ტოვებდა, მაგრამ ხანდახან ისეთი ფერმიხდილი იყო, ცოცხალი არ გეგონებოდა, მით უმეტეს, როცა თვალებდახუჭული ზურგზე ისე იწვა, როგორც ახლა. ლაპტევი რომ შევიდა, ნინას გვერდით უფროსი ქალიშვილი — ათი წლის საშა ეჯდა და თავის ქრესტომათიიდან რაღაცას უკითხავდა.

— ალიოშა მოვიდა, — თავისთვის ჩაილაპარაკა ავადმყოფმა.

საშა და ბიძამისი რა ხანია უსიტყვოდ იყვნენ შეთანხმებულები, ავადმყოფის სარეცელთან უსიტყვოდ სცვლიდნენ ერთმანეთს. საშამ ახლაც თავისი ქრესტომათიის წიგნი დახურა, ოთახიდან ჩუმად გავიდა. ლაპტევმა კომოდიდან ისტორიული რომანი აიღო, ჩანიშნულ გვერდზე გადაშალა და ხმამაღალ კითხვას შეუდგა.

მოსკოველი ვაჭრის ოჯახში დაბადებულმა და გაზრდილმა ნინა ფეოდოროვნამაც და მისმა ძმებმაც ბავშვობა და ყრმობა პიატნიცკის ქუჩაზე, თავიანთ მშობლიურ სახლში გაატარეს. გრძელი და მოსაწყენი იყო მათი ბავშვობა. მამა მკაცრად ექცეოდათ, დედამ დიდხანს იავადმყოფა და ადრე გარდაიცვალა. მოსამსახურედ ერთი ბინძური, ქლესა ქალი ჰყავდათ. ის მღვდლები და ბერებიც, რომლებიც ხშირად დაიარებოდნენ მათ სახლში, ჭამდნენ, სვამდნენ და ურცხვად ეპირფერებოდნენ

მამას, ასეთივე ბრიყვები და ფარისევლები იყვნენ. ბიჭებს ბედმა გაუღიმა, გიმნაზიაში შევიდნენ, ნინა კი უსწავლელი დარჩა, მთელი ცხოვრება ბატიფეხურად წერდა და მხოლოდ ისტორიულ რომანებს კითხულობდა. ჩვიდმეტი წლის წინ, ოცდაორი წლის ქალიშვილმა ხიმკის აგარაკზე თავისი ახლანდელი მეუღლე — აზნაურიშვილი [illegible] გაიცნო, შეუყვარდა და ჩუმად, მამის დაუკითხავად გაჰყ[illegible] — ლამაზი, ცოტა მოთავხედო ახალგაზრდა კაცი, პაპიროსს კანდელზე რომ უკიდებდა და ზოგჯერ უსტვენდა კიდევაც, მამას ნამდვილ არარაობად მიაჩნდა. მიუხედავად ამისა, როცა სიძემ წერილით მზითევი მოსთხოვა, ბერიკაცმა ქალიშვილს მისწერა: ქურქს, ვერცხლეულს, დედაშენისეულ ნივთებს და ოცდაათ ათას მანეთს გიგზავნი, ოღონდ მშობლიური ლოცვა-კურთხევის გარეშეო. ამის შემდეგ კიდევ ოცი ათასიც გაუგზავნა, მაგრამ პანაუროვმა ეს ფულიც გაფლანგა და მამულიც ზედ მიაყოლა. მერე ქალაქში გადასახლდა და გუბერნიის მმართველობაში დაიწყო სამსახური. მალე იქ მეორე ოჯახი გაიჩინა, რასაც, ცხადია, დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა.

ნინა ფეოდოროვნა კი ქმარს, რომ იტყვიან, თაყვანს სცემდა. ახლაც ისტორიულ რომანს უსმენდა და იმაზე ფიქრობდა, მთელი ამ წლების მანძილზე რამდენი რამ გადაიტანა, რამდენი იტანჯა. ვინმეს ჩემი ცხოვრების აღწერა რომ მოენდომებინა, ძალზე გულდასაწყვეტი ამბავი გამოვიდოდაო. დარწმუნებული იყო, სიმსივნე უილბლო სიყვარულმა და მისმა ამ ოჯახურმა ცხოვრებამ გაუჩინა, ლოგინად ეჭვიანობამ და ცრემლმა ჩააგდო.

ამ ფიქრებში რომ იყო, ალექსეი ფეოდოროვიჩმა წიგნი დახურა და თქვა:

— მადლობა ღმერთს, როგორც იქნა, დამთავრდა. ხვალ ახალს დავიწყებთ.

ნინა ფეოდოროვნამ გაიცინა. სიცილი მას ყოველთვის უყვარდა, მაგრამ ამ ბოლო დროს ლაპტევმა შეამჩნია, რომ ქალი ყოველ წვრილმან სისულელეზე უმიზეზოდ იცინოდა.

— ვიდრე შენ მოხვიდოდი, სადილობამდე აქ იულია იყო, — თქვა ქალმა, — როგორც მივხვდი, მაინცდამაინც დიდად არ სწამს თავისი მამიკოსი. მამამ კი გიმკურნალოთ, მაგრამ ჩუმად მაინც წმინდა ბერს მისწერეთ, თქვენთვის ილოცოსო. იქ მათთან ვილაც ბერი გამოჩენილა... იულიას ჩვენთან ქოლგა დაავიწყდა, ხვალ უსათუოდ გაუგზავნე, — თქვა ქალმა, წუთით იყუჩა და განაგრძო, — ეჰ, ალსასრულის დღე რომ გიდგება, ველარავინ გიშველის, ველარც ექიმი და ველარც ბერი.

— ნინა, რატომ არ გძინავს ღამღამობით? — ჰკითხა ლაპტევმა, რათა საუბრის თემა შეეცვალა.

— არ ვიცი... ვწევარ ჩემთვის და ვფიქრობ.

— მაინც რაზე ფიქრობ, ძვირფასო?

— ბავშვებზე, შენზე... ჩემს ცხოვრებაზე... მე ხომ, ალიოშა, ბევრი რამ განვიცადე. როგორც კი ამაზე ფიქრს დავიწყებ... ღმერთო ჩემო! — თქვა მან და გაიცინა, — ხუმრობა ხომ არ არის, ხუთი შვილი გავაჩინე და სამი უკვე მიწაში მიწევს... რამდენჯერ ყოფილა, მშობი-

არობა მეწყება, ჩემი გრიგორი ნიკოლაევიჩი კი ამ დროს სხვა ქალთან ზის, მეანს ან ბებია ქალს რომ დაუძახოს, არავინაა. მოსამსახურის დასაძახებლად წინკარში ან სამზარეულოში გახვალ და იქაურობა ერიებით, მედუქნეებითა და მევახშეებით არის სავსე — ელოდებიან, გრიგორი ნიკოლაევიჩი შინ როდის დაბრუნდება. ზოგჯერ [illegible] თავგზა მქონდა აბნეული... გრიგორის მე არასოდეს ვყვარებივარ, [illegible] ცა ხმამაღლა ეს არასოდეს უთქვამს. ახლაა ცოტა რომ დავმშვიდდი, ცოტა გულს მომეშვა, თორემ ვიდრე ახალგაზრდა ვიყავი, მწყინდა, ეჰ, რომ იცოდე, როგორ მწყინდა, ძვირფასო! ერთხელაც — მაშინ ჯერ ისევ სოფელში ვცხოვრობდით — ბაღში ვიღაც ქალთან ერთად ვნახე და რომ გავიქეცი, წარმოდგენა არა მაქვს, ტაძრის კარიბჭეში როგორ გავჩნდი, მუხლებზე როგორ დავეცი და — დედაო ღვთისავ-მეთქი, როგორ შევღაღადე. გარეთ უკვე ღამე იყო, ირგვლივ ყველაფერი მთვარის შუქით იყო განათებული...

დაღლილობისაგან ქალი ძლივს სუნთქავდა. სული რომ მოითქვა, ძმას ხელში ხელი მოჰკიდა და სუსტი, მილეული ხმით განაგრძო:

— როგორი კეთილი ხარ, ალიოშა... როგორი ჭკვიანი... რა კარგი ადამიანი დადექი!

შუალამისას ლაპტევი დას გამოემშვიდობა და ოთახიდან რომ გამოდიოდა, იულია სერგეევნას ქოლგა აიღო. მართალია, გვიან იყო, მაგრამ მოსამსახურეები სასადილო ოთახში ისხდნენ და ჩაის სვამდნენ. ირგვლივ საშინელი უწესრიგობა სუფევდა. არც ბავშვებს ეძინათ, ისინიც მათთან ერთად სასადილო ოთახში იყვნენ. ყველა ჩუმად, ჩურჩულით ლაპარაკობდა, ვერავინ ამჩნევდა, ლამპა უკვე ჩაქრობაზე რომ იყო. ცუდის მოლოდინში დიდებიც და პატარებიც შეშფოთებულები და დათრგუნულები ჩანდნენ. ის, რომ შესასვლელში სარკე გატყდა, ის, რომ სამოვარს ყოველდღე გუგუნი გაჰქონდა, ის კი არა, თითქოს ვანგებო, ახლაც გუგუნებდა, ცუდად ენიშნებოდათ. ეს ყველაფერი ცუდის ნიშანიაო, უკვე ბავშვებმაც კი იცოდნენ — გამხდარ-გაკნაჭულმა, წაბლისფერთმიანმა უფროსმა ქალიშვილმა საშამ, ახლა მწუხარე, შეშფოთებული სახით მაგიდასთან გაუნძრევლად რომ იჯდა, და შვიდი წლის პატარა, პუნტულა, ქერათმიანმა ლიდამ, დას რომ აჰკვროდა და შუბლქვეშიდან ლამპის ალს მისჩერებოდა.

ლაპტევი ქვედა სართულზე თავის დაბალჭერიან, უჰაერო გერანის სუნით გაჟღენთილ ბინაში ჩავიდა. სასტუმრო ოთახში გაზეთით ხელში ნინა ფეოდოროვნას ქმარი — პანაუროვი დაუხვდა. ლაპტევმა პანაუროვს თავი დაუკრა და მის პირდაპირ ჩამოჯდა. ისხდნენ და დუმდნენ. ზოგჯერ მთელი საღამო ისხდნენ ასე ერთმანეთის პირისპირ ხმაამოუღებლად, არც ერთს აწუხებდა ეს სიჩუმე, არც მეორეს.

მალე ზედა სართულიდან ღამე მშვიდობის სათქმელად გოგონებიც ჩამოვიდნენ. პანაუროვმა ბავშვებს პირჯვარი რამდენჯერმე უსიტყვოდ ვადასწერა და საკოცნელად ხელი აუჩქარებლივ გაუწოდა. ბავშვებმა ჯერ მამას გაუკეთეს რევერანსი, მერე ლაპტევთან მივიდნენ, რომელმაც მათ ასევე პირჯვარი გადასახა და ხელზე კოცნის ნება დართო. კოცნისა და რევერანსის ეს ცერემონია ყოველ საღამოს მეორდებოდა.

გოგონები რომ გავიდნენ, პანაუროვმა გაზეთი გვერდზე გადადო:

— მოწყენილობაა ამ ჩვენს დალოცვილ ქალაქში! გამოგიტყდებით, ძვირფასო, — თქვა მან და ამოიოხრა, — დიდად მოხარული გახლავართ, გასართობი რომ გაიჩინეთ.

— ამას რაზე მეუბნებით? — ჰკითხა ლაპტევმა.

— დაგინახეთ, გუშინ ექიმი ბელავინის სახლიდან ერთგზის გამოხვედით. იმედი მაქვს, თქვენ იქ მამიკოს სანახავად არ მისულხართ!

— რა თქმა უნდა, არა, — თქვა ლაპტევმა და გაწითლდა.

— აბა, რა!.. ისე, მართალი გითხრათ, ისეთ შტერს, როგორიც ეს მამიკოა, დღისით-მზისით სანთლითაც ვერ იპოვი. ვერ წარმოიდგენთ, როგორი ბინძური, უნიჭო და მოუხეშავი პირუტყვია! იქ, თქვენთან, დედაქალაქში, დღემდე მხოლოდ პროვინციის ლირიკული მხარით ინტერესდებიან, ასე ვთქვათ, მისი ბუნებითა და მისი ანტონ გორემიკით, მაგრამ, გეფიცებით, ჩემო მეგობარო, არავითარი ლირიკა აქ არ არის, არის მხოლოდ უხეშობა, უნამუსობა და უხამსობა. ავიღოთ თუნდაც მეცნიერების აქაური ქურუმები, აქაური ეგრეთ წოდებული ინტელიგენცია. აბა წარმოიდგინეთ, ქალაქში ოცდარვა დოქტორია, ყველამ საკუთარი სახლი და ქონება შეიძინა, გამდიდრდა, მაშინ, როცა მოსახლეობა ისევ უკიდურეს გაჭირვებაშია. აი, მაგალითად, ნინას ოპერაცია, კაცმა რომ თქვას, სრულიად უბრალო ოპერაციაა, მაგრამ იმის გამო, რომ აქ ეს ვერავინ იკისრა, იძულებული გავხდით, ქირურგი მოსკოვიდან გამოგვეწერა. თქვენ ამას ვერც კი წარმოიდგენთ — არც არაფერი იციან, არც არაფერი გაეგებათ და არც არაფერი აინტერესებთ. აბა ჰკითხეთ, კიბო რა არის? რისგან ჩნდება?

და პანაუროვი ამ დაავადების ახსნა-განმარტებას მოჰყვა. იგი ხომ ყველა მეცნიერების სპეციალისტი გახლდათ. რაც არ უნდა გეკითხათ, ყველაფერს მეცნიერულად აგიხსნიდათ, თუმცა კი ყველაფერს თავისებურად ხსნიდა — ჰქონდა სისხლის მიმოქცევის თავისი თეორია, თავისი ქიმია თუ ასტრონომია. ლაპარაკობდა ნელა, რბილად, დაჯერებულად, სიტყვებს — „თქვენ ამას ვერც კი წარმოიდგენთო“ — მუდარის კილოთი წარმოთქვამდა, თვალებს ჭუტავდა, შეწუხებული ოხრავდა, ხელმწიფესავით გულმოწყალედ იღიმებოდა და, ეტყობოდა, ძალზე კმაყოფილი იყო თავისი თავით, აინუნშიაც არ აგდებდა, უკვე ორმოცდაათისა რომ ბრძანდებოდა.

— მართალი გითხრათ, მომშივდა, — თქვა ლაპტევმა, — მწნილეულს სიამოვნებით გეახლებოდით!

— რატომაც არა! ახლავე ყველაფერი იქნება.

მართლაც, არ გაუვლია დიდ დროს, რომ ლაპტევი და მისი სიძე ზედა სართულის სასადილო ოთახში ისხდნენ და ვახშმობდნენ. ლაპტევმა ჯერ ერთი ჭიქა არაყი დალია, მერე ღვინის სმა დაიწყო, პანაუროვს კი არაფერი დაულევია. მართალია, არც სვამდა, არც ბანქოს თამაშობდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თავისი ქონებაც გაფლანგა, ცოლისაც და ბლომად ვალებიც აიკიდა. ასეთ მოკლე დროში ამდენი რომ გაფლანგო, კაცს რაღაც განსაკუთრებული ნიჭი უნდა გქონდეს! ჰოდა, პანაუროვსაც გემრიელი ჭამა-სმა უყვარდა, უყვარდა ძვირფასი ჭურჭელი, სადილზე მუსიკა, საღეგრძელოები, ლაქიების მდაბალი თავის დაკვრა, რომელთაც წვრილმან გასამრჯელოდ დაუდევრად ათ-ათ

და ზოგჯერ ოცდახუთ-ოცდახუთ მანეთსაც სჩუქნიდა. იყო ყველა ხელმოწერისა და ლატარიის მონაწილე, დაბადების დღეებზე ნაცნობებს თაიგულებს სძღვნიდა, ყიდულობდა ფინჯნებსა და საჭიქეებს, საკინძეებსა და ჰალსტუხებს, ხელჯოხებს, სუნამოებს, მუნდშტუკებსა და ყალიონებს, ძაღლებს, თუთიყუშებსა და ძველებურ იარაღებს. ღამის პერანგებს მხოლოდ აბრეშუმისას იცვამდა, იწვა შავი ხის მოსაფაფებულ საწოლში, ატარებდა ნამდვილ ბუხარულ ხალათებს, ყველაფერ ამაში კი, როგორც თავადაც ბრძანებდა, „უამრავი ფული“ იხარჯებოდა.

ვახშამზე რომ იჯდა, ერთთავად ოხრავდა, თავს აკანტურებდა.

— ასეა, ამქვეყნად ყველაფერს თავისი დასასრული აქვს, — ამბობდა წყნარად და შავ თვალებს ჭუტავდა, — სიყვარულს ტანჯვა მოაქვს, კიდევაც გადაგიყვარებენ, კიდევაც გიღალატებენ, რამეთუ არ არის ქალი, რომელიც არ გიღალატებს. ამით შენც დაიტანჯები, შენც სასოწარკვეთილებას მიეცემი და შენც უღალატებ. მერე კი გავა დრო, ეს ყველაფერი მოგონებად იქცევა და რა სისულელე იყო, გულგრილად დაიწყებ მსჯელობას.

დაღლილი, ოდნავ შექეიფიანებული ლაპტევი პანაუროვის ლამაზი მოყვანილობის თავს, მის შავ, კოხტად გაკრეჭილ წვერს შეჰყურებდა და, მგონი, უკვე ხვდებოდა, ქალებს ასე რატომ უყვარდათ ეს განებივრებული, თავდაჯერებული, ფიზიკურად ესოდენ მომხიბვლელი მამაკაცი.

ვახშმის შემდეგ პანაუროვი თავის მეორე ოჯახში რომ წავიდა, ლაპტევი გასაცილებლად გაჰყვა. პანაუროვის გარდა მთელ ქალაქში ცილინდრს არავინ იხურავდა და ხის ამ ჩაშავებული ღობეების, უბადრუკი, სამფანჯრიანი პატარა სახლების, ჭინჭარმოდებული ქუჩების ფონზე მისი მოხდენილი, დახვეწილი ფიგურა, მისი ცილინდრი, მისი ნარინჯისფერი ხელთათმანები უცნაურ, სევდის მომგვრელ შთაბეჭდილებას ტოვებდა.

ლაპტევი პანაუროვს რომ გამოეშშვიდობა, აუჩქარებელი ნაბიჯით შინისაკენ რომ გასწია, მთვარე ისე ბდღვრიალებდა, ჩალის თითოეული ღერი ჩანდა. შიშველ თავზე ლაპტევს ისე ეალერსებოდა, თითქოს ვილაც ბუმბულს ულამუნებსო.

— მიყვარს! — წამოიძახა მან ხმამაღლა. უნდოდა პანაუროვს დასწეოდა, გულში ჩაეკრა, ყველაფერი ეპატიებინა და ბლომად ფული ეჩუქებინა, მერე კი მინდვრად ქარივით გაჭრილიყო.

შინ რომ მივიდა, თვალი იულია სერგეევნას ქოლგას მოჰკრა, ძვლის უბრალო სახელურიანი, აბრეშუმის გვარიანად შელახული ქოლგა ხელში აიღო, ხარბად დაეკონა და რომ გაშალა, ასე ეგონა, ბედნიერებისაგან მის ირგვლივ ყველაფერი ბრწყინავდა.

მერე ქოლგიანად მაგიდასთან მოხერხებულად დაჯდა და მოსკოვში ერთ თავის მეგობართან წერილის წერას შეუდგა:

„ძვირფასო, საყვარელო კოსტია, აი ესეც ახალი ამბავი — მე ისევ შეყვარებული ვარ! ისევ-მეთქი, იმიტომ გეუბნებით, რომ ამ ექვსიოდე წლის წინ ერთ იმ მოსკოველ მსახიობზე ვიყავი შეყვარებული, ვისი გაცნობაც ვერ შევძელი. ამ უკანასკნელი წელიწად-ნახევრის მანძილზე კი თქვენთვის კარგად ნაცნობ, აღარც ისე ახალგაზრდა, არცთუ ისე მომ-

ხიბვლელ „პერსონასთან“ ვცხოვრობდი. ეჰ, ძვირფასო, ბედი მე არასოდეს მწყალობდა, ქალებში წარმატება არასოდეს მქონია! თუ ვამბობ, ისევ-მეთქი, მხოლოდ იმიტომ, რომ ძნელია საკუთარი თავის წინაშე აღიარო, მთელმა ჩემმა ახალგაზრდობამ უსიყვარულოდ ჩაიარა, ნამდვილი სიყვარული სიცოცხლეში პირველად ოცდათოთხმეტისას მეწვია.

რომ იცოდე, რა გოგოა! მართალია, მზეთუნახავიაო, ვერ იტყვი, ლაწვმაღალია და მეტისმეტად გამხდარი, მაგრამ ისეთი კეთილი გამომეტყველება, ისეთი მშვენიერი, ისეთი საუცხოო ღიმილი აქვს! ჩემთან საუბარში არასოდეს ერთვება, მე მას თითქმის არ ვიცნობ, მაგრამ, როცა მის გვერდით ვარ, მთელი ჩემი არსებით ვგრძნობ, რა არაჩვეულებრივი არსებაა, მაღალი მისწრაფებებით, ჭკუით და გონებით სავსე. ვერ წარმოიდგენთ, მისი რელიგიურობა გულს როგორ მიჩუყებს, როგორ ამაღლებს ჩემს თვალში. ამის თაობაზე შემიძლია თქვენთან გაუთავებლად ვიკამათო. თქვენ მართალი ხართ, დაე, ისე იყოს, როგორც თქვენ ფიქრობთ, მე კი მომწონს, როცა იგი ეკლესიაშია და ლოცულობს. მართალია, პროვინციელია, მაგრამ მოსკოვში სწავლობდა და უყვარს ჩვენი მოსკოვი, ჩაცმითაც მოსკოვურად იცვამს. მოკლედ, მიყვარს, ძმაო, მიყვარს!.. ვხედავ, შუბლს როგორ იჭმუხნით და როგორ დგებით, რათა იმის თაობაზე, სიყვარული რას წარმოადგენს, ვინ უნდა გიყვარდეს და ვინ არა, გრძელი ლექცია წამიკითხოთ, მაგრამ, ძვირფასო კოსტია, ვიდრე არ შემიყვარდებოდა, მეც თქვენსავით ჩინებულად ვიცოდი, სიყვარული რა იყო.

ჩემი და მადლობას გითვლით მოკითხვისთვის. ხშირად იგონებს, როგორ დაჰყავდა პატარა კოსტია კოჩევოი მოსამზადებელ კლასში მისაღებად... დღემდე ისევ საბრალო ბიჭს გეძახით, ვინაიდან მის ხსოვნაში ისევ ის ობოლი ბიჭუნა ხართ. ასე და ამგვარად, ჩემო ობოლო, შეყვარებული ვარ! ვიდრე ეს საიდუმლოა, მანდ თქვენ ნურაფერს ეტყვით ჩვენთვის ცნობილ იმ „პერსონას“. მე მგონი, ყველაფერი თავისით დალაგდება, ანუ როგორც ტოლსტოისთან ამბობს ერთი ლაქია — ყველა თავის გზას იპოვის“...

წერილის წერა რომ დაამთავრა, ლაპტევი დასაძინებლად დაწვა. დაღლილობისაგან თავს ვერ სწევდა, მაგრამ თვალზე რული არ ეკარებოდა. ასე ეგონა, ქუჩიდან შემოსული ხმაური არ მასვენებსო — ხან რქის ნესტვს აღრიალებდნენ, ხან ჟამის წირვის ზარებს რეკდნენ, ხან ურემი ჩაივლიდა ჭრიალით, ხანაც ბაზარში მიმავალი დედაკაცების ქოთქოთი არ აძინებდა. ბელურებიც ჭიკჭიკებდნენ და ჭიკჭიკებდნენ გაუთავებლად.

II

ნათელი, ხალისიანი დღე იდგა. დაახლოებით ათ საათზე ყავისფერ კაბაში გამოწყობილი და დაბანილ-დავარცხნილი ნინა ფეოდოროვნა სასადილო ოთახში ხელჩაკიდებული გამოიყვანეს. აქ მან ცოტა გაიარა და ღია ფანჯარასთან გაჩერდა. ისე გულიანად, ისე ხალისიანად და გულღიად იღიმებოდა, რომ ერთი იქაური ლოთი მხატვარი გამახ-

სენდა, რომელიც მის სახეს ხატს ადარებდა და უნდოდა რუსული ყველიერის ამსახველ ტილოზე აღებეჭდა. და აი ყველამ — ბავშვებმაც, მოსამსახურეებმაც, მისმა ძმა ალექსანდრემაც და, თქვენ წარმოიდგინეთ, თვითონაც კი, უცებ დაიჯერეს, რომ იგი ნამდვილად გამოჯანმრთელდებოდა. გოგონები ბიძას სიცილ-კისკისით დასაჭერად დასდევდნენ, ირგვლივ ერთი ჟრიამული და ჟივილ-ხივილი იდგა.

ნინა ფეოდოროვნას ჯანმრთელობის საკითხავად ვინ აღარ მოდიოდა. ყველას სეფისკვერი მოჰქონდა, ყველა ამბობდა, მის სახელზე დღეს ეკლესიაში პარაკლისი გადავიხადეთო. მსგავსად მისი ძმისა, ალექსეისა, რომელიც, ვინც კი სთხოვდა, ფულს ყველას უშურველად აძლევდა და არასოდეს დაფიქრებულა, მიეცა თუ არ მიეცა, ნინა ფეოდოროვნაც ღარიბ ბავშვებს სწავლის ფულს უხდიდა, მოხუცებს ჩაის, შაქარსა და მურაბებს ურიგებდა, აცმევდა და რთავდა ხელმოკლე პატარძლებს. ხელში გაზეთი რომ ჩაუვარდებოდა, სულ იმას ეძებდა, ვინმე გაჭირვებულის შესახებ რაიმე განცხადება ხომ არ იყო.

ხელში ახლაც იმ ქალალდების დასტა ეჭირა, სადაც ღარიბების მიერ დუქნიდან ნისიად წაღებული საქონლის სია იყო ჩამოწერილი. ეს სია გუშინ მედუქნემ გამოუგზავნა და ოთხმოცდაორი მანეთის გადახდა სთხოვა.

— იჰ, უყურებ, რამდენი უვაჭრიათ მაგ უსინდისოებს! — ამბობდა ნინა და ჩანაწერებში თავის ბატიფეხურ ნაწერს ძლივს არჩევდა: — ოთხმოცდაორი მანეთი! ხუმრობა ხომ არ არის! ავდგები და სულაც არ გადავუხდი!

— მე გადავუხდი დღეს, — უთხრა ლაპტევმა.

— ვითომ რატომ? რატომ უნდა გადაუხადო? — შეშფოთდა ნინა ფეოდოროვნა, — განა ის კი საკმარისი არ არის, ყოველთვე ორას ორმოცდაათ მანეთს რომ ვიღებ ძმებისაგან, ღმერთი გფარავდეთ შენცა და ფეოდორსაც, — დასძინა ჩუმად, რათა მოსამსახურეებს არ გაეგოთ.

— დიდი ამბავი, სამაგიეროდ თვეში მე ორი ათას ხუთასს ვხარჯავ, — თქვა ლაპტევმა, — ძვირფასო, ერთხელ კიდევ გიმეორებ, უფლება გაქვს, შენც ისე და იმდენი დახარჯო, რამდენსაც მე და ფეოდორი ვხარჯავთ. ერთხელ და სამუდამოდ დაიხსომე — მამაჩვენს სამი შვილი ვყავართ, ისე რომ, ყოველი სამი კაპიკიდან ერთი კაპიკი შენ გეკუთვნის.

მაგრამ ნინა ფეოდოროვნასათვის ეს გაუგებარი იყო, ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს გონებაში რაღაც ურთულესი ამოცანის ამოხსნას ცდილობდა. ლაპტევს აწუხებდა მისი ეს განწყობა, უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა. ზოგჯერ იმასაც ეჭვობდა, იქნებ საკუთარი ვალიცა აქვს, იქნებ რცხვენია, თქმას ვერ ბედავს, გულში კი იტანჯება ამის გამოო.

მძიმე სუნთქვა და ნაბიჯების ხმა გაისმა — კიბეზე ექიმი ამოდიოდა, როგორც ყოველთვის, ახლაც თმააწეწილი და დაუვარცხნელი იყო.

— რა-რა-რა... — ღიღინებდა იგი თავისთვის, — რა-რა-რა...

ექიმს რომ არ გადაყროდა, ლაპტევი ჯერ სასადილოში, მერე კი იქიდან ძირს, თავის ოთახში ჩავიდა. ექიმთან დაახლოება და მის სახლ-

ში წარამარა უმიზეზოდ სიარული წარმოუდგენლად მიაჩნდა. ამ ბეხრეკთან შეხვედრა, როგორც მას პანაუროვი ეძახდა, მისთვის არც ისე სასიამოვნო იყო. იულია სერგეევნასაც სწორედ ამის გამო ხვდებოდა იშვიათად. ახლა კი, რახან მამამისი შინ არ არის, წავალ, ამ ქოლგას წავუღებ, ალბათ მარტო დამიხვდებაო, — გაიფიქრა და გული სიხარულით შეეკუმშა: — „აბა, ჩქარა, ჩქარა!“.

ლაპტევმა ქოლგა აიღო და ქუჩაში ფრთაშესხმულივით გავარდა. გარეთ ცხელოდა, ექიმის უზარმაზარ, ჭინჭრითა და შამბით დაფარულ ეზოში ბურთის მოთამაშე ოციოდე მოზარდის ჟრიამული ისმოდა. ეს პატარა ბიჭები ფაბრიკის იმ მუშების შვილები იყვნენ, რომლებიც ექიმის სამ ძველ, უბადრუკ ფლიგელში იდგნენ მდგმურად. ფლიგელების შეკეთებას ექიმი ყოველ წელს გეგმავდა, მაგრამ ყოველ წელს იქით-იქით სდებდა. ეზოში ბავშვების ჟივილ-ხივილისაგან ყურთასმენა აღარ იყო. იქვე, პარმაღთან, იულია სერგეევნა ზურგზე ხელებდაწყობილი იდგა და ბავშვების თამაშს შეჰყურებდა.

— გამარჯობათ, — დაუძახა ლაპტევმა.

იულიამ მოიხედა. ჩვეულებრივ ლაპტევი მას გულგრილს, ან გუშინდელივით დაღლილს ხედავდა, ახლა კი ისეთი გაბრწყინებული, ხალისიანი სახე ჰქონდა, როგორც ბურთის იმ მოთამაშე ბიჭუნებს.

— შეხედეთ, ასეთი ხალისით, ასე მხიარულად მოსკოვში ხომ არასოდეს თამაშობენ! — თქვა იულია სერგეევნამ და ლაპტევთან შესახვედრად გასწია, — აბა იქ ასეთი დიდი ეზოები სად არის, ასე ლაღად სად ირბენენ? მამა კი ეს-ესაა თქვენთან წამოვიდა, — ამბობდა იულია და ბავშვებს თვალს არ აცილებდა.

— ვიცი, მაგრამ მასთან კი არა, თქვენთან მოვედი... — ლაპტევი მისი ახალგაზრდობით, მისი იმ სინორჩით ტკბებოდა, რასაც ადრე ვერ ამჩნევდა და რაც თითქოს დღეს აღმოაჩინა პირველად. ისეთი გრძნობა ჰქონდა, ქალის ამ ნატიფ, ოქროს ძეწკვით დამშვენებულ თეთრ ყელკისერს დღეს თითქოს პირველად ხედავდა. — დიახ, თქვენთან მოვედი... — გაიმეორა ლაპტევმა, — ჩემმა დამ ქოლგა გამომატანა, გუშინ მასთან დაგრჩენიათ.

იულია სერგეევნამ გამოსართმევად ხელი გაუწოდა, მაგრამ ლაპტევმა ქოლგა გულში ჩაიკრა და თავშეუკავებლად, გატაცებით, ზუსტად ისეთივე ტკბილი აღტკინებით ჩაილაპარაკა, როგორიც გუშინ, ამ გაშლილი ქოლგის ქვეშ ჯდომისას დაეუფლა.

— გემუდარებით, მაჩუქეთ, სახსოვრად შევინახავ, ჩვენი ნაცნობობის სახსოვრად. ისეთი საუცხოოა!

ვაჟი დაბნეული და აღტაცებული შესცქეროდა.

— ნეტავი მაგ სიცხეში რას უდგახართ! — უთხრა იულია სერგეევნამ ცოტაოდენი მდუმარების შემდეგ და გაიცინა, — წამოდით, ოთახში შევიდეთ.

— ხომ არ შეგაწუხებთ?

წინკარში რომ შევიდნენ, იულია სერგეევნამ თეთრი, ცისფერყვავილებიანი კაბის შარიშურით კიბეზე აირბინა.

— როგორ უნდა შემაწუხოთ, — თქვა და შეჩერდა, — მე ხომ არასოდეს არაფერს ვაკეთებ, ჩემთვის ყოველი დღე უქმია.

— ჩემთვის კი ის, რასაც თქვენ ახლა ამბობთ, გაუგებარია, — ამ სიტყვებით ლაპტევი იულიას მიუახლოვდა, — მე იმ გარემოში გავიზარდე, სადაც ყველა დილიდან დაღამებამდე გარჯაშია.

— გასაკეთებელი თუ არაფერი მაქვს?

— ადამიანმა ისე უნდა იცხოვრო, მთავარი შენთვის შრომა იყოს. შრომის გარეშე სიცოცხლე ხალი და ხალისიანი ვერ იქნება.

ლაპტევმა ქოლგა ისევ გულში ჩაიკრა და თავისდაუნებურად, ისე, რომ თვითონაც არ ელოდა, წყნარად, უცხო ხმით წარმოთქვა:

— თქვენ რომ ჩემს ცოლობაზე თანახმა იქნებოდეთ, ყველაფერს მივცემდი... არ არსებობს საზღაური, არ არის ისეთი მსხვერპლი, რასაც სიამოვნებით არ გავილებდი.

ქალიშვილი შეკრთა, ლაპტევს შიშით და გაოცებით შეხედა.

— რას ბრძანებთ!.. ო, რას ბრძანებთ! — ჩაილაპარაკა ფერმიხდილმა, — ეს შეუძლებელია, გარწმუნებთ, ეს შეუძლებელია! ბოდიშს გიხდით.

მერე სწრაფად, კაბის ისეთივე შარიშურით ზევით ავიდა და კარს მიეფარა.

ლაპტევის სულში თითქოს სინათლე ჩაქრა. გუნებაწამხდარი და დამცირებული სახლიდან წელმოწყვეტილივით გავიდა. იგი ხომ უარყვეს, დაიწუნეს, იქნებ ვერც იტანენ, ან იქნებ ეზიზღებათ კიდევაც!

„ყველაფერს მივცემდი! — აჯავრებდა თავის თავს თაკარა მზის ქვეშ შინისაკენ მიმავალი და სიყვარულის ახსნის ყოველ წვრილმანს იხსენებდა... — ყველაფერს მივცემდიო! ეჰ, რას ნიშნავს, რომ ვაჭარი ხარ, ნეტავი ვის სჭირდება ეს შენი ყველაფერი!“

ის, რასაც ეს-ესაა ექიმის სახლში ამბობდა, აუტანელი და სულელური მოეჩვენა. ვითომ ის რაღად წამოროშა, რატომ იცრუა, ისეთ გარემოში გავიზარდე, სადაც ყველა განურჩევლად შრომობსო? რატომ ლაპარაკობდა ასეთი დამრიგებლური კილოთი პატიოსან, სიხარულით სავსე ცხოვრებაზე? რა დიდი სიბრძნეც ეს არის, ვის აინტერესებს ეს მართლაც მოსკოვური სიცრუე! მაგრამ მალე იმ გულგრილმა განწყობამ მოიცვა, მკაცრი განაჩენის შემდეგ დამნაშავეებს რომ ეუფლებათ. ახლა მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, მადლობა ღმერთს, ყველაფერმა ჩაიარა, იმ საშინელ გაურკვევლობაში აღარა ვარ, მთელი დღეობით ლოდინი, ერთიდაიგივეზე ფიქრი აღარ გამტანჯავს, ჩემთვის ახლა ყველაფერი ნათელია, კაცი ყოველგვარ პირად ბედნიერებაზე ფიქრს უნდა მოეშვა, ყოველგვარი სურვილებისა და იმედების გარეშე იცხოვრო, არ უნდა იოცნებო, არ უნდა ელოდო, ხოლო იმ მოწყენილობას რომ არ გრძნობდე, რის ლოლიავიც მე უკვე კაი ხანია მომბეზრდა, სიკეთე უნდა აკეთო, სხვის ბედნიერებაზე იფიქრო, ამასობაში სიბერეც გეწევა, ცხოვრების აღსასრული დაგიდგება, ყველაფერი შენთვის უკვე სულერთი იქნებაო!.. დიახ, ახლა მისთვის ყველაფერი სულერთი იყო, მას ახლა აღარაფრის სურვილი აღარ ჰქონდა, მაგრამ სახეზე, განსაკუთრე-

ბით თვალებქვეშ, მძიმე განცდის დალი აჩნდა, შუბლი რეზინივით ჰქონდა დაჭიმული და საცაა თვალებიდან ცრემლები იწვიმებდა. იმის გამო, რომ მთელ სხეულში სისუსტეს გრძნობდა, ლოგინში ჩაწვა და ხუთი წუთის შემდეგ ღრმა ძილს მიეცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III

ლაპტევის ამ მოულოდნელმა წინადადებამ იულია სერგეევნა სასოწარკვეთილებაში ჩააგდო.

იგი მას არც ისე კარგად იცნობდა, სრულიად შემთხვევით ჰყავდა გაცნობილი. იცოდა, მდიდარი კაცი იყო, ცნობილი მოსკოვური ფირმის — „ფეოდორ ლაპტევი და ვაჟიშვილების" პატრონი, მუდამ ზომაზე მეტად სერიოზული, ჭკვიანი, დის ავადმყოფობით შეურვებული. ასე ეგონა, ყურადღებას არ მაქცევსო და ვაჟის მიმართ თვითონაც გულგრილი იყო. და აი უცებ კიბეზე სიყვარული აუხსნა, თან ისეთი საცოდავი, ისეთი მოხიბლული სახე ჰქონდა.

მოულოდნელმა წინადადებამ, სიტყვა ცოლის გაგონებამ, იმან, რომ ყარის თქმა მოუწია, იულია სერგეევნას სიმშვიდე დაუკარგა. ახლა მას აღარც კი ახსოვდა, რა უთხრა, მაგრამ ის უსიამოვნო განცდა, რა განცდითაც ვაჟი გაისტუმრა, მოსვენებას არ აძლევდა. ლაპტევი ნამდვილად არ მოსწონდა — უინტერესო კაცია, პირწავარდნილი ნოქრის გარეგნობა აქვსო, ამიტომ სხვაგვარი პასუხის გაცემა არ შეეძლო, მაგრამ საძაგლად მოვიქეცი, თავს მაინც უხერხულად გრძნობდა.

იგი თავისი საწოლის თავთან დაკიდული ხატის წინ იდგა და სასოწარკვეთილი იმეორებდა:

— ღმერთო ჩემო, ოთახშიც არ შევსულვართ, კიბეზე მომახალა, არც კი გამარშიყებია, ძალიან... ძალიან უცნაური კაცია...

ახლა ასე მარტომყოფი კიდევ უფრო ღელავდა, მარტოს ძალა არ ყოფნიდა, ამ მძიმე განცდას გამკლავებოდა. უნდოდა ვილაცას მოესმინა, სწორად მოიქეცი — ენუგეშებინა. მაგრამ არავინ იყო ისეთი, ვისაც დაელაპარაკებოდა და გულს გადაუშლიდა. დედა დიდი ხანია აღარ ჰყავდა, მამას კი ახირებულ კაცად თვლიდა და მასთან სერიოზული ლაპარაკი არ შეეძლო. თავისი ჭირვეულობით, თავისი გადაჭარბებული წყენია ხასიათითა და უცნაური მანერებით მამა პირდაპირ სისხლს უშრობდა. საკმარისია რამეზე საუბარი ჩამოეგდო, რომ ის მაშინვე თავის თავზე იწყებდა ლაპარაკს. იულია არც ლოცვის დროს იყო ბოლომდე გულახდილი, ვინაიდან ზუსტად არ იცოდა, რა უნდა ეთხოვა ღმერთისათვის.

სამოვარი რომ შემოიტანეს, სასტუმრო ოთახში ფერმიხდილი, დაღლილი და დათრგუნული შევიდა. ჩაი დააყენა (ეს მისი მოვალეობა იყო), მამას ჭიქაში დაუსხა, რომელიც ამ დროს თავის გრძელ, მუხლებქვემოთ დაშვებული სერთუკის ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, სახეაწითლებული და თმააჩეჩილი წინ და უკან ბოლთას სცემდა, უფრო სწორედ, გალიაში დამწყვდეული მხეცივით აქეთ-იქით აწყდებოდა — მაგიდასთან გაჩერდებოდა, ჭიქიდან ჩაის მადიანად მოსვამდა, ისევ ბოლთის ცემას გააგრძელებდა და რაღაცაზე ფიქრობდა.

— დღეს ლაპტევმა ცოლობა მთხოვა, — თქვა იულია სერგეევნამ და გაწითლდა.

მამამ გაოგნებულმა შეხედა:

— ვინ? პანაუროვას ძმამ?

ექიმს უყვარდა თავისი ქალიშვილი, იცოდა, ადრე [illegible] გათხოვდებოდა და მიატოვებდა, მაგრამ ცდილობდა არ [illegible] — მარტოობის ეშინოდა, ასე ეგონა, ამ უშველებელ სახლში მარტო თუ დარჩებოდა, ნამდვილად სისხლი ჩაექცეოდა, თუმცა ამის შესახებ ხმამაღლა არასოდეს არავისთვის არაფერი უთქვამს.

— ძალიან კარგი, — თქვა მან და მხრები აიჩეჩა, — გულითა და სულით გილოცავ... შენდა საბედნიეროდ, მშვენიერი შესაძლებლობა გეძლევა, მარტო რომ დამტოვო. მე შენი კარგად მესმის. შენს ასაკში მოხუცი, ავადმყოფი, ჭკუაგამოლეული მამის გვერდით ცხოვრება ალბათ ძალიან ძნელია. დიახ, დიახ, შენი შესანიშნავად მესმის. სული რაც შეიძლება მალე რომ ამომძვრებოდეს, ყველა გაიხარებდა... გილოცავ, სულითა და გულით გილოცავ!

— მე მას უარი ვუთხარი.

ექიმს გულზე მოეშვა, მაგრამ შეჩერება უკვე შეუძლებელი იყო და განაგრძო:

— აქამდე საგიჟეთში რომ არ წამიყვანეთ, ეს სერთუკი კი არა, გიჟის ხალათი რომ არ მაცვია, გაოცებული ვარ. მე ხომ ჯერ კიდევ მჯერა სიმართლისა და სიკეთისა, ჩვენს დროში კი განა ეს სიგიჟე არ არის? მერედა როგორ მპასუხობენ ჩემს გულწრფელ, პატიოსან დამოკიდებულებაზე? ლამის ქვებს მესვრიან, არაფრად მაგდებენ. ჩემი უახლოესი ადამიანებიც კი სულ იმას ცდილობენ, თავზე როგორ წამომასხდნენ. ეშმაკმა წაიღოს ჩემი ბებრუხანა, გამოშტერებული თავი...

— თქვენ ხომ კაცი ადამიანურად ვერასოდეს დაგელაპარაკებათ! — თქვა იულიამ, მაგიდიდან წამოდგა და თავის ოთახში გაბრაზებული გავიდა. გონებაში სულ ის უტრიალებდა, მის მიმართ მამა ასეთი უსამართლო რატომ იყო. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ წყენას სრულიად მოერია, — ახლა მხოლოდ ეცოდებოდა მამა. კლუბში წასვლა რომ დააპირა, იულიამ დაბლამდე ჩააცილა და კარიც თვითონ ჩაკეტა. გარეთ ქარიანი ამინდი იდგა, წინკარში ყოველი მხრიდან უბერავდა, სანთლებს აქრობდა, კარს წარამარა აჯახუნებდა, სახურავზე ისე დათარეშობდა, თითქოს ვილაც დააბოტებსო. იულიამ ზედა სართულზე ყველა ოთახი დაიარა, ყველა ფანჯარასა და ყველა კარს პირჯვარი გადასწერა. ასეთი მოწყენილი იგი არასოდეს ყოფილა, თავი ასე მარტო არასოდეს უგრძვნია.

საკუთარ თავს ეკითხებოდა, განა კარგად მოვიქეცი, როცა კაცს მხოლოდ იმიტომ ვუთხარი უარი, რომ მისი გარეგნობა არ მომწონსო? მართალია, ლაპტევი მის მიერ ათვალწუნებული მამაკაცი იყო და ცოლად თუ გაჰყვებოდა, ყველა თავის ოცნებას, თავის ყველა გეგმას ბედნიერებასა და ცოლქმრობაზე სამუდამოდ უნდა გამოთხოვებოდა, მაგრამ შეხვდებოდა კია ოდესმე იმას, ვიზეც ოცნებობდა და ვისაც შეიყვარებდა? აგერ უკვე ოცდაერთი წლის ქალია, ქალაქში კი საქმროები არ არიან... — იულიამ ყველა თავისი ნაცნობი მამაკაცი გაიხსენა, რო-

მელთაგან ზოგი უკვე დაცოლშვილებული იყო და მათი ოჯახური ცხოვრება თავისი მოწყენილობითა და სიცარიელით მის განცვიფრებას იწვევდა, ზოგი კი ყოვლად არასაინტერესო, უღიმღამო, უკაბო და ზნედაცემული ბრძანდებოდა. ლაპტევი, რაც არ უნდა იყოს, მოსკოველია, უნივერსიტეტდამთავრებული, ფრანგულად ლაპარაკობს, ცხოვრობს ... ქალაქში ცხოვრობს, სადაც უამრავი ჭკვიანი, კეთილშობილი, ... ადამიანია, სიცოცხლე დუღს, დიდებული თეატრები, მუსიკალური საღამოები, საუცხოო მკერავები და საკონდიტროებია... საღმრთო წერილში ნათქვამია, ცოლს ქმარი უნდა უყვარდეს, რომანებშიც ყველაზე დიდი ადგილი სიყვარულს უკავია, მაგრამ გადაჭარბებული ხომ არ არის? ვითომ რატომ არ შეიძლება ოჯახი სიყვარულის გარეშე შეიქმნას? ხომ ამბობენ, სიყვარული მალე ქრება, ოჯახური ცხოვრების მიზანი სიყვარული და ბედნიერება კი არა, მოვალეობა, ბავშვების აღზრდა და ოჯახზე ზრუნვაა... იქნებ საღმრთო წერილიც ქმრის სიყვარულში მოყვასისადმი სიყვარულს გულისხმობს, მისადმი პატივისცემას და შემწყნარებლობას?

საღამოს იულია სერგეევნამ ჯერ მწუხრის ლოცვები წაიკითხა დიდი გულმოდგინებითა და გულისყურით, მერე დაიჩოქა, ხელები მკერდზე გადაიჯვარედინა, კედელს მიაჩერდა და გრძნობით წარმოთქვა:

— მირჩიე რამე, ჩემო მფარველო!.. დამარიგე უფალო!

ცხოვრებაში უამრავ გაუთხოვარ, ხანში შესულ ქალს შეხვედრია, რომლებიც მწარედ ნანობდნენ, თავის დროზე უარი რომ უთხრეს მთხოვნელებს. მეც რომ ასე დამემართოს? ხომ არ ჯობია, მონასტერში წავიდე? ან იქნებ მოწყალების დად დავდგეო?

იულიამ გაიხადა, პირჯვარი გადაიწერა და ლოგინში ჩაწვა. უცებ დერეფანში ზარის მკაფიო ხმა გაისმა.

— აჰ, ღმერთო ჩემო! — ჩაილაპარაკა ზარის წკრიალით გაღიზიანებულმა. იწვა და ახლა იმაზე ფიქრობდა, როგორი ღარიბია პროვინციული ცხოვრება, როგორი ერთფეროვანი, მოსაწყენი და თან მშფოთვარე. სულ რაღაც გაშინებს, გაფორიაქებს, სულ რაღაცაზე ბრაზობ, თავს სულ დამნაშავედ გრძნობ, ბოლოს და ბოლოს კი ნერვები ისე გიფუჭდება, საბნიდან თავის გამოყოფისაც გეშინია.

ნახევარი საათის შემდეგ ისევ ზარის მკვეთრი ხმა გაისმა, მოსამსახურეს, ეტყობა, სძინავსო. იულია სერგეევნამ სანთელი აანთო, მოსამსახურეზე გულმოსულმა და სიცივისაგან აკანკალებულმა ტანთ ჩაიცვა, მაგრამ, დერეფანში რომ გავიდა, მოახლე ქვევით უკვე კარს კეტავდა.

— მეგონა, ბატონი თუ მობრძანდა-მეთქი, მაგრამ ავადმყოფის პატრონები იყვნენ, — თქვა მოსამსახურემ.

უკან რომ მობრუნდა, იულიამ კომოდის უჯრიდან ბანქო ამოიღო და ჩაუთქვა — ქვედა ბანქო წითელი თუ აღმოჩნდებოდა, ლაპტევს ცოლობაზე დაეთანხმებოდა, შავზე კი უარი უნდა ეთქვა: ქვედა ბანქო ყვავის ათიანი აღმოჩნდა.

ამან იულია დაამშვიდა, დაიძინა, მაგრამ დილით არც „ჰო“ ჰქონდა გადაწყვეტილი, არც „არა“. „თუ მოვინდომე, შემიძლია შევცვალო ჩემი ცხოვრება“, — ამ ფიქრებმა დაღალა იულია, თავს უკვე შეუძლოდ

გრძნობდა, მაგრამ თერთმეტი საათისაკენ მაინც ჩაიცვა და ნინა ფეოდოროვნასთან წავიდა — ლაპტევს ვნახავ, იქნებ აქამდე ვცდებოდი, იქნებ ახლა უკეთესი მეჩვენოსო.

ქარი სახეში სცემდა, სიარულს უშლიდა, შლაპას ორივე ხელით იჭერდა და თავზე ძლივს იმაგრებდა, მტვრით სავსე [illegible] ფერს ხედავდა.

IV

ლაპტევი დასთან რომ შევიდა და იქ იულია სერგეევნა დაინახა, თავი კვლავ იმ დამცირებულ ადამიანად იგრძნო, რომელიც ეზიზღებათ. გუშინდელი დღის შემდეგ აქ მოსვლა და ჩემთან შეხვედრა თუ ასე იოლად შეუძლია, ესე იგი, ვერ მამჩნევს, ნამდვილ არარაობად მივაჩნივარო, მაგრამ შეწუხებულმა და ფერმიხდილმა იულიამ მისალმებისას დამნაშავესავით რომ შეხედა, მიხვდა, ისიც ისევე იტანჯებოდა, როგორც თვითონ.

იულია თავს შეუძლოდ გრძნობდა, ამიტომაც ნინასთან მხოლოდ ათიოდე წუთით ჩამოჯდა, მერე და-ძმას გამოემშვიდობა და კარებში რომ გადიოდა, ლაპტევს უთხრა:

— ალექსეი ფეოდოროვიჩ, გამაცილეთ.

ქუჩაში ერთხანს ჩუმად, ხმის ამოუღებლად მიაბიჯებდნენ. ქარი ქროდა და შლაპებს თავიდან აძრობდათ. ლაპტევი იულიას ზურგიდან ეფარებოდა, ცდილობდა ქარისაგან დაეცვა, მგრამ შესახვევში ქარი ისე ალარ უბერავდა და ახლა ისინი გვერდიგვერდ მიდიოდნენ.

— გუშინ თქვენს მიმართ გულთბილი თუ არ ვიყავი, მაპატიეთ, — დაიწყო ქალიშვილმა, ხმა ისე უთრთოდა, გეგონება, საცაა ატირდებაო, — ეს ისეთი ტანჯვაა! წუხელ მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს!

— მე კი მთელი ღამე ჩინებულად მეძინა, — თქვა ლაპტევმა ისე, რომ ქალიშვილისთვის არ შეუხედავს, — მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ კარგად ვარ. ჩემს ცხოვრებას აზრი ალარა აქვს, გუშინდელი თქვენი უარის შემდეგ მკვდარივით დავდივარ. ის, რაც ყველაზე მძიმე იყო, გუშინ ითქვა, დღეს მე თავს შეზღუდულად ალარ ვგრძნობ, შემიძლია პირდაპირ გელაპარაკოთ. მე თქვენ უფრო მეტად მიყვარხართ, ვიდრე საკუთარი თავი, უფრო მეტადაც კი, ვიდრე აწგანსვენებული დედაჩემი. დისა და დედაჩემის გარეშე ცხოვრება შემიძლია და ვცხოვრობ კიდევაც, თქვენს გარეშე ცხოვრება კი ჩემთვის ნამდვილი უაზრობაა, დიახ, დიახ, თქვენს გარეშე მე სიცოცხლე არ შემიძლია...

როგორც ყოველთვის, ლაპტევი ახლაც ხვდებოდა იულიას განზრახვას. მისთვის გასაგები იყო რომ ქალს გუშინდელი საუბრის გაგრძელება სურდა, გაცილებაც ამიტომ სთხოვა. ნეტავი რა უნდა მითხრას, რა უნდა დაუმატოს თვის უარსო? მისი გამოხედვიდან, მისი ღიმილიდან, თვით იქიდანაც კი, მის გვერდით როგორი მხრებჩამოყრილი მოაბიჯებდა, ლაპტევისათვის აშკარა იყო, რომ ქალს არც ახლა უყვარდა, რომ იგი ისევ უცხო იყო მისთვის. მაშინ რას აპირებდა, რის თქმა სურდა?

ექიმი სერგეი ბორისიჩი შინ დაუხვდათ.

— მობრძანდით, მობრძანდით, დიდად მოხარული გახლავართ, ფეოდორ ალექსეიჩ, — ექიმმა ლაპტევისა და მამამისის სახელები ერთმანეთში აურია, — დიდად... დიდად მოხარული გახლავართ...

ადრე იგი ასეთი გულთბილი არასოდეს ყოფილა და ლაპტევი მიხვდა, რომ მისი წინადადების ამბავი ექიმისთვის უკვე ცნობილი იყო, რაც, სიმართლე უნდა ითქვას, სულაც არ სიამოვნებდა. ახლა იგი სასტუმრო ოთახში იჯდა და ეს ოთახი თავისი ღარიბული, მეშჩანური მოწყობილობით, თავისი უხეირო სურათებით მასზე უცნაურ შთაბეჭდილებას ტოვებდა. მიუხედავად იმისა, ოთახში სავარძლებიც იყო და უზარმაზარი აბაჟურიანი ლამპაც იდგა, იგი მყუდრო ბინას კი არა, დიდ ფარდულს ჰგავდა. აშკარა იყო, თავი მყუდროდ აქ მხოლოდ ისეთ ადამიანს შეიძლება ეგრძნო, როგორიც სერგეი ბორისიჩი ბრძანდებოდა. მეორე, თითქმის ორჯერ დიდ ოთახში, რომელსაც დარბაზს ეძახდნენ, გეგონება, საცეკვაო დარბაზიაო, მხოლოდ სკამები იყო ჩარიგებული. ვიდრე სასტუმრო ოთახში იჯდა და ექიმს თავის დაზე ელაპარაკებოდა, ლაპტევს ეჭვის ჭია ღრღნიდა — იმიტომ ხომ არ მოვიდა იულია ნინასთან და მერე აქ იმიტომ ხომ არ მომიყვანა, უნდა გამომიცხადოს, შენს წინადადებას ვლებულობო? ო, რა საშინელებაა! მაგრამ ყველაზე საშინელი ისაა, ამგვარი ეჭვებისათვის მისი გული ასე ადვილად ხელმისაწვდომი რომ არის. წარმოიდგინა, მამა-შვილი, ვიდრე იმ დასკვნამდე მივიდოდნენ, ქალისაგან ასეთი მდიდარი, შეძლებული კაცისათვის უარის თქმა დიდი დაუდევრობაა, მთელი ღამე როგორ თათბირობდნენ და იქნებ კამათობდნენ კიდევაც. ყურში ის სიტყვებიც კი ჩაესმოდა, რასაც მშობლები ამგვარ შემთხვევაში წარმოთქვამენ: „მართალია არ გიყვარს, მაგრამ, აბა, დაფიქრდი, რამდენი სიკეთე შეუძლია მოგიტანოს!“

ექიმი ავადმყოფთან წასასვლელად რომ მოემზადა, ლაპტევს უნდოდა ისიც მასთან ერთად წასულიყო, მაგრამ იულია სერგეევნამ შეაჩერა:

— ძალიან გთხოვთ, დარჩით, არ წახვიდეთ!

იულია იტანჯებოდა, თავის თავს არწმუნებდა, უარი პატიოსან, კეთილ, მოსიყვარულე ადამიანს მხოლოდ გარეგნობის გამო ვუთხარი, მაშინ როცა ასეთ კაცზე გათხოვებით შემიძლია მთელი ჩემი ცხოვრება შევცვალო, უსიხარულო, მონოტონური, უმაქნისი ყოფა გავიხალისო, ახალგაზრდობა ხელიდან მეცლება, წინ კი უკეთესი არავინ ჩანს, ასეთ ვითარებაში უარის თქმა განა მხოლოდ სიგიჟე და ახირება არ არის? ამ ჭირვეულობისათვის ღმერთმა შეიძლება დამსაჯოს კიდევაც.

მამა რომ გავიდა, მისი ნაბიჯების ხმა რომ მიწყდა, იულია სერგეევნა ლაპტევის წინ გაჩერდა და სახეზე მკვდრისფერი დაედო:

— ალექსეი ფეოდოროვიჩ, გუშინ დიდხანს ვიფიქრე... თქვენს წინადადებას ვლებულობ, — თქვა მან მტკიცედ.

ლაპტევი დაიხარა და ხელზე აკოცა, იულიამაც თავზე თავისი ცივი ტუჩები შეახო... ლაპტევი გრძნობდა, ამ სიყვარულის ახსნას მთავარი — იულიას სიყვარული აკლდა, საბაგიეროდ ბევრი რამ ზედმეტადაც იყო და ყვირილი, გაქცევა მოუნდა.. მაგრამ იულია ისე ახლოს

იდგა, ისეთი მშვენიერი იყო, რომ ვნებამ უცებ ერთიანად მოიცვა, რა დროს ახლა ფიქრია, სახე და თავ-კისერი დაუკოცნა, თან ჩუმად რაღაცას ბუტბუტებდა, შენობით მიმართავდა.

ალერსისგან შეშინებული იულია ფანჯარას მოსცილდა. ახლა უკვე ორივე ცალ-ცალკე ნანობდა, შეცბუნებულები ეკითხებოდნენ თავის თავს — რა ვქენით, ეს რა ჩავიდინეთო?

— რომ იცოდეთ, როგორი უბედური ვარ! — ჩაილაპარაკა იულიამ ხელების ფშვნეტით.

— რა დაგემართათ? — ჰკითხა ლაპტევმა და იმანაც ლამის თითები დაიმტვრია. — ძვირფასო, ღვთის გულისათვის, მითხარით, რა დაგემართათ? ოღონდ, სიმართლე მითხარით, გემუდარებით!

— ყურადღებას ნუ მომაქცევთ, — თქვა ქალიშვილმა და ნაძალადევად გაიღიმა, — გპირდებით, ერთგული და თავდადებული ცოლი ვიქნები... დღეს საღამოს მოდით.

მერე როცა ლაპტევი დის გვერდით იჯდა და ისტორიულ რომანს უკითხავდა, ყველაფერი ეს გაახსენდა და იმის გამო, რომ მის ამ მშვენიერ, წმინდა, დიდ გრძნობას ასე ზერელედ, ზედაპირულად უპასუხეს, გულში წყენა იგრძნო. უსიყვარულოდ ცოლობაზე ალბათ მისი სიმდიდრისათვის დათანხმდნენ, მასში იმას მისცეს უპირატესობა, რასაც თვითონ ყველაზე ნაკლებად აფასებს. ვთქვათ, იულიას, სუფთა, წესიერ, ღვთისმოსავ ქალიშვილს ერთხელაც არ უფიქრია ფულზე, მაგრამ მას ხომ არ უყვარს? ესე იგი, შეიძლება გაუცნობიერებლად, მაგრამ მაინც ანგარება ამოძრავებს, ანგარება კი, ასეა თუ ისე, ანგარებად რჩება. ექიმის სახლი მთელი იმ მეშჩანური ავეჯითა და მოწყობილობით ახლა მას ზიზღს ჰგვრიდა, თვითონ ექიმიც საცოდავ, ქონიან წუწურაქად, ოპერეტა „კორნევილის ზარების“ გასპარად წარმოუდგა. ის კი არა, თავად სახელი იულიაც კი ახლა ვულგარულად ეჩვენებოდა. წარმოიდგინა, ისა და მისი იულია გვირგვინქვეშ როგორ დადგებოდნენ, მაშინ როცა თითქმის არც კი იცნობდნენ ერთმანეთს, როცა იულია მისადმი იოტისოდენა სიყვარულსაც არ გრძნობდა. თითქოს ერთმანეთი თვითონ კი არ აერჩიოთ, მაჭანკალს გაერიგებინოს. და ლაპტევს მხოლოდ ერთადერთი იმედილა რჩებოდა, ისეთივე ბანალური, როგორიც ეს ქორწინება — ის, რომ იგი არც პირველია, არც უკანასკნელი, რომ ასე თხოვდება და ასე თხოულობს უამრავი ადამიანი და რომ იულიას დროთა განმავლობაში, როცა უფრო ახლოს გაიცნობს, შეიძლება შეუყვარდეს კიდევაც.

— რომეო და იულია! — თქვა მან, წიგნი დახურა და გაიცინა, — მე, ნინა, რომეო ვარ. შეგიძლია მომილოცო — დღეს მე ცოლობა ვთხოვე იულია ბელავინას.

ნინა ფეოდოროვნას ეგონა, ხუმრობსო, მაგრამ მერე უცებ ატირდა, ეს ახალი ამბავი როგორღაც ჭკუაში არ დაუჯდა.

— თუ ასეა, გილოცავ, — თქვა მან, — მაგრამ ასე ჰაიჰარად რა მოხდა?

— არა, ნინა, ჰაიჰარად არ ყოფილა. ეს ამბავი მარტიდან დაიწყო, როცა აი აქ, შენს ოთახში გავიცანი.

— მე კი მეგონა, ვინმე ჩვენიანს, მოსკოველ ქალს შეირთავდი, — თქვა ნინა ფეოდოროვნამ, წუთით გაჩუმდა და განაგრძო, — ჩვენი წრის ქალები უფრო უშუალოები არიან. მაგრამ მთავარი ის არის, ალიოშა, შენ იყო ბედნიერი, ეს არის ყველაზე მთავარი... ჩემს გრიგორი ნიკოლაევიჩს არასოდეს ვყვარებივარ, ამის დამალვა შეუძლებელია, ჰოდა, შენც კარგად იცი, როგორ ვცხოვრობთ... შენი კეთილი გულისა და შენი ჭკუის გამო ნებისმიერი ქალი შეგიყვარებდა, მაგრამ იულია ინსტიტუტელი ქალია, აზნაური, დიდად არც ჭკუას დაგიდევს, არც სიკეთეს. ის ჯერ ახალგაზრდაა, შენ კი, ალიოშა, არც ახალგაზრდა ხარ, არც ლამაზი.

და თავის ეს ბოლო სიტყვები რომ შეერბილებინა, ძმას ლოყაზე ხელი მოუთათუნა:

— მართალია, ლამაზი არა, მაგრამ დიდებული ბიჭი ხარ.

ნინა ფეოდოროვნა ისე აფორიაქდა, მღელვარებისაგან ლოყებიც კი გაუწითლდა, იგი გატაცებით ლაპარაკობდა იმაზე, ალიოშას საკურთხევლის წინ როგორ დალოცავდა — ის ხომ მისი უფროსი და იყო, ის ხომ დედის მაგივრობას უწევდა! ცდილობდა დაერწმუნებინა თავისი სევდიანი ძმა, ხალხმა რომ არ გაგჭოროს, ისეთი ქორწილი უნდა გადაიხადო, როგორც ამას წესი და რიგი მოითხოვს, მხიარული და ზარზეიმიანი.

ამის შემდეგ ლაპტევმა ბელავინებთან ისე დაიწყო სიარული, როგორც ეს სასიძოს ეკადრება, დღეში სამჯერ-ოთხჯერ მაინც შეივლიდა. მას უკვე აღარ ეცალა საშას შესაცვლელად და ისტორიული რომანების საკითხავად. იულია მას თავის იმ ორ ოთახში იღებდა, სასტუმრო ოთახისა და მამის კაბინეტისაგან მოშორებით, რომლებიც ძალიან მოსწონდა ალექსეის. ოთახებს კედლები მუქად ჰქონდა შეღებილი, კუთხეში ხატებით სავსე სახატე იდგა. ირგვლივ ყველაფერი საუკეთესო სუნამოსა და კანდელის ზეთის სურნელით იყო გაჟღენთილი. ამ ყველაზე მოშორებულ ოთახებში საწოლსა და ტუალეტის მაგიდას შირმა ფარავდა. წიგნის კარადის შუშებს შიგნიდან მწვანე ფარდები ჰქონდა ჩამოფარებული. ხალიჩებით დაფარულ იატაკზე იულია ისე დადიოდა, მისი ნაბიჯის ხმაც არ ისმოდა. და ალექსეიმ დაასკვნა, რომ იგი გულდახურული ადამიანი იყო, რომ მას წყნარი, კარჩაკეტილი ცხოვრება უყვარდა. იმის გამო, რომ ოჯახში იგი ჯერ ისევ არასრულწლოვანის მდგომარეობაში იყო და საკუთარი ფული არასოდეს ჰქონდა, სეირნობისას ზოგჯერ ბავშვივით დაირცხვენდა ხოლმე, რადგან თან კაპიკიც არ ჰქონდა. მამა ტანსაცმლისა და წიგნებისთვის ფულს ცოტას აძლევდა, წელიწადში არაუმეტეს ასი მანეთისა, ვინაიდან კარგი პრაქტიკის მიუხედავად, ფული თვითონ ექიმსაც ძლივს ჰყოფნიდა, ამის მიზეზი კი ის იყო, რომ ყოველ საღამოს კლუბში ბანქოს თამაშობდა და ყოველთვის აგებდა. გარდა ამისა, საკრედიტო საზოგადოებაში აღებული ვადიანი კრედიტით სახლებს ყიდულობდა და აქირავებდა. მართალია, მდგმურები უწესრიგოდ უხდიდნენ, მაგრამ ირწმუნებოდა, ეს ძალზე სარფიანი საქმეაო. ის სახლიც კი დააგირავა, რომელშიც თვითონ და ქალიშვილი ცხოვრობდნენ, იმ ფულით კი ცარიელი ადგილი იყიდა და დასა-

გირავებლად უზარმაზარი ორსართულიანი სახლის მშენებლობა წამოიწყო.

ლაპტევი თითქოს ბურანში იყო, თითქოს თვითონ კი არა, მისი ორეული მოქმედებდა და უამრავ ისეთ რაღაცას სჩადიოდა, რის გაკეთებასაც მანამდე ვერასოდეს გაბედავდა. ექიმთან ერთად სამეფო კლუბშიც იყო, მასთან ერთად ივახშმა და მშენებლობისათვის ფულიც შესთავაზა. მერე პანაუროვსაც ესტუმრა მეორე ცოლ-შვილში. მართალია, სადილად თავად პანაუროვმა დაპატიჟა თავის იმ მეორე სახლში, მაგრამ თვითონაც ისე დაეთანხმა, არც კი დაფიქრებულა. წინ ოცდათხუთმეტიოდე წლის მაღალი, გამხდარი, ოდნავ შეშალარავებული შავთვალწარბა ქალი შეეგება, როგორც ჩანს, არარუსი. სახე პუდრით ჰქონდა გადათეთრებული. სტუმარს ძალიან ტკბილად გაუღიმა და ხელი ისე მაგრად ჩამოართვა, რომ ქალის თეთრ მაჯებზე სამაჯურებმა ჟღრიალი დაიწყო. ლაპტევს ეჩვენებოდა, ასე იმიტომ იღიმება, ცდილობს, სხვასაც დაუმალოს და თავის თავსაც, რომ უბედური ქალიაო. სახლში ორი პატარა ბავშვიც დახვდა — ერთი ხუთის და ერთიც სამი წლის გოგონა, რომელიც გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა საშას. სადილად რძის სუპი, ცივად მოხარშული, სტაფილოთი შეზავებული, როგორიღაც მოტკბო და უგემური ძროხის ხორცი და მოკოლადი მოართვეს. სამაგიეროდ ოქროს ჩანგლებს, საწებლითა და კაიენური წიწაკით სავსე ოქროს ფლაკონებს, არაჩვეულებრივად გადაპრანჭულ სასოუსესა და ოქროს საპილპილეს მაგიდაზე ბდღვრიალი გაჰქონდა.

რძის სუპი რომ მოათავა, ლაპტევმა მხოლოდ მაშინღა გაიაზრა, რა უადგილო იყო მისი ამ ოჯახში სტუმრობა. ქალი შეცბუნებული იჯდა, ერთთავად იღიმებოდა და თეთრ კბილებს აჩენდა. პანაუროვი კი მეცნიერულად ხსნიდა, სიყვარული რა იყო, რას ნიშნავდა და საიდან წარმოიშობოდა.

— ჩვენ აქ ელექტრონულ მოვლენასთან გვაქვს საქმე, — მიმართავდა ქალს იგი ფრანგულად, — თითოეული ადამიანის კანში დენის შემცველი რკინის მიკროსკოპული ნამცეცებია ჩადებული. თუ თქვენ ისეთ პიროვნებას შეხვდებით, რომლის დენიც თქვენი დენის პარალელურია, სიყვარული აქ უკვე სახეზეა!

როდესაც ნინამ შინ დაბრუნებულ ლაპტევს ჰკითხა, სად იყავით, თავი მან უხერხულად იგრძნო და არაფერი უპასუხა.

ქორწილამდე ლაპტევი თავს სულ ასე უხერხულად გრძნობდა. მისი სიყვარული დღითი დღე სულ უფრო ძლიერდებოდა, დღითი დღე იულია სულ უფრო პოეტური და ამაღლებული ეჩვენებოდა. მიუხედავად ამისა, ეს მაინც ორმხრივი სიყვარული არ იყო, კაცმა რომ თქვას, ამ ქალს იგი ყიდულობდა, ქალი კი იყიდებოდა. ამას რომ დაუფიქრდებოდა, ზოგჯერ ლამის სასოწარკვეთილებაში ვარდებოდა. ხომ არ გავიქცეო, საკუთარ თავს ეკითხებოდა. მთელი ღამეები არ ეძინა, ესეც რომ არა, სულ იმაზე ფიქრობდა, ქორწილის შემდეგ იმ ქალს როგორ შეხვდებოდა, მეგობრებთან მიწერილ წერილებში „პერსონად“ რომ მოიხსენიებდა. ან მისი უხასიათო მამა და ძმა მის დაქორწინებას და იულიას რა თვალით შეხედავდნენ? სულ იმის შიში ჰქონდა, შეხვედრისთანა-

ვე მამაჩემი რაიმე უგემურ სიტყვას ეტყვისო. მის ძმა ფეოდორსაც ამ ბოლო დროს რაღაც უცნაური სჭირდა. თავის გრძელ წერილებში ხან ჯანმრთელობის დიდ მნიშვნელობაზე ლაპარაკობდა, ხან იმაზე, რა გავლენა ჰქონდა ავადმყოფობას ადამიანის ფსიქიურ მდგომარეობაზე, ხან რელიგიასა და მის არსზე, მოსკოვსა და საქმეებზე, კი სიტყვასაც არ სძრავდა. ლაპტევს აღიზიანებდა მისი წერილები, ეშინოდა, რომ ძმას თანდათან ხასიათი ეცვლებოდა.

იულიამ და ალექსეიმ იქორწინეს. ჯვრისწერა პეტრე-პავლეს ეკლესიაში წირვის შემდეგ ჩატარდა და ახალდაქორწინებულები მოსკოვში გაემგზავრნენ. როცა ლაპტევი და შავ, შლეიფიან კაბაში გამოწყობილი მისი ცოლი, უკვე ის ყმაწვილი ქალი კი არა, არამედ ნამდვილი ქალბატონი, ნინა ფეოდოროვნას ემშვიდობებოდნენ, ავადმყოფს სახე გვერდზე მოექცა, თუმცა თვალიდან ცრემლი არ გადმოვარდნია:

— ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ, თუ მოვკვდი, ჩემი გოგონები თქვენთან წაიყვანეთ.

— ო, გპირდებით! — უპასუხა იულია სერგეევნამ და ტუჩები და ქუთუთოები მასაც ნერვიულად აუთამაშდა.

— ოქტომბერში ჩამოვალ, — უთხრა გულაჩუყებულმა ლაპტევმა, — აბა, შენ იცი, ძვირფასო, გამოჯანმრთელდი.

ახალდაქორწინებულები ცალკე კუპეში მოთავსდნენ, ორივე თავს მოწყენილად და უხერხულად გრძნობდა. შლაპიანად კუთხეში მიმჯდარი იულია თავს ისე აჩვენებდა, ვითომ თვლემდა, ლაპტევი კი მის წინ დივანზე იწვა და თავში ათასნაირი ფიქრი უტრიალებდა. ფიქრობდა მამაზე, „პერსონაზე", იმაზე, მოეწონებოდა თუ არა იულიას მისი მოსკოვური ბინა, ხოლო როცა ცოლს გადახედავდა, ვისაც იგი არ უყვარდა, ისევ ის მწუხარე ფიქრი აეკვიატებოდა, ნეტავი ასე რატომ მოხდაო?

V

ლაპტევები მოსკოვში საგალანტერიო საქონლით ბითუმად ვაჭრობდნენ — აგრამანტებით, ფოჩებით, ზონრებით, ღილებითა და სხვა ათასი წვრილმანით. საერთო ამონაგები წელიწადში ორ მილიონს აღწევდა, მაგრამ როგორი იყო სუფთა მოგება, მოხუცის გარდა არავინ იცოდა. ვაჟიშვილებიც და ნოქრებიც ამ შემოსავალს დაახლოებით სამასი ათასამდე ვარაუდობდნენ, მაგრამ იმასაც ამბობდნენ, ასი ათასით მაინც მეტი იქნებოდა, მოხუცი რომ არ „ფანტავდეს", ანუ კრედიტებს განურჩევლად არ არიგებდესო. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე მარტო უიმედო ვექსილებმა თითქმის მილიონს მიაღწია. სიტყვა ამაზე რომ ჩამოვარდებოდა, უფროსი ნოქარი თვალებს ეშმაკურად ჭუტავდა და იმ სიტყვებს ამბობდა, რომლის მნიშვნელობა არცთუ ყველასათვის იყო გასაგები:

— ეს საუკუნის ფსიქოლოგიური შედეგია.

ძირითადი სავაჭრო ოპერაციები ქალაქის ბაზარში მდგარ იმ შენობაში ტარდებოდა, რომელსაც ამბარს ეძახდნენ. შესასვლელი ამბარს

ეზოდან ჰქონდა, სადაც ყოველთვის ბნელოდა, მუდამ ჭილობის სუნი იდგა და ასფალტზე საფორნე ცხენების ფლოქვების ბაკუნი ისმოდა. შესახედად ძალზე უბრალო, თუნუქაკრულ კარს ეზოდან ნესტისაგან ჩაშავებულ, ნახშირით კედლებდაჩხაპნილ, რკინის ცხაურიანი ვიწრო ფანჯრით განათებულ ოთახში შეჰყავდი. მარცხენა მხარეს მეორე, უფრო დიდი და უფრო სუფთა ოთახი — კანტორა იყო. კანტორაში ფუჯის ღუმელი და ორი მაგიდა იდგა და მასაც ერთი, ისიც სატუსაღოსავით ბატარა ფანჯარა ჰქონდა. ვიწრო ქვის კიბე აქედან მეორე სართულზე — მთავარ სათავსში ადიოდა. ეს იყო საკმაოდ დიდი ოთახი, მაგრამ დაბალი ჭერისა და იმის გამო, რომ ყუთებით და ბარდანებით იყო გამოტენილი, კიდევ იმის გამო, რომ დღედაღამ შიგ სიბნელე სუფევდა და უამრავი ადამიანი ტრიალებდა, უცხო ადამიანზე ისეთივე უღიმღამო შთაბეჭდილებას ტოვებდა, როგორსაც ორი ქვედა. ზედა სართულსა და კანტორაში თაროებზე დასტა-დასტა შეკრული ან მუყაოს კოლოფებში ჩაწყობილი საქონელი უწესრიგოდ ეყარა. ქაღალდის გამოხეული ფუთებიდან აქა-იქ გამოჩრილი ჭიაფერის მკედები, ფუნჯები, ფოჩის ბოლოები რომ არა, უცებ ვერც კი მიხვდებოდი, რა საქონლით ვაჭრობდნენ. ქაღალდის ამ მიღეჭილ-მოღეჭილი ფუთებისა და კოლოფების შემხედვარე ადამიანი ძნელად წარმოიდგენდა, რომ აი ამ არაფრიდან მილიონებს შოულობდნენ. და რომ აქ, ამ ამბარში, მყიდველებსაც თუ არ ჩავთვლით, ორმოცდაათი ადამიანი მთელ დღეს საქმით იყო დაკავებული.

მოსკოვში ჩასვლის მეორე დღეს, შუადღისას, ლაპტევი ამბარში მივიდა, მაგრამ არტელის წევრები საქონლის შეფუთვისას ყუთებს ისე უბრახუნებდნენ, მისი მისვლა ვერავინ გაიგო, ვერც პირველ ოთახში და ვერც კანტორაში. ვერც ნაცნობმა ფოსტალიონმა შეამჩნია, რომელიც დასტა წერილებით ხელში კიბეზე ჩადიოდა და ყუთებზე ატეხილი ბრახუნისაგან შუბლს შეწუხებული იჭმუხნიდა. პირველი, ვინც მას ზემო სართულზე შეხვდა, მისი ძმა ფეოდორ ფეოდორიჩი იყო. ძმები ისე ჰგვანდნენ ერთმანეთს, ყველას უკლებლივ ტყუპები ეგონა. ეს მსგავსება ლაპტევს გამუდმებით საკუთარ გარეგნობას ახსენებდა. ახლაც შეჰყურებდა ამ ტანდაბალ, წითელლოყება, თმაგაქუცულ, გამხდარ, უჯიშო, არაინტელიგენტური შესახედაობის კაცს და — ნუთუ მეც ასეთი ვარო? — საკუთარ თავს ეკითხებოდა.

— როგორ გამახარე! — ფეოდორმა აკოცა და ხელი მაგრად ჩამოართვა, — შენს ჩამოსვლას ყოველდღე მოუთმენლად ველოდი, ძვირფასო. მას შემდეგ, ცოლს ვირთავო, რაც მომწერე, ცნობისწადილი მკლავს, ესეც რომ არა, მომენატრე, ძმაო. აბა, შენ თვითონ თქვი, მთელი ნახევარი წელია ერთმანეთი არ გვინახავს. ჰა, რას იტყვი? ნინა როგორაა? ძალიან ცუდად არის?

— ძალიან...

— ჩანს, ასეთია ღვთის ნება! — ამოიოხრა ფეოდორმა, — შენი ცოლი? შენი ცოლი როგორღაა? ალბათ მზეთუნახავია? მე კი უკვე მიყვარს, ის ხომ ახლა ჩემი დაიკოა, მე და შენ ერთად გავანებივრებთ.

ლაპტევმა თვალი მამის — ფეოდორ სტეპანიჩის კარგად ნაცნობ ფართო, ოდნავ მოხრილ ზურგს მოჰკრა. მოხუცი დახლის წინ ტაბურეტზე იჯდა და მუშტარს ელაპარაკებოდა.

— მამა, ღმერთმა სიხარული მოგვივლინა! — გასძახა ფეოდორმა, — ჩემი ძმა ჩამოვიდა!

მაღალი, მკვიდრი აგებულების ფეოდორ სტეპანიჩი თავისი ოთხმოცი წლის მიუხედავად, ჯერ ისევ ძლიერი, ჯანსაღი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ლაპარაკობდა ბოხი, ბუბუნა ხმით და ეს ხმა ისე ამოსდიოდა ფართო მკერდიდან, როგორც კასრიდან. წვერი მუდამ გაპარსული ჰქონდა, ულვაში — ჯარისკაცულად გაკრეჭილი, ეწეოდა სიგარას და ვინაიდან სულ ეჩვენებოდა, ცხელაო, ამბარშიაც და სახლშიაც ზამთარ-ზაფხულ ტილოს ფართო პიჯაკი ეცვა. დიდი ხანი არ იყო, რაც თვალიდან კატარაქტა მოეცილებინათ, მაგრამ ჯერ კარგად მაინც ვერ ხედავდა, ამიტომაც თითქმის არაფერს აკეთებდა, მხოლოდ მუშტრებს ესაუბრებოდა და მურაბიან ჩაის მიირთმევდა.

ლაპტევი დაიხარა, მამას ჯერ ხელზე აკოცა, მერე ტუჩებში.

— დიდი ხანია ერთმანეთი არ გვინახავს, მოწყალეო ხელმწიფევ, დიდი ხანია... რას გვიბრძანებ, მოგილოცოთ კანონიერი ქორწინება? აბა, ერთი ნება მომეცი მოგილოცო!

თქვა ბერიკაცმა და ტუჩები საკოცნელად მიუშვირა. ლაპტევი დაიხარა და აკოცა.

— რა ქენი, ჩამოიყვანე შენი ქალბატონი? — და პასუხისათვის არც კი დაუცდია, მუშტარს მიუტრიალდა: — მამა, გაცნობებთ, რომ ჯვარს ვიწერ ამა და ამ ქალიშვილზეო. დიახ, დიახ, ჯვარს ვიწერო. ის, რომ ამისთვის მამის ნებართვა და ლოცვა-კურთხევაა საჭირო, წესად არ აქვთ. ყველაფერს თავის ჭკუაზე აკეთებენ. ორმოცზე მეტისა ვიყავი, ცოლი რომ ვითხოვე, მამაჩემს სულ ფეხებში ვუვარდებოდი, ნებართვასა და რჩევას ვთხოვდი... ახლა ამას აღარავინ დაგიდევს.

ბერიკაცმა ძალიან გაიხარა შვილის ნახვით, მაგრამ ის, რომ მოფერებოდა და თავისი სიხარული გაემჟღავნებინა, სათაკილოდ მიაჩნდა. მისმა ხმამ, ლაპარაკის მანერამა და წარამარა „ქალბატონის“ ძახილმა ლაპტევი იმ უგემურ გუნებაზე დააყენა, ამბარში ყოველ შესვლაზე რომ ეუფლებოდა. თითოეული წვრილმანი აქ მას თავის წარსულს აგონებდა, როცა წკეპლით გვერდებს უჭრელებდნენ და მხოლოდ სამარხვო საჭმელებზე ამყოფებდნენ. იცოდა, ბიჭებს ახლაც სცემდნენ, ახლაც უსისხლიანებდნენ ცხვირ-პირს, ისიც იცოდა, ეს ბიჭები რომ დაიზრდებოდნენ, არც თვითონ დააკლებდნენ სხვებს ცემა-ტყეპას. საკმარისია ბეღელში ხუთ წუთს დარჩენილიყო, ასე ეგონა, საცაა ლანძღვა-გინებით აიკლებდნენ და გვერდებს დაულილავებდნენ.

ფეოდორმა მუშტარს მხარზე ხელი დაარტყა:

— აი, ალიოშა, იცნობდე, ეს ჩვენი ტამბოველი მარჩენალია, გრიგორი ტიმოფეიჩი. თანამედროვე ახალგაზრდებს შეიძლება მაგალითად გამოადგეს, კაცი ლამის სამოცი წლისაა, შვილები კი ჯერ სულ პატარები ჰყავს, სიბერეში დააჩინა.

ნოქრებმა გაიცინეს, გაიცინა მუშტარმაც, გამხდარ-გალეულმა, სახეგაფითრებულმა ბერიკაცმა.

— ბუნება ჩვეულებრივ მოქმედებაზე მაღლა დგას, — შენიშნა დახლს იქით მდგარმა უფროსმა ნოქარმა, — საიდანაც შევიდა, იქიდან გამოვა.

უფროსი ნოქარი, ორმოცდაათიოდე წლის შავწვერულ-ულვაშა კაცი, უკან ფანქარგარჭობილი მაღალი, სათვალიანი მამაკაცი თავის აზრებს, როგორც წესი, ბუნდოვნად, მიკიბულ-მოკიბული ნართაულებით გამოთქვამდა და მისი ეშმაკური ღიმილიდან აშკარა იყო, რომ თავის ამ სიტყვებს იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. წიგნში ამოკითხული სიტყვებით, რომლებიც მას თავისებურად ესმოდა, საკუთარი აზრების გაბუნდოვნება უყვარდა. ის კი არა, უამრავ სრულიად ჩვეულებრივ სიტყვას, არა საკუთარი, არამედ სულ სხვა მნიშვნელობით ხმარობდა. მაგალითად, ავიღოთ სრულიად ჩვეულებრივი სიტყვა, როგორიცაა „გარდა". თუ რაიმე აზრს კატეგორიულად გამოთქვამდა და არ უნდოდა შეპასუხებოდნენ, მარჯვენა ხელს წინ გასწევდა და დააყოლებდა.

— გარდა!

მაგრამ ყველაზე განსაცვიფრებელი ის იყო, რომ ამ კაშირელ კაცს, რომელსაც სახელად ივან ვასილევიჩ პოჩატკინი ერქვა, ნოქრებიც და მყიდველებიც შესანიშნავად უგებდნენ. აი ახლაც ლაპტევს ულოცავდა და თავის მილოცვას ასეთნაირად გამოხატავდა:

— თქვენის მხრივ ეს ვაჟკაცობის დამსახურებაა, ვინაიდან ქალის გული შამილია.

მეორე საყურადღებო პერსონა — ნოქარი მაკეიჩევი გახლდათ, დარბაისელი, ტანსრული, ბაკენბარდებიანი, ქერა, კეფამოტიტვლებული მამაკაცი. იგი ლაპტევთან მივიდა მორიდებით, ხმადაბლა მიულოცა:

— მაქვს პატივი... მადლობა ღმერთს, უფალმა თქვენი მშობლის ლოცვა ყურად იღო...

მერე დანარჩენი ნოქრებიც მოვიდნენ და კანონიერი ქორწინება იმათაც მიულოცეს. ყველანი მოდაზე იყვნენ ჩაცმულები, ყველას წესიერი, კარგად აღზრდილი კაცის იერი ჰქონდა „r"-ს ისე წარმოთქვამდნენ, როგორც ლათინურ „g"-ს. იმის გამო, რომ ყოველ მესამე სიტყვაში „ს"-ს სვამდნენ, სხაპასხუპით წარმოთქმული მათი მილოცვა, მაგალითად, ეს ფრაზა: „გისურვებსთ ყოველივეს კარგსთ..." — ისე ისმოდა, თითქოს ჰაერში ვილაც მათრახს ატყლაშუნებსო.

ლაპტევს ყოველივე ეს მალე მობეზრდა და შინ წასვლა მოუნდა, მაგრამ ეუხერხულა. ზრდილობა მოითხოვდა, ამბარში არანაკლებ ორი საათი მაინც დარჩენილიყო. იგი დახლს მოსცილდა, მაკეიჩევთან მივიდა და გამოკითხვა დაუწყო — ზაფხულმა ხომ მშვიდობიანად ჩაიარა, ახალი ხომ არაფერი მომხდარაო, რაზეც მაკეიჩევი მოწიწებით და თვალებდახრილი პასუხობდა. ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, ნაცრისფერხალათა, თმაგაკრეჭილმა ბიჭმა ჭიქით ჩაი ულამბაქოდ მოართვა. ამ დროს გვერდით მეორე ბიჭმა ჩაუარა, ყუთს დაეჯახა და კინაღამ წაიქცა, რაზედაც დარბაისელ მაკეიჩევს სახეზე მტარვალის მრისხანება აღებეჭდა და ბიჭს გაავებულმა დაჰყვირა:

— გადაადგი ფეხი წესიერად!

ნოქრები გახარებულები იყვნენ, მათმა ახალგაზრდა ბატონმა ცოლი რომ ითხოვა და, როგორც იქნა, შინ დაბრუნდა. ყველანი ალერსიანად და ცნობისმოყვარეობით შესცქეროდნენ. ვერდით ჩავლისას თავს ვალდებულად თვლიდნენ, მორიდებით რაიმე სასიამოვნო ეთქვათ. ლაპტევი კი მათ გულწრფელობაში დარწმუნებული ვერ იყო. მხოლოდ იმიტომ მეპირფერებიან, რომ ეშინიათო. ვერა და ვერ ივიწყებდა, ამ თხუთმეტიოდე წლის წინ ერთი ფსიქიურად დაავადებული ნოქარი ნიფხავ-პერანგის ამარა ქუჩაში ფეხშიშველა როგორ გამოვარდა, ბატონის ფანჯარასთან მუშტებს როგორ იქნევდა და, მტანჯველებო, როგორ გაჰკიოდა. როცა გამოჯანმრთელდა და კარგად გახდა, საბრალოს დიდხანს დასცინოდნენ — აბა როგორ იყო, „ექსპლოატატორების“ მაგივრად ბატონებს „პლანტატორებს“ რომ ეძახდიო? ასე იყო თუ ისე, მოსამსახურეები ლაპტევებთან საშინლად ცხოვრობდნენ და ამაზე კაი ხანია უკვე მთელი ბაზარი ლაპარაკობდა. ყველაზე უარესი კი ის იყო, მათთან დამოკიდებულებაში მოხუცი ფეოდორ სტეპანიჩი როგორიღაც აზიური პოლიტიკას ატარებდა. მაგალითად, არავინ იცოდა, როგორი იყო მისი რჩეული პოჩატკინისა და მაკეიჩევის ჯამაგირი, მაშინ როცა მათი წლიური ხელფასი ჯილდოსთან ერთად სამი ათასს ძლივს აღწევდა. ბერიკაცს თავი ისე ეჭირა, თითქოს თითოეულს შვიდი ათას-შვიდი ათასს უხდიდა. მართალია, ჯილდოს ყოველ წელიწადს ნოქრებიც იღებდნენ, მაგრამ რამდენი იყო ამ ჯილდოს ოდენობა, ესეც საიდუმლოდ რჩებოდა, რათა იმ მცირე თანხის მიმღებს თავმოყვარეობის გამო იმაზე გაცილებით მეტი ეთქვა, რაც მიიღო. არც ერთმა ხელზე მოსამსახურე ბიჭმა არ იცოდა, ნოქრად როდის დააყენებდნენ, არც ხელქვეითებმა იცოდნენ, კმაყოფილი იყო მათით უფროსი თუ არა. კონკრეტულად ნოქრებს არაფერი ეკრძალებოდათ, ამიტომაც წარმოდგენა არ ჰქონდათ, რა შეიძლებოდა მათთვის და რა არა. ვთქვათ, არ ეკრძალებოდათ ცოლის შერთვა, მაგრამ იმის შიშით, ვაითუ უფროსს ეს არ ესიამოვნოს და ადგილი დავკარგოო, არ ქორწინდებოდნენ. არც სტუმრად სიარული და ნაცნობ-მეგობრების გაჩენა ეკრძალებოდათ, მაგრამ საღამოს ცხრა საათზე ჭიშკარი უკვე ჩაკეტილი იყო, დილით კი ბატონი სახეში ყველას ეჭვიანად ჩასცქეროდა, პირიდან რომელიმეს არყის სუნი ხომ არ ამოსდისო.

ყოველ დღესასწაულზე მოსამსახურეები ვალდებულები იყვნენ, ცისკრის წირვას დასწრებოდნენ და ეკლესიაში ისე დამდგარიყვნენ, ბატონს მათი სათითაოდ დანახვა შესძლებოდა. მარხვა ყველას მტკიცედ უნდა დაეცვა. ბატონისა და მისი ოჯახის წევრების დაბადების დღეებზე კი ნოქრები ვალდებულები იყვნენ ფლეის ტკბილი ღვეზელი ან ალბომი მოერთმიათ ხელმოწერით. ცხოვრობდნენ პიატნიცკის ქუჩაზე მდებარე სახლის ქვედა სართულსა და ფლიგელში, თითო ოთახში სამ-სამი ან ოთხ-ოთხი. სადილს ერთი ჯამიდან შეექცეოდნენ, თუმცა თითოეულს წინ თავისი თეფში ედგა. სადილობისას რომელიმე ბატონთაგანი თუ შეუვლიდათ, მაშინვე ყველანი ფეხზე წამოდგებოდნენ.

ლაპტევი მშვენივრად ხვდებოდა, მოხუცისეული აღზრდით წამსდარი ერთი-ორი კაცი თუ ჩათვლიდა მას კეთილისმყოფელად, თორემ

დანარჩენებისათვის მხოლოდ მტერი და „პლანტატორი“ იყო. უკეთესობა არც მთელი ამ ექვსი თვის მანძილზე მისი აქ არყოფნის შემდეგ ეტყობოდა რაიმეს. მართალია, რაღაც სიახლეები კი იყო, მაგრამ არც ეს მოასწავებდა რაიმე სასიკეთოს. მისი ძმა ფეოდორიც, რომელიც ადრე წყნარი, დაკვირვებული, ძალზე დელიკატური ახალგაზრდა იყო, ახლა ყურსუკან ფანქარგარჭობილი საწყობში წინ და უკან საქმიანი კაცის იერით დააბიჯებდა, მუშტრებს მხარზე ხელს უტყაპუნებდა და „მეგობაროო!“ — ნოქრებს მბრძანებელივით უყვიროდა. ეტყობა, რაღაც როლს თამაშობდა, მაგრამ მის ამ ახალ როლში ლაპტევი ძმას უკვე ველარ სცნობდა.

ამბარში დილიდან დაღამებამდე მოხუცის გაუთავებელი ბუბუნი ისმოდა. უსაქმობისაგან ერთთავად მუშტარს ჭკუას არიგებდა, ასწავლიდა, როგორ ეცხოვრა და საქმე როგორ ეწარმოებინა, მაგალითად კი მუდამ თავის თავი მოჰყავდა. მისი ეს ტრაბახი, ეს ავტორიტეტული, დამთრგუნველი კილო ლაპტევს ათი, თხუთმეტი, ოცი წლის წინათაც ესმოდა. მოხუცი ეთაყვანებოდა თავის თავს. მისთვის რომ გესმინათ, განსვენებული მეუღლე და მთელი მისი ნათესაობა, საკუთარი შვილები, ნოქრები და მოსამსახურეები სიკეთით აავსო, თავისი საქციელით მთელი ქუჩა და ნაცნობ-მეგობრები აიძულა, დღენიადაგ მისთვის ელოცათ. რასაც თვითონ აკეთებდა, ყველაფერი შესანიშნავი იყო, მაგრამ, თუ ვინმეს საქმე ცუდად წაუვიდოდა, ეს იმიტომ, რომ რჩევა არ ჰკითხა, მისი რჩევა-დარიგების გარეშე კი საქმეს თავს ვერავინ დაადგამდა. ეკლესიაში, როგორც წესი, ყველაზე წინ დგებოდა, ის კი არა, შენიშვნას მღვდელსაც კი აძლევდა, როცა, მისი აზრით, ისე არ სწირავდნენ, როგორც ჯერ არს. ეს ღმერთს სწადია ასე, იმიტომ, რომ ღმერთს მე ვუყვარვარო, — ფიქრობდა.

ორი საათისათვის ამბარში მოხუცის გარდა ყველა უკვე თავისი საქმით იყო დაკავებული. უსაქმოდ რომ არ ყოფილიყო, ლაპტევმა ერთი ოსტატი ქალისაგან აგრამანტი ჩაიბარა და გაუშვა. მერე ერთ ვოლოგდელ ვაჭარს მოუსმინა და ნოქარი გააფრთხილა, ყურადღებით მომსახურებოდნენ.

— იქით გაწიე „აზი“, უფრო იქით!.. — ისმოდა ყოველი მხრიდან (ასოებით ბეღელში საქონლის ფასი და ნომერი აღინიშნებოდა), — რეცი...იჟე... უფრო იქით, იქით!

წასვლისას ალექსეი მხოლოდ ფეოდორს გამოემშვიდობა:

— ხვალ ცოლთან ერთად პიატნიცკიზე მოვალ, მაგრამ გაფრთხილებ, მამაჩემმა ერთი უხეში სიტყვაც რომ თქვას, იცოდე, იქ წამითაც არ გავჩერდები.

— შენ, ძმაო, როგორიც იყავი, ისეთივე დარჩი, — ამოიოხრა ფეოდორმა, — ვერც ქორწინებამ შეგცვალა... მოხუცისადმი, ჩემო ძმაო, ცოტა შემწყნარებელი უნდა იყო... მაშასადამე ხვალ თერთმეტი საათისათვის... მოუთმენლად დაგელოდებით. იცოდე, წირვიდან პირდაპირ წამოდი.

— არა, წირვაზე არ მივდივარ.

— მაშინ, სულერთია, მთავარია თერთმეტს არ გადააცილო. უფალს ერთად შევევედროთ და ერთად ვისაუბროთ... დაიკოს მოკითხვა გადაეცი, ხელზე აკოცე. ისეთი გრძნობა მაქვს, ვიცი, უსათუოდ შევიყვარებ, — დასძინა ფეოდორმა გულწრფელად, — მშურს, ძმაო, შენი! — ცასძახა უკვე ძირს ჩასულ ალექსეის.

„ჰო, მაგრამ ასე მორცხვად რატომ იწურება, ფეოდორს თავი დედიშობილა ჰგონია? — ფიქრობდა ნიკოლსკის ქუჩაზე მიმავალი ლაპტევი და ცდილობდა გაეგო, რამ შეცვალა ასე ფეოდორი, — ლაპარაკითაც რაღაც სხვანაირად ლაპარაკობს: ძმაო, საყვარელო ძმაო, ღმერთმა წყალობა მოგივლინაო, ღმერთს შევევედროთო, — გეგონება, შჩედრინის იუდუშკა იყოს“.

VI

მეორე დღეს, კვირას, თერთმეტ საათზე ერთცხენიანი მსუბუქი ეტლით ლაპტევი ცოლთან ერთად უკვე პიატნიცკის ქუჩაზე მიდიოდა და რაღაც უსიამოვნო გრძნობით იყო შეპყრობილი — ეშინოდა, ფეოდორ სტეპანიჩს რაიმე ისეთი არ ჩაედინა. რაც შეეხება იულია სერგეევნას, ქმრის სახლში გატარებული ამ ორი ღამის შემდეგ გათხოვება უკვე შეცდომად, უბედურებად მიაჩნდა, ასე ეგონა, ქმართან ერთად მოსკოვში კი არა, სადმე სხვა ქალაქში რომ ეცხოვრა, ამ ჯოჯოხეთს ნამდვილად ვერ გადაიტანდა, მოსკოვში კი ყველაფერი მოსწონდა — ქუჩები, სახლები, ეკლესიები... რომ შემეძლოს მთელი დღე დილიდან დაღამებამდე მოსკოვის ქუჩებში ძვირფას ცხენშებმული ამ მშვენიერი ნალოთი მექროლა, შემოდგომის ეს კრიალა ჰაერი მესუნთქა, თავს ალბათ ასე უბედურად არ ვიგრძნობდიო.

თეთრ, ახლად შელესილ ორსართულიან შენობასთან მეეტლემ ცხენს მოქაჩა და მარჯვნივ შეუხვია. იქ უკვე ელოდნენ. ჭიშკარში ქალაქის ორ პოლიციელთან ერთად ახალ კაფტანსა, მაღალყელიან ჩექმებსა და კალოშებში გამოწყობილი მეეზოვე იდგა. შუა ქუჩიდან ჭიშკრამდე, მერე კი ჭიშკრიდან პარმალამდე მთელი გზა ახალი სილით იყო მოფენილი. პარმალთან სერიოზული სახით ფეოდორი იდგა. მეეზოვემ მათ ქუდი მოუხადა, პოლიციელები მხედრულად მიესალმნენ.

— დაიკო, თქვენი გაცნობის დიდად მოხარული გახლავართ, — უთხრა ფეოდორმა და იულიას ხელზე აკოცა, — კეთილი იყოს თქვენი მობრძანება.

მერე ხელკავი გამოსდო, კიბეზე აიყვანა და დერეფანში ჩამწკრივებულ ქალებსა და მამაკაცებს შორის ჩაატარა. წინკარში სივიწროვე იყო, ირგვლივ საკმევლის სუნი იდგა.

— ახლა მე მამაჩვენს გაგაცნობთ, — თქვა ჩურჩულით ფეოდორმა სამარისებურ საზეიმო სიჩუმეში — საპატიო მოხუცია, pater familias.[1]

დიდ დარბაზში, პარაკლისისათვის გამზადებულ მაგიდასთან, ნეფეპატარძალს ფეოდორ სტეპანიჩი, კუნკულიანი მღვდელი და დიაკვანი ელოდნენ. მოხუცმა საერთო მდუმარებაში იულიას ხელი უსიტყვოდ რომ გაუწოდა, იულია უცებ შეცბა, დაირცხვინა.

---

1. ოჯახის მამა (ლათ.).

მღვდელმა და დიაკონმა შემოსვა დაიწყეს. შემოიტანეს საცეცხლური. საცეცხლურიდან ნაპერწკლები ცვიოდა, იქაურობას საკმლისა და ნამწვის სუნით ავსებდა. აანთეს სანთლები. ნოქრები დარბაზში ფეხაკრეფით შემოვიდნენ და კედლის ჩასწვრივ ორ რიგად ჩამწკრივდნენ. დარბაზში ჩამიჩუმი არ ისმოდა, ჩახველებითაც კი არავის ჩახველებია.

— დალოცე, უფალო... — დაიწყო დიაკვანმა.

პარაკლისს დიდი ზარ-ზეიმით ატარებდნენ, არაფერს ტოვებდნენ, მერე იესო უტკბილესისა და ყოვლად წმინდა ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ორი დაუჯდომელიც წაიკითხეს... დიდხანს გალობდნენ მგალობლები, თანაც მხოლოდ ნოტებით. ლაპტევმა შენიშნა, ჯერ ისევ როგორი დამორცხვებული იდგა მისი ცოლი. ვიდრე დაუჯდომელს კითხულობდნენ, მგალობლები კი სხვადასხვა კილოზე სამჯერად „უფალო შეგვიწყალენს“ აღავლენდნენ, იგი დაძაბული ელოდა, მოხუცი თავს როდის სწევდა და—პირჯვრის დაწერა არ იცითო,—ვთქვათ, რაღაც ამდაგვარ შენიშვნას მისცემდათ. ლაპტევი თავს როგორღაც უსიამოვნოდ, უხერხულად გძრნობდა — ან ეს ამდენი ხალხი, ან ეს ცერემონიალი მღვდლებითა და მგალობლებით რა საჭირო იყო, ამ ყველაფერს მეტისმეტად ვაჭრული იერი დაჰკრავსო. მაგრამ, როცა იულიამ მოხუცთან ერთად თავი ბიბლიის ქვეშ დახარა და რამდენიმეჯერ მუხლებზე დაეშვა, ლაპტევი დამშვიდდა, მიხვდა, რომ იულიას ეს ყველაფერი მოსწონდა.

წირვის დასასრულს მღვდელმა მოხუცსა და ალექსეის ჯვარი სამხვევად გაუწოდა, მაგრამ, როცა იულია სერგეევნა მიუახლოვდა, ჯვარს ხელი დააფარა და ყველას აკრძნობინა, რომ რაღაცის თქმა სურდა. მერე ხელით მგალობლებსაც ანიშნა და ისინიც გააჩუმა.

— წინასწარმეტყველი სამუელი, — დაიწყო მღვდელმა, — უფლის ბრძანებით ბეთლემში მივიდა, იქ კი ქალაქის უხუცესები აღელვებულები ეკითხებიან: „მშვიდობით არს შემოსვლა ეგე შენი ჩვენდა, მხილველო?“ ხოლო მან ჰრქუა: „მშვიდობით არს, რამეთუ მსხვერპლისა შეწირვად მოვსულვარ უფლისა! აწ განწმინდენით თავნი თქვენნი და ჩემ თანა ინახ-იდგით დღეს“...[1] გეკითხებით ჩვენც მხევალო ღვთისა იულია, მშვიდობით არს შემოსვლა ეგე შენი სახლსა ამას?

აღელვებისაგან იულიას ლოყები შეჰფაკვლოდა. მღვდელმა სიტყვა დაამთავრა, იულიას სამთხვევად ჯვარი გაუწოდა და სულ სხვა კილოთი წარმოთქვა:

— ახლა ფეოდორ ფეოდორიჩიც უნდა დავაქორწინოთ, დროა.

მგალობლებმა ისევ გალობა წამოიწყეს. ხალხი ამოძრავდა, დარბაზი ახმაურდა. გულაჩუყებულმა, თვალზე ცრემლმომდგარმა მოხუცმა იულიას სამჯერ აკოცა, სახეზე პირჯვარი გადასწერა და უთხრა:

— ეს თქვენი სახლია. მე უკვე დავბერდი, აღარაფერი მჭირდება.

ნოქრები ულოცავდნენ, რაღაცას ეუბნებოდნენ, მაგრამ მგალობლები ისე ხმამაღლა გალობდნენ, არაფერი ესმოდა. მერე ისაუზმეს და შამპანური დალიეს. ეჰ, არ ვარგა ცალ-ცალკე ცხოვრება, — ეუბნე-

---

1. „მეფეთა“ I. 16:4,5 (მთ.).

ბოდა მოხუცი გვერდით მჯდარ იულიას, — ერთად უნდა იცხოვროს ოჯახმა, ერთ ჭერქვეშ, დაყოფას და უთანხმოებას სახლი გალატაკებამდე მიჰყავსო.

— მე ვნაგრულობდი, შვილები კი მხოლოდ ხარჯავენ, — ამბობდა იგი, — ახლა თქვენ იცხოვრეთ ამ ჭერქვეშ ჩემთან ერთად, თქვენ მოინაგრეთ. მე კი უკვე დავბერდი, ჩემისთანა ბერიკაცისათვის უკვე დასვენების დრო დადგა.

ფეოდორ ფეოდორიჩი, რომელიც ძალიან ჰგავდა იულიას ქმარს, ოღონდ მასზე უფრო მოძრავი და მორიდებული იყო, ერთთავად მის ირგვლივ ფუსფუსებდა და ყოველ წუთს ხელზე ჰკოცნიდა.

— ჩვენ, დაიკო, უბრალო ხალხი ვართ, — ეუბნებოდა იულიას ხახეაფორაჯებული, — ჩვენ ყველანი ქრისტიანულად ვცხოვრობთ, დაიკო, უბრალოდ, რუსულ ყაიდაზე.

შინ რომ ბრუნდებოდნენ, ლაპტევმა, ძალზე კმაყოფილმა იმით, რომ ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა და მისი მოლოდინის მიუხედავად განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, ცოლს უთხრა:

— ვიცი, გაოცებული ხარ, ისეთ ჯანმაგარ, მხარბეჭიან მამას ასეთი ტანმორჩილი, მკერდჩავარდნილი შვილები როგორა ჰყავს, როგორიც მე და ფეოდორი ვართ. მაგრამ ეს ისეთი გასაგებია!.. როცა მამაჩემმა დედაჩემზე იქორწინა, თვითონ უკვე ორმოცდახუთი წლის იყო, დედა კი მხოლოდ ჩვიდმეტის. ქმრის გვერდით იგი შიშისაგან თრთოდა და ფერიფური მისდიოდა. ნინა პირველი შვილია, იგი შედარებით ჯანმრთელი დედისაგან იშვა და ჩვენზე ძლიერი, ჩვენზე უკეთესი გამოვიდა. მე და ფეოდორი კი მხოლოდ მაშინ ჩავისახეთ, როცა დედა გამუდმებული შიშისაგან დათრგუნული და დაუძლურებული იყო. მახსოვს, მამამ ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო ჩემი გაწვრთნა ან, უბრალოდ, ჩემი ცემა, როცა ხუთი წლისაც არ ვიყავი. სულ როზგით მცემდა, ყურებს მაგლეჯდა და თავში მირახუნებდა. ყოველ დილას იმ ფიქრით ვიღვიძებდი, ნეტავი მამა დღესაც მცემს თუ არა-მეთქი? თამაში და ცელქობა მე და ფეოდორს აკრძალული გვქონდა, სამაგიეროდ არც ერთი ციხკრისა და მწუხრის წირვა არ უნდა გაგვეცდინა, მღვდლებისა და ბერებისათვის ხელზე უნდა გვეამბორა, სახლში დაუჯდომელი უნდა გვეკითხა. შენ აი რელიგიური ხარ და ეს ყველაფერი გიყვარს, მე კი მეშინია რელიგიის, ეკლესიას გვერდით რომ ჩავუვლი, ბავშვობა მახსენდება და ტანში მზარავს. რვა წლისა რომ გავხდი, საწყობში მიმიყვანეს სამუშაოდ. იქ მეც ისე ვმუშაობდი, როგორც უბრალო ხელზე მოსამსახურე ბიჭი. ეს ყველაფერი ჩემთვის აუტანელი იყო, ვინაიდან იქ მე თითქმის ყოველდღე მირტყამდნენ. გიმნაზიაში რომ შემიყვანეს, სადილობამდე უნდა მესწავლა, შუადღიდან დაღამებამდე კი საწყობში უნდა ვმჯდარიყავი. ასე იყო ოცდაორ წლამდე, ვიდრე უნივერსიტეტში იარცევი არ გავიცანი. სწორედ იარცევმა დამარწმუნა, მამის სახლიდან უნდა წახვიდეო. მოკლედ, ბევრი სიკეთე მახსოვს იარცევისაგან... იცი, რა, — თქვა უცებ ლაპტევმა და კმაყოფილმა გაიცინა, — მოდი, სტუმრად იარცევთან წავიდეთ. მართლაც რომ უკეთილშობილესი კაცია! რომ იცოდე, როგორ გაუხარდება!

VII

ნოემბრის ერთ შაბათ საღამოს სიმფონიურ კონცერტს რეპეტიტორი დირიჟორობდა. დარბაზი გაჭედილი იყო, ცხელოდა. ლაპტევი სვეტებს უკან იდგა, მისი ცოლი და კოსტია კოჩევოი კი წინ, შუაში, თუ მეოთხე რიგში ისხდნენ. ის-ის იყო ანტრაქტი დაიწყო, რომ ლაპტევს მოულოდნელად გვერდით იმ „პერსონამ", ანუ პოლინა ნიკოლაევნა რასუდინამ ჩაუარა. ქორწინების შემდეგ მასთან შესაძლო შეხვედრაზე იგი ხშირად შეშინებული ფიქრობდა. ახლა კი, როცა ქალმა გულღიად, პირდაპირ შეხედა სახეში, გაახსენდა, დღემდე არა თუ ახსნა-განმარტება, თითქოს ემალებაო, მეგობრულად ორი-სამი სტრიქონის მიწერაც არ გახსენებია. ამის გაფიქრებაზე ლაპტევი სირცხვილისაგან წამოწითლდა. ქალმა კი ხელი მაგრად, აჩქარებით ჩამოართვა და ჰკითხა:

— იარცევი არ გინახავთ?

მაგრამ პასუხისთვის არ დაუცდია, სწრაფად გაეცალა და ისეთი ფართო ნაბიჯით, ისეთი აჩქარებით წავიდა, თითქოს უკნიდან ვილაც ჯიკავ-ჯიკავით მისდევდა.

იგი ძალზე გამხდარი და ულამაზო იყო, გრძელცხვირა. ისეთი დაღლილი, გაწამებული სახე ჰქონდა, იფიქრებდი, თვალები რომ უხელია და არ იქცევა, ალბათ დიდი თავშეკავება და ძალისხმევა სჭირდებაო. სამაგიეროდ შავი, მშვენიერი თვალები და გონიერი, კეთილი, გულწრფელი გამოხედვა ჰქონდა. უშნოდ, მოუქნელად მოძრაობდა. მასთან საუბარი ადვილი არ იყო, ვინაიდან მშვიდად ლაპარაკი და მოსმენა არ შეეძლო. არც მისი საყვარლობა იყო ადვილი. ზოგჯერ ლაპტევთან ცალკე რომ დარჩებოდა, აიფარებდა ხელებს სახეზე და ხარხარებდა, ირწმუნებოდა, ჩემს ცხოვრებაში მთავარი სიყვარული არ არისო. ამ ოცდაათი წლის ქალს ვიდრე კოცნას დაუწყებდი, ჯერ სანთელი უნდა ჩაგექრო — სულ ჩვიდმეტი წლის გოგოსავით იპრანჭებოდა. ადრე ვილაც მასწავლებელზე ყოფილა გათხოვილი, მაგრამ უკვე დიდი ხანია ქმართან აღარ ცხოვრობდა. თავს მუსიკის გაკვეთილებით და კვარტეტებში მონაწილეობით ირჩენდა.

მეცხრე სიმფონიის შემდეგ ვითომ ისე, შემთხვევით, ლაპტევს კვლავ გვერდით ჩაუარა, მაგრამ სვეტებს იქით კედელივით ჩამდგარი მამაკაცების ბრბო ვერ გაარღვია და იქვე ახლოს გაჩერდა. ლაპტევს თვალში უმალ ის ხავერდის კოფთა მოხვდა, რომლითაც მესამე წელია ქალი კონცერტებზე დადიოდა. სამაგიეროდ ხელთათმანები ეცვა ახალი, მარაოც ახალი ეჭირა, ოღონდ იაფფასიანი. მართალია, კარგი ჩაცმა უყვარდა, მაგრამ, გარდა იმისა, რომ არ იცოდა, ვერც ფულს იმეტებდა საამისოდ, ამიტომაც ყოველთვის ცუდად, დაუდევრად იყო ჩაცმული. როცა იგი ქუჩაში ჩვეულებისამებრ ჩქარი, ფართო ნაბიჯით გაცვეთილზე მიისწრაფოდა, მუსიკოსი კი არა, მონასტრის ახალგაზრდა მსახური გეგონებოდა.

დარბაზში ხალხი ტაშს უკრავდა და bis-ს ყვიროდა.

— ამ სალამოს ჩემთან გაატარებთ, — მიუახლოვდა პოლინა ნიკოლაევნა ლაპტევს და თვალებში მკაცრად ჩახედა, — ჩვენ აქედან ერთად წავალთ ჩაის დასალევად. გესმით? მე ამას მოვითხოვ. თქვენ ჩემგან ბევრი რამით ხართ დავალებული, მორალური უფლება არა გაქვთ, უარი მითხრათ ამ უმნიშვნელო წვრილმანზე.

— კი, ბატონო, წავიდეთ, — დაეთანხმა ლაპტევი.

სიმფონიის დამთავრების შემდეგ სცენაზე მუსიკოსების დაუსრულებელი გამოძახება დაიწყო. ხალხი უსალისოდ დგებოდა ადგილებიდან და დარბაზს ნელა, ზოზინით ტოვებდა ლაპტევი კი ისე ვერ წავიდოდა თეატრიდან, ცოლი არ გაეფრთხილებინა, ამიტომაც საჭირო იყო კართან დამდგარიყო და ცოლის გამოსვლას დალოდებოდა.

— ჩაი ძალიან მინდა, — დაიწუწუნა რასუდინამ, — გულ-მუცელი მეწვის.

— ჩაის აქაც დავლევთ, — უთხრა ლაპტევმა, — წამოდით, ბუფეტში შევიდეთ.

— იმდენი ფული სად მაქვს, მებუფეტეს ჩავაყარო, მე ხომ სოვდაგრის ცოლი არ ვარ.

ლაპტევმა ხელკავი შესთავაზა, მაგრამ ქალმა უარი უთხრა და ის გრძელი, დამქანცველი ფრაზა წარმოთქვა, რომელიც მისგან არაერთხელ სმენია, სახელდობრ ის, რომ იგი თავის თავს მშვენიერ სუსტ სქესს არ მიაკუთვნებდა, რომ ბატონი მამაკაცების მომსახურებას სულაც არ საჭიროებდა.

რასუდინა თან ლაპტევს ესაუბრებოდა, თან ხალხს ათვალიერებდა და წარამარა ნაცნობებს ესალმებოდა. უმეტესწილად ისინი მისი კონსერვატორიელი თანაკურსელი ქალები და მოსწავლე გოგო-ბიჭები იყვნენ. ხელს ყველას ისე მაგრად, ისე აჩქარებით ართმევდა, თითქოს უნდა მოაგლიჯოსო. მაგრამ ქალს უცებ მხრები აუკანკალდა, ლაპტევს სახეში მწუხარედ შეხედა და წყნარად ჩაილაპარაკა:

— ეგ ვინ ითხოვეთ ცოლად! თვალები სად გქონდათ! ასე რამ გადაგრიათ? მაგ სულელ, არაფრის მაქნის გოგოში რა ნახეთ? მე ხომ თქვენი ჭკუის, თქვენი სულის, თქვენი ადამიანობის გამო მიყვარდით. ამ ფაიფურის თოჯინას ხომ თქვენი ფულის მეტი არაფერი სჭირდება!

— კარგი, პოლინა, კმარა, — უთხრა ლაპტევმა მუდარის კილოთი, — ყველაფერი, რაც თქვენ ჩემი ქორწინების შესახებ შეიძლება მითხრათ, მე უკვე მრავალჯერ ვუთხარი ჩემს თავს... გულს მეტად ნუღარ მატკენთ.

გამოჩნდა იულია სერგეევნა, შავ კაბაში გამოწყობილს გულზე ის დიდი ბრილიანტის გულსაბნევი ეკეთა, რომელიც წირვის შემდეგ მამამთილმა აჩუქა. უკან მთელი ამალა მოჰყვებოდა — კოჩევოი, ორი ნაცნობი ექიმი, ოფიცერი და სტუდენტურ ფორმაში გამოწყობილი ტანსრული ახალგაზრდა კაცი, გვარად კიში.

— კოსტიას გაყევი, — უთხრა ლაპტევმა ცოლს, — მეც მალე მოვალ.

იულიამ თავი დაუქნია და გზა განაგრძო. პოლინა ნიკოლაევნამ

თვალი გააყოლა, იგი მთელი სხეულით კრთოდა, მხრებს ნერვიულად იჩეჩდა, მისი მზერა ზიზღით, სიძულვილითა და ტკივილით იყო სავსე.

ლაპტევს ფეხები უკან რჩებოდა, წინასწარ გრძნობდა, უსასრულო ახსნა-განმარტების მიცემა, ტირილის და უშეხი საყვედურების მოსმენა მოუწევდა, ამიტომაც ჩაის დასალევად რესტორანში წასვლა შესთავაზა, მაგრამ ქალმა იუარა:

— არა, არა, ჩემთან წავიდეთ, რესტორანზე ლაპარაკიც არ გაბედოთ.

პოლინას რესტორნებში სიარული არ უყვარდა, ვინაიდან რესტორნის ჰაერი თამბაქოს კვამლით და კაცების ამონასუნთქით მოწამლული ეჩვენებოდა. ყოველი უცნობი მამაკაცის მიმართ ცუდად წინასწარვე იყო განწყობილი, ყველა კაცი გარყვნილად მიაჩნდა, იმ ადამიანად, ვისაც შეეძლო, ყოველ წუთს ნადირივით სცემოდა. გარდა ამისა, სამიკიტნოების მუსიკა თავს ატკიებდა და აღიზიანებდა.

კეთილშობილთა საკრებულოს რომ გასცდნენ, ოსტოჟენსკიზე მეეტლე დაიქირავეს, საველიევის შესახვევამდე, სადაც რასუდინა ცხოვრობდა. ლაპტევი მთელი ეს გზა ამ ქალზე ფიქრობდა, მისგან, მართლაც, დიდად იყო დავალებული. იგი თავის მეგობართან, იარცევთან გაიცნო, ვისაც პოლინა მუსიკის თეორიას ასწავლიდა. ვაჟი ქალმა უანგაროდ, მთელი გულითა და სულით შეიყვარა. მასთან დაახლოების შემდეგაც იგი კვლავ გაკვეთილების ჩასატარებლად დადიოდა და კვლავ ქანცის გაწყვეტამდე შრომობდა. ლაპტევმა სწორედ მისი წყალობით შეიყვარა და გაიგო მუსიკა, მაშინ როცა მანამდე თითქმის სრულიად გულგრილი იყო მის მიმართ.

— ნახევარ სამეფოს მივცემდი ერთ ჭიქა ჩაიში! — ყრუდ ჩაილაპარაკა ქალმა და, არ გავცივდეო, პირზე მუფთა აიფარა, — ხუთი გაკვეთილი ჩავატარე. ეშმაკმა დალახვროს! ისეთი უტვინო მოსწავლეები მყავს, ისეთი აუტანელი, სიბრაზისაგან ლამის გულს შევასკდე. არ ვიცი, ბოლო როდის მოელება ამ კატორღას. მოვკვდი, დავიტანჯე. როგორც კი სამას მანეთს თავს მოვუყრი, მივატოვებ ყველაფერს, ყირიმში წავალ, დავწვები სანაპიროზე და ფილტვებს ჟანგბადით ავივსებ. რომ იცოდეთ, როგორ მიყვარს ზღვა... აჰ, რომ იცოდეთ, როგორ მიყვარს!

— არსადაც არ წახვალთ! — თქვა ლაპტევმა, — ჯერ ერთი, თავს ვერაფერს მოუყრით, მეორეც, საშინელი ძუნწი ხართ. მაპატიეთ, კიდევ გიმეორებთ — ნუთუ ამ სამასი მანეთის კაპიკ-კაპიკ მოგროვება იმ ხელთუპყარი ადამიანებისაგან, რომლებიც მუსიკას თქვენგან მხოლოდ უსაქმობის გამო სწავლობენ, ნაკლებ დამამცირებელია, ვიდრე ის, რომ ფული მეგობარს ესესხოთ?

— მე მეგობარი არ მყავს! — თქვა ქალმა გაღიზიანებულმა. — გთხოვთ, თავი დაანებოთ სისულელების ლაპარაკს. მუშათა კლასს, რომელსაც მე ვეკუთვნი, ერთი პრივილეგია აქვს: თავისი მოუსყიდველობის შეგნება და უფლება, ვალი არ აიღონ ვაჭრებისაგან. არა, თქვენ მე ვერ მიყიდით! მე ხომ იულია არა ვარ!

ლაპტევს მეეტლისთვის ფულის გადახდა არც უცდია, იცოდა, ამას

საგინებელი სიტყვების ნიაღვარი მოჰყვებოდა, რაც უწინაც არაერთხელ ჰქონდა ნაგემი, ისე რომ, ფული თავად პოლინამ გადაიხადა.

ვიღაც მარტოხელა ქალისაგან პოლინას პატარა, ოჯახით გაწყობილი ოთახი ჰქონდა დაქირავებული. მისი დიდი, ბეკერის ფირმის როიალი ჯერჯერობით ისევ იარცევთან იდგა ბოლშაია ნოვოსელსკაიაზე. დასაკრავად ქალი იქ ყოველდღე დადიოდა. ნაქირავებ ოთახში კი სახლის პატრონის ქოთნის ყვავილები ელაგა, კედლებზე ოლეოგრაფიები იყო ჩამოკიდებული, იდგა შალითაგადაკრული სავარძლები, იდგა საწოლი, რომელსაც თეთრი საზაფხულო გადასაფარებელი ეფარა. მოკლედ, არაფერი იყო ისეთი, რაც მიანიშნებდა, რომ აქ, ამ ოთახში ქალი, თანაც ყოფილი კურსისტი ქალი ცხოვრობდა. არ იყო სარკე, არ იყო წიგნები, არ იყო საწერი მაგიდაც კი. ჩანს, მოვიდოდა თუ არა, მაშინვე ლოგინში ჩაწვებოდა, დილას კი ადგომისთანავე შინიდან გადიოდა.

მოახლემ სამოვარი შემოიტანა. პოლინამ ჩაი დააყენა და ჯერ ისევ სიცივისგან აკანკალებული, — ოთახში ციოდა, — იმ მომღერლების გინებას მოჰყვა, მეცხრე სიმფონიაში რომ მღეროდნენ. დაღლილობისაგან თვალები ეხუჭებოდა. ჯერ ერთი ჭიქა ჩაი დალია, მერე მეორე, მესამე...

— ასე და ამგვარად, თქვენ უკვე ცოლიანი კაცი ხართ, — თქვა ქალმა, — მაგრამ ნუ ღელავთ, არც თავს მოვიკლავ, არც ცხვირს ჩამოვუშვებ და გულიდან თქვენს ამოგლეჯასაც შევძლებ. საწყენი და გულსატკენი კი ისაა, რომ თქვენც ისეთივე უვარგისი ხართ, როგორც ყველა, და რომ ქალში ჭკუა და ინტელექტი კი არა, მისი სხეული, სილამაზე, ახალგაზრდობა გიტაცებთ... ახალგაზრდობა... — ცხვირში ისე ჩაიდუდღუნა, თითქოს ვილაცას აჯავრებსო და გაიცინა. — ახალგაზრდობა! თქვენ ქალის უბიწოება გწადიათ, დიახ, Reinheit!.. Reinheit!.. — თქვა, სავარძლის ზურგზე გადაწვა და გადაიხარხარა. — Reinheit![1]

ხარხარს რომ მორჩა, თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე.

— ყოველ შემთხვევაში, ბედნიერი მაინც თუ ხართ? — ჰკითხა ქალმა.

— არა.

— უყვარხართ?

— არა.

ლაპტევმა თავი ძალზე უბედურად იგრძნო, აღელვებული წამოდგა და ოთახში წინ და უკან სიარულს მოჰყვა.

— არა, — გაიმეორა მან, — მე, პოლინა, რომ იცოდეთ, ძალიან უბედური კაცი ვარ. რას იზამ! სისულელე ჩავიდინე, ამას ახლა აღარაფერი ეშველება. ამ ამბავს ფილოსოფიურად უნდა მიუდგე. ის უსიყვარულოდ, სულელურად გათხოვდა, შეიძლება ანგარებითაც, მაგრამ დაუფიქრებლად, ახლა კი, როგორც ჩანს, თავის შეცდომას აცნობიერებს და იტანჯება. ამას მე შესანიშნავად ვხედავ. ღამით ორივეს გვძინავს,

---

1. უბიწოება (გერმ.).

ღღისით კი ჩემთან მარტო დარჩენას ერიდება, სულ გართობას და საზოგადოებას ეძებს. ჩემი ეშინია და რცხვენია.

— ფულს კი სიამოვნებით გართმევთ, ხომ ასეა?

— სისულელეა, პოლინა! — წამოიძახა ლაპტევმა. — ფულს ჩემგან იმიტომ იღებს, რომ ფული არაფრად მიაჩნია, ექნებოდა თუ არ ექნება, მისთვის სულერთია. იგი სუფთა, ფაქიზი ადამიანია, ცოლად იმიტომ გამომყვა, რომ მამის სახლში ცხოვრება აღარ სურდა, ეს არის და ეს.

— დარწმუნებული ხართ, რომ ცოლად მაშინაც გამოყვებოდათ, მდიდარი რომ არ ყოფილიყავით?

— დარწმუნებული მე არაფერში არა ვარ, — თქვა სევდიანად ლაპტევმა, — არაფერში... უბრალოდ, ვერაფერი გამიგია. ღვთის გულისათვის, პოლინა, მოდი, ნულარ ვილაპარაკებთ ამაზე.

— გიყვართ?

— სიგიჟემდე.

მერე სიჩუმე ჩამოწვა. ქალი უკვე მეოთხე ჭიქა ჩაის სვამდა. ლაპტევი კი წინ და უკან დადიოდა და იმაზე ფიქრობდა, რომ მისი ცოლი ახლა ალბათ ექიმების კლუბში ვახშმობდა და იგი სულაც არ ახსოვდა.

— ნუთუ შეიძლება გიყვარდეს და არ იცოდე, რისთვის გიყვარს? — ჰკითხა რასუდინამ და მსრები აიჩეჩა, — არა თქვენში ცხოველური ვნებაა! თქვენ მთვრალი ხართ. მისი ლამაზი სხეულით, მისი Reinheit-ით ხართ მოწამლული! თავი დამანებეთ, მომშორდით, ბინძური, უგვანო ადამიანი ხართ, მასთან წადით!

ქალმა ხელი აუქნია, მერე მისი შლაპა აიღო და გულმოსულმა ესროლა. ლაპტევმა ქურქი უსიტყვოდ ჩაიცვა, ოთახიდან გავიდა, მაგრამ ქალი წინკარში გავარდა, ლაპტევს მკლავში ხელი ჩაავლო და აქვითინდა.

— კმარა, პოლინა, გაჩერდით! — ამბობდა ლაპტევი და ხელის გაშვებინებას ამაოდ ცდილობდა, — დამშვიდდით, გთხოვთ!

ქალმა თვალები დახუჭა, სახეზე მკვდრისფერი დაედო, გრძელი ცხვირი სანთელივით გაუხდა. ლაპტევი მკლავში ჩაფრენილი თითების გახსნას ისევ ამაოდ ცდილობდა. მერე გულწასული ქალი ხელში ფრთხილად აიყვანა, საწოლზე დააწვინა და ვიდრე გონს მოვიდოდა, ათიოდე წუთი გვერდით ეჯდა. ქალს ხელები ყინულივით ჰქონდა, მაჯა ძლივს, არითმულად უცემდა.

— შინ წადით, — თქვა ქალმა და თვალები გაახილა, — წადით, თორემ ისევ ავღრიალდები. ცოტა უნდა დავმშვიდდე.

რასუდინასაგან გამოსულმა ლაპტევმა ექიმების კლუბისაკენ კი არა, სადაც მისიანები ელოდნენ, შინისაკენ გასწია. მიდიოდა და მთელი გზა საკუთარ თავს საყვედურობდა — რატომ ამ ქალთან არ მოვიწყე ოჯახი, ვისაც მართლა ვუყვარდი, ვინც ჩემი ნამდვილი ცოლი და მეგობარი, ერთადერთი ერთგული ადამიანი იქნებოდა. თანაც უფრო დიდი კეთილშობილება, უფრო ღირსეული საქციელი რა შეიძლება ყო-

ფილიყო, ამ ჭკვიან, ამაყ, შრომისაგან გატანჯულ ქალს ბედნიერებას, თავშესაფარს, სიმშვიდეს თუ მივანიჭებდი? ვარ კი ღირსი, — ეკითხებოდა იგი თავის თავს, — იმ პრეტენზიისა, რაც მე სილამაზის, ახალგაზრდობის, ბედნიერების მიმართ მაქვს, ბედნიერებისა, რომელიც არასოდეს მეღირსება და რომელიც, როგორც დაცინვა და სასჯელი, სამი თვეა მთრგუნავს და მწუხარებაში მაგდებს? [illegible] ბოლოს თვემ რა ხანია გაიარა, მე კი — განა სასაცილო არ არის! — წარმოდგენაც არა მაქვს, როგორი ადამიანია ჩემი ცოლი. თავის ინსტიტუტელ ამხანაგებსა და მამას ხუთგვერდიან წერილებს სწერს, მისაწერი და სათქმელი საკმარისზე მეტი აქვს, ჩემთან კი მხოლოდ ამინდსა და იმაზე ლაპარაკობს, დროა ვივახშმოთ ან დროა ვისადილოთო. როცა ქალი დიდხანს ცულობს, მაგრამ რაზე, რაზე ლოცულობს? როცა მასთან დასაძინებლოცულობს ძილის წინ, მერე კი თავის ჯვრებსა და ხატებს ჰკოცნის, ლაპტევი უყურებს და გულდამძიმებული ფიქრობს: — აი ის ახლა ლოლად ვწვები, გულში ვიკრავ და მხოლოდ იმას ვლებულობ, რისთვისაც ფულს ვიხდი, იმასაც შეურაცხყოფ და ჩემ თავსაც, მაგრამ ეს ხომ საშინელებაა! ჯანმრთელი, ჯან-ღონით სავსე, გაბედული, შემცოდე ქალი რომ იყოს, კიდევ მესმის, ეს კი ისეთი ახალგაზრდა, ისეთი მორწმუნე და თვინიერია, ისეთი უმანკო თვალები აქვს... ვიდრე ცოლი გახდებოდა, ქალის ეს რელიგიურობა გულს უჩუყებდა, ახლა კი შეხედულებებისა და რწმენის ეს პირობითი განსაზღვრულობა იმ თეჯირად წარმოუდგებოდა, რომლის იქითაც სიმართლის დანახვა შეუძლებელი ხდებოდა. ცოლქმრული ცხოვრება ახლა უკვე სატანჯველად ჰქონდა ქცეული. მისი ცოლი თეატრში მის გვერდით რომ იჯდა და ოხრავდა, ან გულწრფელად ხარხარებდა, ლაპტევს გუნება ეწამლებოდა — მხოლოდ თვითონ ტკბება, არ უნდა თავისი აღტაცება ქმარსაც გაუზიაროსო. იულია ყველა მის მახლობელს დაუმეგობრდა, იმათ იციან, რა ადამიანია, თვითონ კი წარმოდგენაც არა აქვს, მხოლოდ დარდობს და ჩუმად ეჭვიანობს.

სახლში რომ მივიდა, ლაპტევმა ტანისამოსი გამოიცვალა, თავისთან კაბინეტში დაჯდა და რომანის კითხვა დაიწყო. ცოლი შინ არ იყო. და აი, ნახევარ საათსაც არ გაევლო, რომ წინკარში ვილაცამ დარეკა და პეტრეს ყრუ ნაბიჯის ხმა გაისმა, რომელიც კარის გასაღებად გაეშურა. კართან იულია იყო. სიცივისაგან წითლად ლოყებშეფაკლულს ქურქიც არ გაუხდია, პირდაპირ ლაპტევთან კაბინეტში შევიდა.

— პრესნაზე დიდი ხანძარია, — თქვა ქალმა აქოშინებულმა, — ცა სულ წითლად არის განათებული. კონსტანტინ ივანიჩთან ერთად მეც პრესნაზე მივდივარ.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს!

ქალის ჯანსაღმა შესახედაობამ, მისმა სიქორფემ და ბავშვურად შეშინებულმა თვალებმა ლაპტევი დაამშვიდა. ნახევარი საათი კიდევ იკითხა და დასაძინებლად გასწია.

მეორე დღეს პოლინა ნიკოლაევნამ ლაპტევს საწყობში ოდესღაც მისგან ნათხოვარი ორი წიგნი, ყველა მისი წერილი და სურათი გამო-

უგზავნა, თან ბარათიც მოაყოლა, სადაც მხოლოდ ერთადერთი სიტყვა ეწერა: „მორჩა!“

VIII

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქტომბრის ბოლოს ნინა ფეოდოროვნას ჯანმრთელობა უკვე ამკარად გაუარესდა. თვალსა და ხელს შუა ჩამოდნა, სახეზე ძალიან შეიცვალა, მაგრამ, მიუხედავად ძლიერი ტკივილებისა, ასე ეგონა, ვრჩებიო. დილით ჯანმრთელივით გამოეწყობოდა და მერე მთელი დღე ჩაცმული იწვა ლოგინში. ბოლო დროს რატომღაც ბევრს ლაპარაკობდა. იწვა ზურგზე, ჩუმად რაღაცას გაუთავებლად ჰყვებოდა და თან ძლივს სუნთქავდა. და აი ერთ დღესაც იგი ამგვარ ვითარებაში გარდაიცვალა.

ნათელი, მთვარიანი ღამე იყო. ახალ ნათოვზე ვიღაცები დასრიალებდნენ და ოთახში მათი ჟივილ-ხივილი ისმოდა. ნინა ფეოდოროვნა ზურგზე იწვა, საშა, რომელსაც შემცვლელი აღარავინ ჰყავდა, იქვე გვერდით იჯდა და თვლემდა.

— მისი მამის სახელი აღარ მახსოვს, — ჰყვებოდა ნინა ფეოდოროვნა წყნარად, — სახელად ივანი ერქვა, გვარად კოჩევოი. ერთი ღარიბი ჩინოვნიკი იყო, გამოუსწორებელი ლოთი, ღმერთმა ნათელში ამყოფოს... ჩვენთან ხშირად დაიარებოდა და ჩვენც ყოველ თვე გირვანქა შაქარსა და ცოტაოდენ ჩაის ვაძლევდით, რა თქმა უნდა, ხანდახან ფულსაც. ჰო... მერე ასეთი რაღაც მოხდა: ის ჩვენი კოჩევოი ერთხელაც ძალიან მაგრად დათვრა და მოკვდა, არაყმა გულ-მუცელი დაუთუთქა. პატარა ბიჭი ჰყავდა, შვიდი წლის... ჩვენ ის წამოვიყვანეთ და ნოქრებთან დავმალეთ. მთელი წელიწადი იქ ისე გაატარა, მამაჩვენმა არაფერი იცოდა. როცა ნახა, ხელი ჩაიქნია, თქმით კი არაფერი უთქვამს. კოსტია, აი ეს ობოლი ბიჭი მეცხრეში რომ გადადგა—მაშინ მე უკვე დანიშნული ვიყავი — ხან ერთ გიმნაზიაში მივიყვანე, ხან მეორეში, მაგრამ არსად ღებულობდნენ, ბიჭი კი სულ ტიროდა და ტიროდა... ყეუბნები, რა იყო, ეე სულელო, რა გატირებს-მეთქი? ბოლოს რაზგულიაზე მეორე გიმნაზიაში, როგორც იქნა, მიიღეს, ღმერთიმც იმათ გაახარებს.. პიატნიცკიდან რაზგულიამდე და რაზგულიადან პიატნიცკიმდე ბიჭი ყოველდღე ფეხით დადიოდა... ფულს ალიოშა უხდიდა... ღმერთის შეწევნით ბიჭი მშვენივრად სწავლობდა. და აი, არ მოვერიდეთ ადამიანს, აბუჩად არ ავიგდეთ, ჩვენს სახლში შევიფარეთ და კაცადაც ვაქციეთ, ადვოკატი გახდა. ახლა ალბათ სულ ჩვენს ლოცვაშია...

ნინა ფეოდოროვნა თანდათან მისუსტდა, უკვე ძლივს, სვენებ-სვენებით ლაპარაკობდა, მერე ერთხანს იყუჩა, უცებ წამოიწია და დაჯდა:

— რაღაც კარგად ვერ ვარ, — თქვა მან, — ღმერთო, შემიწყალე! ველარ ვსუნთქავ.

საშამ იცოდა, რომ დედა მალე გარდაიცვლებოდა, ამიტომაც, როცა დაინახა, სახე როგორ დაუგრძელდა და გაელია, მიხვდა, ყველაფერი დამთავრებული იყო:

— დედიკო, არა! — აქვითინდა შეშინებული გოგონა, — არა, დედიკო, არა!

— სამზარეულოში გაიქეცი, უთხარი, ვინმე წავიდეს და მამას დაუძახოს, ცუდად ვარ.

საშა ოთახიდან ოთახში დარბოდა და იძახდა, მაგრამ მთელ სახლში მოსამსახურეებიდან არავინ იყო, მხოლოდ ლიდა იწვა სასადილო ოთახში სკივრზე და ჩაცმულს უსასთუმლოდ ეძინა. საშა გარეთ თავშიშველა, უკალოშო გავარდა. ჭიშკართან მერხზე [illegible] მოსრიალეებს უყურებდა. სანაპიროდან, საციგურაო მოედნის მხრიდან სამხედრო მუსიკის ხმა ისმოდა.

— გადია, დედა კვდება! — ღრიალებდა საშა, — გააგზავნე, მამასთან ვინმე გააგზავნე...

გადია საძინებელში ავიდა. ავადმყოფს რომ დახედა, ხელში ანთებული თაფლის სანთელი ჩაუდო, ეგ იყო და ეგ, სხვა აღარაფერი ულონია. საშა წინ და უკან შეშინებული დარბოდა, მამასთან წადითო, თავადაც არ იცოდა, ვის სთხოვდა. მერე პალტო ჩაიცვა, თავშალი მოიხვია და ქუჩაში გავარდა. მოსამსახურეებისაგან იცოდა, რომ მამა სხვა ცოლთან და ორ გოგონასთან ერთად ბაზრის ქუჩაზე ცხოვრობდა. ატირებული გოგონა ჭიშკრის მარცხენა მხარეს გაუყვა, მირბოდა და თან თოვლში ეფლობოდა, სციოდა, ყოველი უცხო ადამიანის დანახვა შიშს ჰგვრიდა.

გზად ცარიელი ეტლი შეხვდა, მაგრამ, ვაითუ მეეტლემ ქალაქგარეთ წამიყვანოს, გამძარცვოს და სასაფლაოზე მიმატოვოსო, არ იქირავა (მსგავსი ამბავი ერთხელ ჩაის სმისას მოსამსახურეებისაგან მოისმინა). ატირებული, დაღლილობისაგან სუნთქვაშეკრული მირბოდა და მირბოდა შეუჩერებლივ. ბაზრის ქუჩაზე რომ მივიდა, იკითხა, ხომ არ იცოდნენ ბატონი პანაუროვი სად ცხოვრობდა. ვიღაც უცნობმა ქალმა დიდხანს უხსნა, მაგრამ, როცა მიხვდა, ვერაფერი გავაგებინეო, ხელში ხელი ჩაავლო და ასე ხელჩაკიდებული რომელიღაც ერთსართულიანი სახლის სადარბაზოსთან მიიყვანა. კარი ჩაკეტილი არ იყო. საშამ წინკარში შეირბინა, დერეფანი გაიარა და თავი იმ ნათელ, თბილ ოთახში ამოყო, სადაც მამამისი ვიღაც ქალთან და ორ გოგონასთან ერთად საუზმობს უჯდა. საშამ სიტყვა ვერ დაძრა, მხოლოდ იდგა და ხმამაღლა ღრიალებდა. პანაუროვი, ცხადია, მაშინვე მიხვდა ყველაფერს:

— დედაა ცუდად? მითხარი, შვილო, დედაა ცუდად?

და შეშფოთებულმა პანაუროვმა კაცი მაშინვე მეეტლის მოსაყვანად აფრინა.

შინ რომ მივიდნენ, ნინა ფეოდოროვნა ლოგინში ბალიშებშემოწყობილი იჯდა და ხელში ანთებული სანთელი ეჭირა. სახე ჩაშავებული, თვალები დახუჭული ჰქონდა. საძინებელში კარებთან გადია, მზარეული, მოახლე, მოჯამაგირე პროკოფი და კიდევ რამოდენიმე უცხო ადამიანი შეჯგუფებულიყო. გადია ჩურჩულით რაღაც ბრძანებებს იძლეოდა, მაგრამ მისი ნათქვამი არავის ესმოდა. ოთახის სიღრმეში ფერწასული, ნამძინარევი ლიდა ფანჯარასთან იდგა და დედისკენ შუბლშეკრული იყურებოდა.

პანაუროვმა ნინა ფეოდოროვნას სანთელი ხელიდან გამოართვა და ზიზღით შუბლშეჭმუხვნილმა კომოდზე დადო.

— რა საშინელებაა! — ჩაილაპარაკა მხრებაკანკალებულმა თავისთვის: — ნინა, უნდა დაწვე... დაწექი, საყვარელო, — უთხრა ცოლს ალერსიანად.

ქალმა ქმარს შეხედა, მაგრამ ვერ იცნო... მერე ზურგზე დააწვინეს.

მღვდელი და ექიმი სერგეი ბორისიჩი რომ მოვიდნენ, მსახურები უკვე პირჯვარს იწერდნენ და ნინა ფეოდოროვნას სულს მოიხსენიებდნენ.

— აბა ეს როგორი ამბავია! — თქვა ექიმმა და ჩაფიქრებული საძინებლიდან სასტუმრო ოთახში გავიდა, — ჯერ სულ ახალგაზრდა ქალია, ორმოცისაც არ არის.

გოგონები ხმამაღლა ტიროდნენ. გაფითრებული, თვალცრემლიანი პანაუროვი ექიმთან მივიდა და სუსტი, მიმქრალი ხმით უთხრა:

— ჩემო ძვირფასო, დამდეთ პატივი, მოსკოვში დეპეშა გააგზავნეთ. მე უკვე არაფრის თავი აღარა მაქვს.

ექიმმა მელანი მოძებნა და ქალიშვილს ასეთი დეპეშა დაუწერა: „პანაუროვა გარდაიცვალა საღამოს რვა საათზე. ქმარს უთხარი, დვორიანსკზე იყიდება სახლი ვალის გადავადებით. ავანსში ცხრა გადაიხადოს. საჯარო ვაჭრობა თორმეტშია. ვურჩევ ხელიდან არ გაუშვას“.

IX

ლაპტევი მალაია დმიტროვკაზე, „სტარი პიმენის“ მახლობლად ერთ-ერთ შესახვევში ცხოვრობდა. გარდა ქუჩის პირას მდგარი დიდი სახლისა, ეზოში კიდევ ორსართულიანი ფლიგელი ჰქონდა დაქირავებული თავისი მეგობრის, ნაფიცი ვექილის თანაშემწის — კოჩევოისათვის, ვისაც ლაპტევები, იმის გამო, რომ იგი მათ თვალწინ გაიზარდა, უბრალოდ, კოსტიას ეძახდნენ. ამ ფლიგელის პირდაპირ იდგა მეორე, ასევე ორსართულიანი ფლიგელი, რომელშიც ერთი ფრანგული ოჯახი — ცოლი, ქმარი და მათი ხუთი გოგონა ცხოვრობდა.

გარეთ ოცი გრადუსი ყინვა მძვინვარებდა. ფანჯრები ჭირხლით იყო დაფარული. გაიღვიძა თუ არა, შეურვებული სახით კოსტიამ თხუთმეტი წვეთი რაღაც წამალი დაისხა, დალია, წიგნის კარადიდან ორი გირი გამოიღო და ვარჯიშს შეუდგა. იყო ძალიან მაღალი, ძალიან გამხდარი, დიდ, წითურულვაშიანი, არაჩვეულებრივად გრძელფეხება, რაც ყველაზე უფრო თვალში საცემი იყო მის გარეგნობაში.

პეტრემ, პიჯაკსა და მაღალყელიან ჩექმებში ჩატანებულ ჩითის შარვალში გამოწყობილმა შუახანს მიტანებულმა მსახურმა, სამოვარი შემოიტანა და ჩაი დააყენა.

— დღეს ძალზე კარგი ამინდია, კონსტანტინ ივანიჩ, — უთხრა მან კოჩევოის.

— ჰო, კარგი ამინდია, ჩემო ძმაო, ოღონდ სამწუხარო ისაა, რომ მე და შენ ვერ ვცხოვრობთ მაინცადამაინც კარგად.

პეტრემ ზრდილობისათვის ამოიოხრა.

— გოგოები რას შვრებიან?

— მღვდელი არ მოუვიდათ და თვითონ ალექსეი ფეოდოროვიჩი ამეცადინებთ.

კოსტიამ ფანჯარაზე შეუჭირხლავი ადგილი მოძებნა, ბინოკლი აიღო და ფრანგების სახლის ფანჯარას დაუმიზნა.

— არ ჩანს, — თქვა მან.

ქვედა სართულზე კი ამ დროს ალექსეი ფეოდოროვიჩი საშასა და ლიდას რჯულის კანონში ამეცადინებდა. უკვე თვენახევარია გოგონები მოსკოვში იყვნენ, გუვერნანტთან ერთად ფლიგელის ქვედა სართულზე ცხოვრობდნენ. გარდა ამისა, კვირაში სამჯერ ქალაქის სასწავლებლიდან მათთან მასწავლებელი და მღვდელიც დაიარებოდა. საშა უკვე ახალ ალთქმას სწავლობდა, ლიდამ კი ეს-ესაა ძველი ალთქმა დაიწყო და გასამეორებლად ახლა სწორედ აბრაამამდე ჰქონდა მიცემული.

— მაშასადამე, ადამსა და ევას ორი შვილი ჰყავდათ, — თქვა ლაპტევმა, — ძალიან კარგი. მაგრამ, აბა გაიხსენე, რა ერქვათ ადამის ვაჟიშვილებს?

ლიდა ისევ შუბლშეკრული იჯდა, გაჩუმებული მაგიდას ჩასცქეროდა და მხოლოდ ტუჩებს აცმაცუნებდა. საშა სახეში მისჩერებოდა და იტანჯებოდა.

— კარგად იცი, რომ ნერვიულობა საჭირო არ არის, — უთხრა ლაპტევმა, — აბა რას იტყვი, რა ერქვათ ადამის ვაჟიშვილებს?

— აბელი და კაბელი, — წაიჩურჩულა ლიდამ.

— კაენი და აბელი, — შეუსწორა ლაპტევმა.

ლიდას ლოყაზე მსხვილი ცრემლი ჩამოუგორდა და წიგნზე დაეცა. საშამაც თვალები დახარა, გაწითლდა და ისიც სატირლად მოემზადა. ცოდვისაგან ლაპტევი ხმას ველარ იღებდა, ცრემლი ყელში ჰქონდა მობჯენილი. იგი მაგიდიდან წამოდგა და პაპიროსს მოუკიდა. ამ დროს ზევიდან გაზეთით ხელში კოჩევოი ჩამოვიდა, გოგონები წამოდგნენ და რევერანსი ისე გაუკეთეს, თავი არ აუწევიათ.

— ღვთის გულისათვის, კოსტია, ამ ბავშვებს მიხედეთ, — უთხრა ლაპტევმა, — ვშიშობ, მეც არ ავტირდე, თან სადილობამდე ამბარშიც უნდა შევიარო.

— კარგი.

ალექსი ფეოდორიჩი წავიდა. კოსტია ძალზე სერიოზული სახით წარბშეკრული მაგიდასთან დაჯდა და ბიბლია თავისკენ მიიცურა.

— აბა? — ჰკითხა ბავშვებს, — რაზე შეჩერდით.

— ამან წარღვნაზე იცის, — თქვა საშამ.

— წარღვნაზე? კარგი, ესე იგი, წარღვნის ამბავს ჩავაბულბულებთ. აბა ჰე, დაიწყე, — კოსტიამ წიგნში წარღვნის მოკლე აღწერას თვალი გადაავლო და თქვა: — სიმართლე რომ გითხრათ, ისეთი წარღვნა, როგორიც ამ წიგნშია აღწერილი, სინამდვილეში არ ყოფილა. არც ნოე არ ყოფილა არასოდეს. მართალია, ქრისტეს დაბადებამდე რამდენიმე ათასი წლის წინ დედამიწაზე დიდი წყალდიდობა იყო, ეს არა მხოლოდ ებრაულ ბიბლიაშია აღწერილი, არამედ სხვა უძველესი ხალხების წიგნებშიც, მაგალითად, ბერძნების, ქალდეველების, ინდუსებისა და ა. შ. მაგრამ, რაც არ უნდა დიდი წყალდიდობა ყოფილიყო, მთელ დე-

დამიწას მაინც ვერ დაფარავდა. ვთქვათ, წყალმა დაბლობი დაფარა, მთები ხომ დარჩებოდა! ისე რომ, ეს წიგნი წაკითხვით კი წაიკითხეთ, მაგრამ მაინცადამაინც ნუ დაუჯერებთ.

ლიდას ისევ ცრემლი წამოუვიდა, მიტრიალდა და უცებ ისე ალრიალდა, კოსტია შეკრთა, სკამიდან შეცბუნებული წამოხტა.

— სახლში მინდა, — ჩაილაპარაკა გოგონამ, — [illegible] ადიასთან მინდა.

საშამაც ტირილი დაიწყო. კოსტია თავის ოთახში ავიდა და ტელეფონით იულია სერგეევნას დაურეკა.

— ძვირფასო, გოგონები ტირიან, ვერაფერი გავაწყე.

მალე იულია სერგეევნამ კაბისა და ნაქსოვი შალის ამარა დიდი სახლიდან სიცივით აკანკალებულმა მოირბინა და ბავშვებს დამშვიდება დაუწყო:

— ხომ გითხარით, — ამბობდა მუდარით სავსე კილოთი და ხან ერთს იკრავდა გულში, ხან მეორეს, — მამამ დეპეშა გამოაგზავნა, დღეს ჩამოვა. დედა მხოლოდ თქვენ კი არა, მეც ძალიან მეცოდება, გული მეტანჯება, მაგრამ, აბა, რა უნდა ქნა, ღმერთის წინააღმდეგ ხომ ვერ წახვალ!

ბავშვები რომ დამშვიდდნენ, იულიამ ორივე თბილად ჩაფუთნა და საიგურაოდ წაიყვანა. გაიარეს მალაია დმიტროვკა, ჩასცდნენ ვნების მონასტერს, ივერიის მონასტერთან ეტლი გააჩერეს, თითო სანთელი აანთეს და დაჩოქილებმა ილოცეს, უკან დაბრუნებისას ფილიპოვის დუქანშიც შეიარეს და ყაყაჩოს თესლიანი ბლითები იყიდეს.

დაახლოებით სამი საათი იქნებოდა, ლაპტევებმა რომ ისადილეს. კერძები პეტრეს შემოჰქონდა, რომელიც დღისით ხან ფოსტაში გარბოდა, ხან საწყობში, ხან კოსტიას დავალებით საოლქო სასამართლოში მიდიოდა და ახლა იქ ემსახურებოდა იმას. საღამოს პაპიროსებს ტენიდა, ღამით კარის გასახსნელად წარამარა წინ და უკან დარბოდა, დილით სუთ საათზე კი უკვე ღუმლებს ანთებდა და, კაცმა არ იცის, როდის იწვა და როდის ეძინა. ძალიან უყვარდა ზელტერის წყლის ბოთლებზე საცობების დაძრობა, ამას ადვილად, უხმაუროდ აკეთებდა, წვეთსაც არ აქცევდა.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოთ! — თქვა კოსტიამ და ვიდრე წვნიანის ჭამას დაიწყებდა, ერთი ჭიქა არაყი დალია.

თავიდან იულია სერგეევნას არ მოსწონდა კოსტია, არ მოსწონდა მისი ბარიტონი, მისი გამონათქვამები, როგორიცაა, მაგალითად, „გაუშალო სიფათში", „მურდალი", „წადი, კოჭი გააგორე" და სხვ. დალევისას ჭიქის მიჭახუნების მისი ჩვევა ტრივიალურად ეჩვენებოდა. მაგრამ, როცა უფრო ახლოს გაიცნო, მის გვერდით თავს უკვე თავისუფლად გრძნობდა. კოსტიაც გულღია იყო იულიას მიმართ, უყვარდა საღამოობით მასთან რაღაც-რაღაცებზე ხმადაბალი საუბარი, ის კი არა, წასაკითხად თავის დაწერილ რომანებსაც კი აძლევდა, თუმცა რომანებს რომ წერდა, თვით ისეთ უახლოეს ამხანაგებსაც არ უმხელდა, როგორიც ლაპტევი და იარცევი იყვნენ. იულიაც კითხულობდა ამ რომანებს და, კოსტიას გული რომ არ სტკენოდა, ქებით ფრთებს ასხამდა.

ეს შექება კოსტიას, რა თქმა უნდა, სიხარულს ჰგვრიდა, ვინაიდან, იმედი ჰქონდა, ადრე თუ გვიან ცნობილი მწერალი გავხდებიო. თავის რომანებში იგი მხოლოდ სოფელსა და მემამულეების სახლ-კარს აღწერდა, თუმცა სოფელში სულ რაღაც ორიოდეჯერ თუ ყოფილა, ისიც მხოლოდ ნაცნობების აგარაკებზე. მემამულის კარ-მიდამოში კი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე მხოლოდ ერთხელ იყო ნამყოფი და ისიც მაშინ, როცა სასამართლოს საქმეზე ვოლოკოლამსკში მოუწია წასვლა. თითქოს რცხვენიაო, სასიყვარულო ამბებზე წერას გაურბოდა, აი ბუნებას კი ხშირად აღწერდა და ამ დროს ისეთი გამოთქმების ხმარება უყვარდა, როგორიცაა, მაგალითად: მთების იკლიკანტური მოხაზულობა, ღრუბელთა უცნაური ფორმები, ანდა იდუმალი თანახმიერების აკორდი... ცხადია, რომანებს არავინ უბეჭდავდა, მაგრამ ამას იგი ცენზურული პირობებით ხსნიდა.

ადვოკატობა მოსწონდა, თუმცა თავის მთავარ საქმედ ადვოკატობა კი არა, რომანების წერა მიაჩნდა. თავის თავს დახვეწილი, არტისტული ბუნების ადამიანად თვლიდა და გული მუდამ ხელოვნებისაკენ მიუწევდა. მართალია, არც მღეროდა, არც რომელიმე ინსტრუმენტზე უკრავდა და მუსიკალური სმენის ნატამალიც არ გააჩნდა, მაგრამ არც ერთ სიმფონიურ კონცერტს და ფილარმონიაში გამართულ არც ერთ ღონისძიებას არ გამოტოვებდა. ქველმოქმედების მიზნით კონცერტებს აწყობდა, ეცნობოდა მომღერლებს...

ლაპტევი, იულია და კოსტია სადილზე ისხდნენ და საუბრობდნენ.

— საოცარია, — ამბობდა ლაპტევი, — ჩემმა ფეოდორმა ისევ ჩიხში შემიმწყვდია! უნდა გავიგოთ ჩვენს ფირმას ასი წელი როდის უსრულდება, აზნაურობაზე უნდა ვიზრუნოთო, და ამას სრულიად სერიოზულად ამბობს. არ ვიცი, რა ემართება. მართალი გითხრათ, უკვე ვნერვიულობ კიდევაც.

ლაპარაკობდნენ ფეოდორზე, იმაზე, რომ ახლა მოდაშია, თავი სალხს რაღაცად მოაჩვენო. აი, მაგალითად, ფეოდორი, მართალია, თავმდაბლობს, ცდილობს თავი უბრალო ვაჭარივით დაიჭიროს, მაგრამ როცა მასთან ჯამაგირისათვის იმ სკოლის მასწავლებელი მოდის, რომელსაც მოხუცი ლაპტევი უწევს მზრუნველობას, ხმასა და სიარულსაც კი იცვლის, მასწავლებელთან თავი ნამდვილი უფროსივით უჭირავს.

სადილის შემდეგ, იმის გამო, რომ საქმე არაფერი ჰქონდათ, ყველანი კაბინეტში შევიდნენ. საუბრობდნენ დეკადენტებზე, „ორლეანელ ქალწულზე", საიდანაც კოსტიამ მთელი მონოლოგიც კი წაიკითხა და დარწმუნებული იყო, შესანიშნავად ჰბაძავდა ერმოლოვას. მერე ვინტის სათამაშოდ დასხდნენ. არც ბავშვები წასულან თავიანთ ფლიგელში, ისხდნენ ორივენი ერთ სავარძელში ფერმიხდილები და მამა ხომ არ მოვიდაო, ყური ერთთავად ქუჩისაკენ ეჭირათ, საღამოს ბინდბუნდში, სანთლის შუქზე გული სევდით ევსებოდათ. ბანქოს მოთამაშეების საუბარიც, პეტრეს ნაბიჯების ხმაცა და ბუხარში ცეცხლის ტკაცატკუნიც გოგონებს ნერვებს უშლიდა, აღიზიანებდა, ცეცხლისაკენ გახედვაც არ უნდოდათ. დღის ბოლოს უკვე ისე იყვნენ გასავათებულები, ტირილის თავიც აღარ ჰქონდათ — გული ეწურებოდათ, ვერ გაეგოთ, როგორ შე-

იძლებოდა ამათ ასე არხეინად ესაუბრათ, ის კი არა, ეცინათ კიდევაც, მაშინ როცა დედა ცოცხალი-აღარ იყო.

— რა დაინახეთ დღეს ბინოკლით? — ჰკითხა იულია სერგეევნამ კოსტიას.

— დღეს არაფერი, გუშინ კი თავად მოხუცი ფრანგის ბალკონიდან ბაზანას.

შვიდი საათისათვის იულია სერგეევნა და კოსტია მცირე თეატრში წავიდნენ. ლაპტევი გოგონებთან დარჩა.

— უკვე მამათქვენის მოსვლის დროა, — ამბობდა ლაპტევი და საათს დასცქეროდა, — ეტყობა, მატარებელი იგვიანებს.

გოგონები პატარა შეციებული მხეცებივით სავარძელში ერთმანეთს მიკრულები ისხდნენ, ლაპტევი ოთახში ბოლთას სცემდა და საათს მოუთმენლად დასცქეროდა. სახლში ჩამიჩუმი არ ისმოდა. ცხრა საათი რომ შესრულდა, კარზე ვილაცამ დარეკა და პეტრე კარის გასაღებად წავიდა.

ნაცნობი ხმის გაგონებაზე გოგონებმა წიოკი ატეხეს, ატირებულები წინკარს ეცნენ. საუცხოო ქურქში გამოწყობილ პანაუროვს ყინვისაგან წვერი და ულვაში შეჭირხვლოდა.

— ახლავე, ახლავე, — ბუტბუტებდა იგი, საშა და ლიდა კი თან ტიროდნენ, თან იცინოდნენ და მამას გათოშილ ხელებსა და ქურქზე ეკოცნიდნენ. ლამაზი, განაზებული, სიყვარულით განებივრებული მამა ჯერ გოგონებს აუჩქარებლად მიეალერსა, მერე კაბინეტში შევიდა და ხელების ფშვნეტით განაცხადა:

— მე კი თქვენთან ცოტა ხნით ჩამოვედი, ჩემო მეგობრებო, ხვალ პეტერბურგში მივდივარ. სხვა ქალაქში მიპირებენ გადაყვანას.

ღამის გასათევად იგი სასტუმრო „დრეზდენში“ გაჩერდა.

X

ლაპტევებთან ხშირად სტუმრობდა ივან გავრილიჩ იარცევი, ჯანმაგარი, ჭკვიანი, სასიამოვნო გარეგნობის შავგვრემანი მამაკაცი. მართალია, მას მუდამ ლამაზ კაცად თვლიდნენ, მაგრამ ამ ბოლო დროს ცოტა გასუქდა და ძველებურად მოხდენილი ველარ იყო. თმას ისე დაბალზე იჭრიდა, თავი თითქმის მოშიშვლებული ჰქონდა და ლაზათს ესეც უკარგავდა. ოდესღაც უნივერსიტეტში მისი აღნაგობის, მისი სიძლიერის გამო სამიკიტნოების ყოჩს ეძახდნენ.

ძმებ ლაპტევებთან ერთად იარცევმა ჯერ უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი დაამთავრა, მერე საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე შევიდა და ახლა ქიმიის მაგისტრი იყო. მართალია, კათედრაზე მოხვედრის იმედი არ ჰქონდა, მაგრამ ვერც ლაბორატორიაში მოეწყო სამუშაოდ. მხოლოდ რეალურ სასწავლებელსა და ორ ქალთა გიმნაზიაში მასწავლებლობდა, ფიზიკას და ბუნებისმეტყველების ისტორიას ასწავლიდა. თავისი მოწაფეებით, განსაკუთრებით მოსწავლე გოგონებით აღტაცებული სულ იმას ამბობდა, შესანიშნავი თაობა იზრდებაო. გარდა ქიმიისა, თავისთვის სახლში სოციოლოგიასა და რუსეთის ისტო-

რიაშიც მუშაობდა და „Я“-ს ხელმოწერით პატარ-პატარა შენიშვნებს ხანდახან ჟურნალ-გაზეთებში ბეჭდავდა. ბოტანიკასა ან ზოოლოგიაზე ისტორიკოსივით მსჯელობდა, ისტორიულ საკითხებზე ბუნებისმეტყველივით.

ლაპტევების სახლში შინაურ კაცად ითვლებოდა კიშიც, მეტსახელად მარადი სტუდენტი. სამ წელიწადს სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლობდა, მერე მათემატიკურზე გადავიდა და აქაც თითოეულ კურსზე ორ-ორი წელიწადი იჯდა. ფულს მამა უგზავნიდა, პროვინციელი აფთიაქარი, ყოველთვე ორმოც მანეთს, რასაც დედის მიერ მამის უჩუმრად გამოგზავნილი ათი მანეთიც ემატებოდა. ეს ორმოცდაათი მანეთი საჭმელადაც ჰყოფნიდა და ისეთი ფუფუნების საგნებისთვისაც, როგორიცაა პოლონური თახვის საყელოიანი შინელი, ხელთათმანები, სუნამო თუ უამრავი ფოტოსურათი, ძალიან ხშირად რომ იღებდა და მერე ნაცნობ-მეგობრებში არიგებდა. თავმდაბალი კაცი იყო, ოდნავ მელოტი, პატარა ოქროსფერი ბაკებით. მუდამ იმ ადამიანის გამომეტყველება ჰქონდა, ვინც ყოველ წუთს მზადაა სამსახური გაგიწიოს. ერთთავად სხვების საქმეებზე დარბოდა — ხან რაღაც ქაღალდები დაჰქონდა ხელმოსაწერად, ხან ნაცნობი ქალებისათვის ბილეთების ასაღებად დილიდან თეატრის სალაროსთან იყინებოდა, ხან ვილაცის დავალებით გვირგვინის ან თაიგულის შესაკვეთად მიიჩქაროდა. მის შესახებ მხოლოდ ამას თუ გაიგონებდი—კიში წავა, კიში გააკეთებს, კიში იყიდისო. დავალებებს უმეტესწილად უხეიროდ ასრულებდა, რის გამოც საყვედურებით ავსებდნენ, ხშირად მისთვის ნავაჭრში ფულის გადახდაც კი ავიწყდებოდათ. საყვედურებს ჩუმად უსმენდა, მაგრამ ძალიან თუ გაუჭირდებოდა, ოხრავდა. არც განსაკუთრებულად მხიარული იყო, არც განსაკუთრებულად სევდიანი, ამბის მოყოლა გაჭიანურებულად და მოსაწყენად იცოდა, მისი ენამახვილობა სიცილს მხოლოდ იმის გამო იწვევდა, რომ სასაცილო იქ არაფერი იყო. მაგალითად, ერთხელაც, ვითომ გახუმრებით, პეტრეს უთხრა: პეტრე, შენ თართი არა ხარო, რაზეც ყველანი ახარხარდნენ და თავისი „მოსწრებული ხუმრობით“ კმაყოფილმა თვითონაც კარგა დიდხანს და გულიანად იცინა. ვინმე პროფესორს თუ მარხავდნენ, იგი ყველაზე წინ, პროცესიის თავში მიაბიჯებდა.

იარცევი და კიში ლაპტევებს ჩვეულებრივ საღამოს ჩაიზე ესტუმრებოდნენ ხოლმე. სახლის პატრონები თეატრში ან კონცერტზე წასვლას თუ არ აპირებდნენ, სამხარი ვახშმობამდე გრძელდებოდა. და აი, ივნისის ერთ საღამოს სასადილო ოთახში ასეთი საუბარი ჩამოვარდა:

— მხატვრული ნაწარმოები მხოლოდ მაშინ არის მნიშვნელოვანი და სასარგებლო, როდესაც თავისი იდეით რაიმე სერიოზულ საზოგადოებრივ ამოცანას ისახავს. თუ ნაწარმოებში ასახული პროტესტი ბატონყმობის წინააღმდეგაა მიმართული ან ავტორი უმაღლესი საზოგადოების, მთელი მისი უმსგავსობის წინააღმდეგ ილაშქრებს, ასეთი ნაწარმოები მნიშვნელოვანიცაა და სასარგებლოც. ის რომანები და მოთხრობები კი, სადაც იმის მეტი არაფერია — აბ და ობ, ამან ის შეიყ-

ვარა, იმან ის გადაიყვარაო, ასეთი ნაწარმოებები, გეუბნებით, გროშადაც არ ღირს, ეშმაკსაც წაულია, — ამბობდა კოსტია და თან გაბრაზებული იარცევს მისჩერებოდა.

— გეთანხმებით, კონსტანტინ ივანიჩ, — თქვა იულია სერგეევნამ, — ერთი სასიყვარულო შეხვედრებზე წერს, მეორე — ... მესამე — განშორების შემდეგ შეხვედრაზე. ნუთუ სხვა ... არსებობს? განა ცოტანი არიან ავადმყოფი, გაუბედურებული, გაჭირვებისაგან გაწამებული ადამიანები, რომლებსაც ასეთი რაღაცების კითხვა გულს ურევს.

ლაპტევს არ სიამოვნებდა, მისი ცოლი, ახალგაზრდა ქალი, რომელიც ჯერ ოცდაორისაც არ იყო, ასე სერიოზულად და გულგრილად რომ მსჯელობდა სიყვარულზე, თუმცა კი ხვდებოდა, რა იყო ამისი მიზეზი.

— თუ პოეზია ვერ წყვეტს იმ საკითხებს, რომლებიც თქვენ მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ, — თქვა იარცევმა, — მაშინ მეცნიერული ფელეტონები იკითხეთ, ან იმ თხზულებებს მიმართეთ, სადაც ფინანსების და ტექნიკის საკითხები, ანდა პოლიციის უფლებებია განხილული. რა საჭიროა „რომეოსა და ჯულიეტაში“ სიყვარულზე კი არა, სწავლების თავისუფლებასა და ციხეების დეზინფექციაზე იყოს ლაპარაკი, როცა ამის შესახებ შეგიძლიათ სპეციალური სტატიები და სახელმძღვანელოები იკითხოთ?

— ბიძაჩემო, ეს უკიდურესობაა! — შეაწყვეტინა კოსტიამ, — ჩვენ ისეთ გიგანტებზე როდი ვლაპარაკობთ, როგორიც შექსპირი და გოეთეა, ჩვენ იმ ნიჭიერ და საშუალო დონის მწერლებს ვეხებით, რომლებიც გაცილებით მეტ სარგებლობას მოიტანდნენ, სიყვარულზე წერას თავს თუ დაანებებდნენ და მის მაგივრად ცოდნისა და ჰუმანური იდეების გავრცელებას მოჰკიდებდნენ ხელს.

კიშმა, რომელიც ენაბრგვნილი იყო და ოდნავ ცხვირშიც დუღუნებდა, ამას წინათ წაკითხული მოთხრობის შინაარსის მოყოლა დაიწყო. დაწვრილებით, მოსაწყენად ჰყვებოდა. გავიდა სამი წუთი, ხუთი, ათი, მაგრამ ვერავინ გაიგო, რის თქმა სურდა. ეტყობა, ეს თვითონაც მოსწყინდა, სახეზე გულგრილობა აღებეჭდა და თვალები ჩაუქრა.

— კიშ, სწრაფად მოყევით, — ველარ მოითმინა იულია სერგეევნამ, — დავიტანჯეთ.

— კმარა, კიშ, გაჩერდით! — დაჰყვირა კოსტიამაც.

ამაზე ყველას გაეცინა, თვით კიშსაც კი.

სწორედ ამ დროს ფეოდორი მოვიდა და წითლად სახეაფორაჯებულმა ძმა სასწრაფოდ კაბინეტში გაიყვანა. უკანასკნელ ხანს იგი რატომლაც ხალხს თავს არიდებდა, ერთი ადამიანის საზოგადოებას რჩებოდა.

— დე, იქ ახალგაზრდებმა იმხიარულონ, ძამიკო, მე და შენ კი დავსხდეთ და გულახდილად ვისაუბროთ, — თქვა ფეოდორმა და ლამპის მოშორებით სავარძელში ჩაჯდა, — დიდი ხანია ერთმანეთი არ გვინახავს. რამდენი ხანია, რაც საწყობში არ ყოფილხარ? მგონი, მთელი ერთი კვირაც კია.

— ჰო, მაგრამ მე იქ არაფერი მესაქმება. მარილი გითხრა, მოხუცმაც თავი მომაბეზრა.

— ცხადია, იქ უჩვენოდაც გავლენ იოლას, მაგრამ კაცმა რაღაც ხომ უნდა აკეთო? როგორც ამბობენ, ლუკმა პირზე ოფლგადადენილმა უნდა მოიპოვო. ღმერთს, ძმაო, გამრჯე კაცი უყვარს.

პეტრემ სინით ჩაი შემოიტანა. ფეოდორმა ერთი ჭიქა უშაქროდ დალია და მეორე მოითხოვა. ჩაის ბლომად სვამდა, ერთ საღამოს შეეძლო ათი ჭიქაც კი დაელია.

— იცი, რას გეტყვი, ალექსეი? — თქვა მან, სავარძლიდან წამოდგა და ძმასთან მივიდა, — ჭკუას ძალა რომ არ დავატანო, მოკლედ გეტყვი — ღიად იყარე კენჭი. ჩვენ კი ნელ-ნელა ჯერ გამგეობის წევრად, მერე კი მეთაურის ამხანაგად გაგიყვანთ. სულ წინ და წინ ივლი, ჭკვიანი კაცი ხარ, განათლებული, შეგამჩნევენ და პეტერბურგში მიგიპატიჟებენ, საერო და საქალაქო სამსახურში მყოფი ხალხი იქ ახლა მოდაშია. ორმოცდაათისაც არ იქნები, შენ კი მხარი უკვე საიდუმლო მრჩევლის ლენტით გექნება დამშვენებული, აი, ნახავ, ძმაო!

ლაპტევმა არაფერი უპასუხა, მიხვდა, ლენტიცა და საიდუმლო მრჩევლობაც ფეოდორს თავად სურდა, ამიტომაც რა პასუხი გაეცა, არ იცოდა.

ისხდნენ ძმები და დუმდნენ. ფეოდორმა თავისი ჯიბის საათი გახსნა და, თითქოს ისრების მოძრაობას სწავლობსო, დაძაბული დიდხანს, ძალიან დიდხანს დასცქეროდა. ლაპტევი კი ძმას უყურებდა და მისი სახის გამომეტყველება ძალზე უცნაური ეჩვენებოდა.

მერე სავახშმოდ მიიწვიეს. ლაპტევი სასადილო ოთახში გავიდა, ფეოდორი კაბინეტში დარჩა. სასადილო ოთახში უკვე აღარ კამათობდნენ, მხოლოდ იარცევი ლაპარაკობდა ლექციაზე შესული პროფესორივით:

— კლიმატის, ენერგიის, გემოვნების, ასაკის განსხვავების გამო ადამიანებს შორის თანასწორობა ფიზიკურად შეუძლებელია. მაგრამ კულტურულ ადამიანს შეუძლია ეს ისეთივე უვნებელი გახადოს, როგორი უვნებელიც ჭაობები და დათვებია ახლა. ერთმა მეცნიერმა იმასაც კი მიაღწია, კატას, თაგვს, თვალშავას და ბელურას ერთი თეფშიდან ეჭამათ. ჰოდა, იმედი ვიქონიოთ, წრთვნა და აღზრდა ადამიანებსაც ასეთებად აქცევს. ცხოვრება წინ მიდის, ჩვენს თვალწინ კულტურა უდიდეს წარმატებებს აღწევს და, როგორც ჩანს, დადგება დრო, როცა, მაგალითად, ფაბრიკის მუშების ახლანდელი მდგომარეობა ისეთივე აბსურდად წარმოგვიდგება, როგორც დღეს ბატონყმობა, როცა ქალწულებს ძაღლებში ცვლიდნენ.

— ეს დიდხანს... კარგა დიდხანსაც არ იქნება, — თქვა კოსტიამ და ჩაიცინა, — დიახ, დიახ, კარგა დიდხანს არ იქნება, ვიდრე როტშილდს არ მოეჩვენება თავისი ოქროს სარდაფები აბსურდად. მანამდე კი მუშა კაცი ჯაფისაგან დაე წელში ოთხად იყოს მოკეცილი, დაე, შიმშილით სული სძვრებოდეს, არა, ბიძაჩემო? ლოდინი კი არა, ბრძოლაა საჭირო. ვთქვათ, კატა და თაგვი მართლაც, ერთად, ერთი თეფშიდან

ᲩᲐᲛᲔᲜ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲒᲝᲜᲘᲐᲗ, ᲙᲐᲢᲐᲡ ᲔᲡ ᲒᲐᲪᲜᲝᲑᲘᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ? ᲠᲐᲚᲐᲪ ᲐᲠᲐ ᲛᲒᲝᲜᲘᲐ, ᲐᲡᲔ ᲘᲧᲝᲡ. ᲙᲐᲢᲐ, ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ, ᲐᲘᲫᲣᲚᲔᲡ.

— ᲛᲔ ᲓᲐ ᲤᲔᲝᲓᲝᲠᲘ ᲛᲓᲘᲓᲠᲔᲑᲘ ᲕᲐᲠᲗ, ᲛᲐᲛᲐᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡᲢᲘᲐ, ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲔᲠᲘ, ᲔᲡᲔ ᲘᲒᲘ, ᲩᲕᲔᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲕᲔᲑᲠᲫᲝᲚᲝᲜ? — ᲩᲐᲘᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲐ ᲚᲐᲠᲢᲔᲕᲛᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲒᲣᲚᲘᲗ ᲨᲣᲑᲚᲘ ᲛᲝᲘᲡᲠᲘᲡᲐ, — ᲛᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲔᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲘ. ᲔᲡ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲒᲐᲣᲒᲔᲑᲐᲠᲘᲐ, ᲘᲡᲔ ᲐᲠ ᲓᲐᲓᲘᲡ ᲩᲔᲛᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲔᲠᲔᲑᲐᲛᲓᲔ. ᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐ, ᲛᲓᲘᲓᲐᲠᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲕᲐᲠ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲐ ᲛᲝᲛᲪᲐ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲐᲛ ᲡᲘᲛᲓᲘᲓᲠᲔᲛ? ᲠᲐ ᲛᲝᲛᲪᲐ ᲐᲛ ᲫᲐᲚᲐᲛ? ᲠᲘᲗᲘ ᲕᲐᲠ ᲗᲥᲕᲔᲜᲖᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ? ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲐ ᲙᲐᲢᲝᲠᲦᲣᲚᲘ ᲛᲭᲝᲜᲓᲐ, ᲤᲣᲚᲘ ᲙᲘ ᲡᲣᲚᲐᲪ ᲕᲔᲠ ᲛᲘᲮᲡᲜᲘᲓᲐ ᲠᲝᲛᲑᲔᲑᲘᲓᲐᲜ. ᲜᲘᲜᲐ ᲠᲝᲛ ᲐᲕᲐᲓ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲙᲕᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲩᲔᲛᲛᲐ ᲤᲣᲚᲛᲐ ᲜᲘᲜᲐᲡ ᲕᲔᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲣᲨᲕᲔᲚᲐ. ᲗᲣ ᲐᲠ ᲣᲧᲕᲐᲠᲮᲐᲠ, ᲐᲡᲘ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲪ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲮᲐᲠᲯᲝ, ᲤᲣᲚᲘᲗ ᲕᲔᲠᲪ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲡ ᲐᲘᲫᲣᲚᲔᲑ.

— ᲡᲐᲛᲐᲒᲘᲔᲠᲝᲓ ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐᲗ ᲣᲐᲛᲠᲐᲕᲘ ᲡᲘᲙᲔᲗᲔ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲝᲗ, — ᲗᲥᲕᲐ ᲙᲘᲨᲛᲐ.

— ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲡᲘᲙᲔᲗᲔ? ᲒᲣᲨᲘᲜ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲕᲘᲚᲐᲪ ᲛᲐᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲝᲡᲖᲔ ᲛᲗᲮᲝᲕᲔᲗ, ᲛᲘᲗᲮᲐᲠᲘᲗ, ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲡ ᲔᲫᲔᲑᲡᲝ. ᲛᲔᲠᲬᲛᲣᲜᲔᲗ, ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲪ ᲘᲡᲔᲕᲔ ᲪᲝᲢᲐ ᲠᲐᲛ ᲨᲔᲛᲘᲫᲚᲘᲐ ᲒᲐᲕᲐᲙᲔᲗᲝᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲗᲥᲕᲔᲜ. ᲛᲔ ᲨᲔᲛᲘᲫᲚᲘᲐ ᲤᲣᲚᲘ ᲛᲘᲕᲪᲔ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲡ ᲮᲝᲛ ᲘᲡ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲐᲪ ᲛᲐᲡ ᲣᲜᲓᲐ. ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲔᲠᲗ ᲪᲜᲝᲑᲘᲚ ᲛᲣᲡᲘᲙᲝᲡᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲕᲗᲮᲝᲕᲔ ᲦᲐᲠᲘᲑᲘ ᲛᲔᲕᲘᲝᲚᲘᲜᲔᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲛᲐᲜ ᲙᲘ ᲐᲡᲔ ᲛᲘᲞᲐᲡᲣᲮᲐ — ᲗᲥᲕᲔᲜ ᲛᲔ ᲐᲡᲔ ᲑᲔᲯᲘᲗᲐᲓ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ ᲛᲗᲮᲝᲕᲗ, ᲛᲣᲡᲘᲙᲝᲡᲘ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲮᲐᲠᲗᲗ. ᲛᲔᲪ ᲐᲡᲔ ᲒᲘᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲗ, ᲗᲥᲕᲔᲜ ᲛᲔ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲐᲡᲔ ᲑᲔᲯᲘᲗᲐᲓ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ ᲛᲗᲮᲝᲕᲗ, ᲛᲓᲘᲓᲐᲠᲘ ᲙᲐᲪᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲮᲐᲠᲗ.

— ᲐᲛᲐᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚ ᲛᲣᲡᲘᲙᲝᲡᲗᲐᲜ ᲠᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲐᲥᲕᲡ! — ᲩᲐᲘᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲐ ᲘᲣᲚᲘᲐ ᲡᲔᲠᲒᲔᲔᲕᲜᲐᲛ ᲓᲐ ᲒᲐᲬᲘᲗᲚᲓᲐ. — ᲐᲠ ᲛᲔᲡᲛᲘᲡ, ᲠᲐ ᲨᲣᲐᲨᲘᲐ ᲐᲥ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲝᲡᲘ!

ᲥᲐᲚᲡ ᲡᲘᲫᲣᲚᲕᲘᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲮᲔ ᲛᲝᲔᲤᲪᲐ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲔᲡ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲐ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲔᲤᲐᲠᲐ, ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲮᲐᲠᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲡᲐᲮᲔ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ, ᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲐᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲥᲛᲐᲠᲘ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲕᲘᲜᲪ ᲘᲛ ᲛᲐᲒᲘᲓᲐᲡᲗᲐᲜ ᲘᲯᲓᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲘᲮᲕᲓᲐ.

— ᲠᲐ ᲨᲣᲐᲨᲘᲐ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲝᲡᲘ! — ᲒᲐᲘᲛᲔᲝᲠᲐ ᲘᲣᲚᲘᲐᲛ ᲩᲣᲛᲐᲓ — ᲦᲐᲠᲘᲑᲘ ᲙᲐᲪᲘᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲐᲓᲕᲘᲚᲘ ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ!

ᲣᲪᲔᲑ ᲡᲘᲩᲣᲛᲔ ᲩᲐᲛᲝᲕᲐᲠᲓᲐ. ᲞᲔᲢᲠᲔᲛ ᲔᲠᲣᲜᲘ ᲨᲔᲛᲝᲘᲢᲐᲜᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲮᲔᲚᲘ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲣᲮᲚᲘᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲐᲚᲐᲗᲡ ᲨᲔᲔᲥᲪᲔᲝᲓᲜᲔᲜ. ᲚᲐᲠᲢᲔᲕᲡ ᲐᲠᲪ ᲙᲘ ᲐᲮᲡᲝᲕᲓᲐ, ᲠᲐ ᲗᲥᲕᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲨᲙᲐᲠᲐ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲛ ᲥᲐᲚᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲘᲡ ᲐᲚᲘᲖᲘᲐᲜᲔᲑᲓᲐ, ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲨᲘ ᲠᲝᲛ ᲩᲐᲔᲠᲗᲝ.

ᲕᲐᲮᲨᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲚᲐᲠᲢᲔᲕᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲨᲘ ᲒᲐᲕᲘᲓᲐ. ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲐᲛᲪᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲨᲘ ᲓᲐᲫᲐᲑᲣᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲐᲤᲐᲜᲪᲥᲐᲚᲔᲑᲣᲚᲡ ᲧᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲐᲓᲘᲚᲝ ᲝᲗᲐᲮᲘᲡᲙᲔᲜ ᲔᲤᲭᲘᲠᲐ. ᲘᲥ ᲙᲘ ᲘᲡᲔᲕ ᲙᲐᲛᲐᲗᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ. ᲛᲔᲠᲔ ᲘᲐᲠᲪᲔᲕᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲨᲔᲔᲫᲚᲝ — ᲛᲦᲔᲠᲝᲓᲐ ᲙᲘᲓᲔᲕᲐᲪ, ᲣᲙᲠᲐᲕᲓᲐ ᲙᲘᲓᲔᲕᲐᲪ ᲓᲐ ᲤᲝᲙᲣᲡᲔᲑᲡᲐᲪ ᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲓᲐ, ᲠᲝᲘᲐᲚᲗᲐᲜ ᲓᲐᲯᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲘᲡ ᲐᲛᲐᲩᲣᲧᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲡᲘ ᲘᲛᲦᲔᲠᲐ.

— ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲒᲔᲜᲔᲑᲝᲗ, ᲑᲐᲢᲝᲜᲔᲑᲝ, ᲛᲔ ᲙᲘ ᲡᲐᲡᲚᲨᲘ ᲯᲓᲝᲛᲘᲡ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲥᲕᲡ, — ᲗᲥᲕᲐ ᲘᲣᲚᲘᲐᲛ, — ᲛᲝᲓᲘ, ᲡᲐᲓᲛᲔ ᲬᲐᲕᲘᲓᲔᲗ.

ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲔᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲒᲐᲠᲔᲗ ᲬᲐᲡᲣᲚᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲢᲠᲝᲘᲙᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲧᲕᲐᲜᲐᲓ ᲙᲘᲨᲘ ᲕᲐᲭᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲚᲣᲑᲨᲘ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲔᲡ. ᲚᲐᲠᲢᲔᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲗᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲬᲐ-

სვლა არ შეუთავაზებიათ, ვინაიდან ქალაქგარეთ თითქმის არასოდეს დადიოდა, თან ძმაც იჯდა მასთან კაბინეტში, მაგრამ ლაპტევმა ეს ისე გაიგო, ჩემი საზოგადოება მათთვის მოსაწყენია, ამ მხიარულ, ახალგაზრდულ კამპანიას ზედმეტად მივაჩნივარო. წყენა და გულისტკივილი იმდენად დიდი იყო, კაცი ლამის აატირდა. ძალიან [illegible] ახია, ასე უპატივცემულოდ რომ ექცევიან, არაფრად აგდებენ: [illegible] ბრიყვი, მოსაწყენი ქმარია, ის ხომ მხოლოდ ოქროს ტომარაა. კიდევ უკეთესი, ამ ღამეს ცოლი მის უახლოეს მეგობართან თუ ულალატებს, მერე კი შინ დაბრუნებული სახეში სიძულვილით შეხედავს და ღალატში თვითონვე გამოუტყდება!.. ლაპტევი ყველაზე ეჭვიანობდა, ნაცნობ სტუდენტებზე, აქტიორებზე, მომღერლებზე, იარცევზე და შემთხვევით შემხვედრებზეც კი. ახლა მას გულითა და სულით ეწადა, იულია მართლა არ ყოფილიყო მისი ერთგული, ვინმესთან წაესწრო, მერე თავი მოეწამლა და ერთხელ და სამუდამოდ განთავისუფლებულიყო ამ კოშმარისაგან. ფეოდორი კარგა ხანს წრუპავდა ჩაის ხმაურით. და აი, სმას მორჩა და, როგორც იქნა, წასასვლელად მოემზადა.

— ჩვენს ბერიკაცს, ეტყობა, თვალის ნერვის ანთება აქვს, — ამბობდა ფეოდორი და ქურქს იცვამდა, — ამ ბოლო დროს სრულიად ვეღარ ხედავს.

ალექსეიმაც ქურქი ჩაიცვა, ძმასთან ერთად სახლიდან გავიდა, ძმა ვნების მონასტრამდე მიაცილა, მერე ეტლი დაიქირავა და იართან წავიდა.

„ესეც შენი ოჯახური ბედნიერება!.. — დასცინოდა იგი თავის თავს, — ეს არის სიყვარული?!“ კბილები საშინლად უძაგძაგებდა, მაგრამ ვერ გაეგო, ეს ეჭვიანობის გამო იყო, თუ კიდევ რაღაც სხვა უბედურება სჭირდა. იართან რომ მივიდა, მაგიდებს ჩაუარა და დარბაზში კუპლეტისტის მოსასმენად გასწია, დარწმუნებული იყო, ცოლს თუ შეხვდებოდა, ახლაც ისე საწყლად, ისე უნდილად გაიღიმებდა, ყველანი იმწამსვე მიხვდებოდნენ, იქ რა გრძნობამაც მიიყვანა. ელექტრონის შუქის, ხმამაღალი მუსიკის, პუდრის სურნელისა და იმის გამო, იქ მყოფი ქალები როგორ უყურებდნენ, აფორიაქებული იყო, ყოველი კაბინის კართან ჩერდებოდა და ცდილობდა გაეგო შიგნით რა ხდებოდა. ასე ეგონა, ამ კუპლეტისტთან და ამ ქალებთან ერთად მეც რაღაც მდაბალ, საზიზღარ როლს ვთამაშობო. მერე სტრელნში წავიდა, მაგრამ თავისიანი იქ ვერავინ ნახა. მხოლოდ უკან დაბრუნებისას ჩაუქროლა ტროიკამ ხმაურით. მთვრალი მეეტლე რაღაცას ღრიალებდა და მის ღრიალს იარცევის ხმამაღალი ხარხარი ერთვოდა — „ჰა-ჰა-ჰაა!“..

შინ ოთხ საათზე დაბრუნდა. იულია სერგეევნა უკვე იწვა. რომ ნახა, არ სძინავსო, ცოლთან მივიდა და მკვახედ უთხრა:

— ვიცი, გეზიზღებით, გძულვართ, მაგრამ ხომ შეგეძლოთ, სხვებთან მაინც დაგენდეთ, თავი შეგეკავებინათ, თქვენი გრძნობები დაგეფარათ.

იულია ლოგინზე ჩამოჯდა, ფეხები ჩამოუშვა. კანდელის შუქზე თვალები შავი და დიდრონი უჩანდა.

— მაპატიეთ, — წყნარად ჩაილაპარაკა ქალმა.

აღელვებული, მთელი ტანით აკანკალებული ლაპტევი ცოლის წინ დამუნჯებულივით იდგა, ხმას ვერ იღებდა. იულიაც იჯდა ათრთოლებული, დამნაშავის სახით და ელოდა, ქმარი კიდევ რას ეტყოდა.

— საშინლად ვიტანჯები, — თქვა ბოლოს ლაპტევმა და თავზე ხელი იტაცა, — თითქოს ჯოჯოხეთში ვიყო, ვგიჟდები.

— როგორ გგონიათ, მე უკეთესად ვარ? — თქვა ქალმა ხმაათრთოლებულმა, — მხოლოდ ღმერთმა უწყის, რა დღეში ვარ.

— აგერ უკვე ნახევარი წელია ჩემი ცოლი ხარ, შენს გულში კი სიყვარულის ნაპერწკალიც არ ღვივის. არავითარი იმედი, იმედის ნატამალიც კი! რატომ გამომყევი? — განაგრძობდა ლაპტევი სასოწარკვეთილი, — რატომ? რომელმა დემონმა ჩაგაგდო ჩემს მკლავებში? რას ელოდი? რის იმედი გქონდა? რა გინდოდა?

იულია საშინლად შემკრთალი და შეშინებული მისჩერებოდა.

— მოგწონდი? გიყვარდი? — განაგრძობდა ლაპტევი სუნთქვაშეკრული, — რა თქმა უნდა, არა! მაშინ, რა გინდოდა? რა? რა გინდოდა? — ო, ეს წყეული... ეს წყეული ფული!..

— ღმერთს გეფიცები, არა! — იკივლა იულიამ, შეურაცხყოფისაგან მუშტივით მოკუნტულმა პირჯვარი გადაიწერა და ლაპტევმა პირველად ნახა, როგორ ტიროდა იგი. — ღმერთს გეფიცები, არა! — გაიმეორა ქალმა, — ფულზე არ მიფიქრია, ფული არ მჭირდება, მეგონა, უარს თუ გეტყოდი, ჩემის მხრივ ეს ურიგო საქციელი იქნებოდა. მეშინოდა, ცხოვრება შენთვისაც არ დამენგრია და ჩემთვისაც. ახლა კი ვიტანჯები ჩემი შეცდომის გამო, საშინლად ვიტანჯები.

,იულია მწარედ აქვითინდა და ლაპტევი მიხვდა, მისთვისაც ეს როგორი მტკივნეული იყო. იდგა მუნჯივით ქალის წინ დაბნეული, არ იცოდა, რა ეთქვა. მერე ხალიჩაზე მის წინ მუხლებზე დაეშვა.

— კარგი, კარგი, — ბუტბუტებდა იგი, — გაწყენინე, შეურაცხყოფა მოგაყენე, იმიტომ, რომ გაგიჟებით მიყვარხარ, — მერე უცებ ფეხზე აკოცა და გულში ვნებიანად ჩაიკრა, — სიყვარულის პატარა ნაპერწკალი მაჩვენე! ტყუილი მაინც მითხარი, მომატყუე მაინც! შეცდომა იყო, ამას მაინც ნულარ მეტყვი!..

იულია კი ისევ ტირილს განაგრძობდა და ლაპტევმა იგრძნო, რომ მის ალერსს ქალი ისე იღებდა, როგორც თავისი შეცდომის გარდაუვალ შედეგს. ნაკოცნი ფეხი ჩიტივით რომ აიკეცა, ლაპტევს გული ცოდვით აევსო.

იულია დაწვა, თავზე საბანი წაიფარა, ლაპტევმაც გაიხადა და ისიც დაწვა. დილით ორივენი დარცხვენილები იყვნენ, არ იცოდნენ, რა ეთქვათ, რაზე ელაპარაკათ. ლაპტევს ისიც კი ეჩვენებოდა, ფეხს, რომელზეც ვაკოცე, ქალი ძლივს ადგამსო.

სადილის წინ გამოსამშვიდობებლად პანაუროვი რომ მივიდა, იულია უცებ მშობლიურ სახლში წასვლის სურვილმა შეიპყრო — რა კარგი იქნებოდა, წავსულიყავი, ოჯახური ცხოვრებისაგან დამესვენა, ამ სირცხვილისა და ამ გაუთავებელი ფიქრისაგან განვთავისუფლებულიყავიო. მართლაც, სადილზე გადაწყდა, რომ იულია პანაუროვთან ერთად მშობლიურ ქალაქში გაემგზავრებოდა და მ[illegible]ან მანამდე დარჩებოდა, ვიდრე არ მოეწყინებოდა.

XI

იულია და პანაუროვი ცალკე კუპეში მოეწყვნენ. პანაუროვს კრაველის როგორიღაც უცნაური ფორმის კარტუზი ეხურა.

— ჰო, პეტერბურგმა ჩემი თხოვნა არ დააკმაყოფილა, — თქვა პანაუროვმა დინჯად და ამოიოხრა, — შეპირებენ — [illegible] აკვირდებიან, სინამდვილეში კი არაფერს გიკეთებენ... დიახ, ძვირფასო ჩემო, ვიყავი მომრიგებელი მოსამართლე, მუდმივი წევრი, სამომრიგებლო ყრილობის თავმჯდომარე, ბოლოს კი გუბერნიის მმართველობის მრჩეველი. მე მგონი, ვემსახურე სამშობლოს როგორც ჯერ არს და ყურადღების ღირსიც ვარ. მაქვს ამისი უფლება. მაგრამ, რად გინდა, სხვა ქალაქში რომ გადამიყვანონ, იმასაც ვერ მივაღწიე.

პანაუროვმა თვალები დახუჭა და თავი გააქნია.

— არ მცნობენ, — განაგრძო მან თითქოს ძილბურანში, — ცხადია, გენიალური ადმინისტრატორი არ გახლავართ, მაგრამ სამაგიეროდ წესიერი, პატიოსანი კაცი ვარ, ახლანდელ დროში კი ეს, მოგეხსენებათ, დიდი იშვიათობაა. გამოგიტყდებით, ქალებს ხანდახან ცოტას ვატყუებდი, მაგრამ რუსული ხელისუფლების მიმართ მუდამ ჯენტლმენი ვიყავი. თუმცა, კმარა, — თქვა პანაუროვმა და თვალები გახილა, — ახლა თქვენზე ვილაპარაკოთ. ასე უცებ მამიკოსთან წასვლა რატომ გადაწყვიტეთ?

— ისე, არც რატომ... ქმართან პატარა უსიამოვნება მქონდა, — თქვა იულიამ და მის კარტუზს მიაჩერდა.

— ჰო, უცნაური კაცია... ლაპტევები ყველანი უცნაურები არიან. თქვენს ქმარს კიდევ არა უშავს, მისი ძმა ფეოდორი კი პირწავარდნილი შერეკილია.

პანაუროვმა ამ სიტყვებზე ამოიოხრა და სერიოზულად იკითხა:

— უკვე გაიჩინეთ საყვარელი?

იულიამ გაოცებულმა შეხედა.

— ღმერთმა უწყის, რა სისულელეს ამბობთ! — თქვა და გაიცინა.

ერთ-ერთ დიდ სადგურზე, ასე, თერთმეტი საათისაკენ, იულია და პანაუროვი რესტორანში გავიდნენ და ივახშმეს. მატარებელი რომ დაიძრა, პანაუროვმა პალტო გაიძრო, კარტუზი მოიხადა და იულიას გვერდით დაჯდა.

— თქვენ კი ძალზე სასიამოვნო ქალბატონი ბრძანდებით, — დაიწყო პანაუროვმა, — მაპატიეთ ამ ტრაქტირული შედარებისათვის, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ახლად ჩამარილებულ კიტრს მაგონებთ. ასე ვთქვათ, მას ჯერ ისევ სათბურის სურნელი უდის, თან უკვე ცოტაოდენი მარილით და კამითაც არის გაგემრიელებული. თქვენ თანდათან სულ უფრო დიდებული, საუცხოო, სულ უფრო მოხდენილი ქალი ხდებით. ეს ჩვენი მგზავრობა ხუთიოდე წლის წინ რომ ყოფილიყო, — თქვა პანაუროვმა და ამოიოხრა, — ჩემს სასიამოვნო მოვალეობად ჩავთვლიდი, თქვენი თაყვანისმცემლების რიგში ჩავმდგარიყავი, ახლა კი, ვაი, რომ ინვალიდი ვარ.

პანაუროვმა სევდიანად, მაგრამ მოწყალედ გაიღიმა და ქალს ხელი წელზე მოხვია.

— ხომ არ გაგიჟდით! — თქვა სახეალეწილმა იულიამ. შიშისაგან ხელ-ფეხი ყინულივით გაუხდა, — თავი დამანებეთ, გრიგორი ნიკოლაიჩ!

— ასე რამ შეგაშინათ, ძვირფასო? ასეთი თავხარდამცემი რა არის? უბრალოდ, მიჩვეული არ ხართ.

თუ ქალი ეწინააღმდეგებოდა, ეს მისთვის მხოლოდ იმას ნიშნავდა, მოვეწონე, შთაბეჭდილება მოვახდინეო. სრულიად დარწმუნებულმა, რომ ამით ქალს დიდ სიამოვნებას ანიჭებდა, წელზე ხელშემოხვეულმა ჯერ ლოყაზე აკოცა, მერე ტუჩებში. შიშისა და სირცხვილისგან გაოგნებული იულია წელში რომ გასწორდა და გაიცინა, კაცმა ერთხელ კიდევ აკოცა, თავისი სასაცილო კარტუზი დაიხურა და დაიწყო:

— აი ის ყველაფერი, რისი მოცემაც თქვენთვის ინვალიდს შეუძლია. ერთმა თურქმა ფაშამ, კეთილმა ბერიკაცმა, არ ვიცი, საჩუქრად, არ ვიცი, მემკვიდრეობით, ჰარამხანა მიიღო. როცა მისი ახალგაზრდა ლამაზი ცოლები მის წინ ჩამწკრივდნენ, ფაშამ ჩამოუარა, ყველას სათითაოდ აკოცა და თქვა: — აი ის ყველაფერი, რისი მოცემაც ახლა მე თქვენთვის შემიძლიაო. მეც სწორედ ამასვე გეუბნებით — აი ის ყველაფერი, რის მოცემაც მე თქვენთვის შემიძლია.

იულია ამან მხიარულ გუნებაზე დააყენა. უნდოდა ეცელქა, ეგიჟმაჟა... სიმღერ-სიმღერით დივანზე ავიდა, თაროდან კანფეტებით სავსე კოლოფი ჩამოიღო, ერთი ცალი შოკოლადი პანაუროვს გადაუგდო და იყვირა:

— დაიჭირეთ!

პანაუროვმა შოკოლადი რომ დაიჭირა, იულიამ სიცილ-კისკისით ახლა მეორე კანფეტი გადმოუგდო, მესამე, მეოთხე... პანაუროვი შოკოლადებს იჭერდა, პირში იყრიდა და ქალს მუდარით სავსე თვალებით შეჰყურებდა. იულიას ეჩვენებოდა, ამ კაცის სახესა, ნაკვთებსა და გამომეტყველებაში ბევრი რამ ბავშვური და ქალურიც კიაო... ხოლო როცა აქოშინებული დივანზე ჩამოჯდა, თან პანაუროვს სიცილით თვალს არ აცილებდა, პანაუროვი ორი თითით ლოყაზე შეეხო და როგორიღაც გულისტკივილით ჩაილაპარაკა:

— საძაგელი გოგონა!

— გამომართვით, — უთხრა იულიამ და კოლოფი გაუწოდა, — ტკბილეული მე არ მიყვარს.

პანაუროვმა ბოლო შოკოლადიც მიირთვა, კოლოფი დახურა და იმის გამო, რომ ნახატებიანი კოლოფების მოყვარული გახლდათ, ცარიელი კოლოფი ჩემოდანში შეინახა.

— ახლა კი გვეყოფა ხუმრობა, — თქვა მან, — ინვალიდს ძილის დრო აქვს.

მერე პორტპლედიდან ბუხარული ხალათი და ბალიში ამოიღო, დაწვა და ხალათი გადაიხურა.

— ღამე მშვიდობისა, ძვირფასო, — წყნარად ჩაილაპარაკა და ისე ამოისვნეშა, გეგონება, მთელი სხეული სტკივაო.

არ გასულა დიდი დრო, რომ პანაუროვი უკვე ხვრინავდა. მალე ყოველგვარი მორიდების გარეშე იულიაც დაწვა და რამოდენიმე წუთში მასაც ჩაეძინა.

მეორე დილას თავის მშობლიურ ქალაქში ეტლით სადგურიდან შინ რომ მიდიოდა, ქუჩები უკაცრიელი, თოვლი ნაცრისფერი, სახლები კი, თითქოს ვიღაცას მიწაზე მიუჭყლეტიაო, პატარა და უსახური ეჩვენებოდა. გზად პროცესია შემოხვდა — მიცვალებულს თავაზდილი კუბოთი მიასვენებდნენ, წინ ეკლესიის ბაირაღები მიჰქონდათ.

ნათქვამია, მიცვალებულის შეხვედრა ბედნიერების ნიშანიაო, — გაიფიქრა იულიამ.

იმ სახლის ფანჯრებზე, რომელშიც ოდესღაც ნინა ფეოდოროვნა ცხოვრობდა, პატარა თეთრი ბილეთები იყო აკრული.

თავისი სახლის ეზოში იულია გულაფანცქალებული შევიდა და კარზე დარეკა. კარი უცნობმა, თბილ, დაბამბულ კოფთიანმა, ტანსრულმა, ნამძინარევმა მოახლემ გაუღო. კიბეზე რომ ადიოდა, გაახსენდა, ლაპტევმა აქ სიყვარული როგორ აუხსნა, მაგრამ კიბე ახლა ნაფეხურებით აჭრელებული და ჭუჭყიანი იყო. ზევით, გაყინულ დერეფანში ქურქებში გახვეული ავადმყოფები იცდიდნენ. იულიას გული რატომღაც გამალებით უცემდა და მღელვარებისაგან ფეხები ებლანდებოდა.

კიდევ უფრო გასუქებული, აგურივით სახეგაწითლებული, თმაგაბურდული ექიმი ჩაის სვამდა. ქალიშვილი რომ დაინახა, ისე გაიხარა, ოვალზე ცრემლიც კი მოერია. ამ მოხუცი კაცის ცხოვრებაში, ეტყობა, ერთადერთი სიხარული მე ვარო, გაიფიქრა იულიამ, გულაჩუყებულმა მამას ხელები მაგრად მოხვია და, შენთან კიდევ დიდხანს, აღდგომამდე დავრჩებიო, — დაამშვიდა. მერე თავის ოთახში შევიდა, ტანსაცმელი გამოიცვალა და მამასთან ერთად ჩაის დასალევად პირველ სართულზე სასადილოში ჩავიდა. ბერიკაცს ხელები ჯიბეებში ჩაეწყო, ოთახში წინ და უკან ბოლთას სცემდა და ღიღინებდა — ლა-ლა, ლა-ლა... ეს კი იმას ნიშნავდა, რომ იგი რაღაცით უკმაყოფილო იყო:

— მოსკოვში, გატყობ, თავს ბედნიერად გრძნობ და ეს ძალიან მახარებს... მე კი უკვე მოვხუცდი, აღარაფერი მჭირდება, მალე სული ამომხდება, ყველას გაგანთავისუფლებთ. პირდაპირ გასაოცარია, ასეთი ჯანმაგარი რომ გამოვდექი... პირდაპირ განსაცვიფრებელია!

მე ის ბებერი, გამძლე, ჯანიანი სახედარი ვარ, ყველა ზურგზე რომ ჰყავს შემჯდარიო. ნინა ფეოდოროვნას მკურნალობამაც ჩემს ზურგზე გადაიარა, მის შვილებზე ზრუნვამაც და მისმა დასაფლავებამაც, ეს ქარაფშუტა პანაუროვი კი, არა თუ არაფერს გაჰკარებია, ასი მანეთი მესესხა და ვითომც არაფერი, დღემდე არ დაუბრუნებიაო, — ბუზღუნებდა ბერიკაცი.

— წამიყვანე მეც იმ შენს მოსკოვში და საგიჟეთში ჩამსვი! — თქვა ბოლოს ბერიკაცმა, — მე ხომ ერთი სულელი, მიამიტი ბალღი ვარ! მე ხომ ჯერ ისევ მჯერა სიმართლისა და სამართლიანობისა!

მერე ქალიშვილს ქმრის წინდაუხედაობის გამო უსაყვედურა — რატომ იმ სახლებს არ ყიდულობს, რომლებიც ასე ხელსაყრელად იყიდებაო. და იულიას ახლა უკვე ეჩვენებოდა, რომ ამ მოხუცის ცხოვრე-

ბაში ის სულაც არ იყო ერთადერთი სიხარული. როცა იგი მიღებაზე მოსულ ავადმყოფებს სინჯავდა, მერე კი სხვა ავადმყოფების მოსანახულებლად წავიდა, იულიამ ოთახებში უაზრო ბოდიალი დაიწყო, არ იცოდა, რა ექნა, რა გაეკეთებინა. მშობლიურ სახლსაც და მშობლიურ ქალაქსაც უკვე გადაჩვეული იყო. აღარც ქუჩაში გასასვლელად მიუწევდა გული, აღარც ძველ ნაცნობ-მეგობრებთან. ძველი მეგობრებისა თუ ქალიშვილობის დროინდელი ცხოვრების გახსენებაზე გულში არც სევდას გრძნობდა, არც სინანულს.

საღამოს იულია ძვირფასად გამოეწყო და მწუხრის ლოცვაზე წავიდა, მაგრამ ეკლესიაში უბრალო ხალხის მეტი არავინ იყო, მის უძვირფასეს ქურქს და შლაპას დიდად არავინ აღუფრთოვანებია. თავად იულიას ასე ეჩვენებოდა, მარტო მე კი არ შევიცვალე, ეკლესიაშიც რაღაც ისე აღარ არისო. წინათ უყვარდა, როცა მწუხრის ლოცვაზე ცოდვათა მოსანანიებელს კითხულობდნენ, ხოლო მგალობლები ძილისპირულს გალობდნენ. უყვარდა, შუა ეკლესიაში მდგარი მღვდლისაკენ ბრბოში ნელ-ნელა რომ მიიწევდა, უყვარდა შუბლზე წმინდა ზეთს რომ სცხებდნენ. ახლა კი ერთი სული ჰქონდა, წირვა როდის დამთავრდებოდა. ეკლესიიდან რომ გამოვიდა, ეშინოდა, მათხოვრებს გასაკითხი არ ეთხოვათ, ჯიბეში ხელის ჩაყოფა და ხურდა ფულის მოძებნა ეზარებოდა, თუმცა ჯიბეში მხოლოდ მანეთიანები ჰქონდა, სპილენძის ხურდა არ ეყარა.

ლოგინში ადრიანად ჩაწვა, მაგრამ გვიან დაეძინა. ძილში რაღაც პორტრეტები და ამდილანდელი სამგლოვიარო პროცესია ესიზმრა, ვითომ თავლია კუბო ეზოში შემოიტანეს, სახელურებში ხელსახოცებჩაბმული დიდხანს აქანავეს და ბოლოს, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, სადარბაზო კარს სთხლიშეს. იულიამ შეშინებულმა გაიღვიძა. ქვევით კარზე კი, ეტყობა, ვილაც მართლა აკაკუნებდა, ზარს გამობმული მავთული კედელზე ზრიალებდა, მაგრამ ზარის ხმა არ ისმოდა.

ექიმმა ჩაახველა. იულიამ გაიგო, მოახლე კარის გასაღებად როგორ ჩავიდა და უკან როგორ ამობრუნდა.

— ქალბატონო, — დააკაკუნა კარზე მოახლემ, — ქალბატონო!

— რა იყო? — ჰკითხა იულიამ.

— თქვენს სახელზე დეპეშაა.

იულიამ სანთელი აიღო და გავიდა. მოახლის უკან საცვლებზე პალტოგადაცმული ექიმი იდგა და მასაც ხელში სანთელი ეჭირა.

— ზარი რა ხანია მოიშალა, შესაკეთებელია, — თქვა ექიმმა და დაამთქნარა.

იულიამ დეპეშა გახსნა: „ვსვამთ თქვენს სადღეგრძელოს. იარცევი, კოჩევოი", — ეწერა დეპეშაში.

— ო, რა სულელები არიან! — თქვა იულიამ და გადაიხარხარა. გულში შვება და სიხარული იგრძნო.

უკან შებრუნებულმა პირი ჩუმად დაიბანა, ჩაიცვა და ჩემოდანში თავისი ნივთების ჩალაგებას შეუდგა. დილამდე ასე ფეხზე იტრიალა, შუადღისას კი უკვე მატარებელში იჯდა და მოსკოვისკენ მიემგზავრებოდა.

XII

ალდგომის კვირაში ლაპტევები სამხატვრო სასწავლებელში სურათების გამოფენას ეწვივნენ. მოსკოვურად გამოფენაზე მთელი ოჯახი წავიდა, თან ორივე გოგონა, გუვერნანტი და კოსტიკაც ეახლა.

ლაპტევმა ყველა ცნობილი მხატვრის გვარი ზეპირად იცოდა. იგი არც ერთ გამოფენას არ ტოვებდა, აგარაკზე ყოფნისას ზოგჯერ საღებავებით თვითონაც სატავდა პეიზაჟებს, ასე ეგონა, ჩინებული გემოვნება მაქვს, რომ მესწავლა, ჩემგან ალბათ კარგი მხატვარი დადგებოდაო. საზღვარგარეთ ზოგჯერ ანტიკვარებთანაც შეივლიდა, მცოდნე კაცის გამომეტყველებით ძველებურ ნივთებს ათვალიერებდა და მათ შესახებ საკუთარ აზრს გამოთქვამდა. რაიმე ძველებური ნივთის შეძენისას ანტიკვარი, როგორც უნდოდა და რამდენიც უნდოდა, იმდენ ფულს არ-თმევდა, მერე კი ეს ნივთი მანამდე იდო საკარეტო ფარდულში შეფუთული და ყველასაგან მივიწყებული, ვიდრე იქიდან, ღმერთმა უწყის, როგორ გაქრებოდა. ესტამპის მაღაზიაშიც ხშირად შედიოდა, იდგა, სურათებს და ბრინჯაოს ნივთებს დიდხანს ყურადღებით ათვალიერებდა და თან ნაირნაირ შენიშვნებს გამოთქვამდა, მერე კი უცებ რაღაც ხრალის ჩარჩოს ან მუყაოს უმსგავს კოლოფს თუ იყიდდა. სახლში სულ დიდი ზომის და უგვანი სურათები ჰქონდა, თუ რამ კარგი იყო, ისიც კედელზე უშნოდ და უგემოვნოდ ეკიდა. რამდენჯერ ყოფილა, ბლომად ფული გადაუხდია რაღაც ნივთში, შემდეგ კი აღმოჩენილა, რომ ეს ნივთი თურმე უხეში ნაყალბევია. საოცარი ის არის, ცხოვრებაში მორცხვი და მოკრძალებული ლაპტევი, სურათების გამოფენაზე ძალიან გაბედული და თავდაჯერებული გახლდათ. რატომ?

იულია სერგეევნაც ქმრის მსგავსად სურათებს მუჭიდან ან ბინოკლით უყურებდა. უკვირდა, სურათებზე ადამიანები ცოცხლებივით, ხეები კი ნამდვილივით იყო. მაგრამ არაფერი გაეგებოდა, ეგონა, გამოფენაზე ბევრი სურათი ერთნაირია, ხელოვნების მიზანი კი სწორედ ისაა, ნახატებზე ადამიანები და საგნები, როცა მათ მუჭიდან უყურებ, ნამდვილს ჰგავდესო.

— ეს შიშკინის ტყეა, — უხსნიდა ქმარი, — შიშკინი მუდამ ერთი და იგივეს სატავს... აი, მიაქციე ყურადღება — ასეთი ლილისფერი თოვლი არც ერთ მის ნახატზე არ არის... აი ამ პატარა ბიჭს კი მარცხენა ხელი მარჯვენაზე მოკლე აქვს.

როცა ყველა დაიღალა და ლაპტევი კოსტიას გასაფრთხილებლად წავიდა, უკვე მივდივართო, იულია პატარა პეიზაჟის წინ გაჩერდა და გულგრილად მიაჩერდა. წინა პლანზე მდინარე მოჩანჩქარებდა, მდინარეზე ძელის ხიდი იყო გადებული. იქითა ნაპირას მწვანე ბალახებში ბილიკი მიიკლაკნებოდა, მარჯვნივ მინდორი და ტყის პირი მოჩანდა. ტყის პირას ალბათ ღამის მეხრეებს კოცონი დაენთოთ. შორს კი წითლად აბდღვრიალებულ ჰორიზონტს ბინდი ეპარებოდა.

იულიამ წარმოიდგინა, როგორ მიაბიჯებს ამ ხიდზე, მერე ბილიკზე, მიდის შორს, სულ შორს... ირგვლივ სიწყნარეა, მხოლოდ მთვლემარე ღალღების ძახილი ისმის, სადღაც შორს სინათლე ციმციმებს...

და იულიას უცებ მოეჩვენა, რომ ამ ალისფრად შეფერილ ცაზე გაწოლილი ეს ღრუბლებიც, ეს ტყეც, ეს მინდორიც დიდი, ძალიან დიდი ხნის წინათაც უნახავს... უნახავს ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ... მერე უცებ საშინელი მარტოობა იგრძნო და ამ გზაზე სიარული მეეზარა... უნდოდა ევლო, ევლო, ევლო და ევლო ამ ბილიკზე [illegible]. იქ, სადღაც კი მარადიული დაისი სუფევდა, რაღაც არამიწიერის, მარადიულის ანარეკლი განისვენებდა.

— რა კარგი ნახატია! — ჩაილაპარაკა იულიამ, გაუკვირდა, სურათი მისთვის უცებ ასე გასაგები რომ გახდა, — უყურე, ალიოშა, გესმის, იქ როგორი სიმშვიდეა?

ცდილობდა აეხსნა, რატომ მოსწონდა ეს პეიზაჟი, მაგრამ ვერც ქმარი ხვდებოდა ვერაფერს, ვერც კოსტია. თვითონ კი პეიზაჟს სევდიანი ღიმილით შეჰყურებდა და ის, რომ სხვები მასში განსაკუთრებულს ვერაფერს ხედავდნენ, გულს სტკენდა. მერე იულიამ ისევ თავიდან დაიწყო დარბაზების შემოვლა. უნდოდა ღრმად ჩასწვდომოდა ამ სურათებს, უკვე აღარ ეჩვენებოდა, რომ გამოფენაზე ბევრი ერთნაირი სურათი იყო. ხოლო როცა შინ დაბრუნებულმა დარბაზში როიალის თავზე დაკიდულ დიდ სურათს მთელი ამ დროის მანძილზე ყურადღება პირველად მიაქცია, მის მიმართ რაღაც მტრული იგრძნო და ჩაილაპარაკა:

— ნეტავი ასეთი სურათი როგორ უნდა გინდოდეს!

ამის შემდეგ ის ოქროსფერი კარხიზებიც, ყვავილებიანი ვენეციური სარკეებიცა და იმ ნახატის მსგავსი ნახატებიც, როიალის თავზე რომ ეკიდა, ისე, როგორც ხელოვნების შესახებ ქმრისა და კოსტიას საუბრები, მის გულში მოწყენილობას, ხოლო ზოგჯერ სიძულვილსაც იწვევდა.

დღე დღეს მისდევდა, ცხოვრება ჩვეულებრივ, რაიმე განსაკუთრებულის მოლოდინის გარეშე მიედინებოდა. თეატრალური სეზონი დამთავრდა, დათბა, შესანიშნავი ამინდები დაიჭირა. ერთ დილას ლაპტევები კოსტიას მოსასმენად საოლქო სასამართლოში შეიკრიბნენ, კოსტიას აქ სასამართლოს განჩინებით ვიღაც უნდა დაეცვა. იმის გამო, რომ სახლში ცოტა შეყოვნდნენ, სასამართლოში იმ დროს მივიდნენ, როცა მოწმეების დაკითხვა უკვე დაწყებული იყო. ვიღაც სათადარიგო რიგით ჯარისკაცს ბრალი ბინის გატეხვასა და ქურდობაში ედებოდა. ჯარისკაცს მოწმეებად მრეცხავი ქალები ედგნენ, მათი სიტყვით, ბრალდებული თურმე ხშირად დადიოდა დიასახლისთან — სამრეცხაოს პატრონთან. ჯვართამაღლების წინ იგი თურმე გვიან საღამოს მივიდა და ნაბახუსევზე დასალევად ფულის თხოვნა დაუწყოთ. ფული რომ არავინ მისცა, ადგა და წავიდა, მაგრამ ერთი საათის შემდეგ ისევ დაბრუნდა და ლუდი და გოგოებისთვის პიტნის თაფლაკვერები მოიტანა. თითქმის გათენებამდე სვამდნენ და მღეროდნენ, დილით კი, აზრზე რომ მოვიდნენ, სხვენზე შესასვლელის კლიტე უკვე გატეხილი იყო, თეთრეულს კი მამაკაცის სამი პერანგი, ქვედაკაბა და ორი ზეწარი აკლდა. კოსტია თითოეულ მოწმეს დამცინავად ეკითხებოდა — ჯვართამაღლე-

ბის წინ შენც თუ დალიე ის ლუდი, ბრალდებულმა რომ მოიტანაო. როგორც ჩანს, კოსტიას იმის დამტკიცება სურდა, მრეცხავმა ქალებმა თავიანთი თავი თითქოს თვითონვე გაქურდეს. კოსტია თავის სიტყვას მშვიდად, აუღელვებლად წარმოთქვამდა და ნაფიც მსაჯულებს გაბრაზებული შეჰყურებდა.

განმარტავდა, სახლის გატეხვა რას ნიშნავდა [illegible] ნიშნავდა უბრალო ქურდობა. ლაპარაკობდა ძალიან ზუსტად, დამაჯერებლად, ავლენდა გრძელი და სერიოზული საუბრის უნარს იმის თაობზე, რაც დიდი ხანია ყველასთვის იყო ცნობილი. მაგრამ ძნელი გასაგები იყო, კერძოდ, რის თქმა სურდა. მისი გრძელი სიტყვიდან ნაფიც მსაჯულებს მხოლოდ ასეთი დასკვნის გამოტანა თუ შეეძლოთ: „სამრეცხაო გატეხეს, მაგრამ ქურდობა არ ყოფილა, ვინაიდან იმ თეთრეულის ფულით თვითონ მრეცხავებმა ილოთეს, ხოლო თუ ქურდობას მაინც ჰქონდა ადგილი, ყოველგვარი კარის გატეხვის გარეშე". ჩანს, კოსტია ზუსტად იმას ამბობდა, რაც საჭირო იყო, ვინაიდან მისმა სიტყვამ, როგორც ნაფიც მსაჯულებს, ისე ხალხსაც გული აუჩუყა და ყველას ძალიან მოეწონა. ბრალდებულს გამართლების განაჩენი რომ გამოუტანეს, იულიამ კოსტიას თავი დაუქნია, მერე კი ხელი მაგრად ჩამოართვა.

მაისში ლაპტევები სოკოლნიკში აგარაკზე გადაბარგდნენ. ამ დროისათვის იულია უკვე ფეხმძიმედ იყო.

XIII

გავიდა წელიწადზე მეტი. სოკოლნიკში, იაროსლავლის რკინიგზის ვაკისის მახლობლად იულია და იარცევი ბალახზე ისხდნენ. იქვე გვერდით კოსტია იწვა, ხელები თავქვეშ ამოედო და ცას შეჰყურებდა, სამივემ სეირნობით გული უკვე იჯერეს და ახლა უცდიდნენ, ექვსსაათიანი საგარაკო მატარებელი როდის ჩაივლიდა, რათა შინ ჩაის დასალევად წასულიყვნენ.

— ყველა დედას თავისი შვილი განსაკუთრებული ჰგონია, ასეა ბუნება მოწყობილი, — ამბობდა იულია, — დგას მთელი საათობით დედა ჩვილის საწოლთან და აღტაცებული უყურებს, როგორი ცხვირი, როგორი თვალები, როგორი ყურები აქვს. ვინმე უცხო თუ ჰკოცნის მის შვილს, საბრალოს, ასე ჰგონია, ეს კოცნა იმ ადამიანს ნეტარებას ანიჭებს. გარდა შვილისა, დედას სხვა საალაპარაკო აღარაფერი აქვს, ერთთავად მხოლოდ შვილზე ლაპარაკობს. ვიცი დედის ეს სისუსტე და ჩემს თავს ვაკვირდები, თუმცა, ჩემი ოლია მართლაც არაჩვეულებრივია. რომ იცოდეთ, როგორ მიყურებს წოვის დროს, როგორ იცინის! ჯერ მხოლოდ რვა თვისაა, მაგრამ, ღმერთმანი, ასეთი ჭკვიანი თვალები სამი წლის ბავშვზეც არ მინახავს.

— ისე, ვინ უფრო მეტად გიყვართ, — ჰკითხა იარცევმა, — ქმარი თუ შვილი?

იულიამ მხრები აიჩეჩა.

— არ ვიცი... ქმარი ძალიან არასოდეს მყვარებია, ამიტომაც არსებითად ოლიაა ჩემი პირველი სიყვარული. თქვენ იცით, რომ ალექ-

სეის სიყვარულით არ გავყოლივარ. უწინ სულელი ვიყავი, ტიტანჯებოდი, სულ იმას ვფიქრობდი, მისი ცხოვრებაც დავლუპე და ჩემიც-მეთქი. ახლა კი ვხედავ, სიყვარული თურმე საჭირო არ არის, თურმე ყველაფერი სისულელეა.

— მაგრამ, თუ არა სიყვარული, მაშინ რა გრძნობა [illegible] ბთ, რატომ ცხოვრობთ ქმართან?

— არ ვიცი, ალბათ შევეჩვიე. ალექსეის პატივს ვცემ, დიდხანს თუ ვერ ვნახე, მენატრება, თუმცა ეს მაინც სიყვარული არ არის... ჭკვიანი, პატიოსანი კაცია და ჩემი ბედნიერებისათვის ესეც კმარა. ძალიან კეთილი და უბრალო ადამიანია...

— ალიოშა ჭკვიანია, ალიოშა კეთილია, — ჩაილაპარაკა კოსტიამ და თავი უხალისოდ წამოწია, — ჰო, მაგრამ, ძვირფასო, რომ გაიგო, რა კეთილი, ჭკვიანი და საინტერესოა იგი, მასთან ერთად სამი ფუთი მარილი მაინც უნდა შეჭამო... რა აზრი აქვს მის სიკეთესა და მის ჭკუას? ფულს იმდენს მოგცემთ, რამდენიც მოგინდებათ, ეს მას შეუძლია, აი ხასიათის სიმტკიცის გამოჩენა ან ვინმე უტიფრისათვის საკადრისი პასუხის გაცემა კი... აქ იგი ირცხვენს და გაბედულება ღალატობს. ისეთი ადამიანები, როგორიც თქვენი ძვირფასი ალექსისია, მშვენიერი ადამიანები არიან, მაგრამ ბრძოლისათვის სრულიად გამოუსადეგარნი... და საერთოდაც არაფრისთვის ვარგანან.

ბოლოს, როგორც იქნა, გამოჩნდა მატარებელი. მილიდან ბოლქვ-ბოლქვად ამოსული ვარდისფერი ორთქლი ტყის თავზე გაიშალა, ბოლო ვაგონის ორმა ფანჯარამ მზეზე თვალისმომჭრელად გაიელვა.

— ესე იგი, ჩაის დროა, — თქვა იულია სერგეევნამ და წამოდგა.

ამ უკანასკნელ ხანს იგი დასრულდა, სიარულიც ოდნავ მოშვებული, ქალური გაუხდა.

— და მაინც, სიყვარულის გარეშე ცხოვრებას აზრი არა აქვს, — თქვა იულიას უკან მიმავალმა იარცევმა, — ჩვენ მარტო ვლაპარაკობთ და ვკითხულობთ სიყვარულზე, თავად კი, სამწუხაროდ, დიდად არ დაგიდევთ სიყვარულს.

— ეგ მხოლოდ უმნიშვნელო წვრილმანია, ივან გავრილიჩ, — თქვა იულიამ, — ბედნიერება ამაში არ არის.

ჩაი იმ პატარა ბაღში დალიეს, სადაც რეზედა, ლევკოიონი და თამბაქო ყვაოდა. უკვე ადრეულ ხმალასაც გაეშალა თავისი ყვავილი. იარცევი და კოჩევოი იულია სერგეევნას სახეზე ატყობდნენ, რომ მას სულიერი სიმშვიდის ბედნიერი ხანა ეღგა, რომ მას სხვა არაფერი უნდოდა, გარდა იმისა, რაც ჰქონდა, და თავს ისინიც მშვიდად გრძნობდნენ. ვისაც რა უნდა ეთქვა, ყველაფერი დროული და გონივრული გამოდიოდა. ფიჭვებიც ძალიან ლამაზები იყო, ფისის საუცხოო სურნელსაც ისე აფრქვევდნენ, როგორც არასდროს. ნაღებსაც უგემრიელესი გემო ჰქონდა, საშა კი ჭკვიანი და კარგი გოგონა იყო.

ჩაის შემდეგ იარცევმა რომანსები წამოიწყო, როიალზე აკომპანიმენტსაც თვითონვე უკეთებდა თავის თავს. იულია და კოჩევოიც იქვე ისხდნენ და ჩუმად უსმენდნენ. მხოლოდ იულია თუ წამოდგებოდა ხანდახან და ოთახიდან წყნარად გავიდოდა, რათა ბავშვისა და ლიდასათ-

ვის დაეხედა, რომელიც აგერ უკვე ორი დღეა სიცხიანი იწვა და პირს არაფერს აკარებდა.

— „ჩემო მეგობარო, ჩემო უნაზესო მეგობარო...“ — მღეროდა იარცევი, — არა, ბატონებო, ყელიც რომ გამომჭრათ, — თქვა და თავი გადააქნია, — არ მესმის, სიყვარულის წინააღმდეგი რატომ ხართ. ღვინე-ღამეში თხუთმეტი საათი დაკავებული რომ არ ვიყო, უსათუოდ ვინმეს შევიყვარებდი.

ვახშმის სუფრა ტერასაზე გაშალეს. წყნარი, თბილი საღამო იდგა, იულია კი სულ შალში იფუთნებოდა, ნესტიაო, — წუწუნებდა. კარგად რომ შეღამდა, უცებ თავი ცუდად იგრძნო, მთელი ტანით აკანკალებულმა — ცოტა შორს დასხედითო, — სტუმრებს სთხოვა. ჯერ ღვინით გაუმასპინძლდა, ვახშმის შემდეგ კი ბრძანა მათთვის კონიაკი მოეტანათ — არ უნდოდა მოსამსახურეები და თვითონ მარტო დარჩენილიყვნენ ბავშვებთან.

— ბავშვებისთვის მოაგარაკეებმა სპექტაკლის დადგმა განვიზრახეთ, — თქვა იულიამ, — თეატრიც გვაქვს და მსახიობებიც გვყავს, მხოლოდ პიესის გამო ვართ გაჩერებულები. მართალია, ოცამდე პიესა შემოგვთავაზეს, მაგრამ არც ერთი არ მოგვეწონა. აი თქვენ თეატრიც გიყვართ, ისტორიაც კარგად იცით, — მიუბრუნდა იგი იარცევს, — ჰოდა, დაგვიწერეთ რაიმე ისტორიული პიესა.

— რატომაც არა.

სტუმრებმა მთელი კონიაკი გამოცალეს და წასასვლელად აიშალნენ. უკვე მეთერთმეტე საათი იყო, აგარაკისთვის კი, მოგეხსენებათ, ეს უკვე ძალიან გვიანაა.

— ისე ბნელა, თვალთან თითს ვერ მიიტან, — თქვა იულიამ და სტუმრები ჭიშკრამდე მიაცილა. — ბატონებო, წარმოდგენა არა მაქვს, სახლამდე როგორ უნდა მიხვიდეთ, თან ისეთი სიცივეა!

იულია შალში კიდევ უფრო თბილად გაეხვია და პარმაღისკენ წავიდა.

— ჩემი ალექსეი კი ალბათ სადმე ბანქოს თამაშშია გართული! — გასძახა მიმავალ სტუმრებს, — ძილი ნებისა!

გაჩახჩახებული ოთახიდან გასულებს გარეთ ნამდვილი უკუნეთი დახვდათ. იარცევმა და კოსტიამ ხელის ცეცებ-ცეცებით, როგორც იქნა, ვაკისამდე მიაღწიეს და რკინიგზა გადაჭრეს.

— რა ჯანდაბაა, არაფერი არ ჩანს, — თქვა კოსტიამ თავისი ბარიტონით, შეჩერდა და ცას ახედა, — ვარსკვლავები კი, ვარსკვლავები, გავრილიჩ, ახალთახალი სამშაურიანებივით ბზინავენ.

— რა? — გამოეხმაურა საიდანღაც იარცევი.

— რა და, არაფერი ჩანს-მეთქი, სადა ხართ?

იარცევი სტვენა-სტვენით მიუახლოვდა და მკლავში ხელი გამოსდო.

— ეჰეი, მოაგარაკეებო, — მთელი ხმით იყვირა უცებ კოსტიამ, — სოციალისტი დავიჭირე.

გადაკრულში თუ იყო, ვერ გააჩერებდი, ქოთქოთებდა, ყვიროდა, პოლიციელებს და მეეტლეებს ეშარიანებოდა, მღეროდა, გიჟივით ხარხარებდა.

— ბუნებავ, ეშმაკმა დაგლახვროს! — ისევ ხმამაღლა იყვირა კოსტიამ.

— აბა, აბა, ეს უკვე მეტისმეტია, გთხოვთ, — დაამშვიდა იარცევმა.

მალე მეგობრებმა სიბნელეს თვალი შეაჩვიეს და ელექტრონული ფიჭვებსა და ტელეგრაფის ბოძებს თავისუფლად არჩევდნენ. მოსკოვის ვაგზლებიდან დროდადრო საყვირის ხმა აღწევდა, საცოდავად ზუზუნებდა მავთულები. ტყიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა და ტყის ამ მდუმარეობაში სიდიადე, ძალა და იდუმალება იგრძნობოდა. ასე გეგონებოდა, ფიჭვის მაღალი კენწეროები ღამეულ ცას სწვდებოდა. მეგობრებმა კოროში განაკაფი მოძებნეს და იმ განაკაფს გაჰყვნენ. იქ უკვე ნამდვილი წყვდიადი იყო. მაღლა ვარსკვლავებით მოჭედილი ცის გრძელი ზოლი გადაჭიმულიყო, ხოლო ფეხქვეშ ნატარ მიწას გრძნობდნენ და მხოლოდ ამითლა ხვდებოდნენ, რომ ხეივანში მიაბიჯებდნენ. მიაბიჯებდნენ ჩუმად, ერთმანეთის გვერდიგვერდ და ორივეს ეჩვენებოდა, რომ მათკენ ვიღაცები მოდიოდნენ. სიმთვრალემ უკვე გაუარათ. „ვინ იცის, ამ ტყეში ახლა იქნებ მოსკოვის მეფეების, ბოიარებისა და პატრიარქების სულები დაფრინავენ", — გაიფიქრა იარცევმა. უნდოდა ეს კოსტიასთვისაც ეთქვა, მაგრამ გადაიფიქრა.

ქალაქის კარიბჭეს რომ მიუახლოვდნენ, ოდნავ ირიჟრაჟა. იარცევი და კოჩევოი ისევ ჩუმად მიაბიჯებდნენ ქვაფენილზე — უბრალო აგარაკების, ტრაქტირებისა თუ ხე-ტყის საწყობების ჩასწვრივ. რკინიგზის განშტოების შემაერთებელი ხიდის ქვეშ ისინი ცაცხვის სასიამოვნო სურნელით გაჟღენთილმა სიგრილემ მოიცვა. მალე მათ წინ ფართო, გრძელი ქუჩა გადაიშალა, მაგრამ ქუჩაში არც ადამიანის ჭაჭანება იყო და არც სინათლე ენთო სადმე... წითელ ტბორთან რომ მივიდნენ, უკვე ინათა კიდევაც.

— მოსკოვი ის ქალაქია, რომელსაც ჯერ კიდევ მრავალი ტანჯვის გადატანა მოუწევს, — ამბობდა იარცევი და ალექსეის მონასტერს გასცქეროდა.

— ეგ აზრი თავში საიდან მოგივიდათ?

— რა ვიცი. ასეა... მიყვარს მოსკოვი.

იარცევიცა და კოსტიაც მოსკოვში იყვნენ დაბადებულები, ორივე აღმერთებდა მოსკოვს, მაშინ როცა სხვა ქალაქებს რატომღაც მტრულად ეკიდებოდნენ. დარწმუნებულები იყვნენ, მოსკოვი შესანიშნავი ქალაქი იყო, რუსეთი კი შესანიშნავი ქვეყანა. ყირიმშიც, კავკასიაშიც და საზღვარგარეთაც თავს მოწყენილად, უსიამოვნოდ და უგემურად გრძნობდნენ. ეჭვიც არ ეპარებოდათ, მოსკოვური ნაცრისფერი ამინდი ყველაზე ჯანსაღი, ყველაზე სასიამოვნო იყო. ამ სასიამოვნო განცდას განსაკუთრებით ისეთი დღეები იწვევდა, როცა ფანჯრებს ცივი წვიმა უკაკუნებს, ქალაქს ადრიანად ჩამოაწვება მრუმე, ულიმლამო ბინდი, სახლებისა და ეკლესიის კედლებს მურა ფერი ედება და გარეთ გასვლისას არ იცი, რა ჩაიცვა.

ბოლოს, როგორც იქნა, ვაგზალთან ეტლი დაიქირავეს.

— მართლაც, კარგი იქნებოდა, ისტორიული პიესა დამეწერა, — თქვა იარცევმა, — მაგრამ, იცით, ყოველგვარი ლიაპუნეტისა და გოდუნოვების გარეშე, უფრო იაროსლავის ან მონომახის პერიოდის... ყველა რუსული ისტორიული პიესა მძულს, გამონაკლისს მხოლოდ პიმენის მონოლოგი წარმოადგენს. როცა რაიმე ისტორიული წაიკითხოს, ან თუნდაც რუსული ისტორიის სახელმძღვანელოს [illegible], ეგონია, რუსეთში ყველაფერი უნარიანად, ნიჭიერად და საინტერესოდ კეთდებოდა. აი თეატრში კი, ისტორიულ პიესას რომ უყურებ, იგივე რუსული ცხოვრება უნიჭო, არაჯანსაღი და არაორიგინალური გეჩვენება.

დმიტროვკასთან მეგობრები ერთმანეთს დაშორდნენ და იარცევმა გზა შინისაკენ ეტლით განაგრძო. ნახევრად მთვლემარე ოდნავ ირწეოდა და თან სულ პიესაზე ფიქრობდა. უცებ საშინელი ხმაური მოეჩვენა, ჩახაჩუხი და რაღაც გაუგებარი, კალმიკური ენის მსგავსი შეძახილები ჩაესმა, თვალწინ ალში გახვეული სოფელი წარმოუდგა, თეთრად შეჭირხლულ, ხანძრისაგან ღია ვარდისფრად აალებულ ტყეებს კი ირგვლივ ისე ნათლად ხედავდა, თითოეულ ნაძვსაც კი არჩევდა. ცხენზე ამხედრებული თუ ფეხოსანი ველური ტომის ადამიანები სოფელში წინ და უკან დაქროდნენ. ცხენებსაც და ადამიანებსაც ისეთივე მეწამული ფერი ჰქონდათ, როგორც ცაზე დაფიონს.

— ესენი ყივჩაღები არიან, — ფიქრობს იარცევი.

ერთი ბებერი, სისხლში ამოსვრილი, შავად გარუჯული ყივჩაღი ქერათმიან თეთრ რუს ქალიშვილს უნაგირზე აკრავს და რაღაცას გაშმაგებით უყვირის. გოგო კი ჭკვიანი, სევდით სავსე თვალებით ჩუმად შეჰყურებს... იარცევმა თავი გააქნია, ერთბაშად გამოფხიზლდა და სიმღერა წამოიწყო:

„ჩემო მეგობარო, ჩემო უნაზესო მეგობარო...“

მერე მეეტლეს ფული გადაუხადა და თავისთან კიბეზე რომ ადიოდა, ისევ ის ალმოდებული ხეები ეზმანებოდა, ვერა და ვერ თავისუფლდებოდა ამ მოჩვენებისაგან. ხედავდა, ალი ტყეში ხიდან ხეზე როგორ გადადიოდა, ტყეს როგორი ტკაცატკუცი გაჰქონდა და კვამლით როგორ იბურებოდა. შიშისგან დამფრთხალი უზარმაზარი გარეული ცხი სოფელში გიჟივით როგორ დაქროდა... უნაგირზე დაკრული გოგო კი ისევ მდუმარედ და სევდიანად იყურებოდა.

იარცევი თავის ოთახში რომ შევიდა, უკვე გათენებული იყო. როიალზე, გაშლილი ნოტების გვერდით, ორი თითქმის ჩამწვარი სანთელი ბჟუტავდა. დივანზე შავკაბიანი, წელზე სარტყელშემორტყმული რასუდინა იწვა, ხელში გაზეთი ეჭირა და ღრმად ეძინა. ჩანს, დიდხანს უკრავდა, ელოდა, იარცევი როდის დაბრუნდებოდა და ამ მოლოდინში ჩაეძინა.

„ხედავ, პირდაპირ ქანცი აქვს გაცლილი!“ — გაიფიქრა იარცევმა.

ხელიდან გაზეთი ფრთხილად ააცალა, პლედი დაახურა, სანთლები ჩააქრო და საძინებელში გავიდა. დაწოლისას ისევ ისტორიულ პიესაზე ფიქრობდა, თან გუნებაში სიმღერის აკვიატებულ მელოდიას იმეორებდა — „ჩემო მეგობარო, ჩემო უნაზესო მეგობარო“...

ორი დღის შემდეგ ლაპტევმა მასთან სულ რაღაც ორიოდე წუთით

შეიარა, რათა ეთქვა, ლიდა დიფტერიტით გახდა ავად, ავადმყოფობა მისგან იულია სერგეევნას და ბავშვსაც გადაედოო. ხუთი დღის შემდეგ კი შეიტყო, ლიდა და იულია მალე გამოკეთდებიან, ხოლო ბავშვი გარდაიცვალა, ლაპტევები სოკოლნიკის აგარაკიდან ქალაქში გამოიქცნენო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XIV

დიდი ხნით შინ დარჩენა ლაპტევს უკვე უჭირდა. გოგონებს მივხედავო — ცოლი წამდაუწუმ ფლიგელში გარბოდა, მაგრამ ლაპტევმა იცოდა, რომ იქ ის გოგონების მისახედად კი არა, კოსტიასთან ტირილით გულის მოსაოხებლად მიდიოდა. მეცხრე, მეოცე და მეორმოცე დღეს სასაფლაოზე პანაშვიდი გადაიხადეს. ლაპტევი მთელ დღეებსა და ღამეებს ტანჯვაში ატარებდა, მარტო იმ უბედურ ბავშვზე ფიქრობდა და ცოლის დასამშვიდებლად ათასნაირ სისულელეს ჩმახავდა. საწყობშიც იშვიათად დადიოდა. ახლა იგი მხოლოდ საქველმოქმედო საქმეებით იყო დაკავებული, ნაირნაირ საზრუნავს იჩენდა, უხაროდა, შემთხვევა თუ მიეცემოდა და რაიმე უმნიშვნელო საქმის გამო მთელ დღეს მისვლა-მოსვლაში გაატარებდა. ბოლო დროს საზღვარგარეთ წასვლაც დააპირა, რათა ენახა, როგორ იყო იქ ღამის თავშესაფრები მოწყობილი, და ახლა მხოლოდ ამაზე ფიქრილა ართობდა.

შემოდგომის დღე იდგა. იულია ეს-ესაა ფლიგელში გავიდა სატირლად, ლაპტევი კი თავის კაბინეტში დივანზე იწვა და ფიქრობდა, სად წასულიყო. ამ ფიქრებში რომ იყო, პეტრემ რასუდინას მოსვლის შესახებ მოახსენა, რამაც ლაპტევი ძალიან გაახარა, მაშინვე წამოხტა და დაუპატიჟებელი სტუმრის, თავისი იმ ყოფილი მეგობარი ქალის შესახვედრად გავიდა, რომელიც თითქმის უკვე მივიწყებული ჰყავდა. იმ საღამოს შემდეგ, როცა მან იგი უკანასკნელად ნახა, ქალი იოტისოდენადაც არ იყო შეცვლილი.

— პოლინა! — თქვა ლაპტევმა და ორივე ხელი გაუწოდა, — მთელი საუკუნეა ერთმანეთი არ გვინახავს! რომ იცოდეთ, როგორ მიხარია თქვენი ნახვა! მობრძანდით.

რასუდინამ ხელი მაგრად ჩამოართვა, შლაპიან-პალტოიანად კაბინეტში შევიდა და დაჯდა.

— მხოლოდ წუთით შემოგიარეთ, — თქვა ქალმა, — სისულელეებზე სალაპარაკოდ არ მცალია. კეთილი ინებეთ, დაბრძანდით და მომისმინეთ. გიხარიათ ჩემი ნახვა თუ არ გიხარიათ, ჩემთვის სულერთია, ვინაიდან ბატონი მამაკაცებისაგან მოწყალე ყურადღების გამოჩენა ჩირადაც არ მიღირს. თუ თქვენთან მოვედი, მხოლოდ იმიტომ, რომ დღეს უკვე ხუთ ადგილას ვიყავი და ყველგან უარი მივიღე, მაშინ როცა საქმე უკვე ალარ ითმენს. მომისმინეთ, — განაგრძობდა რასუდინა და ლაპტევს თვალებში მისჩერებოდა, — ჩემმა ხუთმა ნაცნობმა სტუდენტმა, რომლებიც, მართალია, გონებაშეზღუდულები და ჩერჩეტები, მაგრამ უდაოდ ღარიბები არიან, ფული ვერ შეიტანეს და ახლა სასწავ-

ლებლიდან რიცხავენ. თქვენი სიმდიდრე კი მოვალეს გხდით, ახლავე უნივერსიტეტში წაბრძანდეთ და მათ მაგივრად გადაიხადოთ.

— სიამოვნებით, პოლინა, სიამოვნებით.

— აი, მათი გვარები, — უთხრა რასუდინამ და ქაღალდი გაუწოდა, — ახლავე, ამწუთასვე წადით, ოჯახური ბედნიერებით ტკბობას კი მერეც მოესწრებით.

ამ დროს სასტუმროს კარს უკან რაღაც ფაჩუნი გაისმა, ეტყობა, ძაღლი იქექებოდა. რასუდინა გაწითლდა და ადგილიდან წამოხტა:

— თქვენი დულცინეა ყურს გვიგდებს! რა საზიზღრობაა!

ლაპტევს რასუდინას ნათქვამი გულზე მოხვდა.

— იულია აქ არ არის, ფლიგელშია, თუ შეიძლება, ნუ ლაპარაკობთ მასზე ასე! შვილი მოგვიკვდა და ახლა ის საშინლად იტანჯება.

— შეგიძლიათ დააწყნაროთ თქვენი ცოლი, — ჩაიცინა რასუდინამ და ისევ დაჯდა, — ერთი კი არა, მთელი დუჟინი გეყოლებათ. შვილების გაჩენას დიდი ჭკუა და გონება არ სჭირდება.

ლაპტევს გაახსენდა, ზუსტად ეს თუ რაღაც ამის მსგავსი მას უკვე არაერთხელ ჰქონდა ოდესღაც მოსმენილი და უეცრად თავისუფალი, მარტოხელა, უოჯახო კაცის ცხოვრების პოეზიის სურნელი შეიგრძნო, როცა ჯერ ისევ ახალგაზრდა იყო და თავის ნებაზე ცხოვრობდა, როცა არც ცოლის სიყვარული იცოდა, არც გარდაცვლილ ბავშვზე ფიქრი და წუხილი.

— ერთად წავიდეთ, — უთხრა ლაპტევმა და გაიზმორა.

უნივერსიტეტში რომ მივიდნენ, ლაპტევი კანცელარიაში წავიდა, რასუდინა ჭიშკართან დაელოდა. ცოტა ხნის შემდეგ კანცელარიიდან დაბრუნებულმა ლაპტევმა რასუდინას ხუთი ქვითარი გადასცა და ჰკითხა:

— ახლა სად მიდიხართ?

— იარცევთან.

— მეც წამოვალ, ერთად წავიდეთ.

— მაგრამ თქვენ მას მუშაობაში ხელს შეუშლით.

— არა, დამიჯერეთ, არა! — თქვა ლაპტევმა და ქალს მუდარით შეხედა.

რასუდინას შავი, თითქოს სამგლოვიაროაო, კრეპით გაწყობილი შლაპა ეხურა და ძალზე მოკლე, საკმაოდ შელახული, ჯიბეებგამობერილი პალტო ეცვა. ცხვირი წინანდელზე უფრო დაგრძელებოდა, სიცივის მიუხედავად, სახე ერთიანად გადაფითრებული ჰქონდა. ლაპტევს სიამოვნებდა მასთან სიარული, მისადმი მორჩილება, მისი ბუზღუნის მოსმენა როგორი შინაგანი ძალა უნდა ჰქონდეს ქალს, რომელიც ასეთი შეუხედავი, მოუქნელი და ეროთავად აფორიაქებულია, არც წესიერი ჩაცმიცის, მუდამ თმადაუვარცხნელი დადის, მაგრამ მაინც ასეთი მიმზიდველიაო, — ფიქრობდა.

იარცევთან უკანა კარით საშაარეულოში შევიდნენ, სადაც სუფთად ჩაცმული, ჭალარა ხუჭუჭა თმიანი მოხუცი მზარეული ქალი დახვდათ. მოხუცმა ჯერ ძალზე დაირცხვინა, მერე თბილად გაიღიმა და სახე ტკბილი ღვეზელივით გაუხდა:

— მობრძანდით.

იარცევი შინ არ იყო. რასუდინა როიალს მიუჯდა, რთული, მოსაწყენი ეკზერცისების დაკვრა დაიწყო და ლაპტევს უბრძანა, ხელი არ შეეშალა. მართლაც, ლაპტევს ქალისთვის საუბრით თავი არ შეუწყენია, იჯდა მოშორებით და „Вестник Европы-ს" ჩუმად ათვალიერებდა. რასუდინა ორი საათი უკრავდა, რაც მისი დღიური ნორმა იყო, შემდეგ სამზარეულოში გავიდა, ცოტა წაიხემსა და გაკვეთილების ჩასატარებლად წავიდა. ლაპტევმა რომელიღაც რომანის გაგრძელება ჩაიკითხა, მერე კი იმით კმაყოფილი, რომ შინ სადილზე მისვლა დააგვიანა, დიდხანს იჯდა თავისთვის, ისე, რომ არც კითხულობდა არც არავითარ მოწყენილობას გრძნობდა.

— ჰა-ჰა-ჰა! — მოისმა სიცილი და კარებში ჯანმრთელი, მხნე, ლოყაწითელი, ღია ფერის ღილებიან ახალ ფრაკში გამოწყობილი იარცევი გამოჩნდა, — ჰა-ჰა-ჰა!

მეგობრებმა იმ დღეს ერთად ისადილეს. ლაპტევი ნასადილევს დივანზე დაწვა, იარცევიც გვერდით მიუჯდა და სიგარას მოუკიდა. ამასობაში დაბინდდა კიდევაც.

— ეტყობა, ვბერდები, — თქვა ლაპტევმა, — მას შემდეგ, რაც ჩემი და ნინა გარდაიცვალა, რატომღაც ხშირად ვფიქრობ სიკვდილზე.

მერე დიდხანს ილაპარაკეს სიკვდილსა და სულის უკვდავებაზე. კარგი იქნებოდა, კაცი მართლაც აღმდგარიყავი მკვდრეთით, მერე სადმე მარსზე გაფრენილიყავი ბედნიერი და უზრუნველი. რაც მთავარია, დედამიწის მკვიდრივით კი არა, რაღაც სხვაგვარად გეაზროვნა.

— არა, სიკვდილი არ მინდა, — თქვა წყნარად იარცევმა. — სიკვდილთან ჩემი შერიგება არავითარ ფილოსოფიას არ ძალუძს. სიკვდილს ისე ვუყურებ, როგორც უბედურებას, სიცოცხლე მწყურია.

— გიყვართ სიცოცხლე, გავრილიჩ?

— ჰო, მიყვარს.

— აი მე კი ჩემი თავისა ვერაფერი გამიგია, ხან საშინელ გუნებაზე მაყენებს სიკვდილზე ფიქრი, ხან სულერთია ჩემთვის ყველაფერი. საკუთარი თავისა არა მჯერა, მხდალი ადამიანი ვარ, ლაჩარი, ვერა და ვერ შევწყობივარ ცხოვრებას, ქეჩოზე ვერ მოვქცევივარ. ზოგი სისულელეს ლაპარაკობს, თაღლითობს, მაგრამ ხალისიანი და მხიარულია. მე კი თავს ზოგჯერ მოუსვენრად მაშინაც ვგრძნობ, როცა სიკეთეს ჩავდივარ. თუ არადა, სულერთია ყველაფერი. ამას, გავრილიჩ, იმით ვხსნი, რომ მონად ვარ გაჩენილი, იმით, რომ ყმა გლეხის ნაშიერი ვარ. ვიდრე ჩვენ, ტურტლიანები, ნამდვილ გზაზე გავალთ, ამ ბრძოლას ბევრი ჩვენი ძმა შეაკვდება!

— ძალიანაც კარგი, გეთაყვა, — თქვა იარცევმა და ამოიოხრა, — ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს, როგორი მდიდარი და მრავალფეროვანია რუსული ცხოვრება. თანაც როგორი! იცით, დღითიდღე სულ უფრო მეტად და მეტად ვრწმუნდები, რომ დღეს უდიდესი დღესასწაულის წინა დღეა და ძალიან მინდა, მანამდე ვიცოცხლო, ვიდრე იმ დიდ დღესასწაულში თავადაც არ მივიღებ მონაწილეობას. გნებავთ დამიჯერეთ და გნებავთ ნუ დამიჯერებთ, მაგრამ მე თუ მკითხავთ, შესანიშნავი თა-

ობა იზრდება. ბავშვებს რომ ვამეცადინებ, განსაკუთრებით გოგონებს, პირდაპირ ვტკბები, მართლაც, საუცხოო ბავშვები არიან!

იარცევი როიალთან მივიდა და აკორდი აიღო.

— მე ქიმიკოსი ვარ, — განაგრძო იარცევმა, — ვაზროვნებ როგორც ქიმიკოსი და სიცოცხლის ბოლომდე ქიმიკოსი ვიქნები, მაგრამ ხარბი ვარ და, ვშიშობ, ჩემი გული ვერ გაძღება. მარტო ქიმია ჩემთვის ცოტაა, ამიტომ რუსეთის ისტორიაშიც ვიქექები და ხელოვნების ისტორიაშიც. არც პედაგოგიკას და მუსიკას ვეშვები... ამ ზაფხულს როგორლაც თქვენმა მეუღლემ მითხრა, ისტორიული პიესა დამეწერა, ჰოდა, მინდა ახლა სულ ვწერო და ვწერო. ასე მგონია, სამ დღე-ღამეს ისე გადავაბამ, არც კი წამოვდგები. სახეებმა ქანცი გამაცალა, თავი სულ გამოტენილი მაქვს, შიგ სულ პულსაციას ვგრძნობ. სულაც არ მინდა, ჩემგან რაღაც განსაკუთრებული ადამიანი დადგეს, ან რაღაც ძალიან, ძალიან დიდი შევქმნა — უბრალოდ, მინდა ვიცოცხლო, ვიოცნებო, იმედებით ვიყო სავსე, ყველაფერი მოვასწრო... სიცოცხლე, ჩემო კარგო, ხანმოკლეა, ამიტომაც, რაც შეიძლება კარგად უნდა იცხოვრო.

ამ მეგობრული საუბრის შემდეგ, რომელიც შუაღამემდე გაგრძელდა, ლაპტევი იარცევთან თითქმის ყოველდღე დადიოდა, გული ერთთავად მისკენ მიუწევდა. მივიდოდა ასაღამოვებულზე, წამოწვებოდა და იარცევის მოსვლას მოთმინებით ელოდა. სამსახურიდან დაბრუნებული იარცევი ისადილებდა თუ არა, მაშინვე სამუშაოს მიუჯდებოდა, მაგრამ ლაპტევი რაღაცას შეეკითხებოდა და გაიბმებოდა საუბარი, საქმე და სამუშაო აღარავის ახსოვდა. ამასობაში წამოვიდოდა შუაღამე და მეგობრები კმაყოფილები გამოემშვიდობებოდნენ ერთმანეთს.

მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. ერთხელაც იარცევთან მისვლისას იქ მხოლოდ რასუდინა დაუხვდა — იჯდა როიალთან და თავის ეკზერსისებს უკრავდა. ქალმა ცივად, ლამის მტრულადაც კი შეხედა და ჩამოსართმევად ხელიც არ გაუწოდებია, ეგრევე მიახალა:

— მითხარით, გეთაყვა, ამ ყველაფერს ბოლო როდის მოეღება?

— რა ამ ყველაფერს? — დაიბნა ლაპტევი.

— თქვენ აქ ყოველდღე დადიხართ, იარცევს მუშაობაში ხელს უშლით. იარცევი ვაჭრუკანა კი არა, მეცნიერია, მისთვის ყოველი წუთი ძვირფასია. ხომ უნდა გესმოდეთ, ცოტაოდენი დელიკატურობა ხომ უნდა გაგაჩნდეთ!

— თუ თქვენ ასე მიგაჩნიათ, — თქვა შემცბარმა ლაპტევმა წყნარად, — მე აქ სულ არ მოვალ.

— ძალიან კარგი. წადით, თორემ საცაა შეიძლება მოვიდეს და ისევ აქ დახვდებით.

რასუდინას გულცივმა გამოხედვამ, იმ ტონმა, რომლითაც ეს სიტყვები იყო ნათქვამი, ლაპტევი საბოლოოდ გააოგნა. აშკარა იყო, ქალი მისადმი აღარაფერს გრძნობდა, მარტო ის ეწადა, რაც შეიძლება, მალე გასცლოდა, მალე წასულიყო ლაპტევი აქედან. ეჰ, როგორ არ ჰგავდა ეს ყველაფერი ადრინდელ მათ სიყვარულს! ლაპტევი ისე გავიდა, ხელი არ ჩამოურთმევია, ეგონა, დაუძახებდა, უკან მოაბრუნებდა, მაგრამ ისევ გამების ხმა გაისმა და კიბეზე ჩამავალი ლაპტევი მიხვდა, რომ ამ ქალისთვის იგი უკვე სრულიად უცხო იყო.

სამი დღის შემდეგ მასთან იარცევი მივიდა, რათა ერთად გაეტარებინათ საღამო.

— ჩემთან ახალი ამბებია, — თქვა და გაიცინა, — პოლინა ნიკოლაევნა სამუდამოდ ჩემთან გადმობარგდა, — იგი ცოტა შეყოვნდა და მერე ისევ ხმადაბლა განაგრძო: — რას იზამ! ცხადია, შეყვარებულები არა ვართ, ერთმანეთი არ გვიყვარს, მაგრამ მე ვფიქრობ, ეს სულერთია. მოხარული ვარ, რომ შემიძლია, თავშესაფარი, სიმშვიდე და იმის შესაძლებლობა მივცე, მაშინ მაინც არ იმუშაოს, როცა ავადაა. იმას კი ჰგონია, ჩემს გვერდით თუ იქნება, ჩემი ცხოვრება უფრო მოწესრიგებული გახდება, მისი გავლენითა და ხელშეწყობით უდიდესი მეცნიერი გავხდები. ასეა თუ ისე, ის ასე ფიქრობს, დე, იფიქროს. სამხრეთელებს ერთი ასეთი ანდაზა აქვთ: უქნარა კაცი ოცნებაში მდიდრდებაო... ჰა-ჰა-ჰა.

ლაპტევი დუმდა. იარცევმა კაბინეტში გაიარ-გამოიარა, სურათებს, რომლებიც უამრავჯერ ენახა, შეხედა და ამოიოხრა:

— დიახ, ჩემო მეგობარო, მე თქვენზე სამი წლით უფროსი ვარ, ჩემთვის უკვე გვიანია ნამდვილ სიყვარულზე ფიქრი, ისეთი ქალი კი, როგორიც პოლინა ნიკოლაევნაა, ჩემთვის ნამდვილი მონაპოვარია და, რა თქმა უნდა, მასთან სიკვდილამდე მშვიდობიანად ვიცხოვრებ. მაგრამ, დალახვროს ეშმაკმა, სულ რაღაცაზე გული მწყდება, რაღაც მენანება, სულ რაღაც მინდა, ასე მგონია, დალესტნის ხეობაში ვწევარ და მეჯლისი მესიზმრება. ერთი სიტყვით, იმით, რაც აქვს, ადამიანი კმაყოფილი არასოდეს არის.

იარცევი სასტუმრო ოთახში, ვითომც არაფერი, რომანსის მღერით გავიდა, ლაპტევი კი იჯდა თავის კაბინეტში თვალებდახუჭული და იმაზე ფიქრობდა, რასუდინა რატომ დაუახლოვდა იარცევს. მტკიცე, მარადიული სიყვარული არ არსებობსო, — დაღონდა, გული სწყდებოდა, პოლინა ნიკოლაევნა იარცევს რომ მიჰყვებოდა... გული სწყდებოდა საკუთარ თავზეც, ვინაიდან მისი სიყვარული ისეთი აღარ იყო, ცოლი ისე აღარ უყვარდა, როგორც ადრე.

XV

ლაპტევი სავარძელში იჯდა, კითხულობდა და თან ოდნავ ირწეოდა. იულიაც იქვე კაბინეტში წიგნს ჩასჩერებოდა. თითქოს სალაპარაკო არაფერი აქვთო, დილიდან ასე გაჩუმებულები ისხდნენ. ლაპტევი იულიას დროდადრო წიგნს ზემოდან გადახედავდა და გაიფიქრებდა: განა სულერთი არ არის, ცოლს სიყვარულით ითხოვ თუ უსიყვარულოდ? ის დრო, როცა ეჭვიანობდა, ღელავდა და იტანჯებოდა, ახლა უკვე შორეულ წარსულად ეჩვენებოდა. უკვე საზღვარგარეთ წასვლაც მოასწრო და ჩამოსვლაც. გადაწყვეტილი ჰქონდა, გაზაფხულდებოდა თუ არა, ისევ ინგლისში წასულიყო, ვინაიდან თავს იქ შესანიშნავად გრძნობდა.

იულია სერგეევნა კი უკვე შეეჩვია თავის დარდსა და მწუხარებას, უკვე აღარ გარბოდა ფლიგელში სატირლად. ზამთარი ისე გავიდა, სახ-

ლიდან არ გასულა, აღარც მაღაზიებში დადიოდა, აღარც თეატრში და აღარც კონცერტებზე. დიდ ოთახებში ჯდომა არ უყვარდა, ან ქმრის კაბინეტში იყო, ან თავის ოთახში, სადაც კედლებზე ნამხატვი ხატები და ბუნების ის სურათი ეკიდა, გამოფენაზე რომ მოეწონა. საკუთარი თავისთვის ფულს თითქმის არ ხარჯავდა, საარსებოდ ისევ ისევ ცოტა ჰყოფნიდა, როგორც ოდესღაც მამისეულ სახლში.

ზამთარი უხალისოდ გადიოდა. მთელი მოსკოვი ბანქოს თამაშზე იყო გადასული. ამის მაგივრად სხვა რამით რომ გართობილიყვნენ, ვთქვათ, ემღერათ, წაეკითხათ ან დაეხატათ, კიდევ უფრო მოსაწყენად და მომაბეზრებლად ეჩვენებოდათ. ვინაიდან მოსკოვში ნიჭიერი ადამიანი არც ისე ბევრი იყო და ყველა საღამოზე ერთიდაიგივე მომღერლები, ერთიდაიგივე მხატვრული კითხვის ოსტატები გამოდიოდნენ, ასევე საღამოებზე სიარულიც ბევრს უკვე ყელში ჰქონდა ამოსული, მათთვის ეს მხოლოდ ერთფეროვან, მოსაწყენ მოვალეობად ქცეულიყო.

გარდა ამისა, დღე ისე არ ჩაივლიდა, ლაპტევებს რაიმე საწუხარი არ გამოსჩენოდათ. მოხუცი ფეოდორ სტეპანიჩი უკვე ძალზე ცუდად სედავდა, ამბარში აღარ დადიოდა და თვალის ექიმების ვარაუდით, მალე მთლიანად დაკარგავდა თვალისჩინს. ამბარში რატომღაც ფეოდორმაც შეწყვიტა სიარული, იჯდა სახლში და რაღაცას თავაუღებლად წერდა. პანაუროვი, როგორც იქნა, გადაიყვანეს რომელიღაც ქალაქში სტატსკი სოვეტნიკად, ახლა ივი სასტუმრო „დრეზდენში" ცხოვრობდა და თითქმის ყოველდღე მოდიოდა ლაპტევთან ფულის სათხოვნელად. ბოლოს, როგორც იქნა, კიშმაც დაამთავრა უნივერსიტეტი. იმის მოლოდინში, ლაპტევები სამუშაოს როდის უშოვნიდნენ, მთელი დღეები მათთან იჯდა და გრძელ, გულის გამაწვრილებელ ამბებს ჰყვებოდა. ყოველივე ეს მოსაწყენი და დამქანცველი იყო, ყოველდღიურ ყოფას უშინაარსოს და მოსაბეზრებელს ხდიდა.

კაბინეტში პეტრე შემოვიდა, ლაპტევს სავიზიტო ბარათი გაუწოდა და, ვიღაც უცნობი ქალბატონი მოვიდაო, მოახსენა. „ეროზეფინა იოსიფოვნა მილანი", — ეწერა სავიზიტო ბარათზე.

იულია სერგეევნა უხალისოდ წამოდგა და ფეხდაბუჟებული ოდნავი კოჭლობით ოთახიდან გავიდა. კარებში გამხდარი, ძალზე ფერმკრთალი, შავთვალწარბა, შავებში ჩაცმული ქალი გამოჩნდა. ქალმა ხელები მკერდზე მაგრად მიიკრა და მუდარით ჩაილაპარაკა:

— მუსიე ლაპტევ, გადაარჩინეთ ჩემი შვილები!

სამაჯურების წკრიალი და ბლომად პუდრშეფრქვეული სახე ლაპტევს მაშინვე ეცნო — ეს ის ქალი გახლდათ, რომელსაც ერთხელ, ქორწილამდე ცოტა ხნით ადრე ოჯახში სადილად უდროო დროს ეწვია. ეს პანაუროვის მეორე ცოლი იყო.

— გადაარჩინეთ ჩემი შვილები! — გაიმეორა ქალმა, თვალები ჩაუწითლდა, სახე აუკანკალდა და ერთბაშად თითქოს დაბერდა, საცოდავი შესასედავი გახდა. — მხოლოდ თქვენ ერთს შეგიძლიათ ჩვენი გადარჩენა, თქვენთან მოსკოვში ჩემი უკანასკნელი კაპიკებით ჩამოვედი! შიმშილით დამეხოცებიან შვილები! — თქვა ქალმა და ისეთი მოძ-

რაობა გააკეთა, თითქოს მუხლი უნდა მოიყაროსო, რამაც ლაპტევი საშინლად შეაშინა და ქალს ხელი იდაყვს ზემოთ სტაცა.

— დაბრძანდით, დაბრძანდით... — ჩურჩულებდა და თან ქალს სკამზე სვამდა, — ძალიან გთხოვთ, დაბრძანდით...

— ჩვენ ახლა პურის ფულიც კი არ გვაქვს, — ბოლოს პანაეროვამ, — გრიგორი ნიკოლაიჩი ახალ თანამდებობაზე გადმიყვანეს, ჩემი და ბავშვების წაყვანა კი არ უნდა. იმ ფულს, რომელსაც თქვენ, დიდსულოვანო ადამიანო, გვიგზავნით, მხოლოდ საკუთარ თავზე ხარჯავს. არ ვიცი, რა ვქნა, როგორ მოვიქცე, რა ვუყო ამ ჩემს საბრალო, უბედურ შვილებს!

— დამშვიდდით, გთხოვთ... კანტორაში ვუბრძანებ, ის ფული პირადად თქვენს სახელზე გადმოგზავნონ.

პანაეროვა აქვითინდა და როცა დამშვიდდა, ლაპტევმა შეამჩნია, შეპუდრული ღაწვები ქალს ცრემლისაგან როგორ დაღაროდა.

— მუსიე ლაპტევ, საოცრად დიდსულოვანი ადამიანი ბრძანდებით, მაგრამ იყავით ჩვენი მფარველი ანგელოზი, დაარწმუნეთ გრიგორი ნიკოლაიჩი, რომ არ მიმატოვოს, თავისთან ერთად წამიყვანოს, მე ხომ ის სიგიჟემდე მიყვარს!.. ის ხომ ჩემი ერთადერთი სიხარული და ერთადერთი ნუგეშია!

ლაპტევმა ქალს ასი მანეთი მისცა, შეჰპირდა, პანაეროვს დაველაპარაკებიო, და ვიდრე წინკარამდე მიაცილებდა, შიშისაგან გული უკანკალებდა, ვაითუ უცებ აქვითინდეს ან მუხლებზე დაემხოსო.

ჯერ კიში მოვიდა, მერე კოსტია თავისი ფოტოაპარატით. იგი ამ ბოლო დროს ფოტოგრაფიით იყო გატაცებული და სურათს დღეში ყველას რამდენიმეჯერ ულებდა, თუმცა ამ ახალ საქმიანობას მისთვის უსიამოვნების მეტი არაფერი მოჰქონდა, და კარგა გვარიანადაც გახდა.

ვახშმის წინ ფეოდორიც მოვიდა. მიჯდა კაბინეტის კუთხეში, წიგნი გადაშალა და რომელიღაც გვერდს ჩააცქერდა, თუმცა აშკარა იყო, რომ არ კითხულობდა. მერე სახეაწითლებულმა ჩაის სმა დაიწყო. ლაპტევი კი იჯდა მის გვერდით, გულში როგორიღაც სიმძიმეს გრძნობდა, ძმის სიჩუმეც კი უსიამოვნებას ჰგვრიდა.

— შეგიძლია რუსეთს ახალი პუბლიცისტი მიულოცო, — თქვა ფეოდორმა, — ისე, ხუმრობა იქით იყოს და, როგორც იქნა, დავამთავრე, ძმაო, სტატია, ასე ვთქვათ, კალამი გამოვცადე, და, შესამოწმებლად მოგიტანე. წაიკითხე, ძვირფასო, შენი აზრი მითხარი, ოღონდ გულწრფელად.

ფეოდორმა ჯიბიდან რვეული ამოიღო და ძმას გაუწოდა. სტატიას „რუსული სული“ ერქვა. დაწერილი იყო მოსაწყენად, ისე, როგორც უნიჭო, თავის თავზე ჩუმად შეყვარებული ადამიანები წერენ. სტატიის ძირითადი აზრი კი ასეთი იყო: ინტელიგენტს უფლება აქვს, არ სწამდეს ზებუნებრივი, მაგრამ ვალდებულია დამალოს თავისი ეს ურწმუნოება, რათა არ წარმოშვას ცდუნება, არ შეარყიოს რწმენა ადამიანებში. რწმენის გარეშე არ არსებობს იდეალიზმი, იდეალიზმის ხვედრი კი ევროპის გადარჩენა და კაცობრიობისათვის ნამდვილი გზის ჩვენებაა.

— მაგრამ, რატომ არ წერ, რისგან არის გადასარჩენი ევროპა?

— ეგ ისედაც გასაგებია.

— არაფერიც არ არის გასაგები, — თქვა ლაპტევმა და აღელვებულმა განაგრძო, — არ მესმის, რისთვის წერ, თუმცა შენი საქმისა შენ იცი.

— მინდა ცალკე ბროშურად გამოვცე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორც გენებოს.

ერთხანს გაჩუმებულები ისხდნენ, მერე ფეოდორმა ამოიოხრა და ძმას მიუბრუნდა:

— ძალიან, ძალიან მწყინს, მე და შენ სხვადასხვანაირად რომ ვაზროვნებთ. ეჰ, ალიოშა, ალიოშა, ჩემო საყვარელო ძმაო! ჩვენ ხომ რუსები ვართ, მართლმადიდებლები, დიდბუნებოვანი ხალხი. შეგვეფერება კი ყველა ეს გერმანული და ურიული იდეები? ჩვენ ხომ ვიგინდარები კი არა, ვაჭართა სახელოვანი გვარის წარმომადგენლები ვართ.

— რომელი სახელოვანი გვარის? — ჩაილაპარაკა გაღიზიანებულმა ლაპტევმა, — სახელოვანი გვარიო! პაპაჩვენს მემამულეები როზგავდნენ, ყოველი ქეციანი ჩინოვნიკი სიფათს ულილავებდა. მამაჩვენს პაპაჩვენი ურტყამდა, მე და შენ მამაჩვენი გვცემდა. ან შენ რა მოგცა მაგ შენმა სახელოვანმა გვარმა და ან მე? როგორი ნერვები და როგორი სისხლი მივიღეთ მემკვიდრეობით? თითქმის სამი წელიწადია მედავითნესავით მსჯელობ, ათასგვარ სისულელეს ამბობ, მერე აი დაწერე კიდევაც, მაგრამ ეს ხომ მხოლოდ მონის ბოდვაა! აბა ახლა მე შემომხედე! არც მოქნილობა, არც გამბედაობა, არც ნებისყოფის სიმტკიცე... თითქოს მეცემიან და გამამათრახებენო, ყოველი მატლის, ყოველი იდიოტის, ზნეობრივად და გონებრივად ჩემზე გაცილებით დაბლა მდგომი ყოველი პირუტყვის წინაშე ვკრთი, თითოეული ჩემი ნაბიჯის მეშინია, მეშინია მეეზოვეების, შვეიცრების, ქალაქის პოლიციელების — ყველასი, ყველასი მეშინია, იმიტომ, რომ დღეგამწარებული დედისაგანა ვარ შობილი, ბავშვობიდან ყველასგან მიტოვებული და შეშინებული! მე და შენ, კარგი იქნება, შვილებს თუ არ ვიყოლიებთ, ეჰ, ნეტავი ღმერთი ინებებდეს და ჩვენი სახელოვანი ვაჭრული გვარი ჩვენით დამთავრდებოდეს.

კაბინეტში იულია სერგეევნა შემოვიდა და მაგიდასთან დაჯდა.

— თქვენ აქ რაზე კამათობდით? ხელი ხომ არ შეგიშალეთ?

— არა, დაიკო, — უპასუხა ფეოდორმა, — პრინციპული საუბარი გვქონდა. აი შენ ამბობ, ასეთი და ასეთი გვარი გვაქვსო, — მიუბრუნდა ახლა ძმას ფეოდორი, — მაგრამ ამ გვარმა ხომ მილიონიანი საქმე შექმნა. განა ეს არაფერი არ არის?

— დიდი ამბავი! მილიონიანი საქმეო! არც ისე დიდი ჭკუისა და უნარის პატრონი შემთხვევით მეწვრილმანე ხდება, მერე მდიდრდება, ისე ვაჭრობს, არც სისტემა გააჩნია, არც მიზანი, ფულსაც კი დიდად არაფრად დაგიდევს, თუმცა დღე და ღამეს ვაჭრობაში ასწორებს, ისე, მექანიკურად ვაჭრობს, ფულთან თვითონ კი არ მიდის, ფული მიდის მასთან, მთელი სიცოცხლე ამ საქმეშია, სიყვარულით კი მხოლოდ იმიტომ უყვარს, რომ ეს ნოქრებზე უფროსობისა და მუშტრის აბუჩად აგდების საშუალებას აძლევს. ეკლესიაშიც მამასახლისად

მხოლოდ იმიტომ არის, შეუძლია იქ მგალობლებს უუფროსოს, წელში რკალივით მოკაკვოს. სკოლის მზრუნველად ყოფნაც იმიტომ უნდა, მასწავლებელი ჩემზეა დამოკიდებულიო, მოსწონს ამის გაცნობიერება, რაც მთავარია, შეუძლია მის წინაშე უფროსის როლი გაითამაშოს. ვაჭარს ვაჭრობა კი არა, უფროსობა მოსწონს. ის თქვენი [illegible] ვაჭრობ დაწესებულება კი არა, ჯურღმულია! დიახ, დიახ, ისეთ [illegible], როგორიც თქვენია, ბეჩავი, უსახური ნოქრები სჭირდება და თქვენც სიამოვნებით ქმნით ასეთებს, როცა აიძულებთ თქვენს წინაშე ლუკმა პურისათვის ბავშვობიდან თავი წელში მოკაკულებმა დაგიკრან. ჩვენ თქვენი კეთილისმყოფელები ვართო, — ამ აზრს ბავშვობიდან აჩვევთ. აი უნივერსიტეტდამთავრებულს კი, დარწმუნებული ვარ, სამუშაოდ არასოდეს მიიღებთ.

— უნივერსიტეტელები ჩვენს საქმეში არ გამოგვადგებიან.

— არ არის მართალი! — იყვირა ლაპტევმა, — ტყუილია!

— უკაცრავად, მაგრამ მეჩვენება, რომ იმ ჭაში აფურთხებ, საიდანაც წყალს სვამ, — თქვა ფეოდორმა და წამოდგა, — ჩვენი საქმე გძულს, მისი შემოსავლებით კი სარგებლობ.

— აჰა, როგორც იქნა, თქვი, რასაც ფიქრობდი! — ლაპტევმა ძმას გაბრაზებულმა შეხედა და გაიცინა. — დიახ, თქვენს სახელოვან გვარს რომ არ ვეკუთვნოდე, იოტისოდენა ნებისყოფა და გამბედაობა რომ გამაჩნდეს, დიდიხანია უარს ვიტყოდი მაგ თქვენს შემოსავლებზე, ავიკრავდი გუდა-ნაბადს და ლუკმაპურის საშოვნელად გავწევდი. მაგრამ იმ თქვენს ამბარში ბავშვობიდან არარაობად მაქციეთ! თქვენი ვარ!

ფეოდორმა საათს შეხედა, სასწრაფოდ წამოდგა, იულიას ხელზე აკოცა და გავიდა, მაგრამ, ნაცვლად წინკარისა, ჯერ სასტუმრო ოთახში შევიდა, მერე საძინებელში.

— ოთახების განლაგება დამავიწყდა, — თქვა ძალზე დაბნეულმა,— უცნაური სახლია. ხომ ასეა, ხომ მართლაც უცნაური სახლია?

ქურქს რომ იცვამდა, გაოგნებულივით იყო, სახეზე აუტანელი ტკივილი ეწერა. ლაპტევი უკვე აღარ გრძნობდა სიბრაზეს. იგი შეშინებული შეჰყურებდა ფეოდორს და ახლა უკვე საშინლად ეცოდებოდა. მის გულში უცებ ძმისადმი იმ თბილმა, მშვენიერმა გრძნობამ გაიღვიძა, რომელიც, ასე ეგონა, ამ სამ წელიწადში სამუდამოდ ჩაკვდა, და ამ სიყვარულის გამოხატვის სურვილმა შეიპყრო.

— იცი რა, ფედია, ხვალ სადილად ჩვენთან მოდი, — უთხრა ძმას და მხარზე ხელი მოუთათუნა, — ხომ მოხვალ?

— დიახ, დიახ... მაგრამ ჯერ წყალი დამალევინეთ.

ლაპტევი თვითონ გაიქცა სასადილოში, პირველი, რაც ბუფეტში ხელთ მოხვდა, ლუდის მაღალი კათხა იყო, გამოიღო, წყლით აავსო და ძმას რომ მიუტანა, ფეოდორი წყალს ხარბად დაეწაფა, მერე უცებ კათხას კბილებით ჩაეჭიდა, გაისმა ღრჭიალი, რასაც ქვითინი მოჰყვა. წყალი ქურქსა და სერთუკზე ესხმოდა. ლაპტევი კი, რომელიც თავს დამნაშავედ გრძნობდა და რომელსაც მტირალი მამაკაცი არასოდეს ენახა, შეცბუნებული იდგა, ძმას დაბნეული შეჰყურებდა. მერე კი, როცა

იულიამ და მოახლემ ფეოდორს ქურქი გახადეს და ოთახში შეიყვანეს, თვითონაც უკან გაწბილებული გაჰყვა.

იულიამ ფეოდორი დააწვინა და მის წინ მუხლებზე დაეშვა.

— არაფერია, — ამშვიდებდა ფეოდორს, — უბრალოდ ნერვებმა გიმტყუნათ.

— ძვირფასო, ისე მიმძიმს! — ამბობდა ფეოდორი, — ისეთი უბედური ადამიანი ვარ, ისეთი უბედური ვარ... მაგრამ სულ ვმალავდი, ვმალავდი...

მერე ქალს კისერზე მოეხვია და ყურში წასჩურჩულა:

— ყოველლამ ჩემს დას — ნინას ვხედავ. მოდის და ჩემი საწოლის გვერდით სავარძელში ჯდება.

ერთი საათის შემდეგ წინკარში ქურქს რომ იცვამდა, ფეოდორი უკვე იღიმებოდა და მოახლეს დარცხვენილი შეჰყურებდა. ლაპტევი გასაცილებლად პიატნიცკიმდე გაჰყვა.

— ხვალ ჩვენთან უსათუოდ მოდი სადილად, — უმეორებდა ძმას და მთელი გზა ხელგაყრილი მიაცილებდა, — აღდგომას კი ერთად წავიდეთ საზღვარგარეთ, ცოტა უნდა გაერთო, გული გადააყოლო.

— ჰო, ჰო, წამოვალ, აუცილებლად წამოვალ... დაიკოც ჩვენთან ერთად წავიყვანოთ.

ლაპტევი შინ რომ დაბრუნდა, ცოლი საშინლად განერვიულებული დახვდა. ფეოდორის ამბით ისე იყო შეძრწუნებული, ვერა და ვერ მშვიდდებოდა. მართალია, არ ტიროდა, მაგრამ სახეზე მკვდრის ფერი ედო. ლოგინშიც მოუსვენრად წრიალებდა, გაყინული თითებით ხან საბანს ჩააფრინდებოდა, ხან ბალიშს, ხან ქმარს ჩაავლებდა ხელში ხელს. შიშისგან თვალები გაფართოვებოდა.

— არ წახვიდე, არ დამტოვო, — ქმარს ეხვეწებოდა, — მითხარი, ალიოშა, რატომ დავანებე ლოცვას თავი? სად არის ჩემი რწმენა? ღმერთო, რატომ ლაპარაკობდით ჩემი თანდასწრებით რელიგიის შესახებ? რატომ ამირიეთ გონება შენცა და შენმა მეგობრებმაც? რატომ აღარ ვლოცულობ?

ლაპტევი ცოლს შუბლზე კომპრესს ადებდა, ხელებს უთბობდა, ჩაის ასმევდა და ქალიც ქმარს შეშინებული ეკვროდა...

დაღლილ-დაქანცულს მხოლოდ გამთენიისას ჩაეძინა. ლაპტევმაც მთელი ის ღამე თეთრად გაათენა, სულ გვერდით ეჯდა და ხელში მისი ხელი ეჭირა. მაგრამ მეორე დღეს გამოშტერებულივით დადიოდა, არაფერზე ფიქრის თავი არ ჰქონდა. ოთახიდან ოთახში ლანდივით დაბოდიალობდა.

XVI

როგორც ექიმებმა განაცხადეს, ფეოდორი სულიერად იყო დაავადებული. ლაპტევს წარმოდგენა არ ჰქონდა, პიატნიცკიზე რა ხდებოდა, ჩაჟამებული ამბარი კი, სადაც აღარც მოხუცი ადგამდა ფეხს და აღარც ფეოდორი, მასზე აკლდამის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ცოლის სიტყვებზე — ამბარში და პიატნიცკიზე ყოველდღე აუცილებლად უნდა წა-

ხვიდეო, ან დუმდა, ან გაღიზიანებული თავის ბავშვობასა და იმაზე იწყებდა ლაპარაკს, ძალა არ შემწევს მამას ჩემი წარსული ვაპატიო, ვერც ამბარს ვიტან და ვერც პიატნიცკის ქუჩასო.

და აი ერთ კვირა დილას იულია თვითონ წავიდა პიატნიცკის ქუჩაზე. მოხუცი ფეოდორ სტეპანიჩი სწორედ იმ დარბაზში დახვდა, სადაც ოჯახში მისი შესვლის აღსანიშნავად პარაკლისი გადიხდესა. მოხუცს ისევ ის პარუსინის პიჯაკი ეცვა. იჯდა სავარძელში უჰალსტუხოდ და უსინათლო თვალებს ახამხამებდა.

— მე ვარ, თქვენი რძალი ვარ, — უთხრა იულიამ და მიუახლოვდა, — თქვენ სანახავად მოვედი.

მოხუცი ისე აღელდა, აღელვებისაგან ძლივს სუნთქავდა. მისი უბედურებით, მისი მარტოობით გულაჩვილებულმა იულიამ ხელზე აკოცა, მან კი სახე და თავი ხელით მოუსინჯა და როცა თითქოს დარწმუნდა, ნამდვილად ის არისო, პირჯვარი გადასწერა.

— გმადლობ... დიდი მადლობა... — თქვა მოხუცმა, — მე კი აი თვალისჩინი დავკარგე, ველარაფერს ვხედავ... ფანჯარას ოდნავ ვარჩევ, ცეცხლსაც, ადამიანებს და საგნებს კი ვერა ვხედავ. ჰო, ვბრმავდები. ფეოდორიც ავად გახდა. პატრონის თვალისა და ზედამხედველობის გარეშე საქმეს კარგი დღე არ დაადგება, რამე რომ გაფუჭდეს, პასუხს ვერავის მოსთხოვ. ხალხი ხელიდან მიდის, ირყვნება. ამ ფეოდორს მაინც რაღა დაემართა, ავად რამ გახადა? გაცივდა თუ რა? აი მე ავად არასოდეს გავმხდარვარ, ექიმებთან არასოდეს მივლია.

მოხუცი ჩვეულებისამებრ კვეხნას მოჰყვა. ამ დროს დარბაზში მოსამსახურე სუფრას აუჩქარებლად შლიდა, ნაირნაირი საუზმეული და ღვინოები შემოჰქონდა. იმ ათამდე ბოთლს შორის, რომელიც მან მაგიდაზე ჩაამწკრივა, ერთს ზუსტად ეიფელის კოშკის ფორმა ჰქონდა. მერე ცხელ-ცხელი ღვეზელით სავსე ლანგარიც შემოიტანეს, ღვეზელს თევზისა და ბრინჯის სურნელი სდიოდა.

— ძვირფას სტუმარს ვთხოვ, ცოტა წაიხემსოს, — თქვა მოხუცმა.

იულიამ ბერიკაცი მაგიდასთან ხელგაყრილი მიიყვანა და არაყი დაუსხა.

— თქვენთან ხვალაც მოვალ, თქვენს საყვარელ შვილიშვილებს — საშასა და ლიდასაც მოვიყვანთ, მათ ხომ თქვენზე გული შესტკივათ და უყვარხართ, — უთხრა იულიამ.

— არა, არ მოიყვანოთ, საჭირო არ არის, ისინი ჩემი კანონიერი შვილიშვილები არ არიან.

— კანონიერია? რატომ? განა მათ მშობლებს ჯვარი არა აქვთ დაწერილი?

— ჯვარი ჩემი ნებართვის გარეშე დაიწერეს, მე ისინი არ დამილოცავს. მე მათ არ ვცნობ. ღმერთმა ხელი მოუმართოთ.

— რა უცნაურად ლაპარაკობთ, ფეოდორ სტეპანიჩ, — თქვა იულიამ და ამოიოხრა.

— ბიბლიაში წერია, შვილებმა მშობლებს პატივი უნდა სცენ, უნდა ემინოდეთო.

— სულაც არა. ბიბლიაში წერია, რომ მტერსაც კი უნდა მივუტევოთ.

— ჩვენს საქმეში მიტევება არ იქნება. ყველას რომ მივუტევოთ, სამ წელიწადში გაკოტრებულები ვიქნებით.

— მაგრამ მიუტევო, თბილი, ალერსიანი სიტყვა უთხრა ადამიანს, თუნდაც დამნაშავეს, საქმეზეც მეტია, სიმდიდრეზეც.

იულიას უნდოდა, გული მოელბო მოხუცისთვის, სიბრალულის გრძნობა შთაენერგა, სინანული გაეღვიძებინა, მაგრამ ყოველ მის ნათქვამს ბერიკაცი ისე შეწყნარებით უსმენდა, როგორც დიდები ბავშვის ტიტინს.

— ფეოდორ სტეპანიჩ, — უთხრა იულიამ მტკიცედ, — თქვენ უკვე დაბერდით, მალე ღმერთი თავისთან მიგიხმობთ და იმას კი არ გკითხავთ, როგორ ვაჭრობდით, კარგად მიგდიოდათ საქმე თუ ცუდად, არამედ იმას, რაოდენ მოწყალე იყავით ადამიანებისადმი, ხომ არ იჩენდით სიმკაცრეს სუსტის, მაგალითად, მოსამსახურეების ან ნოქრების მიმართ?

— ჩემი მოსამსახურეების მიმართ მუდამ ისეთი კეთილი და მოწყალე ვიყავი, დღედაღამ ჩემზე უნდა ლოცულობდნენ, — თქვა მოხუცმა ჯიუტად, მაგრამ იულიას გულწრფელი სიტყვებით გულაჩუყებულს უნდოდა რითიმე ესიამოვნებინა რძლისათვის და—კარგი, მოიყვანეთ ხვალ ჩემი შვილიშვილები, ვუბრძანებ, საჩუქრები უყიდონო, — უთხრა.

მოხუცი მოუვლელი ჩანდა, მკერდიც და მუხლებიც სიგარის ფერფლით ჰქონდა დასვრილი. ეტყობა, არც ჩექმებს უსუფთავებდნენ, არც ტანსაცმელს. ღვეზელში ბრინჯი მოუხარშავი იყო, სუფრას საპნის სუნი უდიოდა, მოსამსახურეები დაუდევრად, ბრაგაბრუგით დადიოდნენ. მოხუცსაც და მთელ სახლსაც პატრონის ხელი აკლდა და იულიას, რომელიც ამას მშვენივრად ხედავდა, შერცხვა... შერცხვა როგორც თავისი თავის, ისე ქმრის გამოც.

— ხვალ აუცილებლად მოვალ, — თქვა იულიამ.

მერე ოთახები შემოიარა, უბრძანა, მოხუცის საძინებელი დაელაგებინათ და კანდელი აენთოთ. ფეოდორი თავის ოთახში იჯდა, წინ გადაშლილი წიგნი დაედო და უაზროდ ჩასცქეროდა. იულია ფეოდორს გამოელაპარაკა, მოსამსახურეებს მისი ოთახის დალაგებაც უბრძანა და ქვევით ნოქრებთან ჩავიდა. იმ ოთახში, სადაც ნოქრები სადილობდნენ, არ ჩამოიქცესო, ჭერს ხის შეუღებავი ბოძი ჰქონდა შეყენებული. დაბალჭერიან ოთახებში კედლებზე იაფფასიანი შპალერი იყო გაკრული. ყველგან მხუთრისა და სამზარეულოს სუნი იდგა. უქმე დღე იყო, ამიტომაც ნოქრები ყველანი სახლში იყვნენ, თავიანთ ოთახებში საწოლებზე ისხდნენ და სადილს ელოდებოდნენ. იულია რომ შევიდა, ყველანი ადგილიდან წამოხტნენ, კითხვებზე პასუხს მოკრძალებით აძლევდნენ, პატიმრებივით შუბლქვემოდან შეჰყურებდნენ.

— ღმერთო ჩემო, ეს რა საშინელი ოთახები გქონიათ! — ამბობდა იულია და ხელებს ასავსავებდა, — კი მაგრამ, ვიწროდ არ ხართ?

— მოსიყვარულე ცოლ-ქმარი ცულის ტარზეც დაეტევაო, — თქვა

მაკეიჩევმა, — თქვენი დიდად კმაყოფილი გახლავართ, ღმერთს მადლობას ვწირავთ.

— პიროვნების ამბიციის კვალობაზე ცხოვრების შესაბამისად... — დასძინა პოჩატკინმა.

მაგრამ მაკეიჩევი მიხვდა, რომ იულიამ პოჩატკინს ყურადღება გაუგო და სასწრაფოდ აუხსნა:

— ამბობს, რომ ჩვენ პატარა ხალხი ვართ, ჩვენი წოდების შესაბამისად უნდა ვიცხოვროთ.

იულიამ ახლა ხელზე მოსამსახურე ბიჭების საცხოვრებელი და სამზარეულო დაათვალიერა, გაეცნო ეკონომ ქალს და მისით ძალზე უკმაყოფილო დარჩა.

შინ დაბრუნებულმა კი ქმარს უთხრა:

— რაც შეიძლება მალე უნდა გადავიდეთ პიატნიცკის ქუჩაზე, იქ უნდა ვიცხოვროთ. ამბარშიაც ყოველდღე ივლი.

მერე ორივენი კარგა ხანს გაჩუმებულები ისხდნენ კაბინეტში. ლაპტევს გული დამძიმებული ჰქონდა, მას არც პიატნიცკის ქუჩაზე გადასვლა ეპიტნავებოდა, არც ამბარში სიარული. მაგრამ ხვდებოდა, ცოლი რაზედაც ფიქრობდა და წინააღმდეგობას ვერ ბედავდა. ბოლოს ლოყაზე ხელი მოუთათუნა და უთხრა:

— ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს უკვე დამთავრდა ჩვენი ცხოვრება და ახლა რაღაც უფერული, უბადრუკი ყოფა იწყება. პირველად რომ გავიგე, ჩემი ძმა ფეოდორი უიმედოდ იყო ავად, ვიტირე. მე და იმან ბავშვობაცა და სიჭაბუკეც ერთად გავატარეთ, მაშინ მე იგი მთელი სულითა და გულით მიყვარდა, მაგრამ აი უბედურება გვეწვია და ახლა ისეთი გრძნობა მაქვს, მისი დაკარგვით თითქოს საბოლოოდ ვწყვეტ კავშირს ჩემს წარსულთან. რომ მითხარი, პიატნიცკის ქუჩაზე, იმ საპყრობილეში უნდა გადავიდეთო, მომეჩვენა, მხოლოდ წარსული კი არა, აღარც მომავალი მაქვს-მეთქი.

ლაპტევი წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა.

— ასეა თუ ისე, ბედნიერებაზე ფიქრთან გამომშვიდობება მოგვიწევს, — ამბობდა იგი და ქუჩას გასცქეროდა, — მორჩა, აღარ არის. თუმცა ჩემთვის არც არასოდეს ყოფილა. როგორც ჩანს, ბედნიერება საერთოდაც არ არსებობს. ისე, ცხოვრებაში ერთხელ მაინც ვიყავი ბედნიერი. ეს მაშინ, ღამით შენი ქოლგის ქვეშ რომ ვიჯექი. — ლაპტევი ცოლისკენ შებრუნდა და ჰკითხა: — გახსოვს, ჩემს დასთან — ნინასთან ქოლგა რომ დაგრჩა? ო, როგორი შეყვარებული ვიყავი მაშინ შენზე! მახსოვს, მთელი ღამე იმ ქოლგის ქვეშ ვიჯექი და ვნეტარებდი.

წიგნის კარადის გვერდით, კაბინეტში, ბრინჯაოთი გაწყობილი წითელი ხის კომოდი იდგა, რომელშიც ლაპტევი ძველ, გამოუსადეგარ ნივთებს ინახავდა, მათ შორის იმ ძველ ქოლგასაც. ლაპტევმა კომოდიდან ქოლგა ამოიღო და ცოლს გაუწოდა.

— აი ისიც!

იულიამ წუთით შეხედა, თავისი ძველი ქოლგა იცნო და სევდიანად გაიღიმა.

— მახსოვს, — თქვა მან, — სიყვარულს რომ მიხსნიდი, ეგ ქოლგა გეჭირა. — სოლო როცა დაინახა, ქმარი წასვლას აპირებსო, შეეხვეწა: — გეთაყვა, ცოტა ადრე მოდი, უშენოდ მოწყენილი ვარ.

ამ სიტყვებით იგი თავის ოთახში შევიდა. იჯდა და ქოლგას დიდხანს, დიდხანს დაჰყურებდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

XVII

ამბარში, მიუხედავად საქონლის უზარმაზარი ბრუნვისა, მიუხედავად საქმის სიძნელისა, ბუღალტერი არ ჰყავდათ. იმ დავთრების მიხედვით, რომელსაც კანტორის მოსამსახურე აწარმოებდა, რაიმეს გაგება შეუძლებელი იყო. ნოქრები კი გერმანელ და ინგლისელ კომისიონერებთან, რომლებიც ამბარში ყოველდღე დაიარებოდნენ, პოლიტიკასა და რელიგიაზე საუბრობდნენ. უცხოური კორესპონდენციების სათარგმნად კანტორაში ერთი ავადმყოფი, გალოთებული აზნაური დადიოდა. ნოქრები მას პაწაწას ეძახდნენ და მარილიანი ჩაით უმასპინძლდებოდნენ. საერთოდ კი მთელი ეს ვაჭრობა ლაპტევს რაღაც ახირებად მიაჩნდა.

იგი ახლა ყოველ დღე დაიარებოდა ამბარში, ცდილობდა ახალი წესრიგი დაემყარებინა. ბიჭების გაროზგვა და მუშტრის მასხარად აგდება სასტიკად აკრძალა. ლამის ცოფდებოდა, როცა ნოქრები ანგლობითა და სიცილ-სიცილით ამა თუ იმ პროვინციაში ჩაწოლილ, უვარგის საქონელს ახლისა და ყველაზე მოდურის მარკით აგზავნიდნენ. ამბარში ის ახლა ყველაზე დიდი კაცი იყო, მაგრამ ისე, როგორც მანამდე, არც ახლა იცოდა, რა ქონების პატრონი იყო, კარგად მიდიოდა საქმე თუ ცუდად, რამდენი ჰქონდათ ხელფასი უფროს ნოქრებს და ა. შ. პოჩატკინი და მაკეიჩევი ახალგაზრდად და გამოუცდელად თვლიდნენ, მას თითქმის ყველაფერს უმალავდნენ, ბრმა ბერიკაცს კი ყოველ საღამოს რაღაცას საიდუმლოდ ეჩურჩულებოდნენ.

ერთხელაც, ივნისის დასაწყისში, ლაპტევი და პოჩატკინი ბუბნოვის სამიკიტნოში სასაუზმოდ წავიდნენ, თან ბარემ საქმეზეც ვისაუბრებთო. უკვე დიდი ხანი იყო, რაც პოჩატკინი ლაპტევებთან მუშაობდა, მათთან რომ მივიდა, სულ პატარა ბიჭი იყო. მას მერე აქ მას შინაურ კაცად თვლიდნენ, რომ იტყვიან, თვალდახუჭულიც კი ენდობოდნენ. საწყობიდან რომ გადიოდა, სალაროდან მთელი ამონაგები თან მიჰქონდა, ფულით ჯიბეებს იტენიდა. ამბარშიც ის იყო უფროსი და სახლშიც. ასე იყო ეკლესიაშიც, სადაც მამასახლისის მოვალეობას მოხუცის მაგივრად ასრულებდა. ხელქვეითების მიმართ მკაცრი დამოკიდებულების გამო ნოქრებმა და ბიჭებმა მეტსახელად მალიუტა სკურატოვი შეარქვეს.

სამიკიტნოში რომ მივიდნენ, პოჩატკინმა ხელზე მოსამსახურე ბიჭს თავი დაუქნია და უთხრა:

— ძმობილო, აბა ერთი ნახევარცხარე და ოცდათხი უგემური მოგვართვი.

ცოტა ხნის შემდეგ ბიჭმა სინით ნახევარი ლიტრი არაყი და რამოდენიმე თეფში ნაირნაირი საუზმე შემოიტანა.

— აი რა, ჩემო კარგო, — უთხრა ბიჭს პოჩატკინმა, — მოგვიტანე ცილისწამებისა და ავყიაობის მთავარი ოსტატის ერთი ულუფა ანტოფილის პიურეთი.

ხელზე მოსამსახურე ბიჭი დაიბნა, რადგან მის ნათქვამს თავი და ბოლო ვერ გაუგო, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ პოჩატკინმა მკაცრად შეხედა და დაუცაცხანა:

— გარდა ამისა!

ბიჭი გაოგნებული ფიქრობდა, ტვინს იჭყლეტდა, მერე ამხანაგებთანაც მივიდა, იქნება რამე გამაგებინოთო, მაგრამ ბოლოს ისევ თვითონ მიხვდა, რა იყო ავყიაობის ის მთავარი ოსტატი და ერთი ულუფა მოხარშული ენა მოუტანა. ორ-ორი ჭიქა რომ დალიეს, ცოტა რომ წაიხემსეს, ლაპტევმა ჰკითხა:

— მითხარით, ივან ვასილიჩ, მართლა უკან მიდის ჩვენი საქმე ამ ბოლო დროს?

— არამც და არამც.

— გულწრფელად მითხარით, გულახდილად, როგორი შემოსავალი გვაქვს, რამდენს ვღებულობთ და რა სიდიდისაა ჩვენი ქონება? ხომ არ შეიძლება სულ სიბნელეში ვიაროთ. მართალია, ამას წინათ საწყობის აღწერა გვქონდა, მაგრამ, ბოდიშს ვიხდი და, იმ აღწერისა მე არაფერი მწამს. თქვენ მე რაღაც-რაღაცებს მიმალავთ, ასე მიგაჩნიათ საჭიროდ. სიმართლეს მხოლოდ მამაჩემს ეუბნებით. ვიცი, ახალგაზრდობაშივე პოლიტიკას მიეჩვიეთ და ახლა უკვე აღარ შეგიძლიათ ამის გარეშე. მერედა ვისთვის ან რისთვის არის საჭირო? ჰოდა, გთხოვთ, გულახდილი იყავით და მითხარით, რა მდგომარეობაშია ჩვენი საქმე.

— ყველაფერი კრედიტის ღელვაზეა დამოკიდებული, — უპასუხა ცოტაოდენი დაფიქრების შემდეგ პოჩატკინმა.

— კრედიტის ღელვაო, რომ ამბობთ, რას გულისხმობთ?

პოჩატკინი შეეცადა აეხსნა, მაგრამ ლაპტევმა ვერაფერი გაიგო და მაკეიჩევის მოსაყვანად ვილაც გაგზავნა. მაკეიჩევი თვალის დახამხამებაში იქ გაჩნდა, პირჯვარი გადაიწერა, ცოტა რაღაც შეჭამა და თავისი სოლიდური მსუყე ბარიტონით პირველი რაც თქვა, ეს იყო: ნოქრები ვალდებულები არიან დღედაღამ თავის კეთილისმყოფელებზე ილოცონო.

— ძალიან კარგი, ოღონდ ნება მომეცით, ჩემი თავი თქვენს კეთილისმყოფელად არ ჩავთვალო, — უთხრა ლაპტევმა.

— თითოეულ ადამიანს უნდა ახსოვდეს, ვინ არის, რა წოდებისაა. ღმერთის წყალობით, თქვენ ჩვენი მამა და მწყალობელი, ჩვენ კი თქვენი მონები ვართ.

— კმარა, ყელში ამომივიდა! — გაბრაზდა ლაპტევი, — კი ბატონო, ახლა თქვენ იყავით ჩემი მწყალობელი და ამიხსენით, რა დღეშია ჩვენი საქმეები. თავს ნებას ნუ აძლევთ, ისევ პატარა ბიჭად ჩამთვალოთ, თორემ ამბარს ხვალევე დავკეტავ. მამა დაბრმავდა, ძმა საგიჟეთშია, ჩემი დისშვილები ჯერ პატარები არიან, მე კი ამ საქმეს ვერ ვიტან და სიამოვნებით მივატოვებდი, მაგრამ მე რომ შემცვალოს, არავი-

ნაა, თქვენ ეს კარგად მოგეხსენებათ. ღვთის გულისათვის, გაანებეთ თავი პოლიტიკას!

საანგარიშოდ საწყობში წავიდნენ, მერე საღამოს სახლშიც იანგარიშეს და, თქვენ წარმოიდგინეთ, თვითონ მოხუციც კი ეხმარებოდათ საქმის გარკვევაში. შვილს თავის კომერციულ საიდუმლოებებს რომ ანდობდა, ისეთი ტონით ელაპარაკებოდა, თითქოს [illegible] საქმეებს კი არ უზიარებს, ჯადოქრობსო. დიდი თვლისა და ანგარიშის შემდეგ აღმოჩნდა, რომ შემოსავალი ყოველწლიურად დაახლოებით ერთი მეათედით იზრდებოდა, და რომ ლაპტევების ქონება, მხოლოდ ფულსა და ფასიან ქაღალდებს თუ ჩავთვლით, ექვს მილიონამდე იყო.

როცა ღამის პირველ საათზე თვლითა და ანგარიშით დაღლილი ლაპტევი სუფთა ჰაერზე გავიდა, იგრძნო, რომ ციფრებით იყო მოხიბლული. მშვიდი, მთვარიანი, ჩახუთული ღამე იდგა. მდინარე მოსკოვის გაღმა სახლების თეთრი კედლები, ჩაგმანული მძიმე კარიბჭეები, იქ გამეფებული მდუმარება და შავად ჩაწოლილი ჩრდილები ციხესიმაგრის შთაბეჭდილებას ტოვებდა, მხოლოდ თოფიანი გუშაგებილა აკლდა. ლაპტევი ბაღში შევიდა და მესერთან სკამზე ჩამოჯდა. ბაღში შოთხვი ყვაოდა. ჩემი ბავშვობის შემდეგ ეს ხე იოტისოდენადაც არ შეცვლილა, ისევ ისეთი ჯუჯა, ისევ ისეთი ნუჟრიანი და დაბრეცილიაო, — გაიფიქრა. ბაღისა და ეზო-ყურის ყოველი კუთხე-კუნჭული თავის შორეულ ბავშვობას აგონებდა. ისე, როგორც ახლა, მაშინაც, მის ბავშვობაშიც, მეჩხერ ხეებს შორის მთვარის შუქში გახვეული ეზო მოჩანდა, მაშინაც ასეთი იდუმალებით მოცული და ასეთი პირქუში იყო ძირს გაწოლილი ჩრდილები, შუა ეზოში მაშინაც ასე იწვა შავი ძაღლი და ყურთამდე იყო გაფრიალებული ნოქრების ფანჯრები. მაგრამ ყველა ეს მოგონება არა სიხარულს, არამედ სევდას ჰგვრიდა.

მესერს იქით, მეზობელ ეზოში ვიღაცის მსუბუქი ნაბიჯის ხმა გაისმა.

— ჩემო ძვირფასო, ჩემო საყვარელო... — ზედ მესერთან მოისმა მამაკაცის ჩურჩული, ისე, რომ ლაპტევს მისი სუნთქვაც კი ესმოდა.

აი აკოცეს კიდეც ერთმანეთს. ლაპტევი დარწმუნებული იყო, ეს მილიონები და ეს საქმე, რაც მის გულს ახლოსაც არ ეკარებოდა, ცხოვრებას გაუფუჭებდა, სამუდამოდ მონად აქცევდა. წარმოიდგინა, თანდათან როგორ შეეგუებოდა თავის ამ მდგომარეობას, სავაჭრო ფირმის მეთაურის როლში როგორ შევიდოდა, როგორ გამოთაყვანდებოდა, დაბერდებოდა და ბოლოს ისიც ისე მოკვდებოდა, როგორც ყველა ობივატელი კვდება, საზიზღრად, უქმურად, ირგვლივ მყოფთათვის კაეშნის მომგვრელად. თუ ასეა, ხელს რა უშლის, მიატოვოს ეს მილიონები, ეს საქმე, გაეცალოს ამ ბაღსა და ამ ეზოს, რომელიც ჯერ კიდევ ბავშვობიდან სძულს?

მესერს იქით კოცნა და ჩურჩული გულს უფორიაქებდა. მერე შუა ეზოში გავიდა და ხალათის საყელო შეიხსნა. იდგა მკერდგაღეღილი, მთვარეს შეჰყურებდა, ასე ეგონა, ახლავე კუტიკარის გაღებას ვუბრძანებ, გავალ და აღარასოდეს დავბრუნდებიო. თავისუფლების წინასწარმა განცდამ გული ტკბილად შეუკუმშა, მხიარულად იცინოდა, წარ-

მოიდგენდა, რა დიდებული, რა პოეტური, ის კი არა, შეიძლება უმწიკ-ვლოც კი ყოფილიყო მისი ცხოვრება.

მაგრამ ისევ იმ ადგილას იდგა და, ნეტავი რა მაკავებსო, საკუთარ თავს ეკითხებოდა. თავიც ებრალებოდა, ებრალებოდ ეს შავი ძაღლიც, რომელიც, ნაცვლად იმისა, სადმე მინდორსა ან ტყეში [illegible] ესუ-ფლად ერბინა, ამ გაფხეკილ ქვაფენილზე იწვა და აქ [illegible] აზ-რადაც არ მოსდიოდა. თვითონაც და ამ ძაღლსაც ხელს მონური მორ-ჩილების ჩვევა უშლიდა...

მეორე დღეს, შუადღისას, ლაპტევი ბუტოვოს აგარაკზე გაემგზა-ვრა ცოლთან, რომელიც უკვე ხუთი დღეა არ ენახა, და ვაითუ მომეწყი-ნოსო, თან იარცევიც გაიყოლა. სადგურზე რომ ჩავიდნენ, ეტლში ჩა-სხდნენ. იარცევს მთელი გზა პირი არ გაუჩერებია, მღეროდა და ამ დი-დებული ამინდით აღტაცებული ბრძანდებოდა. აგარაკი დიდ ბაღში, სადგურთან ახლოს მდებარეობდა. ჭიშკრიდან ოციოდ ნაბიჯზე, იქ, სა-დაც მთავარი ხეივანი იწყებოდა, იულია სერგეევნა ბებერი ალვის ხის ძირას იჯდა და სტუმრებს ელოდა. ტანზე მსუბუქი, მაქმანით გაწყო-ბილი, ლამაზად მორგებული კრემისფერი კაბა ეცვა, ხელში ჩვენი ნაც-ნობი ქოლგა ეჭირა. იარცევი იულიას მიესალმა და აგარაკისკენ გას-წია, საიდანაც საშასა და ლიდას ყიჟინა ისმოდა, ლაპტევი კი საქმეებზე სასაუბროდ ცოლის გვერდით ჩამოჯდა.

— ამდენ ხანს რად დაიგვიანე, რატომ არ ჩამოხვედი? — ჰკითხა იულიამ ისე, რომ მისი ხელი ხელიდან არ გაუშვია, — მთელი დღეები ვზივარ აი ასე და — ხომ არ მოდის-მეთქი, გზას გავყურებ, უშენოდ მოწყენილი ვარ...

მერე წამოდგა, ქმარს თმაზე ხელი გადაუსვა. მის სახეს, მხრებს, შლაპას ცნობისმოყვარეობით შეჰყურებდა.

— იცი, მიყვარხარ, — თქვა ბოლოს და გაწითლდა, — ჩემთვის ძალიან ძვირფასი ხარ. აი ჩამოხვედი, გიყურებ და, ვერ წარმოიდგენ, როგორი ბედნიერი ვარ... მოდი, ახლა ვისაუბროთ... მომიყევი რამე.

ქალი სიყვარულს უხსნიდა, ლაპტევს კი ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ამ ქალზე მთელი ათი წელია უკვე დაქორწინებული იყო და ახლა გემრიელი საუზმისა და დასვენების მეტი არაფერი უნდოდა. იულია კისერზე მოეხვია, ლოყაზე მისი კაბის აბრეშუმი გაელამუნა, მაგრამ ლაპტევმა ქალის ხელი ფრთხილად მოიცილა, წამოდგა და სი-ტყვის უთქმელად აგარაკისაკენ გასწია. წინ სირბილით გოგონები შე-მოეგებნენ.

„როგორ დაიზარდნენ რამდენი რამ შეიცვალა ამ სამი წლის მან-ძილზე... მაგრამ ხომ შეიძლება ცამეტი, შეიძლება ოცდაათი წელიც ვიცოცხლოთ... მომავალში, ვინ იცის, კიდევ რამდენი რამ გველის. ვნა-ხოთ, აღდგომა და ხვალაო“, — გაიფიქრა ლაპტევმა.

გოგონები კისერზე ჩამოეკიდნენ, ლაპტევმა საშა და ლიდა გუ-ლში ჩაიკრა და თქვა:

— პაპამ მოგიკითხათ... ძია ფედია მალე მოკვდება... ძია კოსტია-საგან ამერიკიდან წერილი მივიღე, მოკითხვა შემოგითვალათ. იქ, გა-

მოფენაზე ძალიან მოიწყინა და მალე დაბრუნდება. აი ძია ალიოშას კი შია.

მერე იგი ტერასაზე იჯდა და უყურებდა, იულია სერგეევნა ხეივანში ნელა, ჩაფიქრებული როგორ მოაბიჯებდა აგარაკისაკენ. სევდიანი სახე და საოცრად მომხიბვლელი გამომეტყველება ჰქონდა, თვალებში ცრემლი უციმციმებდა. ახლა იგი ის ადრინდელი ნაზი, სიფრიფანა გოგო კი არა, სიმწიფეში შესული ლამაზი, ენერგიით სავსე ქალი იყო. და ლაპტევმა შენიშნა, როგორი აღტაცებული შეჰყურებდა იარცევი, როგორ აღიბეჭდებოდა მის ასევე სევდიანსა და აღტაცებულ სახეზე ქალის ახალი, უმშვენიერესი გამომეტყველება. იფიქრებდი, ამ ქალს ეს კაცი თავის სიცოცხლეში პირველად ხედავსო. ხოლო როცა ტერასაზე საუზმის დროს იარცევი როგორღაც მორცხვად, აღტაცებით იღიმებოდა და იულიას, მის ლამაზ ყელ-კისერს თვალს არ აცილებდა, ლაპტევი თავისდაუნებურად იარცევს თვალყურს ადევნებდა და იმაზე ფიქრობდა, ხომ შეიძლება ცამეტი, შეიძლება ოცდაათი წელიწადიც ვიცხოვროთ, მაგრამ კიდევ რის გადატანა მოგვიწევს ამ დროის მანძილზე, კიდევ რა გველოდება მომავალშიო.

და ფიქრობდა:

„ვნახოთ, აღდგომა და ხვალაო!..“

ა რ ი ა დ ნ ა

ოდესიდან სევასტოპოლში მიმავალი გემის გემბანზე ერთი საკმაოდ ლამაზი, მრგვლად წვერგაკრეჭილი ბატონი სიგარეტის მოსაკიდებლად მომიახლოვდა და მითხრა:

— აბა იმ კაპიტნის ჯიხურთან მსხდომ გერმანელებს შეხედეთ. გერმანელები და ინგლისელები ერთმანეთს რომ შეხვდებიან, ან მატყლის ფასზე საუბრობენ, ან მოსავალზე, ან, უბრალოდ, პირად საქმეებზე. ჩვენ, რუსები კი, რატომღაც მხოლოდ ქალებსა და მაღალ იდეალებზე ვლაპარაკობთ, უფრო მეტად კი ქალებზე.

იმ ბატონის სახე მაშინვე მეცნო — წინა დღეს საზღვარგარეთიდან ერთი მატარებლით ვიმგზავრეთ. მერე ველოჩინსკშიც დავინახე თანამგზავრ ქალთან ერთად. საბაჟოზე ქალი ვიღაცას გაკაპასებული ეჩხუბებოდა, ვიღაცას ჩივილით ემუქრებოდა, თვითონ ის კი კაბებით სავსე უამრავი ჩემოდნისა და კალათის გვერდით შეცბუნებული იდგა. მერე ოდესაშიც ვნახე, ქალთა განყოფილებაში პარკებით ხან ღვეზელი მიჰქონდა, ხან ფორთოხალი.

ნესტიანი ამინდი იდგა, ზღვა ოდნავ ღელავდა. მანდილოსნები მალე თავ-თავიანთ კაიუტებში წავიდ-წამოვიდნენ, მრგვლად წვერგაკ-

რეჭილი ბატონი კი ჩემს გვერდით ჩამოჯდა და განაგრძო:

— ასეა, რუსები რომ შევიყრებით, მხოლოდ მაღალ ძალერიებსა და ქალებზე ვიწყებთ ლაპარაკს. ჩვენ ისეთი ინტელიგენტები ვართ, ისეთი თავმომწონეები, მხოლოდ ჭეშმარიტებას ვღაღადებთ, მხოლოდ უმაღლესი მოვლენების ახსნა შეგვიძლია. რომც მოინდომო, რეს მსახიობს ვერ ააცერცეტებ, ვოდევილსაც კი ფილოსოფოსივით თამაშობს. ასეა მაშინაც, როცა იძულებული ვართ, სისულელეებზე ვილაპარაკოთ — სისულელეებსაც კი უმაღლესი თვალთახედვით ვხსნით და, იცით რატომ? იმიტომ, რომ გაბედულება, გულწრფელობა და უშუალობა გვაკლია. ქალებზეც ბევრს იმიტომ ვლაპარაკობთ, უკმარისობის გრძნობით ვართ შეპყრობილნი, ქალებს მეტისმეტად ვაიდიალებთ, ისეთ მოთხოვნებს ვუყენებთ, რაც არ შეესაბამება იმას, რის მოცემაც სინამდვილეში შეუძლიათ და, აქედან გამომდინარე, ცხადია, არც იმას ვღებულობთ, რაც გვსურს. შედეგი კი მუდამ ერთი და იგივეა — უკმარისობა, დამსსვრეული იმედები და სულიერი ტკივილები. რას იზამ, ვისაც რა სტკივა, იმაზე ლაპარაკობს! ხომ არ მოგეწყინათ, შეიძლება გავაგრძელო?

— რა თქმა უნდა.

— მაშინ ნება მომეცით, გაგეცნოთ, — მითხრა ჩემმა მოსაუბრემ და ოდნავ წამოიწია. — მე ივან ივანიჩ შოხინი გახლავართ, მოსკოველი აზნაური... თქვენ მე კარგად გიცნობთ.

მერე დაჯდა და საუბარი განაგრძო — გულღიად, ალერსით შემომყურებდა.

— ქალებზე ჩვენს ამ გამუდმებულ საუბრებს ვინმე საშუალო, მაქს ნორდაუს დონის ფილოსოფოსი, ეროტიული შეშლილობით, ჩვენი აზნაურობითა და, ვინ იცის, რით აღარ ახსნიდა. მე კი ამ საქმეს სხვაგვარად ვუყურებ. ვიმეორებ—ჩვენ დაუკმაყოფილებლობის გრძნობით ვართ შეპყრობილნი, იმიტომ რომ იდეალისტები ვართ. ჩვენ გვინდა, ის არსებანი, ვინც ჩვენ და ჩვენი შვილები შობა, ჩვენზე მაღლა, ამქვეყნად ყველაზე მაღლა იდგნენ. ვიდრე ახალგაზრდები ვართ, ვაღმერთებთ და ვაპოეტურებთ იმათ, ვინც გვიყვარს, სიყვარული და ბედნიერება ჩვენთვის სინონიმებია. ჩვენთან, რუსეთში, უსიყვარულო ქორწინება კი არა, ვნება მიგვაჩნია სასაცილოდ, სწორედ ვნება იწვევს ზიზღს ჩვენში. ყველაზე დიდი წარმატებით ის რომანები და მოთხრობები სარგებლობს, სადაც ქალები ლამაზები, პოეტურები და ამაღლებულები არიან. თუ რუსი კაცი ოდითგან რაფაელის მადონათია აღტაცებული, ან ქალთა ემანსიპაციითაა შეურვებული, გარწმუნებთ, აქ არავითარ მოჩვენებითობას ადგილი არა აქვს. მაგრამ, უბედურება ის არის, საკმარისია დავქორწინდეთ, დავუახლოვდეთ ქალს, რომ ორ-სამ წელიწადში თავს მოტყუებულად, იმედგაცრუებულად ვგრძნობთ. სხვა ქალს დავუახლოვდებით და ისევ იმედის გაცრუება, იხევ ტანჯვა. ბოლოსა და ბოლოს კი იმ აზრამდე მივდივართ, რომ ქალები მატყუარები, წვრილმანი ბუნებისანი, არარანი, უსამართლონი, გულქვანი, ერთი სიტყვით, არათუ ამაღლებულნი, არამედ ჩვენზე, მამაკაცებზე განუზომლად დაბლა მდგომნი არიან, ხოლო ჩვენ — დაუკმაყოფილებლებსა და იმედგაცრუებულებს ბუზღუნის გარდა — ეს რა დაუნდობლად, რა სასტიკად ვართ მოტყუებულნო, აღარაფერი დაგვრჩენია.

ვიდრე შოხინი ლაპარაკში იყო გართული, შევნიშნე, რუსული ენა და რუსული გარემო დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა. ალბათ საზღვარგარეთ ძალიან მოენატრა მშობლიური მიწა-წყალი-მეთქი, — გავიფიქრე. რუსებს რომ აქებდა და ადიდებდა, ცუდად არც უცხოელებს მოიხსენიებდა, ეს კი, მოგეხსენებათ, კარგად განგაწყობს ამ ადამიანის მიმართ. ისიც აშკარა იყო, თავს დამშვიდებულად ვერ გრძნობდა, ალბათ, უფრო საკუთარ თავზე სურდა საუბარი, ჩანს, რაღაც გრძელი აღსარების მოსმენა მომიწევდა.

ერთი ბოთლი ღვინო რომ მოვატანინეთ, თითო ჭიქა რომ დავლიეთ, შოხინმა ამბის მოყოლა დაიწყო:

— მახსოვს, ველტმანის ერთ-ერთ მოთხრობაში ვიღაც კითხულობს — ჰო, მაგრამ, მთელი ამბავი ესაა? მეორე კი პასუხობს — არა, ეს ამბავი კი არა, ამბის ინტროდუქციაა!.[1] ასეა ისიც, რაც აქამდე მოგახსენეთ, ის მხოლოდ შესავალი ანუ ინტროდუქცია იყო, მე კი, კაცმა რომ თქვას, ჩემი უკანასკნელი სიყვარულის ამბავი მინდა მოგიყვეთ. უკაცრავად, კიდევ ერთხელ გეკითხებით, თავი ხომ არ შეგაწყინეთ?

— არა-მეთქი, — ვუპასუხე და იმანაც განაგრძო:

— ეს ამბავი მოსკოვის გუბერნიაში, მის ერთ-ერთ მაზრაში მოხდა. უნდა მოგახსენოთ, იქაური ბუნება ნამდვილი საოცრებაა. ჩვენი მამულები და სახლ-კარი მდინარის შემაღლებულ ნაპირზე, ეგრეთ წოდებულ ხივილაზეა. დღედაღამ იქაურობას წყლის ხმაური ავსებს. აბა წარმოიდგინეთ, დიდი, ძველი ბაღი, საუცხოოდ მოვლილი ყვავილნარი, საფუტკრე, ბოსტანი, ძირს მტირალა ტირიფებით დაბურული მდინარე მიჩუხჩუხებს, რომელსაც ძლიერი ნესტიანობის დროს, თითქოს ჭაღარა შეჰპარვიაო, თეთრი ფერი დაჰკრავს. გაღმა მწვანე მდელობია, მდელობს იქით, გორაკზე, შავად დაბურული ფიჭვნარია შეფენილი. ფიჭვნარში უამრავი მჭადასოკო იზრდება, ტყის ულრან ტევრებში ცხენირმები დარბიან. ასე მგონია, მკვდარი რომ ვიყო, კუბოშიც რომ ვიწვე, ის ადრიანი ალიონები დამესიზმრება, ახლად ამოწვერილი მზე თვალს რომ გჭრის და თვალის ახელა გიმძიმს. ანდა გაზაფხულის ის ზღაპრული საღამოები, როცა ბაღშიცა და ბაღს გარეთაც ყურში ბულბულების სტვენა და ღალღების ძახილი ჩაგესმის. სოფლიდან გარმონის ხმა აღწევს, სახლში როიალს უკრავენ, ქვევით მდინარე მიჩუხჩუხებს, ერთი სიტყვით, ირგვლივ ისეთი მუსიკაა, გინდა იტირო, გინდა ხმამაღლა შემოსძახო... სახნავ-სათესი მიწა არც ისე ბევრი გვაქვს, სამაგიეროდ, ტყეცა და სათიბიც წლიურად დაახლოებით ორი ათასამდე შემოსავალს იძლევა. მე მამაჩემის ერთადერთი ვაჟიშვილი გახლავართ. არც მე და არც მამას გადაჭარბებული არაფერი გვიყვარს, მოკრძალებული ხალხი ვართ, ისე რომ, ეს შემოსავალი, მამაჩემის პენსიასთან ერთად, ჩვენთვის სრულიად საკმარისი იყო. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სამი წელიწადი სოფელში გავატარე, ხელი მეურნეობას მოვკიდე, ვხნავდი, ვთესავდი და ველოდი, სადმე როდის ამირჩევდნენ. რაც მთავარია, ერთ არაჩვეულებრივად ლამაზ ქალიშვილზე, ერთი ჩემი მეზობლის, გაკო-

1. სამუსიკო ან ლიტერატურული ნაწარმოების შესავალი.

ტრებული აზნაურის — კოტლოვიჩის დაზე ვიყავი შეყვარებული. კოტლოვიჩს ფული კაპიკი არ გააჩნდა, მაგრამ მამულში უამრავი ანანასისა და საუცხოო ატმის ხე ედგა, ჰქონდა მეხთამრიდი, ეზოს შუაგულში შესანიშნავი შადრევანი ამოუჩუხჩუხებდა. როგორიღაც მოუხერხებელი კაცი იყო, გეგონება, მოთუთქული თალგამისაო, ხელიდან [illegible] გამოსდიოდა. სამაგიეროდ გლეხებს ბალახებით მკურნალობდა, [illegible] სპირიტიზმს მისდევდა. ამასთან ძალზე დელიკატური კაცი იყო, ჭკვიანი, რბილი, დამყოლი ხასიათის. მე კი, მართალი გითხრათ, თვალში მაინცდამაინც დიდად არ მომდიან ის ბატონები, სულებს რომ ესაუბრებიან და დედაკაცებს მაგნეტიზმით მკურნალობენ. ჯერ ერთი, გონებრივად არათავისუფალ ადამიანს თავში მუდამ ნამდვილი დომხალი აქვს, მათთან საუბარი ადვილი არ არის; მეორეც, როგორც წესი, მათ არავინ უყვართ, ქალებთან არ ცხოვრობენ, ხოლო ის იდუმალება, რაც მათშია, მგრძნობიარე ადამიანებზე უსიამოვნოდ მოქმედებს. მისი არც გარეგნობა მომწონდა. სქელი, მაღალი კაცი იყო, პირთეთრი, ჰქონდა პატარა თავი, პატარა, მოციმციმე თვალები და თეთრი, მსუქანი თითები. ჩამორთმევისას ხელს კი არ გართმევდა, როგორღაც დუნედ, დონდლოდ გითათუნებდა. რამეს გთხოვდა — ბოდიშობდა, გაძლევდა — ბოდიშობდა. მისი და კი სულ სხვა იყო. უნდა გითხრათ, არც ბავშვობასა და არც ჭაბუკობაში კოტლოვიჩებს არ ვიცნობდი, ვინაიდან მამაჩემი N-ის პროფესორი იყო და კარგა ხანს მთელი ჩვენი ოჯახით პროვინციაში ვცხოვრობდით. კოტლოვიჩები რომ გავიცანი, ის ქალიშვილი უკვე ოცდაორი წლისა იყო, ინსტიტუტი უკვე დამთავრებული ჰქონდა. ორისამი წელიწადი თურმე მოსკოვში ცხოვრობდა, დეიდასთან, რომელსაც იქ იგი საზოგადოებაში გაჰყავდა. როცა პირველად გავიცანი და დაველაპარაკე, ყველაზე მეტად მისმა იშვიათმა სახელმა — არიადნამ გამაოცა. ვერ წარმოიდგენთ, როგორ უხდებოდა! ეს იყო წაბლისფერთმიანი, ძალზე გამხდარი, წვრილი, ტანწერწეტა, საოცრად გრაციოზული ახალგაზრდა ქალი, არაჩვეულებრივად ნატიფი სახითა და კეთილშობილი ნაკვთებით. თვალები იმასაც ძმასავით უბრწყინავდა, მაგრამ ძმას — შაქარყინულივით ცივად და დათაფლულად, ქალის თვალები კი სიამაყის, ლამაზი ახალგაზრდობის შუქით იყო სავსე. ქალიშვილმა გაცნობის პირველსავე დღეს დამატყვევა (ან კი შეიძლებოდა სხვაგვარად!). შთაბეჭდილება იმდენად ძლიერი იყო, რომ დღემდე ვერ განვთავისუფლებულვარ იმ ილუზიისაგან, ბუნებას, როცა იგი ამ ქალიშვილს ქმნიდა, რაღაც დიდი, განსაცვიფრებელი განზრახვა ამოძრავებდა-მეთქი. მისი ხმა, მისი ნაბიჯები, მისი შლაპა, მისი ფეხის ნაკვალევი მდინარის სილიან ნაპირზე, სადაც იგი ციმორებზე თევზაობდა, სიხარულითა და სიცოცხლის მგზნებარე ყიჟინით მავსებდა — მისი მშვენიერი სახისა და მშვენიერი ფორმების შემხედვარე მისი სულის მშვენიერებაზე ვმსჯელობდი. მის თითოეულ სიტყვას, მის ღიმილს აღტაცებაში მოვყავდი, იგი მთლიანად ინადირებდა ჩემს გულს, მაიძულებდა მეფიქრა, ამ ახალგაზრდა ქალში ასეთივე მშვენიერი და ამაღლებული სულია-მეთქი. იყო საოცრად ალერსიანი, კარგი მოსაუბრე, მხიარული, თბილი და უბრალო ურთიერთობაში. პოეტურად სწამდა ღმერთი და პოეტურად მსჯელობდა სიკვდილ-

ზე; მისი სული იმდენად მდიდარი იყო ფერებით, შეეძლო თავისი ნაკლისთვისაც კი როგორიღაც ეშხი და სილამაზე მიენიჭებინა. დავუშვათ ახალი ცხენის ყიდვა მოესურვა, ფული კი არა აქვს. მაგრამ, დიდი ამბავი! ხომ შეიძლება გაყიდოს ან დააგირაოს რაიმე — ფლიგელს თუნუქის სახურავი მოხადოს და ფაბრიკაში გაუშვას. გაცხარებულ მუშაობაში ცხენები ბაზარში გაიყვანოს და კაპიკებად გაყიდოს... მის ამ მოუთოკავ სურვილებს ოჯახი ზოგჯერ სასოწარკვეთაში მოჰყავდა, მაგრამ ისე ლამაზად, ისე გულისამაჩუყებლად გამოხატავდა თავის ამ სურვილებს, იტყოდი, ღმერთქალი ან კეისრის ცოლიაო. ბოლოსა და ბოლოს ყველა ყველაფერს პატიობდა და ყველა ყველაფრის უფლებას აძლევდა. ჩემი მისადმი სიყვარული ისეთი გულშიჩამწვდომი და ამაჩუყებელი იყო, რომ მალე იგი ყველასათვის აშკარა გახდა. ჩემს ამ სიყვარულს ყველა თანაუგრძნობდა — მამაც, მეზობლებიცა და მოჯამაგირეებიც. შემთხვევა თუ იყო და მოჯამაგირეებს არყით ვუმასპინძლდებოდი, გლეხები თავს მიკრავდნენ და მლოცავდნენ:

— ღმერთმა ინებოს, ცოლად კოტლოვიჩების ქალიშვილი მოგეყვანოთ.

თავად არიადნამაც იცოდა, რომ მიყვარდა. იგი ხშირად დაიარებოდა ჩვენთან, ხან ცხენით მოდიოდა, ხან შარაბანით და რამოდენიმე დღეს რჩებოდა. ჩემს ბერიკაცს ისე დაუახლოვდა, მამაჩემმა ველოსიპედის ტარებაც კი ასწავლა, ვინაიდან თვითონ მას ძალიან უყვარდა ველოსიპედი, ეს მისი საყვარელი გასართობი იყო. მახსოვს, ერთ საღამოს ველოსიპედით სასეირნოდ წასვლა რომ დააპირეს და არიადნას ველოსიპედზე დაჯდომაში ვეხმარებოდი, ისეთი კარგი და საყვარელი იყო, მეგონა, შეხებისას ხელებზე ცეცხლი წამეკიდებოდა, აღტაცებისაგან მთელი ტანით ვთრთოდი. არიადნა და ჩემი ბერიკაცი ველოსიპედებს გვერდიგვერდ რომ მიაქროლებდნენ, ორივენი ისეთი მოხდენილები, ლამაზები და ტანადები იყვნენ, რომ, როცა მოურავის შავრა ცხენი მათ გვერდით გავლისას უცებ დაფრთხა და განზე გახტა, ასე მეგონა, ისიც არიადნას სილამაზემ მოაჯადოვა. ჩემი სიყვარული და თაყვანისცემა არიადნას გულს უჩუყებდა, მთელი გულით ეწადა, თვითონაც ჩემით ისეთივე მოხიბლული ყოფილიყო, როგორც მე ვიყავი. სურდა სიყვარულზე სიყვარულით ეპასუხა — ეს ხომ ძალზე პოეტური იყო!

მაგრამ ისეთი დიდი სიყვარული, როგორი სიყვარულითაც მე მიყვარდა, არ შეეძლო, ვინაიდან ბუნებით გულცივი და განებივრებული გახლდათ. მის არსებაში თითქოს ეშმაკს ჩაებუდებინა, რომელიც დღედაღამ იმას ჩასჩიჩინებდა, ღვთაებრივი არსება ხარო. და აი იმ ადამიანმა, ვინც წესიერად არც კი იცოდა, რისთვის იყო ამქვეყნად მოვლენილი, წარმოიდგინა, რომ მომავალში უთუოდ მდიდარი და წარჩინებული ქალბატონი უნდა ყოფილიყო. ერთთავად მეჯლისი, ჯირითი, მდიდრული დარბაზები, საკუთარი salon-ი და მისი მორთულობითა და სამოსით აღფრთოვანებული გრაფები, დესპანები, ცნობილი მხატვრები, მსახიობები, მოკლედ, თაყვანისმცემლების მთელი ჯარი ეზმანებოდა... ძალაუფლებასა და პირად წარმატებებზე გაუთავებელი ფიქრი და ოცნება ადამიანს, მოგეხსენებათ, გულცივსა და უსულგულოს ხდის. და, იყო

კიდევაც არიადნა ცივი და უსულგულო. არა მხოლოდ ჩემს მიმართ, არამედ ბუნებისა და მუსიკის მიმართაც კი. დრო გადიოდა, დესპანები კი არ ჩანდნენ. არიადნა ისევ თავის სპირიტ ძმასთან სოფელში ცხოვრობდა. საქმე სულ უფრო უკან და უკან მისდიოდათ, ფული აღარც კაბებისთვის ჰქონდა, აღარც შლაპებისათვის. სიღარიბე რომ [illegible], ათასნაირი ეშმაკობა და თავის დაძვრენა უწევდა.

მოსკოვში დეიდასთან ყოფნისას ვინმე თავადმა მაკტუევმა ცოლობა სთხოვა, რომელიც მართალია მდიდარი კაცი იყო, მაგრამ ნამდვილი არარაობა გახლდათ. ქალმა მას, ცხადია, ცივი უარი სტკიცა. ახლა კი ამის გამო ზოგჯერ სინანულის ჭია ღრღნიდა. როგორც ჩვენი გლეხი უბერავს ტარაკანიან ბურახს ზიზღით და მაინც სვამს, ისე არიადნაც — მართალია, თავადის გახსენებაზე სახეს ამრეზილი მანჭავდა, მაგრამ ხშირად იტყოდა ხოლმე:

— რაც არ უნდა იყოს, ტიტული ტიტულია, არის მასში რაღაც ამოუხსნელი და მომხიბვლელი...

იგი ტიტულებზე, მდიდრულ, ბრწყინვალე ცხოვრებაზე ოცნებობდა, თუმცა ხელიდან არც ჩემი გაშვება უნდოდა. ასეა, რამდენიც გინდა იმდენი იოცნებე დესპანებზე, მაგრამ გული ხომ ქვა არ არის, გენანება შენი ახალგაზრდობა! არიადნა ცდილობდა, შევეყვარებინე, თავი ისე ეჭირა, თითქოს ვუყვარდი კიდევაც, ის კი არა, სიყვარულსაც მეფიცებოდა. მაგრამ მე ნერვიული კაცი ვარ, მგრძნობიარე, თუ ვინმეს ვუყვარვარ, ამას შორიდანვე, ყოველგვარი ფიცისა და მტკიცების გარეშე ვგრძნობ. არიადნასაგან კი სიცივის სიო მცემდა. როცა ის სიყვარულზე ლაპარაკობდა, ასე მეგონა, ყურში ლითონის ბულბულის გალობა მესმოდა. არიადნა თვითონაც გრძნობდა, რა საფანელიც აკლდა და გული სტკიოდა. რამდენჯერ ატირებულიც კი მინახავს ამის გამო. ერთხელაც უცებ მეცა, გადამეხვია და მაკოცა, მაგრამ მისი თვალები აშკარად მეტყველებდნენ, რომ არ ვუყვარდი, კოცნით კი იმიტომ მკოცნიდა, უნდოდა საკუთარი თავი გამოეცადა — ვნახოთ, რა გამოვა აქედანო. ეს ამბავი საღამო ხანს მოხდა, მდინარის ნაპირას. შეშინებულმა ხელში ხელი მოვკიდე და სასოწარკვეთილმა ჩავილაპარაკე:

— თქვენი ეს უსიყვარულო ალერსი მხოლოდ მაშინებს და ტკივილს მგვრის!

— რა უცნაური ხართ! — თქვა მწყრალად და გამეცალა.

ალბათ გაივლიდა ორიოდე წელი, მე მას ცოლად ვითხოვდი და ყველაფერი ამით დამთავრდებოდა. მაგრამ ბედი სხვა რამეს უმზადებდა ჩვენს რომანს. მოხდა ისე, რომ ჰორიზონტზე ახალი პიროვნება გამოჩნდა — არიადნას ძმას მისი უნივერსიტეტელი მეგობარი — ლუბკოვი ესტუმრა. მიხაილ ივანიჩი ის საყვარელი ადამიანი გახლდათ, რომლის შესახებაც მეეტლეები და ლაქიები ამბობდნენ, ს-ა-ა-ინტერესო ბატონი ბრძანდებაო! ეს იყო საშუალო სიმაღლის, გამხდარი, მელოტი, პატიოსანი ბურჟუას გარეგნობის მქონე ყოვლად უინტერესო კაცი. საგანგებოდ გაკრეჭილი ულვაში მკაცრსა და ცივ გამომეტყველებას აძლევდა, ხორკლიან, დაღუდუდებულ ყელზე მოზრდილი ხორხი ამოსჩროდა. ატარებდა ფართო შავზონრიან pince-nez-ს, იყო ენაბრგვნილი, ლაპა-

რაკის დროს ვერც „რ“-ს გამოთქვამდა, ვერც „ლ“-ს, ნაცვლად „ულოლიავებისა“ „უვოვიავებს“ ამბობდა. იყო თუ არა სასაცილო, ყველაფერზე სიცილით კვდებოდა, ყველას და ყველაფერს დასცინოდა. ოცი წლისამ ცოლი ძალზე სულელურად ითხოვა, მაგრამ, სამაგიეროდ, მოსკოვში დევიჩთან მზითვად ორი სახლი მიიღო. მ[illegible]ტებსა და აბანოების მშენებლობას მოჰკიდა ხელი, თუმცა [illegible]ტრდა და მისი ცოლი და მისი ოთხი შვილი ახლა „აღმოსავლეთის ნომრებში“ გაჭირვებით ცხოვრობდნენ. ცოლ-შვილი მისი შესანახი რომ იყო, ლუბკოვს ესეც სასაცილოდ ჰქონდა. ის, რომ თვითონ ოცდათექვსმეტი წლისა იყო, მისი მეორე ნახევარი კი ორმოცდაორის, ესეც სიცილის და ანგლობის გუნებაზე აყენებდა. აბუჩად მის ცოლს დედამისიც იგდებდა — კუდაბზიკა, ამპარტავანი, თავადური პრეტენზიების ქალბატონი. ივი ცალკე ბინაში ცხოვრობდა და შინ კატებისა და ძაღლების მთელი ხროვა ჰყავდა. ყოველთვიურად შვილი დედას სამოცდათხუთმეტ მანეთს უხდიდა. ისე, პირის გემო არც თავად მიხაილ ივანიჩს აკლდა, საუზმეს „სლავიანსკი ბაზარში“ გეახლებოდათ, სადილს — „ერმიტაჟში“ და, ცხადია, ფულიც ბლომად ესაჭიროებოდა, მაშინ, როცა ბიძამისი წელიწადში მხოლოდ ორი ათასს აძლევდა, რაც, რა თქმა უნდა, არ ყოფნიდა და სასესხებლად დილიდან დაღამებამდე მთელ მოსკოვში, რომ იტყვიან, ენაგადმოგდებული დარბოდა, რაც მისთვის ასევე სამასხრო და სასაცილო იყო. როგორც თვითონ ამბობდა, კოტლოვიჩებთან მხოლოდ იმიტომ ჩამოვიდა, ბუნების წიაღში ენებივრა და, რაც მთავარია, ცოლ-შვილისაგან თავი ცოტა ხანს თავისუფლად ეგრძნო. სადილად იქნებოდა, ვახშმად თუ სეირნობისას, ერთთავად ცოლზე, დედაზე, კრედიტორებსა და სასამართლოს ზედამხედველებზე ანგლობდა, ყველას დასცინოდა. დასცინოდა თავის თავსაც — სესხის აღების ჩემი ამ უბადლო ნიჭით მრავალი სასიამოვნო ნაცნობი შევიძინეო. მოკლედ, თვითონაც იცინოდა და ჩვენც გულიანად გვაცინებდა. მის გვერდით ყველამ სხვაგვარად დავიწყეთ დროის გატარება. თუმცა მე უფრო მშვიდი, ასე ვთქვათ, იდილიური გასართობები მიზიდავდა, იქნებოდა ეს ანკესით თევზაობა, საღამოობით სეირნობა თუ ტყეში სოკოზე სიარული, მაშინ როცა ლუბკოვს პიკნიკები, შუშხუნები და მწევრებით ნადირობა ერჩია. კვირაში სამ დღეს პიკნიკებს აწყობდა, არიადნაც სერიოზული, ზეშთაგონებული სახით ქალალდზე ხამანწკების, შამპანურის, კანფეტების სიას ჩამომიწერდა და საყიდლად მოსკოვში მგზავნიდა, ხოლო ის, ფული მქონდა თუ არა, სულაც არ აინტერესებდა. პიკნიკზე კი ისევ სადღეგრძელოები, ისევ სიცილ-კისკისი და მხიარული ანგლობა იმაზე, თუ როგორი ბებერია მისი ცოლი, როგორი მსუქანი ძაღლები ჰყავს დედამისს და როგორი საყვარელი ხალხია კრედიტორები...

მართალია, ლუბკოვს უყვარდა ბუნება, მაგრამ ისე უყურებდა, როგორც რაღაც ხელწამოსაკრავსა და მხოლოდ მისი სიამოვნებისათვის შექმნილს. ხანდახან შეჩერდებოდა რომელიმე დიდებული პეიზაჟის წინ და — უჰ, რა საქეიფო ადგილიაო, — იტყოდა. ერთხელაც ქოლგით ხელში შორიდან მომავალი არიადნა დაინახა, თავი მისკენ გაიქნია და მითხრა:

— სიფრიფანა გოგოა, პირდაპირ საღერღელს მიშლის!

მე ეს საშინლად მეჩოთირა, ვთხოვე, ქალებზე ჩემთან ასე არასოდეს ელაპარაკა. მან კი გაოცებულმა შემომხედა:

— ის, რომ გამხდარი ქალები მიყვარს და მსუქნები — ეს, ამაში ცუდი რა არის?

აბა, რა უნდა მეპასუხა?! ერთხელაც, როცა ჩინებულ განწყობასა და ცოტა გადაკრულშიაც იყო, მითხრა:

— ვატყობ, არიადნა გრიგორიევნას მოსწონხართ, ჰო, მაგრამ, თქვენ რაღას უცდით?

ამ სიტყვებზე თავი უხერხულად ვიგრძენი და, ცოტა არ იყოს, შემცბარმა ავუხსენი, რა აზრისა ვიყავი ქალისა და მამაკაცის სიყვარულზე.

— ეჰ, — ამოიოხრა მიხაილ ივანიჩმა, — მე თუ მკითხავთ, ქალი ქალია, კაცი კაცი. დაე, არიადნა გრიგორიევნა, როგორც თქვენ ამბობთ, პოეტური და ამაღლებული პიროვნება იყოს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, ბუნების კანონებს არ ემორჩილებოდეს. თავადაც ხედავთ, ის უკვე იმ ასაკშია, როცა ქმარი ან საყვარელი სჭირდება. ქალს მეც არანაკლებ ვცემ პატივს, მაგრამ, ვფიქრობ, პოეზიას არც ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა გამორიცხავს, თუმცა პოეზიას თავისი ადგილი აქვს, სიყვარულს თავისი. ისეა, როგორც სოფლის მეურნეობაში: ბუნების სილამაზე ერთია, მისგან მიღებული ჭირნახული კი მეორე.

ერთხელაც მე და არიადნა ხამანწკებს ვიჭერდით, ლუბკოვიც იქვე სილაზე იწვა და ან დამცინოდა, ან მარიგებდა, როგორ უნდა მეცხოვრა:

— პირდაპირ გაოცებული ვარ, ბატონო ჩემო, ნეტავი როგორ შეგიძლიათ უსიყვარულოდ! ისეთი ახალგაზრდა ხართ, ლამაზი, მიმზიდველი, ერთი სიტყვით, ჩინებული მამაკაცი, და ნამდვილი ბერივით კი ცხოვრობთ. ო, ეს ოცდარვა წლის მოხუცები! მე თქვენზე თითქმის მთელი ათი წლით ვარ უფროსი, მაგრამ, აბა, ვინ უფრო ახალგაზრდაა, თქვენ თუ მე? ა, არიადნა გრიგორიევნა, ვინ უფრო ახალგაზრდაა — **მე** თუ ის?

— რა თქმა უნდა, თქვენ, — უპასუხა არიადნამ.

როცა ნახა, მთელი ჩვენი ყურადღება თევზის ჭერისაკენ იყო მიპყრობილი, ჩვენი უყურადღებობით გაბეზრებულმა შინისაკენ გასწია, არიადნამ კი გაბრაზებულმა შემომხედა და მითხრა:

— მართლაც რომ, კაცი კი არა, ღმერთო, მაპატიე და, ნამდვილი ლობიო ხართ. მამაკაცს გატაცება... გაგიჟება უნდა შეეძლოს... უნდა შეეძლოს შეცდომა დაუშვას, გადაირიოს, იტანჯოს! ქალი თავხედობასაც გაპატიებთ, კადნიერებასაც, თქვენს ამ გადაჭარბებულ სიფრთხილეს და წინდახედულებას კი — არასოდეს!

და გაწიწმატებულმა დასძინა:

— თუ წარმატების სურვილი გაქვთ, თამამი და შეუპოვარი უნდა იყოთ. ლუბკოვი, მართალია, თქვენსავით ლამაზი არ არის, მაგრამ თქვენზე საინტერესო კაცია, ქალებში წარმატება ყოველთვის ექნება, იმიტომ რომ თქვენ არ გგავთ, იმიტომ რომ ნამდვილი ვაჟკაცია!..

მის ხმაში ერთგვარი გაკაპასებაც კი იგრძნობოდა. ერთხელაც, ნაშუადღევს, ისე რომ ჩემთვის ზედ არ შემოუხედავს, სიტყვა გადამიკრა: კაცი რომ ვყოფილიყავი, სოფელში არ ჩავმჯავდებოდი, სამოგზაუროდ წავიდოდი, ზამთარს სადმე საზღვარგარეთ გავატარებდი, ვთქვათ, იტალიაშიო... „ო, იტალია, იტალია! აი მესმის იტალია! [illegible] ცეცხლზე ნავთი მამაჩემმაც, — რა შესანიშნავი ქვეყანაა, რა საუცხოო ბუნება, რა მუზეუმები!“.. და აი, არიადნა უცებ იტალიაში გამგზავრების სურვილით აენთო, მაგიდას მუშტი დაჰკრა, თვალები გაუბრწყინდა და ხმამაღლა იყვირა: — წავედით!

მერე კი დაიწყო და რა დაიწყო: აჰ, იტალია! ოჰ, იტალია!.. ასე გრძელდებოდა ყოველდღე. არიადნა კუშტად რომ გადმომხედავდა მხარზემოთ, მისი ცივი, ჯიუტი გამომეტყველებით ვხვდებოდი, რომ ოცნებაში მან უკვე დაიპყრო იტალია მთელი თავისი სალონებით, დიდგვაროვანი უცხოელებითა თუ ტურისტებით, და რომ მისი შეჩერება უკვე შეუძლებელი იყო. ვურჩიე ცოტა მოეცადა, წასვლა ერთი-ორი წლით გადაედო, მაგრამ სახე ზიზღით დამანჭა და — დედაბერივით ფრთხილი და წინდახედული ხართო! — მომახალა.

ლუბკოვი, ცხადია, გამგზავრების მომხრე იყო. ამბობდა, რა ძნელი საქმე ეგ არის, მეც სიამოვნებით წავიდოდი იტალიაში, ცოლ-შვილისაგან დავისვენებდიო. სულო ცოდვილო, მართლაც რომ გიმნაზიელივით გულუბრყვილო ვიყავი. როცა კი შესაძლებლობა მომეცემოდა, არა ეჭვიანობის გამო, არამედ რაღაც საშინელის, რაღაც განსაკუთრებულის მოლოდინში სულ იმას ვცდილობდი, ორნი მარტო არ დამეტოვებინა, ისინი კი მასხარად მიგდებდნენ, მაგალითად, ოთახში შევიდოდი თუ არა, ისეთ სახეს მიიღებდნენ, ვითომ ეს-ესაა ერთმანეთს ჰკოცნიდნენ.

და აი, ერთ მშვენიერ დილას არიადნას თეთრი, გათქვირული სპირიტი ძმა გამომეცხადა და მითხრა, რომ პირისპირ საუბარი სურდა. ეს იყო ყოვლად უნებისყოფო კაცი, რომელიც, მიუხედავად კარგი აღზრდისა და დელიკატურობისა, სხვისი წერილის წაკითხვასაც არ მოერიდა. საუბარ-საუბარში გამომიტყდა, შემთხვევით ლუბკოვის არიადნასადმი მიწერილი წერილი წავიკითხეო, და დასძინა:

— იმ წერილიდან შევიტყე, მალე არიადნა მასთან ერთად თურმე საზღვარგარეთ აპირებს გამგზავრებას. ძვირფასო მეგობარო, ვერ წარმოიდგენთ, როგორ ვღელავ! ღვთის გულისათვის, ამიხსენით, რა ხდება, ვერაფერი გამიგია!

როცა ამას ამბობდა, ძლივს სუნთქავდა, პირიდან მოხარშული ძროხის ხორცის სუნი ამოსდიოდა.

— მაპატიეთ, მე თქვენ საიდუმლო წერილი გაგანდეთ, — განაგრძო კოტლოვიჩმა, — მაგრამ თქვენ ხომ არიადნას მეგობარი ხართ, იგი ძალზე დიდ პატივს გცემთ! იქნებ თქვენ მაინც იცით რაიმე. კი, ბატონო, უნდა? წავიდეს, ოღონდ, ვისთან ერთად მიდის? ლუბკოვთან? მაპატიეთ, მაგრამ ლუბკოვის მხრივ განა ეს ახირებული საქციელი არ არის? ცოლიანი კაცია, ბავშვები ჰყავს, თან კი სიყვარულს უხსნის არი-

ადნას, შენობით ელაპარაკება. დიახ, დიახ, ეს ძალზე უცნაური რამ გახლავთ!

ტანში სიცივემ დაჭიარა, ხელ-ფეხი გამეყინა, გული ისე დამძიმდა, ისეთი ტკივილი ვიგრძენი, თითქოს სამკუთხა ლოდი შედო მკერდქვეშ. კოტლოვიჩი ღონემიხდილი ჩაეშვა სავარძელში, ხელები მათრახივით დაეკიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე რა შემიძლია, რა უნდა ვქნა? — ვკითხე კოტლოვიჩს.

— რა და, შთააგონეთ, დაარწმუნეთ... აბა, თავად განსაჯეთ, რა მისი შესაფერისია ლუბკოვი? ღმერთო ჩემო, რა საშინელებაა, ღმერთო, რა საშინელებაა! — იტაცა თავში ხელი კოტლოვიჩმა. — ისეთი შესანიშნავი მთხოვნელები ჰყავს, აი თუნდაც თავადი მაკტუევი... და, ვინ იცის, ვინ აღარ. თავადი მას აღმერთებს. დაახლოებით იმ კვირის ოთხშაბათს მაკტუევის განსვენებულმა ბაბუამ — ილარიონმა, სრულიად გარკვევით, ისე როგორც ორჯერ ორი ოთხია, დაადასტურა, რომ არიადნა მაკტუევის ცოლი გახდება. დიახ, დიახ, სრულიად გარკვევით! მართალია ბაბუა ილარიონი რა ხანია მკვდარია, მაგრამ საოცრად ჭკვიანი კაცი გახლავთ. მის სულს ყოველდღე ვიძახებთ.

ამ საუბრის შემდეგ მთელი ის ღამე თეთრად გავათენე, თავის მოკვლა მინდოდა. დილით ხუთი წერილი დავწერე და ხუთივე ნაფლეთებად ვაქციე. მერე კარაპანში შევედი და იქ დიდხანს ვიქვითინე. რა უნდა მექნა? სასწრაფოდ მამაჩემს ფული გამოვართვი და, ისე რომ არავის გამოვმშვიდობებივარ, კავკასიაში გავემგზავრე.

ცხადია, ქალი ქალია, კაცი კაცი, მაგრამ, ნუთუ ყველაფერი ისევ ისე მარტივადაა, როგორც წარღვნამდე იყო? ნუთუ მე, კულტურულმა, რთული სულიერი განწყობით დაჯილდოებულმა კაცმა ჩემი დაუოკებელი სწრაფვა ქალისადმი მხოლოდ იმით უნდა ავხსნა, რომ მისი სხეულის ფორმები ჩემი სხეულის ფორმებისაგან განსხვავდება? ო, რა საშინელება იქნებოდა! მინდა ვიფიქრო, რომ ბუნებასთან ბრძოლისას ადამიანის გენია ფიზიკურ სიყვარულსაც ისე ებრძოდა, როგორც მტერს და თუ ვერ სძლია, ის მაინც მოახერხა, მეგობრობისა და სიყვარულის ილუზიის ბადეში გაეხვია, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ეს ჩემი ცხოველური ორგანიზმის ქმედება კი არაა, როგორც ეს ძაღლისათვის ან ბაყაყისთვისაა, არამედ სიყვარულია, ხოლო ყოველი გულში ჩახუტება — ქალისადმი პატივისცემითა და უწმინდესი აღტყინებით არის ზემთაგონებული. ზიზღი ცხოველური ინსტიქტის მიმართ საუკუნეების მანძილზე ასობით თაობაში იხვეწებოდა, იგი მეც სისხლთან ერთად მემკვიდრეობით გადმომეცა და ახლა იგი ჩემი არსების ნაწილს წარმოადგენს. თუ მე ვაპოეტურებ სიყვარულს, განა ეს ჩვენს დროში ისეთივე ბუნებრივი არ არის, როგორც ის, რომ ჩემი ყურის ნიჟარები არ მოძრაობს, რომ ბალნით არ ვარ დაფარული. მე მგონი, ასე ფიქრობს კულტურულ ადამიანთა უმეტესობა, თუმცა სიყვარულში ზნეობრივ-პოეტური ელემენტის არსებობას ზოგიერთები დღეს ლამის ატავისტურ მოვლენად მიიჩნევენ, ეს ხალხის გადაგვარების სიმპტომიაო, — ამბობენ. მართალია სიყვარულის გაპოეტურებისას იმ ადამიანს ვგულისხმობთ, ვინც გვიყვარს, ვისაც იმ ღირსებებს მივაწერთ, რაც იქნებ სუ-

ლაც არ გააჩნია და ჩვენთვის ეს შეიძლება გაუთავებელი შეცდომების, გაუთავებელი ტანჯვის სათავედაც იქცეს. მაგრამ, მე თუ მკითხავთ, ჯობია იტანჯო, ვიდრე თავი იმით დაიმშვიდო, რომ ქალი ქალია და კაცი კაცი.

თბილისში მამაჩემისაგან წერილი მივიღე — არიადნა გრიგორიევნა ამა და ამ რიცხვში საზღვარგარეთ წასასვლელად მოსკოვში გაემგზავრა, ამ ზამთარს საზღვარგარეთ გაატარებსო. ერთ თვეში შინ დაბრუნდი. უკვე შემოდგომა იყო. არიადნა ყოველკვირა მამას სურნელოვან ქაღალდზე მშვენიერი ლიტერატურული ენით დაწერილ ძალზე საინტერესო წერილებს უგზავნიდა, სადაც დაწვრილებით აღწერდა, როგორ უჭირდა დეიდასთან შეგუება და იმ ათასი მანეთის თხოვნა, რომელიც გასამგზავრებლად სჭირდებოდა; რომ მოსკოვში რა ხანია ერთ თავის შორეულ ნათესავს, ხანშიშესულ ქალს ეძებდა, რათა ერთად საზღვარგარეთ წასვლაზე დაეთანხმებინა. მაგრამ მისი წერილების ამ გადაჭარბებულ დეტალურობას სიცრუის სუნი უდიოდა და მეც, რა თქმა უნდა, მაშინვე მივხვდი, რომ არაეითარი ხანშიშესული ნათესავი არ არსებობდა. მალე მისგან მეც ისეთივე ლიტერატურული ენითა და სურნელოვან ქაღალდზე დაწერილი წერილი მივიღე. მომენატრეთო, — მწერდა, — თქვენი ლამაზი, ჭკვიანი, სიყვარულით სავსე თვალების ნახვა მენატრებაო. მეგობრულად მსაყვედურობდა, ტყუილად ღუპავთ თქვენს ახალგაზრდობას, ტყუილად იკლავთ თავს სოფელში, მაშინ როცა შეგიძლიათ ჩემსავით სამოთხეში იცხოვროთ, პალმების ჩრდილში ინებივროთ, ფორთოხლის ხეების სურნელი ისუნთქოთო. ხელს კი ასე აწერდა: „თქვენგან მიტოვებული არიადნა". ორიოდე დღის შემდეგ კიდევ ერთი იმგვარივე წერილი მივიღე, ისეთივე შინაარსით და ისეთივე ხელმოწერით — „თქვენგან მივიწყებული არიადნა..." ტვინი უკვე არეული მქონდა — მე ხომ იგი გაგიჟებით მიყვარდა, მე ხომ მას ყოველღამ სიზმარში ვხედავდი! ვითომ ეს „მიტოვებული" და „მივიწყებული" რაღა იყო? ვისთვის ან რისთვის იყო გამიზნული?.. თან სოფლის ეს გრძელი, გაუთავებელი საღამოები, აუტანელი მოწყენილობა და გულის გამაწვრილებელი ეჭვიანობა ლუბკოვზე... გაურკვევლობა იცოცხლეს მიწამლავდა. ბოლოს თავს ველარ მოვერიე და გზას საზღვარგარეთისაკენ დავადექი.

არიადნა აბაციოში მიხმობდა. იქ რომ ჩავედი, თბილი, ნათელი დღე იდგა, წვიმას ეს-ესაა გადაეღო და ხის ფოთლებზე ჯერ ისევ წვიმის წვეთები კრთოდა. მართალია მეც იმ უზარმაზარ, ყაზარმის მსგავს dénendance'e[1]-ში დავბინავდი, სადაც არიადნა და ლუბკოვი ცხოვრობდნენ, მაგრამ ჩასვლისას შინ არ დამხვდნენ. მაშინვე ავდექი და პარკში წავედი. ერთხანს ხეივანში ვიხეტიალე, მერე იქვე სკამზე ჩამოვჯექი თუ არა, გვერდით ჩამიარა ზურგზე ხელებდაწყობილმა ავსტრიელმა გენერალმა, რომელსაც ზუსტად ისეთივე წითელლამპასებიანი შარვალი ეცვა, როგორსაც ჩვენი გენერლები ატარებენ. მერე სველ სილაზე ეტლის ბორბლების ღრჭიალით ჩვილი ყრმა ჩაატარეს. ჩაიარა ზაფრანის-

---

1 ფლიგელი

ფრად სახეგადაყვითლებულმა დაჩაჩანაკებულმა ბერიკაცმა, ინგლისელების კარგა მოზრდილმა ჯგუფმა, ქსენძმა, მერე ისევ ავსტრიელმა გენერალმა. მერე ახლახან ფიუმიდან ჩამოსული სამხედრო მუსიკოსები თავიანთი ბრჭყვიალა საყვირებით ჯიხურთან მიფრატუნდნენ და მუსიკაც ახმიანდა. ყოფილხართ როდისმე აბაციოში? ეს არ[illegible], ულამაზესი ყიანი სლავური ქალაქი თავისი ერთადერთი ქუჩით, [illegible] იმისა, რომ აუტანელი სუნია, ერთი თუ გაწვიმდა, უკალოშოდ ნაბიჯსაც ვერ გადაადგამ. მართალი გითხრათ, იმდენი რამ და ისეთი გრძნობამორევით წამიკითხავს დედამიწის ამ სამოთხეზე, რომ ახლა, როცა შარვლის ტოტებაკაპიწებული ფრთხილად გადავდიოდი ვიწრო ქუჩაზე, როცა მოწყენილობისაგან იძულებული ვიყავი ქვასავით მაგარი მსხალიც კი მეყიდა ვილაც დედაბრისაგან, რომელმაც რუსიაო, მაშინვე მიცნო და — რა ღირს-მეთქი, რომ ვკითხე, «читры» და «давадцать»-ო, რუსულად მიპასუხა, როცა საკუთარ თავს დაბნეული ვეკითხებოდი, ახლა სადღა წავიდე, აქ რა მინდა-მეთქი, როცა ჩემსავით მოტყუებული რუსები მხვდებოდნენ, გული სინანულით, წყენით და სირცხვილით მეწვოდა. იქ ერთი წყნარი ყურეა, სადაც ფერადაფრებიანი ნავები დაცურავენ და საიდანაც ლილისფერ ნისლში გახვეული ფიუმე და შორეული კუნძულები მოჩანს. მშვენიერი სურათი იქნებოდა, ამ ხედს გაუმაძღარი ვაჭრების ფულით აშენებული ის მეშჩანური არქიტექტურის ოტელები და მათი dénendance-ები რომ არ აუშნოებდეს, რომლითაც მთელი ეს სანაპიროა მოფენილი. ამ სამოთხეში თქვენ ახლა თითქმის ვერაფერს დაინახავთ ფანჯრებით, ტერასებით, პატარა თეთრი მაგიდებითა და ლაქიათა შავი ფრაკებით აჭრელებული მოედნების გარდა. ქალაქის იმ პარკის მსგავს პარკს კი საზღვარგარეთ ახლა თითოეულ კერძო აგარაკზეც შეხვდებით. მოკლედ, ათ წუთში იქ ყველაფერი გბეზრდება — პალმების ეს მუქი, უმოძრაო, მდუმარე სიმწვანეც, ყვითელი სილით მოფენილი ხეივნებიც, ღია მწვანედ შეღებილი სკამებიც, ჯარისკაცების აბდღვრიალებული საყვირების ლაპლაპიცა და გენერლების წითელი ლამპასებიც. მიუხედავად ამისა, რატომღაც ვალდებული ხარ, მთელი ათი დღე, მთელი ათი კვირაც კი გაატარო აქ. კურორტიდან კურორტზე ჩემი ამ გაუთვალისწინებელი წანწალისას სულ უფრო მეტად ვრწმუნდებოდი, რაოდენ მოუხერხებელი და უამური იყო მდიდარი მაძღრებისთვის აქ გატარებული დღეები, როგორი უფერული და მწირი იყო მათი წარმოსახვა, როგორი შეზღუდული და არაფრის მთქმელი — მათი გემოვნება და სურვილები! სამაგიეროდ, როგორი ბედნიერები იყვნენ მათთან შედარებით ის ხანშიშესული თუ ახალგაზრდა ტურისტები, რომელთაც ოტელში საცხოვრებელი ფული არა ჰქონდათ და ღამეს იქ ათევდნენ, სადაც დაუღამდებოდათ. აბა წარმოიდგინე, ხარ სადღაც მთაში, მწვანე ბალახზე წამოწოლილი, ზღვას ზევიდან დასცქერი და მისი სილამაზით ტკბები, მთისა და ბარის, ტყისა და სოფლის ყველა კუთხეკუნჭული ფეხითა გაქვს შემოვლილი, ქვეყნის ადათ-წესებს აკვირდები, მათ სიმღერებს უსმენ და მათ ქალებს იყვარებ...

პარკში რომ ვიჯექი, თანდათან ჩამობნელდა. და აი ბინდბუნდში უცებ ჩემი არიადნა დავინახე, ლამაზი, ტანწერწეტა და დედოფალივით

მორთულ-მოკაზმული, უკან საუბარ-საუბრით ახალთახალ, როგორც ჩანს, ვენაში ნაყიდ სამოსში გამოწყობილი ლუბკოვი მოჰყვება.

— ვატომ მიჯავვდებით? ვა დაგიშავეთ? — ეკითხება იგი არიადნას.

ჩემს დანახვაზე არიადნამ სიხარულით წამოიკივლა და პარკში რომ არ ვყოფილიყავით, ალბათ კისერზე ჩამომეკიდებოდა. ხელს გულიანად მართმევდა, იცინოდა, მეც ვიცინოდი და აღტაცებისაგან ლამის ვტიროდი. მაშინვე გამოკითხვა დამიწყო — სოფელში რა ამბავია, მამა როგორ არის, ჩემი ძმა ხომ არ გინახავთო? მთხოვა თვალებში მეცქირა — ხამანწკები თუ გახსოვთ, ჩვენი პატარა კინკლაობა და ჩვენი პიკნიკებიო?..

— ღმერთო, რა კარგი იყო, — ამოიოხრა არიადნამ, — თუმცა არც აქ ვგრძნობ თავს მოწყენილად... აქ მე უამრავი ნაცნობი მყავს, საყვარელო, ხვალ თქვენც გაგაცნობთ ერთ აქაურ რუსულ ოჯახს, ოლონდ, ძალიან გთხოვთ, ახალი შლაპა იყიდეთ, — ამ სიტყვებით ამათვალიერ-ჩამათვალიერა და შუბლი შეიჭმუხნა: — აბაციო სოფელი როდია, აქ ისე უნდა გამოიყურებოდე, როგორც აქაურობას შეეფერება.

მერე რესტორანში წავედით. არიადნა სულ იცინოდა, ანცობდა, ჩემო კარგო, საყვარელო, ჩემო ჭკვიანოო, მეუბნებოდა, საკუთარ თვალებს არ ვუჯერებ, ახლა აქ, ჩემს გვერდით რომ ხართო. ასე ვისხედით თერთმეტ საათამდე, მერე კი ვახშმითა და ერთმანეთით კმაყოფილები დასაძინებლად წავედ-წამოვედით. მეორე დღეს არიადნამ რუსულ ოჯახში წარმადგინა: „ცნობილი პროფესორის ვაჟი, ჩვენი მეზობელი“... მთელი იმ ხნის მანძილზე ერთთავად მამულსა და მოსავალზე საუბრობდა, თან სულ მე მიმოწმებდა. უნდოდა თავი ძალიან მდიდარ მემამულედ მოეჩვენებინა და, მართალი რომ ითქვას, ამას ახერხებდა კიდევაც. თავი მართლაც დიდებულად ეჭირა, ისე როგორც ეს ნამდვილ არისტოკრატს შეჰფერის, თუმცა შთამომავლობით იყო კიდეც ნამდვილი არისტოკრატი.

— რა უცნაურია ეს დეიდაჩემი! — თქვა უცებ არიადნამ და ღიმილით შემომხედა, — ცოტა წავკამათდით და მერანში გამექცა. რას იტყვით, როგორია?

მეორე დღეს მე და ის პარკში რომ ვსეირნობდით, ვკითხე — ვინ დეიდაზე ლაპარაკობდით გუშინ, მაინც ვინ დეიდაა-მეთქი?

— ისე, ტყუილად ვთქვი, თავის დასაძვრენად, — გაიცინა არიადნამ, — არ მინდა იცოდნენ, მარტო რომ ვარ ჩამოსული, თანმხლების გარეშე... — წუთიერი დუმილის შემდეგ მომეხუტა და მითხრა: — ჩემო მტრედო, ჩემო საყვარელო, დაუმეგობრდით რა, ლუბკოვს! ის ისეთი უბედურია! ისეთი აუტანელი ცოლი და დედა ჰყავს!

ლუბკოვსაც თქვენობით მიმართავდა, დასაძინებლად რომ მიდიოდა, ნახვამდისო, — იმასაც ისე ემშვიდობებოდა, როგორც მე, რაც მთავარია, სხვადასხვა სართულზე ცხოვრობდნენ, ეს კი ყოველგვარ ეჭვს მიფანტავდა, ჩემს თავს ვარწმუნებდი, რა სისულელეა, მათ შორის არავითარი რომანი არ არის-მეთქი. ამიტომაც ლუბკოვის მიმართ გულში არავითარ ბოღმასა და ხინჯს არ ვგრძნობდი, ხოლო როცა ერთ დღესაც

სესხად სამასი მანეთი მთხოვა, ფული მას დაუზარებლად, უყოყმანოდ მივეცი.

მე და არიადნა ყოველდღე ვსეირნობდით, ყოველდღე პარკში ვდადიოდით, თან ერთთავად გაუთავებელ ჭამა-სმაში ვიყავით. დღე ისე არ გაივლიდა, რუსულ ოჯახში რაიმე დიდი ბჭობა-ყრილობა [illegible]. თანდათან იმასაც მივეჩვიე, რომ პარკში უთუოდ ზაფრანასავით სახეგაყვითლებულ მოხუცს, ქსენძსა თუ ავსტრიელ გენერალს უნდა შევხვედროდი, რომელსაც თან მუდამ ბანქოს დასტა დაჰქონდა და სადაც კი საშუალება მიეცემოდა, პასიანსს შლიდა. მუსიკოსებიც მუდამ ერთი და იგივეს უკრავდნენ. სადაგ დღეებში მთელ ჩვენს კამპანიასთან ერთად პიკნიკზე ან სათევზაოდ რომ მივდიოდი, ლაქიების, მეეტლეებისა თუ ჩვეულებრივი მუშების აქაც ისევე მრცხვენოდა, როგორც სოფელში. მეგონა, მიყურებენ და ფიქრობენ — ასე უქმად რას დაეხეტება, ხელს რატომ არ გაანძრევსო? სირცხვილის ეს გრძნობა დილიდან საღამომდე არ მტოვებდა. ასე იყო ყოველდღე. აბაციოში თავს უცნაურად და უსიამოვნოდ ვგრძნობდი, ყოველი დღე აქ ერთფეროვანი და მოსაწყენი იყო. ერთადერთი, ვინც ამ ერთფეროვნებას არღვევდა, ლუბკოვი გახლდათ, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ წამდაუწუმ სესხად ხან ას და ხანაც ორმოცდაათ გულდენს მთხოვდა. ვალს აიღებდა თუ არა, უცებ ისე გამოცოცხლდებოდა, როგორც მორფინისტი და მაშინვე თავისი ცოლის, თავისი თავისა ან კრედიტორების გამასხარავებას იწყებდა.

მაგრამ, იმის გამო, რომ ერთ დღესაც აბაციოში წვიმა წამოვიდა და აცივდა, დავადეთ თავი და იტალიაში წავედით, მამას კი დეპეშა გავუგზავნე — ღვთის გულისათვის, რომში ფოსტით რვაასი მანეთი გადმომირიცხე-მეთქი. ჯერ ვენეციაში ვიყავით, მერე ბოლონიასა და ფლორენციაში. ყველგან უსათუოდ ძვირად ღირებულ ოტელებში ვჩერდებოდით, სადაც, სხვა რომ აღარაფერი ვთქვათ, განათებაში, გათბობაში, პურში, საუზმეულში, ცალკე დარბაზში სადილობასა და მომსახურებაში, რომ იტყვიან, ტყავს გვაძრობდნენ. საშინლად ბევრს ვჭამდით და ბევრს ვსვამდით. დილით cafe complet-ს მოგვართმევდნენ, საუზმეზე — ხორცს, თევზს, ომლეტს, ყველს, ხილსა და ღვინოს. ექვს საათზე სადილი რვა თავი კერძისაგან შედგებოდა, სადილის გრძელ-გრძელ ანტრაქტებში კი ლუდსა და ღვინოს შევექცეოდით. ცხრა საათზე ახლა ჩაის დრო დგებოდა, მაგრამ არც ამით მთავრდებოდა ჩვენი ჭამა-სმა — გაიღვიძებდა შუაღამისას არიადნა, — მშიაო, — გამოაცხადებდა და ლორსა და თოხლოდ მოხარშულ კვერცხს ითხოვდა. ცხადია, ჩვენც მადიანად გეახლებოდით მასთან ერთად. ჭამიდან ჭამამდე გამოფენებსა და მუზეუმებში დავრბოდით, თან თავში სულ ის გვიტრიალებდა, სადილსა ან ვახშამზე არ დაგვიანებოდა. ნახატის წინ რომ ვიდექი, სევდა მღრღნიდა, გული შინისაკენ მიწევდა, ჩემს საწოლზე წამოწოლა ერთ რამედ მიღირდა. ისე ვიღლებოდი, თვალი ერთთავად სკამისაკენ გამირბოდა, მაგრამ ვთვალთმაქცობდი და სხვებივით ვირწმუნებოდი — რა შესანიშნავი ნახატია, რამდენი ჰაერია-მეთქი! გამძღარი მახრჩობელა გველივით მხოლოდ ბრჭყვიალა საგნები გვიზიდავდა, მაღაზია ჩვენზე ჰიპნოზივით მოქმედებდა, ყალბ გულსაბნევებს აღტაცებაში მოვყავდით და უამრავ გამოუსადეგარ ნივთს ვიძენდით.

ასე იყო რომშიც, სადაც სულ ცივი ქარი უბერავდა და წვიმდა. ერთხელაც ერთი გემრიელად ვისაუზმეთ და პეტრეს ტაძრის დასათვალიერებლად გავწიეთ, მაგრამ ჩვენი სიმაძღრისა თუ ცუდი ამინდის გამო ტაძარმა ჩვენზე ვერავითარი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა, ერთმანეთს ხელოვნებისადმი გულგრილობაში დადანაშაულება დავუწყეთ და ლამის წავიჩხუბეთ. მამაჩემის მიერ გამოგზავნილი ფულის გამოსატანად, მახსოვს, დილაადრიანად წავედი, ლუბკოვიც თან წამოყვა.

— როცა არსებობს წარსული, არ შეიძლება აწმყო სისხლსავსე და ბედნიერი იყოს, — თქვა ლუბკოვმა, — წარსულისაგან მძიმე ტვირთი მაწევს, მაგრამ ფული რომ მქონოდა, ეს არც ისე დიდი უბედურება იქნებოდა... არ ვიცი, დამიჯერებ თუ არა, ჯიბეში მხოლოდ ხუთი ფრანკი მიდევს, — განაგრძო მან და ხმას დაუწია, — მაშინ როცა ასი მანეთი ცოლს უნდა გავუგზავნო, ასი მანეთიც დედაჩემს, თან მეც ხომ უნდა ვიარსებო, ხომ უნდა ვიცხოვრო. არიადნა ნამდვილი ბავშვივითაა, ჩემს მდგომარეობაში სულ არ შედის, ფულს ისე ფანტავს, როგორც ჰერცოგის ასული. აი, მაგალითად, გუშინ ის საათი რად უნდოდა? ან პატიოსანი ადამიანების როლი როდემდე უნდა ვითამაშოთ? იმის გამო, რომ მე და ის მსახურებისა და ნაცნობ-მეგობრებისაგან ჩვენს ურთიერთობას ვმალავთ, ცალ-ცალკე ნომრები გვიკავია და ზედმეტად ეს დღეში ათი-თხუთმეტი ფრანკი მაინც გვიჯდება. მერედა ვისთვისაა ეს საჭირო?

გული ლოდივით დამიმძიმდა, საშინელი ტკივილი ვიგრძენი — საეჭვო აღარაფერი იყო. გადავწყვიტე დაუყოვნებლივ გავქცეულიყავი, აქაურობას ისე გავცლოდი, არც არავინ მენახა, არც არავის გამოვმშვიდობებოდი...

— ქალის დაუფლებას რა უნდა, — განაგრძო ლუბკოვმა, — საკმარისია გახადო, რომ მორჩა, საქმე უკვე დამთავრებულია!

მიღებულ ფულს რომ ვთვლიდი, მითხრა:

— თუ თქვენ ახლა ათას ფრანკს არ მასესხებთ, წასულია ჩემი საქმე, ჩემი ერთადერთი რესურსი თქვენი ეს ფულია!

ფული მივეცი თუ არა, ლუბკოვი მაშინვე გამოცოცხლდა და თავის ახირებულ ბიძას, რომელმაც მის ცოლს მისი მისამართი ვერ დაუმალა, დაცინვა დაუწყო. მე კი ოტელში მივედი თუ არა, ჩემოდანი ჩავალაგე, რაც გადასახდელი მქონდა, გადავიხადე, და ახლა მხოლოდ არიადნასთან გამომშვიდობება მრჩებოდა.

მივედი და კარზე დავუკაკუნე.

— entrez![1]

მის ნომერში დილის ჩვეული არეულობა სუფევდა. მაგიდაზე ჩაის ჭურჭელი, ფუნთუშის ნარჩენი და კვერცხის ნაჭუჭი ეყარა. ირგვლივ სუნამოს მძაფრი სუნი ტრიალებდა. ლოგინი ისე იყო არეული, აშკარად ჩანდა, რომ ამ ლოგინში წუხელ ორი ადამიანი იწვა. ეს-ესაა ლოგინიდან წამომდგარი არიადნა ჯერ ისევ თმადაუვარცხნელი იყო, ტანთ ჯერ ისევ ფლანელის ღამის პერანგი ეცვა.

---

1. შემოდით (ფრ.).

მივესალმე. ვიდრე თმას დაივარცხნიდა და თავს მოიწესრიგებდა, ერთ წუთს ხმაამოუღებლად ვიჯექი, მერე კი მთელი ტანით აკანკალებულმა ვკითხე:

— რატომ... რატომ დამიბარეთ, რატომ ჩამომიყვანეთ?

როგორც ჩანს, არიადნა მაშინვე მიხვდა, რასაც ვგულისხმობდი და ხელში ხელი ჩამავლო:

— მინდა აქ იყოთ, ჩემს გვერდით იყოთ... თქვენ ისეთი სპეტაკი, ისეთი ხალასი ადამიანი ხართ!

ჩემი ამ კანკალისა და ნერვიულობისა მე ისევითონვე შემრცხვა. ერთიც ვნახოთ, უცებ ავღრიალდე-მეთქი! ოთახიდან ისე გამოვედი, სიტყვა არ დამიძრავს, ერთი საათის შემდეგ კი უკვე რუსეთისაკენ მიმავალი მატარებლის კუპეში ვიჯექი. მთელი გზა არიადნას რატომღაც ორსულად წარმოვიდგენდი და მეზიზღებოდა. ის კი არა, ვაგონსა ან სადგურში თუ ვინმე ქალი დავინახე, რატომღაც ყველა ორსული და საზიზღარი მეჩვენებოდა. იმ ხარბი, იმ ანგარებიანი კაცის მდგომარეობაში ვიყავი, უცებ რომ აღმოაჩენს, ყველა ჩემი ოქროს თუმნიანი თურმე ყალბიაო. ყველა ის წმინდა, უნაზესი ხატება, რომელსაც ასე დიდხანს ელოლიავებოდა სიყვარულით გამთბარი ჩემი წარმოსახვა, ყველა ჩემი გეგმა, ყველა ჩემი იმედი, ყველა ჩემი შეხედულება ქალსა და სიყვარულზე ახლა ნიშნს მიგებდა და დამცინოდა. თავზარდაცემული ჩემს თავს ვეკითხებოდი, როგორ მოხდა, ეს ჯერ სრულიად ახალგაზრდა, არაჩვეულებრივად ლამაზი, დახვეწილი, ინტელიგენტი ქალიშვილი, სენატორის ასული, ამ არაფრით გამორჩეულ, ყოველგვარ ინტერესს მოკლებულ არამზადას დაუკავშირდა-მეთქი? მაგრამ იმავე წუთს მე თვითონვე ვეწინააღმდეგებოდი ჩემს თავს, გულს ურთიერთსაწინააღმდეგო აზრები მიღრღნიდა: „ვითომ რატომ არ უნდა უყვარდეს, ვითომ ჩემზე ნაკლები რითაა?.. კი ბატონო, უყვარს და უყვარდეს, მაგრამ რატომ ტყუის?“ მერე კი — ვითომ რატომ უნდა იყოს ჩემთან გულახდილი-მეთქი, — მერე ისევ ჩემს თავზე ვბრაზობდი. მანამდე ვიყავი ასეთ ფიქრებსა და განცდებში, ვიდრე არ გამოვთაყვანდი. მართალია, პირველი კლასის ვაგონი იყო, მაგრამ თითოეულ დივანზე სამ-სამი ადამიანი იჯდა, ფანჯრებს ორმაგი ჩარჩოები არ ჰქონდა, კარი პირდაპირ შიგნით, კუპეში იღებოდა და ციოდა. ყველასაგან მიტოვებული და უბედური თავს ისე ვგრძნობდი, როგორც მარწუხებში, ფეხები ყინულივით მქონდა. მიუხედავად ამისა, თვალწინ ყოველ წუთს არიადნა მედგა, როგორი მაცდური, როგორი მომაჯადოებელი იყო თმაგაშლილი, თავის იმ ფლანელის პერანგში! უცებ ისეთმა აუტანელმა ეჭვმა შემიპყრო, გაუსაძლისი სულიერი ტკივილისაგან ფეხზე ისე გიჟივით წამოვხტი, გვერდით მჯდომებმა შეშინებულებმაც კი დამიწყეს ყურება.

შინ რომ ჩამოვედი, სოფელში დიდი თოვლი და ოცგრადუსიანი ყინვა დამხვდა. ზამთარი მიყვარს და მიყვარს იმიტომ, გარეთ ყინვა ქვასაც რომ ხეთქავდეს, სახლში სასიამოვნო სითბოა. კამკამა, თოშჩამდგარ დღეს მოკლე ჭურქსა და ნაბდის ჩექმებში ეზოსა და ბაღში მუშაობას რა სჯობია... რა სჯობია გამთბარ-გაღულუნებულ ოთახში წიგნის კითხვას, მამაჩემის კაბინეტში ბუხრის წინ ჯდომას და საკუთარ

სოფლურ აბანოში ბანაობას! ეგ არის, სახლში დედა, დები, ბავშვები თუ არ ტრიალებენ, თავს როგორღაც უგემურად გრძნობ. ზამთრის ეს საღამოები უსაზღვროდ გრძელი და გაუსაძლისი გეჩვენება. რაც უფრო მეტი სითბო და სიმყუდროვეა, მით უფრო გაუსაძლისია მათ გარეშე. იმ ზამთარს, რა ზამთარსაც საზღვარგარეთიდან [illegible] ბოლოს, დრო განსაკუთრებულად გაგრძელდა და გაიჭიმა. ისე [illegible] ვდადგობდი, წიგნის ხელში აღებაც კი მიჭირდა. დღისით კიდევ არა უშავს, ხან ხეებს ვთოვლიდი ბაღში, ხან ქათმებსა და ხბორებს ვაპურებდი, საღამოობით კი — ვაი იმ გაძლებას!

ადრე სტუმრები არ მიყვარდა, ახლა კი თვალი სულ კარისკენ მეჭირა, ვიცოდი, ვინც არ უნდა მოსულიყო, საუბარი უსათუოდ არიადნაზე ჩამოვარდებოდა. სპირიტი კოტლოვიჩი ახლა ხშირად დაიარებოდა ჩვენთან, ვისხედით და არიადნაზე ვსაუბრობდით. ზოგჯერ თან თავისი მეგობარი — თავადი მაკტუევიც მოჰყავდა. მაკტუევს ხომ არიადნა ჩემზე ნაკლებ არ უყვარდა! არიადნას ოთახში ჯდომა, არიადნას პიანინოს სათითაო კლავიშზე თითის ჩამოკვრა, მის ნოტებში ქექვა თავადს მოთხოვნილებად ჰქონდა ქცეული, უამისოდ სიცოცხლე არ შეეძლო. მით უმეტეს ბაბუა ილარიონის სული კვლავაც დაჟინებით წინასწარმეტყველებდა, რომ ადრე თუ გვიან არიადნა თავადი მაკტუევის ცოლი გახდებოდა. მთელ დღეებს დილიდან შუაღამემდე ჩვენს გვერდით ატარებდა, იჯდა თავისთვის გაჩუმებული, ორ-სამ ბოთლ ლუდს ხმისამოუღებლად შესვამდა და რომ დაენახვებინა, საუბარში მეც ვმონაწილეობდი, მხოლოდ იცინოდა — სევდიანად, ნაწყვეტ-ნაწყვეტად და უაზროდ. წასვლის წინ გვერდზე გამიყვანდა და ხმადაბლა მეტყოდა:

— არიადნა უკანასკნელად როდის ნახეთ? ხომ ჯანმრთელადაა? იქ ალბათ მოწყენილი არ არის.

დადგა გაზაფხული, მიწის მოხვნის და დამუშავების დრო. მალე იონჯისა და საგაზაფხულო ხორბლის თესვის დროც დადგებოდა. მე კი ისევ ისე მოწყენილი დავდიოდი, მაგრამ ახლა ეს გაზაფხულისათვის ჩვეული მოწყენილობა უფრო იყო. მინდოდა შევჩვეოდი დანაკარგს. ხშირად, მინდორში რომ ვმუშაობდი, ტოროლების სტვენას რომ ვუსმენდი, საკუთარ თავს ვეკითხებოდი — იქნებ მოვეშვა პირად ბედნიერებაზე ფიქრს, იქნებ ავდგე და ვინმე გლეხის გოგოზე ვიქორწინო-მეთქი. ერთხელაც, ამ ფიქრებსა და გაცხარებულ მუშაობაში რომ ვიყავი, იტალიურ მარკადაკრული წერილი მივიღე. ან იონჯა ვილას ახსოვდა, ან ფუტკარი, ან ხბორები და ან გლეხის გოგო! თვალის დახამხამებაში ყველაფერი კვამლივით გაილია. ამჯერად არიადნა მწერდა, რომ ძალიან უბედური იყო, მსაყვედურობდა, როცა ყველაზე მეტად გამიჭირდა, დახმარების ხელი რატომ არ გამომიწოდე, რატომ მიმატოვეო? ეს სიტყვები ნერვიულად, მსხვილი ასოებით იყო ნაწერი, ადგილ-ადგილ წაშლილი და მელნით დასვრილი. ამკარად ეტყობოდა, წერის დროს ჩქარობდა და საშინელ განწყობაზე იყო... წერილის ბოლოს მთხოვდა, ჩავსულიყავი და ამ მდგომარეობიდან მეხსნა.

ამჯერადაც თავპირისმტვრევით გავიქეცი. რომში, სადაც არიადნა იმდროისათვის იმყოფებოდა, გვიან საღამოს ჩავედი. დამინახა თუ არა,

მწარედ აქვითინდა და კისერზე ჩამომეკიდა. ისევ ის არიადნა იყო, ისევ ისეთი ქორფა და მომხიბვლელი. მერე ერთად ვივახშმეთ და გართობამდე რომის ქუჩებში ვისეირნეთ. მთელი ამ ხნის მანძილზე თავის ამბებს მიყვებოდა, ენა არ გაუჩერებია. როცა ვკითხე, ლუბკოვი სად არის-მეთქი? — იმ მხეცის სახელი არ მიხსენოთო, — მიბრძანა, — ვერ წარმოიდგენთ, როგორ მეზიზღებაო!

— კი მაგრამ, ხომ გიყვარდათ-მეთქი?

— არასოდეს! თავიდან მეგონა, ორიგინალური კაცი იყო, თან მეცოდებოდა კიდევაც, ესაა და ეს. უტიფარი და თავხედი ადამიანია, იცის, რომ ქალს ეს იზიდავს და მასზე პირდაპირ იერიშით მიდის... მოდი, ნუ ვილაპარაკებთ ლუბკოვზე, ის ჩემი ცხოვრების მხოლოდ სევდიანი ფურცელია. ფულის საშოვნელად რუსეთში წაბრძანდა — ჯანდაბამდეც გზა ჰქონია! ჩემთან დაბრუნება არ გაბედო-მეთქი, — ვუთხარი.

არიადნა ახლა ოტელში კი არა, საკუთარი გემოვნებით ცივად და მდიდრულად მოწყობილ ოროთახიან კერძო ბინაში ცხოვრობდა. ლუბკოვის გამგზავრების შემდეგ არიადნამ ნაცნობებისაგან თორმეტ ხუთი ათასი ფრანკი ისესხა, ისე რომ, ჩემი ჩამოსვლა ახლა მისთვის ნამდვილი ხსნა იყო. ვიფიქრე, სოფელში წავიყვან-მეთქი, ვიცოდი, ენატრებოდა თავისი მიწა-წყალი, მაგრამ იმ სილარიბის, იმ ხელმოკლეობის, ძმის სახლის იმ ჟანგმოდებული სახურავის გახსენებაზე კანკალი იტანდა. სოფელში წასვლა რომ ვუხსენე, შიშისაგან თვალებგაფართოებულმა ხელში ხელი ჩამჭიდა და მითხრა:

— არა, არა, მე იქ მოწყენილობისაგან მოვკვდები!

და აი დადგა დრო, როცა ჩემი სიყვარული თავის უკანასკნელ ფაზაში შევიდა.

— იყავით ისევ ისეთი კარგი, ისევ ისე ძველებურად გიყვარდეთ, — ამბობდა არიადნა და თან ჩემკენ იხრებოდა, — ისეთი ფრთხილი, ისეთი წინდახედული ხართ... გრძნობებს არასოდეს ემორჩილებით, სულ იმაზე ფიქრობთ, შედეგი რა იქნება. ეს კი... იცით, ეს ძალიან, ძალიან მოსაწყენია! გთხოვთ, გეხვეწებით, გემუდარებით, იყავით ალერსიანი!.. ჩემო უანგარო, ჩემო წმინდანო, ჩემო საყვარელო!.. რომ იცოდეთ, როგორ მიყვარხართ!

ასე და ამგვარად, მე მისი საყვარელი გავხდი. ყოველ შემთხვევაში მთელი ერთი თვე გიჟივით ვიყავი, ყველაფერს აღფრთოვანებაში მოვყავდი. გულში იკრავდე ნორჩ, საყვარელ სხეულს, ყოველ გაღვიძებაზე მის სითბოს გრძნობდე, მისი მშვენიერებით ტკბებოდე, ყოველ წუთს გრძნობდე, რომ ის შენია — შენია შენი არიადნა! ამის შეგუება არც ისე ადვილი რამ გახლდათ! მაგრამ თანდათან შევეჩვიე, ჩემს იმ ახალ მდგომარეობას თანდათან შეგნებულად შევხედე. უიპრველეს ყოვლისა, მივხვდი, რომ არიადნას არც ახლა ვუყვარდი. თუმცა, იმის გამო, რომ მარტოობის ეშინოდა, სიყვარული გულწრფელად ეწადა. რაც მთავარია, მე ახალგაზრდა, ჯანმრთელი, ჯანითა და ღონით სავსე ვიყავი, ის კი, როგორც ყველა გულცივი ადამიანი, ცეცხლივით ვნებიანი იყო.

ორივეს თავი ისე გვეჭირა, თითქოს დიდი, მგზნებარე სიყვარულით გვიყვარდა ერთმანეთი...

ხან ნეაპოლში ვცხოვრობდით, ხან რომში, ხანაც ფლორენციაში. ერთი პირობა პარიზშიაც წავედით, მაგრამ იმის გამო, რომ იქ ოდნავ ციოდა, ისევ იტალიაში დავბრუნდით. თავს ყველგან მეულლეებად, მდიდარ მემამულეებად ვაცხადებდით, ხალხიც სიამოვნებით გვეცნობოდა, არიადნას ხომ მართლაც დიდი წარმატება ჰქონდა. იმის გამო, რომ ფერწერას სწავლობდა, ყველა მხატვარს ეძახდა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ამას იფერებდა კიდევაც, მაშინ როცა ნიჭის ნატამალიც არ გააჩნდა. დილით ორ-სამ საათამდე ეძინა. ყავასაც ლოგინში სვამდა და საუზმესაც ლოგინში მიირთმევდა. სადილად სუფრაზე წვნიანი, ლანგუსტები, თევზი, ხორცი, სატაცური და გარეული ფრინველი უნდა ყოფილიყო. ძილის წინ ლოგინში რაიმე გემრიელი, ვთქვათ, ბისტროფი უნდა მიმერთმია, ხოლო შუაღამისას რომ გაიღვიძებდა, პირი ვაშლითა და ფორთოხლით უნდა ჩაეგემრიელებინა. საჭმელს მუდამ სახეშეურევებული, სევდიანი შეექცეოდა.

ამ ქალის უმთავრესი თვისება რაღაც განსაკუთრებული ცბიერება იყო, ყოველ წამსა და ყოველ წუთს თვალთმაქცობდა, მაგრამ არა იმიტომ, რომ ამას საჭიროება მოითხოვდა, არამედ ისე, ინსტინქტურად, იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც, ვთქვათ, ბელურა ჭიკჭიკებს ან, ვთქვათ, ტარაკანა აცმაცუნებს ულვაშებს. თვალთმაქცობდა ყველასთან, ჩემთანაც, ლაქიებთანაც, პორტიესთანაც და, თქვენ წარმოიდგინეთ, უბრალო ნაცნობებთანაც კი. პრანჭვა-გრეხის გარეშე არც საუბარი ჩაივლიდა, არც შეხვედრა. საკმარისია ნომერში მამაკაცი გამოჩენილიყო, სულერთია, ხელზე მოსამსახურე იქნებოდა თუ ბარონი, მაშინვე სახე ეცვლებოდა, სხვა გამომეტყველებას იღებდა, ხმაც სულ სხვანაირი უხდებოდა, სხეულის კონტურებსაც კი იცვლიდა. იმ დროს ჩვენთვის რომ შეგეხედათ, იტყოდით, ამათზე მაღალი წრის, ამათზე მდიდარი ხალხი მთელ იტალიაში არ მოიძებნებაო. არც ერთ მხატვარსა და მუსიკოსს არ გაუშვებდა, მის არაჩვეულებრივ ნიჭსა და მის გაცნობაზე ათასი სიცრუე და სისულელე არ ეთქვა.

— თქვენ ისეთი ნიჭიერი ხართ! — ეუბნებოდა ხმააჟღურტულებული და დამტკბარ-დათაფლული, — იცით, თქვენი მეშინია კიდევაც, თქვენ ხომ ადამიანს მოხარშულს იცნობთ.

ამას მხოლოდ იმიტომ აკეთებდა, უნდოდა ყველა გადაერია, ყველას მომხიბვლელი სჩვეოდა. ეს მისი ცხოვრების აზრიც იყო და მიზანიც. რომ მეთქვა, ამა და ამ ქუჩაზე, ამა და ამ სახლში ერთი კაცი ცხოვრობს, ვისაც შენ არ მოსწონხარ-მეთქი, ნამდვილად გადაირეოდა. რადაც არ უნდა დასჯდომოდა, ყოველდღე ვიღაც უნდა მოეხიბლა, ვიღაც დაეტყვევებინა და ჭკუიდან შეეშალა. ის, რომ მე მისი მონა და მორჩილი ვიყავი, ის, რომ მისი მომხიბვლელობის წინაშე სრულ არარაობად ვიქეცი, ზუსტად ისეთსავე სიამოვნებას ანიჭებდა, როგორსაც ოდესღაც ტურნირში გამარჯვებულები განიცდიდნენ. ჩემი დამცირება მისთვის საკმარისი არ იყო, ღამღამობით ლოგინში ძუ ვეფხვივით გაშხლართული, საბანგადახდილი (მას ხომ ყოველთვის სცხელოდა!) ლუბკოვის

გამოგზავნილ წერილებს მიკითხავდა. ეხვეწებოდა, რუსეთში დაბრუნებულიყო, ეფიცებოდა, შენ თუ არ ჩამოხვალ, ფულის საშოვნელად ვილაცას ან მოვკლავ ან გავძარცვავ და მე თვითონ ჩამოვალო, არიადნას, მართალია, სძულდა ლუბკოვი, მაგრამ მისი მგზნებარე, მონური სიყვარულით სავსე წერილები მაინც აღელვებდა. ის ხომ საკუთარი სილამაზისა და მომხიბვლელობის შესახებ განსაკუთრებული წარმოდგენის გრძანდებოდა! დარწმუნებული იყო, სადმე ხალხმრავალ თავყრილობაზე თვალს მოჰკრავდნენ თუ არა, შენიშნავდენ თუ არა, როგორი დიდებული აღნაგობა და საუცხოო კანი ჰქონდა, მარტო იტალიაში კი არა, მთელ დუნიაზეც გვერდით ვერავის დაუყენებდნენ. მისი ეს გამუდმებული საუბარი თავის აღნაგობასა და კანზე როგორღაც ცუდ გუნებაზე მაყენებდა. ეს რომ შემამჩნია, როგორც კი ოდნავ გაბრაზდებოდა, მე რომ ვეწყენინებინე, პირიდან უამრავ სიბინძურეს და უხამსობას ამოაფრქვევდა. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, ერთხელაც ერთ ქალთან სტუმრობისას უცებ რაღაცაზე გაბრაზდა და გაკაპასებულმა მომახალა: ჩემს ამ ჭკუის სწავლებას თავს თუ არ დაანებებ, ახლავე გავშიშვლდები და ამ ყვავილებზე დედიშობილა გავწვებიო.

ხშირად, როცა ვხედავდი, როგორ ეძინა, როგორ ჭამდა, ანდა როგორ ცდილობდა, გულუბრყვილო გამომეტყველება მიეღო, ვფიქრობდი — ნეტავი რისთვის მისცა ღმერთმა ეს განსაცვიფრებელი სილამაზე, ეს გრაცია და ჭკუა, ნუთუ მხოლოდ იმისთვის, დღედაღამ ლოგინში იგორაოს, ჭამოს, ითვალთმაქცოს და გაუთავებლად იცრუოს-მეთქი? ან იყო კი ჭკვიანი? სამი სანთლისა და ცამეტი რიცხვისა ცეცხლივით ეშინოდა, გათვალვისა სჯეროდა, ცუდი სიზმარი კი თავზარს სცემდა. თავისუფალ სიყვარულსა და საერთოდ თავისუფლებაზე ისე მსჯელობდა, როგორც მორწმუნე დედაბერი, იფიცებოდა, ბოლესლავ მარკევიჩი ტურგენევს ათასჯერ სჯობიაო. ეს კია, ჯოჯოხეთურად ეშმაკი და გონებამახვილი იყო. შეეძლო საზოგადოებაში თავი ისე დაეჭირა, ყველას ძალზე განათლებული და პროგრესული ადამიანი ჰგონებოდა.

მხიარულ გუნებაზე მყოფსაც კი შეეძლო გაემწარებინა მოსამსახურე, ან მოეკლა სრულიად უდანაშაულო მწერი, მისთვის ეს არაფერს ნიშნავდა. უყვარდა ხარების ბრძოლა, უყვარდა მკვლელობებზე ამბების წაკითხვა, მაგრამ განსასჯელი თუ გამართლდებოდა, ბრაზობდა.

იმგვარი ცხოვრებისათვის, როგორი ცხოვრებითაც მე და არიადნა ვცხოვრობდით, ფული ძალზე ბევრი იყო საჭირო და საწყალი მამაჩემიც, თუ კი რამ გააჩნდა, პენსია იქნებოდა თუ თავის ის მცირეოდენი შემოსავალი, ყველაფერს კაპიკ-კაპიკ მიგზავნიდა. ზოგჯერ სესხულობდა კიდევაც. ერთხელაც, როცა ჩემს თხოვნაზე — «non haleo»[1]-ო, მიპასუხა, სასოწარკვეთილმა დეპეშა გავუგზავნე, ვთხოვდი, რახან ასეა, მამული დააგირავე-მეთქი. ესეც რომ არ გამოვიდა, ცოტა ხნის შემდეგ შევეხვეწე, ფული როგორმე ორმაგი გირავნობით მაინც ეშოვნა. ჩემი ეს თხოვნა მამამ ხმის ამოუღებლად შეასრულა. არიადნა კი ამ ყველაფერს აბუჩად იგდებდა, ეს ყველაფერი ფეხებზე ეკიდა. როცა მე ათასობით ფრანკს მისი უაზრო სურვილების დასაკმაყოფილებლად ქარს ვატანდი, როცა ლამის წელში ვწყდებოდი, თვითონ უდარდელად ღილი-

1. არა მაქვს (ლათ.).

ნებდა: «Addio, bella Napoli».[1] არიადნაზე თანდათან გული ავიყარე, ის კი არა, უკვე ლამის მრცხვენოდა ჩვენი ურთიერთობისა. ადრე ფეხმძიძე და მშობიარე ქალებს ვერ ვიტანდი, ახლა კი ბავშვზე ზოგჯერ ვოცხებობდი კიდევაც — ჩვენს ამ ცხოვრებას ბავშვი აღმათ ცოტაოდენ გამართლებას მაინც მისცემს-მეთქი. თავი საბოლოოდ რომ არ შეძძულებოდა, გალერეებსა და მუზეუმებში დავიწყე სიარული, ბევრს ვკითხულობდი, ცოტას ვჭამდი და სძას თითქმის მთლიანად დავანებე თავი.

მოვწყინდი არიადნასაც. სხვათა შორის, ის ხალხი, ვინც მას ახლა გარს ეხვია, სრულიად ჩვეულებრივი, უბრალო ადამიანები იყვნენ, უწინდებურად აღარც ნაირნაირი სალონები იყო, აღარც დესპანთა სიმრავლე და აღარც ფული, რის გამოც არიადნა თავს ძალზე შეურაცხყოფილად გრძნობდა, ეს მას ტირილის გუნებაზე აყენებდა. ბოლოს გამომიცხადა, რუსეთში წასვლის წინააღმდეგი არა ვარო. და აი ჩვენი გამომგზავრების დღეც დადგა. ვიდრე წამოვიდოდით, ბოლო თვეების მანძილზე არიადნასა და მის ძმას შორის გამუდმებული მიმოწერა იყო გაჩაღებული. ჩანს, რაღაც საიდუმლო ჩანაფიქრი ჰქონდა, მაგრამ რა იყო და რას ფიქრობდა, ღმერთმა უწყის. მართალი გითხრათ, უკვე მომბეზრდა მისი ეშმაკური ხრიკები. ბოლოს აღმოჩნდა, რომ სოფელში კი არა, თურმე იალტაში მივდივართ, ხოლო იალტიდან კავკასიაში, და რომ მას თურმე მხოლოდ კურორტებზე შეუძლია ცხოვრება. მე კი, რომ იცოდეთ, როგორ მძულდა ყველა ეს კურორტი, როგორ მრცხვენოდა და სული როგორ მეხუთებოდა! სულ იმას ვნატრობდი, ნეტავი სოფელში წამიყვანა, ჩემს მამულში მომატრიალა, პირზე ოფლგადადენილს ყანაში მამუშავა, ჩემს მიერ ჩადენილი შეცდომები გამომასწორებინა-მეთქი. ახლა მე ძალითა და ღონით ვიყავი სავსე, ასე მეგონა, მთელ ჩემს ძალასა და ღონეს თუ გამოვიყენებდი, ხუთ წელიწადში მამულს გამოვისყიდდი. მაგრამ რუსეთში საქმე კიდევ უფრო გამირთულდა, ვინაიდან ახლა საზღვარგარეთ კი არა, მშობლიურ რუსეთში ვიყავი და მინდოდა თუ არა, კანონიერ ქორწინებაზე უნდა მეფიქრა, თუმცა ჩემს გულში რა ხანია უწინდელი სიყვარულის ხსენებაც აღარ იყო.

მერე თავისი მონაყოლით აღელვებული შოხინი და მე ძირს ჩავედით და ქალებზე საუბარი განვაგრძეთ. უკვე გვიან იყო. მოხდა ისე, რომ მე და ის — ორივენი ერთ კაიუტაში მოვეწყეთ.

— ჯერჯერობით მხოლოდ სოფელში არ ჩამორჩებიან კაცებს ქალები, — ამბობდა შოხინი, — ისინი ისევე აზროვნებენ, ისევე გრძნობენ, კულტურის სახელით ისევე დაბეჯითებით ებრძვიან ბუნებას, როგორც კაცები. მაშინ როცა ბურჟუაზიული წრის ქალაქელი ინტელიგენტი ქალი თავის პირველყოფილ მდგომარეობას უბრუნდება, ახლა იგი სანახევროდ ადამიანი, სანახევროდ მხეცია. მისი წყალობით ბევრი რამ, რაც ადამიანური გენიის მიერ ბრძოლით იქნა მოპოვებული, დაიკარგა. ქალი თანდათან ქრება, მის ადგილს თანდათან პირველყოფილი ძუ იკა-

---

1 მშვიდობით, მშვენიერო ნეაპოლო (იტ.).

ვებს. ინტელიგენტური ქალის ეს რეგრესი სერიოზული საფრთხით ემუქრება კულტურას. თავის ამ უკანსვლაში ქალი ცდილობს მამაკაციც ჩითრიოს, იგი ხელს უშლის მის წინსვლას.

ვკითხე, რატომ უნდა ვიმსჯელოთ ყველა ქალზე მხოლოდ ერთი არიადნას მიხედვით, თუნდაც მარტო მათი განათლებისა და თანასწორუფლებიანობისაკენ სწრაფვა, რასაც მე სამართლიანობისაკენ სწრაფვად აღვიქვამ, განა თავისთავად არ გამორიცხავს ყოველგვარ რეგრესულ მოძრაობას-მეთქი? მაგრამ შოხინმა ახლოსაც არ გაიკარა ჩემი ნათქვამი, იჯდა და მხოლოდ იღიმებოდა. ის უკვე ბოლომდე თავდაჯერებული ქალთმოძულე გახლდათ, მისი გადარწმუნება უკვე შეუძლებელი იყო.

— თუ ღმერთი გწამთ, კმარა, გეყოფათ! — შემაჩერა შოხინმა, — თუ ქალი ჩემში თანასწორ ადამიანს კი არა, ხვადს ხედავს, თუ მთელი თავისი სიცოცხლე მხოლოდ იმისთვის იბრძვის, თავი მომაწონოს ანუ დამეუფლოს, მაშინ რომელ თანასწორობაზე შეიძლება ლაპარაკი? ეჰ, არ დაუჯეროთ, იცოდეთ ძალიან... ძალიან ეშმაკები არიან! ჩვენ, მამაკაცები მათი თავისუფლებისთვის ვიბრძვით, მაშინ როცა მათ სულაც არ სჭირდებათ ეს თავისუფლება, მხოლოდ თავს იკატუნებენ.

— დიიახ, დიიახ... — მესმოდა ძილბურანში წასულს, — ყველაფერ ამაში კი ჩვენს აღზრდას მიუძღვის, ჩემო ძმაო, ბრალი. ქალაქში ქალები მთელი თავისი აღზრდითა და განათლებით იქითკენ არიან მიმართულნი, თავის არსებაში ადამიანი-მხეცი ჩამოაყალიბონ, ანუ ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რათა ხვადს თავი მოაწონონ, იმ ხვადს რაც შეიძლება მოხერხებულად დაეუფლონ. — ამ სიტყვებზე შოხინმა ამოიოხრა. — გოგონები ბიჭებთან ერთად უნდა იზრდებოდნენ, ბიჭებთან ერთად სწავლობდნენ, რათა შემდეგშიც მუდამ ერთმანეთის გვერდით იდგნენ. ქალი ისე უნდა აღზარდო, იმასაც კაცივით შეეძლოს გარჩევა, როდის ტყუის და როდის მართალია, თორემ, მას რომ ჰკითხო, მტყუანი ის არასოდეს არ არის. უპირველეს ყოვლისა, გოგონას აკვნიდანვე უნდა შთააგონო, კაცი შენი კავალერი და საქმრო კი არა, მოყვასია, შენი ტოლი და შენი სწორი. ქალსაც ლოგიკური აზროვნება, განზოგადება უნდა ასწავლო, არ უნდა ჩააგონო, შენი ტვინი მამაკაცის ტვინზე ნაკლებს იწონის, ამიტომაც შეგიძლია გულგრილი იყო მეცნიერების, ხელოვნებისა და, საერთოდ, კულტურის ყოველგვარი საკითხის მიმართო. განა პატარა ბიჭსაც, ქარგალი იქნება, მეწაღე თუ მღებავი, გაცილებით პატარა მოცულობის ტვინი არა აქვს, ვიდრე ზრდასრულ მამაკაცს? მაგრამ ისიც ხომ მონაწილეობს არსებობისათვის ბრძოლაში — შრომობს, სწავლობს, იტანჯება. გარდა ამისა, ქალმა თავი უნდა ანებოს საკუთარ ფიზიოლოგიაზე — ორსულობასა თუ მშობიარობაზე საუბარს. ჯერ ერთი, ქალი ყოველთვე არ მშობიარობს, მეორეც — ყველა ქალი როდი აჩენს შვილს, და ბოლოს — ნორმალური სოფლელი დედაკაცი მშობიარობის წინა დღესაც კი გარჯაშია და ამით არაფერი უშავდება. რაც მთავარია, სრული თანასწორობა უნდა იყოს ყოველდღიურ ცხოვრებაში. თუ კაცი ქალს სკამს სთავაზობს, ანდა დავარდნილ ცხვირსახოცს აწვდის, დაე ქალმაც ამითვე უპასუხოს. საწინა-

ალმდეგო სულაც არაფერი მექნება, რომელიმე კარგი ოჯახის ასული პალტოს ჩაცმაში თუ დამეხმარება ან ჭიქა წყალს მომაწვდის...

ამ სიტყვებზე მე უკვე ჩამეძინა და აღარაფერი გამიგია. მეორე დილას სევასტოპოლს რომ ვუახლოვდებოდით, ცრიალი დღე იყო. დროდადრო ზღვა ღელავდა და ოდნავ გვარწევდა. შოხინი ჩემთან ერთად კაპიტნის ჯიხურში ჩუმად იჯდა და რაღაცას ფიქრობდა. ზარი რომ დაირეკა, პალტოს საყელოაწეულმა მამაკაცებმა და ნამძინარევმა, ფერმიხდილმა ქალებმა ჩაის დასალევად ძირს ჩასვლა დაიწყეს. ერთი ახალგაზრდა, ძალზე ლამაზი ქალბატონი, სწორედ ის, ვოლოჩინსკში საბაჟოს ჩინოვნიკს რომ უწყრებოდა, შოხინის წინ გაჩერდა და ჭირვეული, განებივრებული ბავშვის გამომეტყველებით უთხრა:

— ჟან, შენს ჩიტუანიას ზღვამ აწყინა.

მერე იმ ქალს იალტაში შევხვდი, წინ და უკან თოხარიკი ცხენივით დაქროდა, უკან ყოველთვის ორი ოფიცერი მისდევდა და ძლივს ეწეოდა. ერთ დილასაც, ვხედავ, ფრიგიულ ქუდსა და წინსაფარში გაბოწყობილი ზღვის ნაპირას ზის და საღებავებით ეტიუდს ხატავს. იქვე, შორიახლოს კი ხალხის მოზრდილი ჯგუფი შეგროვილა და მისი ცქერით ტკბება. მერე მოხდა ისე, რომ მეც გავიცანი ის ქალი. ხელი მაგრად ჩამომართვა, აღტაცებულმა შემომხედა და თავისი დათაფლული, ელურტულა ხმით მადლობა გადამიხადა იმ სიამოვნებისათვის, რაც მას ჩემი თხზულებებით მივანიჭე.

— არ დაიჯეროთ, — წამჩურჩულა შოხინმა, — მას თქვენი არაფერი წაუკითხავს.

ერთხელ, ასაღამოებულზე, ზღვის ნაპირას რომ ვსეირნობდი, ხილითა და საუზმეულით სავსე პარკებით დატვირთული შოხინი შემომხვდა.

— იცით, თავადი მაკტუევია აქ, — მითხრა მან გახარებულმა, — გუშინ საღამოს არიადნას სპირიტ ძმასთან ერთად ჩამოვიდა. ახლა ვხვდები, თურმე რაზე ჰქონდა მაშინ ძმასთან მიმოწერა! ღმერთო, — განაგრძო შოხინმა, ცას ახედა და პარკები კიდევ უფრო მაგრად მიიხუტა გულზე, — არიადნასა და თავადს შორის ურთიერთობა თუ მოგვარდა, ესე იგი, მე თავისუფალი ვარ, შემიძლია სოფელში მამაჩემთან წავიდე!

ეს სიტყვები მითხრა და გაიქცა.

მერე უკან მოიხედა და მომაძახა:

— სულებისა ახლა უკვე მჯერა! ბაბუა ილარიონის სულმა, ეტყობა, სიმართლე იწინასწარმეტყველა. ო, ნეტავი კი!

მეორე დღეს იალტიდან გავემგზავრე და არ ვიცი, შოხინის რომანი რით დამთავრდა.

საზიდარზე

ქალაქიდან დილის ცხრა საათზე გამოდიან.

შარაგზა მშრალია, აპრილის მათრობელა მზე ძალუმად აცხუნებს, მაგრამ ტყეებსა და ხევხუვებში ჯერ ისევ თოვლი დევს. დიდი ხანი არ არის, ამ არემარეში გრძელი და პირქუში ზამთარი მძვინვარებდა. და აი უცებ გაზაფხული დადგა. მარია ვასილევნას კი, რომელიც ახლა საზიდარზე ზის და სოფლისკენ მიეშურება, არც ეს სითბო ახარებს, არც ეს მიბნედილი, გაზაფხულის სუნთქვით გამთბარი, გამჭვირვალე ტყეები, არც მინდორში ტბებივით ჩამდგარი გუბურების თავზე შავად აბოინებული ჩიტები, არც ლაჟვარდოვანი უკიდეგანო ზეცა, სადაც, ასე გგონია, საცაა სიხარულით გაფრინდები. აი უკვე ცამეტი წელიწადია მარია ვასილევნა მასწავლებელია, ვინ მოთვლის, რამდენჯერ ჩასულა ქალაქში ხელფასებისათვის. მისთვის მნიშვნელობა არა აქვს, გაზაფხულია, შემოდგომის წვიმიანი საღამო თუ ზამთარი, მას მხოლოდ ერთი რამ სწადია — რაც შეიძლება მალე დაბრუნდეს სოფელში.

ისეთი გრძნობა აქვს, თითქოს უკვე ასი წელია ამ მხარეში ცხოვრობს, ასე ჰგონია, ქალაქიდან სკოლამდე გაჭიმულ ამ გზაზე თითოეული ხე, თითოეული ქვაც კი იცის. აქ არის მისი წარსულიცა და მისი მომავალიც, სხვაგვარ მომავალზე წარმოდგენაც არა აქვს, მისთვის მხოლოდ ეს სკოლა და ეს გზაა — გზა სკოლიდან ქალაქამდე და ქალაქიდან სკოლამდე...

იმ წარსულის გახსენებასაც კი გადაეჩვია, რაც სკოლამდე და ამ ვზამდე იყო — ყველაფერი დაივიწყა. ოდესღაც ჰყავდა დედა, მამა, ცხოვრობდა მოსკოვში, წითელი კარიბჭის მახლობლად, დიდ, უშველებელ ბინაში. მაგრამ მთელი იმ ცხოვრებიდან მის მეხსიერებას მხოლოდ რაღაც გაურკვეველი სიზმარივით ბუნდოვანი შერჩა. ათი წლისა იყო, მამა რომ მოუკვდა, მალე დედაც გარდაეცვალა... ჰყავდა ერთი ძმა, ოფიცერი, და-ძმას თავიდან მიმოწერა ჰქონდა, მერე და მერე კი ძმამ წერილებზე აღარ უპასუხა, ეტყობა, გადაეჩვია. ძველი ნივთებიდან მხოლოდ დედის სურათი შემორჩა, მაგრამ სკოლაში გამეფებული ნესტისაგან ისე იყო გაუფერულებული, თმისა და წარბების მეტი აღარაფერი ეტყობოდა.

სამიოდ ვერსი რომ გაიარეს, მოხუცი მეფორნე სემიონი მარია ვასილევნას მიუბრუნდა და უთხრა:

— ქალაქში ვილაც ჩინოვნიკი დაუპატიმრებიათ, ეგრევე ციხეში მიუბრძანებიათ. ამბობენ, გერმანელებთან ერთად ქალაქის თავის — ალექსეევის მოკვლას აპირებდაო.

— კი მაგრამ, შენ ვინ გითხრა?

— ივან იონოვის სამიკიტნოში მოვისმინე, გაზეთში კითხულობდნენ, — თქვა მოხუცმა და ისევ ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოწვა. მარია ვასილევნა თავის სკოლაზე ფიქრობდა, იმაზე, რომ საცაა გამოცდები

დაიწყება, სკოლიდან ოთხ ბიჭსა და ერთ გოგონას წარადგენს... ამ ფიქრებში რომ იყო, ოთხცხენშებმული ეტლით ხანოვმა ჩაუარა. ეს ის მემამულე ხანოვი გახლდათ, გასულ წელს მის სკოლაში გამოცდები რომ ჩაიბარა. ხანოვმა მარია ვასილევნა იცნო და მიესალმა.

— გამარჯობათ, სახლში მიბრძანდებით?

გვარიანად მოტეხილ, უხალისო გამომეტყველებისა [illegible] ოცდაექვსი წლის ხანოვს მართალია სიბერე დასტყობოდა და საკმაოდ ჯანგატეხილი ჩანდა, მაგრამ ჯერ ისევ ლამაზი კაცი ეთქმოდა და ქალების დიდი მოწონებითაც სარგებლობდა. ცხოვრობდა თავის დიდ მამულში, მარტოდმარტო. ასე ამბობდნენ, არც მსახურობს, არც სახლში აკეთებს რაიმეს, დადის წინ და უკან უსაქმოდ და ან უსტვენს, ან მოხუც ლაქიას ჭადრაკს ეთამაშებაო. იმასაც ამბობდნენ, ბევრს სვამსო. კაცმა რომ თქვას, ის ქალალდებიც კი, გამოცდებზე რომ ჩამოიტანა, ღვინისა და სუნამოს სუნით იყო გაჟღენთილი, მაშინ როცა ყველაფერი ახალი და გაკრიალებული ეცვა. მარია ვასილევნას ხანოვი ძალიან მოსწონდა, მის გვერდით თავს მუდამ უხერხულად გრძნობდა, რცხვენოდა. მიჩვეული იყო, ვინც კი აქ ოდესმე გამოცდაზე დასასწრებად ჩამოსულა, ყველა ცივი, გონებადამჯდარი და ყოვლისმცოდნე ბრძანდებოდა. ამას კი ერთი ლოცვაც არ ახსოვდა. ისიც არ იცოდა, მოწაფისთვის რა შეკითხვა დაესვა. თან საოცრად თავაზიანი და დელიკატური კაცი იყო, განურჩევლად ყველას ხუთიანებს უწერდა.

— მე კი აგერ ბაკვისტასთან მივდივარ, — კვლავ გამოელაპარაკა ხანოვი მარია ვასილევნას, — ამბობენ, შინ არ არისო?

ამასობაში შარაგზიდან სოფლის თემშარაზე შეუხვიეს — წინ ხანოვი მიდის, უკან სემიონი, ოთხცხენშებმული ეტლი ნელა, ზოზინით მიუყვება შარაგზას, ტალახში წინ გაჭირვებით მიიწევს. სემიონი ატალახებულ გზას მხარს უქცევს, ხან ბორცვზე გადავა, ხან მინდორ-მინდორ მიდის, წამდაუწუმ საზიდრიდან ჩამოდის და ცხენებს ეხმარება. მარია ვასილევნა კი ზის და ისევ თავის სკოლაზე ფიქრობს — გამოცდაზე რა ამოცანა მოვა, ძნელი იქნება თუ ადვილი. საერობო სამმართველოზე, ცოტა არ იყოს, გულნაკლულად არის — აი გუშინაც იქ არავინ დაუხვდა, აბა, ეს რა წესრიგია! ორი წელიწადია დარაჯის გათავისუფლებას ითხოვს, დარაჯი კი, გარდა იმისა, რომ არაფერს აკეთებს, უხეშობს და მოსწავლეებს ცემა-ტყეპით იკლებს. თავმჯდომარეს ხომ საერთოდ ვერ დაიჭერ სამმართველოში, რომც დაიჭირო, არა მცალიაო, ლამის ცხარე ცრემლით იტიროს. ინსპექტორია და, სამ წელიწადში ერთხელ თუ შემოიხედა, მაშინაც საქმის ბაიბურში არ არის, ვინაიდან მანამდე საგადასახადოში მუშაობდა, ინსპექტორის ადგილი კი პროტექციით აქვს მიღებული... სასწავლებლის საბჭო, კაცმა არ იცის, სად და როდის იკრიბება... სასწავლო ოლქის მზრუნველიც ხომ დაბახანის პატრონია, ერთი უმეცარი გაგრია, ხეპრე კაცი, დარაჯის დიდი მეგობარი, ისე რომ, ღმერთმა უწყის, ან ცნობა სად უნდა აიღო, ან საჩივრით ვის უნდა მიმართო...

მარია ვასილევნამ ხანოვს შეხედა და — მართლაც ლამაზი ვაჟკაცია, — გაიფიქრა.

გზა კი სულ უფრო გაუვალი ხდებოდა... მერე ტყეში შეიდნენ. აქ კი ველარც გადაუხვევ და ველარც გადმოუხვევ, გზას გვერდს ვერსაით აუქცევ. ბორბლების ღრმა ნაკვალევში წყალი ჭყაპაჭყუპით ჩასდგა, ეკლიანი ტოტები სახეში გცემს.

— რას იტყვით, როგორი გზაა! — ამბობს ხანოვი და იცინის.

მარია ვასილევნას ვერაფერი გაუგია — ახირებული კაცი რომ არ იყოს, ამ ჭუჭყიან, მოსაწყენ სოფელში რა უნდა? ან ფული რაში უნდა გამოიყენოს, ან თავისი ლამაზი გარეგნობა, ან ეს საუცხოო, დახვეწილი მანერები? მიდის ეტლით ამ ოღროჩოღრო, ტალახიან გზაზე და იძულებულია სემიონივით ათასგვარ სიძნელეს გაუძლოს. რა უნდა, რისთვის არის ამ მიყრუებულ სოფელში, როცა შეუძლია, სადაც მოეპრიანება იქ იცხოვროს, გინდ პეტერბურგში და გინდა საზღვარგარეთ? ესეც რომ არა, მდიდარი კაცისათვის ვითომ რა ისეთ სიძნელეს წარმოადგენს, ამ ოღროჩოღრო გზის ადგილას ცოტა რიგიანი გზა გაიყვანოს, არც თვითონ დაიტანჯოს და არც მეეტლისა და სემიონის სასოწარკვეთილ სიფათებს უყუროს? ეს კი დგას და იცინის, კარგ ცხოვრებას არაფრად დაგიდევს, მისთვის ყველაფერი სულერთია. კეთილი კაცია, რბილი, გულუბრყვილო, ამ უკულმართი ცხოვრების არაფერი გაეგება. აქაოდა ვითომ ქველმოქმედებას ვეწევიო, სწირავს სკოლებს გლობუსებს და გულწრფელად სჯერა, რომ საჭირო ადამიანი და სახალხო განათლების ვამოჩენილი მოღვაწე ბრძანდება. ნეტავი ვის სჭირდება მაგის ეგ რალაც გლობუსები!

— ვასილევნა, მაგრად დაჯექით! — ეუბნება სემიონი.

უცებ საზიდარი გვერდზე ისე ყირავდება, გეგონება, საცაა ამოტრიალდება. ახლა ფერდობს უნდა შეუყვნენ, აყალომიწიანსა და ციცაბოს. გზა ერთიანად წყლისგან არის დახრამული, ბორბლების ოღროჩოღრო ნაკვალევში წყალს ჩქაფაჩქუფი გააქვს. ცხენები ფრუტუნებენ, ქშინავენ, წვალობენ, ვერ მიდიან. ხანოვი ეტლიდან გადმოდის, გზის პირ-პირ მიაბიჯებს და პალტოს გრძელ კალთებს ტალახში მიაფართხუნებს. სცხელა.

— ჰა, როგორი გზაა! — ამბობს ისევ ხანოვი და ისევ იცინის, — ამ გზაზე ეტლის დამტვრევას დიდი დრო არ სჭირდება.

— მერედა ამ გზაზე სიარულს ვინ გაძალებთ? — წარბშეკრული ბუზღუნებს სემიონი, — რას მოდიოდით, მჯდარიყავით იმ თქვენ სახლში.

— ეჰ, მომწყინდა, პაპაჩემო, იმ ჩემ სახლში ჯდომა.

მოხუცი სემიონის გვერდით იგი მხნე და ახოვანი ჩანს, მაგრამ მის სიარულში არის რალაც ისეთი, რითაც აშკარა ხდება, რომ უკვე ჯანგატეხილი, ჯანმრთელობა შერყეული კაცია, და რომ დიდი ხნის სიცოცხლე აღარ უწერია. ტყეში უცებ თითქოს ღვინის სუნი დატრიალდა. მარია ვასილევნას შიში იპყრობს და ამ ადამიანისადმი, ვინც, ღმე-

რთმა უწყის, თავს რისთვის ან რატომ იკლავს, გული სიბრალულით ევსება. მისი ცოლი ან და რომ ვყოფილიყავი, სიცოცხლეს გავწირავდი, რათა როგორმე სიკვდილისაგან მეხსნაო, — ფიქრობს. ჰმ, ცოლი ვყოფილიყავიო! ცხოვრება ასეა მოწყობილი, ის აგერ მარტოდმარტოა იმ თავის დიდ მამულში, თვითონ კი აქ ამ გამოყრუებულ სოფელშია და თვითონაც მარტოდმარტო. მაგრამ მხოლოდ იმის გაფიქრებაც, მე და ხანოვს შეგვეძლო ახლობლები და თანასწორები ვყოფილიყავითო, რატომღაც წარმოუდგენლად ეჩვენება. ეს ცხოვრება და ადამიანების ურთიერთობა ისეა გართულებული, ამის უბრალო გაფიქრებაც კი შიშის ზარს სცემს და გული ფანცქალს უწყებს.

— გაუგებარია, — ფიქრობს მარია ვასილევნა, — რატომ აძლევს ღმერთი ამ სილამაზეს, ამ სითბოსა და ამ მშვენიერ სევდიან თვალებს სუსტ, ყველასათვის უმაქნის, უბედურ ადამიანს, ანდა რატომ მოვვწონს ასეთი ადამიანები?

— ჩვენ ახლა მარჯვნივ უნდა გადავუხვიოთ, — ამბობს ხანოვი და ეტლში ჯდება, — მშვიდობით, კარგად ბრძანდებოდეთ!

მარია ვასილევნა კი ისევ გამოცდაზე, დარაჯზე, მასწავლებელთა საბჭოზე, ისევ იმ თავის მოსწავლეებზე ფიქრობს, მაგრამ ქარს მარჯვნიდან უკვე შორს წასული ეტლის ხმაური მოაქვს და ისევ აეშლება წელანდელი ფიქრები. უნდა ისევ ლამაზ თვალებზე იფიქროს, სიყვარულსა და ბედნიერებაზე, რომელიც მას არასოდეს ეღირსება...

ცოლი ვიყოო... დილით ცივა, სკოლაში ღუმელის ამნთები კი არავინაა, დარაჯი სულ სადღაც არის წასული. მოწაფეები დილაადრიანად მოდიან, დარბიან, ხმაურობენ, იქაურობას თოვლითა და ტალახით ავსებენ. ყველაფერი მოუწყობელია, მოუხერხებელი, ყოველგვარ სიმყუდროვეს მოკლებული. მთელ ბინაში მხოლოდ ერთადერთი ოთახია, საძინებელიც ისაა და სამზარეულოც. გაკვეთილების შემდეგ მუდამ თავის ტკივილი აწუხებს, ნასადილევს სძმარავს და გულის კოვზთან ეწვის. მოწაფეებში შეშისა და დარაჯის ფული უნდა შეაგროვოს, მზრუნველს უნდა გადასცეს, მერე კი იმ გამძღარ, გაუთლელ ტეტიას ყელგამოწეული ეხვეწოს, ღვთის გულისათვის, იქნებ ინებოთ და სკოლისათვის შეშა გამომიგზავნოთო. დაწვება და ღამითაც ისევ გამოცდები, გლეხები და თოვლის ნამქერი ესიზმრება. ასეთმა ცხოვრებამ მარია ვასილევნა უდროოდ მოტეხა და დააბერა, ულაზათო, ტლანქი, მოუხეშავი გახდა, ხეული ტყვიასავით დაუმძიმდა. ყველასა და ყველაფერს ერიდება, მმართველობის წევრებისა და სკოლის მზრუნველის თანდასწრებით დაჯდომაც კი რცხვენია, საუბრის დროს მათთვის სახეში შეხედვასაც ვერ ბედავს, რომელიმე მათგანზე თუ ლაპარაკობს, თქვენობით მოიხსენიებს. არც არავის მოსწონს, არც არავინ უყურებს. და გადის ასე ცხოვრება უსიხარულოდ. არც სითბო, არც ალერსი, არც თანაგრძნობა, არც ამხანაგ-მეგობრები... და აი ამ ყოფაში, ერთიც ვნახოთ, ვილაც შემიყვარდა, ხომ წარმოგიდგენია, რა საშინელება იქნებაო, — გაიფიქრა.

— მაგრად, მაგრად დაჯექი, ვასილევნა!

და ისევ ფერდობი... ისევ ციცაბო აღმართი.

მასწავლებლობა მხოლოდ გაჭირვების გამო დაიწყო, ამ საქმის არც სიყვარული ჰქონია, არც მოწოდება. მოწოდებასა და განათლების სიკეთეზე არასოდეს უფიქრია. მთავარი მისთვის მოსწავლეები და განათლება კი არა, გამოცდები იყო. ან კი ეცალა როდისმე, მოწოდებასა და განათლების სიკეთეზე ეფიქრა? მძიმე ჭაპანში შებმულ მასწავლებლებს, ღარიბ ექიმებსა თუ ფერშლებს უფლება ვინ მისცა [illegible] მაინც ინუგეშონ, ხალხსა და იდეას ვემსახურებითო, მათი გონება ხომ დღენიადაგ ლუკმა პურზე, შეშაზე, ცუდ გზებსა და ავადმყოფობაზე ფიქრითაა დაკავებული! მძიმე და აუტანელია მათი ცხოვრება... აუტანელ ცხოვრებას მხოლოდ მარია ვასილევნასავით უენო ვირის მუშა თუ გაუძლებს. ის ნერვიული, მგრძნობიარე ადამიანები კი, რომლებიც საკუთარ მოწოდებასა და იდეაზე ლაპარაკობენ, მალე იღლებიან და საქმეს თავს მალევე ანებებენ.

როგორმე მშრალად და მოკლეზე რომ ევლო, სემიონი ხან მინდორზე გადავიდოდა, ხან გზას გვერდს აუქცევდა და სხვა მხრიდან შემოუვლიდა, მაგრამ იქაც ხან გლეხები არ ატარებდნენ, ხან, მღვდლის მიწაა, და გავლა არ შეიძლებოდა, ხანაც ივან იონოვის მიერ ბატონისგან ნაყიდ ნაკვეთს მიადგებოდნენ, რომელსაც თხრილი ჰქონდა შემოვლებული, და წარამარა უკან დაბრუნება უწევდათ.

ბოლოს, როგორც იქნა, ჩავიდნენ ნიჟნი გოროდიშჩეში. ტრაქტირთან, სადაც ჯერ ისევ თოვლი იდო, ნაკელით მოფენილ მიწაზე, აჯასპის ზეთით სავსე დიდრონი ბოთლებით დატვირთული საზიდრები იდგა. ტრაქტირი მეფორნეებით იყო სავსე, იქაურობა არაყის, თუთუნის და ტყაპუჭების სუნით იყო გაჟღენთილი. ირგვლივ ხმამაღალი ხორხოცი ისმოდა, დირეზე კარი წარამარა ჯახუნობდა. კედლის იქით გარმონს სულმოუთქმელად უბერავდნენ. მარია ვასილევნა იჯდა მაგიდასთან თავისთვის და ჩაის სვამდა. გვერდითა მაგიდაზე ოხშივრითა და სამიკიტნოს ჩახუთული ჰაერით გაბიჟვინებული გლეხები ლუდსა და არაყს შეექცეოდნენ.

— გეყურება, კუზმა!.. ეს რა არი, რა ხდება!.. ღმერთო, შენ მიშველე!.. ივან დემენტიჩ, შემიძლია მე შენ... მოყვარევ, აბა ერთი შეხედე!.. — ისმოდა ერთმანეთში არეული ხმები.

ვილაც ჩიკორა, ტანდაბალმა, სახენაყვავილარმა, კარგა გამობრუჟულმა შავწვერულვაშიანმა გლეხმა უცებ რაღაც შეიცხადა და გვარიანად შეიკურთხა.

— შენ, ეი, რას ილანძღები! — გაჯავრებული გამოეხმაურა მოშორებით მჯდარი სემიონი, — ვერ ხედავ, აგერ ქალიშვილი ზის!

— ქალიშვილი... — გამოაჯავრა ვილაცამ მეორე კუთხეში.

— ნაგავო! — გამოეპასუხა ისევ სემიონი.

— ჩვენ ისე, არაფერი... — დაირცხვინა ტანმორჩილმა გლეხმა, — ბოდიში... ჩვენ ჩვენ ფულს ვიხდით, ქალიშვილი, მაშასადამე თავისას... გამარჯობათ! — მიუბრუნდა იგი მარია ვასილევნას.

— გაგიმარჯოს!

— გულითადი მადლობა მოგვიხსენებია.

იქ მსხდომი გლეხებივით სახეაწითლებული მარია ვასილევნა კი

ჩაის სიამოვნებით შეექცეოდა და ისევ შეშასა და ისევ იმ დარაჯზე ფიქრობდა.

— მოყვარეო, მოიცა! — მოისმა მეზობელი მაგიდიდან, — ეს ხომ ვიაზოვიეს სკოლის მასწავლებელია... ვიცნობთ, როგორ არა! კარგი ადამიანი ბრძანდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წეაიერი.

კარს დირეზე ისევ ჯახუნი გააქვს — ზოგი შემოდის, ზოგი გადის... მარია ვასილევნა კი ზის და ისევ თავის საფიქრალს ფიქრობს. კედელს იქით გარმონს ისევ სულმოუთქმელად უბერავენ. მზის სხივები ჯერ იატაკზე აფენია, მერე დახლზე, დახლიდან კედელზე ინაცვლებს და ქრება. ესე იგი, შუადღე უკვე გადავიდა. მეზობელი მაგიდიდან გლეხები წასასვლელად წამოიშალნენ. ბოლოს ის ტანმორჩილი გლეხიც წამოდგა, ბარბაც-ბარბაცით მარია ვასილევნასთან მივიდა და ხელი გაუწოდა. ამის დანახვაზე გამომშვიდობების ნიშნად ხელი დანარჩენებმაც ჩამოართვეს, მერე კარებში სათითაოდ გაილალნენ და დირეზე კარი ცხრაჯერ დარახუნდა.

— ვასილევნა, აბა მოემზადე! — გასძახა სემიონმა.

და მალე საზიდარი გზას ისევ ზოზინით გაუყვა.

— ამ ცოტა ხნის წინათ იმ თავიანთ ნიჟნი გოროდიშჩეში ახალი სკოლა ააშენეს, — მიუბრუნდა მარია ვასილევნას სემიონი, — ისეთი ცოდვა ჩაუდენიათ, ისეთი, რომ...

— მაინც რაო, რა ცოდვა ჩაუდენიათ?

— ამბობენ, თავმჯდომარემა და მზრუნველმა ათას-ათასი მანეთი ჩაიჯიბეს, მასწავლებელმა — ხუთასი მანეთიო...

— ეე, პაპაჩემო, ათასი მანეთი მთელი სკოლა არ ღირს... არ ვარგა ადამიანების ასე გალანძღვა.

— აბა რა ვიცი, რაც ხალხმა თქვა, მეც ის გავიმეორე...

მაგრამ, აშკარა იყო, სემიონს მასწავლებლის არ სჯეროდა. დიახ, გლეხებს არ სჯეროდათ მარია ვასილევნასი, ისედაც მეტისმეტად დიდ ჯამაგირს იღებს — თვეში ოცდაერთ მანეთს (ხუთიც რომ აიღოს, ურიგოა თუ რა!), თან მოსწავლეებში მოგროვილი შეშისა და დარაჯის ფულის ნახევარსაც თვითონ იდებს ჯიბეშიო. გლეხებს ვინ ჩივის, ზედამხედველიც ამასვე ფიქრობდა და ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი გამორჩენა ჰქონოდა შეშიდან. ის კი არა, უფროსების ჩუმად იმ თავის ზედამხედველობაში გასამრჯელოს გლეხებიდანაც იღებდა.

ტყე, მადლობა ღმერთს, როგორც იქნა, გაიარეს, აქედან ვიაზოვიემდე გზა უკვე ვაკეზე, მინდორ-მინდორ მიდიოდა, აღარც დიდი ხნის სავალი იყო დარჩენილი — ამ მინდორს გადაჭრიდნენ, რკინიგზას გადავიდოდნენ და უკვე ვიაზოვიეში იყვნენ.

— მანდეთ საით მიდიხარ? — უთხრა სემიონს მარია ვასილევნამ, — მარჯვნივ გადი, ხიდზე.

— რათა? აქაც გავალთ.

— შენ იცი, ოღონდ ცხენი არ ჩაახრჩო.

— რად უნდა ჩავახრჩო.

მარია ვასილევნამ შორს, მარჯვნივ ოთხცხენიან ეტლს მოჰკრა თვალი:

— აგერ ხიდზე, მგონი, ხანოვმა გაიარა... ჰო, მგონი, ის არის.

— ჰოო, ის არი. ეტყობა, შინ არ დახვდა ბაკვისტა. არა, მაგ ბენტერას, ღმერთო კი ნუ მიწყენ, შაგრამა, რა უნდოდა, იქით რომ მიეხეტებოდა, აქეთ ხომ მთელი სამი ვერსით მოკლე გზაა.

მერე მდინარესთან მივიდნენ. ზაფხულობით ეს ერთი თავხელი მდინარეა, ისე გახვალ ფეხდაფეხ, ვერ გაიგებ, ის კი, ერა-ეგვიპტეში საერთოდაც შრება. ახლა კი ისე ადიდებულიყო, ექვსი საჟენის სიგანეზე მღვრიე, ყინულივით ცივ წყალს ჩქაფაჩქუფი გაჰქონდა. ნაპირს ბორბლების ახალი ნაკვალევი აჩნდა, ეტყობა, ეს-ესაა ვიღაცას გაევლო.

— აჩუ! — დაჰკივლა ცხენს სემიონმა, გაბრაზებულმა აღვირი მოქაჩა და იდაყვები ფრთებივით აიქნია, — აჩუ!

მდინარეში შესულ ცხენს წყალი ფერდებზე შემოადგა, წუთით შეყოყმანდა, მაგრამ მალე ძალ-ღონე მოიკრიბა და, ის იყო, ნაბიჯი გადადგა, რომ მარია ვასილევნამ ფეხებში ყინულივით ცივი წყლის სისველე იგრძნო.

— აჩუ! — შესძახა იმანაც და წამოდგა.

ბოლოს, როგორც იქნა, გავიდნენ ნაპირზე.

— ღმერთო, რა ჭირი და დოზანაა!.. — ბუზღუნებდა სემიონი და ცხენს მოსართავს უსწორებდა, — ეს ერობა რაღა ღვთის რისხვაა!..

მარია ვასილევნას ფეხსაცმელი წყლით ჰქონდა სავსე. კაბისა და ქურქის კალთები და ქურქის ცალი სახელო ისე იყო დაჟიებული, წყალი წურწურით სდიოდა. ყველაზე სამწუხარო კი ის იყო, რომ ფქვილსაც და შაქარსაც სისველე კარგა გვარიანად გასჯდომოდა. ამ ამბით შეწუხებულმა მარია ვასილევნამ სხვა რომ ველარაფერი მოახერხა, ხელს ხელზე სასოწარკვეთილი ურტყამდა და იძახდა:

— აჰ, სემიონ!.. რა ქენი!.. რა ქენი, სემიონ!..

რკინიგზის გადასასვლელზე შლაგბაუმი დაშვებული იყო: სადგურიდან საფოსტო მატარებელი მოდიოდა. იდგა მარია ვასილევნა დაშვებულ შლაგბაუმთან და სიცივისგან თრთოდა. ვიაზოვიე უკვე ყურის ძირში იყო, უკვე სკოლის მწვანე სახურავი და ეკლესია მოჩანდა. ჩამავალი მზის სხივებზე ეკლესიის ჯვრები ცეცხლისფრად ელავდა. ბდღვრიალებდა სადგურის შენობის ფანჯრებიც, ლოკომოტივიდან ვარდისფერი კვამლი ამოდიოდა...

აი მატარებელიც გამოჩნდა, მზის შუქზე მატარებლის ფანჯრებიც ისე ელავდა, როგორც ეკლესიის ჯვრები. მარია ვასილევნა კი იდგა შლაგბაუმის წინ და გული მტკივნეულად ეკუმშებოდა. პირველი კლასის ერთ-ერთი ვაგონის ბაქანზე მარია ვასილევნამ ვიღაც ქალი დაინახა, ერთი შეხედა და — დედაო! — იყვირა. ღმერთო, როგორ ჰგავდა ეს ქალი დედამისს! დედასაც ასეთი რბილი, ფაფუკი თმა ჰქონდა, ზუსტად ასეთი თავი და ასეთი შუბლი!.. და მარია ვასილევნამ მთელი ამ ცამეტი წლის მანძილზე დედა, მამა და ძმა დღეს პირველად წარმოიდგინა საოცარი სიცხადით. წარმოიდგინა თავიანთი ბინა მოსკოვში, თევზებით სავსე აკვარიუმი, წარმოიდგინა ყველაფერი, სულ უბრალო წვრილმანიც კი, და უცებ როიალის ხმა ჩაესმა. მერე მამის ხმაც გაიგონა. მოეჩვენა, რომ თვითონაც იმ ნათელ, თბილ ოთახში თავისიანებს შორისაა, ისევ ისეთი ახალგაზრდაა, ისევ ისეთი ლამაზი და ლამაზად

ჩაცმულ-დახურული... ერთბაშად სიხარულისა და ბედნიერების გრძნობამ ისე შეიპყრო, აღტაცებულმა ხელისგულები საფეთქლებზე მიიჭირა და მუდარით სავსე ხმით ისევ იყვირა:

— დედა, დედაა!

და რატომღაც ატირდა. სწორედ ამ დროს ოთხცხენშებმული ეტლი მიუახლოვდა და მარია ვასილევნამ მის დანახვაზე თავი იმ ბედნიერ ქალად იგრძნო, როგორიც კარგა ხანია აღარ ყოფილა. ხანოვს ისე ულიმოდა, თავს ისე უკრავდა, როგორც თანასწორს. ასე ეგონა, ეს ზეცაც, ეს ფანჯრებიცა და ეს ხეებიც მისი ბედნიერების შუქით იყო გასხივოსნებული. არც მამა მომკვდარა, არც დედა, არც თვითონ ყოფილა ოდესმე მასწავლებელი, ეს ყველაფერი მხოლოდ გრძელ, კოშმარულ სიზმარში ნახა და ახლა გამოფხიზლდა იმ კოშმარული სიზმრიდან...

— ვასილევნა, დაჯექი.

და უცებ ყველაფერი გაქრა. შლაგბაუმი ნელ-ნელა იწევა, აკანკალებული, სიცივისგან გათოშილი მარია ვასილევნა საზიდარზე ჯდება. ოთხცხენშებმული ეტლი რკინიგზის ხაზზე გადადის, უკან საზიდრით სემეონი მიჰყვება. გადასასვლელზე რკინიგზის დარაჯი ქუდს იხდის და ესალმებათ.

— ესეც ჩვენი ვიაზოვოე, მოვედით.

ამერიკული პოეზია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინგლისურიდან

თარგმნა გიორგი ნიშნიანიძემ

ემილი დიკინსონი

●

მთლიანად მხოლოდ ორჯერ
გავკოტრდი,
ორჯერვე ისიც შავი სამარის
წიალ და ორჯერ მათხოვარივით
ვიდექ ღვთის კართან მიუსაფარი.

ორჯერ მოფრინდნენ ანგელოსები,
ამივსეს კუბო ყველა სიკეთით...
— ყოვლისმყვლეფელო, ბანკირო,
მამავ,
მე უბედური კვლავ დავიქეცი!

●

რაა ხალისი, თუ არა სულის
მიწიდან გაშლილ ზღვაზე
გადასვლა —
გაივლი სახლებს და გაგიტყუებს
მარადისობის სივრცე გზადაგზა.

ალბათ, ჩვენსავით მთებში
გაზრდილი
ვერც მეზღვაური დამემოწმება —
რა დიდი შვება და სიხარული
ახლავს მიწიდან პირველ
მოწყვეტას.

●

მე რო მოვკვდები, გულწითელები
თუკი დაბრუნდნენ კიდევ,
დაუგდე ფინჩხა ჩემს სამახსოვროდ
მათგან ყველაზე წითელს.

არ გაგიკვირდეს, თუ რომ მაღლობა
ვერ გადვიხადო უცებ,
ოლონდ იცოდე, რომ გულმოდგინედ
ვხსნი ჩემს გრანიტის ტუჩებს.

●

ღვთაებრივ ნექტარს ვსვამ არხეინად
ლალის და ოქროს სამწდეურებით,
ამ ტკბილ სასმელთან რაა რაინის
ღვინის გინდ გემო, გინდა
სურნელიც —

ცვარია იგი ველზე ნაპკური,
სუნი უტკბესი და უმძაფრესი
და დღე და ღამე, მთელი ზაფხული,
ვგდივარ ყვავილთა ძვირფას
„კაფეში“.

როცა ვარდების „ფუნდუკებიდან“
გარეთ გამოჰყავთ მთვრალი
ფუტკრები,
მე ისევ „დუქნებს“ ვუბრუნდები და
უფრო მეტს ვსვამ და უფრო
ვბრუვდები.

და როს მხედავენ, თუ როგორ
ვუტევ
სავსე სასმისებს მე გამწარებით,
სერაფიმები ისვრიან ქუდებს
და მეხვევიან გარს წმინდანები.

●

ღონემიხდილი მბჟუტავი სხივი,
ზამთრის დღეებს რომ ნაცრისფრად
ლესავს,
სულს ისე ჩუმად აყენებს ტკივილს,
როგორც საყდარში კვირადღის მესა.

ზეციერია ასეთი წყენა —
ჭრილობის კვალიც არ რჩება
სულში,
ამ გულგრილობის მორევში ცერად
რაღაც აზრიც ჩანს ავი და ქუში.

ამნაირ რამეს ვერავის ეტყვი —
ის უსასობის ბურუსებს ერწყმის,
ვითარცა, კაცის აღქმაზე მეტი,
შეურაცხყოფა მოსული ზეცით.

როცა ის მოდის, ჩრდილი სულს
ნაბავს,
სმენად იქცევა ყოველი ნივთი,
წავა და თითქოს შორეთში, სადღაც
თვალი წამიერ მოჰკარი სიკვდილს.

●

მე ვარ არავინ — შენ, ნეტავ,
ვინ ხარ? —
ნუთუ შენც დღემდე არავინ იყავ?
— კეთილი, მაგრამ ნურავის
ვეტყვით, —
ყველა არავინ იმ ქვეყნად მიჰყავთ.

ვიყოთ მე და შენ ბედის ანაბრად,
კიდევ კარგი რომ არვინ არა
ვართ —
როგორ ადვილად ავცდით ორივე
აურზაურს და დავიდარაბას...

●

სხვები საყდარში მიდიან შაბათს,
მე, როგორც წესი, შინ მარტო
ვრჩები,
ჩიტია ჩემი პატარა ქორო
და ციცქნა ბალი — ტაძარი ჩემი.

სხვებს ძოწისფერი ამშვენებთ რიზა,
მე კი — მარტოდენ ვეფხა ფრთები,
აქ ზარს აროდეს არისხებს მნათე,
მხოლოდ გალობს ... ბინგლიანობით
ჭეტვრები.

მოკლეა წირვა — ცნობილი
მღვდელი —
მაღალი ღმერთი ქადაგებს თავად
და სამოთხისკენ კი არ ვისწრაფვი —
ჩემთვის ნებისად ბალახზე დავალ.

●

სული ხომ თვითონ იწვევს
რჩეულებს
უნატიფესი და უმაღლესი
წრიდან და მერე, როგორც მეუფე,
კეტავს შესასვლელ კარს
სასახლეში —

წყდება მიღება — მაღლა
ფანჯრიდან
უჭვრეტს ჭიშკართან მომდგარ
კარეტებს,
მერე მდუმარედ ფარდაგს
გაშლის და
ნებისად ჯდება ზედ მდუმარედვე.

ერთხელაც თურმე ოქროს დარბაზში
მიიღო ვილაც მდაბიოთაგან
და შეწყდა კიდეც სულის
პარპაში —
უცებ დამუნჯდა და გამოთავდა.

●

სიკვდილ-სიცოცხლეს — ამ ძველ
გიგანტებს —
სძინავთ და მათი არ ისმის ჩქამიც,
წვრილფეხობას კი — სარეკელას
თუ
ფარვანას, ალმა რომ შთანთქა
ლამის —
სწამთ, ბრმა შემთხვევა წარმართავს
საგნებს
და ყველაფერი მთავრდება ამით.

●

მე არასოდეს მინახავს ჭანჭყი
და ზღვასაც ალბათ ოდესმე ვნახავ,
მაგრამ ვგრძნობ, როგორ ჰყვავის
მანანა
და ნაპირს როგორ ეხლება ტალღა.

მე არც ქვეყანა მინახავს ზენა,
არც ღვთისთვის მითქვამს სიტყვა
მცირედი,
მაგრამ მწამს — არის ასეთი მხარე,
თითქოს მიჭირავს ხელში ბილეთიც.

●

ამ წერილს ახლა ვწერ მთელ
ქვეყანას,
მე რომ ერთხელაც არ მომიკითხა,
ბუნების წვრილმან და ლამაზ ამბებს
ყველა შეიტყობს მალე იქიდან.

ის უნდა გახსნან, ალბათ, ხელებმა,
მე ვერასოდეს ვნახავ რომელთაც —
ბუნებისადმი სიყვარულისთვის
ალბათ სათუთად უნდა მომეპყრათ.

●

მე სილამაზემ მომკლა და მიწა
ის იყო მეტკბო როგორც მშობელი,
რომ უცებ გვერდით დამარხეს
ვიღაც,
სიმართლისათვის მოკვდა რომელიც.

„რამ მოგკლა?“ — მკითხა კედელს
იქიდან,
მშვენებამ-მეთქი, ვთქვი
დავრდომილმა.
„მე კი — სიმართლემ, ეს იგივეა,
თურმე ორივე ძმები ვყოფილვართ“.

და მთელი ღამე, ვით გულისსწორნი,
ალარ ვაცლიდით ერთურთს
ლაპარაკს,
ვიდრე ბაგემდე არ მოგვწვდა ხავსი
და სახელებიც არ გადაფარა.

●

კვლავ რა ულმობლად დგას
მარადისი
ყველა ჩემსავით ასგაცრეცილს
სულის წინაშე — ალმასის ყელსაბს
არ დაჰკლებია ერთი ნამცეციც!
ალბათ ვერასდროს ვერ შეიგუებს
ვერც ერთ უმწეო სახეს იქამდის,
სანამ ბოლომდე არ ჩამოადნობს
ნირშეუცვლელი მისი სიფათი.

●

თურმე ტკივილსაც აქვს ერთი
ნაკლი —
მან, მაგალითად, არ იცის, როდის
მოვიდა ქვეყნად, ან ვით ისწავლეს
წუთისოფელში, ვთქვათ, მისი კოდი,

ის არც მომავალს მიელტვის,
რადგან
არა აქვს თურმე თავი და ბოლო —
წარსული მისი — მრუმე ბურანი
და ფაზები და ციკლები მხოლოდ.

●

ჩვენ ტრფობის მთელი კურსი
ვისწავლეთ —
ჯერ გავიარეთ ანბანი, მერე
ზმნები, ფრაზები და ოქროს წიგნი
და ბოლოს თვითონ საკურსოც
ვწერეთ.
მაგრამ ერთურთის თვალებში ისევ
სრულ უვიცობას ვხედავდით
მხოლოდ —
კვლავ ყრმებად დავრჩით —
უცოდველობა
რაღაცას ხომ სჯობს ბოლოს და
ბოლოს.
ვცადეთ, ის მაინც შეგვეტყო
ვინძლო,
რომელმა რა ვერ გავიგეთ, მაგრამ
ვაი, რომ სიბრძნის ფესვი გრძელია
და სხვადასხვაა სიმართლეც, ვაგლახ!

●

სად ნახავთ წიგნზე უკეთეს
ფრეგატს,
ყველა ქვეყანას რომ მოგატარებს,
ან პოეზიის ზღაპრული რაშის
სხვა ვინ მოგაწვდის ოქროს
სადავეს?!
არ უჭირს ზღვა და ხმელეთის მოვლა
არც ღარიბ-ღატაკს თუ ქვეყნის
გლახას —
რა იაფი და მუქთაა ეტლი,
ადამიანის სული რომ დაჰყავს!

●

ის გულგრილობა, მოკვდავი რითაც
არარაობის უკუნეთს ერთვის,
საწუთროს ყველა საოცრებაზე
უდაოდ უფრო მეტია ჩემთვის —
„შინ არ ვარ“ — სხეულს წააწერს
სული,
კარს მოიხურავს — ეს დღე და
ის დღე
და ხალხით სავსე ქუჩას გაჰყვება
ჰაეროვანი ნაბიჯით ციხკენ.

●

აი, ზაფხულზე უფრო ხანმოკლე
რა უნდა იყოს ამქვეყნად, მაგრამ
ცხოვრება უფრო სწრაფად გავიდა,
ყურგახვრეტილი გროშივით გაჰქრა.
სევდა კი, როგორც ჭაბუკი
ზრდილი,
მარტოს არ მტოვებს ღამით თუ
დღისით.
ეჰ, სიხარულიც რომ მძულებოდა,
აქ იქნებოდა დღეს ალბათ ისიც.

●

მე დრო არ მყოფნის
სიძულვილისთვის,
რადგან სიკვდილი, ვიცი, ანაზდად
მომაშთობს სადღაც და მაშინ
მტრობას
ველარ მოვასწრებ მთელ
ქვეყანასთან.
არც სიყვარულს დრო მყოფნის,
მაგრამ
რაკი ნიადაგ უნდა შრომობდე,
მე სიყვარულის ყველაზე მცირე
გარჯაც ჩამითრევს, ალბათ,
ბოლომდე.

●

დე, ითქვას მთელი სიმართლე,
ოღონდ
უნდა როგორღაც გვითხრან
გადაკვრით —
უზენაესი სიმართლის ცეცხლი
არ არის ჩვენი სულის სადაგი.
რომ არ დავბრმავდეთ უცბად
ყველანი,
იგი თანდათან უნდა აენთოს —
პატარებს ელვას გაკვრით უხსნიან
და არიდებენ მის შუქს საერთოდ.

●

თოჯინა გვერდზე გადასდო, საქმრო
როცა მოვიდა, და მეყსეულად
მეუღლისა და ქალის საკმაოდ
რთულ და ღირსეულ საქმეს შეუდგა.

პირველ ღამეს რომ შიშით და
რიდით
და იმედებით არ შეხვედროდა,
გაგრძელდებოდა თამაში მშვიდი
და თოჯინების წყნარი დედობა.

ეძინებოდა უქმად ოქროსაც
მის სულში, როგორც მარგალიტს
ზღვაში,
და სიყვარულის აზრს და
ცოლქმრობას
მარტო მეუღლე იგრძნობდა მაშინ.

●

სიკვდილის შემდეგ პირველი დილა
თენდება ხოლმე დიდის ზეიმით:
შენთვის, სულ მარტო ფუსფუსებ
ტკბილად,
სრულიად მშვიდი და არხეინი, —

ნელინელ ბერტყავ, რაც გულში
დარჩა
და სიყვარულიც განზე გადადე, —
აწ აღდგომამდე არაფერ გარჯას
არა აქვს აზრი და არც გადარდებს.

●

როგორც წუხილი, შეუნიშნავად
ზაფხული უცებ გაჰქრა რატომღაც,
გამოგვეპარა, დაუფიქრებლად
თითქოს გაგვწირა და მიგვატოვა.

ორჯერ ნახადი დუმილი მწუხრზე
უკვე ედება მთებს იისფერად,
თითქოს დაღლილი დედაბუნება
ნაშუადღევის ლანდს ეხიზნება.

მალე ღამდება, მზე გვიან დილით
ოდნავ შელებავს ზეცას ჭიაფრად —
ეს ყურადღება უფრორე ზრდილი
კაცის ხანმოკლე ვიზიტს მიაგავს.

და ასე ჩვენი ზაფხული უფრთოდ,
ხომალდისა თუ გემის გარეშე
უცბად გაგვიქრა და მიიკარგა
მშვენიერების ზღაპრულ მხარეში.

●

მე მყავს უტყვი და მუნჯი მეუფე,
სულ ჩამოვცილდი და დავეუბრე
მისი გულისთვის დღეს და
სინათლეს —
დაღამდება და დღე ჩაგვირაბავს
პალატს, დავწვებით ტახტზე
ერთმანეთში
ვირეანეული
ბიბლიოთეკა
და ერთ-ორ სიტყვას მეტყვის
დილამდე.

თუ მითხრა, დილით ჩემს
ყურთბალიშთან
მოესურვება ცეკვა ქარიშხალს
და დაფდაფები წრეს გადადიან,
ჩემს ზეცას ავსებს ხმები
ფრთოსანთა
და უხორცოთა დასთა ოსანა
მომესმის სულის ლურჯ
გუმბათიდან.

მაგრამ თუ სიტყვაც კი არ მაღირსა,
ფაჩუნიც აღარ მესმის ბალისა,
იმღვრევა ჩემი აზრის სათავეც. —
მამაო, იყავნ ნებაი შენი,
რამეთუ ჩემს თავს მე ვეღარ ვშველი
და ალბათ უკვე სჯულსაც გადაველ.

●

მე კარგად ვიცი — იგი არსებობს —
სადღაც — დუმილში — ცათა
გადაღმა
და თავის დიდ და ნეტარ ცხოვრებას
მალავს ჩვენს ბილწ და ბინძურ
თვალთაგან.

გაელვებაა სულ ერთი წამის —
უნდა ჩასაფრდე და დაუცადო
და ჩაიღვრება სულში სიამე
ასე წმინდა და ასე უზადო.

მაგრამ წამშივე უნდა გაჰკვეთო
სკნელი და გარსი უმხურვალესი
და უნდა ჩადნეს შენი სიამე
სიკვდილის ცივ და უკუნ თვალებში.

რა ძვირი ჯდება წამით გართობა —
ხომ არ დაუშვეს სადმე შეცდომა —
ამ ღვთაებრივმა მწარე ხუმრობამ
ძალზე შორს და ღრმად ხომ არ
შესტოპა?

●

ყურს მჭრიდა ფოთოლთ ცხარე
კამათი,
რეკდნენ ჯაგების მწვანე მიზნები —
ბუნების ფხიზელ გუშაგებისგან
თავი ვერაფრით ვერ დავიხსენი.

ყრუ და უდაბურ გამოქვაბულშიც
ვერ დავრჩი ჩემი თავის ამარა,
უმწეო იყო მთელი სამყარო,
მე რომ ვერ იქნა და ვერ დამმალა.

●

რა დიდებული აზრია მართლაც,
სიამოვნებით მოუხდი ქუდსაც —
ვილაც მოძღვარი თუ სეფე-კაცი
თითქოს ქუჩაში შემოგხვდა უცბად:

მარადიული ბინა გაქვს ქვეყნად,
მაშინ როდესაც უჩუმრად ირგვლივ
ინგრევა დიდი პირამიდები
და სამეფოთა იცვლება ციკლი.

ემილი
ბიბლიოთეკა

●

მიცვალებამდე მე ორჯერ მოვკვდი,
ქვეყანას ორჯერ გამოვესალმე
და მაინც დავრჩი, რომ უკვდავებას
შევგებებოდი როგორც მესამეს. —

ჩემთვის ეს წუთიც, როგორც ის
ორი,
უცხო არის და მიუწვდომელი —
ცას განშორებით გავიგებ მხოლოდ,
ჯოჯოხეთიდან მოვა რომელიც.

●

ელიზიუმი ძალზე ახლოა,
გვერდით, მეორე ოთახში იცდის
ყოველთვის, როცა გულით მოელი
ან ნეტარებას, ან მხოლოდ
სიკვდილს.

რა ძლიერია ადამის შვილი,
ანდა ასეთ დროს რა გული
უძლებს —
კარებთან უკვე ფეხისხმა ისმის,
კარები უნდა გაიღოს უცებ...

ედგარ ალან პო

ყორანი

ერთხელ, ზამთარში, უამურ ღამით,
ჩემთვის როდესაც გარდასულ ჟამის
სქელ ფოლიანტებს ვუჯექ და ლამის
ღაეოსდი ძველი სიბრძნის
წკვარამით,
წამთვლიმა წამით და უმრუმესი
ღამის დუმილში და სიჩუმეში
ნათლად გაისმა კარზე უეცრივ
კაკუნი ფრთხილი და შემპარავი.
ალბათ, სტუმარი მეწვია-მეთქი,
ჰო, ვილაც ფრთხილი და შემპარავი,
მხოლოდ სტუმარი და სხვა არავინ.

ის ღამე ახლაც მახსოვს
თვალნათლივ:
— მინავლულ ცეცხლზე უხმო
ფარფატით
ვით ეყრებოდა ლანდი პალატის
იატაკსა და ჭერს უთვალავი;
დილა ვინატრე გულდაწყვეტილმა,
რაკი ვერ შევძელ ძველ წიგნებიდან
ისეთი რამე ამომეკითხა,
ვინძლო ჩამეკლა გულის ვარამი,
მე ხომ მიყვარდა მარტოდენ
ლენორ —
ის იყო ჩემი გულის ვარამი,
მარტოდენ ლენორ და სხვა არავინ.

უცებ ატლასის ფრია ფარდებმა —
მეწამულ ღრუბლის ორმა
ფარტენმა —
ლანდებთან იწყო აფარფატება
და უმალ გაკრთა აზრი მარადი:
კაცს ღამით თრგუნავს შიში
მეტწილად.
— ალბათ, სტუმარი-მეთქი
მეწვია, —
გავიმეორე, რომ დამეძლია
გაურკვევლობის შიში მზარავი,
გავიმეორე სულაწეწილმა,
რომ დამეძლია შიში მზარავი,
სტუმარი-მეთქი და სხვა არავინ.

ძალა მომეცა, შიშით ნატორი
გულიც აჩქროლდა და სულ სხვა
ტონით
ვთქვი: „ბატონი ხართ თუ
ქალბატონი,
უნდა შემინდოთ, რომ შესაფერი
არა ვარ თქვენი მე მასპინძელი —
დაღლილი მხოლოდ წამით მივწექი
და ვერ გავიგე ხმა, გეფიცებით —
სქელია კარი და დარაბები —
და ამ სიტყვებით მოვაფრიალე
ერთბაშად კარიც და დარაბებიც:
მხოლოდ წყვდიადი, სხვა არაფერი.

ვიდექ შემკრთალი და ვუყურებდი:
ოდენ წყვდიადი და უკუნეთი!
ბოლოს შევეჭვდი: განათე-მეთქი
მართლა გაცოცხლდა სული
ერწმუნებოდა?
შემომეხვია ფიქრი ეჭვიანი,
ვერ მოვითმინე და ეს დუმილი
და მდუმარება ათას მუმიის
მე დავარღვიე ერთი სახელით,
„ლენორ“, წყვდიადში
ჩავიჩურჩულე
ჩემთვის ძვირფასი ერთი სახელი,
მარტოდენ „ლენორ“, სხვა არაფერი.

ბოლოს შევბრუნდი შინ
გულნაკლული,
რომ დამეთრგუნა მანიაკური
აზრი და ისევ ატყდა კაკუნი
უფრო ძალუმად და გამძაფრებით.
— არა, ფიცი და მტკიცი რად
მინდა, —
ვთქვი, — სტუმარია-მეთქი
ნამდვილად,
წელან მეხუმრა და მომატყვილა,
შორს მისტიკა და შორს არაკები! —
დასტურ მაშინვე გავაღე კარი
— შორს მისტიკა და შორს
არაკები! —
მარტოდენ ქარი, სხვა არაფერი.

და უცებ ქუში, როგორც ყომრალი,
შემოდის ფრთების გაუგონარი
ტლაშუნით დიდი, შავი ყორანი,
ძველთა დღეთაგან გადმონაფრენი,
ჰოდა, გარეშე ყველა თავაზის,
ვით სეფე-კაცი ანთუ თავადი
გულგოროზი და ამპარტავანი
დაახტა ბიუსტს როგორც
ქვაფენილს,
ათინას ლამაზ ბიუსტზე დახტა,
ზედ დააფრინდა როგორც
ქვაფენილს,
დახტა და ვითომ აქ არაფერი.

ფრინველმა თავის გონჯი მიმიკით
შემცბარს დამტყუა მალე ღიმილი
და ისე გაჰქრა ის სიმძიმილი,
თითქოს ყველაფერს ყავლი
გასვლოდეს,
ვკითხე: რა გქვია, რას გიწოდებენ
კეთილის მაბრძოლს და მაოტებელს
იქ, წარწყმედილნი სადაც ჰგოდებენ
და უნასები სად უნასობენ?!
ვკითხე: ავბედითს რას გიწოდებენ
იქ, უნასები სად უნასობენ?
ხოლო ყორანმა: „აღარასოდეს“.

მართალი გითხრათ, დია
განვცვიფრდი,
მოჩვენება რომ ბჭობდა კაცივით,
მაგრამ ვერაფრით ჩავწვდი მაცილის
სიტყვას, გაჩხრეკილს ბოლო
ასომდე;
განა სად ხდება ღმერთის წინაშე,
რომ შუალამით რაღაც მირაჟი
გამოგეცხადოს უცებ ბინაში,
ბიუსტზე დაჯდეს და ბაასობდეს,
ყორანი იყოს გინდა მირაჟი,
ბიუსტზე დაჯდეს და ბაასობდეს
და თანაც ერქვას „აღარასოდეს“?

ეს ერთი სიტყვა იყო ყორანის,
ალბათ, გული და სული მყოვარი,
განძი-რამ სისხლით მონაპოვარი
და შეგდებული ბედის სასწორზე,
რაკი მის გარდა არრას ამბობდა,
ბოლოს მე თვითონ ვარქვი
ამბოკარს,
რომ ჩემს სახლს ბევრი მდგმური
ამკობდა
და დღეს კი ჭვრეტენ ცის
დარბაზონებს,
სულ მალე-მეთქი შენც მიმატოვებ,
შენც მიაშურებ ცის დარბაზონებს,
ხოლო მან ბრძანა: „აღარასოდეს“.

ეს სიტყვა-მეთქი ჩემმა ხიზანმა
გაიგო, ალბათ, ვილაცისაგან,
ვინც დაიღალა და დაიზაფრა,
უთუოდ მისგან უნდა ახსოვდეს,
რკინის ჯოხით და რკინის კევრითა
ვისაც მსახვრალი ბედი დევნიდა,
ვისაც გარდახდა ჭირი ბევრი და
ვინც არ დაინდეს და არ დაზოგეს,
ვინც წუთისოფლის [illegible] ამბოხმა
და ახლობლებმა [illegible] დაზოგეს,
ვინც სულ ამბობდა: „აღარასოდეს“.

მან ისევ შემკრა ჯადო-თილისმით,
ისევ გამიწყდა ფიქრის გვირისტი.
— უნდა ჩამოვჯდე ყორნის
პირისპირ,
იქნებ, მივუხვდე ოინბაზობებს,
უნდა გავიგო ასე უგვანი
სახე აღსავსე ოდენ მუქარით
და ეს უნდო და ურცხვი გუგანი
დამცინიან თუ მითანაგრძნობენ,
დიახ, ეს ურცხვი და ეს წუნკალი
თვალები იქნებ მითანაგრძნობენ
ცივი ყრანტალით „აღარასოდეს“?!

სიტყვა არ მითქვამს იმ
იქედნისთვის,
ჩემთვის ქარაგმულ რიცხვებს
ვითვლიდი
და რბილ ხავერდზე ნაღდი
მკვიდრივით
ვიჯექი როგორც მწვანე გაზონზე,
კიდევ კარგი, რომ გველის
ნაშიერთ —
ასეთ ბოროტ და ასე საშინელ
სტუმრებს დარბაზში თუ
წინკარშივე
რბილ სკამ-ლოგინებს არ
თავაზობენ.
კიდევ კარგი, რომ ამ უმსგავსოებს
ასეთ სავარძლებს არ თავაზობენ
და არც ღირსყოფენ აღარასოდეს.

ლურჯად აცურდა უცებ საგნები,
თითქოს უბიწო და უზაკველი
ხელით ნაკმევი ამო საკმევლის
სურნელი ეცა ბერ-მონაზონებს,
ვთქვი: უკეთურო, ჰა, სერაფიმმა
ნელსურნელება მით მოაფინა,
რომ დაივიწყო ის უნაპირო

სევდა. სახელში რაც ჩააქსოვე,
დასძლიო ჭმუნვა, იმ უძვირფასეს
სახელში „ლენორ“ რომ ჩააქსოვე,
ხოლო მან ბრძანა: „აღარასოდეს“.

ისევ ავღელდი; ბილწო ხიზანო,
იქნებ, მაცთურო თუ გულთმისანო,
მე შენი თავი ვინ მომიგზავნა,
ვინ დაგაცილა ბნელ დარბაზონებს?
— ჭირში ნიადაგ იმედს მიველტვით,
მეც ხომ ვიცოცხლებ მხოლოდ იმ
ერთი,
მხოლოდ იმ ერთი სუსტი იმედით,
იმედით-მეთქი ხომ ვისაზრდოებ,
მარქვი, მაცთურო, მხოლოდ იმ
ერთი
იმედით-მეთქი ხომ ვისაზრდოებ?
ხოლო მან ბრძანა: „აღარასოდეს“.

ვთქვი: მოწყალება ერთხელ მოიღე,
გაფიცებ უფალს, არსთა მორიგეს,
რომელს მდაბლად ვცემთ თაყვანს
ორივე
და ყრმობიდანვე დაგვამახსოვრეს,
მარქვი, თუ ჩემი სული ხანდახან
მისწვდება ლენორს გარსთა გადაღმა
და იმ ღვთაებრივ ცეცხლით
დადაღავს,
მიწას რომ ცასთან ათანასწორებს,
თუ სიყვარულის ცეცხლით
დადაღავს,
სხეულს რომ სულთან
ათანასწორებს?
ყორანმა ბრძანა: „აღარასოდეს“.

მაშინ, ბოროტო სულო, გამცილდი,
კვლავ გვაშორებდეს დრო და
მანძილი
და დაუბრუნდი ისევ მაცილის
კარს, უნასები სად უნასობენ,
აღიღე შენი შავი ნისკარტი,
გულს უმოწყალოდ რომ
მისისხლავდი
და განერიდე მიწყივ სიცხადის
ზღვარს და სიზმარეთს მიესასოვე,
განვედ, ცხოვრების ვით
განმკიცხავი
და სიზმარეულს მიესასოვე,
ხოლო ყორანმა: „აღარასოდეს“.

და კვლავ ბიუსტზე შავად მბოლავი,
როგორც ცივი და ქუში ყომრალი
ზის დემონივით შავი ყორანი,
მძორი მეტყველი და მოაზროვნე
და ჩემი სული მისი ლანდისგან,
სულ რომ იზრდება თვალწინ
თანდისთან,
ღამის მრუმეში რომ გადადის და
ავაზასავით წევს და აზმორებს,
იატაკზე რომ წევს და ხანდისხან
ავაზასავით რომ გააზმორებს,
არ განიყოფა აღარასოდეს.

„საუნჯე“ 30 წლისაა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოცდაათი წლის „საუნჯეს“

„საუნჯესა“ და საზოგადოდ, სულიერების ნებისმიერ სხვა კერაზე როდესაც ვფიქრობ, ყოველთვის ერთი ძველი (შესაძლოა, უკვე ბანალურად ქცეული) გადმოცემა მახსენდება ხოლმე: რომაელთაგან დამარცხებული და განადგურების პირამდე მისული იუდეის წინამძღვარი მომხდურთა მთავარსარდალს ვითომ მკვდრეთით აღმდგარი რომ წარუდგა წინ (არადა, მისი „სიკვდილის“ ამბავი მისმავე თანამებრძოლებმა ვაავრცელეს, კუბოში მწოლიარე წინამძღვარი ალყაშემორტყმული იერუსალიმიდან რომ გაერიდებინათ), ერთადერთი სათხოვარი შეჰკადრა: სადმე, რომელიმე პროვინციულ ქალაქში, ერთი უბრალო სკოლა გამახსნევინეო. ბრძენმა წინამძღვარმა კარგად იცოდა თავისი სათხოვრის ფასი: იმდროინდელ იუდეაში არ არსებობდა ძალა, რომაულ ლეგიონებს რომ აღუდგებოდა წინ. ერთადერთი, ყველაზე უტყუარი და საიმედო ძალა ისევ სულიერება, ისევ წიგნიერება და კულტურა იყო.

ეს პირადიგმა თანაბარი უფლებით შეიძლება განვავრცოთ სულიერების ნებისმიერ სფეროზე.

ასეთივე უფლებით შეიძლება მივუსადაგოთ იგი „საუნჯესაც“...

ძვირფასო რედაქციავ!

მადლობელი ვარ, რომ იმ გამყინვარების ჟამს, ერთხანს ჩვენი ცხოვრების თანამდევი რომ გახდა, მაინც შეძელით სულიერების ამ კერის გადარჩენა.

მადლობელი ვარ იმ სითბოსა და თანადგომისთვისაც, რაც არაერთხელ მიგვრძნია თქვენგან.

და ეს მარტო ჩემი სამადლობელი როდია...

ჩვენმა დრომ, ჩვენმა მყიფე და არამდგრადმა სინამდვილემ, სამწუხაროდ, სულ სხვა პრიორიტეტებს გაუხსნა გზა და მხატვრული თარგმანი, ზოგ სხვა სიკეთესთან ერთად, რამდენადმე ჩრდილში მოაქცია.

მადლობა ღმერთს, ზურგის ქარი ჯერ არ ჩამდგარა...

გაივლის დრო და მომავლის მკითხველი, ჭეშმარიტი ლიტერატურის პირუთვნელი დეგუსტატორი, უფრო ხმამაღლა და გაბედულად ილაპარაკებს იმ საშვილიშვილო ღვაწლზე, „საუნჯემ“ (უფრო ადრე კი „ხომლმა“ და „ცისარტყელამ“) რომ გასწია თავისი არსებობის გზაზე.

მსოფლიო ლიტერატურის რამდენი შედევრი, რამდენი მარგალიტი მოაქუჩეთ და ქართული სიტყვიერების, ქართული კულტურის საკუთრება გახადეთ.

მაგრამ ეს წარსულია. წარსულია კი, ცნობილი გამოთქმისა არ იყოს, თქვენ კი არა ხართ, თავად წარსულია თქვენში.

წინ ახალი, ჯერაც გაუკვალავი გზებია.

ღმერთმა სიკეთე და სიხარული ნუ მოგაკლოთ ამ გზებზე.

ჯემალ აჯიაშვილი

დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებ!...

ჩემო კარგებო, ჩემო ძვირფასებო, საუნჯელებო! პირველ რიგში თქვენ გილოცავთ საყვარელი ჟურნალის იუბილეს და შემდეგ ყველა ქართველს, ვისთვისაც დიდი სიამოვნება მიუნიჭებია ამ ჟურნალს.

„საუნჯე" ყოველთვის ბრწყინვალედ ასრულებდა დავისრებულ მისიას — მსოფლიო შედევრების მაღალმხატვრულ თარგმანებს აზიარებდა ქართველ მკითხველს.

„საუნჯის" ყოველი ნომერი უზადოდ იყო მომზადებული თქვენი თავდადებული შრომისა და გარჯის წყალობით. თქვენ შვილივით ეფერებოდით, ელოლიავებოდით და დაჰკანკალებდით თითოეულ ნომერს. გაგიმართლათ კიდეც — „საუნჯე" მკითხველის უსაყვარლესი ჟურნალია!

მე კი ამ ჟურნალთან და თქვენთან სხვა ტკბილ-მწარე მოგონებანიც მაკავშირებს — შოთა ნიშნიანიძე თავისი მოღვაწეობის საუკეთესო წლებად „საუნჯეში" მუშაობას მიიჩნევდა. იყო დრო, როცა გულით მიუხაროდა რედაქციაში, სადაც შესმატკბილებული კოლექტივი ელოდებოდა, შეუფერხებლად გამოდიოდა ჟურნალი, დროულად გაიცემოდა ხელფასი და ჰონორარი.

ის დროც მახსოვს, ტელეფონთან მიმჯდარი შოთა საათობით რომ რეკავდა ხან ფინანსთა სამინისტროში, ხან ხაზინაში. ვილაცას ედავებოდა, თხოვდა, ეჩხუბებოდა, მოითხოვდა თანხის გადმორიცხვას, უბადრუკი ხელფასი რომ მიეღოთ თანამშრომლებს და ორიოდ „კაპიკით" ქაღალდი რომ შეეძინათ ჟურნალის გამოსაცემად.

ვიცი, არც ამჟამად უდგას „საუნჯეს" ნეტარი დღე, მაგრამ თქვენ მაინც გიკიაფობთ იმედის ნაპერწკალი. ნუმც ჩაგქრობოდეთ!..

დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებ „საუნჯეს"!

ვუსურვებ, არ მოჰკლებოდეს ქართველი მკითხველის ინტერესი, სიყვარული და თქვენი მზრუნველი ხელი!

თამარ ჩიჯავაძე

სახელოვანი ოცდაათი წელი

აგერ უკვე ოცდაათი წელია დღიდან დაარსებისა მოუთმენლად ველი ხოლმე ჟურნალ „საუნჯის" ახალი ნომრის გამოსვლას. ჩემთვის ის ცოცხალ არსებაზე მეტიც კია, ზოგჯერ ახლობელ მეგობარზე უფრო ახლობელიც. მავიწყებს ყველა დამტანჯველ წვრილმანს, ყოველგვარ საზრუნავს, მთელ პრობლემებსაც. „საუნჯესთან" თავს მარტოსულად არასოდეს ვგრძნობ, თუნდაც ნაღვლიან, ტრაგიკულ სამყაროში შემიტყუოს, მაინც მიზიდავს, მაინც სიამოვნებას მგვრის, კიდეც მამხნევებს, ეს შემთხვევით როდია. ჩემი ლირიკული დამოკიდებულება „საუნჯის" მიმართ აიხსნება მისი ფართო და ღრმა შინაარსით, აკადემიურობითაც, გემოვნებით შერჩეული შინაარსით.

ერთია ის, რომ „საუნჯის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული მსოფლიო ლიტერატურის შედევრთა თარგმანები ქართული ლიტერატურის საგანძურში შევიდა, მაგრამ ამავე დროს თვით თარგმანთა წყალობით კიდევ უფრო მდიდრდება და იხვეწება ჩვენი მშობლიური ენა.

მადლობა „საუნჯის“ რედაქციის შესანიშნავ თანამშრომლებს, რომ ამ მღელვარე, ქაოსურ, პოლიტიკური ბატალიებით გარემოცულ ქვეყანაში შეინარჩუნა სიმტკიცე და თავის ჟურნალს ოცდაათ წლისთავს უხდის არც მარტო მის მიერ განვლილი წარმატების აღსანიშნავად, არამედ იმ რწმენით, რომ მეტი ენთუზიაზმით განაგრძობს ბრძოლა ინტელექტუარული და კულტურული აღმავლობისთვის.

ციალა თოფურიძე,

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენის და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზღვარგარეთელი ლიტ.-ის კათედრა.

ჩემო „საუნჯევ“!

ჩემო „საუნჯევ“! შენ ჩემთვის ის გულკეთილი, ლმობიერი, გულისხმიერი და ამავე დროს ჭკვიანი, გემოვნებიანი და მომთხოვნი მასპინძელი იყავი, რომლის სტუმრობაც ყოველთვის მიხაროდა და მეამაყებოდა. შენ კულტურის ის დიდი კერა ხარ, სადაც მთარგმნელთა თაობები აღიზარდნენ. შენი წყალობით ეზიარებოდა და ეზიარება ქართველი მკითხველი მსოფლიო ლიტერატურის შედევრებს. შენ ყოველთვის ხელგაშლილი ხვდებოდი ახალბედა თუ გამოცდილ მთარგმნელებს, რადგან იცოდი მხატვრულ სიტყვად გარდასახულ ზოგადსაკაცობრიო იდეალების ფასი.

შენ რაღაც აბსტრაქცია კი არა, გონიერი და ლიტერატურაზე შეყვარებული ადამიანების გუნდი ხარ, რომელმაც საქართველოსათვის იმ ავბედით წლებში უამრავ გაჭირვებას გაუძლო, მაგრამ ფარხმალი არ დაუყრია, და არც საკუთარი თავისთვის უღალატნია და არც თავისი ერთგული მკითხველისათვის.

ამ ადამიანების წყალობით, შენ ისევ აგრძელებ შენს საქმიანობას და ისევ იბრძვი მაღალი იდეალების დასამკვიდრებლად!

შენთან რომ შემახვედრა, ამისათვის დიდად ვემადლიერები ბედს; ვამაყობ, რომ ჩემი პირველი თარგმანები სწორედ შენს ფურცლებზე დაიბეჭდა, რომ სწორედ შენ მაძლევდი ბიძგს ჩემი შემოქმედებითი საქმიანობისათვის.

ჩემო „საუნჯევ“! გილოცავ იუბილეს; მიხარია, რომ კვლავ ცოცხალსა და ჯანმრთელს გხედავ! დაე, დიდხანს არ მოკლებოდეს შენი მადლიანი ხელი ქართველ მთარგმნელებს, შენი მადლიანი სიტყვა კი — ქართველ მკითხველებს, რომელთაც უყვარხარ და მარად ეყვარები! დარწმუნებული ვარ, შენ რომ არა, ბევრი შემოქმედი ცხოვრების

ორომტრიალში უკვალოდ ჩაიკარგებოდა. შენ კი ისევ გვამხნევებ და გვიხმობ!

გეხვევი და გკოცნი, პატივისცემით შენი

ნანა გოგოლაშვილი.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერმანული ენის კათედრა.

დიადი დინასტიის უღირსეულესი მემკვიდრე

ამ რთულსა და გაუსაძლის ყოფაშიც კი დროის ჩარხს ისე სწრაფად უბრუნია, რომ ჩვენი იუბილარი — „საუნჯე" — უკვე ოცდაათი წლისაც კი მოყრილა... სიბრძნის ზღურბლისთვის გადაუბიჯებია... თუმცა, არც იმის დავიწყება ეგების, რომ იგი იმთავითვე „ვუნდერკინდად" დაიბადა და სამყაროს ნებისმიერი ქვეყნისა და ხალხების შედევრებს მშობლიურ ენაზე ნიჭიერად და უხვად გვაწვდიდა.

იგი რამოდენიმე ათასწლეულის (დარწმუნებული ვარ, რომ ქრისტემდელ საქართველოშიც არსებობდა მთარგმნელობითი ხელოვნება, რაც ისტორიის მსახვრალი ხელით განადგურდა!) მთარგმნელთა დინასტიის შთამომავალია...

აკი სწორედ ამ დინასტიის უდიდესმა წარმომადგენლებმა გვაზიარეს წმინდა წიგნებს, საგალობლებს, ფილოსოფიურ თხზულებებს, ერთი სიტყვით, მრავალთუმრავლეს სასულიერო და საერო ლიტერატურას.

ყოველივე ამის მიუხედავად, უნდა ითქვას, რომ ჩვენი იუბილარი, ჩვენი „საუნჯე" მათი უღირსეულესი მემკვიდრეა.

ამ ხელოვნების განვითარების ხელშემწყობნი თუ შემოქმედნი სამწუხაროდ, დღეს ზეციურ საქართველოში ბრძანდებიან და მათი ხსოვნის წინაშე ადამიანური ვალი არ მოვიხადო, არ ეგების, ხოლო ისინი, ვინც დღესაც შეუძლებელს შესაძლებლად აქცევენ და იღვწიან, ღმერთმა უნდა გადაარჩინოს... ხოლო ხელისუფლებამ ამ თავმოდრეკილ, მაგრამ ამაყ ხალხს, ვინც წმინდა მამების მსგავსად, საკუთარ კედლებში, მხოლოდ წყალითა და პურით, არ ღალატობს დიახაც საქვეყნო საქმეს, კეთილი თვალით უნდა შეხედოს და ყოველმხრივ ხელი შეუწყოს.

იუბილე იმედის საწინდარიცაა.

გავხედოთ ხვალინდელ დღეს იმედის თვალით.

ნუ მოგვიშალოს უფალმა იმედი...

გივი შაჰნაზარი

„საუნჯე" პირდაპირი მნიშვნელობით

რამხელა დრო გასულა. თანაც რა სწრაფად. დროში კი არა, მართლაც აბობოქრებულ ზღვაში ვიცხოვრეთ. ხან რა საეჭვო ბუნების ადამიანები გვმწყემსავდნენ, ხან რა ბუნებისა. დიახაც, ამ ადამიანების ბუნებას აყოლილთ გამოვიარეთ ეს ამოდენა გზა.

ძველი აღარ ვინდომეთ. დავანგრიეთ და ქვეშ დავეტანეთ. თურმე დანგრევასაც ცოდნა უნდა. დაპირებებისა და იმედების კორიანტელში

ვიბორიალეთ. ჩვენი ყოფნა სურამის ციხის შენებას დაემგვანა. იქ ერთი ადამიანის ჩატანება გახდა საჭირო. დღევანდელი სურამის ციხე თითქოს მთელი ერის ჩატანებას ითხოვს. ვითომ ვაშენებთ, ვაშენებთ, ვაშენებთ... ბოლო კი არა ჩანს.

პოეტის თქმისა არ იყოს, რას იტყვის ჩვენზე შთამომავლობა?

ჩემი ფიქრით, ბევრს ვერაფერს კარგს. უწინარესად დაგვიწუნებს არაერთსულოვან ეროვნულ ძალისხმევას. იტყვის, რომ ცხოვრების საზოგადოება უფრო ვიყავით, ვიდრე ადამიანების საზოგადოება. და ამიტომაც არა ერთხელ აღმოვჩნდით უფსკრულის პირას ან იქნებ უფსკრულშიაც. იტყვის, რომ ჩვენს მაღალფარდოვან ლაპარაკს თან არასოდეს ახლდა შესაბამისი მოქმედება, რის გამოც წინ კი არ ვიარეთ, ღობე-ყორეს ვაწყდებოდით და ვაწყდებით. იტყვის, რომ ბუნებისგან სამოთხედ შექმნილ ქვეყანაში ვიღაც-ვიღაცათა ფუჭგონიერების შედეგად ჯოჯოხეთურად მოგვიხდა ცხოვრება, სხვათა ხელის შემყურე ერად დავრჩით, რადგან ცარიელი თავისუფლების მსხვერპლად ვიქეცით.

თუმცა შთამომავლობა იმასაც იტყვის, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში იყვნენ ისეთი ადამიანებიც, მხოლოდ პირადი ქონებრივი სიმდიდრის დამგროველთაგან განსხვავებით, რომელთათვისაც მუდამ უპირველესი იყო მამული, ენა და სარწმუნოება. სწორედ ამ მცირერიცხოვან ადამიანთა მიერ, როგორც იტყვიან, წვითა და დაგვით შექმნილი და დანატოვარი იქცევა იმ დვრიტად, რომელმაც უნდა შეადედოს მომავალი საქართველო, დღეს ესოდენ მართლაც ბრინჯივით დაბნეული.

ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ ქართული აზროვნება მხოლოდ და მხოლოდ ქართულ ენაზეა დამყარებული. ქართულ ენას კი ამჯერად, ამ იმიჯმენტ-მენეჯერობისა თუ იმიჯმეიკერობის ხანაში, ისე უჭირს, როგორც თვით ხანგრძლივი მონღოლობისა თუ არაბობის ხანაშიც არ გასჭირვებია.

სწორედ ამიტომაც შთამომავლობა უთუოდ გამოარჩევს და პატივს მიაგებს იმ ადამიანებს, ვინც მამულის გადარჩენის გზას უწინარესად ქართული ენის ჭირისუფლობაში ხედავდა. ქართული ენის ჭირისუფლობა კი როგორც ქართული ნააზრევის ქართულად გამოხატვას, ისე დღევანდელი მსოფლიოს ნაგონებარის ქართულად გადმოტანასაც გულისხმობს, რამეთუ კარჩაკეტილობას უცილოდ დაღუპვისკენ მიჰყავს ენა. ოღონდ, როცა კარჩაკეტილობის სიავეზე ვლაპარაკობთ, არც ნამეტანი კარღიაობის სიავე უნდა ვიგულმავიწყოთ.

მჯერა, შთამომავლობა დასტურ ამ თვალთახედვით შეაფასებს „საუნჯეს“, რომელიც აგერ უკვე რამდენი ათეული წელიწადი აცნობს ქართველ მკითხველს მსოფლიო ლიტერატურას. აღრე ხან „ხომლი“ ერქვა, ხანაც „ცისარტყელა“, მაგრამ ბოლოს ნამდვილ სახელწოდებას მიაგნო.

დღეს უკვე თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ჟურნალი „საუნჯე“ მხოლოდ რამდენიმე ეროვნული საქმისთვის თავგამოდებული ადამიანის იმედადღა არის დარჩენილი. სინამდვილეში უპატრონოა. ჟურნალი, რომელიც გუშინ ერთ-ერთი მრავალტირაჟიანი გამოცემა იყო, დღეს სამასი ცალიღა იბეჭდება. აღარც სახელმწიფო, აღარც ახალი ფეოდალური ქართველობა მწერლობისკენ და, კერძოდ, ქართული პერიოდი-

კისკენ აღარ იყურება. რა ვქნათ, ბატონო, საბაზრო ეკონომიკაა, ყველამ თავის თავს უნდა მოუაროსო. კი ბატონო, მოუაროს, მაგრამ თუკი ყველა ჩვენგანის შრომითა და ოფლით შედგენილი ქვეყნის ბიუჯეტი ქვეყნისავე არცთუ მცირერიცხოვან ბიუროკრატიულ აპარატს სულ უფრო და უფრო მზარდი ანაზღაურებით აპურებს, რატომ არ შეიძლება, რომ თუნდაც ამ გარდამავალ ხანაში, სანამ ქვეყანა ასე თუ ისე ფეხზე დადგებოდეს, მცირეოდენი ქართულ მწერლობასაც და ქართულ მხატვრულ პერიოდიკასაც მოვუტეხოთ? მერე რა ვუყოთ, თუ ეს არც ამერიკაში ხდება და არც რომელიმე სხვა კონტინენტზე? ან იქნებ ხდება კიდეც და ჩვენ არ ვიცით? თუ მსოფლიო ბანკი არა გვრთავს ამის ნებას? ესპანეთში, მაგალითად, ვიცი, რომ საგანგებო ფონდებია შექმნილი, როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადოებრივი, ესპანური კულტურისა და ესპანური ენის მხარდაჭერისა და განვითარების მიზნით. ის კი არა, 65 წლის შემდეგ ყველა ესპანელისთვის, უფრო სწორად, ესპანელი მოქალაქისთვის, უფასოა ყველა სასურველი პერიოდული გამოცემა, აგრეთვე ყველანაირი წამალი, ფასისდა მიუხედავად, აგრეთვე მკურნალობა და ტრანსპორტი. პენსია, რასაკვირველია, თავისთავად იგულისხმება. ბარემ ცნობისთვის იმასაც აქვე ვიტყვი, რომ ესპანეთი მაინცდამაინც მდიდარ ქვეყნად არ ითვლება. ცხადია, ესპანეთის ხელისუფლებისთვის აშკარაა, რომ თუ ჩაკვდება ესპანური კულტურა და ესპანური ენა, დიდი სერვანტესის ენა, თვით ესპანეთი, როგორც ქვეყანა, გინდ ყოფილა გინდ არა.

როგორც ადამიანების უმუშევრობაა დიდი ეროვნული დანაშაული, ასეთივე დანაშაული და დიდი უბედურებაა ქართული სიტყვისა და ქართული ენის უმუშევრობა. მით უმეტეს, დღეს, როცა მწვანე ბანკნოტში „შეფუთულმა" ინგლისურმა ენამ თანდათან აშკარად დაიწყო ქართული ენის „გაუფასურება". ასეთი მდგომარეობა თვით რუსული ენის მოძალების დროსაც კი არ ყოფილა. თუ ასე გაგრძელდა, ქართული ენა მალე ინგლისურის მხევლად გადაიქცევა, მხევლის მდგომარეობა კი ყველას კარგად მოგეხსენებათ.

ამჟამად, როცა ხალხს მხოლოდ საშოვარზე უჭირავს თვალი, როცა კითხვისთვის თითქმის აღარავის სცხელა, გულს იმედით მივსებს ის ამბავი, რომ ახლა უკვე ორ თვეში ერთხელ გამომავალი „საუნჯის" სამასივე ცალი გამოსვლისთანავე იყიდება. და ის სამასივე მკითხველი, რომელთაც ნამდვილად პირდაპირი მნიშვნელობით ესმით ჟურნალის სახელწოდება, ჩემს ცნობიერებაში ოდესღაც საქართველოსთვის თავგანწირული, მხოლოდ ქართულად მოლაპარაკე სამასი არაგველის გვერდით დგება.

გურამ გოგიაშვილი.

მეც მიცხოვრია არკადიაში

გერმანულიდან

თარგმნა ზაზი ფანჯიკიძემ

... მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს დრო შემომელია და იქაურობას დავემშვიდობე. ეს იყო შემოდგომაზე. ბუჩქებს შემპალი კენკრა სცვიოდა და ცხვრები თავქვე მოუყვებოდნენ ბორცვებს, შემცივნებულნი და დამშეულები, რადგან ქარს იალაღებიდან ბალახი წამოეხვეტა და კბოდეებზე მიმოეფანტა. ჩამავალი მზის ორი სხივივით ვერცხლისფრად ალაპლაპებულ ლიანდაგებზე შემდგარმა მატარებელმა აქედან წამიყვანა. საზღვარს ღამით მივადექით. მებაჟეებმა ჩემს ბარგს ყადაღა დაადეს და როცა მის გამოხსნას ჩემი ფულით შევეცადე, ამიხსნეს, აქ სხვა ვალუტა გადისო. სამწუხაროდ, ჩემს სამშობლოსა და სხვა ქვეყნებს შორის სავალუტო ხელშეკრულება არ იყო დადებული და ჩემს ფულს ამიტომ არ ჰქონდა არავითარი ღირებულება.

მაგრამ მხნეობა არ დამიკარგავს. პირველივე ქალაქში, ბევრი გულისხმიერი ადამიანი გავიცანი. ისინი როგორც შეეძლოთ დამეხმარნენ და სულ მალე ერთ ფაბრიკაში დავიწყე მუშაობა. მერე კი გზათა მშენებელ ფირმაში გადავინაცვლე. გაზაფხული იდგა და პირველი გზა, რომელიც ვიხილე, საოცარი აღმოჩნდა, ფართო და მშვენიერი, უმძიმეს ტრანსპორტს რომ უძლებდა და ზღვამდე გადიოდა. ოღონდ ზღვა აქედან შორს იყო, იქამდე მრავალი დასახლებული პუნქტი უნდა გაგევლო, პატარ-პატარა ქალაქებიც და დიდებიც. მათ შორის ერთი საერთაშორისო ცენტრიც ერია. მემატიანეები ვარაუდობენ, იგი ძველი ბაბილონის ნანგრევებზე უნდა იყოს აშენებულიო, მაგრამ მისი აწმყოს შემხედვარეს ნებისმიერი სავარაუდო ისტორია ულიმლამო და უმნიშვნელო მეჩვენებოდა.

და აი, ამ ქალაქმა ხელი ჩამჭიდა და აღარსად აღარ გამიშვა, რადგან რასაც კი წამოვიწყებდი, ბირჟაზე ვითამაშებდი, მანქანებს ავაგებდი თუ პლანტაციებიდან მეტი მოგების მილებას შევეცდებოდი, ყველაფერს ისეთი წარმატება მოსდევდა თან, ვერასოდეს რომ ვერ წარმოვიდგენდი. ჩემი სახელი პირველად რომ მოხვდა გაზეთებში, ჯერაც განუცდელი ბედნიერება ვიგრძენი და მტკიცედ გადავწყვიტე აქ დავრჩენილიყავი. ახლა ნებისმიერ დროს შემეძლო ზღვაზე წასვლა, მაგრამ ვერ ვახერხებდი, რადგან ახალ-ახალი დაპირებები, ახალ-ახალი დავალებები მქონდა შესასრულებელი, რომლებსაც იმიტომ ვკისრულობდი, რომ ერთხელ მოპოვებული ადგილი საბოლოოდ დამემკვიდრებინა.

ზოგჯერ, საღამოობით, დაღლილ-დაქანცული გავსულვარ ქალაქიდან გასასვლელ გზაზე, ზღვისკენ რომ მიემართებოდა, ჩემი ღრმა და-

ღლილობიდან. და ბედის მორჩილებიდან. იმ უცნობი ზღვის ხატი გამომიხმია და ძილ-ბურანში ჩავძირულვარ, შორეთისა და უკიდეგანო ცისკენ თვალმიპყრობილი, დასალიერს ზღვასთან ერთად რომ კვეთს, მერე გარინდებიდან გამოფხიზლებული უკან დავბრუნებულვარ და თავი დამირწმუნებია, რომ ზღვაზე წასვლას ყოველთვის [illegible], იმ მომენტში კი ეს მოგზაურობა ისეთს ვერაფერს შემძენდა, რაც უკვე არ მქონდა მოპოვებული.

წლები მოდიან და მიდიან, ადამიანებიც მიდი-მოდიან, მე კი დროეამიც და ადამიანებიც კეთილი თვალით მიმზერენ და მეც მზის ქვეშ ჩემი ადგილი მაქვს დამკვიდრებული.

ახლა კი რამდენიმე დღეა, მაინცდამაინც იმ წუთებში, მისთვის რომ არა მცალია, ჩემს ყურს სწვდება ფლეიტის ხმა, ქარით ნაწყვეტ-ნაწყვეტ მოტანილი მელოდია, სიშორისგან მიმქრალი ძახილი და ასე მგონია, იგი შემოდგომისგან შეფერადებული ბორცვებიდან მოედინება და განთიადისას მოკრიალებული ზეცის ლაჟვარდს ერწყმის. ან იქნებ ეს იმ ზანზალაკების წკარუნია, ხეობისკენ დაძრული თეთრი ცხვრების ბუჩქნარში შესვლისას რომ ისმის. ან იქნებ ეს იმ ვერცხლისფერი სხივების ლიანდაგის ზუზუნია, ნაკადულის პირას შეყუჟული ქოხებისკენ რომ მიემართება, იქიდან პირდაპირ მზის დისკოს ერთვის, მას კი დიდი დაბინდული სადგურივით შინ, ზეცაში მიპყავს ყველა მატარებელი?

აქ ზოგჯერ მეკითხებიან, რაშია ჩემი წარმატების საიდუმლო. მე კი გეტყოდით, რომ ზღვამდე მისვლასაც შევძლებდი, წყალზეც და ხმელზეც აღვბეჭდავდი ჩემს სახელს, სიცოცხლის დასასრულს შინ დაბრუნების იმედი თუ მექნებოდა, მწყემსები, მშობლიური ბორცვები და ნაკადულები ჩემი მონაპოვრის ფასს თუ გაიგებდნენ და სათანადო პატივს თუ მომაგებდნენ, მაგრამ საქმე ისაა, რომ აქაური და იქაური ვალუტა ერთმანეთს არ შეესაბამება და როგორც წავედი, უკან ისეთივე ღარიბი დავბრუნდებოდი, თან ოდნავ უფრო დაბერებული და დაღლილი და ალბათ ძალა აღარ მეყოფოდა გაჭირვებისთვის გამეძლო.

და, აი, ახლა ჩემს ყურს ისევ სწვდება ქარისგან გაძლიერებული მელოდია, იგი შიშისმომგვრელად ახლოსაა, ამ ძახილს ვერ წაუყრუებ და ასე მგონია, იგი ჩემი გულიდან მოედინება, გული კი სადღაც ჩემს თავზემოთ ძგერს, თითქოს მოცახცახე მკერდზე შემოდგომის ბორცვები დამწოლოდეს, მოკრიალებული ზეცა კი ჩემში ლამობდეს შემოჭრას და მოკვლას მიპირებდეს. ან იქნებ ეს იმ ზარის წკარუნია, თან რომ დავატარებ, როცა ჩემი მონატრება წლევანდელი წითელ-წითელი, მწიფე ნაყოფის მოსაკრეფად ბუჩქნარს მიაშურებს? ან იქნებ ეს ჩამავალი მზის შუქზე აელვარებული ლიანდაგების გრუხუნია, ნაკადულის პირას მიყუჟულ ქოხთან რომ მიმიყვანს, იქიდან კი პირდაპირ მზის დისკოსკენ გამტყორცნის, რომელიც უზარმაზარი, დაბინდული სადგურივით ყველა მოხეტიალეს შინ, ზეცაში ისტუმრებს?

შენიშვნები

Ingeborg Bachmann. Auch ich habe in Arkadien gelebt.

In: Ingeborg Bachmann. Ausgewählte Werke in drei Bänden, Band 2, Erzählungen, Aufbau-Verlag. 1987.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩემი ფრინველი

გერმანულიდან

თარგმნა **დავი ფანჯიკიძემ**

ასედაც ხდება: უდაბური სამყარო ჩვენი
კვლავ იძირება საღამოს ბინდში,
ტყეები ბანგს მას განუმზადებენ
და იმ კოშკიდან, ყარაულმა რომ მიატოვა,
დაჟინებით და აუღელვებლად
ჩამოგვცქერიან ჭოტის თვალები.

ასედაც ხდება: შენ კარგად იცი ჟამი შენი,
ჩემო ფრინველო, ჩამოიფარებ შენს პირბადეს
და ნისლში ჩემსკენ გამოფრინდები.

ჩვენ ვუთვალთვალებთ ხროვით ასე წალეკილ არეს,
შენ ჩემი ხელის დაქნევაზე მოფრთხიალდები
და აიქოჩრავ ბუმბულს და ნაკრტენს —

ფოლადისფერო მეგობარო, მხარზე მაზიხარ
და იარაღი, რაც გამაჩნია
იმ ბუმბულით არის შემკული. და რომ იცოდე
სხვა სამკაულს არც მივიკარებ, შენი ბუმბულით
მოქსოვილი პირბადის გარდა.

თუმცა წიწვების რიალში ხის ქვეშ
კანი მეწვის.
წელამდე მწვდება ბუჩქნარი ხშირი,
ფოთლის სურნელით ჩემს შეცდენას ასე რომ ლამობს.

და როცა ქარი დალალს შემირხევს,
როცა სინესტეს უკვალოდ შთანთქავს,
ამ თმებზე მაშინ დამაცვივა ვარსკვლავთ ნამქერი.

მე თუმცა კვამლის მუზარადი მახურავს თავზე,
მაინც ვუწყი, რა ხდება ირგვლივ,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფრინველო ჩემო, შენ ღამეულო ჩემო მფარველო,
თუ აღმაფრენა მეწვევა ღამით
ბნელ არემარეს ტკაცანი შეძრავს
და გამოკვესავს ნაპერწკალი ჩემი არსიდან.

თუკი შემრჩება ეს აღმაფრენა
და ცეცხლსაც ისევ თუ ვეყვარები,
სანამდე ხის ტანს მოეონავს ბდვილი,
ჭრილობებს ნამავს და დედამიწას
თბილ ნართში ახვევს.
(თუნდ ღამღამობით ჩემს გულს ძარცვავდე,
ჩემო ფრინველო, რწმენის ფრინველო,
ერთგულების ფრინველო ჩემო!)

კვლავ სინათლეში მოექცევა ჩვენი სამზერი,
რომელსაც უკვე ვნებადამცხრალი
დიდებული შენი სიმშვიდით შეაფრინდები.
ჰო, ასეც ხდება.

ლექსები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარგმნა სიღოვან ნარიმანიძემ

ციკლი წიგნიდან „სატურა“

* * *

მე მოვაბნიე ფანჯრის რაფაზე,
ადრეულ დილის კონცერტისათვის —
ბეღურებისთვის მცირე საკენკი,
შუქი ჩავაქრე,
დალამების ვარ მოლოდინში.
აი, გამოჩნდა ღამის ბინდში მათი აჩრდილი,
ვისაც ოდესღაც შევხვედრივარ მე ცხოვრებაში:
ჩემთა ძვირფასთა, მეგობართა, ყველა ნეტართა,
ყველასი, დიდთა და პატარათა,
ვინც მიყვარდა და ვინც არ მიყვარდა...
იმათში ვარჩევ ჩემს უძვირფასესს
სახეებს, მარად ვინც შერჩა ხსოვნას.
ო, რომ შემეძლოს, ბევრ იმათაგანს,
გავაცოცხლებდი ცხოვრებაში დასაბრუნებლად,
და არასოდეს არ მივცემდი მიზეზს წყენისას.
სულ არ შეცვლილან იქაც ისინი,
უსპეტაკესნი დარჩნენ კვლავაც საიქიოშიც.
ცხოვრებაში ხომ ბევრად უფრო შესამჩნევია,
ქვეყნის და ხალხის სახეცვლილება.
ჩვენ ხომ ყოველი დღე სიცოცხლის
იმგვარად განვვლეთ,
რომ შეგვებილწა დედამიწა უღირსი ქცევით...

* * *

სახურავზე ზის ღაბუა ჩიტი,
ის პატარა მტრედს მოჰგავს რატომღაც,
ქოჩორს უვარცხნის ნიავი ნელი,
სარკმელის იქით დაინახო სრულად, ძნელია.
როდესაც ახლად გაწვიმებულზე
დააკვირდები ამ პატარა ჩიტს,
ესაა თითქმის ყველაფერი,
რაც ჩვენ გვახარებს,
მაგრამ მას ახლავს მწუხარებაც რაღაც სხვაგვარი,
მეტად ძნელია რომ გაუძლოს
კაცმა ამ წუხილს.

ამ ჩიტს რომ ვუმზერ, ასე მგონია,
ესაა სრული ბედნიერება,
თუმცა მრავალმა არც იცის იქნებ,
თუ რა უყოს ამ ბედნიერებას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

მომხიბლავო პატარა არსებავ,
მწერს რომ გეძახის ყველა სახელად,
და გაუგებარია, რატომ?
დალამებისას, აივნის ბინდში,
როს ვკითხულობდი წინასწარმეტყველს,
ისევ გამოჩნდი ჩემს გვერდით, თუმცა,
უსათვალოდ ვიყავი და ვერ შეგამჩნიე,
სწორედ ამიტომ, უსათვალომ, ვერც შენ შემნიშნე.

* * *

უსათვალოდ და უანტენოდ
პატარა ქინქლა მიაფრიალებს
თავის სუსტ ფრთებს და,
ფიქრობს ალთქმაზე, მას რომ აწვალებს,
არვინ კი იცის, რა არის იგი...
ბნელი ღამეა, იელვებს სადღაც.
არც ქარიშხალი, მხოლოდ სადღაც მეხი დაეცა,
მერე ბუნება ისევ დამშვიდდა.
ნუთუ შენ ისე სწრაფად წახვედი,
რომ არსად ჩანხარ,
გაქრი სიტყვის და სალმის გარეშე?
ანდა სად გქონდა საუბრის დრო და ხასიათი!

* * *

უსიერი ტყე იფარავდა სანატორიუმს,
იქ პალატაში მომაკვდავი ესვენა ქალი,
ქალი, რომელსაც თითქოს უნდა პასუხი ეგო
სიცოცხლის დიდი სიყვარულისთვის.
ირგვლივ ყველაფერს მოწყენილი ნაზად უმზერდა,
განჯინაში კი ჭრიჭინა მღერდა.
ტყიდან გუგულიც სევდიანად მოიმღეროდა,
ნაცნობი იყო ყველაფერი და ახლობელი.
მას ამ წუხილში გაახსენდა ინდონეზია,
იქაც ესმოდა სიმღერები, — განგების ხმები,
იქაც ტყე, იქაც მომხიბლავი მოწყალების და,
იქაც პალატის იქით ჩიტი გალობდა ტყეში.
მცირე მაგიდა, ტელეფონი, ალბომიც იქვე,
უცხო ფრინველით მოხატული იმზირებოდა.
რაღა თქმა უნდა, მეც იქ ვიყავი,
და ჩვენ ყველანი მას ვამშვიდებდით,
მაშინ, როდესაც მისგან გვსურდა ჩვენ დამშვიდება,
ჩვენი თვალით რომ შეეხედა სამყაროსათვის.

* * *

შენ ჩემს ხსოვნაში სიკვდილი ახლოს არ გეკარება.
შენი ძაღლებიც დაიხოცნენ, მოკვდა ექიმიც
ფსიქიატრი, თვითონაც გიჟი.
და მისი დედაც მოკვდა, წავიდა.
ბრინჯისაგან და ბაყაყისგან დამზადებული
კერძიც — მილანის საოცრება, — გადაგვავიწყდა,
და მამაშენიც დავივიწყე, დილა-საღამოს,
პორტრეტიდან რომ მამოწმებდა საგულდაგულოდ.
ჩემს ხსოვნაში კი
შენ სიკვდილი ვერ მოგერია...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გასვენებისას, მოშორებით მოვდევდი კუბოს,
ცრემლსა და ნაღველს რომ დავმალოდი,
ღრმად ჩავიმალე ტაქსის კუთხეში.
და ამ ცხოვრებას თითქოს უკვე აზრი არ ჰქონდა, —
ბაზარს საქვეყნო ამაოების,
და მით უმეტეს მსოფლიო წყლულებს, —
ადამიანებს მგლებად რომ აქცევს,
ჩემთვის უკვე აზრი არ ჰქონდა...
ჩემს გონებისთვის მიუწვდომელი
მსოფლიო იყო სუფთა დაფა,
მოჩანდა მხოლოდ შავი წერტილი,
და ეს წერტილი შენ იყავ მხოლოდ...

წლის დასასრული

მთვარიდან, ანდა, თითქმის მთვარიდან
ვუცქერ პლანეტას, ჩვენს დედამიწას,
ფილოსოფიით, პოლიტიკით, საღვთისმეტყველო
დებულებებით, ხელოვნებით, პორნოგრაფიით,
თვით მისტიკური მეცნიერებით,
კიდევ მრავალი მეცნიერებით
სავსეს სრულიად.
აქ ამავე დროს არის ხალხიც,
და რა თქმა უნდა,
მეცა ვარ აქ და
ყველაფერი მიყვარს ძალიან.

დღეს, შუალამის წყვდიადიდან ახალი წელი
შემოვა ჩვენთან მაშხალებით, აფეთქებებით,
ორობის ყიჟინით, ათასგვარი ჯურის ამქრებით,
და თუ კი ახლა იღუპება სადმე ვილაცა,
ჩვენ ყველას გვინდა, რომ ის იყოს სხვა,
და არა ვინმე ჩვენიანი.
ასე ჯობია ალბად, თავის მოტყუებისთვის.

პაულო კოელიო

ალქიმიკოსი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა გურამ გოგიაშვილმა

წინასიტყვა

რუსული გამოცემისთვის

გამომცემლობა „სოფიას“ მიერ დასტამბული „ალქიმიკოსის“ ჩემთვის გამოგზავნილმა ცალეულმა გულწრფელად გამახარა. თავგამოდებული მკითხველები რუსეთში არა ერთი და ორი წელიწადი ცდილობდნენ წიგნის დამოუკიდებლად გავრცელებას — იყენებდნენ ინტერნეტს, ერთმანეთს ხელიდან ხელში გადასცემდნენ წიგნად აკინძულ ხელნაწერს ანდა სულაც ფოტოასლს ამზადებდნენ ტექსტისას, რომელიც ახლა ხელთ გიჭირავთ. ერთი სიტყვით, რაღაც-რაღაც მიზეზთა გამო დღემდე ვერ ხერხდებოდა „ალქიმიკოსის“ წიგნის ბაზარზე ჯეროვნად გატანა.

ბოლოსა და ბოლოს გამოჩნდა გამომცემლობა, რომელმაც თავს იდო ამ წიგნის დაბეჭდვა, ყველა სიძნელეს სძლია და ხელი მიჰყო რუსეთის ბაზარზე „ალქიმიკოსის“ საქმიანად გავრცელებას. საკვანძო ცნება, რაც საფუძვლად უდევს მწყემს სანტიაგოს გზა-გზა სიარულზე თხრობას, არის „საკუთარი ბედის“ ცნება. მერედა, რა არის ეს საკუთარი ბედი? რა და, ჩვენი დანიშნულებაა, გზაა, უფლისგან განმზადებული აქ, ამ სოფელში, დედამიწაზე. მუდამჟამს, როცა კი რაღაცას ვაკეთებთ და ჩვენს საქმეს სიხარული და სიამოვნება ახლავს, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ-ჩვენს საკუთარ ბედსა ვდევთ. მაგრამ ვაი რომ ყველას არა ჰყოფნის ამ გზაზე შედგომის ვაჟკაცობა, რათა თავის საწუკვარ ოცნებას ეწიოს.

რატომ არის, რომ სუყველას არ უსრულდება თავისი გულისთქმა, თავისი მურაზი და ოცნება?

ამას ოთხი დაბრკოლება უშლის ხელს. პირველი ის არის, რომ ადამიანს ადრეული ბავშვობიდანვე ჩააგონებენ, ცხოვრებაში ყოვლის უმეტესად რის მონიაზეც ხარ, უბრალოდ განუხორციელებელიაო. ადამიანიც ამ აზრით იზრდება და სულს, ყოველ განვლილ წელიწადთან ერთად, აურაცხელი ბრმარწმენა და ელდა უღუდუდებს, სულ ერთიანად, დანაშაულის გრძნობა უმსჭვალავს და ერთხელაც დგება ისეთი დრო, როცა ყოველივე ამისა გამო საკუთარი ბედის მიყოლის

სურვილი ერთგვარად ცხრება, მდოვრდება, და ადამიანს ეჩვენება, რომ საბოლოოდ დაკარგა თვიასი უზენაესი დანიშნულების შეგრძნება. თუმცა სინამდვილეში, რასაკვირველია, სულაც არ დაუკარგავს და ისევ კვლავინდებურად უღვივის სულში.

თუკი ადამიანს მაინც ეყო ვაჟკაცობა სულის წიალდან თავისი ოცნების ამოსაზიდად და არც კიდევ ამ ოცნების ხორცშესასხმელად ბრძოლაზე თქვა უარი, მაშინ მომდევნო განსაცდელი ელის: სიყვარული. მან იცის, ცხოვრებაში რის მიღწევას ანდა რის გამოცდას ისურვებდა, მაგრამ შიშნეულობს, ვაითუ ჩემიანებს გული ვატკინო და საბოლოოდ ვექცე, უკეთუ ყველაფერს თავს მივანებებ და ჩემს ოცნებას ავედევნებიო. ეს იმას ნიშნავს, ადამიანს არ ესმის, რომ სიყვარული არ არის დაბრკოლება, ის ხელს არ გვიშლის, პირიქით, ხელს გვიწყობს წინ სვლაში. და ვისაც ნამდვილად კეთილი სურს ამ ადამიანისთვის, ის მუდამ ხელს აღუპყრობს, გაუგებს და უმეოხებს კიდეც სიყვარულის გზაზე შემდგარს.

როცა ადამიანი შეიგნებს, რომ სიყვარული დაბრკოლება კი არა, თანადგომაა გზად მავალისთვის, ახლა მესამე წინააღმდეგობა იჩენს თავს: ხელის მოცარვისა და მარცხის შიში. ვინც თავისი ოცნების გულისთვის იბრძვის და რაღაც არ გამოსდის, ის სხვათა უმეტესად იტანჯება, ვინაიდან უფლება არა აქვს, რომ გაწბილებულმა თავი იმართლოს, რა ვუყოთ, მაინც და მაინც ძალიან არც მინდაო. სინამდვილეში ძალიანაც უნდა და ესმის, რომ ყველაფერს საფრთხე დაემუქრა, ისიც ესმის აგრეთვე, რომ ს ა კ უ თ ა რ ი ბ ე დ ი ს გ ა ნ განსაზღვრული გზა ისევე ძნელი და რთული სავალია, როგორც სუყველა დანარჩენი, ოღონდ, ამ დანარჩენისგან განსხვავებით, ის გზა „ზედ გულზე გადის“. ამიტომ ნ ა თ ლ ი ს მ ხ ე დ ა რ ს მოთმინება მართებს, რაც ესოდენ აუცილებელი რამ არის ცხოვრების ძნელბედობათა ჟამს, და არცროდის არ უნდა იგულმავიწყოს, რომ სრულიად ს ა მ ყ ა რ ო უმართავს ხელს, რათა თავის საწადელს ეწიოს, თუნდაც ყოვლის უფრო გამოუცნობი გზით.

ვიცი, მკითხავთ, ნუთუ მართლა აგრე აუცილებელია მარცხიო?

აუცილებელია თუ არა, მარცხი ათასგვარია და ხდება, ვერსად გავექცევით. როცა ადამიანი თავისი ოცნებებისა და სურვილების ხორცშესასხმელად ეს-ეს არის ბრძოლას იწყებს, გამოუცდელობისა გამო უამრავ შეცდომას უშვებს. მაგრამ არსებობის აზრიც სწორედ ის არის, რომ შვიდჯერ წაიქცე და რვაჯერ წამოდგე ფეხზე.

ეგრე თუაო, მეტყვით, რაღატომ უნდა ვდიოთ ჩ ვ ე ნ ს ბ ე დ ს, უკეთუ ამის გამო სხვა დანარჩენთა უმეტესად უნდა ვიტანჯოთო?

რაღატომ და, ოდეს სუყოველ წარუმატებლობა-რიალსა და მარცხს უკან მოვიტოვებთ — ბოლოსა და ბოლოს უცილოდ მოვიტოვებთ — სრული ბედნიერების გრძნობა დაგვეუფლება და გაცილებით მეტად მივენდობით საკუთარ თავს. სულის შიგნიშიგან აკი გვჯერა კიდეც, რომ ღირსნი ვართ, თუკი არაჩვეულებრივ რასმე მოვეწევით. ჩვენი ცხოვ-

რების ყოველი დღე, ყოველი საათი სახელოვანი ბრძოლის ჟამია. ცოტას დღეს, ცოტას ხვალ და ასე თანდათან ვისწავლოთ სიცოცხლის თითოეული წამის ხალისიანად აღქმას და შეტკბობას. ძლიერი ვაება და ვაი-ვაგლახი, რაც იქნებ ანაზდეულადაც დაგვატყდეს, უფრო მალე გადის, ვიდრე ნაკლები რამ ჭირი, უფრო მეტად ბრსაბმენი რომ გვეჩვენება: ეს ვითომცდა ცოტა ჭირი, ცოტა უბედურება მყოვარ ჟამს გრძელდება, წლობით არ გვანებებს თავს, ნელი-ნელ შეუმჩნევლად გვიღრღნის სულს, სანამ მჭმუნვარების მოურეველი გრძნობა საბოლოოდ შიგან არ ჩაგვისახლდება, და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე გვიმწარებს წუთისოფელს.

ამრიგად, როს ადამიანმა სულის ძირისძირიდან ამოიწვადა თავისი ოცნება და თავისივე სიყვარულის ძალას მრავალი წელიწადი ასაზრდოებინა, თანაც, ბარემ ესეც ვთქვათ, ამ თავისი სანუკვარი ოცნების ასახდენად გადატანილი უმძიმესი ბრძოლის შედეგად გულზე გაჩენილი არცრა ნაჭრილობევი შეუმჩნევია და არცრა ნაიარევი, უცებ ხედავს, რომ რაც აგრერიგად ხანგრძლივ ენიაზებოდა, უკვე სულ ახლოა და სადაც არის, სულაც იქნებ ხვალ, ხორცს შეისხამს. სწორედ ამ დროს ელობება მრავალჭირგადანახადს ბოლო დაბრკოლება: შიში მთელი თავისი ცხოვრების ნალოლიავები ოცნების ასრულების წინაშე.

როგორც ოსკარ უიალდი წერდა, „ადამიანები ყოველთვის იმას ანგრევენ, რაც ყველაზე ძალიან უყვართ", ეს მართლაც ასეა. იმის შესახებ, რომ მთელი ცხოვრების ნაოცნებარი, ცოტაც და, აუხდება, ადამიანს ხანჟამისად დანაშაულის გრძნობით უვსებს სულს. თავის გარშემო ეს ადამიანი მრავალ ოცნებააუხდენელსა და მიზანმიუღწეველს შემზერს, და ერთგვარად დარცხვენილი ფიქრობს, იქნებ არც მე ვარ რისიმე ღირსიო. ადამიანს ავიწყდება, რამდენი რამ გადაიტანა, რამდენ ტანჯვას გაუძლო, რა მსხვერპლი აღარ გაიღო თავისი ოცნების გულისთვის. მე ბევრი შემხვედრია თავისი ბედის ბეჯითად მიმდევარი ადამიანი, რომელთაც ცხოვრების ნანინანატრ მიზნამდე ორიოდ ნაბიჯიღა დარჩენოდათ, მაგრამ ბოლო ჟამს უამრავი სისულელე ჩაუდენიათ და იმ ზედ მომდგარ მიზნამდე ვეღარ მისულან.

ოთხივე დაბრკოლებიდან ყველაზე უფრო ვერაგი, ეს დაბრკოლებაა, ვინაიდან სიწმინდის ერთგვარი რამ ელფერი ახლავს — უკვე თითქმის თავწყალგასული, გაფონილი კაცი სანატრელის აღსრულებასაც ეუარება და გამარჯვების ნაყოფსაც. და მხოლოდ როცა შეიგნებს ადამიანი, რისთვისაც აგრე მგზნებარედ ვიბრძოდი, დიახაც ღირსი ვარ იმისაო, მაშინღა იქცევა უფლის ხელში საჭურველად, და აქ, ამსოფლად ყოფნის აზრსაც ძირისძირობამდე სწვდება.

ამ ყველაფერზე, ოღონდ სიმბოლურად, მოგვითხრობს რომანი „ალქიმიკოსი".

პაულო კოელიო

2000 წლის ივლისი.

წინათქმა

ჩემს მოვალეობად ვრაცხ მკითხველისთვის წინასწარ ამის შეტყობინებას, რომ „ალქიმიკოსი“ სიმბოლური წიგნია და სწორედ ამით განსხვავდება „ჯადოქრის დღიურისგან“, სადაც არც ერთი სიტყვა სიცრუე არ არის.

ალქიმიის შესწავლას ჩემი სიცოცხლის თერთმეტი წელიწადი მოვანდომე. რაგინდარა ილეკროს ოქროდ ქცევის ანდა უკვდავების ელექსირის პოვნის უკვე ერთი შესაძლებლობაც კი საკმარისად მაცდუნებელია ყველასთვის, ვინც კი ჩხიბვა-ჯადოქრობის გზაზე შემდგარი პირველ ნაბიჯებს ადგამს ჩემი წარმოსახვა, ვალიარებ, მეტადრე ელექსირმა დაიპყრო, ვინაიდან სანამ უფლის არსებობა არ შევიცანი და არ შევიგრძენი, თვითონ ის აზრი, რომ ოდესმე ყველაფერს ბოლო უნდა მოელოს, აუტანელი მეჩვენებოდა. იმიტომ იყო, რომ შევიტყვე თუ არა, შესაძლებელია ისეთი რამ სითხის შექმნა, რომელიც ჩვენს ამქვეყნიურ ყოფნას მრავალ და მრავალ წელიწადს გაახანგრძლივებსო, გადავწყვიტე, ჩემს სიცოცხლეს სულ ერთიანად ამ სითხის დამზადებას შევძღვნი-მეთქი.

ეს იყო სამოცდაათიანი წლების დამდეგს, შემდგომ მომხდარი დიდი გარდაქმნების კვირაძალს, როცა არც ერთ ოკულტურ მეცნიერებას რამე ღირებული ჯერ კიდევ არა შეექმნა რა. ამ წიგნის ერთი გმირისა არ იყოს, მეც ვიდექი და თუ რამ სახსარი მქონდა, მწირი, რასაკვირველია, სულ საზღვარგარეთ გამოცემული ალქიმიური წიგნების შეძენაზე ვხარჯავდი, ხოლო მთელ ჩემს დროს იმავე წიგნების რთული სიმბოლური ენის შესწავლას ვანდომებდი. რიო-დე-ჟანეიროში რამდენიმე მეცნიერს მივაგენი, ვინც სერიოზულად სწავლობდა უფლისეულ დიად ნაქმ-ქმნილებას, ვინდ აღნაქვსი თქვით, მაგრამ ისინი არა და არ შემხვდნენ. სამაგიეროდ გავიცანი ფეხის ხმას აყოლილნი, თავიანთ თავს ალქიმიკოსთ რომ ეძახიან, შესაბამის ლაბორატორიებსაც ფლობენ და უარს არცვის ეუბნებიან თავიანთი ხელოვნების საიდუმლოებაში ჩახედვაზე, ოღონდ, ცხადია, დიდძალი ფულის ფასად; ჩემთვის ახლა სრულიად ნათელია, რომ ეს ხალხი გარკვეულიც კი არ არის იმ საგანში, რის მცოდნედაც თავი მოაქვს.

ჩემი გულმოდგინება და თავგამოდება სულ წყალში მეყრებოდა. ძირისძირობამდის ვერა და ვერ ჩავხვდი იმ მუღამს, რასაც თავიანთი ძნელსაცნაური და თავსამტვრევი ენით ამტკიცებდნენ ალქიმიის სახელმძღვანელოები, აჭრელებული ნაირ-ნაირი სიმბოლოებით — მზეებით, მთვარეებით, ურჩხულებითა და ლომებით. და სულ მუდამ მეჩვენებოდა, რომ იქით არ მივდიოდი, საითაც უნდა მევლო: სიმბოლური ენა ხომ თავისთავად არასწორ განმარტებათა დაუშრეტელი წყაროა. 1973 წელს, რაკიღა, ჩემი ჭკუით, ალქიმიის შესწავლის საქმეში გზას ავცდი, უფრო სწორად, ერთი ნაბიჯიც ვერ წავდგი წინ, ამ ამბისგან გულგატეხილი ფრიად ქარაფშუტულად მოვიქეცი. იმხანად მატუ-გროსუს განათლების სამმართველომ თეატრალურ ხელოვნებაში სტუდენტების სამეცადინოდ მიმიწვია, და მეც სტუდენტურ თეატრ-სტუდიაში ჩემი სტუდენტების მონაწილეობით ზურმუხტის ფილაქნის თე-

მაზე წარმოდგენის დადგმა გადავწყვიტე. ჩემს ქარაფშუტობას უკვალოდ არ ჩაუვლია, და მსგავსმა არაერთმა ექსპერიმენტმა, ჩემს სხვა ასევე არაერთ მცდელობასთან ერთად, რა არი მაგიის ფხვიერ ნიადაგზე როგორმე მომეკიდებინა ფეხი, უკვე ერთ წელიწადში საკუთარ ტყავზე გამომაცდევინა იმ ანდაზის სიმართლე, რომლის [illegible] ბოლოსა და ბოლოს კოკა წყალზე ტყდება.

მომდევნო ექვს წელიწადს ჩემს სკეპტიკურ გაღიმებას იწვევდა ყველაფერი, რასაც კი მისტიკასთან ჰქონდა საერთო. ჩემი ამ შინაგანი განდევნილობიდან საჩემოდ რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნა გამოვიტანე: ამა თუ იმ ჭეშმარიტებას მხოლოდ იმის მერე ვირწმუნებთ ხოლმე, თავდაპირველად მთელი გულით რომ უარვყოფთ; საკუთარი ბედისგან გაქცევა არ ღირს — მაინც ვერსად წაუხვალ; უფალი მკაცრად გვკითხავს, მაგრამ წყალობაც უზომო იცის.

1981 წელს ჩემს ცხოვრებას რ ა მ ი მოევლინა — მასწავლებელი, რომელსაც ჩემი უწინდელი გზა-კვალზე დაბრუნება ეწერა. იმ ცოდნისდა კვალდაკვალ, რასაც ის მაძენინებდა, ავდექი და ახლა უკვე ჩემი პასუხისმგებლობით, კვლავ ალქიმიის შესწავლას მივყე ხელი. ერთხელ, საღამო ხანს, კარგა გვარიანად მიმასავათებელი სეანსის შემდეგ ვკითხე, რატომ არის, რომ ალქიმიკოსნი აგრე რთულად და ბუნდოვნად მეტყველებენ-მეთქი.

— ალქიმიკოსნი სამნაირნი არიან, — მიპასუხა მან, — ერთნი გაურკვევლობას და ბუნდოვნებას ესწრაფვიან, რადგან თავადვე ვერა ფლობენ თავიანთ საგანს. მეორენი საგანს კი ფლობენ, მაგრამ ისიც კარგად იციან, რომ ალქიმიის ენა მიმართულია გულისკენ და არა გონებისკენ.

— მესამენი-მეთქი? — ვკითხე.

— მესამენი ისინი არიან, ვისაც გაგონილიც კი არა აქვს, რა არის ალქიმია, მაგრამ მთელი თავიანთი ცხოვრებით შეიძლეს ფილოსოფიური ქვის აღმოჩენა.

და ამის შემდეგ იზრახა ჩემმა მასწავლებელმა, რომელიც ალქიმიკოსთა მესამე წყებას ეკუთვნოდა, გაკვეთილებით ალქიმიაში ჩემი გაწაფვა. მალე მივხვდი, რომ ალქიმიის სიმბოლური ენა, აგრერიგად რომ მაბნევდა და მაღიზიანებდა, ერთადერთი გზაა ქ ვ ე ყ ნ ი ე რ ე ბ ი ს ს უ ლ ი ს შესაცნობად, ანუ ის არის, რასაც იუნგი „ნადურ (კოლექციურ) ქვეცნობიერს“ უწოდებდა. მერე მივაგენი ჩემს გ ზ ა ს ა და ს ა ღ მ რ თ ო ნ ი შ ნ ე ბ ს — ჭეშმარიტების იმ ნიშნებს, რომელთაც ადრე ჩემი გონება ვერ გუობდა იმის გამო, რაკი თითოეული მათგანი სრულიად ლიტონი და მარტივია. გავიგე აგრეთვე, რომ უ ფ ლ ი ს ე უ ლ ი დ ი ა დ ი ნ ა ქ მ-ქ მ ნ ი ლ ე ბ ი ს წვდომის ამოცანა ოდენ ერთი მუჭა რჩეული ხალხის ხვედრი არ არის: ეს მთელი ჩვენი დედამიწის პინადარი კაცობრიობის ამოცანაა. ცხადია, უფლის დიადი ნამოქმედარი ყოველთვის კვერცხისა და სითხიანი შუშის სახით არ წარმოგვიდგება, მაგრამ თითოეულ ჩვენგანს უცილოდ ძალუძს ქ ვ ე ყ ნ ი ე რ ე ბ ი ს ს უ ლ ი ს აღმოჩენა და შიგ დანთქმა.

აი რატომ არის „ალქიმიკოსი" სიმბოლური წიგნი, რომლის ფურცლებზეც არა მარტო იმას გადმოვცემ, რაც რამ ამ საკითხის ირგვლივ შემიცვნია, არამედ იმ დიდ მწერალთა ჯეროვან პატივისცემასაც ვცდილობ, საყოველთაო ენის ათვისება რომ შეძლეს. თვალწინ მიყვანან ჰემინგუეი, ბლეიკი, ბორხესი (რომელსაც მსგავსი [illegible] აღწერილი აქვს ერთ-ერთ მოთხრობაში, სადაც მოქმედება [illegible]), მალბტაგანი და სხვანი.

ამ, ცოტა არ იყოს, ვრცელი წინათქმის ბოლოს და იმის ნათელსაყოფად, თუ ვის მიაკუთვნებდა ჩემი მასწავლებელი ალქიმიკოსთა მესამე წყებას, ერთ ამბავს გავიხსენებ, რომელიც მანვე როგორლაც მოაყოლა სიტყვას ლაბორატორიაში ყოფნისას, და ჩემებურად გადმოგცემთ.

ერთხელ ყ ო ვ ლ ა დ წ მ ი ნ დ ა ქ ა ლ წ უ ლ ი ატატებულ ყრმა ქ რ ი ს ტ ე ს თ ა ნ ერთად მიწაზე დაეშვა და მავანი მამათა მონასტერი მოინახულა. ზედაფრენაშემდგარი და სიამაყემორეული მოწესე მამანი ერთპირად დამწკრივდნენ: ყველანი ცალ-ცალკე, ჯერით გამოდიოდნენ ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს წინაშე და ვისაც რა შეეძლო, პატივისცემის ნიშნად იმას იქმოდა. ერთმა საკუთარი ლექსები წაიკითხა, მეორემ ბიბლიის ბრმა ცოდნა წარმოაჩინა, მესამემ წმინდანთა სახელები ჩამოთვალა უკლებლივ. აგრე და ამრიგად, თითოეული ძმათაგანი თავისი ნიჭისდა მიხედვით მიაგებდა პატივს ქალწულსა და ყრმა იესოს.

სულ ბოლოს ერთი საცოდავი ვინმე შავოსანი გამოვიდა, რომელმაც წ მ ი ნ დ ა წ ე რ ი ლ ი ადგილ-ადგილიც კი არ იცოდა ზეპირად. საწყალს მშობლები უწიგნურნი ჰყოლოდნენ — ცირკის მსახიობები — და ერთადერთი რაც ბიჭისთვის ესწავლებინათ, ჟონგლიორობა და მაოცრობა-მეოინეობა იყო.

როცა ამ ბერის ჯერიც დადგა, მონაზონთ საზეიმო შეხვედრის შეწყვეტა დააპირეს, რამეთუ საწყალ ჟონგლიორს ყ ო ვ ლ ა დ წ მ ი ნ დ ა ქ ა ლ წ უ ლ ი ს თ ვ ი ს არცრა სათქმელი ჰქონდა, სავანის შერცხვენა კი, იცოცხლე, სულ ადვილად შეეძლო. მაგრამ ის მთელი სულითა და გულით გრძნობდა, რომ თავისი თავის რაღაც ნაწილი უსათუოდ უნდა გადაეცა ქ ა ლ წ უ ლ ი ს ა და ყ რ მ ი ს თ ვ ი ს.

და, მართლაც, მოწესე ძმათა საყვედურის გამომხატველ თვალთა წინარე შემცბარმა, მან ჯიბიდან რამდენიმე ფორთოხალი ამოიღო და ხელში შეათამაშა, მაღლა ისროდა და იჭერდა, ხელმარჯვედ აპენტავებდა, ერთი სიტყვით, იმას იქმოდა, რაც იცოდა და რაც ეხელკეთილებოდა.

და ქ რ ი ს ტ ე ს ტუჩ-ბაგეზე მხოლოდ ამჯერად გაჩნდა ღიმილი, ის კი არა, პირმღიმარმა ნები ნებსა სცა. და ოდენ საწყალ ჟონგლიორს გადააწოდა ყ ო ვ ლ ა დ წ მ ი ნ დ ა ქ ა ლ წ უ ლ მ ა ძე თვისი, ხელში აყვანა ანდო.

ა ვ ტ ო რ ი

ეძღვნება ჟ.

— ალქიმიკოსს, რომელმაც შეიცნო უფლისეული დიადი ნაჭმ-ქმნილების, ანუ აღნაჭვსის საიდუმლო.

ისე მოხდა, რომ გზად მიმავალი ერთ სოფელში შეგვეფეთა ქალმა ვინმემ, რომელსაც სახელად მართა ერქვა, შინ შეიყვანა იგი.

ამ ქალსა ჰყავდა და, სახელად მარიამი, რომელიც იესოს ფერხთით მიუჯდა და ყური მიუგდო იმის სიტყვას.

მართა კი დაფუსფუსებდა, ვინაიდან ბევრი საზრუნავი ჰქონდა საპასპინძლოდ; მერმე ზედ მიადგა და უთხრა: უფალო, ნუთუ ვერა ხედავ, რომ დამან ჩემმან მარტო დამიტოვა მე შენდა მსახურებად? არქვი, რომ შემეწეოდეს.

იესომ მიუგო და ჰრქვა: მართა! მართა! ბევრი რამისთვის ზრუნავ და შფოთავ.

საჭირო კი ოდენ ერთი რამ არის; მარიამმა სწორედ კეთილი წილი ირჩია, რომელიცა არ წაერთმევის.

ლუკას სახარება, 10:38-42.

პირველსათქმელი

ალქიმიკოსმა ხელთ წიგნი აიღო, რომელიც ვიღაც მგზავრს მოეტანა. წიგნი უყდო იყო, მაგრამ ავტორის გვარ-სახელი მან მაინც მოიძია — ოსკარ უაილდი — და ფურცვლა-ფურცვლაში ნარგიზის ამბავს წააწყდა.

თქმულება პირმწყაზარ ყმაწვილზე, დღემუდამ რომ შეჰხაროდა ანკარა წყალში არეკლილ თავის გამოსახულებას, ალქიმიკოსისთვის ცნობილი იყო: ნარგიზმა იმდენი უცქირა თავის თავს, სანამ ბოლოსა და ბოლოს თვალებად არ დაიცალა, წყალში არ ჩავარდა და არ დაიხრჩო, იმ ადგილას კი, ნაპირზე, ყვავილი გაჩნდა, რომელსაც თავშეყვარებული ჭაბუკის მოსაგონრად ნარგიზი დაერქვა.

მაგრამ ოსკარ უაილდი ამ ამბავს სხვაგვარად ყვებოდა.

„ნარგიზი რომ დაიღუპა, ტყის ნიმფებმა — დრიადებმა — შეამჩნიეს, რომ ღელის მტკნარი წყალი ცრემლთაგან გამლაშდა.

— რა გატირებს? — ჰკითხეს დრიადებმა ღელეს.

— ნარგიზს დავტირი, — მიუგო ღელემ.

— არც გვიკვირს, — თქვეს დრიადებმა, — ჩვენ სულ უკან ვდევდით, როცა კი ტყეში გაივლიდა, შენ ერთადერთი ხარ, ვისაც ახლო გიხილავს იმისი სილამაზე.

— ის რა, ლამაზი იყო? — ჰკითხა მაშინ ღელემ.

— ეგ შენზე კარგად ვინ იცის? — გაიოცეს ტყის ნიმფებმა, — ის რა, შენს ნაპირზე არ იდგა ხოლმე დილიდან დაღამებამდის და შენს წყალში არ ჩაიცქირებოდა?

ღელე დიდხანს დუმდა და როდის-როდის გაეპასუხა:

— ნარგიზს დავტირი, ოღონდ არც როდის შემიმჩნევია, ლამაზი თუ იყო. ტირილით კი იმად დავტირი, რომ ყოველთვის, როცა ჩემს ნაპირზე მოდიოდა და ჩემს წყალში დაიწყებდა ცქერას, თვალთა სილრმეში ჩემი სილამაზე ერეკლებოდა“.

„რა ნარმტაცი ამბავია“, — გაიფიქრა ალქიმიკოსმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაწილი პირველი

ჭაბუკს სანტიაგო ერქვა. უკვე ბინდი წვებოდა, როცა მან თავისი ცხვრის ფარა ღვთისგან და კაცთაგან მიტოვებულ, ნახევრად დანგრეულ საყდართან მირეკა. ეშმაკებდაპატრონებულ საყდარს გუმბათი კარგა ხნის წინათ ჩამოჰქცეოდა და სასაყდრალად ქცეულიყო, ხოლო იმ ადგილას, სადაც ოდესმე სამოსელ-სამკაულის საცავი ჰქონოდათ, ლეღვსა ლელის ხეს აეყარა ტანი.

ღამე დარჩენა სწორედ იქ გადაწყვიტა სანტიაგომ, ცხვარი დაშლილ-დაფუცუნებული კარიდან შელალა და, ფარა ისევ უკან არ გარიალდესო, გასასვლელი ფიცარფუცრებით გახინჯა. მგელი იმ მხარეში არ იცოდა, მაგრამ ფარა ხანჯამისად ნოტო-ნოტო ექსაქსებოდა და ზოგიერთი გზააბნეული ცხვრის ძებნაში მთელი დღე ეკარგებოდა ხოლმე.

სანტიაგომ ძირს ქურთუკი დაიგო — თვითონ გვაბანაკს რომ ეძახდა — თავქვეშ ბაცანკალ-სასთუმლად წიგნი ამოიდო, რომლის კითხვაც სულ ახლახან დაემთავრებინა, და დასაძინებლად მოეწყო, ხოლო სანამ თავს ძილს მისცემდა, გაიფიქრა, საკვალოდ უფრო სქელი წიგნების წამოღება აჯობებსო, წაკითხვითაც მეტ ხანს ვიკითხავ და ბაცანკალ-სასთუმლადაც უკეთესი იქნებაო. როცა გაელვიძა, ჯერ კიდევ ბნელოდა და ჩამოქცეული, დათვალიანებული ჭერიდან, როგორც ირდო-დოლაბებიდან, ვარსკვლავები დასციმციმებდნენ.

„ნეტავი ცოტაც მძინებოდა“, — გაიფიქრა სანტიაგომ.

რაც წინა კვირას იძილისშორისა, ახლაც იგივე ეზმანა, და სიზმარი კვლავ ვერ გაისრულა, ბოლომდის ვერ მოასწრო ნახვა.

წამოდგა თუ არა, ერთი ყლუპი ღვინო მოსვა. კომბალ-ქაჩაბურს დაავლო ხელი და მძინარე ფარას შეუჩუჩხურა. თუმცა ცხვრების უმეტესობა სწორედ იმწამს გამოფხიზლდა, რაწამსაც იმან გაახილა თვალები, თითქოს რაღაც იდუმალ ძალას გადაება ერთმანეთისთვის მეცხვარე და ცხვრები, რომელთა ფარასაც ადევნებულ ჭაბუკს, წყლისა და საზრდოს საძებნელად მთასა და ბარს მოდებულს, ბოლო ორი წელიწადი ხეტიალში გაეტარებინა. „ისე შემეჩვივნენ და შემეკვეთნენ, სუყველა ჩემი ჩვეულება შეითვისეს, — ჩაილაპარაკა სანტიაგომ, — ის კი არა, ჩემი დღის განრიგიც იციან“.

ცოტა კიდევ იფიქრა, აწონ-დაწონა ყველაფერი და, იქნებ სულაც საქმე პირიქით არისო, დაასკვნა მან თავის ჭკუაში, ესენი კი არ შემეჩვივნენ, მე შევეჩვიე, მე ვისწავლე ამათი ჩვევანი და ჩვეულებანი, მე შევეწყვე ცხვრების განრიგსაო.

მაგრამ ზოგ-ზოგნი წამოდგომას მაინც არ ჩქარობდნენ, თუმცა სანტიაგომ კომბალ-ქაჩაბურის წვერიც წასჯგვლიმა და სუყველას თავ-

თავისი სახელიც დაუძახა. სანტიაგო საერთოდ დარწმუნებული იყო, რომ ცხვრებს ყველაფერი კარგად ესმოდათ, რასაც ის ელაპარაკებოდა, და ამიტომ წაკითხულიდან რაც განსაკუთრებით მოეწონებოდა ხოლმე, ხანდახან იმათაც ხმამაღლა უკითხავდა, ანდა მწყემს-მეცხვარის მარტოობასა და ნაკლებად სასიხარულო ცხოვრებაზე ჩამოუგდებდა სიტყვას, ანდა ახალ ამბებს ატყობინებდა, რაც ქალაქად თუ სოფლად გაეგონა გზად არცთუ იშვიათად გავლილს.

ბოლო დროს კი ერთადერთი რამ ჰქონდა ამოჩემებული: წარამარა იმ ქალაქელ გოგოზე ელაპარაკებოდა, ვაჭრის ქალიშვილზე, რომლის ქალაქშიც ოთხ დღეში უნდა მისულიყო. ის გოგო მხოლოდ ერთხელ ჰყავდა ნანახი, შარშან. გოგოს მედუქნე მამა, რომელიც სკლატ-მაუდითა და მატყლით ვაჭრობდა, მწყემს-მეცხვარეს პირდაპირ თავის თვალწინ აპარსვინებდა ცხვარს — ველარ იმამაძალლებენ და ვერ მომატყუებენო. სანტიაგოს ის დუქანი ერთ-ერთმა ნაცნობმა მიასწავლა, და ისიც მივიდა, მირეკა თავისი ცხვარი.

„მატყლის გაყიდვა მინდა", — უთხრა მაშინ მან მედუქნეს.

დახლთან კარგა ბლომად ხალხი ირეოდა და, სადილობამდე მომიცადეო, სთხოვა მედუქნემ. სანტიაგო თანახმა გაუხდა, იქვე, შორიახლო, ფილაქანზე მოიკალათა და გუდა-ტავარჯუხიდან წიგნი ამოიღო.

— ეს კი ალარ მეგონა, მწყემსებმა თუ კითხვა იცოდნენ, — გაისმა უცებ წკრიალა ხმა.

სანტიაგომ თავი აიღო და ზედ წამომდგარი გოგო დაინახა, ნამდვილი ანდალუზიელი იყო: გრძელი, კუნაპეტივით შავი, სწორი თმა ჰქონდა, თვალები კი ესპანეთის დამპყრობ მავრთ მიუგავდა.

— მწყემს-მეცხვარეს სულაც არა სჭირდება წიგნის კითხვა: ცხვრები უფრო მეტს ასწავლიან, ვიდრე რომელიმე წიგნი, — მიუგო სანტიაგომ.

ნელ-ნელა შეჰყვნენ ლაპარაკს და კარგი ორი საათი იჭუკჭუკეს. ხან ამ მთისა თქვეს, ხან იმ ბარისა. გოგომ, მედუქნის შვილი ვარო. მოწყენილობა მკლავსო, ყოველი დღე ისე ჰგავს ერთმანეთს, როგორც წყლის ერთი წვეთი მეორესაო. სანტიაგომ კი ანდალუზიის ველ-მინდვრებზე ჩამოუგდო ლაპარაკი, მერმე ისიც უამბო, რაც დიდ ქალაქებში სმენოდა, რომელ ქალაქებზეც გზა ედო. მუდმივად ცხვრებთან ჯილჯილს შეჩვეულს წარმოუდგენლად სიამოვნებდა ამ ენამასწარა გოგოსთან მუსაიფი.

— კითხვა სადღა ისწავლე? — ჰკითხა გოგომ.

— სადაც ყველა სწავლობს, — უპასუხა სანტიაგომ, — სკოლაში.

— რახან წერა-კითხვა იცი, ცხვარს რატომღა მწყემსავ?

პასუხის ნაცვლად სანტიაგომ სიტყვა გადააბრუნა: დარწმუნებული იყო, მაინც ვერ გამიგებსო, და ისევ თავის გზა-გზა სიარულზე განაგრძო საუბარი. გოგო ყურებდაცქვეტილი უსმენდა და მავრული თვალები გაკვირვებისგან ხან უფართოვდებოდა, ხანაც ეწკურებოდა. დრო შეუმჩნევლად გარბოდა, და სანტიაგოს ერთი ნატვრის ჭია აუფუთფუთდა გულში: ნეტავი ეს კარგი დღე არცროდის დალამდესო, ნეტავი მედუქნეს იმდენი მუშტარი დაეხვეს, ცხვრის გაპარსვას კიდევ სამი დღე მალოდინოსო. ადრე არასოდეს განეცადა ასეთი რამ, რასაც ახლა, ამ-

წუთას განიცდიდა; ნეტავი სამუდამოდ აქ დამარჩინაო, ინატრიდა. მაშინ ამ გიშრისფერთმიან გოგოსთან გატარებული დღეები წყლის ორი წვეთივით აღარ დაემგვანებოდა ერთმანეთს.

მაგრამ ამის გაფიქრება იყო, და დუქნიდან გოგოს მამა გამოვიდა, ფარას გადასვედ-გადმოხვედა, გასაპარსად ოთხ ცხვარს დაადგა თვალი, გადასახდელი გადაუხადა და უთხრა:

— გაისადაც მოდი.

●

და აი დანიშნულ ვადამდე ოთხი დღეღა რჩებოდა. ჭაბუკი მეცხვარე გულის ფანცქალით ელოდებოდა მომავალ შეხვედრას, მაგრამ თანვე ღელავდა: ვაითუ ჩემს თვალმაყვალას აღარც ვახსოვარო, ვინ იცის, იმის მერე იქ თავის ფარიანად რამდენმა მწყემს-მეცხვარემ აიარ-ჩაიარაო.

— არა უშავს რა, — უთხრა მან თავის ცხვრებს, — არაფერია. სხვაგანაც არიან კარგი გოგოები.

მაგრამ სულის სიღრმეში იცოდა, რომ ძალიანაც უშავდა და ბევრი ფერიც იყო. მწყემსებსაც, მეზღვაურებსაც და გზას გადებულ ვაჭრებსაც სადმე მუდამ ეგულვით ერთი სანუკვარი დაბა თუ ქალაქი, სადაც ის გულის მურაზი ცხოვრობს, რომლის გულისთვისაც არცრად უღირთ, თუ დედამიწის ზურგზე თავისუფლად ხეტიალის სიხარულზე უარს იტყვიან.

●

უკვე კარგად ინათა და, რაკიღა თვალს გააჭრევინა, სანტიაგომ ცხვარი იქით გარეკა, საიდანაც მზე ამოდიოდა.

„ცხვრებს რა ენაღვლებათ, — ფიქრობდა სანტიაგო, — აცრა საზრუნავი აქვთ, არცრა გადასაწყვეტი. ალბათ, ამიტომაც მეკოწიწებიან“.

საერთოდ ცხვრებს არა ეჭირვებათ რა, ოღონდაც ფეხებქვეშ წყალი და ბალახი ჰქონდეთ. და სანამ მან ანდალუზიაში ერთმანეთზე უკეთესი საძოვარ-იალაღები იცის, ცხვრების უმჯობეს მეგობრებს ვერც იპოვის. მერე რა, თუ ერთი დღე მეორისგან არ განსხვავდება, მერე რა, თუ დროს აისიდან დაისამდე ბოლო არ უჩანს, არც ის არის დიდი უბედურება, თუ თავიანთი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე ცხვრებს არც ერთი წიგნი არ წაუკითხავთ და არც კიდევ ის ენა გაეგებათ, რომელ ენაზეც ქალაქად თუ სოფლად ადამიანები ერთმანეთს ახალ-ახალ ამბებს ატყობინებენ. სანამ წყალი და ბალახი ჰყოფნით, ცხვრებს სხვა რამ ბედნიერება არ უნდათ. ამ ბედნიერების საზღაურად კი ისინი ადამიანს უხვად მიაგებენ თავიანთ მატყლს, თავიანთ საზოგადოებას და — დროდადრო — თავიანთ ხორცს.

„ერთხელაც სისხლისმსმელ ნადირად თუ გადავიქცეოდი და ერთმანეთის მიყოლებით დავუწყებდი ხოცვას, მხოლოდ მაშინღა მიხვდებოდნენ, რა დღეც აღგათ, ფარის ნახევარზე მეტს რომ გავწყვეტდი, —

ფიქრობდა სანტიაგო, — ესენი მე უფრო მენდობიან, ვინემ თავიანთ საკუთარ ალღოს, რადგან მუდამ იქ მიმყავს, სადაც საზრდოსა პოულობენ".

სანტიაგოს თვითონვე გაუკვირდა, ეს რა აზრები მოდის დღეს თავში. იქნებ სულაც იმის ბრალია, რომ ნასაყდრალს [illegible] ულ-ეესამოსლის საცავში ლეღვსულელის ხე ამოსულა და [illegible] ვავა-თენე, მართლაც ეშმაკები დაჰპატრონებიანო. არადა, ჯერ იყო, ერთხელ უკვე ნანახი სიზმარი ეზმანა, ახლა კი თავის ერთგულ თანამავალთ გადასწვდა ბრაზიანად. მერმე ერთხელ კიდევ მოსვა ვახშმიდან მორჩენილი ღვინო და ქურთუკ-გვაბანაკი მოიფუთნა. იცოდა, რომ სულ რამდენიმე საათში, მოდღევდებოდა თუ არა, მზე ჭიმჭიმაზე დადგებოდა და ისე დააჭერდა, ცხვრის საძოვარზე გარეკვა გაჭირდებოდა. ამ დროს მთელ ესპანეთს სძინავს. პაპანაქება მხოლოდ სალამოს ხანსლა ნელდება, მანამდე კი მთელი დღე უნდა ათრიოს მხრებზე მოგდებული ქურთუკი. არ ათრევს, და სხვანაირად არ გამოვა: გათენებისას იმისთანა სუსხი იცის, უქურთუკოდ გაძლება ძნელია.

„ბუნებას ვერ გაუგებ, როდის რას იანაზდებს. მზადყოფნა სჯობს", — ფიქრობდა სანტიაგო და საოცარ მადლიერებას გრძნობდა თავისი ქურთუკის მიმართ, რაკილა მძიმეც იყო და თბილიც. რა ლარი და ხაზი უნდა, ქურთუკ-გვაბანაკს თავისი დანიშნულება აქვს, სანტიაგოს თავისი. სანტიაგოს ცხოვრების დანიშნულება გზა-გზა სიარულია, და ანდალუზიის მთასა და ბარს მოდებულს ორ წელიწადში არც ქალაქი დარჩენია ამ მხარისა და არც სოფელი, სადაც არ შეევლო. მივა თუ არა, ამჯერად უკვე სულ წვლილად ჩაუკაკლავს მემაუდის გოგოს, როგორ ისწავლა მწყემსმა ბიჭმა წერა-კითხვა.

როგორ და, სანამ თექვსმეტისა გახდებოდა, სემინარიაში სწავლობდა. მშობლებს სოფლის მღვდლად ეოცნებებოდათ, რომელი მღვდელიც სასიქადულოდ წაადგებოდა თავის ხელმოკლე ოჯახს. ისინი დღეღამ მიწას აქცევდნენ და აწვიმებდნენ ოფლს, რათა, ცხვრებისა არ იყოს, საზრდო ჰქონოდათ.

სემინარიაში სანტიაგო ლათინურს, ესპანურს და ღვთისმეტყველებას სწავლობდა. მაგრამ ბავშვობიდანვე გაჩენილმა სოფელ-ქვეყნის წვდომის წყურვილმა მალე გადასძალა მომავალ მღვდელში ღვთის შეცნობისა თუ ადამიანის შეცოდებათა წვლილად შესწავლის მისწრაფება. და ერთხელაც, დედ-მამის მოსანახულებლად ჩამოსულმა, გამბედაობა მოიკრიბა და პირდაპირ უთხრა, მღვდლობა არ მწადს, მოგზაურობა მინდაო.

●

— **შვილო,** — მიუგო მამამ პასუხად, — რა ვიცი, ვილა არა ყოფილა ამ ჩვენს სოფელში. ქვეყანა არ მეგულება, საიდანაც აქ არ მოდიოდნენ რაღაც-რაღაცა ახლის საძიებლად, მაგრამ ისეთებივე მიდიან, როგორებიც იყვნენ. ყველანი უკლებლივ ჩვენი ციხე-კოშკის სანახავად ადიან მთაზე და ხედავენ, რომ წარსული აწმყოსა სჯობს. მოსულთაგან ზოგი ქერაა, ზოგიც შავგვრემანი, მაგრამ ჩვენი სოფლის ხალხისგან არცრა განასხვავებთ.

— მერე მე ხომ არ ვიცი, იმ ქვეყნებში რანაირი ცხენ-კოშკებია, საიდანაც ისინი არიან, — სიტყვა გაუტრიზავა სანტიაგომ.

— როცა სხვაგნებურნი ჩვენს მიწა-წყალსა და ჩვენს ქალებს ნახულობენ, სუყველანი ერთპირად გაიძახიან, ნეტავი სამუდამოდ აქ დაგვარჩინაო, — განაგრძობდა მამამისი.

— მე კი სხვათა მიწა-წყლის ნახვა მინდა, სხვათა ქალებისთვის თვალის შევლება. სამუდამოდ ხომ არც ისინი რჩებიან ჩვენთან.

— გზაზე გადებას დიდი ფული უნდა. ჩვენისთანა ხალხიდან კი მარტო მწყემს-მეცხვარენი არა სხედან ერთ ადგილას.

— თუ ეგრეა, მეც მწყემსი გავხდები, — უთხრა სანტიაგომ.

მამას აღარცრა უთქვამს, მეორე დილით კი ქისა მისცა, საუბე, რომელშიც სამი ძველებური ოქრო ეგდო:

— როდისღაც მინდორში ვიპოვე. ჩათვალე, რომ ციდან ჩამოგვიცვივდა. წადი, ცხვრის ფარა იყიდე და ისეტიალე, სანამ არ მიხვდები, რომ ჩვენი ცხენ-კოშკისთანა არც უნდა ეძებო, ხოლო ჩვენი ქალებისთანა არსადაც არ არიან.

და მამა გზას რომ ულოცავდა, რომ ამწყალობნებდა, სანტიაგომ თვალებში ამოუკითხა, რომ იმისაც, უკვე ხანმრავალ კაცს, ხეტიალის ჟინი შეჰყროდა, თუმცა არ იმჩნევდა და თავს იმით იმშვიდებდა, ჩემი გულისად ლუკმაცა მაქვს და ჭერიცაო.

●

ჯერეთ ცის დასალიერი, კინკრო, გამეწამულისფრდა, და მერმე მზეც აღმოხდა. სანტიაგოს მამის ნათქვამი წამოაგონდა, თითქოს ახლაც ყურში ჩაესმოდა ის ნაუბარი და გუნება გაუნათლდა, მოიქეიფიანა: უკვე მრავალი ცხენ-კოშკიც მოიხილა და მრავალი მზეთუნახავიც, რომელთაგან, მართალი თუ გინდათ, ვერც ერთი ახლოსაც ვერ მივა იმისთან, ვისაც ორ დღეში ისევ უნდა შეხვდეს. სხვა არცრა უნდა რა, თავისი ცხვრის ფარაცა ჰყავს, ქურთუკიცა აქვს და წიგნიც, რომლის გაცვლაც ყოველთვის შეუძლია სხვა წიგნზე. მთავარი კი ის არის, რომ თავის სანუკვარ ოცნებას ეწია: თავის გუნებისად ხეტიალობს. ხოლო თუ როდისმე მოიბეზრა ანდალუზიის ველ-მინდვრები, ყოველთვის შეიძლება ცხვრის გაყიდვა და გამეზღვაურება, ხოლო ოდესმე ცურვაც თუ მოსწყინდა, იმ დროისთვის უკვე ბევრი სხვა ქალაქიც ეცნობება, ბევრი სხვა ქალიც და გაბედნიერების ბევრი სხვა ხერხიც ეცოდინება.

„არ ვიცი, როგორ უნდა მეპოვა ღმერთი სემინარიაში“, — ფიქრობდა ამომავალი მნათობის შემყურე სანტიაგო.

სახეტიალოდ მუდამ უვალ გზებს რჩეობდა, არც ამ საყდარში დარჩენილა ღამის გასათევად არასოდეს, თუმცაღა აქეთკენ ბევრჯერ ყოფილა. ქვეყანა დიდია და ამოუწურავი, და როცა კი სანტიაგოს თვითონ ცხვრებისთვის მიუნდვია გზის არჩევა, იმათ არჩეულ გზას უცილოდ რაღაც საგულისყურომდე მიუყვანია. ოღონდ თავად ცხვრები გაგებაში არ არიან, რომ ყოველდღე სულ ახალ და ახალ გზებს პოულობენ, საძოვარს საძოვარი ცვლის და იცვლებიან წელიწადის დრონი: ცხვრებს თავში მხოლოდ საზრდო უტრიალებთ.

„ეგება ჩვენც ეგეთებივე ვართ, — ფიქრობდა მწყემსი ჭაბუკი, — რაც მემაუდის გოგო გავიცანი, აკი მეც სხვა ქალებზე აღარ ვროდის მიფიქრია“.

სანტიაგომ ცას ახედა, ტარიფაში სადილობამდე ვიქნებიო, ფიქრობდა. იქ წიგნს რომელიმე სხვა, უფრო სქელ წიგნში გადაკეთებს, მათარას ღვინით ააავსებს, გაიპარსება და გაიკრიჭება, რათა შეხვდეს მემაუდის ასულს. ვაითუ უკვე სხვა რომელიმე მწყემსმა დამასწროო, ამაზე ფიქრს გაურბოდა.

„ცხოვრება იმითაც არის საგულისყურო, რომ ხშირად სიზმრებს გვიცხადებს ხოლმე“, — ფიქრობდა სანტიაგო, თან ცისკენ იცქირებოდა და ნაბიჯს უმატებდა.

და ყურმოკრული წამოაგონდა, ტარიფაში ერთი დედაბერი ცხოვრობს, რომელმაც სიზმრების წართქმა ანუ ახსნა იცისო. ჰოდა, დაიგეს და აუხსნას, რას უნდა ნიშნავდეს ის სიზმარი, უკვე ორჯერ რომ იძილისშორისა.

●

დედაბერმა სტუმარი უკანა ოთახში გაიყვანა, სასადილოსგან ნაირფერი პლასტმასის მძივების ფარდით რომ იყო განცალკევებული. ოთახში მაგიდა და ორი სკამი იდგა, კედელზე ქრისტეს გულის გამოსახულება ეკიდა.

სანტიაგო დედაბერმა წინ დაისვა, ხელები დაუჭირა და თავდაპირველად დაბალ ხმაზე ლოცვა ჩათვალა.

ლოცვა ბოშურსა ჰგავდა. მწყემს სანტიაგოს ხშირად შეხვედროდნენ ბოშები, რომელთაც, მართალია, ცხვარი არა ჰყავდათ სამწყემსავი, მაგრამ ქვეყნიერება ფეხქვეშ ჰქონდათ გადებული. ხალხი რალას არ ლაპარაკობდა, ეგენი სხვათა მოტყუებით ცხოვრობენო, სული ეშმაკთათვის აქვთ მიყიდულიო, სადაც მოხვდებათ, ბავშვებს იპარავენო, რომელთაც მერმე ყურმოჭრილ ყმებად იხდიან და ქუჩბად მავალნი თან დაატარებენო. თავად სანტიაგოს პატარაობისას სული სულ კბილით ეჭირა, ემანდ ბოშებმა არ მომიპარონო, და ახლა როცა დედაბერი ხელებში სწვდა, ის შიში კვლავ გაუცხოველდა.

„აქ რა, ტყუილად ხომ არ ჰკიდია იესოს წმინდა გული“, — გაიფიქრა მან. თანაც თავის დამშვიდებასა და უნებლიეთ ატეხილი კანკალის მორევას ცდილობდა, არ უნდოდა, რომ დედაბერს შეეტყო, შეემჩნია რამე. გასამხნევებლად და ღვთის ერთგულების ნიშნად მერმე ახლა „მამაო ჩვენო“ წართქვა გულში.

— ძალზე საგულისყუროა, — სანტიაგოს ხელისგულის ხაზებისთვის თვალი არ მოუცილებია, ისე წაიბუტბუტა დედაბერმა და კვლავ გაკრინტდა.

სანტიაგო კიდევ აღელდა, კანკალი ახლა ხელებზეც გადაუვიდა, და იგრძნო, რომ ორივე ხელი ეგრევე წაერთვა.

— მე შენთან იმიტომ კი არ მოვსულვარ, ხელისგულებზე მიმკითხავე-მეთქი, — უთხრა სანტიაგომ და ინანა, რამ შემომადგმევინა ამ სახლში ფეხი: ჯანდაბას, გადაუხდის, რამდენიც უნდა, ოღონდაც

მალე გაეცალოს აქაურობას. ვითომ რა დიდი ამბავია, თუ ერთი და იგივე სიზმარი ორჯერ ნახა.

— ვიცი, შენ იმიტომ ხარ მოსული, რომ სიზმარი ამიხსნა, — მიუგო ბოშა დედაკაცმა, — სიზმარი ის ენაა, რომელიც ენითაც უ ფ ა ლ ი გველაპარაკება. რაკი ეს სოფელ-ქვეყნის ერთ-ერთი ენაა, ამ ენიდან თარგმნა კიდევ შემიძლია. მაგრამ უ ფ ა ლ ი თუ შენი სულის ენაზე გელაპარაკება, იმის ნათქვამი მხოლოდ შენთვის იქნება გასაგები. თუმცა ფულს მაინც გამოგართმევ, რახან რჩევისთვის მომაკითხე.

„ჩანს, ხათაბალაში გავები", — გაიფიქრა სანტიაგომ, მაგრამ უკან დასახევი გზა აღარა ჰქონდა. გამბედაობა მწყემსისთვის ჩვეულებრივი ამბავია: ან მგელი დაეცემა ფარას, ანდა გვალვა გადატრუსავს ბალახს. გამბედაობა მარილია მწყემსის ცხოვრებისა.

— მე ორჯერ ვიძილისშორისე ერთი და იგივე სიზმარი, — თქვა მან, — ვითომ მდელოზე ცხვარს ვაძოვებდი, და ამ დროს ვიღაც ბალღი გამოჩნდა, ფარაში გაერია და გაეთამაშა. მე არ მიყვარს, როცა ჩემს ცხვრებთან ვინმე მიდის: უცხოს დანახვაზე მთელი ფარა ფრთხება. მარტო პატარებს უშვებენ უშიშრად თავიანთ ახლოს, ოღონდ არ ვიცი, რატომ, არც კიდევ ის გამეგება, როგორ განსაზღვრავენ ცხვრები ასაკს.

— სიზმარი მიამბე, — სიტყვა გააწყვეტინა დედაბერმა, — ხომ ხედავ, ცეცხლზე ქვაბი მიდგას. ვიცი, ფული ცოტა გაქვს, ჩემი დრო კი ძვირი ღირს.

— ბალღი კარგა ხანს ეთამაშებოდა ცხვრებს, — განაგრძობდა, ცოტა არ იყოს, შემცბარ-შეჩქვიერებული სანტიაგო, — მერმე უცებ ხელი მტაცა და ეგვიპტის პირამიდებთან გადამიყვანა.

სანტიაგო მცირედ შეყოვნდა, ეჭვი შეეპარა, ნეტავი თუ იცის, პირამიდა რა არისო, მაგრამ ბოშა დუმდა, გაჩქურებულიყო.

— ეგვიპტის პირამიდებთან, — გაიმეორა მან ნელა და მკაფიოდ, — და უკვე იქ მითხრა: „თუ კიდევ აქ მოხვდი, გადანახულ განძს იპოვიო". როგორც კი თქმა დააპირა, სად იყო ნიშანდობლივ ის განძი, გამომელვიძა კიდეც. მეორედ ნახულ სიზმარშიც იგივე მეზმანა.

დედაბერი დიდხანს დუმდა, მერმე კვლავ დაუჭირა სანტიაგოს ხელები და ნებებზე მთელი გულისყურით დააკვირდა.

— ახლა არცრას გამოგართმევ, — ამოღერღა მან ბოლოს, — ოღონდ განძს თუ მიაგენი, მეათედი ჩემია.

ჭაბუკ მწყემსს სიხარულის სიცილი აუვარდა — დასიზმრებულმა განძმა ის ორიოდ ფიფანური, ორიოდ ბისტი გადაურჩინა, რაც ჯიბეში უჭყაოდა. დედაბერი, თქმა არ უნდა, ნამდვილად ბოშაა, აწინკანი, გულისხმაში ჩავარდა ჭაბუკი მწყემსი, ბოშა-აწინკანთ კი, სწორად ამბობენ, ცოტა უქრით.

— რაღას უყურებ, ამიხსენი თუ მიხსნი, — უთხრა სანტიაგომ.

— ჯერ გულზე ხელი დაიდე. დაიფიცე, რომ იმ განძის მეათედს შემახვედრებ, და მერმე წარგითქვამ.

სხვა რა გზა იყო, დაიფიცა. მაგრამ დედაბერმა ახლა ის მოსთხოვა, ეგ ფიცი ქრისტეს წმინდა გულის ხატის წინაშე გაიმეორეო.

— შენი სიზმარი ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო ე ნ ა ზ ე ა აგებული, — უთხრა ბოშა დედაკაცმა, — მართალია, წარსათქმელად, ანუ ასახსნე-

ლად, ძალზე ძნელია, მაგრამ მაინც ვეცდები. სწორედაც ამ ჩემი მცდელობისთვის ვითხოვ შენგან განძის მეათედს. მაშ, ყური მიგდე: ეგვიპტეში აუცილებლად ჩახვალ და იმ შენს პირამიდებსაც მიაგნებ. მე, მართალი გითხრა, არც გამიგია, ეგ რა პირამიდებია, მაგრამ ბალღმა რახან გაჩვენა, ნამდვილია. წადი, ფეხს ნუღა ითრევ, ჩახვალ [illegible] არა, განძს ხელში ჩაიგდებ და გამდიდრდები.

სანტიაგო ჯერ გაკვირდა, მერმე კი წყენა იგრძნო, ეს რა სისულელე მითხრაო, რომ მცოდნოდა, სულ არ მოვიდოდი. კიდევ კარგი, ფული მაინც არ გამოართვა.

— დრო სულ ტყუილად დამაკარგვინე, — უთხრა სანტიაგომ.

— აკი გაგაფრთხილე, შენი სიზმარი ძნელი წარსათქმელ-ასახსნელია-მეთქი. რაცრამ უჩვეულოა, გარეგნულად მით უფრო მარტივი ჩანს, და მარტოოდენ ბრძენს თუ გაეგებინება. მე კი რადგან სიბრძნე არ გადმომდის, სხვა გზას მივმართე, ავდექი და ხელისგულზე მკითხაობა ვისწავლე.

— ეგვიპტეში როგორღა მოვხვდები?

— ეგ უკვე ჩემი სადარდებელი არ არის. მე მხოლოდ ვხსნი, წარვთქვამ სიზმრებს. ახდენასა და აცხადებას ნუ მთხოვ. მაგდენს რომ ვიგებდე, განა აგრე ღატაკად ვიქნებოდი და საკუთარ ქალიშვილებს ვემათხოვრებოდი?

— თუ ეგვიპტემდე ვერ მივედი?

— ვერ მიხვალ და ვერც ჩემი მკითხაობისას გადამიხდი. მე შენ გეტყვი, პირველი იქნები. ახლა კი მიბრძანდი, გზა იქამც გქონია, შენთან აღარც რა მაქვს სალაპარაკო.

სანტიაგო ბოშა მკითხავის სახლიდან იმედგაცრუებული გამოვიდა და, სიზმრებს აღარც როდის დავუჯერებო, თქვა. მალე საზრუნავმა გაახსენა თავი: იქვე, ახლოს, დუქანში ცოტა რამ სამუცლავი იყიდა, თავისი წიგნი სხვა ახალ, უფრო სქელ წიგნში გადაცვალა და მოედანზე გავიდა. ახალნაყიდი ღვინის გასასინჯად მერხზე, გრძელ სკამზე, ჩამოჯდა. ცხელი დღე იყო და ცივმა ღვინომ გააგრილა კიდეც და სახადელზეც მოიყვანა, გაახალისა.

ცხვრის ფარა სანტიაგომ ქალაქგარეთ, ერთი თავისი ახალი ნამგალას ფარეხში შეამწყვდია. მეგობარი და მოყვასი იმ მხარეში ბევრი ჰყავდა — აქეთ ხეტიალიც სწორედ ამიტომ უყვარდა. ახალი მეგობრის გაჩენა სულაც იმას არ ნიშნავს, რომ ყოველდღე ერთად უნდა სვამდეთ და ჭამდეთ. როცა შენ გარშემო ერთი და იგივე ხალხი ტრიალებს, — როგორც ეს სემინარიაში იყო, — გინდა თუ არ გინდა, ის ხალხი შენი ცხოვრების ნაწილი ხდება და ცოტა ხანში უკვე თავის ჭკუაზე სურს შენი ცხოვრების შეცვლა. ხოლო შენ თუ ისეთი არ გახდი, როგორიც იმ ხალხს უნდიხარ, სუყველა გაგინაწყენდება. აგრე ყოფილა და კვლავაც აგრე იქნება; სხვისა სხვამ მუდამ უკეთ უწყის, რა და როგორ უმჯობესია.

ოღონდ იმ სხვას თავისი საკუთარი ცხოვრებისა რატომღაც ბევრი არა გაეგება რა. ამ ბოშა დედაბერსაც იგივე სჭირს — სიზმრების ახსნა და წართქმა კი იცის, მაგრამ ახდენისა და აცხადების თავი არა აქვს.

გარემ მზე გადაიწვეროს და ცხვარს საძოვარზე მერმე გავრეკავო, იზრახა სანტიაგომ. მემაუდის ასულთან შეხვედრამდე ჯერ კიდევ სამი დღე რჩებოდა. მანამ კი ახალი წიგნის კითხვას შეუდგა, [illegible] რომელშიც აქაური მღვდლისთვის თავისი წიგნი გაეცვალა. მღვდლის საქონი წიგნი კარგა სქელი ჩანდა, და პირველსავე გვერდზე ვიღაცის დაკრძალვა იყო აღწერილი, ამასთანავე, გმირებს იმისთანა სახელები ერქვათ, კაცი ენას მოიტეხდა. „მე თუ ოდესმე წიგნს შევთხზავ, — გაიფიქრა სანტიაგომ, — ყოველ გვერდზე ახალ გმირს გამოვიყვან, რათა მკითხველს დახსომება არ გაუჭირდეს, ვის რა ერქმევა".

ის იყო კითხვას ჩაუღრმავდა, მიცვალებულის თოვლში დამარხვის აღწერამ გაიტაცა (სანტიაგოს შეაცივა კიდეც, თუმცა მზე უმოწყალოდ აჭერდა), რომ სკამზე მავანი ბერიკაცი მიუჯდა და ლაპარაკი გაუბა.

— ეგენი რას ხურხურებენ? — ჰკითხა ბერიკაცმა და მოედანზე მოტრიალე ხალხისკენ გააღირა ხელი.

— საქმიანობენ, — ცივად მიუგო სანტიაგომ, ვითომ კითხვაში ხელს მიშლიო.

ნამდვილად კი იმაზე ფიქრობდა, როგორ გაპარსავდა ოთხ ცხვარს პირდაპირ მემაუდის ასულის თვალწინ, და დაანახვებდა, რის თავიც ჰქონდა. სანტიაგო ხშირად წარმოიდგენდა ხოლმე ამ სურათს და ყოველთვის ერთსა და იმავეს უხსნიდა გასახტებულ ქალიშვილს, ცხვრის პარსვა დუმიდან თავისკენ ეგებისო. თანაც მეხსიერებაში ათასგვარ თავშესაქცევ ამბავს იჩხრეკდა, პარსვის დროს ვუამბობ და გაერთობაო. ეს ამბები სულ წიგნებში ჰქონდა ამოკითხული, ოღონდ ისე მოუყვებოდა, ვითომ თვითონ გადახდომოდა. ამდენ ეშმაკობას ვერ მიმიხვდებაო, ფიქრობდა.

მაგრამ ბერიკაცი დიდი მიდეგა ვინმე გამოდგა. ჯერ თქვა, დაღლილი ვარო, მერმე ახლა პირი მიშრებაო, და ცოტა გამასველებინეო, ერთი ყლუპი ღვინის დალევინება სთხოვა. სანტიაგომაც მათარა მიაწოდა, დალევს და მომეშვებაო, იმედეულობდა.

მოეშვა კი არა, ბერიკაცს ლაპარაკის საღერღელი აშლოდა. როგორც კი მათარა დაუბრუნა, რასა კითხულობო, ჰკითხა. სანტიაგომ ის იყო სხვა სკამზე გადაჯდომა დააპირა, რომ მამის ნათქვამი გაახსენდა, უფროს ხალხს ყოველთვის პატივი ეცი, და უსიტყვოდ გაუწოდა წიგნი: აბა, ერთი ვნახო, სახელწოდებას სწორად წარმოთქვამს თუ არაო. თუკი უწიგნური იყო, ალბათ, დაირცხვენდა და თავისით მოეშვებოდა.

— ჰმმ... — წართქვა ბერიკაცმა და ხელში შეატრიალ-შემოატრიალა წიგნი, თითქოს საერთოდ პირველად ეჭირა ასეთი უცნაური რამ საგანი. — კარგი წიგნია, ფრიად მნიშვნელოვან ამბებზეა, ოღონდ ძალზე მოსაწყენად დაწერილია.

სანტიაგო სასტად დარჩა: ბერიკაცს თურმე მარტო კითხვა კი არა სცოდნია, ეს წიგნიც წაკითხული ჰქონიაო. თუ ეგრეა და მართლა მოსაწყენია, ჯერ კიდევ დროა, ადგება და სხვა წიგნში გაცვლის.

— ესეც იმასვე მოგვითხრობს, რაზეც თითქმის ყველა სხვა წიგნია დაწერილი, — განაგრძობდა ბერიკაცი, — ადამიანს თავისი ბედის

არჩევის ძალა არ შესწევსო. ამის დამწერს მხოლოდ იმისთვის დაუწერია, რა არი სუყველა ერთ უდიდეს ტყუილში დაარწმუნოს.

— ეგეთი რა უდიდესი ტყუილია? — გაიკვირვა სანტიაგომ.

— რა არის და: რომელიღაც წამს ჩვენი ცხოვრება ვითომ ჩვენ ალარ გვემორჩილება, და ბედი თავის ნებაზე წარმართავს [illegible] ყველის ტყუილია.

— ჩემთვის ეგ ამბავი, ცოტა არ იყოს, ძნელი გასაგებია, — უთხრა სანტიაგომ, — მე, მაგალითად, მღვდლობას მიპირებდნენ, მე კი მწყემსი გავხდი.

— ძალიანაც კარგი, — თავი დაუქნია ბერიკაცმა, — აკი სეტიალიც გიყვარს.

„თითქოს ჩემს გულში იჯდეს", — გაიფიქრა სანტიაგომ.

ბერიკაცი ამასობაში ნელ-ნელა ფურცლავდა სქელ წიგნს, ვითომც დაბრუნებას ჯერ არც აპირებდა. სანტიაგომ ახლალა შეამჩნია, რომ ბერიკაცს არაბული ბურნუსი ემოსა, თუმცაღა არც გასაკვირი იყო: ტარიფას აფრიკისგან ვიწრო სრუტე ყოფს, რომლის გადაკვეთაც სულ რამდენიმე საათში შეიძლება. არაბები ხშირად ჩანან ტარიფაში, მეშუდს რასმე იძენენ, ნაირ-ნაირ საყიდლებს და დღეში რამდენჯერმე იყრიან მუხლს ლოცვად.

— აქ საიდან მოსულხარ? — ჰკითხა სანტიაგომ.

— ყოველგნიდან.

— ეგრე არა ხდება, — სიტყვა გაუტრიზავა ჭაბუკმა მწყემსმა, — ყოველგნიდან მოსვლა არცვის ძალუძს. მე, მაგალითად, მწყემსი ვარ, მთელ ქვეყანას ვუვლი, ხან ალმა ვარ, ხან დალმა, მაგრამ ერთი ადგილიდან მოვდივარ, ერთი დაბა-სოფლიდან, სადაც მთაზე ძველი ციხე-კოშკი გვიდგას. დაბადებული იქა ვარ.

— თუ ეგრეა, მე სალემში ვარ დაბადებული.

სანტიაგომ არ იცოდა, სად იყო ეს სალემი, მაგრამ კითხვით არ უკითხავს, თავი არ შევირცხვინოო, ფრთხილობდა და მოედნისკენ დაიწყო ცქერა, სადაც ფეხაჩქარებულნი გამვლელ-გამომვლელნი ირეოდნენ.

— რა ამბავია, როგორ არის საქმე სალემში?

— როგორც ყოველთვის.

რაკიღა ხელჩასაჭიდი ვერა დააცდენინა რა, თუ სად იყო ქალაქი სალემი, სანტიაგო გულისხმაში ჩავარდა, ჩანს, ანდალუზიაში არ არის, თორემ მეცოდინებოდაო.

— იქ რას საქმიანობთ?

— რას ვსაქმიანობ? — ბერიკაცმა გადაიხარხარა, — რას ვსაქმიანობ და ვმართავ. მე სალემის მეფე ვარ.

„ხან რა სისულელეს არა ჩმახავენ ადამიანები, — გულში გაიცინა სანტიაგომ, — თავს მოვიჭრი, თუ ისევ უტყვ ცხვრებთან ურთიერთობა არა სჯობდეს, რომელთაც ბალახისა და წყლის მეტი არცრა ახსოვთ. ანდა სულაც უნდა დადგე და წიგნები იკითხო — ისინი სწორედ მაშინ მოგვითხრობენ გაუგონარ ამბებს, როცა ყველაზე ძალიან გვინდა იმათი გაგონება. ადამიანებს კი ვერც რას გაუგებ: იმისთანას დაახეთქებენ

და წამოაყრანტალებენ, პირში შეფურთხებულივით ზიხარ და არც იცი, პასუხად რა უნდა უთხრა".

— მე მელქისედეკი მქვია, — წართქვა ბერიკაცმა, — ცხვარი რაოდენი გყავს?

— საკმაო, — ორჭოფულად მიუგო სანტიაგომ.

— მართლა? მაშ, აბა, ჩემი წახმარება არ გინდა, რასაც შენი აზრით ცხვარი საკმაო გყოლია.

სანტიაგოს გული მოუვიდა. რა წახმარებაზე ელაპარაკება, რაც არ უთხოვია. ცოტა ყელი გამასველებინეო, თვითონ სთხოვა ღვინო, მერმე, ეგ რა წიგნია, ჩამახედეო, ახლა მუსაიფიც მოუნდომა.

— თუ შეიძლება, წიგნი დამიბრუნეთ, — უთხრა სანტიაგომ, — მეჩქარება, წასასვლელი ვარ.

— თუ შენი ფარის მეათედს ჩემს წილად შეელევი, გასწავლი, განძამდე როგორ უნდა მიხვიდე.

სანტიაგოს უცებ გონება გაუნათდა. რახან ბოშა დედაკაცმა არცრა გამოართვა, ეს ბერიკაცი უეჭველად იმის ქმარია, ესეც ბოშაა, იმან საგანგებოდ მოუგზავნა, რა არი თავბრუ დაახვიოს და მეტი ფული დასცინცლოს.

მაგრამ, სანამ სანტიაგო ენას დაასველებდა, ბერიკაცმა ჩხირი რამ იპოვა და ქვიშაზე რაღაცის დანუსხვა, წერა დაიწყო. სწორედ ამ დროს, როგორც კი წაიხარა, გულ-მკერდიდან რაღაცა გამოუბრწყინდა და ისეთნაირად გამოუჩახჩახდა, ჭაბუკ მწყემსს წამიერად თვალი მოსჭრა და დააბრმავა. ბერიკაცმა ჩქარა-ჩქარა, თავისი ასაკისთვის უჩვეულო სიცქვიტით მოიბურა შესამოსელი, და სანტიაგოს თვალის ჩინი რომ დაუბრუნდა, მან თავის ფეხებქვეშ ბერიკაცის მიერ დანუსხულ ასოებს მოჰკრა თვალი.

ქვიშაზე, რომლითაც იმ პატარა დაბის სეფემოედანი იყო მოფენილი, მან თვალდათვალ ამოიკითხა თავისი დედ-მამის სახელები და მთელი თავისი ცხოვრების ამბავი იმთავიდან ამთავამდე, სულ ბოლო წუთამდე. იქ ისიც კი ეწერა, რასაც ის ბავშვობაში თამაშობდა, რა ერქვა მედუქნის გოგოს, რომლის სახელიც ახლა პირველად გაიგო. ქვევით და ქვევით ეწერა აგრეთვე, რაც არცროდის არცვისთვის მოეყოლა: როგორ აიღო ერთხელ დაუკითხავად მამის თოფი, რათა ირმებზე სანადიროდ წასულიყო, და პირველად და ერთადერთხელ როგორ დარჩა ქალთან მთელი ღამე.

218

●

„მე სალემის მეფე ვარ", — გაახსენდა სანტიაგოს.

— რატომ ელაპარაკება მეფე მწყემსს? — მორცხვად ჰკითხა დაზაფრულმა სანტიაგომ.

— რამდენიმე მიზეზისა გამო, მაგრამ ყველაზე მთავარი ის არის, რომ შენ შენი ბედის დევნა შეგიძლია.

— რა ბედზე მელაპარაკები? — ჰკითხა ჭაბუკმა მწყემსმა.

— სანამ ადამიანები ახალგაზრდები არიან, თავისი ბედი სუყველამ იცის. ახალგაზრდობაში ყველაფერი გასაგებია და ყველაფერი შესაძ-

ლებელია. ამ დროს ადამიანს ოცნებისა არ ეშინია და ყოველივე იმასაც უშიშრად ესწრაფვის, რის ქმნაც ენიაზება, მაგრამ დროთა გაწმავლობაში რაღაც იდუმალი ძალა თანისთან არწმუნებს, რომ ბედ-იღბლისთვის ხორცის შესხმა შეუძლებელი რამ არის.

სანტიაგო სულაც არ აუღელვებია ბერიკაცის სიტყვებს, „რაღაც იდუმალმა ძალამ“ კი დააგულისყურა — მედუქნის ასულს უცილოდ პირი ღია დარჩება ამის გაგონებაზე.

— ძალა ესე არაკეთილმოსურნე ჩანს, მაგრამ სინამდვილეში ადამიანს გზას უჩვენებს, თავის ბედ-იღბალს როგორ უნდა შეასხას ხორცი. ამისთვის სულსაც უმზადებს და ნებასაც. დედამიწის ზურგზე ერთი დიდი რამ ჭეშმარიტებაა: როცა ნამდვილად რაღაც ძალიან გწადს, სულერთია, ვინა ხარ და რასა იქმ, აუცილებლად ეწევი შენს საწადელს, ვინაიდან ამნაირი რამ საწადელი თუ მურაზი ქვეყნიერების სულშია შობილი. და დიახაც ეს არის შენი მიწიერი დანიშნულება.

— თუნდაც მარტოოდენ ამქვეყნად ხეტიალი ანდა მედუქნის ქალიშვილის ცოლად მოყვანა გინდოდეს?

— გინდ განძის ძებნაც მიაყოლე. ქვეყნიერების სული ადამიანის ბედნიერებით საზრდოობს. ბედნიერებით, მაგრამ აგრეთვე მწუხრებითაც, შურითაც, ეჭვიანობითაც. ადამიანს ოდენ ერთადერთი მოვალეობა აკისრია: ბოლომდე მისდიოს თავის ბედს. ბედში ყველაფერია და გახსოვდეს, როცა მართლა ძალზე ძლიერად გწადს რამე, მთელი ქვეყნიერება ხელს გიმართავს, რა არი გულის საწადელი აისრულო.

მცირეოდენ ხანს ისინი მდუმარედ უმზერდნენ მოედანსა და იქ გამვლელ-გამოვლელთ. მდუმარება პირველმა ბერიკაცმა დაარღვია:

— მაინც რატომ გადაწყვიტე ცხვრის მწყემსვა?

— რატომ და, გზა-გზა სიარული მიყვარს, ხეტიალი.

ბერიკაცმა თითი მებატიბუტისკენ გააღირა, თავის წითელ ღრიჭინიანად მოედნის კუთხეში რომ მოწყობილიყო.

— ბავშვობაში ეგეც ოცნებობდა მოგზაურობასა და ხეტიალზე. მაგრამ მერმე მებატიბუტეობა არჩია, ფულის გროვება დაიწყო, როცა დავბერდები, აფრიკაში წავალ და იქ ერთი თვე ჩემს გემოზე ვიცხოვრებო. გაგებაში არ არის, რომ ადამიანს ყოველთვის ხელეწიფება თავისი ოცნების ხორცშესხმა.

— მწყემსობა ბევრად ერჩია, — თქვა სანტიაგომ.

— მაგასაც ფიქრობდა. მაგრამ მერმე ვაჭრობა ამჯობინა. ვაჭარკაცს თავზე ჭერი ახურავს, მწყემსები კი გარეთ ათენებენ და აღამებენ. გასათხოვარი ქალის პატრონიც მწყემსს კი არა, ვაჭარს რჩეობს სიძედ.

სანტიაგოს მემაუდის ქალიშვილი გაახსენდა და გულში ჩხვლეტა იგრძნო. სადაც ის ცხოვრობს, ის ქალიშვილი, იმ პატარა ქალაქშიც უეჭველად ვილაც დაახრიგინებს თავის წითელ ღრიჭინას.

— ხომ უყურებ, ბევრისთვის უფრო მნიშვნელოვანია აზრი მწყემსებსა და მოვაჭრე ხალხზე, ვიდრე საკუთარი გზა.

ბერიკაცი ფურცვლა-ფურცვლაში, ჩანს, კითხვას შეჰყვა. სანტიაგომ უყურა, უყურა და, როგორც წელან თვითონ გამაწყვეტინა, ახლა მეც გავაწყვეტინებ კითხვასაო, იფიქრა:

— მაგას ვითომ რატომ მელაპარაკები?

— იმიტომ გელაპარაკები, რომ შენ შენი ბ ე დ ი ს მიყოლას ცდილობდი. ახლა კი მზად ხარ განზე გასადგომად.

— თქვენ რა, ყოველთვის ასეთ დროს გამოჩნდებით ხოლმე?

— ყოველთვის, ამასთანავე, სხვა სახითაც შემიძლია წარმოდგომა. სწორი გადაწყვეტილების, ხანაც ილბლიანი აზრის სახით. ზოგჯერ კიდევ, გარდატეხის ჟამს, მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლამდე ქარნახიც ვიცი. ყველაფერს ვერ ჩამოვთვლი. ოღონდ ჩემს გამოჩენას ადამიანებრივ ვერცვინ ამჩნევს.

და ბერიკაცმა უამბო, როგორ მოევლინა ქვად წინა კვირას მავან და მავან მოცად ზურმუხტის მაძიებელს. იმ კაცს ოდესღაც სახლიც მიეტოვებინა, კარიც და ზურმუხტის მოსაპოვებლად წასულიყო. მთელი ხუთი წელიწადი ერუდუნა ერთი მდინარის პირს და 999 999 ქვა დაელეწა და დაექუცმაცებინა, რა არი თუნდაც ერთი თვალი პატიოსანი მაინც ამოეჩინა, ბოლოს ერთი ქვაღა რომ დარჩენოდა დასამტვრევი, რომელ ქვაშიაც თურმე ის თავისი სანუკვარი ზურმუხტი უნდა ეპოვა, უკვე იმედგადაწურულსა და გულგატეხილს თავის ოცნებაზე ხელის აღება განეზრახა. ბერიკაციც სწორედ მაშინ მიშველებოდა იმ მავან მოცად ზურმუხტის მაძიებელს, რომელიც აგრე ჯიუტად მიუყვებოდა თავის გზას. წამერთ ქვად გადავიქეცი, ჰყვებოდა ბერიკაცი, ფეხებქვეშ შევუგორდი, მაგრამ ხუთი წლის ამაო გარჯისგან გულაღრენილმა და იმედმიხდილმა ზურმუხტის მაძიებელმა ისე ძლიერ გამკრა ფეხი, იმ ერთადერთ, დამტვრევას გადარჩენილ ქვას მოვხვდი თუ არა, ის ქვა უმალ გატეხა, და მზეზე სრულიად სოფელ-ქვეყანაში ყოვლის უფრო თვალმიმტაცი ზურმუხტი აკიაფდაო.

— ადამიანებს ჰგონიათ, ჩვენი ცხოვრების აზრს ძალიან ადრე, იმ თავითვე ვიგებთო, — წართქვა ბერიკაცმა, და სანტიაგომ თვალებში ნაღველი დაუნახა, — ალბათ, ამიტომაც არის, რომ თავსაც ადრევე ანებებენ, უიმაზროდ რჩებიან. წუთისოფელი აგრეა მოწყობილი.

აქ სანტიაგომ, სიტყვა წელან განძზე ჩამოვაგდეთო, ჩაურთო.

— უნჯ-განძს დედამიწაზე ღულელულეები და მდინარეები რიყავენ, მერმე ისინივე მარსავენ დედამიწის წიაღში, — წართქვა ბერიკაცმა, — ხოლო შენი განძის ამბის წვლილად შეტყობა თუ გსურს, შენი ფარის ყოველი მეათე ცხვარი უნდა მომაგო.

— ეგება იმის მეათედმა წილმა აჯობოს რასაც ვიპოვი?

— რაც ჯერ ხელთ არა გაქვს, ნურცვის შეჰპირდები, თორემ იქნებ ვერც მოიქონიო და გაწბილდე, — საყვედურის კილოთი უთხრა ბერიკაცმა.

მაშინ სანტიაგომ, ჩემი ფარის მეათედ წილს უკვე შევპირდი ბოშა დედაკაცსაო, მიუგო.

— ბოშებმა, იგივე აწინკანებმა, კარგად იციან, როგორ უნდა გაარიგონ თავიანთი საქმე, — ამოიოხრა ბერიკაცმა, — როგორაც არ უნდა იყოს, შენთვის ურიგო არ იქნება იმის ცოდნა, რომ ამქვეყნად ყველაფერს თავისი ფასი აქვს. დიახაც ამას გვასწავლიან ნ ა თ ლ ი ს მ ხ ე დ ა რ ნ ი. — მან წიგნი გაუწოდა სანტიაგოს — ხვალ ზუსტად ამ დროს შენი ფარის მეათედ წილს მომგვრი. მაშინ გეტყვი, როგორ უნდა მიაგნო განძს.

და ბერიკაცი გზის გასაბრუნს მიეფარა, თვალიდან გაქრა.

ᲡᲐᲜᲢᲘᲐᲒᲝᲛ კვალად წიგნის კითხვა სცადა, მაგრამ აფორიაქებული იყო, გულს ვერ უდებდა. თავში ისევ ბერიკაცის ნაუბარი ტრიალებდა, გრძნობდა, რომ ის მართალს ეუბნებოდა, მერმე ახლა წითელ ღრიჭინასთან მივიდა და ერთი პარკუჭანა ბატიბუტი იყიდა, თან ფიქრობდა, ვუთხრა თუ არა, რასაც ამაზე ბერიკაცი მეუბნებოდაო, მაგრამ გადაიფიქრა.

„ხან ყველაფერი ძველებურად უნდა დარჩეს, უკეთესია", — გულში გაივლო სანტიაგომ. ეტყვის და, ვაითუ სულაც სადარდებლად გაუხდეს მებატიბუტეს თავისი წითელი ღრიჭინა, რომელსაც უკვე აგრერიგად შესჩვეოდა და შეჰგუებია. „არა, თქმა ნამდვილად არა ღირს".

და სანტიაგო ქუჩა-ქუჩა გაუყვა ქალაქს, იარა, იარა და ნავსადგურში ამოყო თავი, ერთ პატარა ბუდრუგანას მიადგა, სარკმელგამოჭრილს, სადაც აფრიკაში მიმავალი გემების ბილეთებს ყიდიდნენ. სარქველი აგორდა, ქოცო იპოვაო, ისე მოუვიდა. ეგვიპტეც ხომ სწორედ აფრიკაშია.

— რა გნებავთ? — დაეკითხა მოლარე.

— ხვალ, ალბათ, თქვენთან ბილეთს ვიყიდი, — მიუგო სანტიაგომ და გაეცალა იქაურობას.

ერთ ცხვარს გაყიდის და უკვე აფრიკაშია. ამ აზრმა, ცოტა არ იყოს, შეაცბუნა. მოლარემ კი თავის გვერდით მდგომ მნეს გადაულაპარაკა:

— კიდევ ერთი მეოცნებეა. მგზავრობას ეპირება, ჯიბე კი ცარიელი აქვს.

ᲡᲐᲜᲐᲛ სანტიაგო სარკმლის წინ იდგა, თავისი ფარა მოაგონდა. და, ნეტავი ახლა იქა მქნა, სადაც ჩემი ცხვრები არიანო, ინატრა. ის მთელი ორი წელიწადი ეჩვეოდა მწყემსობას და თავის საქმეში უკვე ტოლს არცვის უდებდა — ცხვრის საცრეში, ანუ ბაკში წველაც ჩინებულად იცოდა. ბარსვაც, დოლობას ფარსაგან მიხედვაც და მგლისგან მარჯვედ დაცვაც. ანდალუზიაში სად რა საძოვარი იყო, სულ მოვლილი ჰქონდა და თავის რომელ ცხვარს რა ფასი ედო, თვალდასუფული გეტყოდა.

სადაც ცხვარი ეყენა, იმ ახალ ნამგალას ფარეხამდე მისასვლელად შორი გზა არჩია. ჯერეთ აქაურ ციხე-კოშკზე ავალ, ქალაქს გალავნიდან გადავხედავო, გადაწყვიტა და ავიდა, აიალმართა. იქიდან აფრიკა იხილვებოდა. ერთხელ ვილაცამ უთხრა, ადამიანის დროს აფრიკიდან მავრნი მოგვადგნენ, რომელთაც თითქმის სრულიად ესპანეთი ხანგრძლივ დაიმორჩილესო. სანტიაგო მავრთ ვერ იტანდა: ეს ბოშა-აწინკანები სულ მაგათი ჩამოხენცილიაო.

ციხე-კოშკის გალავნიდან როგორც ხელისგულზე, ისე ჩანდა მთელი ქალაქი თავის საბაზრო მოედნიანად, სადაც სულ ახლახან ბერიკაცს ესაუბრებოდა.

„შავ და უკუღმა ის დღე, იმას რომ შევხვდი“, — გაიფიქრა სანტიაგომ. ერთადერთი, რაც უნდოდა, და რამაც აქ ჩამოიყვანა, ის იყო, რომ ბოშა დედაკაცისთვის სიზმარი უნდა აეხსნევინებინა, მაგრამ არც იმან, არც ბერიკაცმა მწყემსობა არცრად ჩაუგდეს. ჩანს, ერთიცა და მეორეც მარტო თავისი თავის ანაბარაა, ყველაფერზე გულგატეხილი აქვთ და არ ესმით, რომ ქვეყნად ისეთ მწყემსს ვერსად ნახავენ, ვისაც მზე და მთვარე თავის ცხვარზე არ ამოსდიოდეს და ზედ არ დაჰფარფარებდეს. სანტიაგო კი მეტი თუ არა, არცვისზე ნაკლებია, სულ ზეპირად იცის, რომელი ბერწი თუ აზადია, რომელი უგია, ანუ უკრავოდ მეწველი, რომელმა ორ თვეში უნდა მოიგოს, რომელი ყოჩაღია და რომელი წელმოწყვეტილი. პარსვაც ეხელკეთილება და დაკვლაც იცის. თავს თუ მიანებებს, უიმისოდ დანაღვლიანდებიან და ჟამკარი აერევათ.

უცებ ქარი ამოვარდა. სანტიაგო კარგად იცნობდა, ეს რა ქარიც იყო — ხალხი ლევანტურს ეძახდა, რადგან სწორედ ის უმართავდა აფრებს ლევანტიდან — ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთიდან წამოსულ მავრთ. სანამ ტარიფაში არ მოხვდა, ჭაბუკ მწყემსს აზრადაც არ მოსვლია, თუ აგრე ახლოს იყო აფრიკის სანაპირო. დასტურ საშიში მეზობელი ყოფილა — მავრნი კვლავაც მოცვივიან, რა დაუშლით. ქარი მატულობდა. „ორად ხომ არ გავიჭრები ფარასა და განძს შუა“, — გაიფიქრა სანტიაგომ. ან ის უნდა აირჩიოს, რასაც შეჩვეული და შეგუებულია, ანდა რაც ენიაზება, არის კიდევ მედუქნის გოგო, მაგრამ ცხვრის ფარა უფრო ემნიშვნელოვანება, რადგან ცხვრები ამ ჭაბუკი მწყემსის იმედეულად არიან, ის კი — არა და, საერთოდ ვითომ ახსოვს მედუქნის ასულს ერთხელ შეხვედრილი ჭაბუკი მწყემსი? სანტიაგო დარწმუნებული იყო, ამ ორ დღეში გინდაც არ ვამოვჩნდე, მაინც არ გაახსენდება, რომ უნდა მოვსულიყავით, რადგან ყოველი დღე ერთნაირი ეჩვენებაო, ხოლო თუ ერთი დღე მეორესა ჰგავს, ადამიანები ვერცრას კარგს ვამჩნევთ, რაც რამ მზის ამოსვლის შემდეგ თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაში ყოველდღე ხდებაო.

„მამაც თავმინებებული მყავს და დედაც, ის ჩვენი სოფლის ციხე-კოშკიც დავაგდე, — ფიქრობდა სანტიაგო, — ისინიც მიეჩვივნენ ჩვენს შორიშორ ყოფნას და მეც მივეჩვიე. ალბათ, ცხვრებიც მიეჩვევიან უჩემობას. ტყუილად არა თქმულა, როგორც თვალი შორსაო, ისე გული შორსაო“.

ქალაქის ციხე-კოშკის გალავანზე ასიმაღლებულმა, მან კვლავ თვალი მოავლო მოედანს. ბატილა სიმინდს უამრავი მუშტარი ესია. იმ მერხ-სკამზე, სადაც წელან ბერიკაცს ელაპარაკებოდა, ახლა მავანი წყვილი კოცნაობდა.

„მეგატიბუტე“... — გაიფიქრა სანტიაგომ, მაგრამ აზრის გასრულება ვერ მოასწრო — ლევანტური შიგ სახეში ეცა.

ეს ქარი არა მარტო დამპყრობელ მავრთა აფრა-იალქნებს ბერავდა, ამ ქარს თან მოჰქონდა უდაბნოთა სუნი, აგრერიგად რომ ულიზიანებდა ადამიანს სულს, თან მოჰქონდა აგრეთვე სუნი ჩადრიან დიაცთა, და კიდევ სუნი იმათი ოფლისა და ოცნებებისა, ვისაც კი ოდესმე თავი აეღო და უმალ გზას გაჰყოლოდა მანამდე იდუმალი რისამე საძებნელად,

ოქროსა და თავგადასავლების საძებნელად. ამ ქარს პირამიდების სუნიც მოჰქონდა. ჭაბუკმა მწყემსმა ფრთალალ ქარს ქარობა შესატრა და იგრძნო, რომ თავადაც შეეძლო ფრთალალობა, წინ არცვინ ელოებოდა, თავისი თავის გარდა. ცხვრები, მემაუდის ქალიშვილი და ანდალუზიის ველ-მინდვრები მხოლოდ და მხოლოდ თავისი გზის [illegible]ებად წარმოედგინა.

მეორე დღეს, უკვე კარგა რომ მოშუადღევდა, სანტიაგო მოედანზე გამოჩნდა და ექვსი ცხვარი მოიყოლა.

— პირდაპირ საკვირველია, — უთხრა მან ბერიკაცს, — ცხვარი ვისთანაც მიბარებული მყავდა, აღარ გამომატანა, მთელი ფარა იყიდა და, რაც თავი მახსოვს, სულ მაცხვარეობაზე ვოცნებობდიო, მითხრა რაღაც კარგის მომასწავლებელი უნდა იყოს.

— ყოველთვის ეგრეა, — მიუგო ბერიკაცმა, — მაგას ოლბლიანი დასაწყისი ჰქვია. შენ, მაგალითად, შენს ცხოვრებაში პირველად თუ გამლიდი ქალალდს, აუცილებლად მოიგებდი. ახალბედებს ძაღლის ბედი გაქვთ.

— ვითომ რატომ?

— რატომ და, ცხოვრებას უნდა, რომ შენს ბედსა სდიო, ოლბლიანობის გემოთი მადას გიხსნის.

მერმე ბერიკაცმა ცხვრებს სინჯვა დაუწყო, ხან გააატარა, ხან გამოატარა და დაინახა, რომ ერთი კოჭლი იყო. სანტიაგომ კი, მაგას რა მნიშვნელობა აქვსო, ეგ მთელ ფარაში ყველაზე ჭკვიანი ცხვარიაო, თანაც კიდევ, მაგის ნაპარს კანძ მატყლთან ვერც ერთი ცხვრის კანძი ვერ მოვაო.

— მაშ, მითხარი, სად ვეძებო განძი? — ჰკითხა ბოლოს მან.

— ეგვიპტეში, პირამიდების ახლოს.

სანტიაგო სასტად დარჩა. ბოშა დედაკაცმაც იგივე უთხრა, ოღონდ სამთქმელოდ თუ გასამრჯელოდ არცრა გამოურთმევია.

— იქით მიმავალ გზას იმ ნიშნებით დაჰკვლევ, რომელ ნიშნებსაც უფალი ამქვეყნად თითოეული ადამიანის გზას აჭდევს, ოღონდ უნდა შეიძლო იმის წაკითხვა, რაც შენთვის დაჭდეულა და დაწერილა.

სანტიაგომ პასუხად სიტყვის თქმაც ვერ მოასწრო, რომ თვალწინ პეპელა აუფარფატდა. და წამოაგონდა, ერთხელ პატარაობისას პაპამ რომ უთხრა, პეპელა კარგის მომასწავლებელი რამ მწერიაო. როგორც რომ ციცინათელები, ხვლიკები და ოთხფოთლიანი ცხვრის სამყურაო.

— ეგრეა, ეგრე, — წაიდუდუნა ბერიკაცმა სანტიაგოს აზრების პასუხად. — პაპაშენს ყველაფერი სწორად უთქვამს. ეგ ის ნიშნებია, რომელთა წყალობითაც გზას არ ასცდები.

ამის თქმისთანავე ბერიკაცმა გული გადაიღეღა, და ელდანაკრავ სანტიაგოს გაახსენდა, რა ელვარებამაც მოსჭრა გუშინ თვალი. ბერიკაცს სამოსელქვეშ სულ ერთიანად ძვირფასი თვლებით მოოქვილი ბაჯაღლო ოქროს სამკერდელი ულაპლაპებდა. როგორც ჩანს, მართლაც და ნამდვილად მეფე იყო, ოღონდ გადაცმული, რათა ყაჩაღები არ დასცემოდნენ.

— აბა, გამომართვი, — უთხრა ბერიკაცმა სანტიაგოს და ორი სპეკილი გაუწოდა, ორი ძვირფასი ქვა, თეთრი და შავი, რომლებიც თა-

ვის ლაპლაპა სამკერდულს შეხსნა. — ერთს ურიმი ჰქვია, მეორეს — თუმიმი, თეთრი „ჰოს“ ნიშნავს, შავი — „არას“, როცა ნ ი შ ნ ე ბ შ ი ვერ გაერკვევი, ესენი წაგადგებიან. დაეკითხები და პასუხს გაგცემენ, დაგაკვალიანებენ, საერთოდ კი მოცადობა გიჯობს, — განგრძობდა იგი, — შენი გადასაწყვეტი თავადვე გადაწყვიტე. [illegible] ცი, რომ ის უნჯ-განძი პირამიდების ახლოა, ექვსი ცხვარი [illegible] გამოგართვი, რაკი წასვლა გადაგაწყვეტინე.

სანტიაგომ ქვები ტაპარჯუხში შეინახა. ამიერიდან და დღეის ამას იქით, რაც უნდა ექნა და როგორც უნდა მოქცეულიყო, თავისი პასუხისმგებლობით უნდა გადაეწყვიტა.

— არ იგულმავიწყო, რომ ყველაფერი ამქვეყნად ერთი მთლიანია, ერთობილია. არ იგულმავიწყო ნიშნების ენა. და, რაც მთავარია, არ იგულმავიწყო, რომ შენს ბ ე დ ს ბოლომდის უნდა სდიო. აწლა ერთ პატარა ამბავს გიყვებ.

მაკანმა და მაკანმა ვაჭარმა თავისი ვაჟიშვილი მთავარ ბრძენთა ბრძენთან გაგზავნა ბედნიერების მულამის გასაგებად. სრული ორმოცი დღე იარა იმ ყმაწვილკაცმა უდაბნოში, სანამ ერთ მთის წვერზე კეთილნაშენი ციხე-დარბაზი არ მოიხილა, სადაც ის ბრძენთა ბრძენი ცხოვრობდა, ვის საძებნელადაც იყო წამოსული.

ციხე-დარბაზი, მოლოდინის საწინააღმდეგოდ, სულაც არა ჰგავდა გზამართლის, ანუ ღვთის სათნო კაცის განმარტოებულ სავანეს: შიგ ქვეყნის ხალხი ირეოდა: ჩინჩიან, ღიჯინა ვაჭრებს თავიანთი საქონელი გამოეტანათ გასაყიდად და ყველაფერს ცეცხლს უკიდებდნენ. საცა კი ერთი კუთხე-კუნჭული იყო, ყველგან ქუჩად შეკრებილნი ჩურჩულკურკურებდნენ, საზანდართა მცირე დასტა ტკბილ ხმაზე უკრავდა, დარბაზის შუაგულში კი სუფრა გაეშალათ, მაგრამ რა სუფრა! თუკი რამ დედამიწის ზურგზე სამუცლავია, ნაირ-ნაირი, მაზა-მაზა და ნუგბარი, სულ იქ დაესუფრებინათ.

ბრძენთა ბრძენი თავის საკადრისად, დინჯად, ხან ერთ სტუმართან მიდიოდა, ხან მეორესთან, და ჭაბუკს მთელი ორი საათი ლოდინი მოუხდა, სანამ მასპინძელს პირისპირ შეხვდებოდა.

ბოლოს, როგორც იყო, ბრძენთა ბრძენი იმასთანაც მივიდა, შეიტყო ჭაბუკის მისვლის მიზეზი და უთხრა, ჯერ წადი, კარგად მიიარ-მოიარე ეს ჩემი ციხე-დარბაზი, ორ საათში მოდი და ბედნიერების მულამს თუ საიდუმლოს მერმე გაგიმხელო.

„ოღონდ ერთი ასეთი თხოვნაც მექნება, — უთხრა მან ჭაბუკს და ჩაის კოვზი გაუწოდა, რომელშიც ორი წვეთი ზეთი ესხა, — ამ კოვზს თან წაიღებ, და, იცოდე, არც ერთი წვეთი ზეთი არ უნდა დაგექცესო“.

ხელკოვზიანი ჭაბუკი ხან აღმა აუყვა, ხან დაღმა დაუყვა ციმციმ ციხე-დარბაზის კიბეებს, კარგა ხანს იბორიალა და ორ საათში ისევ ბრძენთა ბრძენს წარუდგა.

„ჰა, რას იტყვი, — უთხრა ბრძენთა ბრძენმა, — ნახე, რა სპარსული ძოლო-ხალიჩებია აშპაშხანაში? ნახე, რა ხეები და ყვავილები ხარობენ ციხე-დარბაზის ბაღ-წალკოტში, რომლის გაშენებასაც მთელი ათი

წელიწადი მოანდომეს ყველაზე უფრო ხელგამომავალმა ოსტატებმა? ნახე, რა ფოლიანტები და პერგამენტებია ჩვენს წიგნთსაცავში?"

დარცხვენილმა ჭაბუკმა გულწრფელად აღიარა, არცრა დამინახავს, რადგან სულ კოვზზე მეჭირა თვალი, ზეთი რომ არ დამქცეოდაო.

„ახლავე გაბრუნდი და რაც რამ ჩემს სასახლეში იშვიათი სანახავია, ყველაფერი თვალდათვალ მოიხილე, — უთხრა ძაშინ ბრძენთა ბრძენმა, — სანამ არ გაიგებ, სად და როგორ ცხოვრობს, კაცის ნდობა არ შეიძლება".

სხვა რა გზა იყო, კვლავ გაუყვა ხელკოვზიანი ჭაბუკი სასახლის დარბაზებსა და ტალანებს. ამჯერად უკვე ისე ციმციმ აღარ მიჰქონდა ის საზუზარი, ფრიად გასაფრთხილებელი ზეთიანი კოვზი, და რა იშვიათობაც, რა სილამაზეც თვალსა სტაცებდა, გულისყურსაც ზედ აყოლებდა. სულ მოიხილა, რაერთი ბაღი და წალკოტიც იყო, თვალი შეავლო ციხე-დარბაზის გარშემო შემოჯარულ მთა-გორებს, არც უცხო ხეები დარჩენია უნახავი, არც ტურფა ყვავილები, არც კიდევ ადგილ-ადგილ გამოფენილ ძველ სურათებსა და აღალმა-ქანდაკებებს დააკლო ყურადღება. ბრძენთა ბრძენთან მიბრუნებულმა, სულ წვლილად ჩაუწიგნა, რაც კი რამ მოეხილა.

„ის ორი წვეთი ზეთი რაღა უყავი, უკან მოიტანე, არ დაგექცესმეთქი, რომ გთხოვე?" — ჰკითხა ბრძენთა ბრძენმა.

ჭაბუკმა ახლაღა შეამჩნია, რომ კოვზი ცარიელი იყო.

„აი სწორედ ეს არის ჩემი ერთადერთი რჩევაც და დარიგებაც, რაც მე შემიძლია, — უთხრა ჭაბუკს ბრძენთა შორის უბრძნესმა, — ბედნიერების მულამი, გინდ საიდუმლო თქვი, ის არის, რომ ყველაფერს ვხედავდეთ, რითაც აგრერიგად საუცხოოა და რის გამოც არ გვეთმობა ეს წუთისოფელი, და თანაც არცროდის ვივიწყებდეთ, რომ ხელში ჩაის კოვზი გვიჭირავს და შიგ ორი წვეთი ზეთი გვისხია".

ამ არაკმა გულისხმაში ჩააგდო სანტიაგო, და ერთგვარად შემცბარს დიდხანს ხმა არ ამოულია, მიუხვდა, რის თქმაც უნდოდა ბერიკაცს. მწყემსი გზა-გზა სიარულის ტრფიალია, მოლაჯუნეა, მაგრამ თავის ცხვარს არცროდის ივიწყებს.

სანტიაგოზე თვალგაჩერებულმა მეფე მელქისედეკმა წამერთ ხელები გადაიჭდო და რაღაცის უცნაურ ნიშნად, უფრო სამისნოდ, ჭაბუკს თავზევით ჰაერში შემოავლო, შემოუტარა. მერმე ის გასამრჯელოდ კუთვნილი ექვსი ცხვარი წინ გაიგდო და თავის გზას დაემწყემსა.

●

პატარა დაბა ტარიფას ჯერ კიდევ მავრთაგან აშენებული ციხესიმაგრე წამოსდგომია თავს. უკეთუ ციხის გოდოლზე ახვალთ, ძირს მოედანი გადაგეშლებათ, სადაც შებატიბუტის ფარდული დგას, აქედან აფრიკის სანაპიროს ზოლიც მოჩანს. იმ დღეს ციხესიმაგრის გალავანზე სამხრეთის ქარისთვის სახემიშვერილი მელქისედეკი იჯდა, სალემის მეფე. თავიანთი შეცვლილი ბედ-იღბლისგან აწრიალებულ ცხვრებს ახალი პატრონის შორიახლო შეეკრათ ქოჩი და ძველებურად ახლაც ისევ მხოლოდ სამუცლავი აგონდებოდათ.

მელქისედეკი რეიდზე მდგარ კარჭაპს გასცქეროდა და ფიქრობდა, ალბათ, ველარასოდეს ვნახავ იმ უნჯ-განძის საძებნელად წასულ ჭაბუკსაო, როგორც ველარცროდის ვიხილე აბრაამი, რომლისგანაც მეათედი ვიწილადეო.

უკვდავი არანაირი მურაზი თუ გულისწადილი არ უნდა ჰქონდეთ, რადგან აქ თავიანთი გზა არა აქვთ. და გულისგულში მელქისედეკს მაინც იდუმალ სურდა, რომ სანტიაგოდ სახელდებულ ჭაბუკს იღბლიანად ევლო.

„სანანურია, რომ სულ მალე სახელიც კი აღარ ეხსომება ჩემი, — ფიქრობდა ბერიკაცი, — უნდა რამდენჯერმე გამემეორებინა, რათა უბრალოდ მავან ბერიკაცად კი არ გავხსენებოდი ხოლმე, სალემის მეფე მელქისედეკად მოვეხსენიებინე“.

და ცას, ზეაღსახედს, მიაპყრო თვალი, ერთხანს აგრე მდუმარედ უყურა და მერმე, ცოტა არ იყოს, შემცბარმა წართქვა:

— ვიცი, შენგანვე ვიცი, უფალო, რომ ეს ყოველივე „ამაოებათა ამაოებაა“. მაგრამ ნანისად ბებერ მეფესაც ეამაყება თავისი თავი.

●

„**უცნაური** რამ ადგილია ეს აფრიკა“, — ფიქრობდა სანტიაგო.

ის ერთ-ერთ იმ პატარა დუქანში იჯდა, აგრე ხშირად რომ ხვდებოდა ამ ქალაქის ვიწრო ქუჩებში, რამდენიმე კაცი ერთ უსაშველოდ გრძელ ყალიონს მორიგეობით ეწეოდა. სანამ ქალაქში დაყიალებდა, სანტიაგო ათას ვისმე გადაეყარა. ხელჩაკიდებულნი კაცნიც ბევრნი ნახა, ჩადრიანი დიაცნიც და ის ღვთისმსახურნიც, მაღლად ატყორცნილ კოშკებზე რომ ადიოდნენ და იქიდან რაღაცას ჩამოიძახოდნენ, დაბლა კი, რაც გარშემო ხალხი იდგა, სუყველა მუხლს იყრიდა და შუბლს მიწასა სცემდა.

„სარკინოზთა ქვეყანაა, მუჰამადის სჯულის მჭირავთა. აქ იმათი წეს-ჩვეულებებია“, — თავისთვის ჩაილაპარაკა სანტიაგომ.

პატარაობისას თავიანთი სოფლის ეკლესიაში არაერთხელ ნახა წმინდა იაკობის სახე — თეთრ ცხენზე ამხედრებულს ხელში მაღლა აწვდილი მახვილი ეჭირა და იქვე, ძირს, პირქვე დამხობილიყვნენ ავად მზირალნი კაცნი, აგრერიგად რომ ჰგავდნენ ახლა ამ სახემსეში სანტიაგოს გვერდით მსხდომთ. უცხო ადგილს მოხვედრილი ჭაბუკი მწყემსი უყმურ ხასიათზე იყო — დაძმარული საშინელ მარტოობას გრძნობდა.

და ახლალა მიხვდა, რომ წამოსვლისას გაწამაწიაში სულ გამორჩა მხედველობიდან ერთი გარემოება, რასაც განძისკენ მიმავალი გზის კარგა ხნით გადაკეტვა შეეძლო. ამ ქვეყანაში ყველანი მხოლოდ არაბულად მეტყველებდნენ.

მედუქნე თავს რომ წამოადგა, რას ინებებდით, სანტიაგომ ანიშნა, რასაც ჩემს მეზობელ სუფრაზე სვამენ, მეც ის მომიტანეო. მედუქნესაც არ დაუყოვნებია, მოუტანა და სასმელი მომწარო ჩაი გამოდგა. ეჰ, სად არის, თორემ ღვინო მერჩივნაო, გაიფიქრა სანტიაგომ.

თუმცალა, გინდ ჩაისა და გინდ ღვინოს არცრა მნიშვნელობა ჰქონდა, მთავარი იყო, რომ განძზე და იქამდე მისვლაზე ეფიქრა. ცხვრის

გაყიდვით კარგა ძალი თანხა იშოვა, ახლა ის ფული ჯიბეში ედო და გახსენებაზე იმისმა ჯადოსნურმა ძალამ თითქოს გაუქარწყლა ადგილ მარტოობის გრძნობა. ძალიან მალე, სულ რამდენიმე დღეში, უკვე პირამიდებთან იქნება. საეჭვოა, იმ ოქროს სამკერდულიან ბერიკაცს ექვსი ცხვრის გულისთვის მოეტყუებინა. ექვსი ცხვარი არც გამდიდრებს და არც გააღარიბებს.

სანტიაგოს სულ ახსოვდა, ბერიკაცი რა ნიშნებზე ელაპარაკა და, სანამ სრუტეს გადმოცურავდა, საგონებლად მარტო ის ნიშნები ჰქონდა. განძის საძიებლად გზაზე გადებულ ჭაბუკს კარგად ესმოდა, რაზეც იყო ლაპარაკი: ანდალუზიაში ხეტიალისას მიწის ენაც ესწავლა და ციცაც. ხან ერთი ენა აგებინებდა, რაც ელოდა, ხან მეორე. თუ ჩიტი აუწყებდა, ემანდ, სადღაც გველი იმალებაო, ბუჩქი ნიშანდობლივ ამცნობდა, სად ფშანს უნდა მისდგომოდა და სად მდინარეს. ორივე ენის ცოდნას კი იგი ცხვრებს უმადლოდა.

„თუ ცხვრებს არ ივიწყებს, ღმერთი არც მე ამაცდენს გზას", — გაიფიქრა სანტიაგომ და ცოტა დაშოშმინდა. ჩაიც კი ისე მწარე აღარ ეჩვენა.

— სადაური კაცი ხარ? — მოესმა უცებ ესპანურად.

სანტიაგომ შვებით ამოისუნთქა: ნიშნებზე ფიქრობდა, და ნიშანმაც არ დააყოვნა. შემკითხველი სანტიაგოსავე კბილა ჩანდა, ევროპულად ეცვა, ოღონდ ფერის მიხედვით ადგილობრივი უნდა ყოფილიყო.

— საიდან იცი ესპანური? — ჰკითხა სანტიაგომ.

— აქ თითქმის სუყველამ იცის. ესპანეთი ორი საათის სავალზეა.

— ჩამოჯექი. უნდა დაგპატიჟო, ღვინო დავლიოთ, მიდი, შეუკვეთე, მე ჩაის კაცი არა ვარ.

— ამ ქვეყანაში ღვინოს არა სვამენ, — მიუგო უცნობმა, — სარწმუნოება კრძალავს.

მაშინ სანტიაგომ, როგორმე პირამიდებამდის უნდა მივიღეო, უთხრა. ის იყო, კინალამ განძის ამბავიც დასცდა, მაგრამ დროით დაეჭირა ენას კბილი: გზის სწავლებაში გასამრჯელოდ ვაითუ წილი მთხოვოსო. თავში ჩაჭედილი ჰქონდა ბერიკაცის სიტყვები: რაც ჯერ არ გეკუთვნის, ნურცვის შეჰპირდებიო.

— შეგიძლია, რომ პირამიდებამდის მიმიყვანო? ისე არ მინდა, გადაგიხდი.

— წარმოდგენილი მაინც თუ გაქვს, სად არის ეგ პირამიდები?

სანტიაგომ შეამჩნია, რომ მედუქნე ზედ დასდგომოდათ და გაფაციცებული უგდებდა ყურს. სანტიაგოს მედუქნის თანდასწრებით სულაც არ უნდოდა ლაპარაკი, მაგრამ აგრე მარჯვედ ნაპოვნი გამყოლის ხელიდან გაშვება აშინებდა.

— მთელი საჰარა უნდა გაიარო, — უთხრა უცნობმა კბილამ, — საჰარის გავლას კი ფული უნდა, ბევრი ფარა, შენ როგორა გაქვს საქმე?

ამ კითხვამ, ცოტა არ იყოს, გააკვირვა სანტიაგო. მაგრამ უეცრად ბერიკაცის სიტყვები წამოაგონდა: როცა მართლა ძალზე ძლიერად გწადს რამე, მთელი ქვეყნიერება ხელს გიმართავს, რა არი გულის საწადელი აისრულოო. და სანტიაგომ ეგრევე ჩაიყო ხელი, მთელი ბღუჯა

ფული ამოიღო და დაანახვა თავის უცნობ კბილას, აი, რამდენი მაქვსო. მედუქნე კიდევ უფრო ახლოს მივიდა და ცოტა ხანს თვალი შეაცივა ორივეს, მერმე კი რალაც ჩაუარაბულა სანტიაგოს უცნობ ამხანაგს. სანტიაგომ გაჯავრება შეატყო მედუქნეს.

— წავედით, წავედით, — თქვა არაბმა ჭაბუკმა, — ... უნდა, რომ აქა ვართ.

ბიბლიოთეკა

სანტიაგო სიხარულით წამოდგა და ანგარიშის გადახდაც დააპირა, მაგრამ მედუქნემ ხელი ხელში სტაცა და ენად გაიკრიფა. სანტიაგოს ძალაც ჰქონდა და გულიც ერჩოდა თავის დასახსნელად, მაგრამ უცხო ქვეყანაში იყო და არ იცოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო იქ ასეთ დროს. საბედნიეროდ, არაბმა ჭაბუკმა ხელი ჰკრა მედუქნეს და სანტიაგო დუქნიდან გარეთ გაიყვანა.

— ფულის წართმევა უნდოდა შენთვის. ტანჟერი არც ერთ აფრიკულ ქალაქს არა ჰგავს. ნავსადგურია, ნავსადგურნი კი ყოველთვის თაღლითებით არის სავსე, ორყაბაზი ხალხი ირევა.

სანდო ბიჭი ჩანს. მართლაც ვაუკაცურად დაუდგა გვერდში. ახალი ნაცნობის საქციელით კმაყოფილმა სანტიაგომ კვლავ ამოიღო ჯიბიდან ფული და გადათვალა.

— ხვალვე შეგვიძლია პირამიდებისკენ წასვლა, — უთხრა არაბმა ჭაბუკმა, — ოღონდ ჯერ ორი აქლემი უნდა ვიყიდოთ.

და მან სანტიაგოს საფულე გამოართვა.

მერმე ვიწრო ქუჩებით გაუყვნენ ტანჟერს, სადაც ყოველ ნაბიჯზე ერთ ფარდულსა თუ ქულბაქს მეორე ცვლიდა ანდა სულაც გარეთ იყო დახლები გამოტანილი. და მალე ბაზრის მოედანზე გავიდნენ, იქ მართლაც ბუზივით ირეოდა ხალხი — ყიდიდნენ, ყიდულობდნენ, ღიჯინებდნენ, ჩინჩობდნენ, იყო ერთი ორომტრიალი. დახლებზე ერთად ეწყო მწვანილი, ხილი და ნაირ-ნაირი სატევრები, ხანჯლები, ბებუთები, ანდა ძოლო-ხალიჩები და ასევე ათასნაირი ჩიბუხები, ყალიონები. სანტიაგო თვალს არ აშორებდა თავის ახალ ნაცნობს, იმჩემსაფულიანად ხალხში არ დამეკარგოსო. წელან გამორთმევაც უნდოდა, მაგრამ მოერიდა, უხერხული იქნებაო, ვაითუ ეწყინოსო. გაგებაში არ იყო, რა ზნე-ჩვეულებათა ქვეყანაში იმყოფებოდა და ფრთხილობდა, რამე არ შემეშალოსო. „არაფერია, — გაიფიქრა სანტიაგომ, — სად წამივა, თვალი მიჭირავს, მე შენ გეტყვი, ჩემზე ჯანიანია თუ რა“.

ანაზდად დახლზე გამოფენილ ათასგვარ აჩხორილ საქონელში ხმალს რასმე მოჰკრა თვალი, რომლის უფრო უკეთესი მკვეთელი რკინა არც როდის ენახა: ვერცხლის ქარქაშიანს ვადა ძვირფასი ქვებითა და მინანქრით ჰქონდა მოოჭვილი. ეგვიპტიდან რომ მოვტრიალდები, აუცილებლად ამნაირსავე ვიყიდიო, გულში გაივლო სანტიაგომ.

და:

— მოდი ერთი, ჰკითხე, რა ღირს, — არც მობრუნებულა, ისე უთხრა თავის ახალშეძენილ ამხანაგს.

ამის თქმა იყო, და მიხვდა, რომ ხმალზე თვალშეჩერებულს ორად ორი წამი უმტყუნა ყურადღებამ. გულმა რეჩხი უყო. უკან მოხედვისა ეშინოდა, რადგან უკვე იცოდა, რა სურათსაც მოიხილავდა. კიდევ რამ-

დენიმე წამს ათვალიერა ხმალი, მაგრამ მერმე ძალა მოიკრიბა და თავი მოაბრუნა.

გარემრგვალად ბაზარი ზიმზიმებდა და დგანდარებდა, ზღვა ხალხის ძვრა ჭიანჭველების ფუთფუთსა ჰგავდა. აქეთ გაშლილი თუ დაგორგლილი ძოლოხალიჩები ეწყო, იქვე გვერდით ქვასალი გორა-გორა ეყარა, მწვანილეულისა ხომ ზვინები იდგა და თვლა არა ქონდა სინელენძის სინებსა და ლანგრებს, ერთმანეთში ირეოდნენ ხელიხელგაყრილი კაცები და ჩადრიანი ქალები, ჰაერში ათასგვარი უცხო ხორაგისა თუ საჭმლის სუნი ტრიალებდა, ერთადერთი, ვინც არა ჩანდა, ის არაბი ჭაბუკი იყო, წელან დუქანში გაცნობილი.

სანტიაგო პირველად ჯერ კიდევ ირწმუნებდა თავს, უცილოდ იმედი დაგვეკარგა ერთმანეთი ამ ზღვა ხალხშიო, უცილოდ შემთხვევით მოხდაო, და ადგილიდან არ იძვროდა, ახლა მე არ გავუხდე საძებნელიო. სანამ ის იდგა და ელოდა, ან ახლა გამოჩნდება, ან ახლაო, მალალ კოშკზე ვილაც კაცი ავიდა და, როგორც კი ხმა გაიავაჯა, გარშემო რაც ხალხი იყო, სუყველა ეგრევე პირქვე დაემხო, შუბლი მიწასა სცა და აზმუვლდა. მერმე კი, თითქოს ბუდრუგანა ჭიანჭველები არიანო, ვაჭარ-მოვაჭრეებმა ჩქარა-ჩქარა აალაგეს საქონელი, მიკეტ-მოკეტეს ფარდულები და ქულბაქები. ბაზარი გაუკაცრიელდა.

მზეც ჩასასვლელად გადაიხარა, სანტიაგო დიდხანს უმზერდა, როგორ ჩადიოდა, და მანამ არ მოუშორებია თვალი, სანამ მოედნის გარშემო შემომწკრივებული თეთრი სახლების სახურავებს არ მიეფარა. და გაიხსენა, რომ დღეს, ვიდრე აღმოხდებოდა, ჯერ ისევ სხვა კონტინენტზე ედგა ფეხი, მწყემსი იყო, რომელსაც სამოცცხვრიანი ფარა ებარა, და მემაუდის ასულთან პაემანს ელოდა. ჯერ კიდევ დილას ყველაფერი იცოდა წინ-წინ, რაც მოხდებოდა, როცა ცხვარს საძოვარზე გაადილავებდა.

ახლა კი, იმავე დღის დაისის ჟამს, სულ სხვა ქვეყანაშია, სადაც უცხოა ცხრაუცხოთა შორის და ენაც კი არ ესმის, რომელ ენაზეც იქაური მსახლობელნი მეტყველებენ. ის უკვე მწყემსი აღარ არის, სუყველაფერი დაკარგა — უწინარესად კი ფული, რაც იმას ნიშნავს, რომ უკან ველარ დაბრუნდება და თავიდან ვერცრას დაიწყებს.

„და ეს ყოველივე მზის ამოსვლისა და ჩასვლის შუა მოხდა", — ფიქრობდა სანტიაგო, რომელსაც თვითონვე ეცოდებოდა თავისი თავი და გული ეწვოდა, რომ აგრე უეცრივ ბედუკულმა დაუტრიალდა ცხოვრების ჩარხი.

ცოტაც და ატირდებოდა, მაგრამ თან კი სირცხვილის გრძნობა ეძალებოდა. ატირებული თავის ცხვრებსაც არ დანახვებია. ერცხვინებოდა, ახლა კი უკვე დაცარიელებულ ბაზარში მარტოდმარტო იდგა, სამშობლოდან შორს, ცხრა მთის იქით.

და სანტიაგოს გული ამოუჯდა. ნუთუ ღმერთი მართლა ეგზომ მკაცრია იმათ მიმართ, ვისაც თავისი სიზმრებისა სჯერა!

„რა ბედნიერი ვიყავი, როცა ჩემს ცხვარსა ვმწყემსავდი, ჩემ გარშემო სხვასაც ბედნიერსა ვხდიდი. ყველას უხაროდა ჩემი დანახვა, რადგან ყველასთვის სიხარული მიმქონდა.

აწ დადარდიანებული და უბედური ვარ და არ ვიცი, რა ვქნა, ვატყობ, გავბოროტდები, დღეიდან ვერცვის მივენდობი და სუყველას ეჭვის თვალით დავუწყებ ცქერას მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ იმ ერთმა კაცმა მომატყუა და მომაღირა. თუ ვინმე განძს რასმე მიაგნებს, სუყველა შემძულდება, ვინაიდან მე ჩემსას ვერ მივაგენი. წყალწაღებულისა და ხავსისა არ იყოს, მეც ჩემს კნინ შეძლებაზე უნდა დავჯერდე და ჩავებღაუჭო, რადგან ერთი უბრალო, შეურაცხი ტლუ ბიჭი ვარ და ბევრს ვერას გავწვდები.

მერმე თავისი გუდა-ტავარჯუხს მოხსნა პირი, ვნახო ერთი, ცოტა რამ საჭმელი ხომ არ დამრჩაო, თუნდაც კარაქიანი პურის ნაჭერიო, მაგრამ შიგ მარტოოდენ სქელი წიგნი, ქურთუკი და ის ორი ქვა მოიძია, ბერიკაცმა აქეთობისას რომ მისცა.

და ქვების დანახვაზე სანტიაგომ საოცარი შვება იგრძნო. ბერიკაცმა ექვსი ცხვრის სანაცვლოდ მიუბოძა ორი ძვირფასი ქვა. ადგება ახლა, ორივეს გაჰყიდის, იმ ფულით ისე მოვა ერთი ბილეთი, მზე მაღლა იქნება, და აღარ დააყოვნებს, წავა უკან.

„მაგრამ ამჯერად უფრო ჭკვით მოვიქცევი", — გაიფიქრა და ქვები გუდა-ტავარჯუხიდან ამოიღო, ჯიბეში ჩაიწყო. სანავსადგურო ქალაქშია, ეშმაკს არ სძინავს, მართალი უთხრა იმ ბაცაცამ, აქ თაღლითსა და მამაძაღლს რა გამოლევს.

სანტიაგო მხოლოდ ახლაღა მიხვდა, წელან აგრერიგად რატომ ცხარობდა მედუქნე, რომელმაც ვერა და ვერ მიახვედრა, რომ მშრალზე დატოვებას უპირებდა ის თავისი ახალგაცნობილი ამხანაგი, და არ უნდა მინდობოდა.

„მე ზედნაკუწად ისეთივე ვარ, როგორიც სუყველა: სასურველი სინამდვილედ მოჩანს და ქვეყანას ისეთად კი არა ვხედავ, როგორიც მართლაა, როგორის ხილვაც მე მინდა, ისეთად ვჭვრეტ".

მერმე ისევ თვალიერება დაუწყო ქვებს, ხელი ფრთხილად გადაუსვ-გადმოუსვა, თითქოს საზუზარი, დიდად გასაფრთხილებელი რამ უჭირავსო, არადა, ჯერჯერობით სხვა არცრა განძი მოეძევებოდა ამ ორი ძვირფასი ქვის, ორი სპეკლის მეტი, რომელთაც ჯერ კიდევ შერჩენოდათ გუდა-ტავარჯუხიდან გამოყოლილი სითბო. ეს სითბო კი გულს უფონებდა, და სანტიაგოს ისევ წამოაგონდა ბერიკაცის ნათქვამი: „როცა მართლაც ძალზე ძლიერად გწადს რამე, მთელი ქვეყანა ხელს გიმართავს, რა არი საწადელი აისრულოო".

ცასა და ქვეყანას შუა უთვისტომოდ დარჩენილ ჭაბუკს იმის გაგება სურდა, ნამდვილად აგრე იყო თუ არა. ის ახლა გაუკაცრიელებული ბაზრის მოედანზე ჯიბეგახვრეტილი იდგა, და ამჯერად საფიქრალი არა ჰქონდა, სად გავათენებინო ცხვარს ღამეო. ის ორივე ძვირფასი ქვა კი თითქოს ერთსა და იმავეს ჩასჩიჩინებდა: ნუ იგულმავიწყებ, რომ ამას წინათ მეფეს შეხვდით, რომელმაც მთელი შენი ასავალ-დასავალი იცოდაო, მამაშენის დაუკითხავად თოფი რომ აიღე, ისიც, და პირველი ქალის ამბავიცაო.

„როცა ნიშნებში ვერ გაერკვევი, ეს ქვები წაგადგებიან. ერთს ურიმი ჰქვია, მეორეს — თუმიმიო", — გაახსენდა აწ უკვე ნამწყემსარს.

სანტიაგომ კვლავ ამოიღო ჯიბიდან ძვირფასი ქვები, ისევ გუდა-

ტავარჯუხში ჩააბრუნა და, თუ ცდა ბედის მონახევრეა, მეც ავდგები და ვცდიო, გადაწყვიტა. რასაც შეეკითხები, მკაფიოდ და კანთიელად უნდა შეეკითხო, რადგან ქვები მხოლოდ მაშინ წაგადგებიან, როცა კარგად იცი, რის მონიაზეც ხარო, თითქოს ახლაც ეკანანახებოდა ბერიკაცი. სანტიაგომაც, ბერიკაცის ლოცვა-კურთხევა კვლავაც თანა მდევს თუ არაო, ჰკითხა და ტავარჯუხიდან ხელი სწრაფად ამოყო.

— ჰო, — ხმა გაიღო თეთრმა ქვამ.

— ვითომ ვიპოვი უნჯ-განძს? — ისევ დაეკითხა სანტიაგო.

მან კვლავ ჩაყო ხელი ტავარჯუხში, ქვები აურია და ის იყო პასუხი უნდა ამოეღო, რომ ორივე ქვა ტავარჯუხის ნახვრეტიდან გაუძვრა. ადრე არცროდის შეუმჩნევია, ტავარჯუხი გახვრეტილი თუ იყო. სანტიაგო ქვების ასაღებად დაიხარა, მაგრამ თავში ახალმა აზრმა გაუელვა: „ნიშნებს დაუკვირდი და მიჰყე", — ეუბნებოდა ბერიკაცი.

ნიშანი! სანტიაგოს გაეცინა. მერმე ქვები მიწიდან აიღო და ტავარჯუხში ჩაყარა. გაიხვრიტა და გაიხვრიტოს, არც ამოკერავს და არც გადაკერავს, იყოს ეგრე გახვრეტილი. ქვებს თუ უნდათ, მაინც გაძვრებ-გამოძვრებიან. სანტიაგო მიხვდა, რომ ზოგიერთი რამ არც უნდა იკითხოს კაცმა, რათა აზრადაც არ გაივლოს და არცა სცადოს ოავისი ბედისგან გაქცევა. „მე აკი შევპირდი ბერიკაცს, ყველაფერს ჩემით გადავწყვეტ-მეთქი" — უთხრა მან თავის თავს.

თუმცალა, ქვებმა გულისხმაში ჩააგდეს, რომ ბერიკაცი თავს არ ანებებდა, თანა სდევდა, და ამ ამბავმა დიდად შეაგულიანა. მან კვლავ თვალი მოავლო გაუკაცრიელებულ მოედანს, ოღონდ ახლა ისე უიმედოდ აღარ უგრძვნია თავი. სულაც უცხო კი არა, უბრალოდ ახალი ქვეყანა გადაშლოდა თვალწინ.

აკი თავადაც სწორედ სულ ახალი და ახალი ქვეყნების ხილვას ესწრაფოდა. თუ პირამიდებამდის მისვლა არ უწერია, ისედაც უკვე ბევრად მეტი ნახა, ვიდრე რომელიმე მწყემსს უნახავს დედამიწის ზურგზე.

„ნეტავი სხვათაც აცოდინათ, რომ სულ რაღაც ორი საათის სავალზე ყველაფერს სრულიად სხვა იერი დაჰკრავს", — გაიფიქრა მან.

ახალი ქვეყანა აწ მკვდარ საბაზრო მოედნად გადაშლილიყო, მაგრამ ხომ მოასწრო ნახვა, როგორ დუღდა სიცოცხლით სავსე, რაც აღარცროდის დააგიწყდება. მერმე ახლა ხმალიც გაახსენდა: მართალია, ფრიად ძვირი დაუჯდა ის ერთი თვალის შევლება, მაგრამ სამაგიეროდ მსგავსი რამ ადრე არასოდეს უნახავს. სანტიაგო უცებ მიხვდა, რომ ამ ქვეყნის ცქერა არა მარტო თაღლითისა და ავაზაკის მსხვერპლის თვალით შეეძლო, არამედ უნჯ-განძთა და თავგადასავალთა მამაცი, შიშუცოდარი მძებნელის თვალითაც.

— მე უნჯ-განძთა და თავგადასავალთა მამაცი, შიშუცოდარი მძებნელი ვარ, — უკვე ძილმორეულმა წაილუღლუღა სანტიაგომ.

●

ვილაცამ ფერდში წაჰკრა, და იმანაც თვალები ჭყიტა. ბაზარი რომლის შუაგულშიც სანტიაგომ ღამის სადგომი მოიწყო, კვლავ ცხოვრებას უბრუნდებოდა.

ჩვეულებისამებრ მან ჯერ თავისი ცხვრის საძებნელად მიმოიხედა და უკვე საბოლოოდ გამოფხიზლებულს გაახსენდა, რომ ახალ სოფელ-

ქვეყანაში იყო, რასაც სულაც არ დაუნაღვლიანებია, პირიქით, თავს ბედნიერად გრძნობდა. მორჩა და გათავდა, საზრდოს საძებნელად აღარ ილაჯუნებს, პირდაპირ უნჯ-განძის ხელში ჩასაგდებლად წავა! მერე რა ვუყოთ, თუ ჯიბეგახვრეტილია, სამაგიეროდ ცხოვრების რწმენა აქვს. წუხელ მან თავგადასავალთა მძებნელის ბედიანერჩიანის ერთ-ერთი იქნება იმათ შორის, ვისი ამბავიც წიგნებში ამოუკითხავს.

ნამწყემსარი ნელი-ნელ შეუყვა ბაზრის მოედანს. მოვაჭრენი თავ-თავიანთ ფარდულებსა და ქულბაქებს აღებდნენ, და მან ხელი შეაშველა მავან მეშაქარლამეს დახლის გამოდგმაში, ზედ ტკბილეულის გამოფენაში.

მეშაქარლამეს სახე ულიმოდა: გულსავსედ იყო, იცოდა, რისთვისაც ცხოვრობდა, და კვლავაც მხიარულად ემზადებოდა ახალი გასარჯელი დღისთვის. ამ მეშაქარლამე-მეტკბილეულის ღიმილმა ჭაბუკს ბერიკაცის — იდუმალი მელქისედეკ მეფის ღიმილი გაახსენა.

„ეს კაცი ტკბილეულს სულაც იმიტომ არ აცხობს, რომ ამქვეყნად გზაზე გადება სწადს ანდა მემაუდის ასულის ცოლობა უნდა. უბრალოდ თავისი საქმე მოსწონს“, — გაიფიქრა სანტიაგომ და შეამჩნია, რომ იმ ბერიკაცზე უარესად არ შეეძლო ერთი თვალის შევლებით იმის განსაზღვრა, თუ რამდენად მიახლოებოდა ანდა დაშორებოდა კაცი თავის ბედის ვარსკვლავს.

„რა ადვილი რამ ყოფილა, ადრე ნეტავი რატომ არ მესმოდა?“

შუაგ-ჩარდახის გადაჭიმვას რომ მორჩნენ, მეტკბილეულემ იმ დღეს გამომცხვარი პირველი ქადა სანტიაგოს მიართვა. მან გემრიელად მიირთვა, მადლობა უთხრა და გზა განაგრძო. და მხოლოდ ახლაღა მიხვდა, რომ სანამ ფარდულს გამართავდნენ, მეტკბილეულე არაბულად მეტყველებდა, ხოლო თვითონ — ესპანურად, მაგრამ, როგორც ჩანს, ერთმანეთს უგებდნენ.

„ეტყობა, ისეთი ენაც არის, სიტყვებს სულ არ საჭიროებს, — გაიფიქრა მან, — სწორედ ამ ენაზე ველაპარაკებოდი ჩემს ცხვრებს, ახლა კი ამავე ენით ადამიანთანაც ვცადე დალაპარაკება“.

„ყველაფერი ამქვეყნად ერთი მთლიანია, ერთობლივია“ — როგორც ბერიკაცი ამბობდა.

სანტიაგომ, ტანჟერის ქუჩებს აუჩქარებლივ გავუყვებიო, იზრახა, რა არი არც ერთი რამ ნიშანი არ გამოჰპარვოდა. ამას, ცხადია, კარგა გვარიანი მოთმინება დასჭირდება, მოთმინება კი ის სათნოებაა, რომელსაც სუყოველი მწყემსი უწინარესად სწავლობს. და ნამწყემსარმა კვლავ გაიფიქრა, რაც ცხვრებმა მასწავლეს, ამ ახალ სოფელ-ქვეყანაში უკლებლივ გამომადგებაო.

„ყველაფერი ამქვეყნად ერთი მთლიანია, ერთობილია“, — ისევ წამოუტივტივდა თავში სანტიაგოს მელქისედეკის სიტყვები.

(დასასრული იქნება)

სომხური პოეზია

ცნობილ მთარგმნელსა და საზოგადო მოღვაწეს გივი შავნაზარს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა, ჟურნალ „საუნჯის" რედაქცია ულოცავს მის კოლეგიის წევრს ამ საიუბილეო თარიღს, უსურვებს დიდხანს სიცოცხლეს და დიდ წარმატებებს შემდგომ მთარგმნელობით საქმიანობასა და საზოგადო მოღვაწეობაში.

თარგმნა გივი შავნაზარმა

ნაპაპეტ ქუჩაკი

პაირენეგი

●

სულმა სხეული დატოვა, —
ხმა გვესმა ცრემლში ნალტობი:
— შენით ვარ, რა მეშველება,
სულო, უშენოდ დატოვილს!

— ბრძენი მეგონე, აქამდე
შენ იყავ ჩემი ბატონი? —
სახლი რო თავზე ემხობა,
შიგ რად იჯდება პატრონი?!.

●

ამ ზღვა ღამეში ძლივს შევძელ
ორ ფთილა ფიქრის განასკვა...
ერთ ძაფს სატრფოსკენ მივყავდი,
უმალ ავწყვიტე ჯარასა;

ავდექ, მივადექ ღვინითა,
არ მოვერიდე არასა:
— თოვს, გამეთოშა ფეფები,
კარს არ გამიღებ ქალასა?!

●

სატრფოვ, თუ იცი, წუხელის
ღამით მეტრფე რო გეწვია;
გკოცნა და გკოცნა მძინარი,
ტუჩს კალო გაალეწია...

არ ვიცი, მოიმძინარე
თავი, თუ მართლა გეძინა,
შენი მდიდრული წყალობა
ჭაბუკს კი მადლად ეწია...

●

ო, მზეო, თხემით ტერფამდი
ცეცხლი ხარ სულის შემძვრელი,
სხვას როგორ მიგცა — დედაშენს
წინ წყალი, უკან მეწყერი!

სამართლისა რო მჯეროდეს
სომხებისა და ბერძნების,
სამართლის კარად მისული
სხვისგან შენს დახსნას შევძლებდი!

●

ვახარე, ვამყნე, ისეთი
ბალ-ბალჩა ვაგე, ჭერი რო
ცის ედგა... ვაგლახ, წამტაცეს,
ვაი, ნერგებო თელილო;

ვძრწი! ბარტყმკვდარ კაგბის
ნატირალს
უნდა კი ენა მეჭვრიტა? —
გავიგე, მახე გვერნია;
დამიგე, დაგეჭერინო!

●

ლამაზო, ლურჯ ფერს ნუ იცმევ
ჩემ მკვლელად, ჩემ დამდაგედო,
ჩემ კარზე რხევით ნუ დახვალ,
ჩემო დამწველო აბედო;

ხიდის ოსტატის შვილი ხარ,
რა იქნებოდა, საბედოდ
შენსა და ჩემ ტუჩებს შორის
ჩვენც ცისარტყელა გაგვედო.

●

სულო, საღლა არ ვეძიე,
ქვეყანა შევაჯერია,
ისეთი მსურდა, ჩემამდე
თვალიმც რო არვის სჭერია;

ბოლოს შენ შემრჩი — მეტრფისგან
მიტოვებული ფერია,
რა ერქვა ჩემ ცდას, ზიარი
შენც თუ სხვის გედგა ჭერია!

●

ვთრთი, ვით შემოდგეგს ფოთოლი! —
თუ სიყვარული ურჩია;
ცრემლი — აპრილის თქორივით —
მალტობს ღაწვიან-ტუჩიან;

ამომხდა სული! მადლი ჰქმენ,
მაგრა ჩამიკარ გულშია,
შენ მკერდს შეჩვეულს სხვა არვინ
არ მომდის აინუნშიაც.

●

ფერი მძევს, საკმელისა ვთქვა,
ზაფრანაა თუ ფითრია? —
არ ვიცი, — შენგნით? თუ უკვე
სიცოცხლის წამებს მითვლიან;

მკურნალად შენ გთქვეს, მიშველე! —
რო ვკვდები, ხო შეგიტყვია, —
თორემ მე სული გამძვრება,
კაცისმკვლელს შენზე იტყვიან.

●

ნეტავი მთელი დუნია
ერთად რამ დასხა ქორადა?! —
მე, ერთგულ მეტრფეს, ეს გული
არ გამიყვია ორადა;

თუ ბედისწერას ვერ იცდენ,
ღირს კი რამ ცდად და
ძრწოლადა?! —
დე მქორონ! მე კი ამ ერთსაც
დავისვამ გულის სწორადა!

●

შემომწყრა გული! გაზიდა
განძი ფერად და ფენადა;
საყიდლად მთელი დუნია
ზედ დაესია ხელადა;

მო! შეაძლიე იმდენი,
სხვა გაეკაროს ძნელადა!
იხსენ! ვაგლახ ნუ ჩამ[illegible]
ვიხმე ბახინჯის ხ[illegible]

●

მომწყურდი, ავდექ, წამოველ,
შორით სალბუნად მეხები!..
ელდა შეგატყვე, სათქმელზე
უმალ ავიღე მე ხელი,

წამს წლად ნუ იქცევ, ნუ იგლოვ,
ნუ დაიტეხე მეხები!
ისევე უკან წამიყვანს
შენთან მომყვანი ფეხები!

ᲐᲕᲔᲢᲘᲙ ᲘᲡᲐᲐᲙᲘᲐᲜᲘ

ᲫᲕᲐ

სადა ძევს ნეტავ, სადა ძევს ნეტავ;
სად ასვენია ის ლოდი ახლა,
უბრალო ქვად თუ ბრწყინვალე სვეტად
რომ დაადგამენ ჩემს ობოლ საფლავს.

დღეს აქ ვაღამებ, ხვალ სხვაგან ვათევ,
ამა სოფელში მწირად დავდივარ;
რა იცის კაცმა, ეგების სადმე
იმ ქვაზეც ვმჯდარვარ და მიდარდია?!

●

შავი არწივი ღრუბელთ დასიდან
დამაცხრა, მძლავრ ფრთას ფრთაზე იცემდა,
მკერდი მიმტვრია, გული აზიდა
და მიაშურა შორთა სივრცეთა,

სად სავანეა მუდმივი თოვლის,
ესროლა გული დიდებულ მთათა
და შემდგომ იმ დღის მარად და ყოვლით
მესმის შუვილი არწივის ფრთათა!

●

ხეებზე მკრთალი შემოდგომის ისმის მუსიკა —
ერთი ყვითელი მელოდია — ასე უსიტყვო,
სევდიანი და საამო ხმების.

ჩამოუყრია მწვერვალებზე პირველი თოვლი,
სადაც მძლევარმა ფრინველებმა ლივლივით, თრთოლვით
გადაფრენის ჟამს მწუხარებით დაჰყარეს ფრთები...

მოწყურებულო სულო ჩემო, რას ელოდები?
არ არს აღდგომა გარდასულთა ტრფობათა შენთა,
აწ იჯექ მარტო ღვინოსთან და თრობასთან ერთად...
და მოეფერე მოგონებებს მარტო — გოდებით.

●

ვიხილე სიზმრად: უდაბნოში მიირხეოდნენ
აქლემები და საამურად რეკდნენ ეჟვნები,
ჩნდებოდნენ, ისევ ეფარვოდნენ მზისფერ ხეობებს
აქლემები და საამურად რეკდნენ ეჟვნები.

ვიხილე სატრფო: მხიარული იჯდა აქლემზე,
ძვირფასად მორთულს საქორწინო ედგა გვირგვინი,
დავემხე მის წინ, ჩემს ვედრებას არად აქნევდა
და ქარავანმა გადმიქროლა გულზე სირბილით.

გულგასენილი მარტოსული გზად მტვერში ვიწექ,
უსასოობის მომეახლა მე კაეშანი
და შორით, შორით საამურად მესმოდა ისევ,
უდაბნო მქროლი ქარავანის რეკვა ეჟვანთა...

ᲕᲐᲰᲐᲜ ᲢᲔᲠᲘᲐᲜᲘ

●

ო, ნუთუ ბოლო პოეტი მე ვარ? —
ჩემი სამშობლოს ბოლო მგოსანი!
ნაირო ჩემო, კვდომამ თუ თვლემამ
დაამხო შენი სვე სხივოსანი?!

მოღრუბლულ ყარიბს, ვოცნებობ როცა,
ნათელო, შენი შუქი მებურვის
და მეყურება: ვითარცა ლოცვა
ყლერს ენა შენი, ენა მეფური!

მიწად — ღრმად მყლერი!.. ცად — ნათლის სვეტი!..
ხან რომ ღვინდება, ხან რომ მაჭრდება...
კოკრად რომ სკდება, ვარდია ნეტავ
თუ გაგიხსენა ძველმა ნაჭრევმა?!

გაოგნებული ვქცეულვარ ხმევად:
მხარევ აღთქმულო, ნათლით გვმოსავდე!
... ო, ნუთუ ბოლო პოეტი მე ვარ,
ჩემი სამშობლოს ბოლო მგოსანი?!

ზაფხული, 1913

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

დაუსაბამო ჩემი გზებით ულმერთოდ დაღლილს
ჩამეძინება ნათელ ველზე, — უძილოს დიდხანს —
დასცდება გულს და აღმომხდება ბგერები მაღლით: —
მეჩვენა, თითქოს სევდიანი მიხმობდა ვიღაც...

გამომაღვიძა სიხარულის ტკივილმა მწველმა,
ტიროდა ველზე ღამის სიო სველი და გრილი,
ჩამხედა გულში უხალისოდ შორეთმა ბნელმა,
ლოდივით ჩუმი მარტოობა სუფევდა ირგვლივ!

დაგვიანებული სიყვარული

ქარბუქი გლოვს, უჩანი
ჯანღია და... ტიალი,
ასე გაუყუჩარი,
ვისი ხმაა გვიანი?

თითქოსდა ორეულის
ჩრდილად სულს ვინ ედება?..
ოცხო და შორეული
გესმათ ჩემი ვედრება: —

დამივიწყოს... გარშემო
ნუ მიველის, გზა ცთუნების
უკვე ალარ არსებობს
უკან დასაბრუნები...

ჩემ საფლავზე გამჩენი
ვის აკვნესებს?.. შორია...
ვინ გლოვს? ვისი მტანჯველი
ხმა შობს თეთრ ქარბორიას?..

საფლავს, აწ რომ არ ახსოვს
კაცთაგანს თუ ღმერთთაგანს,
ვინ იხსენებს? ხმა რა ხმობს?..
ვინა ჰგოდებს ერთთავად?..

ოცხო ქვეყნის უძირო
ზამთრის ღამე, მარტვილი...
აქ ვინ დაძრწის უძილო?..
ერთთავად ვინ დამტირის?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩესტერფილდი

წერილები ჩემს ვაჟს

თარგმნა რუსუდან ძებუღაძემ

ბათი, 28 ივნისი 1742 წ.

ჩემო კარგო გიჭო,

შენ ალბათ იცი, რომ სიტყვის გატეხვა უგუნური, უპატიოსნო და საძრახისი საქციელია. უგუნური იმიტომ, რომ მერმე აღარავინ დაგიჯერებს არაფერს, უპატიოსნო და საძრახისი კი იმიტომ, რომ გულმართლობა რელიგიისა და სინდისის უპირველესი მოთხოვნაა და კაციშვილი აღარ იფიქრებს, რომ ამ მოთხოვნის არშემსრულებელს სხვა კარგი თვისებები შეიძლება გააჩნდეს. იგი მოიხვეჭს სიძულვილს და მას ზურგს შეაქცევს ხალხიცა და ღმერთიც. ერთი სიტყვით, იმედი მაქვს, რომ სიმართლისა და პატიოსნების სიყვარულით გააკეთებ იმას, რაიც დადებული პირობის გარდა სიამაყემ და საკუთარმა ინტერესებმა უნდა გაგაკეთებინოს, კერძოდ, ესწრაფო ყოველ საქმეში, რასაც კი მოეკიდები, ყველას აჯობო.

როცა შენი ხნისა ვიყავი, სირცხვილად მიმაჩნდა, თუკი სხვა ბიჭი გაკვეთილს ჩემზე უკეთ ისწავლიდა, ან თამაშში ჩემზე მარჯვე გამოდგებოდა. მანამდე რა მომასვენებდა, ვინემ მეტოქეს არ ვაჯობებდი. დიდების კეთილშობილური წყურვილით ატანილ იულიუს კეისარს არაერთხელ უთქვამს: ის მირჩევნია სოფელში მერქვას პირველი კაცი, ვინემ რომში მეორეო. ერთხელ კიდეც იტირა ალექსანდრე დიდის ქანდაკების წინ, როცა დაფიქრდა, რა ბევრი რამ მოასწრო და რაოდენ დიდ დიდებას მიაღწია ოცდაათი წლის ალექსანდრემ, ვინემ მან, შუახნის კეისარმა. ასეთი გრძნობები დიდებული რამაა კაცთათვის. ვისაც ეს არა აქვს, თავის წუთისოფელს იგი უსახელოდ გალევს, ადამიანები მას არარად ჩათვლიან, ხოლო ვინც ცდილობს ყველას აჯობოს, მას შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ უმრავლესობას მაინც აჯობებს. ყველაზე უებარი საშუალება ყველა საქმეში წარმატებისა გახლავს მთელი ყურადღება ამ საქმეს მიაპყრო, სხვა არაფერზე იფიქრო, არაფერზე გაგექ-

ცეს გულისყური და მაშინ ნახევარზე ნაკლები დრო დაგეხარჯება. წიგნებში დიდხანს კირკიტი გონებაჩლუნგ ადამიანთა ხვედრია. ნიჭიერი კაცი თუ ყოველდღე იმუშავებს, იგი ყველაფერს სწრაფად შეითვისებს. ახლა კი დაფიქრდი, რა გირჩევნია: იყო დაკვირვებული და მუყაითი მეცადინეობის ჟამს და ამის წყალობით სხვა ბიჭებს აჯობო, კარგი სახელი მოიხვეჭო და სათამაშოდ მეტი დრო დაგრჩეს, თუ ავდებოდეს მეცადინო, რომ შენზე უმეცრებმა გაგასწრონ და მერმე ყბად აგილონ, ვითარც უტვინო, თამაშისათვის კი წამი დროც აღარ დაგრჩეს. ვინაიდან, მერწმუნე, თუ არ იმეცადინე, არც თამაშს არ ეღირსები. მაშ, რა გზით უნდა მიაღწიოს კაცმა სრულყოფას, შენ რომ მპირდები, მივაღწევო? ჯერ ერთი, უნდა აღასრულო შენი ვალი ღვთისა და ხალხის წინაშე, უამისოდ ხომ ყოველივე შენს ნამოქმედარს ფასი დაეკარგება, მეორეც, მოიხვეჭო დიდი ცოდნა, ურომლისოდაც, რა რიგიანი კაციც არ უნდა იყო, ყველა მაინც ზიზღით შეგხედავს. დაბოლოს, იყო ფრიად ზრდილი ადამიანი, რის გარეშეც რაგინდ წესიერი და მცოდნე არ იყო, არათუ უსიამო, აუტანელი კაცი იქნები.

გახსოვდეს მუდამ ეს სამი ამოცანა, მიზნად გქონდეს დასახული — ერთშიც, მეორეშიც და მესამეშიც წარმატება მოიპოვო. ეს შეადგენს ყოველივე იმას, რაც სიცოცხლეში თუ სიკვდილის მერმეც აუცილებელი და სარგოა. ჰოდა, რაც მეტად გაიწაფები და დახელოვნდები ამაში, მით მეტად გაიზრდება ჩემი სიყვარული და სინაზე შენდამი.

ბატი, 4 ოქტომბერი, ძვ. სტ. 1746 წ.

ჩემო საყვარელო გიჟო.

თუმცაღა ბევრ დროს მაკარგვინებს შენთან მიმოწერა, მაგრამ, გამოგიტყდები და ხშირად ეჭვი მიტანს, ვითომ არის კი საჭირო ეს მიმოწერა? ხომ ვიცი, რაზომ უსიამოა ადამიანისათვის რჩევა-დარიგებანი. ხომ ვიცი, რომ მამაშვილურ დარიგებებს მუდამ ბებრულ ბუზღუნად, მუდამ საკუთარი ძალაუფლების გამოჩენის სურვილად ან ამ ასაკისათვის დამახასიათებელ ყბედობად თვლიან. მაგრამ მეორე მხრივ მაინც ვიმედოვნებ, რომ საკმაო ჭკუა მოგდევს საიმისოდ, რათა კარგად განსაჯო და ყურად იღო, რაიც ესოდენ ნათელი და აშკარაა, თუმცაღა ჯერ კიდევ მეტად ახალგაზრდა ხარ, რომ ჭკუამ დამოუკიდებლად გაგიჭრას. ისე რომ, სიყმაწვილის მიუხედავად, ვფიქრობ, საკუთარი ჭკუა გიკარნახებს, რასაც გირჩევ, მხოლოდ და მხოლოდ შენი სიკეთისათვის გირჩევ: მაშასადამე, ის მაინც გმართებს, აწონ-დაწონო ჩემი რჩევა და დაუფიქრდეთ. თუ ასე მოიქცევი, იმედია ზოგი მათგანი მაინც გასჭრის. არ იფიქრო, რალაი მამა ვარ, მწადია ჩემს ჭკუაზე იმოქმედო. არა, მე მინდა მხოლოდ რჩევა მოგცე, როგორც მოგცემდა მეგობარი, ისიც შენი

თანამგრძნობი მეგობარი. არ გეგონოს, შენს გართობა-თამაშს ხელი შევუშალო, — პირიქით, მაგ ამბებშიც მინდა დაგარიგო და არა ცენზორობა გაგიწიო. დაე, ჩემი ცხოვრების გამოცდილებამ შენი გამოუცდელობა შეავსოს და სიყმაწვილის გზაზე ის ნარ-ეკალი მოგამოროს, მე რომ ახალგაზრდობა მომიწამლა და დამიმახინჯა. ამიტომაც გადაკვრითაც არ ვაპირებ გითხრა, რომ მთლიანად ჩემზე ხარ-დამოკიდებული, რომ ყოველი ბილიკი ჩემგან გაქვს მიღებული და არა სხვისგან და სხვანაირად არც იქნებოდა. ჰოდა, რაღაი ქალი არა ვარ, ნაზად მოგექცე და ლმობიერება გამოვიჩინო, ამიტომაც ჩემს კარგ მოპყრობას მხოლოდ და მხოლოდ შენი დამსახურება მოიხვეჭს.

გიმეორებ, სულაც არა მსურს ეს ამბავი მოგაგონო. მწამს, ისე მოიქცევი, როგორც ჯერ არს, მოიქცევი კეთილშობილ და დიდსულოვან გრძნობათა გავლენით, ანუ სიმართლის, ჩემი სიყვარულის და მადლიერების ხათრით.

მე იმდენჯერ მიმითითებია შენთვის, ყველაფერში დაკვირვება და გულმოდგინება გმართებს-მეთქი, რომ ახლა აღარ გეტყვი, ეს თვისებანი აუცილებელია, არამედ მიგანიშნებ, რომ ისინი სასარგებლო და კიდევ მეტი, საჭიროც არის შენი სიამოვნება-გართობისათვის. განა რა არის იმაზე დიდი სიამოვნება, როცა შენს ტოლ-ამხანაგებს ყველაფერში აჯობებ და გაასწრებ? ან განა არის კი რამე იმაზე დამამცირებელი, თუკი ისინი გაჯობებენ? ამ უკანასკნელ შემთხვევაში შენ უფრო მეტად უნდა შეგრცხვეს და დაგწყდეს გული, ვინაიდან ყველამ იცის, რაოდენ დიდ ყურადღებას აქცევდნენ შენს განათლებას და რამდენად მეტი შესაძლებლობა გაგაჩნდა ცოდნის შესაძენად შენს ტოლებთან შედარებით. მე თუ გირჩევ, გულმოდგინეობა გამოიჩინე-მეთქი, ეს როდი ნიშნავს, მიზნად მხოლოდ ის დაისახო, სხვებს აჯობო და მეტოქეობა გაუწიო (თუმცა ეს ფრიად სასიამოვნო და კანონიერი სიამაყის მომგვრელი გრძნობა გახლავს). მე ვგულისხმობ თვით საქმეში მოიპოვო ჭეშმარიტი წარმატება, რადგან, ჩემი აზრით, სჯობს სულაც არაფერი იცოდე რომელიმე დარგისა, ვინემ ნახევრად იცოდე. ზერელე ცოდნა არც კმაყოფილებას ანიჭებს კაცს და არც პატივსა დებს, სამაგიეროდ ხშირად სირცხვილს აჭმევს ან სასაცილოს ხდის.

> იგემე წყარო კასტილიის მთელი სიღრმითა:
> საშიში გახლავს რამის ცოდნა მხოლოდ ნახევრად, —

დიახაც სწორად უთქვამს მ-რ პოპს.

რასაც ქარაფშუტობას, ზერელობას ეძახიან, იგი გარდუვლად წარმოშობს საკუთარი თავით კმაყოფილ კოსტაპრუწა უქნარებს. ამ ბოლო ხანებში მე არაერთხელ დავფიქრებულვარ იმაზე, რა უბედური კაცი ვიქნებოდი, თუ რომ სიყმაწვილითვე არ შემეძინა გარკვეული ცოდნა და არ შემეყვარებინა იგი. უამისოდ რა უნდა მექნა ახლა? ალბათ მრავალ და მრავალ უვიცთა მსგავსად შემერყეოდა ჯანი და დავკარგავდი თანდაყოლილ ნიჭსა და უნარს, რაღაი მთელ ღამეებს ლოთობასა და ღრეობაში გავატარებდი, ანდა ქალებთან ლაქლაქს გადავაყოლებდი, ამავე ქალთა მხრიდან კი მხოლოდ ზიზღსა და დაცინვას დავიმსახურებდი. არადა თავს ჩამოვიხრჩობდი, — როგორც ერთმა კაცმა ქნა, — იმდენად

მომაბეზრებდა თავს ყოველდღე წინდებისა და ფეხსაცმლის ჩაცმა-გახდა. ახლა კი მე დამრჩა ჩემი წიგნები, მხოლოდ და მხოლოდ ჩემი წიგნები და ყოველი დღე მიდასტურებს ციცერონის ნათქვამის სიმართლეს ცოდნის სიკეთეზე: *«Haec studia abolescentiam alunt, senectutem oblectant res ornant, adversis perfugium ac solatium praebent, delectant domi, non impediunt foris; pernoctanx nobiscum, peregrinantur, rusticantur».**

ამას რომ ვამბობ, სულაც არ ვაპირებ სიამოვნებათა რიცხვს გამოვაკლო საუბარი და სჯა-ბაასი, რაიც ხანდაზმულ ასაკში ამდენ სიტკბოს გვარგუნებს ხოლმე; პირიქით, ეს ყოველ ასაკში ძალზე დიდი და ძალზე გონივრული სიამოვნება გახლავს, ოღონდაც უვიცთა ლაპარაკს სჯა-ბაასი არ დაერქმევა. იგი მათაც არ ანიჭებს ტკბობას, თვითონვე ღლით საკუთარი სიცარიელე, არ გააჩნიათ სასაუბრო საგანი და არ ჰყოფნით სიტყვები, რომ საუბარი შეიძლონ.

ამიტომაც ნება მომეცი მტკიცედ გირჩიო, ვინემ საამისო ძალა მოგდევს, დაიგროვო ცოდნის საკმარისი მარაგი; მერე რა ვუყოთ, თუკი სიყმაწვილის ფუქსავატურ წლებში მთლიანად ვერ გამოიყენებ მას. გწამდეს, რომ დადგება ხანი, როცა მისი დახმარება დაგჭირდება. სახელმწიფო ბელლებს მოსავლიან წლებში ავსებენ ხორბლით. ზუსტად არავინ იცის, მეორე თუ მესამე წელი იქნება მოუსავლიანი, მაგრამ ის კი იციან, რომ ადრე თუ გვიან დადგება ხანი, როცა ხორბალი სამყოფად არ მოვა.

მეტს არაფერს ვიტყვი; შენ გყავს მ-რ ჰარტი, რათა ეს აზრები განგიმტკიცოს, შენ გაქვს ჭკუა, რომ ჩემი ნათქვამის გულწრფელობა დაგიმოწმოს. მოკლედ რომ ვთქვათ: „თქვენ გყავთ მოსე და წინასწარმეტყველნი, უკეთუ არ დაუჯერებთ მათ, არ დაუჯერებთ არავის, გინდაც რომ კაცი მკვდრეთით აღსდგეს“.

არ იფიქრო, მე რომ ასე დაჟინებით გირჩევ, იმ ცოდნის შეძენა მხოლოდ წიგნებით შეიძლება, რაგინდ საამო, სასარგებლო და საჭირო არ იყოს ცოდნა იგი: მე ვგულისხმობ ადამიანთა ჭეშმარიტ ცოდნას, იგი კი უფრო აუცილებელია, ვინემ წიგნებით შეძენილი. ცოდნის ეს ორი სახეობა დასტურ ერთმანეთს ავსებს: ვერავინ ვერ დაუფლებია სავსებით ერთს, თუ ორივე არ იცის. ადამიანების ცოდნა კი მხოლოდ ხალხში ტრიალით შეიძინება და არა კაბინეტში ყუჩად ჯდომით. მარტო წიგნებით ვერ შეისწავლი ადამიანს, თუმცაღა ისინი ბევრს გიკარნახებს, როცა ცხოვრებას დააკვირდები. უიმათოდ ბევრი რამ შეიძლება ვერც დაინახო. ხოლო როცა საკუთარ დაკვირვებებს ადამიანებზე წიგნიდან ამოკითხულს შეადარებ, უფრო გაგიადვილდება ჭეშმარიტების მიკვლევა.

ადამიანები რომ გამოიცნო, არანაკლები ყურადღება და სიბეჯითე გმართებს, ვინემ წიგნების კითხვისას. იქნებ უფრო მეტი გამჭრიახობა

---

* ეს საქმიანობანი ასაზრდოებს ყმაწვილთ, გვახარებს მოხუცთ, უფრო საამოს ხდის ბედნიერებას, გვაძლევს თავშესაფარს და ნუგეშს უბედურების ჟამს, გვატკბობს შინ, არ გვიშლის ხელს გარეთ, არ გვშორდება ღამეობით, თან გვახლავს მოგზაურობის ხანს და გვეხმარება სოფლად მუშაობისას (ლათ.).

იყოს საჭირო. მაგალითად, მე შემხვედრია ბევრი ხნიერი კაცი, მთელი ცხოვრება რომ მაღალ საზოგადოებაში უტრიალიათ, მაგრამ თავიანთი ფუქსავატობისა და უყურადღებობის წყალობით ადამიანზე ამაზე მეტი არ იციან, ვინემ თხუთმეტი წლის ასაკში იცოდნენ. ამიტომ ტყუილად ნუ მოიტყუებ თავს, თითქოს ამ ცოდნას უსაგნო ლაქლაქი შეგძენს. არა, შენ უფრო ღრმად უნდა ჩასწვდე, შენ არა მარტო უნდა დაინახო ადამიანები, კარგადაც დააკვირდე. ბუნებას თითქმის ყველა კაცისთვის თან დაუყოლებია ყველანაირი გრძნობანი, მაგრამ ყოველ კაცში ერთი მათგანი ჭარბობს უპირატესად და სხვა ყველანი მას ემორჩილება. ამიტომაც ყოველ კაცში ეს მთავარი გრძნობა ეძიე, ჩაჰხედე მისი გულის ყველა იდუმალ კუნჭულს და დააკვირდი, როგორ სხვადასხვანაირად იტაცებს ერთი და იგივე ვნება სხვადასხვა ადამიანს. ხოლო როცა გამოიცნობ, ამა და ამ კაცს უფრო მეტად ეს აღელვებს და იტაცებსო, გახსოვდეს, ამ კაცს არასოდეს დაენდო ისეთ ამბავში, რაიც მის ამ გატაცებას ოდნავ მაინც შეეხება. პირიქით, უნდა შეიძლო კიდეც გამოიყენო იგი მასზე გავლენის მოსახვეჭად. ოღონდაც ძალიან გთხოვ, ფრთხილად იყო და მუდამ გახსოვდეს ამის შესახებ, გინდაც ეს კაცი ერთგულებას გეფიცებოდეს.

მე ძალიან მინდა, ამ წერილს ორჯერ გადაავლო თვალი. თუმცა არა მგონია, პირველადაც ბოლომდე ჩაიკითხო. ახლა კი აღარ შეგაწყენ თავს, ეს კია, ამ საკითხს ჩვენ ხელახლა დავუბრუნდებით, მშვიდობით!

ეს წუთია შენი წერილი მივიღე, შაფჰაუზენიდან გამოგზავნილი; რიცხვი კი მიგინიშნებია, ოღონდაც თვე დაგვიწყებია.

ბატი, 9 ოქტომბერი ძვ. სტ. 1746 წ.

ჩემო კარგო ბიჭო.

ჰაიდელბერგიდან შაფჰაუზენში მგზავრობისას რაც უსიამოვნებანი შეგემთხვა, ანუ თივაზე წოლა, შავი პურის ჭამა რომ მოგიხდა და თან ბერლინიც* გაგიტყდა, განა სხვა რა არის, თუ არ წინასწარი შემზადება იმ უფრო დიდ უსიამოვნებათა და მარცხისათვის, გზაში რომ მოელის კაცს. ხოლო თუ მას ყველაფრიდან დასკვნის გამოტანა უყვარს, იგი მათ ამ უბედურ შემთხვევათა დაბრკოლებათა და სიძნელეთა მაგალითებად მიიჩნევს, ყოველ კაცს რომ ცხოვრების გზაზე ხვდება. მგზავრობის დროს შენი გონება ის ეტლია, რომელმაც მთელი გზა უნდა გატაროს. ისე რომ, როგორი მგზავრობა გელის, კარგი თუ ცუდი, ეს იმაზეა დამოკიდებული, რამდენად საიმედოა შენი ეტლი და რიგზე აქვს თუ არა ყველაფერი. გარდა ამისა, შეიძლება ოღროჩოღრო გზებზე მოგიხდეს

* ეტლი.

სიარული, შეგხვდეს უხეირო სასტუმროები. ამიტომ წინასწარ შეამოწმე და იზრუნე, რომ შენს ეტლს, ურომლისოდაც ვერ იმგზავრებ, ყველაფერი რიგზე ჰქონდეს. ყოველდღე დაათვალიერე, თვლები ხომ არ მორყევია და ყოველდღე შეაკეთე, რაც შესაკეთებელი ექნება. ეს ყველას ძალუძს და ყველამ თვითონ უნდა იზრუნოს ამაზე. თუ ვინმე ამას უგულებელყოფს, მასზე ახია თვისი დაუდევრობის ყველა საბედისწერო შედეგი იგემოს და ადრე თუ გვიან კიდეც იგემებს.

*A propos*** დაუდევრობაზეც გეტყვი ერთ-ორ სიტყვას. მე არაერთხელ მითქვამს და შენც კარგად იცი, რომ ქალივით ნაზად არ მიყვარხარ და არც დაბრმავებული ვარ შენი სიყვარულით, პირიქით, იგი უფრო მგრძნობიარეს მხდის შენი ნაკლისადმი. მიგითითო ნაკლი, ეს არა მარტო ჩემი უფლება, ჩემი მოვალეობაცაა. ხოლო შენი ვალია გამოასწორო ეს ნაკლი შენივე სიკეთისათვის. მე ბევრგზის შემიმოწმებიხარ და, ღვთის მადლით, შენს გულში ცუდი გრძნობა და შენს თავში ცუდი აზრი ერთხელაც არ აღმომიჩენია. მაგრამ სიზარმაცე, უყურადღებობა და გულგრილობა კი შეგამჩნია, რაიც მხოლოდ მოხუცებს თუ ეპატიება, ცხოვრების დასასრულ სულიერ თუ ხორციელ ძალთა დაშრეტა რომ აძლევთ ერთგვარ უფლებას მისთანა უნდილობა გამოიჩინონ. ყმაწვილი კაცი კი მუდამ უნდა ილტვოდეს ყველგან პირველი იყოს და ყველგან თავი გამოიჩინოს; მუდამ სიფრთხილე მართებს, მუდამ დაუღალავად უნდა ეძიოს ყველა გზა და საშუალება ამის მისაღწევად კეისრის მსგავსად; ვინც *nil actum reputaris, si quid superesset agendum.****

გზა გამოგზავნილი წერილი. ამ წერილმა უდიდესი სიამოვნება მომგვარა, რადგან მისი ავტორი დიდი ქება-დიდებათ გიხსენიებს. სხვა საქებარ ამბავთა შორის ბოშა იმასაც მამცნობს, რაოდენ შეშფოთებული ყოფილხარ ჩემი ავადმყოფობით და რაოდენ ნაზი ზრუნვა და წუხილი გამოგიმჟღავნებია ჩემ მიმართ. მე ძალიან მადლიერი ვარ ამისათვის, თუმცა, კაცმა რომ თქვას, ეს შენი ვალია; მადლიერების გრძნობა ყველას როდი სჩვევია, მასზე ვერ იტყვი, დიდად არის გავრცელებულიო. რაკი ჩემდამი სიყვარული მხოლოდ შენმა ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ და იმ რწმენამ შთაგინერგა, რომ მე მიყვარხარ (რამეთუ თანდაყოლილ სიყვარულზე ლაპარაკი მტკნარი სისულელეა), მის სანაცვლოდ მხოლოდ ერთ რამეს ვთხოულობ, ვთხოულობ სწორედ იმას, რაც შენთვის ყველაზე საგულისხმოა: მუდამ ღირსეულად იცხოვრო და მუდამ ილტვოდე ცოდნისკენ. მშვიდობით იყავ და გჯეროდეს, რომ ყოველთვის მთელი გულით მეყვარები, თუკი ამ სიყვარულის ღირსი იქნები, არადა, მაშინვე გადაგიყვარებ.

●

შენ ალბათ გაკლია ის *vivida vis animi**, ესოდენ რომ აგულიანებს და აქეზებს ყმაწვილთა უმრავლესობას თავი მოაწონოს სხვებს, გამობ-

---

** ბარემ (ფრანგ.).

*** თვლიდა, საქმე ბოლომდე თუ არ მიგიყვანია, გაკეთებულად არ შერაცხოო (ლათ.).

* ცხოველი ძალა სულისა (ლათ.).

რწყინდნენ, თავიანთ ტოლებს აჯობონ. იცოდე, თუ შენი სურვილი და შენი საქმენი იმისკენ არ არის მიმართული, კაცი გახდე, თავის დღეში ვერც გახდები, ისე როგორც, თუ სურვილი და მონდომება არ გამოიჩინე, რომ ვისმე მოაწონო თავი, თავის დღეში არვის მოეწონები. *Nullum numen abest, si sit prudentia***, უთუოდ მართალი ნათქვამი გახლავთ სხვა ყველაფრის მიმართ, გარდა პოეზიისა. მე მტკიცედ მწამს, რომ ყოველი საშუალო ნიჭის მქონე კაცი, თუ საკუთარ თავზე იმუშავებს, თუ ბეჯითი, დაკვირვებული და შეუპოვარი იქნება, იმას მიაღწევს და ის გახდება, რაც თვითონ უნდა, ოღონდაც კარგი პოეტი ვერ იქნება.

შენი მომავალი სარბიელი ეს უზარმაზარი საქმიანი სამყაროა; საგანი, შენ რომ ახლა სწავლობ — ეს ევროპის სხვადასხვა ქვეყნების საქმენი, ინტერესები, ისტორია, სახელმწიფო წყობილება, ადათ-ჩვეულები გახლავს. ყოველი საშუალო ნიჭის კაცმა თუ ეს საგნები საშუალოდ შეისწავლა, უეჭველია, წარმატებას მოიხვეჭს. ძველი თუ ახალი ისტორიის შესწავლა დაკვირვებულ კაცს არ უნდა გაუჭირდეს. იგივეა გეოგრაფიისა და ქრონოლოგიის მიმართაც; არც მეორეს არ სჭირდება არც დიდი საზრიანობა და არც გამორჩეული ნიჭი. რაც შეეხება ოსტატურ მეტყველებასა და სწორ, გასაგებ და ამასთან დახვეწილ წერას, საამისოდ, ცხადია, მეცნიერებაა საჭირო. უნდა იკითხო დაკვირვებით საუკეთესო მწერლები და ყური უგდო იმ ხალხს, ვინც ყველაზე მეტი ღირსია ჩვენი მიბაძვის. აი, ყველა ის თვისებანი, შენ რომ განსაკუთრებით გჭირდება შენ მიერ არჩეულ ასპარეზზე და რომელთა გამომუშავება არც გაგიჭირდება, თუკი მოიწადინებ. მე კი პირდაპირ გეტყვი, რომ ძალიან გაგიჯავრდები, თუ ამას არ გააკეთებ. ვინაიდან, როცა ყველა შესაძლებლობა გაქვს, კიდეც უნდა გამოიყენო, არ გამოიყენებ და დამნაშავე თვითონ იქნები.

თუკი თავგამოდება და მუყაითობა აუცილებელია იმ თვისებათა შესაძენად, რომელთა გარეშე საზოგადოებაში წონა და ფასი არ გექნება, არანაკლები თავგამოდება და მუყაითობა გმართებს იმ მეორეხარისხოვან თვისებათა დასაუფლებლად, რაიც კაცს საამო და სასურველ სტუმრად ხდის საზოგადოებაში. მართალი თუ გინდა, ყველაფერი, რასაც არ გააკეთებ, კარგად უნდა გააკეთო, ხოლო თუ გულმოდგინებას არ დაატან, კარგად არაფერი არ გამოგივა. ამიტომაც გირჩევ გულმოდგინება გამოიჩინო ისეთი კნინი საგნებისადმიც, როგორიცაა ცეკვა და ჩაცმა-დახურვა. რახან ადათისა და ჩვეულების მიხედვით ყმაწვილი კაცისათვის ცეკვა ზოგჯერ აუცილებელია, ამიტომ არ უნდა დაივიწყო, რომ კარგად უნდა იცეკვო და მისდათავად სასაცილო საქმეში შენ მაინც სასაცილო არ გამოჩნდე. იგივე ითქმის ჩაცმა-დახურვაზეც; რახან ჩაცმა-დახურვა აუცილებელია, ამიტომ აგდებით არ უნდა მოეპყრა. განა იმიტომ, ვინმე კოსტაპრუწას ჯიბრი გაუწიო, არამედ იმიტომ, რომ სხვებისაგან არ გამოირჩე და ამის შედეგად სასაცილო არ გახდე. უთუოდ მიაქციე ყურადღება, ისე ჩაიცვა, როგორც საკუთარი თავის პატივისმცემელი შენი ასაკის ხალხი ჩაიცვამდა. იქ, სადაც მიდიხარ, ნურავის ათ-

** თუ შენ თავად გონიერი ხარ, არა ღვთაება არ მიგატოვებს (ლათ.).

ქმევინებ, დაუდევრად აცვია ან, პირიქით, მეტისმეტად გამოპრანჭულია.

ვისაც გონებადაფანტულს ეძახიან, ჩვეულებრივ, ან ძალიან უსუსური კაცია, ან რაღაცით მეტისმეტად გატაცებული, მაგრამ ესეა თუ ისე, მაინც ვერავინ დამაჯერებს, რომ ის საზოგადოებაში ყურადღებისა უსიამოვნო არ ბრძანდება. ასეთ კაცს წამდაუწუმ იაღლიში მოსდის, ასე გგონია, თითქოს დღეს ველარცა სცნობს იმ ხალხს, ვისთანაც გუშინ გადასკვნილი იყო. არ ერევა საერთო საუბარში, პირიქით, დროდადრო სულ სხვა რაღაცაზე წამოიწყებს საუბარს, თითქოს ეძინა და გააღვიძესო. როგორც გითხარი, ეს იმას მოწმობს, რომ კაცი იგი ან უსუსურია, ან მის გონებას არ ძალუძს ერთსა და იმავე დროს ერთზე მეტ საგანზე იფიქროს, ან იმდენად სჩვევია მის ჭკუა-გონებას ერთი რამით გატაცება, ასე გგონია, ძალიან დიდსა და მნიშვნელოვან ამოცანების გადაწყვეტით არის გართული და მისი აზრი და ფიქრი მხოლოდ იქითკენ რბისო. სერ ისააკ ნიუტონს, მისტერ ლოკსა და იქნებ კიდევ ხუთ-ექვს კაცს ქვეყნის დასაბამიდან ჰქონდათ უფლება გონებადაფანტულნი ყოფილიყვნენ, ვინაიდან მათი საქმე გონების უდიდეს დაძაბვას მოითხოვდა. მაგრამ თუ ყმაწვილი კაცი, ვისაც არა აქვს ისეთი საქმე, ამქვეყნად ყველაფერი დაავიწყოს, საზოგადოებაში მსგავს გონებადაფანტულობას გამოიჩენს და ჩათვლის კიდეც, ამის უფლება მაქვსო, ამისთანა ყმაწვილს საქმე ისე დაუტრიალდება, რომ ამ საზოგადოებიდან გააძევებენ. როგორი ქერქეტა და ფუქსავატი არ უნდა იყოს ესა თუ ის კრებული, რასან იქ მოხვდი, ადამიანებს არ უნდა გაუმჟღავნო შენი უყურადღებობით, რომ მათ სულელებად თვლი. უკეთესი იქნება, თუ აჰყვები და რაღაცნაირად შეურიგდები მათ ნაკლს, იმის მაგივრად, შენი ზიზღი აჩვენო.

ადამიანები ყველაზე ნაკლებ და ყველაზე ძნელად არად ჩაგდებას გაპატიებენ. ისინი უფრო ადვილად შეგინდობენ ვნებას, ვინემ წყენას. ამიტომაც თუ გინდა ხალხს თავი მოაწონო, თუ გინდა მათი სიყვარული მოიხვეჭო, მუდამ ყურადღებით იყავი მათთან. გახსოვდეს, ყოველ კაცს თავისი პატარა თავმოყვარეობა აქვს და შენი ყურადღება ამიტომაც მუდამ აამებს, უყურადღებობა კი სიამაყეს შეულახავს და აღშფოთებას მოჰგვრის, ყოველ შემთხვევაში, მტრულად განაწყობს შენდამი. მაგალითად, ხალხის უმრავლესობას (ვიტყოდი კიდეც — უკლებლივ ყველას) თავისი სუსტი მხარე გააჩნია. ზოგი რამ ძალიან უყვართ, ზოგი ჭირივით სძულთ, ამიტომაც თუ კაცს დასცინებ იმის გამო, კატას ან ყველს ვერ იტანსო (უნდა გითხრა, რომ ყველს ძალიან ბევრი ვერ იტანს), ან შენი უყურადღებობით და დაუდევრობით ამ კაცს რაიმე უსიამოვნებას გადაჰყრი, თუმცა კი შეგეძლო ეს უსიამოვნება აგეცილებინა, პირველს ის შეურაცხყოფად ჩაგითვლის, მეორეს თავისი თავის უპატივცემლობად და ერთსაც და მეორესაც დაგიმახსოვრებს. ხოლო თუ ხელს შეუწყობ, ის მოიხვეჭოს, რაც უყვარს და ის აიცილოს, რაც სძულს, ამით უფრო მოიგებ მის გულს და უფრო დაიახლოებ, ვინემ რაიმე სხვა დიდი სამსახურით. რაც შეეხება ქალებს, აქ კიდევ უფრო წვრილმანი ყურადღების გამოჩენა და, ვითარცა ზრდილ კაცს, საზოგადოებაში მიღებული ყველა წესის შესრულება გმართებს.

თუმცა ხშირად გიგზავნი გრძელ-გრძელ წერილებს, მაინც არა მაქვს იმედი, ამ წერილებმა შენზე გავლენა მოახდინოს, მე ისინი იმ ქაღალდის ფარატინებს მაგონებს, შენ რომ ამ ცოტა ხნის, მე კი დიდი ხნის წინათ ძაფით ვუშვებდი ჰაერში მოფარფატე ფრანებისაკენ. ჩვენ მათ „მსტოვრებს“ ვეძახდით. ზოგს ქარი გაიტაცებდა, ზოგი ბოლამდე მიეხეოდა, მხოლოდ თითო-ოროლა თუ მიაღწევდა და მიეწებებოდა ფრანს. ხოდა, მაშინდელივით ახლაც კმაყოფილი ვიქნები, თუ ჩემს „მსტოვართაგან“ რამდენიმე მაინც მოგეწება. მშვიდობით.

ლონდონი. 2 დეკემბერი. ძვ. სტ. 1746 წ.

ჩემო საყვარელო გიჭო.

ჩემი ახალი თანამდებობა საშუალებას არ მაძლევს ისე ხშირ-ხშირად გწერო გრძელ-გრძელი წერილები, როგორც წინათ გწერდი, როცა უფრო მეტი თავისუფლება და მოცალეობა მქონდა. მაგრამ შენ ნუ განსაზღვრავ ჩემს შენდამი სიყვარულს ამ წერილების სიმრავლის მიხედვით. რომც ნაკლები გამოგიგზავნო, ეს სულაც არ ნიშნავს, თითქოს შენდამი სიყვარული ოდნავ მაინც შემიმცირდა.

ეს წუთია მივიღე 25 ნოემბერს გამოგზავნილი შენი წერილი (ახ. სტ.), წინა ფოსტამ კი მისტერ ჰარტის წერილი მომიტანა; ორივე წერილმა ძალიან გამახარა: მისტერ ჰარტის წერილმა იმიტომ, რომ შენზე კარგ ამბებს მწერს, შენმა კი იმიტომ, რომ ზუსტ ცნობებს მაწვდი იმ საკითხებზე, მე რომ ესოდენ მაინტერესებს. გეთაყვა, კვლავაც მაცნობე, როგორ მართავენ და ხელისუფლობენ იმ ქვეყანას, სადაც ახლა ცხოვრობ. იმედია, ვიდრემდე მაგ ქვეყანას დატოვებდე, ძირისძირობამდე შეისწავლი მაგ საკითხს. ლოზანას მთავრობა ალბათ ფრიად ხელსაყრელია ასეთი ცივი ამინდის დროს: აღმართ დაღმართზე სიარული ცოტა გაგათბობს და გაცივებას გადაგარჩენს.

შენ იწერები, ქალაქში კარგი საზოგადოება არისო. თუ დაიარები იქ? თუ გაეცანი ხალხს და ვის გაეცანი? შემომითვალე რამდენიმე გვარი, სწავლობ თუ არა ბერძნულს, თუ მეცადინეობ კითხვა, წერასა და ლაპარაკში?

ლონდონი, 9 ოქტომბერი, ძვ. სტ. 1747 წ.

ჩემო კარგო გიჭო.

შენს ხანში ყმაწვილები მეტისმეტად გულუბრყვილონი არიან ხოლმე. ამიტომაც სულ იოლად ატყუებთ მათ გამოცდილი ხალხი და ბოროტადაც იყენებენ მათ ნდობას. საკმარისია რომელიმე რეგვენმა ან

ფლიდმა უთხრას, შენი მეგობარი ვარო, მყის დაუჯერებენ და მის თვალთმაქცურ მეგობრულ გრძნობებს წინდაუხედავად უსაზღვრო ნდობას მიაგებენ, რაც მუდამ ვნებთ და ხშირად კი ღუპავთ. შენ სადაცაა ხალხში გაბოხვალ — ჰოდა, უფრთხილდი იმ ხალხს, ვინც მეგობრობას შემოგთავაზებს. ნუ მიენდობი, მაგრამ ზრდილობიანად [illegible]. თავაზიან სიტყვა-პასუხს ნუ დაამადლი, ოღონდაც გულს ნუ გაუღებ. თავმოყვარეობასა და თავმომწონეობას ნუ მისცემ ნებას შეგაცდინოს და გაფიქრებინოს, თითქოს პირველი ნახვისთანავე ან გინდაც ხანმოკლე ხაცნობობის შემდეგ შესაძლოა ვინმე მეგობრად გაგიხდეს. ჭეშმარიტი მეგობრობა ნელ-ნელა იკვირტება, და მხოლოდ მაშინ გაიფურჩქნება, როცა ადამიანები მართლაც დაუმტკიცებენ იმას ერთმანეთს.

თუმცა არის კიდევ ერთი სახეობა, მეგობრობას რომ ეძახიან: იგი ახლოებს ყმაწვილკაცებს და გარკვეული დროის მანძილზე შეიძლება მხურვალე გრძნობაც აღუძრას ერთმანეთისადმი, მაგრამ, საბედნიეროდ, ხანმოკლე არის. ამ ნაჩქარევ მეგობრობას ღრეობა და ქეიფი ბადებს და მრუშობისა და ლოთობის დულაბი კრავს. კარგი მეგობრობა კია, ღმერთმანი! ეს უფრო სინდის-ნამუსისა და წესიერების წინააღმდეგ შეკრულ შეთქმულებად უნდა ჩაითვალოს და კანონით დაისაჯოს. მაგრამ ადამიანები მაინც ურცხვად და უგუნურად არქმევენ ამ შეთანხმებას მეგობრობას. ისინი ფულს სესხულობენ ერთმანეთისაგან სხვადასხვა ურიგო საქმეებზე, თავიანთ თანამზრახველთა გულის მოსაგებად ჩხუბში ებმებიან და ხან თავდამსხმელთა მხარეზე არიან და ხან თავდამცველთა. ერთმანეთს ყველაფერს უყვებიან, რაც იციან და რაც არ იციან. ასე გრძელდება მანამ, ვინემ მოულოდნელი შემთხვევა არ გაყრით. ამის შემდეგ უკვე აღარც აგონდებათ ერთმანეთი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მეგობრის გულღია აღსარებას, ესოდენ გაუფრთხილებლად წამოცდენილს. სხვებს გაუმხელს მის დასაცინად. გახსოვდეს, რაოდენ დიდი განსხვავება არსებობს შემთხვევით შეძენილ ამხანაგებსა და ჭეშმარიტ მეგობრებს შორის: ფრიად საამური და თვალებში შემყურე შენი მუდმივი ამფსონი შეიძლება ფრიად შეუფერებელი და ფრიად საშიში მეგობარი გამოდგეს, როგორც ხშირად ხდება ხოლმე ცხოვრებაში.

თუ რა აზრისა იქნება ხალხი შენზე, ეს მეტწილად დამოკიდებულია იმაზე, რა აზრისა არიან ისინი შენს მეგობრებზე. ესპანელებს ერთი მეტად ჭკვიანური ანდაზა აქვთ: „მითხარი, ვინ გყავს მეგობრად და გეტყვი, ვინცა ხარ შენ“. ხომ მისდათავად მოგივა აზრად, ვინც თაღლითსა და სულელს მეგობრობს, ან რაღაც ცუდის ჩადენას აპირებს, ან რაღაცა აქვს დასამალიო. გულით შეეცადე სულელებსა და თაღლითებს არ ემეგობრო, თუკი მისთანა ხალხთან ურთიერთობას „მეგობრობა“ შეიძლება უწოდოს კაცმა. მაგრამ არც მტრად გადაიკიდო თავშექცევად და უმიზეზოდ ერთნიც და მეორენიც ბლომად მოიძებნებიან. მე, მაგალითად, უფრო ვარჩევდი მაგისთანა ხალხთან დაახლოებასა თუ მტრად გადაკიდებას საიმედო ნეიტრალიტეტი დამეცვა. შენ შეგიძლია აშკარა მტერი იყო მათი სიბილწის ან უგუნურების, ისე რომ პირადი მტერი არც ერთისა არ გახდე. მეგობრობაზე არა ნაკლებ სახიფათოა მაგ ხალხთან მტრობა. შეეცადე მუდამ თავშეკავებული იყო ყველასთან, ოღონდ არც ყასიდი თავშეკავება გამოგადგება, ყასიდ თავშეკავებაზე უსიამო

არაფერია, მაგრამ თავშეუკავებლობაც მეტისმეტად საშიშია. ძალიან ცოტაა, ვისაც ზომიერების გრძნობა არ ღალატობს. ბევრი იმდენად გულჩახვეულია, იმდენად მიჩვეულია სულ უბრალო რალაცა დამალოს, სასაცილოც კი ჩანს. მაგრამ იმათზე არანაკლებ მრავლადაა ისინი, მზად რომ არიან ყველასთან ყველაფერი დაფქვან, რაც კი იციან.

მეგობრებს რომ შეარჩევ, შემდეგ საზოგადოება უნდა შეარჩიო. კაცმა ყოველნაირად უნდა ეცადო იმათ წრეში იტრიალო, ვინც შენზე მაღლა დგას. ეს აგამაღლებს, მაშინ როცა შენზე დაბალ ხალხში ტრიალი შენც დაგამდაბლებს. აკი გითხარი, როგორ ხალხშიც იტრიალებ, შენც ისეთი იქნები-მეთქი. რომ გეუბნები, შენზე მაღლა მდგომ ხალხს დაუახლოვდი-თქო, სწორედ უნდა გამიგო, არ გეგონოს, მათ ჩამომავლობას ვგულისხმობდე. ამას ჩემთვის ნაკლები ფასი აქვს. მე გულისხმაში მაქვს ადამიანის ჭეშმარიტი ღირსებანი და ის შეხედულება, რაც ამა თუ იმ კაცზე შექმნილა საზოგადოებაში.

კარგი საზოგადოება ორნაირია: ერთს *beau monde** ჰქვია და იმ ხალხისგან შესდგება, ვისაც გამორჩეული მდგომარეობა უკავია სამეფო კარზე და სხვებზე მეტად ერთობა; მეორე იმათგან შედგება, რაიმე განსაკუთრებული დამსახურება რომ გააჩნიათ, ან მნიშვნელოვან წარმატებისათვის მიუღწევიათ ჩვენგან ფრიად დაფასებული მეცნიერებისა და ხელოვნების დარგში. მე თუ მკითხავ, მ-რ ადისონისა და მ-რ პოპის საზოგადოებაში რომ ვიყავი, ასე მეგონა, ევროპის ხელმწიფეთა წრეში ვიმყოფები-მეთქი. დაბალ საზოგადოებას კი, რომელსაც ყოველნაირად უნდა ერიდო კაცი, მე ვუწოდებ კნინ და მისთავად ზიზღის ღირსი ხალხის საზოგადოებას. ესენი დიდ პატივად თვლიან შენთან იყვნენ, მზად არიან ყოველი ბიწი და ნაკლი შეგიქონ და ყოველ ახირებაში ხელი შეგიწყონ მხოლოდ იმიტომ, რომ შენთან ჰქონდეთ სიახლოვე, ადამიანებს სწირად ეამაყებათ ხოლმე, თუკი გარკვეულ წრეში მუდამ პირველი ადგილი უჭირავთ, რაიც ყოვლად სულელური და ყოვლად უმართებულო გრძნობაა. ამქვეყნად ისე არაფერი ამცირებს კაცს, როგორც მსგავსი შეცდომა.

შენ იქნებ მკითხო, განა ყოველთვის ძალუძს ადამიანს კარგ საზოგადოებაში მოხვდეს და ან რა გზით შეუძლია ამას მიაღწიოსო. მერწმუნე, რომ ძალუძს, ოღონდაც უნდა დაიმსახუროს ამის უფლება, უკეთუ იმის სახსარიც აქვს, ჯენტლმენურად იცხოვროს. ნიჭიერი, ღირსეული და კარგად გაზრდილი ადამიანი ყველგან გაიკაფავს გზას. საფუძვლიანი ცოდნა საუკეთესო საზოგადოების კარს გაუხსნის, კარგი თავდაჭერა კი სასურველ სტუმრად გახდის იქ. აკი გითხარი, ზრდილობა და კარგი თავდაჭერა დიახაც აუცილებელი რამაა-მეთქი ყოველი ღირსებისა და ნიჭის შესამკობად. უიმათოდ არა ცოდნა, არა სხვა სრულყოფილი ღირსება არ გამობრწყინდება. უიმათოდ მეცნიერი პედანტად იქცევა, ფილოსოფოსი ცინიკოსად, სამხედრო — პირუტყვად, ისე რომ არც ერთის, არც მეორისა და არც მესამის სიახლოვე სიამოვნებას არავის მოჰგვრის.

---

* მაღალი წრე (ფრანგ.).

ძალიან მინდა მალე შევიტყო ჩემს ლაიფციგელ კორესპონდენტებისაგან, რომ შენ უკვე იქა ხარ და ისიც მაუწყონ, რა შთაბეჭდილება მოახდინე მათზე თავშივე. მე ხომ მანდ არგუსები მყავს, თითეულ მათგანს კი ასი თვალი აბია, ყველა დიდი დაკვირვებით გითვალთვალებს და დაწვრილებით მომასსენებენ ყველაფერს. ეჭვი არ მეპარება, რომ ზუსტ ცნობებს მომაწვდიან. მაგრამ ცუდი იქნება ეს ცნობები, კარგი, მხოლოდ და მხოლოდ შენზეა დამოკიდებული. მშვიდობით.

ლონდონი, 16 ოქტომბერი, ძვ. სტ. 1747 წ.

ჩემო კარგო გიჟო.

ყოველ კაცს დიახაც უნდა შესწევდეს იმის უნარი, სხვებს მოაწონოს თავი, მაგრამ ამ უნარის შეძენა არც ისე იოლი საქმეა. არა მგონია, საამისოდ გარკვეული წეს-კანონები არსებობდეს, ისე რომ საკუთარი ჭკუა და დაკვირვება უფრო მეტს გიკარნახებს, ვინემ ჩემი რჩევა და დარიგება.

მოექეც სხვებს ისე, როგორც შენ თვითონ გინდა მოგექცენ, ამაზე უტყუარი ხერხი მე სხვა არც მეგულება. კარგად დაუკვირდი, სხვებში რა მოგწონს და ადვილი შესაძლებელია, შენშიაც იგივე მოეწონოს სხვებს. თუ შენ გსიამოვნებს, ადამიანები რომ შენს განწყობას, შენს სურვილებსა და უნებლიე ცოდვებს სათუთად, ყურადღებით ეკიდებიან, დარწმუნებული იყავი, სათუთი, ყურადღებიანი მოპყრობა მათაც ასევე ეამებათ შენგან. შეუწყვე და შეუგუე შენი სულისკვეთება იმ საზოგადოებაში გამეფებულ სულისკვეთებას, სადაც იმყოფები, ნუ შეეცდები საკუთარი მოახვიო თავს. გამოიჩინე სიდინჯე, მხიარული განწყობა, ქარაფშუტობაც, ოხუნჯე კიდეც იმისდა მიხედვით, იმ წუთს რა განწყობაზე იქნებიან შენ ირგვლივ მყოფნი. სწორედ ასეთი მოქცევა მართებს ცალკეულ ადამიანებს მთელი საზოგადოების მიმართ. არ უნდა შეაწყინო ხალხს თავი რაიმე ამბის მოყოლით. ეს ყველაზე გულის გამაწვრილებელი და უსიამო რამაა. უკეთუ შემთხვევით რაიმე მეტად მოკლედ მოსაყოლი ამბავი იცი იმ საგნის ირგვლივ, რაზეც იმ წუთშია ლაპარაკი, მოპყევი მოკლედ, ოღონდაც წინასწარ იქვე დასძინე, რომ სინამდვილეში შენ არ გიყვარს ამბების მოყოლა და ამ შემთხვევაში მხოლოდ იმან გაცთუნა, რომ ამბავი პატარა არის.

პირველ ყოვლისა, გადაეჩვიე საკუთარ თავზე ლაპარაკს, ფიქრად ნურც მოგივა შენი თანამოსაუბრენი საკუთარი განცდებითა და საქმეებით შეაქციო. თუ შენთვის ისინი საინტერესოა, სხვებისთვის, გახსოვდეს, მოსაწყენი და დამღლელი იქნება. საერთოდაც უნდა შეგეძლოს კრინტი არ დასძრა იმაზე, რასაც მხოლოდ შენთვისა აქვს ფასი და მნიშვნელობა. როგორი აზრისაც არ უნდა იყო შენს ღირსებებზე, საჯაროდ

ნუ გამოაფენ მათ, ნუ მიბაძავ იმ ტრაბახა ადამიანებს, ვინც ცდილობს საუბარს ისე უქციოს პირი, თავის ღირსებებზე შეიძლოს ლაპარაკი. თუ ჭეშმარიტი ღირსებანი გაგაჩნია, ადამიანები უშენოდაც შეიტყობენ მათ და შენთვისაც ასე უფრო აჯობებს. ნურასოდეს შეეცდები, შენი აზრი ხმამაღლა და დიდი გულმხურვალობით დაამტკიცო, [illegible] გულში დარწმუნებული იყო, რომ ცამდე მართალი ხარ და [illegible], რომ სხვანაირად არც შეიძლება იყოს, — სჯობს მოკრძალებით, დინჯად გამოთქვა იგი, ვინაიდან მხოლოდ და მხოლოდ ამ გზით დააჯერებს სხვებს. ხოლო თუ ვერ მოახერხე, მაშინ შეეცადე უბრალოდ სხვა საგანზე გადაიტანო სიტყვა და მხიარულად თქვა: „არა მგონია, ჩვენ ერთმანეთი გადავარწმუნოთ და არც არის საჭირო, ამიტომაც სჯობს სხვა რამეზე ვილაპარაკოთ“.

გახსოვდეს, ყველა წრის ხალხს თავისი ჩვევები და მიდრეკილებანი აქვს და რაც ერთ წრეს შეეხამება, სხვას შეიძლება სულაც არ შეეხამოს.

ხუმრობა, სხვადასხვა ჯურის *bons mots**, სასაცილო შემთხვევები თუ ერთ საზოგადოებაში დროულად ნათქვამი და მოსწრებული გამოდგა, სხვა წრეში უკბილო და მოსაწყენი შეიძლება ეჩვენოთ. ხასიათის თავისებურება, ჩვევები, პირობითი ენა, ამა თუ იმ წრისათვის დამახასიათებელი, გარკვეულ ფასს აძლევს სიტყვასა თუ ქცევას, ამ მეორეხარისხოვან გარემოებათა გარეშე კი ფასი ეკარგება. სწორედ აქ სცდებიან ხშირად ადამიანები: გარკვეულ საზოგადოებაში და გარკვეულ პირობებში რაიც თავშესაქცევად ჩანს, ჯიუტად იმეორებენ იმას სხვა წრესა და სხვა პირობებში, სადაც იგი ან უინტერესო ან სულაც შეურაცხმყოფელი შეიძლება იყოს სხვებისათვის, ვითარც უადგილოდ და უდროოდ ნახმარი.

ხშირად ყოვლად სულელური შესავლით იწყებენ ხოლმე, მაგალითად: „ახლა ერთ გასაოცარ ამბავს მოგიყვებით“ ანდა „მეტისმეტად საინტერესო რაღაც უნდა გიამბოთ“. მსმენელებს იმედი ეძლევათ, ხოლო როცა ეს იმედები უცრუვდებათ, „გასაოცარი ამბის“ უიღბლო მთხრობელი სულელურ მდგომარეობაში ვარდება და, უნდა ითქვას, ახიც არის მასზე.

შენ თუ გულითა და სულით მოწადინებული ხარ კეთილგანწყობა და მეგობრობა მოიპოვო ამა თუ იმ ხალხისა, გინდ ქალები იყვნენ ისინი და გინდ კაცები, შეეცადე გამოიცნო, რა არის ყველაზე დიდი ღირსება (თუკი აქვს ასეთი), ან ყველაზე სუსტი მხარე მათი ხასიათისა (რაიც იცოდე ყველას მოსდგამს), ჰოდა, ერთსაც მიაგე თავისი და მეორესაც, ოღონდაც ამ უკანასკნელს უფრო მეტი. არის ბევრი ისეთი დარგი, სადაც ადამიანებს სწადიათ ყველაზე მეტად გამოიჩინოს თავი, ყოველ შემთხვევაში, უნდათ სხვებმა ასე ჩათვალონ. მერე რა, რომ ყოველი კაცი მოსურნეა, ღირსეულად იქ დააფასონ, სადაც იცის, რომ მართლაც გამოიჩინა თავი. და მაინც უფრორე იმის ქება-დიდება ეამება და ეფონება ხოლმე გულზე, რაშიც თავის გამოჩინება უნდა, მაგრამ მთლად დარწმუნებული ვერ არის, მართლა იჩინა თავი თუ არა. ასე მაგალითად, კა-

---

* ოხუნჯობანი (ფრანგ.).

რდინალ რიშელიეს, ვინც თავის დროისა და არა მარტო თავისი დროის ერთ-ერთი გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე იყო, ყველაზე მეტად ეამებოდა ხოლმე, როცა საუკეთესო პოეტად შერაცხავდნენ. მას მუდამ შურდა დიდი კორნელის დიდება და კიდეც გასცა ბრძანება, „სიდა" გააკრიტიკეთო. ამიტომაც ყველაზე დახელოვნებული მლიქვნელები ცდილობდნენ ნაკლები ელაპარაკნათ მმართველობის მის ნიჭზე, ყველა შემთხვევაში, მხოლოდ *en passant** და ისიც მაშინ, თუ სიტყვა მოიტანდა. მაგრამ როგორც *bel esprit***-სა და პოეტს უხვად უკმევდნენ გუნდრუკს და დარწმუნებულნი იყვნენ, ამ გუნდრუკის ტკბილი სურნელი უთუოდ მოუხვეჭდათ მის ყურადღებას. რატომ? იმიტომ, რომ თავის პირველი ღირსების ჭეშმარიტებაში თვითონაც ღრმად გახლდათ დარწმუნებული, მეორის თაობაზე კი გულში მაინც ეჭვი ეპარებოდა.

შენ სულ ადვილად შეგიძლია გამოიცნო, ყოველ კაცს პატივმოყვარეობის რა ჭია ღრღნის, უკეთუ მიაქცევ ყურადღებას, რაზე უფრო უყვარს ლაპარაკი. მოგეხსენება, ადამიანი ყველაზე ხშირად იმაზე ლაპარაკობს, რაშიაც საყოველთაო აღიარებას უნდა მიაღწიოს. ჰოდა, შენც თუ იმ საგანს შეეხები, გულში მოახვედრებ და მიზანს მიაღწევ. აწ განსვენებულ სერ რობერტ უოლპოლი, კაცი უეჭველად ფრიად გამოჩენებული, ყურსაც არ ათხოვებდა ხოლმე მისი ნიჭის მაქებარს, მაგრამ ძალიან უნდოდა, ზრდილ და თავაზით სავსე რაიმე შეერაცხათ, რასაც მასზე ვერამც და ვერამც ვერ იტყოდა. სულ ამაზე ლაპარაკობდა და თანაც იმდენს, რომ გამჭრიახი ხალხი უმალ ხვდებოდა, მისი ყველაზე მტკივნეული მხარე რა იყო და კიდეც დიდებულად იხმარდნენ ამ მის სუსტ მხარეს თავიანთი მიზნებისათვის.

ქალებისთვის ასეთი საგანი მეტწილად სილამაზე გახლავთ, როგორც კი ლაპარაკი ამაზე ჩამოვარდება, არა ქებასა და არა ლიქნს არ ჩაგითვლიან გადამლაშებად. ბუნებას, ეტყობა, ჯერ არ გაუჩენია იმდენად მახინჯი ქალი, რომ თავისი გარეგნობის ქება-დიდება ველზე არ ეფინოს. თუ პირისახე აქვს მახინჯი და თვითონაც იცის ეს ამბავი, ასე ჰგონია, ტანი თუ საერთო იერი ამ ნაკლს ჭარბად უფარავს. თუ ტანადობა არ უვარგა, ჰგონია, რომ ლამაზი პირისახე აწონასწორებს ყველაფერს. თუ პირისახეც და ტანიც გონჯი აქვს, თავს იიმედებს, რომ ერთგვარი მომხიბლაობა, განსაკუთრებული თავდაჭერა რაღაც *je ne sais quoi** აქვს მომადლებული, რაიც სილამაზეზე უფრო მეტად ხიბლავს ხალხს. ამ მოსაზრებას ისიც ამტკიცებს, რომ ამქვეყნად ყველაზე ულამაზო ქალი მუდამ გულდაგულ არჩევს, რა ჩაიცვას და რა დაიხუროს. ჭეშმარიტად ლამაზი ქალი ყველაზე ნაკლებ წამოეგება ხოლმე ლიქნის ანკესს; მან მშვენივრად უწყის, რომ ღირსია შემკობისა და ამიტომ დავალებულადაც არ გრძნობს თავს. ლამაზ ქალს ჭკუა უნდა შეუქო — თვითონ იქნებ ეჭვიც არ ეპარება, რომ ჭკვიანია, მაგრამ ხომ შეიძლება იფიქროს, მამაკაცები სხვა აზრისა არიანო ამაზე. მცდარად არ გამიგო და არ იფიქრო, თითქოს სულმდაბალ, სამარცხვინო ლიქნობას გირჩევ. თავშიც არ გაივლო, ვისიმე ბიწიერება ან ბოროტი საქმე-

---

* გაკვრით (ფრანგ.).
** ენამახვილი (ფრანგ.).
* ღმერთმა უწყის რა (ფრანგ.).

ნი შეაქო, პირიქით, გძაგდეს ეს ყოველივე მთელი გულით და სხვებსაც შეაძულე ისინი. მაგრამ ამქვეყნად კაცი ვერ იცხოვრებს, თუ გულმოწყალებას არ გამოიჩენს სხვების პატარა ცოდვებისა და სინამდვილეში უწყინარ, თუმცა ხანდახან სასაცილო პატივმოყვარეობის მიმართ. თუ კი მამაკაცს უნდა უფრო ჭკვიანად მიიჩნიონ, ვინემ სინამდვილეში არის, ქალს კი უფრო ლამაზად — ეს მცდარი წარმოდგენა ორივესთვის სასიკეთოა, ირგვლივ მყოფთათვის კი უვნებელი. მე, მაგალითად, ვარჩევდი ასეთი ხალხისთვის კვერი დამეკრა, ვინემ ვცდილიყავ (თუმცალა ფუჭად), ეს მცდარი წარმოდგენა გამექარწყლებინა და ჩემს მტრებად მექცია ისინი.

არსებობს კიდე ყურადღების პატარა ნიშნები, რაიც მეტად სიამოვნებთ ადამიანებს და რაიც შესამჩნევად მოქმედებს ჩვენს ბუნებაში მკვიდრად გამჯდარ თავმოყვარეობასა და სიამაყეზე. ეს ნიშნები უტყუარი მოწმობაა იმ თავაზიანობისა და პატივისცემისა, რასაც ჩვენ ამა თუ იმ ადამიანისადმი ვიჩენთ. მაგალითად, როცა შეამჩნევ, რომ იმ ადამიანს, ვისი კარგი განწყობაც შენ გინდა დაიმსახურო, რა მოსწონს ან რა არ მოსწონს, რა ჩვევები, რა ხასიათი და მიდრეკილებანი გააჩნია, უნდა შეეცადო ასიამოვნო, ან ყველა ზომა იხმარო უსიამოვნება ააცილო. ამასთან თავაზიანად აგრძნობინო, რომ შეამჩნიე, რა კერძი უფრო უყვარს, ან სად რომელ ოთახს უფრო არჩევს და იმიტომაც შეეცადე ის კერძი მიგერთმია და ან იმ ოთახში მოგეთავსებინა. ან პირიქით, შენ არ გამოგპარვია, რომ იგი ვერ იტანს ამა თუ იმ კერძს, ან ამა თუ იმ ადამიანს, ამიტომაც ისე მოახერხე, რომ არც ის კერძი შემოეტანათ სუფრაზე და არც ის ადამიანი მოხვედრილიყო შენი სტუმრების რიცხვში. მისთანა პატარა ყურადღება სხვა უფრო დიდ სამსახურზე მეტად აამებს ხოლმე ადამიანის თავმოყვარეობას, ვინაიდან აფიქრებინებს, ლამის მთელი შენი ზრუნვა და მონდომება მარტოოდენ იმისკენაა მიმართული, რაიმეთი ასიამოვნო.

აი, ის პატარა საიდუმლოებანი, რაიც უთუოდ უნდა იცოდეს მაღალ საზოგადოებაში მოხვედრილმა კაცმა. ნეტამც შენს ასაკში უკეთ მცოდნოდა ეს ამბები, მაშინ ჩემი ცხოვრების ორმოცდაცამეტ წელს ალარ შევალევდი ამ ცოდნის შეძენას. ამიტომაც წინააღმდეგი არ ვიქნები, თუ ჩემი არც ისე მცირე გამოცდილებით ახლავე ისარგებლებ და შენდა სასიკეთოდ მოიხმარ მას. მშვიდობით.

ლონდონი, 11 დეკემბერი, ძვ. სტ. 1747 წ.

ჩემო საყვარელო ბიჭო.

ყველაზე მეტად ის მინდა იცოდე, რაიც ძალიან ცოტამ იცის. კერძოდ, თუ რაოდენ დაუფასებელი განძია დრო და რაოდენ საჭიროა იგი ჭკვიანურად მოიხმარო. ეს ჭეშმარიტება ბევრმა უწყის, მაგრამ მცირედს თუ ძალუძს თავისი ცხოვრება მას შეუფეროს. თავისი დროის უჭკუოდ

მხარჯველ ყველა ბრიყვს და სულელს მაინც პირზე აკერია ყოველად გაცვეთილი გამოთქმანი — მათი რიცხვი კი უამრავია — დროის ფასდაუდებლობისა და ამასთან მისი სწრაფად წარმავლობის თაობაზე. ზუსტად ამასვე გვახსენებს მთელ ევროპაში მზის საათებზე ნაირ-ნაირი ჭკუამახვილური წარწერები. ამგვარად, თავისი დროის [illegible] მფლანგველი ყოველდღე საკუთარი თვალით კითხულობს [illegible] ყურით ისმენს, რარიგ დიდს ნიშნავს ადამიანისათვის დროის ჭკვიანურად მოხმარა და რარიგ შეუძლებელია დაკარგული დროის ანაზღაურება. მაგრამ ეს დარიგებანი ვერას გიშველის, თუ შენდა თავად არ გაგაჩნია მტკიცე საძირკველი: ფხიზელი ჭკუა და იგი არ გიკარნახებს ყველა ამ ჭეშმარიტებას, არ აგაცილებს მის ზეპირად რწმუნებას. იმის მიხედვით, როგორ ამიწერე შენი დღეები, მე ვიმედოვნებ, რომ ეს საძირკველი უკვე გაქვს და ჭეშმარიტად სწორედ ეგ გაგამდიდრებს. ამიტომაც აღარ გავაშანშალებ ახლა კრიტიკულ ტრაქტატს დროის ავად თუ კარგად გამოყენების თაობაზე. მე მხოლოდ თავს ნებას მივცემ რამდენიმე რჩევა მოგცე და გიკარნახო, როგორ უნდა გამოიყენო გარკვეული ნაწილი იმ დიდი დროისა, რაიც, იმედია, შენს ხელთაა. გულისხმად მე ორი უახლოესი წელი მაქვს.

გახსოვდეს, თუ არ დაეშურები იმ ცოდნის საძირკველის ჩაყრას, შენ რომ თვრამეტ წლამდე უნდა შეიძინო, მთელი შენი სიცოცხლე ამ ცოდნას ველარ დაეუფლები. ცოდნა ის თავშესაფარია, სიბერის წლებში რომ გამოგვადგება და აუცილებლად გვჭირდება. თუ ხე სიყმაწვილეში-ვე არ დავრგეთ, სიბერეში მზისგან შესაფარებლად ჩრდილი აღარ გვექნება. მე არ მოვითხოვ და არც გამოველი შენგან სწავლა-განათლებაში დიდი სიბეჯითე გამოიჩინო დიდ საზოგადოებაში შესვლის შემდეგ. მე მესმის, ეს შეუძლებელია, ზოგ შემთხვევაში კი უალაგოც; ამიტომაც გახსოვდეს, სწორედ ახლა გაქვს დრო სამეცადინოდ, ახლა არ დაგღლის და არ გადაგქანცავს იგი, ახლა ვერ მოგწყვეტს მას ვერა ამბავი. ამის საშუალება ცხოვრებაში მერე აღარასოდეს გექნება. რომელიმე მეცნიერება ზოგჯერ თუ ცოტა ძნელად საშრომი მოგეჩვენა, გახსოვდეს, რომ შრომა შენი გარდუვალი თანამგზავრია იმ მოგზაურობის ხანს, რასაც ვერ აიცდენ. რამდენ მეტ საათს დახარჯავ ყოველ დღე მოგზაურობაზე, მით მალე მიაღწევ მოგზაურობის დასასრულს. რაც უფრო მალე იქნები მზად თავისუფლებისათვის, მით უფრო მალე გეწვევა იგი. შენი მონობისგან თავის დაღწევა მთლიანად იქნება დამოკიდებული იმაზე, როგორ მოიხმარ შენთვის განკუთვნილ დროს. მე მგონი, ფრიად ხელსაყრელ გარიგებას გთავაზობ: პატიოსან სიტყვას გაძლევ, რომ რასაც მე გთხოვ, თუ ყოველივე თვრამეტ წლამდე შეასრულე, მთელი ჩემი სიცოცხლე ჩემდა თავად ყველაფერს შეგისრულებ, რასაც კი მომთხოვ.

მე ვიცნობდი ერთ კაცს, ვინც ისე უფრთხილდებოდა თავის დროს, რომ იმ რამდენიმე წუთის დაკარგვაც არ უნდოდა, რაიც ბუნებრივი მოთხოვნილებების აღსრულებას სჭირდებოდა: ამ დროში მან მოასწრო და გადაიკითხა ყველა ლათინელი პოეტი. იგი იყიდდა ხოლმე ჰორაციუსის რომელიმე იაფ გამოცემას, ამოხევდა იქიდან რამდენიმე ფურცელს და საჭირო ოთახში მიჰქონდა, სადაც ჯერ ჩაიკითხავდა და მერე

კლოაცინას მსსვერპლად სწირავდა. ამ ხერხით მან არცთუ ცოტა დრო მოიგო, ისე რომ გირჩევ მის მაგალითს შენც მიბაძო. განა არა სჯობს ასე მოიქცე, ვინემ ამ წუთებში მარტო ის აკეთო, რაც ისედაც არ შეიძლება არ გააკეთო. იცოდე, ამგვარი საშუალებით წაკითხული ყოველი წიგნი ნათლად ჩაგებეჭდება მეხსიერებაში. რაც შეეხება სამეცნიერო თუ უფრო სერიოზული ხასიათის წიგნებს, ცხადია, იმათ თავიდან ბოლომდე უნდა წაკითხვა, მაგრამ ხომ არის სხვა უამრავი წიგნი და თანაც ფრიად ჭკუის სარგოც, რომელთა კითხვა ნაწყვეტ-ნაწყვეტ და ეროვნულად მშვენიერად შეიძლება. ეს შეეხება ყველა კარგ ლათინელ პოეტს, ვირგილიუსისა და მისი „ენეიდას" გამოკლებით, და თანამედროვე პოეტთა უმრავლესობას. მათ აქვთ ბევრი კარგი ლექსი, რომელთა წაკითხვას დიდი-დიდი შვიდი-რვა წუთი მოუნდეს. ბეილის, მორერისა თუ სხვათა სიტყვები — შესაფერი საკითხავია უსაქმობის ხანმოკლე წუთებში (სხვა ვითარებისას). ეს დრო ყველა ადამიანს გამოეძებნება მთელი დღის მანძილზე — მეცადინეობასა თუ გართობას შორის. ღამე მშვიდობისა.

მ. რ ა ბ ი ტ ი

(დაწერილია 1762 წელს)

მხოლოდ საკუთარ ნიჭს უნდა უმადლოდეს მ-რ პიტი, სამეფოს ყველაზე დიდი ადგილები რომ დაიკავა და უზენაესი ხელისუფლების სათავეში მოექცა. ამ ნიჭმა შეუვსო წარჩინებისა და სიმდიდრის სინაკლულე, როგორც სხვებს უვსებს ხოლმე ნიჭის სინაკლულეს წარჩინება და სიმდიდრე. იგი ხომ გვარიშვილობით არცთუ გამოჩენილი ოჯახის უმცროსი ვაჟი იყო და წლიურ შემოსავალს მისას მარტოოდენ ასი გირვანქა შეადგენდა.

თავიდანვე სამხედრო სარბიელისთვის განამწესეს იგი, მაგრამ ეს სარბიელი კორნეტად დანიშვნით დაიწყო და დამთავრდა. მაშასადამე, რაღაი არც გვარიშვილობა მოსდევდა და არც ქონება, ამიტომ არც ყოვლისშემძლე მფარველი გააჩნდა, რომ საქმიან წრეებში გაერია იგი, სადაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, კაცნი პატივს მიაგებდნენ მის ნიჭს. თუმცა მისთვის სრულიად საკმარისი გამოდგა ეს ნიჭიც.

სიყმაწვილითვე შეუშალა ხელი ჯანმრთელობამ, ამ ცხოვრების სიამეთ დასწაფებოდა, გონებამ კი აუკრძალა ეს დრო უწესოდ და უსაქმურად გაეფლანგა. თექვსმეტი წლიდან მემკვიდრეობით ნარგუნები ნიკრისის ქარი სტანჯავდა. ჰოდა, ამ აბეზარი და მძიმე სენისგან ნაჩუქარი თუ მინიჭებული თავისუფალი დრო მანაც იმისთვის გამოიყენა, რომ ძალზე ადრე დაეგროვებინა სასარგებლო ცოდნა. ამგვარად, მიზეზთა და შედეგთა გონებისთვის მიუწვდომელმა ურთიერთქმედებამ ის

ქნა, რომ მისი ცხოვრების ყველაზე დიდი უბედურება მისი აღზევებისა და გრწყინვალე განდიდების თავი და თავი მიზეზი გახდა.

არა ბიწიერებას არ დაუჩრდილავს მისი პირადი ცხოვრება, არა მდაბალ საქციელს ჩირქი არ მოუცხია მისთვის. ყველა გრძნობა ამ კაცს ამაღლებული და დამოუკიდებელი ჰქონდა. მისი გული მხოლოდ და მხოლოდ უსაზღვრო პატივმოყვარეობას დამონებოდა; სწორედ ამ პატივმოყვარეობამ, ძალმოსილმა მისი დიდი ნიჭით და დაგვირგვინებულმა წარმატებით, აქცია იმად, ვისაც საზოგადოება „დიდ ადამიანად" შერაცხავს. იგი იყო ქედმაღალი, მბრძანებლური ხასიათისა, შეპასუხებას და სიტყვის შებრუნებას არავის უთმენდა და ყველას აიძულებდა მის ნება-სურვილს დამორჩილებოდა, — თვისება, ძალიან ხშირად რომ თან სდევს დიდ ნიჭს და ამასთან ყოველთვის აბრკოლებს მას.

იგი თავაზიანი და ზრდილი იყო, მაგრამ მის ქცევას ამკარად დაჰკრავდა მუდამ საკუთარი უპირატესობის შეგნება. საზოგადოებაში ერთობ მხიარული და საამური მოსაუბრე ეთქმოდა; მახვილი და ცოცხალი ჭკუის წყალობით ყველა საუბარში შეეძლო ჩარევა. საკმაოდ დიდი პოეტური ნიჭიც მოსდევდა, მაგრამ იშვიათად ამჟღავნებდა ამ ნიჭს და კიდევ უფრო იშვიათად ტყდებოდა, იგი რომ ჰქონდა.

სულ ახალგაზრდა მოხვდა პარლამენტში და მალე გაუტოლდა კიდეც ამ დიდი სცენის ყველაზე ძველსა და ნიჭიერ მსახიობთ. იგი დიდებულად ფლობდა მჭევრმეტყველების სხვადასხვა ხერხებს და შეეძლო კაცთ დარწმუნება როგორც თავისი საბუთების ლოგიკურობით, ისევე მაღალი პათეტიკით. მაგრამ ვისიმე წინააღმდეგ მისი უხეში გალაშქრებანი ისე მრისხანე იყო, ისე მეტყველად წარმოთქმული, ისეთი გოროზი ღირსება ეხატებოდა ამ დროს პირსახეზე და მოძრაობებში, იმათაც კი, ვისაც ყველაზე მეტად უნდოდა და ყველაზე უკეთ შეეძლო მისი შესიტყვება, გაუბედაობა ეძალებოდათ, ფარ-ხმალსა ჰყრიდნენ და იძულებული იყვნენ ეცნოთ მისი ჭკუა-გონების უპირატესობა.

იმ საკრებულოში, სადაც ყველაზე მეტს ლაპარაკობენ საზოგადოებრივ სიკეთეზე და სადაც მხოლოდ პირადი ინტერესები ამოძრავებს ყველას, იგი თავიდანვე წარსდგა, ვით პატრიოტი და ეგზომ კეთილშობილურად გაითამაშა ეს როლი, რომ ხალხმა იგი ბელადად და თავისდა უნებლიეთ ქომაგადაც სცნო.

საყოველთაოდ აღიარებულმა მისმა ნიჭმა და წონამ საზოგადოებაში აიძულა მეფე გეორგ II მისთვის ანგარიში გაეწია, თუმცა ეს კაცი არც მაინცდამაინც მოსდიოდა თვალში. იგი სახელმწიფო მდივნად დანიშნეს; როცა ძნელი და სათაკილო ვითარება შეექმნა, როცა გადაჭრით უნდა აერჩია ან პატრიოტობა ან მინისტრობა — მან დიდი სიმარჯვე და ოსტატობა გამოიჩინა. მეფეს, ვინც თავის ყოვლად გაუმართლებელ კურფიურსტერულ დაჩემებათ ესოდენ დიდ მნიშვნელობას აძლევდა, მან ამ მხრივ თავის წინამორბედზე მეტი სამსახური გაუწია და ამავე დროს ხალხის ნდობისა და სახელის შენარჩუნებაც მოახერხა. მან დაარწმუნა და დააჯერა ყველა, რომ ინგლისის ხარჯზე მყოფ სამოცდათსუთმეტი ათასიანი ჯარის მეშვეობით ჰანოვერის გამოსარჩლება და დაცვა — ერთადერთი საშუალებაა ჩრდილოეთ ამერიკაში ჩვენი სამ-

ფლობელობისა და დაპყრობილი ადგილების შენარჩუნების უზრუნველსაყოფად. რამდენად უფრო ადვილია ადამიანთა მოტყუება, ვინემ მათთვის თვალის ახელა!

მისმა უანგარობამ და ფულის ზიზღმაც კი, რაზეც ყველამ უწყოდა, ადვილად გაუკაფა გზა ძალაუფლებისაკენ და თავიდან აიცილა ან მაინმენელოვნად გაანელა ის შური, ჩვეულებრივ რომ თანასდევს ხოლმე ადამიანს ამ გზაზე. ხალხის უმრავლესობას მიაჩნიათ, რომ ბუნებრივი უფლება აქვს სიმდიდრე მოიხვეჭოს და უკლებლივ ყველას შეუძლია ეს სიმდიდრე მართებულად მოიხმაროს. მაგრამ მათ შორისაც კი არცთუ ბევრი გამოინახება ისეთი, უსირცხვილობა რომ ეყოს და მმართველობის ღირსად მიიჩნიოს თავი.

ისე კი ჩვენი ისტორიის მატიანეში იგი დარჩება დიად და ბრწყინვალე პიროვნებად, მიუხედავად იმ შავი ლაქისა, სამი ათასი გირვანქა პენსიის მიღებით რომ მოიცხო *per annum*,* თუმცაღა ახლანდელი მეფის ტახტზე ასვლის პირველ წელს მან უარი განაცხადა ბეჭდის დამცველი ლორდის თანამდებობაზე; ამ გარემოებას არ შეიძლება არ დაეჩრდილა მისი სახელი და მეტადრე უანგარობის ის შარავანდედი, ჯილად რომ ადგა თავზე.

და მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ ამ კაცს მოსდგამდა ყველა თვისება, რაიც მხოლოდ დიად კაცთ მოსდგამთ, შეზავებული იმ ცოდვებთან, ადამიანის არასრულყოფილ ცოდვილ ბუნებას რომ წილად ხვდომია.

* ყოველწლიურად (ლათ.).

ლუ ალბერტ-ლაზარდი

გზები რილკესთან ერთად

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გერმანულიდან

თარგმნა ლუდუ დადიანმა

კარგა ხანს ვყოყმანობდი, ვიდრე მეგობრების დაჟინებულ თხოვნას დავყვებოდი, ჩამეწერა ჩემი მოგონებებიდან ზოგიერთი რამ. როცა კი ჭოჭმანს თავი დავაღწიე, აუცილებელი გახდა რილკეს პირადი ცხოვრებიდან ამა თუ იმ ფაქტს შევხებოდი, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ახალ-ახალი პუბლიკაციები სულ უფრო ნაკლებ რასმე სტოვებენ უცნობს პოეტის ცხოვრებიდან და არც იმის გამო, რომ აწ გამომზეურებული მისი ცხოვრება ყველა ფაზასა თუ ასპექტში ცნობილი უნდა გამხდარიყო, არამედ იმისათვის, რომ უკვე გამოქვეყნებული მრავალი მისი წერილი ხშირ შემთხვევაში აღმსარებლურია და საკუთარი პიროვნებისადმი მკაცრ განაჩენადაც კი შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა ეს წერილები ცხადად გვიჩვენებს, რომ გრძნობათა გამოცდილებით დატვირთულ მის შემოქმედებასა და პირად ცხოვრებას შორის გამოკვეთილი ზღვარი არც კი არსებობს. უწყვეტ ნაკადად იღვრება ერთი მეორეში — პოეზია ცხოვრებაში და ცხოვრება პოეზიაში; ამიტომ მოგონებების წერისას თავად იგი უნდა მოიხმო მოწმედ, რადგან სხვა ვერავინ შესძლებდა მისეული ნააზრევისა და გრძნობებისათვის ესოდენი სიმაღლე მიენიჭებინა...

მისი სისუსტეებიც კი, რომელთაც თავად აცნობიერებს და ძირის-ძირამდე ჩასდევს, სხვა გაუმჟღავნებელ სუსტ მხარეებთან შეხლისას, შეცნობასთან ერთად, დიდ ძალად გარდაიქმნება, ჩაღრმავების, წვდომისა და შემეცნების იარაღად იქცევა.

ალბათ ეს გახლავთ ის ჭეშმარიტი თავმდაბლობა, ასე მყისიერად რომ აშიშვლებს მას, ასე მომხიბლავსა და ადამიანურად მახლობელს **ხდის, საბოლოოდ კი ესოდენ ამაღლებს, რადგან ჭეშმარიტი ზეობა** მხოლოდ მათი ხვედრია, ვინც უფსკრულისკენ იხრება, ან უფრო მეტიც — შიგ დანთქმასაც კი ბედავს.

იგივეა ნათქვამი წმინდა ფრანჩესკოს შესახებ „ჟამნ"-ში:

> უკიდურესი სიღატაკით. ისე განმტკიცდა,
> რომ ბაზრობაზე ტანთ სამოსი შემოიძარცვა,
> და წარსდგა ნაბიჯი ეპისკოპოსის მანტიისაკენ.

> რა არის დიდება, ბოლოს და
> ბოლოს, თუ არა გაუგებრობათა
> სიმრავლე, რომელიც ახალი სა-
> ხელის ირგვლივ იქმნება.

რილკე, რილკე, რილკე — ტალღა, ტალღაზე ამხედრებული, რა აბორგებული მდინარეებაა, რა თვალუწვდენელი უძირო ზღვაა? რომელი საზომით უნდა მიუდგე, რამდენ სიცოცხლეს აოცებს და რამდენ ადამიანს შეძრავს მისი სახელი დღესაც, გარდაცვალებიდან 25 წლის შემდეგ! რა ძალა გააჩნდა ასეთი? დღეს ამოტივტივდა და ბობოქარ ტალღებად იქცა ყოველივე, რაც იდუმალებით იყო მოცული. რას იტყოდა ნეტავ, ყოველივე ამას რომ მოსწრებოდა, რას გვეუბნება იქიდან, სადაც ახლა განისვენებს? ის ხომ არც ისე შორსაა ჩვენგან ჯერაც, ვინაიდან მეტისმეტად უყვარდა ეს ქვეყანა საიმისოდ, რომ შელეოდა.

ახლახანს, — არა, უკვე რამდენიმე თვეა მას შემდეგ, მომევლინა, აქ ჩემს სახელოსნოში, — საოცარი სიცხადით, არ დამსიზმრებია, როგორც ოცდა ხოლმე, აღტაცებული სიცილით იცინოდა: — „ა, აქა ხარ ახლა? რა შესანიშნავია". სიცოცხლეში არასოდეს მენახა ასეთი თანამედროვე, როგორც გარდაცვალებიდან რამდენიმე კვირის განმავლობაში. მისი სიკვდილი ჩემთვის მოულოდნელი არც ყოფილა, უკვე ვგრძნობდი და ვიცოდი, ვიდრე შემატყობინებდნენ.

სავსებით ბუნებრივია, რომ საგნებმა ჩემთვის რილკეს გაცნობის შემდეგ სრულიად სხვა ელფერი შეიძინეს. მაშინ მე ცხოვრებისეული გამოცდილება მაკლდა და მისი ცხოვრება და შემოქმედება სრულყოფილად არც მქონდა წარმოდგენილი. მხოლოდ მცირე ნაწილი იყო ჩემთვის ცნობილი და მხოლოდ ზოგიერთ კონკრეტულ მომენტში შემეძლო სხვა სავარაუდო ასპექტები გამეაზრებინა გუმანით. და ეს მაშინ, როცა ამ ცხოვრების ძირეულმა კონფლიქტმა თავი უკვე შემახსენა. ვინაიდან მცირე ჩანაწერებიც კი არასოდეს გამიკეთებია, ჩემი მოგონებების სანახები დროის ნისლითაა დაბინდული, მაგრამ ის მომენტები გონებაში რომ ამოტივტივდებიან, მომეშველებიან უთუოდ დაკარგული ძაფების მოძიებაში.

მთელი ეს დრო კი იმისათვის იყო საჭირო, ალბათ, რომ გამეცნობიერებინა რა როლს თამაშობდნენ რილკეს ცხოვრებაში მოჩვენებითი წინააღმდეგობანი: რომ ისინი აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენდნენ მისი იმ უშედეგათო ბრძოლისა, რომლის ნაპერწკლებმა მთელი თაობები აღანთო საბრძოლველად, ბრძოლა კი მარადიული ფასეულობებისთვის იყო გამიზნული; იგი მთლიანად იხარჯებოდა ჩვენი მახინჯი ზნე-ჩვეულებებით აგებული ხუხულის დასანგრევად, განსაკუთრებით კი ჩვენი ეპოქისათვის დამახასიათებელი მეცნიერული სულის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაში, რომელიც ყალბი უსაფრთხოებით გვამშვიდებს, ჩვენს უკეთილშობილეს და უშინაგანეს განცდებს ახშობს, მაშინ როცა თავმომწონედ გვთავაზობს თავად სულ ახალ-ახალ მტკიცებებს, დაპირებებსა და თავგზააბნეულობას.

ის ქარავანი, რომელიც რილკეს, მის სიმღერასა და მის მოძღვრებას მიჰყვება, დღითი დღე იზრდება. მისეული მოძღვრება, ტრანსცენდენტალისა რომ არაფერი გააჩნია, ერთი მთლიანი, დაუნაწევრებელი ცხოვრების გამოხატულებაა, ცხოვრებისა, რომელიც ყოველგვარი საყრდენის გარეშე ეძიებდა ინიციაციის გზებს. ალბათ იგია ის ერთადერთი, ვინც ხანგრძლივი სულიერი ჩაღრმავების გზით მიაღწია ასეთ წინსვლას, ყოველგვარი რიტუალური ხელდასხმის გარეშე.

ასე რომ რილკე რამდენადაც წმინდა ადამიანური, იმდენადვე პოეტური მოვლენა გახლავთ.

იგია პიროვნება, რომელსაც ყველაფერი მსჭვალავს, რასაც კი მისი სული შეხებია. თვით შიშისმგვრელი სინამდვილეც კი ვერ აბრკოლებს. იგი ფარდას ხდის ჩვენს სულიერ გახლეჩა-გაორებას, რომელიც არაფრით გვინდა ვაღიაროთ. სიყვარულის ძალმოსილებით მოხიბლულს, ისევ და ისევ სურდა განეცადა ის მაგიური ესენცია და სახიფათო მხარე, რითაც სიყვარული სიკვდილის გამოცდილებას უახლოვდება. ჩვენ, ვისაც ბედმა გვარგუნა ცხოვრების გზაზე შევხვედროდით რილკეს, დაგვიტოვა მისი გარდაცვალებით გაჩენილი უკიდეგანო სიცარიელე, რომლის შევსებასაც თანდათან მეტი ინტენსივობით ვცდილობთ.

რილკესთან ჩემი შეხვედრის მოკრძალებული ამბავი, რითაც მინდა დავიწყო, ემთხვევა მისი ცხოვრების კრიტიკულ ხანას და მისივე გულწრფელი რეაქციები ამა თუ იმ მოვლენაზე პოეტის ძალზედ რთული პიროვნების სულიერ წვდომაში გვეხმარება. თავისთავად კი ისიც საოცარია, რომ რილკე მისი ცხოვრების გარდამტეხი შემობრუნების მომენტებში სწორედ იმ ადამიანების გვერდით აღმოჩნდებოდა ხოლმე, ვინც საჭირო იყო მისთვის. ჩვენი შეხვედრისას იგი, სულიერი დაძაბულობით უაღრესად დამუხტული, ლამის სასოწარკვეთილებამდე იყო მისული.

1914 წლის სექტემბრის დასაწყისი იყო, მარტოობას ვეძებდი მთიან სოფელში, მიუნხენთან ახლოს. ირშენჰაუზენში ჩასვლისთანავე უეცრად ვიღაცამ შემაჩერა — უცნობი პატარა პანსიონის მეპატრონე აღმოჩნდა, რომელთანაც ერთი წლის უკან შევჩერებულვარ. ჩემს თანხმობას არც კი დაუცადა, ისე წამიყვანა თავის სახლში და მეც, ჩემს ფიქრებში ჩაძირულს, წინააღმდეგობის გაწევაც კი არ მიცდია, რომ უცებ პატარა *Table d'hote*-ზე აღმოვჩნდი, სრულიად გათიშული. დაბნეულად შევავლე თვალი იქ მყოფთ — მზერა წუთით შემიჩერდა. ამ რუსს აქ რაღა უნდა-მეთქი, გავიფიქრე, ახლა ხომ ომია! და მე მესმოდა მისი საუბარი, რომლის მსგავსიც მანამდე არასოდეს მსმენია, რუსეთის შესახებ, ტოლსტოისთან სტუმრობასა და ვრცელ მინდვრებზე გადაჭიმული იმ გზების შესახებ, გორკისთან ერთად რომ გაუვლია, საუბრობდა რომელიღაც გლეხთა პოეტსა და რუს ხალხზე, ასე რომ მოსწონდა. მისი სიტყვები ელვის სიკაშკაშით ანათებდნენ უსასრულო ცის ქვეშ მოქცეული რუსული დაუდეგარი სულის სივრცეებს. ტრაპეზი დასასრულს უახლოვდებოდა, ის-ის იყო გადავწვდი წყლის ჭურჭელს, რომ მან დამასწრო და იქვე ჭიქაში დამისხა წყალი სიტყვებით: „ძვირფასო ფროილაინ, მე თქვენ პარიზში არ გნახეთ?“ — ყოყმანით ვუპასუხე — „შესაძლებელია, მაშ თქვენ — რილკე ბრძანდებით?“ — „საიდან იც-

ით?“ — რა ვიცი... ხართ თუ არა? — „აჰ, საიდან უნდა გცოდნოდათ?“ — „წარმოდგენა არა მაქვს“.

ყველა წამოიშალა, რათა რილკეს გამომშვიდობებოდნენ, იგი კი ამბობს: — „არა, მე ალარ გავემგზავრები, ჩემი ბარგი ისევ ზევით აიტანონ“.

აზრებისათვის თავი რომ მომეყარა, ხალხს გავერიდე და უკან გავსწიე ტერასისაკენ, ცოტა ხანში რილკე მომიახლოვდა: „რა ბედნიერებაა ასეთ დროს პარიზიდან ჩამოსულს რომ შევხვდი ვინმეს, შეიძლება ერთად დავსხდეთ და გავისაუბროთ?“

„არა, უკვე ვერავისთან შევძლებ საუბარს“.

დაუვიწყარი გამჭოლი მზერით შემომხედა, სუფთა და რბილი, გამგები მზერით თავი დამიკრა და გამომეშვიდობა, მე კი მარტო დავრჩი — მონუსხული — დიდხანს ფიქრებში წასული — სკამლოგინს მიყრდნობილი.

რა საოცარია, სწორედ ასეთ გადამწყვეტ დროს რომ შევხვდი რილკეს, პოეტს, რომლის ნაწარმოებებიც წელიწადზე მეტია განუწყვეტლივ იპყრობდა ჩემს ყურადღებას. ჩამივარდა თუ არა ხელში მისი წიგნები, ელვისსისწრაფით დამიპყრო, თითქმის ზეპირად ვიცოდი. ერთ დღეს მეგობარმა ქალმა ედიტ ფონ ბონინმა ჩაიზე მიმიპატიჟა. თითქოს ღრუბლებში დავფრინავდი, ისეთი გაოგნებული ვიყავი. „რაიმე ხომ არ გაწუხებთ?“ — მეკითხება იგი — „სიტყვის თქმაც კი მიმძიმს, ეს-ესაა რილკე წავიკითხე“ — „წარმოგიდგენია? ახლა აქ იყო, სულ ახლახანს გავიდა“. — „როგორ, ცოცხალია? — ჩვენი თანამედროვე? ვერაფრით დავიჯერებ!“ — „ასეა ნამდვილად, გინდათ გაგაცნოთ?“ — „მე?... არა, არასოდეს! ასე მგონია, მიწა გამისკდება...“

— „შეიძლება ასეც სჯობდეს, მას განუზომელი მარტოობა სჭირდება“. და აი ახლა, სწორედ ახლა... ავიხედე და აქ არ დგას ისევ!

„მომცემთ უფლებას თქვენს გვერდით დავჯდე — ისე, რომ ხმა არ ამოვიღო?“ — ამბობს ჩუმად.

„დიახ“. —

ასე დარჩა იგი თითქმის სამი დღის განმავლობაში ჩემს გვერდით, პატარა მდელოზე, სადაც მე ვისვენებდი, თითქმის უსიტყვოდ, მხოლოდ გამომიტყდა, რომ პარიზის ქუჩებში გამომყოლია ყვავილებით ხელში ისე, რომ ვერ გაუბედავს გადმოეცა ჩემთვის. გაიხსენა, საღამოობით როგორ იდგა ჩემს უკან ბულიეში, მიდინეტთა კაფეში (*Ball-Lokal*) და სატვისას მითვალთვალებდა. თუმცა სხვა დროს ამ კაფეს არასოდეს სტუმრობდა ხოლმე — და კიდევ წარსულ ზაფხულს ასიზისა და პერუჯას ქუჩებში ამდევნებია და მუდამ სითამამე ღალატობდა თურმე, რომ გამომლაპარაკებოდა. უეცრად შენობით მომმართა: რა იდუმალი სტრატეგიის გამოყენება დამჭირდა, ბოლოს და ბოლოს რომ მოსულიყავი! ახლა კი მოხდა მოსახდენი. განა შენკენ არ მოვილტვოდი მე რახანია? მაშინ გადმომცა პირველი ლექსი:

მრავალი წელი იდუმალებით
იდექ მოცული მნათობი ცისა.
რანიც ვიყავით, მჯერა, სულ მალე
დაისახება გზად მერმისისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თუ ჩვენს ცხოვრების გზას, აწ გალეულს
არ აჩნდა კვალი, ცხადდება ახლა,
რომ აღმაფრენად მოქნილი რკალი
ჩვენს სულს იდუმალს ჯერ ისევ ახლავს.

ყუჩად ყოფნის ამ დღეებმა, რომლებიც ჩემს ყველაზე უფრო ლამაზ მოგონებებს განეკუთვნება, ვრცელი საუბრები მოიტანა თან, ტყის გავლით რომ დავსეირნობდით ჩვენეულ გზებზე. რილკემ ჩემი სახელიც კი არ იცოდა, მე მხოლოდ ხმა ვიყავი, მეგობრის ხმა, და ეს საოცრებად მიმაჩნდა, რაღა თქმა უნდა, მართლაც საოცრება იყო სიტყვებისათვის აღმატებული თავისუფლების მინიჭება. იგი მე არმიდეს მეძახდა, მაშინ არც კი ვიცოდი, რომ Renaud — რაინერის თარგმანია („რენო და არმიდე"). მე კი მეუხერხულებოდა მიმეღო ეს სახელი, რადგან მეტისმეტად ძვირფასად ჟღერდა საიმისოდ, მე რომ მეტარებინა.

რილკე მსუბუქი, სწრაფი ნაბიჯით დადიოდა, ხმა კი რბილი და მდიდრული ჰქონდა. თითქოს მუდამ მიცნობდა, ისე თავისუფლად მესაუბრებოდა. ამგვარი ნდობა გულს მეფონებოდა და მხიბლავდა. იგი მთელ თავის ცხოვრებას იგონებდა — პრაღაში გატარებულ უცნაურ ბავშვობას, რის შესახებაც მას შემდეგ უამრავი რამ დაწერილა. რარიგ განიცდიდა, გარშემო მყოფთ რომ არ ესმოდათ მისი, როგორ ვერ შესძლეს მისგან ჯერ ოფიცერი, შემდეგ იურისტი და ბოლოს ბანკის მოხელე გამოეძერწათ. იგი თავისი ოჯახის ატმოსფეროში თავს სრულიად დაკარგულად გრძნობდა.

მაცოცხლებელი ნამივით დაეპკურა მისი პირველი ლექსების მოწყურებულ ყვავილებს დეტლევ ლილიენკრონის სიტყვები, რილკეს რომ მისწერა ამ ლექსთა კრებულის წაკითხვის შემდეგ. წერილი ასე იწყებოდა: — „ჩემო ძვირფასო დიდებულო რაინერ!.." მისი პირველი წიგნი „მრავალძარღვები" ქვესათაურით — „საჩუქრად ხალხს" თვითონ დაებეჭდინა და ცდილობდა საგაზეთო კიოსკებში დაერიგებინა. კითხვაზე „რა ღირს?"—პასუხობდა „არაფერიო"—„როგორ? თუ არავითარ ფასეულობას არ წარმოადგენს, ვერ მივიღებთო" — იყო გულმოსული პასუხი. შემდეგ წიგნებს ჰოსპიტლებსა და ციხეებში არიგებდა; აი, სწორედ იქიდან დაიწყო მისმა ლექსებმა მკითხველთა გულებში ფესვების გადგმა. მუდამ მზად იყო გულღიად შეხვედროდა ყველას, ვინც მოიკითხავდა. წლობით შეეძლო მიმოწერა ეწარმოებინა ვინმე რიგით ფოსტის მოსამსახურე ქალთან, რომელიც თვალით არასოდეს ენახა; რომელიმე სოფლის მოძღვართან, რომელთანაც ერთი საათი თუ უმგზავრია ომნიბუსით. ასევე ხანგრძლივი მიმოწერა ჰქონდა ლოგინს მიჯაჭვულ ერთ-ერთ ავადმყოფთან; როცა ეს უკანასკნელი მოგვიანებით მოვინახულე, გამომიტყდა, მხოლოდ და მხოლოდ იმ სულიერმა სიმდიდრემ გადამარჩინა, რილკეს წერილებიდან რომ მოედინებოდა და ჩემს ცხოვ-

რებას სრულიად ახალი შინაარსი მიანიჭაო. იმხანად რილკე მწერდა: გთხოვ, ილზე ერდმანს განუმტკიცო აზრი, რომ მას ნებისმიერ დროს შეუძლია მომწეროს და ნუ სწუხს ამის გამო, ეს ხომ ასე ბოლია, ჩვენ ხომ ასე ახლოს ვართ ერთმანეთთანო.

ადამიანები ყოველი მხრიდან პოულობდნენ მას. მსოფლიოს უშორესი ადგილებიდან პირდაპირი და ინტენსიური კავშირები იკვრებოდა.

იგი სიამოვნებით მომითხრობდა თავისი მოგზაურობის ამბებს რუსეთის შესახებ, თუ რამ მოხიბლა იქ ყველაზე მეტად და რამ მიიზიდა სამუდამოდ. რაღა თქმა უნდა, პირველი ადგილი პარიზს ეკავა. — ახალი ჭრილობა — პარიზი, ასეთი საშინელი განშორების გრძნობა რომ დაგვიტოვა გულში. როგორი სითბოთი იგონებდა იგი ყველა თავის იქაურ მეგობარს და არა მხოლოდ იმ შეხვედრებს, რომლებიც მეგობრებთან აკავშირებდა, არამედ ქუჩებისა და ბაღების ნაცნობობაზედაც კი გული სწყდებოდა. შემდეგ კი მისი მარადიული გოდების დიდი თემა წამოიჭრა — რა რთული იყო ადამიანთა შორის დამოკიდებულების დამყარება! სად გადიოდა თითოეული ურთიერთობის საზღვარი, განა მათ, ადამიანებმა, უწყოდნენ? — უპირველეს ყოვლისა კი, სიყვარულის საზღვარი? სიყვარული, რომელიც ცხოვრების უბრწყინვალესი, დიდებული გამოვლინება უნდა ყოფილიყო და იმავდროულად მარტოობის სიწმინდე არ უნდა შეელახა. განსაკუთრებით კი იმათი მარტოობა, ვინც მოწოდებული იყო სილრმისეული შინაგანი ხმების მოსასმენად, როგორც მისი სუნთქვის, მისი შემოქმედებითი თავისუფლების აუცილებელი პირობა. მე მშვენივრად ვუგებდი. მისი პრობლემა გარკვეული აზრით ყველა შემოქმედის პრობლემაა: ცხოვრებისეული და შემოქმედების მოთხოვნების შეთავსება, რომელიც თვით შემოქმედის მუდმივ მზადყოფნას ითხოვს შინაგანი იმპულსის წარმოშობისთანავე. რილკესთან ეს კონფლიქტი საოცარ სიმძაფრეს აღწევდა: დაწყევლილი იყო თითქოს, რაც მისი გამორჩეული გენიის თანამდევი გახლდათ უთუოდ, რომელიც აიძულებდა, ადამიანის პიროვნებას, ზოგადად, და საგნებს ისე ღრმად ჩასწვდომოდა, რომ ლამის მათი იდენტობისათვის მიეღწია საკუთარი მეს სრული ნიველირების ხარჯზე, რათა იმათგან (საგნებისაგან — ლ. დ.) ამ სიტყვის „მაგიური" აზრით „სახელი" ამოეცნო. ეს „სახელი" აბსოლუტის სიმაღლემდე აღწევდა და კარგავდა ადამიანის გონებისათვის მისაწვდომ მხარეს. ამიტომ იგი მისი ცნობისმოყვარეობისა და დაუოკებელი სიცოცხლის წადილის გამო იძულებული იყო დანაიდების ამ თამაშს აჰყოლოდა, რამაც თავად მას და მის გარეშემო მყოფთ მრავალი ტკივილი მიაყენა. ცხოვრება კი ისე ძლიერად იზიდავდა, რომ მუდამ მეორე ადამიანისკენ ილტვოდა ისევ, რათა უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ ზღურბლთან შეჩერებულიყო. ასე მაგალითად, მომითხრო მართეზე, უბრალო გოგონაზე, რომელსაც პარიზის რომელიღაც ქუჩაში გადაწყდომია, შალმოსხმული რომ მიუყვებოდა ქუჩებს სასოწარკვეთილი, თუ რა საგანძური აღმოაჩინა მან ამ გოგონაში, როგორი პირველქმნილი ბუნება, სიცოცხლისუნარიანობა, ცინცხალი გონება და ნატიფი გრძნობები. ერთხელაც მიუკითხავს ბინაზე, სადაც მართე ოთახს იყოფდა ერთ ქართველთან ერთად, რომელიც ენას ვერ ფლობდა და მართე ამიტომ ვერ ბედავდა დაშორებოდა მას. რილკე მიამბობდა, თუ რა სახე-

გაბრწყინებულმა ასწია გოგონამ საბნის ერთი კუთხე და უჩვენა ყვავილის ჩითილი, თავისი ტერფების სითბოთი აღმოცენებამდე რომ მიეყვანა. იგი გულაჩუყებული და აღტაცებული იყო. ყველაფერი, რაც მათ ერთად აღმოაჩინეს, ნახეს და გაიგეს პარიზის გარეუბნებში ფეტიალისას, პოეტს სიხარულის წყაროდ ექცა. გამომიტყდა კიდეც, რომ ცდუნებამ სძლია და მოიხიბლა, მაგრამ თავის მოთოკვა მაინც შესძლო და ბოლოს შეეშინდა ცხოვრებას შემოქმედებიდან არ მოეწყვიტა. „ნუთუ მისჯილი გვაქვს მაყურებელნი ვიყოთ მუდამ, არ შეიძლება, უბრალოდ, უფლება არა აქვს, ასე რომ მოხდეს!“ — აღმოხდა. ასეთივე ნდობითა და გულწრფელობით მიამბობდა იგი სხვა განცდებისა და გამოცდილებების შესახებ, თუ როგორ ცდილობდა გადაეჭრა ეს უმნიშვნელოვანესი პრობლემა. ამ მხრივ იგი ეგვიპტეში მოგზაურობას იმედგაცრუებად მიიჩნევდა, ხელმოცარულ ცდად, და ჯერ კიდევ ცოტა ხნით ადრე, როცა თითქოსდა არაპროდუქტიული პერიოდი ჰქონდა (როგორც თვითონ მიაჩნდა), იმედი ჩაესახა, თავისუფლება და ახალი აღმაფრენა მუსიკის წიაღში ეპოვნა. მუსიკის სამყაროს წვდომა კი ქალის მეოხებით უნდა განხორციელებულიყო. თუმცა უწინ მუსიკისა ეშინოდა კიდეც და ყველანაირად თავს არიდებდა — არ გამიტაცოსო. ზოგადად მუსიკას იგი სიზუსტის ჩარჩოში ვერ ათავსებდა და ამბობდა, როგორც ეს ლუ ანდრეას-სალომესადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში აღნიშნა კიდეც — იგი (მუსიკა — ლ. დ.) იქ კი არ წყდება, როცა ჩვენამდე აღწევს, არამედ სადღაც ქვევით, სიღრმეში, უსასრულობაში მიედინებაო. იგი განსაცვიფრებელი აღტკინებით იყო ანთებული, ამ გამოცხადებას მზადყოფნაში რომ დახვედროდა; მან თითქმის ტრანსის მდგომარეობას მიაღწია სიყვარულის ძალით აღმოცენებული მუსიკის მოლოდინში და სჯეროდა, რომ ეს შესაძლებელი იყო. ეს მარადიული კონფლიქტი ერთ ლექსში ჩააქსოვა, რომელიც მან ჟიდის „უძღები შვილის შინ დაბრუნება“-ში ჩამიწერა.

შინ დაბრუნდები: საით? ო, აქ მტკივანი არ მოგდევს მკლავი
მზერა კი ყველა, შემცდარი და ვერჩამწვდომია.
გზას გაუდგები: საით? ს ი ვ რ ც ე-შ ო რ ე თ ი გულს შერჩენია,
და თუ გულშივე არ გეუწყა არსება მათი,
თავს მოიტყუებ გზათა ძიებით, რა დაგრჩენია?
აღარაფერი ყ ო ფ ნ ი ს გარდა ის-ღა, რომ უთხრა ქვას უახლოესს:
შენ მე ხარ ახლა, მე კი ვარ ლოდი.
მიხსენ, მიშველე, სიმძიმილს ძალუძს ჩემგან წყარო აღმოაცენოს,
და სული ჩემი, სათქმელს სიტყვაში დაუტეველს ააღაღებს,
სულში მბორგავი ხვაშიადისა, ადამიანი ვერდამთმენია.

ყოველივე, რაც ჩვენში ღრმადაა ფესვგადგმული და ვერ გამოვითქვამს, მან ხმამაღლა განაცხადა, ის ღრმა ნაპრალი, რომელიც ჩვენი არსების საფუძველთა-საფუძველს წარმოადგენს, წარმოაჩინა. არ სურდა, ვინმეს საკუთარ თავთან არსებული უთანხმოება მიეჩქმალა.

ფრთხილად, სათუთად ითხოვდა ჩემგან, მომეთხრო ჩემი იმჟამინდელი სულიერი მდგომარეობის გამომწვევ მიზეზებზე. ისეთი სულიერებით და შინაგანი დაძაბულობით იცოდა მოსმენა, რომ ადამიანი მასთან თავს სავსებით თავისუფლად და გახსნილად გრძნობდა. იგი, მასთან

მოსაუბრის სიტყვების მომლოდინე, მთხრობელის თვალწინ, პირფართე ჭურჭელს ძერწავდა თითქოს. ამ დროს სრულიადაც არ იყო საჭირო ენამჭევრი ყოფილიყავით, ფორხილითა და ენის ბორძიკით ნაუბარსაც დიდი სითბოთი ისმენდა. თავისი ნატიფი და რთული გონების მეოხებით თქვენ მიერ მიწოდებულ დაუხვეწავ კონტურებს ავსებდა და სრულყოფდა. მისი ღრმა ჭვრეტის უნარი თქვენს სათქმელს ხვეწდა და ამდიდრებდა. მეც მოვუთხრობდი ჩემი მძიმე და შინაგანად მიტოვებული ბავშვობის შესახებ, თუმცა გარეშეთ სრულიად საპირისპირო შთაბეჭდილება რჩებოდათ, მარტოდმარტო გატარებულ ყმაწვილქალობაზე და იმჟამინდელ ტრაგიკულ მოვლენებზე. მოვუთხრობდი ჩემი ქორწინების ამბებს, რამაც უცნაურ მდგომარეობაში ჩამაგდო, თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ ქორწინებამ შინაგანად გამამდიდრა კიდეც. ჩემი მეუღლე, მეცნიერი — მთლიანად დანთქმული იყო თავის კვლევით მუშაობასა და ექსპერიმენტებში, ლაბორატორიებში გამომწყვდეულს თავისუფალი დრო თითქმის აღარ რჩებოდა, თვით მეტისმეტად პატივსაცემ პიროვნებებსაც კი უკან ისტუმრებდა სიტყვებით: „უმორჩილესად გთხოვთ, თუ შეგიძლიათ დამტოვეთ მარტო, სწორედ ახლა მჭირდება ფიქრი“-ო. მას საფიქრალი არ ელეოდა და იშვიათი დღესასწაული იყო, როცა თავის ნააზრევზე რაიმეს თქმას მოისურვებდა ხოლმე, რადგან, როგორც წესი, ფიქრები, თუმც მეცნიერულ ბაზისს ეყრდნობოდა, ლამის მისტიურ საზღვრებს აღწევდა და ვეება მოცულობისა გახლდათ. შორს გამიზნულ ფანტასტიურ შესაძლებლობებზე იგი ხატოვანი ენითა და გადამდები იუმორით საუბრობდა ხოლმე.

მისი აზრით, ყველაფერი იქიდან უნდა დაეწყო, რომ მსოფლიოს გარშემო ემოგზაურა, რათა კონტაქტი დაემყარებინა თავისი დროის გამოჩენილ სულიერ პიროვნებებთან, მაგრამ ვაი რომ ლაბორატორიაში ჩასატარებელი ახალ-ახალი ცდები აფერხებდნენ მუდამ. უნდა ითქვას, რომ დროის წარმავლობის იოტისოდენა გრძნობაც კი არ გააჩნდა და მე ვხედავდი, თუ როგორ ინთქმებოდა ჩვენი გეგმები უფრო და უფრო დანისლულ შორეთში. ერთ მშვენიერ დღეს, ჩემი მოთმინების ფიალა რომ აივსო, განვუცხადე: მე ჩემს საშუშაოს უნდა დავუთმო მთელი ჩემი ცხოვრება, პარიზს უნდა გავემგზავრო და ვხატო-მეთქი. მან სულგრძელად მომცა თანხმობა.

პარიზმა სულ ახალი ჰორიზონტები გადამიშალა ჩემს მხატვრობაში. სწრაფი ნაბიჯებით ვთავისუფლდებოდი და ბრეტანში გატარებული ზაფხულის განმავლობაში ვცდილობდი, ახლად მიღწეული უფრო განმევითარებინა. ხალისით სავსე და სრულიად დამშვიდებული ვიყავი. ჰაერში ომის სურნელი რომ დატრიალდა, თავიდან დაჯერებაც კი მიჭირდა; კუნძულ ბრეჰატზე ისე შორს ვგრძნობდი თავს ყოველივე მსგავსისაგან, რომ ამგვარი კატასტროფის წარმოდგენაც კი არ შემეძლო. მოგვიანებით გავუდექი გზას ცრემლმორეული, მეთევზეები მაცილებდნენ და თან მამშვიდებდნენ: „დარჩით ჩვენთან, ომი დიდხანს არ გაგრძელდება“-ო.

სადგური პემპოლი, სადგურის წინ ხალხს მოუყრია თავი, რომელთაც ჯერ ვერ გაუცნობიერებიათ, რა მოხდა, შიშით აღვსილნი შესჩერებიან ერთმანეთს. არანაირი მატარებელი აღარ იმოძრავებსო — გა-

მოაცხადეს. უეცრად უკანასკნელი მატარებელი ჩამოდგა ქშენა-ქშენით. ყველა ქუდმოგლეჯილი შეცვივდა შიგ, თითქოს სულის საბოლოო განწმენდას ესწრაფვიანო. მხოლოდ გადაჭედილ ვაგონში გაცხადდა ჩემთვის, თუ როგორ იზრდებოდა და ვეება ხდებოდა შიში თანდათან, დახუთულ კუპეებში.

ნელ-ნელა ვუახლოვდებოდით პარიზს. ქალაქი არაჩვეულებრივი მღელვარების, გულისმომწყვლელი გამოთხოვების, აბორგების, აღტაცების, ამაყი ჟესტების, ქადილისა და უწესრიგობის სცენად ქცეულიყო და ყველაფერ ამას თან ერთვოდა ტიპიური ფრანგული იუმორი, რომელიც ამ ხალხს მუდამ თან ახლავს, არასდროს სტოვებს და ჰეროიკული ხიბლით ავსებს. სალაროებთან დიდი ზედახორა გაემართათ. ბელგიელი მემაღაროელები თავიანთ სამუშაო იარაღსაც კი იმარჯვებდნენ, რომ გზა გაეკვლიათ მატარებლამდე. აქა-იქ დაჭრილებიც ჩანდნენ. „A bas les boches! A Berlin!“ [გაეთრიეთ ბოშებო! ბერლინში!]

ეს სიტყვები ლახვარივით გამეწონა გულში. როგორ, ნუთუ ქურდივით უნდა ვიმალებოდე და მეშინოდეს, ლოტარინგიელი რომ ვარ, მე ხომ ღრმა ფესვები მაკავშირებს საფრანგეთთან, ჩემს მეორე სამშობლოსთან. ნუთუ ჩუმად უნდა გავიძურწო აქედან? რა ტანჯვაა! მგზავრობა სულ უფრო და უფრო ძნელდებოდა; არავითარი ტრანსპორტი აღარ მოძრაობდა, საზღვრები ფეხით უნდა გადაგელახა, გერმანიაში ქვადქცეული სიმშვიდე გამეფებულიყო. ომის მანქანა საათის მექანიზმივით მუშაობდა. მატარებლიდან მოსჩანდა ცხენოსანთა უზარმაზარი კოლონები, მათ მოსდევდნენ ქვეითი ჯარისკაცები, რომლებიც რაინს ზევით მიჰყვებოდნენ ბელგიისაკენ. ყოველი მხრიდან ისმოდა მათი სიმღერა, გეგონებოდა თავად დედამიწა გუგუნებსო. უფრო ახლოდან თუ დააკვირდებოდი ზოგიერთს, შეამჩნევდი, რა უცნაური სხივი უკრთოდათ სახეზე. უსიტყვო სერიოზულობა, უჩვეულო აღტკინება. ამ სურათს გარკვეული სიდიადე ახლდა, რისგანაც სუნთქვა შეეკვრებოდა ადამიანს. შიშით შეპყრობილი ვცდილობ წარმოვიდგინო, რა მოხდება იქ, აგვისტოს ამ დიდებულ დღეებში, მათ ერთმანეთი უნდა დახოცონ, დაასახიჩრონ, აწამონ, დაამცირონ, ხელოვნურად გამოწვეული სიძულვილით — რატომ? — ვის სჭირდება ეს? — მგზავრობა დღეების განმავლობაში დაუსრულებელ ტანჯვად მექცა. არაქათგამოცლილმა ჩავაღწიე მიუნხენს, სადაც ჩემი სასოწარკვეთილი ქმარი აღარც მელოდა, რადგან უკვე დაკარგული ვეგონე. აქ კი, ზურგში, არც ტრაგიკული და არც სასიხარულო აღარაფერი ხდება. საღი განსჯის უფლებამოკლებულ მასებს საომარი მოწოდებებით დამპყრობელი მტრის ხატს უყალიბებენ. უაზრო, გაუმართლებელი ენთუზიაზმის ტალღამ თვით განათლებული და განსწავლული პიროვნებებიც აიყოლია და წარმოიდგინეთ, რა ძნელი იქნებოდა იმ აღშფოთების შეკავება და დათრგუნვა, რომელიც უსათუოდ შეიპყრობდა ადამიანს.

ჩემი ქმარი, საბედნიეროდ, ამ სიტუაციაზე მაღლა იდგა, მოვლენებს ზემოდან დასცქეროდა და მიხსნიდა, — ეს სინამდვილეში ეროვნებათა შორის გაჩაღებული ომი კი არა, კლასობრივი ომია და თანაც რიგით პირველი მომავალში მოსალოდნელთა შორის, მსოფლიო ცვლილებებს განიცდის და კრიზისის ფაზაშიაო. იმ დროისათვის სწორი, ნათელი

იდეა იყო. მე მთლიანად ჩემს სამუშაოში მსურდა ჩავფლულიყავი, მაგრამ სხვადასხვა სიძნელეებმა შემიშალეს ხელი. ჩემს ქმარსაც მიაჩნდა, რომ იმხანად მუშაობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. „საბრალო ბავშვო, ხელოვნების დრო წავიდა, ისეთი განსაკუთრებული ხალხის ადგილი, როგორიც შენ ხარ, დედამიწაზე აღარ მოიძებნებოდა“ მეუბნებოდა.

მე მეტისმეტად დიდხანს ველოდი ჩემი ნატვრის აღსრულებას, რომელსაც პარიზი მპირდებოდა, იმედი მქონდა, ჩემს გზას მივაგნებდი, ახლა კი სრულიად დაკარგულად მიმაჩნდა თავი, სიტყვასაც ვერ ვძრავდი. მსოფლიოს ამ გადატრიალებამ ჩემი ცხოვრებაც თან ჩაიყოლა. მომავალი გაუკულმართებულად მესახებოდა.

სულიერად ასე აშლილ-აწეწილი, უმიზნოდ გავემგზავრე იზარტალს. რილკემ, როგორც ჩანს, გულთან ახლოს მიიტანა ჩემი იმჟამინდელი მდგომარეობა და ახალი ლექსი მომიძღვნა:

ᲚᲣᲚᲣᲡ

ო, ტკივილები გაიფოთლა რარიგად ჩვენი,
უფრო გახშირდა, დაიბინდა ეს საბურველი.
სულ ცოტა ხნის წინ, საოცარი ჩვენი გულების
თავშესაფარად ასეთ ბნელ ჩრდილს ვერც ვიგულვებდით.

ქარებს შეეძლოთ სიყვარულის იარებიდან,
ჩვენგან დენილი წარეტაცნათ წყნარი ალები,
და დაგვფენოდა გამოუცნობ საათებიდან
გამოსხლეტილი იდუმალი გრილი ციალი.

მაგრამ ამ ყველა დარდისა და ვერდამშვიდების,
აღმატებული, გაფოთლილი ტკივილებისგან,
ვიწვით ქართაგან დანდობილნი, სახემშვიდები.

მაშინ, როცა ნდობით აღვსილნი, ერთმანეთს გულს ვუხსნიდით, ვიგრძენით უეცრად, რომ ეს ნათხოვარი მშვიდობა იყო, რომ ომის აჩრდილი თავს წამოგვდგომოდა, რათა ოცნებიდან გამოვეგლიჯეთ ულმობლად. რილკე თავის მხედრულ სიმღერებს მიკითხავდა, რომლებშიც, რომანტიულ ფუგებთან ერთად, ეგოისტური მიზნებისაგან განთავისუფლებულ, ერთ მთლიან გულად შედუღაბებულ, ამაღლებულ გრძნობას უმღერის და იმავდროულად გოდებს კიდეც, რომ საგანი ესოდენ ამაღლებული აღმაფრენის ღირსი არ არის, რადგან უკან გვითრევს წინა რეჟიმის სინამდვილეში. გავენდე, საფრანგეთიდან ჩემი წამოსვლისას გამოთხოვების სევდიანი შთაბეჭდილებით ლექსი დავწერე-მეთქი „ომის დასაწყისი“. დაჟინებული თხოვნის შემდეგ გავბედე და წავუკითხე კიდეც, ძალიან უყვარდა ის ლექსი და ხშირად სურდა, რომ მოესმინა, ხოლო როცა თავისი ლამაზი ხელწერით გადაწერა (საკმაოდ გრძელი ლექსი) და მოგვიანებით „ფორუმის“ გამომცემელს ვილჰელმ ჰერცოგს მი-

უტანა, თავს ძალიან დარცხვენილად ვგრძნობდი. ამ უკანასკნელმა კი თავის პაციფისტურ ჟურნალში გამოაქვეყნა. ასეთი დიდსულოვანი იყო რილკე, როდესაც რაიმე გულწრფელსა და ნამდვილს აღმოაჩენდა.

ერთ დღესაც უფრო დიდ უხერხულობაში ჩამაყენა, როცა ორი ულამაზესი წიგნაკი მომართვა, რომელთაგან ერთი, როგორც გამახდო, ჩემდამი მოძღვნილი ლექსებისათვის იყო გამიზნული, ხოლო მეორე — იმ ლექსებისთვის, რომლებიც მე უნდა მიმეძღვნა მისთვის. რამდენად მოგებული ვრჩებოდი ამგვარი გაცვლით!

დრო ულმობლად მიიწევდა წინ — რილკე ჰაიდელბერგში უნდა გამგზავრებულიყო. იქ, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში კონსულტაციები უნდა მიეღო იმ სამუშაოსათვის საჭირო დოკუმენტების თაობაზე, რომლითაც იმხანად იყო დაკავებული, ე. ი. ერთმანეთს უნდა დავცილებოდით. ჩვენ პირობა დავდეთ, ერთმანეთის ცხოვრებით გვეარსება ამ განშორების ჟამს. მე რატომღაც მეგონა, ველარასოდეს ვნახავდი და დამშვიდობებისას ვუთხარი, რომ მისი მარტოობა ჩემთვის წმინდა ყვავილის დარი იქნებოდა მუდამ.

იმავ საღამოს მივწერე ჩემს ქმარს, — მე უდიდესი სიხარული განვიცადე, რომელიც ძალას მომცემს, ჩემს თავზე ავიღო ყველაფერი, რაც საჭირო იქნება-მეთქი.

და რა მოულოდნელი იყო, როცა უეცრად, ორი დღის შემდეგ რილკე ისევ შემეხმიანა, გამომიტყდა, რომ ვერაფრით შესძლო არ ვენახე და ისე წასულიყო, თან უფლება მთხოვა კიდევ ერთხელ ნახვისა. მაშ, კიდევ მოვიდა!

როგორც გაირკვა, მიუნხენში რამდენიმე ხანს უნდა შეჩერებულიყო და, რაკი იცოდა საფრანგეთიდან დაბრუნების შემდეგ ჯერაც არ ვიყავი მოწყობილი, მკითხა, რას ვიტყოდი პანსიონ P-ში გაჩერება რომ შემოეთავაზებინა. — რა თქმა უნდა, — იყო ჩემი პასუხი, მე გათხოვებამდეც კარგა ხანს ვცხოვრობდი მანდ.

მანქანა, რომლითაც გამომიარა, მთლიანად ყვავილებით იყო ავსებული, ასევე პატარა ოთახებიც, ჩემთვის რომ შეეკვეთა, ბაღნარი გეგონებოდათ. თვალი მოვკარი დიდ კალათას, ჩეხური მინის ლარნაკს, ალისფერი ციკლამენებით სავსეს. იგი ყოველთვის განსაკუთრებული მზრუნველობითა და გემოვნებით უხამებდა ყვავილებს ერთმანეთს. როგორი აღტაცებული იყო იქ ყოფნით! ის ოთახებიც, მას რომ ეჭირა, პარიზის ოთახებს აგონებდა; არც კი ვიცი რატომ, ალბათ, ბუხარზე შემოდგმული ვერცხლის შანდლებით, ანდა რაღაცნაირი ინტიმურობით. ასე იყო თუ ისე, იქ განსაკუთრებული სიწყნარე სუფევდა, თუმცა ქალაქის შუაგულში ვიმყოფებოდით. ჩვენს გარდა სართულზე არავინ ცხოვრობდა. ეს ერთდროულად საოცარიც იყო და შესანიშნავიც—უცებ, აქ, ზევით, მარტოდმარტო რომ აღმოვჩნდით სამყაროდან მოწყვეტილნი.

საათები და დღეები ფრენა-ფრენით გადიოდა. მის საუბრებში, რაღა თქმა უნდა, ისევ ის ლაიტმოტივები ამოტივტივდა, რომლებიც ჩემთვის ასე ნაცნობი იყო მისივე ნაწარმოებებიდან. იშვიათად თუ რომელიმე შემოქმედის ცხოვრება არის ასე მჭიდროდ დაკავშირებული შემოქმედებასთან, როგორც რილკესი, წამისწამ მახსენდებოდა მისი ლექსებიდან ესა თუ ის ადგილი და ხმამაღლა ვამბობდი. იგი კი აღაპყრობდა ხელებს

ცისკენ და, როგორც სჩვეოდა, აღტაცების გამომხატველი ჟესტით იტყოდა: „რაღა საჭიროა დაისტამბოს პოეტი, როცა ასე ზეპირადაა შემონახული!“

პანსიონი ომით გამოწვეული სიძნელეების გამო ვერ ინარჩუნებდა თავის ადრინდელ მდგომარეობას, მაგრამ ჩვენ მაინც მოვახერხეთ დაგვეტოვებინა ოთახები და ავეჯიც, ხოლო მომსახურებას რაც შეეხებოდა, ჩემი შინამოსამსახურე გვივლიდა. ასე რომ, ჩვენი ყოფა მიწიერი სიმძიმეებისგან სრულიად თავისუფალი იყო. თითქოს მიწის ზედაპირს რამდენიმე დუიმით აცილებულნი დავსრიალებდით, წიგნებიც თითქოს ზუსტად იმ გვერდზე იშლებოდა, ჩვენს აზრებსა და საუბრებს რომ მიესადაგებოდა. სწორედ მაშინ ჩამიწერა ჩემს პატარა წიგნაკში:

ანაზდად უცხო, მშვენიერი ბალნარის გავლით,
მტარებელთ შორის უალრესო დამატარებო,
დაწრეტილ ჩემს გულს დღენიადაგ აახლებ წყაროს.

მე კი ამ წარმტაც, უსასრულოდ გრძნობით დამუხტულ
ბალნარის წიალ, ამოუწურავ შენს გულთან ვდგავარ,

იმ ყმაწვილივით, სამერმისო მადლით რომ იცდის,
ძლიერი მადლით, თუმცა ჯერაც არდაწყებულით,
და შენი გულის ნიჭიერების მე ვარ მპყრობელი.

შენ კი კვლავ ცდილობ, ჩემი გული რომ დაარწყულო
აწაფებ წყაროს, ხოლო ბალნარი, გარს რომ გვარტყია
მშვენიერი და უეცარი, სახეა ჩვენი.

რანი ვართ, ხედავ? ვარსკვლავები ცას მიბნეულნი,
ღამით ამ ბალნარს სარკესავით რომ ირეკლავენ,
და ვართ შორეულ ვარსკვლავთა ირგვლივ უკუნი ბნელი.

მდინარეები უცხო ქვეყნების, მთები, ქედები,
მთათა გადაღმა გადაშლილი მომდევნო სივრცე,
უსასრულო, თვალშეუდგამი, ჩვენა ვართ თვითონ.

ანგელოსები არ გვეთქმის ცალად;
ერთად კი, ჩვენი სიყვარულის ვართ ანგელოსი:
მე გზა ვარ მისი, შენ კი, ბაგეთა სიყმაწვილე ხარ.

(24 სექტემბერი)

ჩვენი დაუსრულებელი საუბრების წყალობით, სულ უფრო და უფრო ვუახლოვდებოდით ერთმანეთს და უცებ გაოცებულნი აღმოვაჩენდით, რომ ლამის მთელი ღამე შეუმჩნევლად გასულიყო. თანდათან ვრწმუნდებოდით, რომ ჩვენი შეგრძნებები ხშირად ემთხვეოდა ერთმანეთს, მაგალითად, ორივეს ძალიან გვიყვარდა ცხოველები, მათი იდუ-

მალება დიდ ზემოქმედებას ახდენდა ჩვენზე, ორივეს გამოუთქმელი მოწიწება გვეუფლებოდა ზენაარის ძალმოსილებისა და აბსოლუტის ყოვლისშემძლეობის გამოვლინებათა წინაშე. მეხსიერებაში უმალ რამდენიმე ლექსი წამოტივტივდა: „პანტერა“, „ქურციკი“ და „ფლამინგოები“.

რილკეს კალმით დახატული ინტიმური სიზუსტე [illegible] ფერს აკლებს იმ ზმანებისეულ ატმოსფეროს, მათ რომ გარს აკრავს და არც მათ უსასრულო მნიშვნელოვანებას აკლდება რაიმე. მისი სილვები ჩემს მხატვრულ ხედვას იმდენად უახლოვდებოდა, რომ პოლ ვალერმა მოგვიანებით მითხრა — მათში რილკესეული მბორგავი სული იგრძნობაო. ალბათ, ეს თუ იყო მიზეზი, თავის თხზულებებს ჩემეული აკვარელები რომ დაურთო „პარაბოლათა“ სერიიდან.

ფლამინგოები

Paris. Jardin des Plantes

თვით ფრაგონარის სურათ-საოკეზეც არ ათინათებს
ისე ფერსავსედ ვარდისფერი მათი ქათიბი,
როგორც იმ მხატვრის გვთავაზობდეს ფერი ნატიფი,
საყვარელ ქალზე თუ უთქვია: სათუთიაო

ჯერაც, ახალ გაღვიძებული. ველად გასულნი,
დგანან ვარდისფერ, შოლტფეხებზე ოდნავი ბრუნით
ჰყვავიან გუნდად, თითქოს კვალში ჩარიგებულნი
და მაცდუნებელ ფრინეზედაც უფრო მაცდურნი

თავს იცდუნებენ, ვიდრე გაცრეცილ, უფერულ თვალებს
ყელმოღერებით არ ჩარგავენ ბუდეში ფრთათა,
სადაც თალხი და ღვინისფერი შეფარვით ელავს.

აი, ერთბაშად შური ღრჭენით შეაღწევს მათთან:
ისინი მაინც გაოცებით ილერენ ყელს და
მიაშურებენ ცალკ-ცალკე წიაღს წარმოსახვათა.

რილკემ ისე ხატოვანად იცოდა მისთვის მნიშვნელოვანი ადამიანების აღწერა, ისეთი ძალით გააცოცხლებდა ჩემ წინაშე, რომ ლამის თვალწინ მედგნენ, ზოგიერთ მათგანთან კი ვმეგობრობდი კიდეც შორიდან. ომი დამთავრდება თუ არა, ყველას გაგაცნობო, — მპირდებოდა. აბა, ვინ იფიქრებდა რომ ეს ომი ოთხ წელიწადს გაგრძელდებოდა. მაშინ ხშირად სტუმრობდნენ ჩვენთან ფარგი, ჟიდი, რომენ როლანი, ანნა დე ნოაი, მშვენიერი პრინცესა ბიბესკო, მისი „ალექსანდრ აზიატიკ“ მოგვიანებით ვთარგმნე კიდეც, უპირველეს ყოვლისა კი ვილდრაკი, ასე ახლობლად რომ მიაჩნდა. რა გულითადი საუბრები ჰქონდათ ხოლმე სენის ქუჩაზე მდებარე პატარა სურათების გალერეაში, აი, ნახავ როგორ მოგეწონება და დაუახლოვდებიო, — მეუბნებოდა. როდენის

ხსენებისას ნაღველი ჩაეღვრებოდა ხოლმე ხმაში, როგორც ადამიანური წვრილმანების გამო მოგვრილი სინანული, ესოდენ განყენებულ სფეროებშიც რომ იჩენს თავს.

ელეონორა დუზეს — დიად მეტრფეს უწოდებდა, ღრმად განიცდიდა მსახიობი ქალის ტრაგედიის საშინელ სიმძიმეს, რომელმაც არავინ დატოვა გულგრილი; ვენეციაში დუზესთან სტუმრობისას მან განსაკუთრებული სიცხადით იგრძნო მსახიობის დიდი ტრაგედია; როცა დიდ ტრაგიკოს ქალთან 17 წლის ასაკში ჩემი ხანმოკლე, უცნაური შეხვედრის შესახებ ვუამბე, აღფრთოვანებულმა წამოიძახა — „ჩვენ აუცილებლად ერთად მოვინახულებთ მას“. რა ჩინებული „პორტრეტი“ უძღვნა პოეტმა მსახიობ ქალს. ეს ლექსი ახალი ლექსების ციკლშია შესული.

პორტრეტი

შემოძარცული სახეების დიდ ტკივილთაგან,
რომ არ გაებნეს მისსალიც მის სულს,
სახის ნაკვთების ლამაზ თაიგულს
ატარებს ფრთხილად, ჭკნობაშეპარულს,
და ველურ კონას, შეეხსნება საკინძე როცა,
სახეს ღიმილი სწყდება ხანდახან, ვით ტუბეროზა,
უმისამართოდ, უხალისოდ გზადაკარგული.

მყის დაუდევრად გადააბიჯებს ღიმილს და იცის,
რომ უსინათლო მშვენიერი მისი ხელები,
დაკარგულს ველარ მიაგნებენ, უწინდელ სიცილს,
და ისმის მისგან პოეტური სიტყვაკაზმული,
სადაც მერყეობს ბედისწერა, ბედი ნატრული,
ამკობს თავისი გრძნობების მადლით,
რომ ამოსეთქოს ვით საოცრებამ;
ქვის ღაღადივით, გმინვა-გოდებამ...

დ' ანუნციოზედაც ვსაუბრობდით, რომელიც ელეონორა დუზეს ტრაგედიის მიზეზი გახდა. რილკე მას კარგად იცნობდა, მე მხოლოდ რამდენიმეჯერ შევხვედრივარ პარიზში, ისიც შემთხვევით; ჩვენი საუბრებისას, მხოლოდ ცნობილ პიროვნებებს როდი ვიხსენებდით — რეგინა ულმანის შესახებ მეუბნებოდა, მის ხელნაწერს წინასიტყვაობა წავუმძღვარეო. რეგინა მას საკუთარ აღმოჩენად მიაჩნდა — იგი გამორჩეული, იშვიათი პიროვნება, საოცრად ბუნებრივი, არაჩვეულებრივი, სრულიად განსხვავებული ადამიანი გახლდათ: მპირდებოდა, ერთმანეთს მალე შეგახვედრებთო.

რილკე ისევ და ისევ უბრუნდებოდა ამოუწურავ თემას, პრობლემას, რომლისთვისაც ამოხსნა ვერ მოეძებნა: საყვარელ არსებასთან ურთიერთობის საკითხს. „ზოგიერთებმა ხომ შესძლეს“, — ამბობდა იგი, — „ჩვენც უნდა ვიპოვოთ რაიმე გზა.“

როცა ეს მითხრა რობერტ და ელიზაბეტ ბრაუნინგებს გულისხმობდა, რომელთა ხსოვნას ღრმა სულიერებით აღბეჭდილი ლექსიც კი უძღვნა:

ო, როცა გული, ოდითგან სითბოს გადაჩვეული,
მერმისს და რწმენას მოწყვეტილი გული ეული,
გამოიღვიძებს და აღიქვამს გამორჩეული,
რომ მიიჩნევენ: „საწყაულად მშვენიერების!“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოიქცეს როგორ? შეურიგდეს ბედნიერებას,
უკვე რომ ჩასწვდე ხელის, ღაწვის მისეულ ენას?
შეესისხლხორცა არგამხელილ ტკივილთა თმენას,
ასლა კი ტრფობა აიძულებს კვლავ ხმიერებას...

უფრო ხშირად ემილ ვერჰარნს ახსენებდა, რომელმაც სულ სხვა გზით მიაღწია თანხმიერებას შემოქმედებასა და სიყვარულს შორის. დიდხანს და დაჟინებით იკვლევდა და ისევ უბრუნდებოდა ცხოვრების გზაზე განცდილ გაცრუებულ იმედებს.

ერთ დღესაც შემომთავაზა, დანტეს „*Vita Nuova*“ ვთარგმნოთო. ამ თარგმანზე მუშაობა თავადის ქალთან თურნ უნდ ტაქსისთან ერთად დაუწყია დუინოში ყოფნისას; როცა ჩემი იტალიურის არასრულფასოვნება მოვიმიზეზე, გაგონებაც არ ისურვა. „შენ სწორი ინტუიცია გაქვს და ჩვენი ცხოვრებაც განა ახალი არ არის? ეს-ესაა იწყება“. ამ სიტყვებს შემდეგი სტრიქონები მოაყოლა, იმ დილით რომ შეუთხზავს ჩემ თვის:

ბოლოს და ბოლოს შენეული სულის სანახებს,
მზერით რომ ჩავწვდე და ბოლომდე რომ ჩავიძირო,
გამოყენებულს არ მოვიხმობ, გაცვეთილ სახეს,
რადგან მდუმარედ იწევს სულ მაღლა, მუხლთა მოყრისას,
დანისლულ თვალთა სიღრმე უძირო...

არასოდეს მინახავს, ასეთი გულწრფელობით რომ დაეჩოქოს მამაკაცს და სასაცილო არ გამხდარიყოს, ეს მისი ბუნების მოთხოვნა გახლდათ.

ხშირად მესაუბრებოდა იმ თემებზე, რომელთაც მთლიანად დაეპყრო მისი პიროვნება, მიკითხავდა ლექსებს, მჟღერი, დამატყვევებელი, დროდადრო მაღალი ხმით. მახსენდება, მაგალითად, მისი მნიშვნელოვანი ლექსი „შემობრუნება“, რომელიც ჩემთან შეხვედრამდე რამდენიმე თვით ადრე დაუწერია. უეცრად შეეძლო შემკრთალივით გარინდებულიყო, თუ ლექსის გაგრძელება საბოლოოდ ვერ გამოიკვეთებოდა მის გონებაში, როგორც ეს მეექვსე ელეგიის პირველი სტრიქონის წარმოთქმისას მოუვიდა: „ხეო ლეღვისა, რახანია უკვე მენიშნა...“ ცოტა ხანში ამას მოჰყვა კიდევ რამდენიმე სტრიქონი, დასასრული კი, როგორც ცნობილია, მხოლოდ 8 წლის შემდეგ დაიბადა მიუზოში. ხშირად ჰქონდა ისეთი შთაბეჭდილება, რომ გამოუცნობი ხმის კარნახით წერდა. ძირითადად კი სულ ელოდა იმ გასხივოსნებულ წამებს, როცა ყოველივე, რაც მისი სულის წიაღში ხდებოდა, გრიგალივით უნდა ამოვარდნილიყო. ასე შეიქმნა „ჟამნი“-ს მეორე ნაწილი — 21 დღეში, „ახალი ლექსების“ მეორე ნაწილი — ორ კვირაში, ორფეოსისადმი მიძღვნილი პირველი

ნაწილის 26 სონეტი — 1922 წლის 2-დან 5 თებერვლამდე და, ბოლოს, „დუინური ელეგიების“ შემდგომი ექვსი ელეგია, 29 დანარჩენი სონეტი ორფეოსისადმი და 20 ლექსი სულ რაღაც 18 დღის განმავლობაში.

წმინდა შემოქმედებისათვის მუდმივი მზადყოფნა, ანუ ზენაარ დიად ხმათა სმენა, მისთვის უზენაეს მცნებას წარმოადგენდა. სინამდვილეში იგი განუწყვეტლივ გონებრივ შრომაში იყო. მისი სულ უფრო და უფრო გასხივოსნებული აზრები და გრძნობები თანდათან კრისტალებივით იკვეთებოდა, მწიფდებოდა საბოლოო ამოხეთქვამდე. აი, სწორედ ამ მოვლენას გვიხატავს ლექსი, რომელიც მომიძღვნა და წიგნაკში ჩამიწერა: ჩაწერილია „ჟამნში“ ლულუსათვის.

მეგობარ ქალს

მის მკვიდრად ნაგებ უპირველეს, ძლიერ ციხე-კოშკს
ამშვენებს ყრმობის მძიმე ზართა ძალმოსილება.
ექმენ სისავსედ, გაეხსენ სივრცედ ჩემს აღტკინებას
და აღუვსებდე მგრძნობიარედ, დაშოშმინებულს,
ნასვენ სივრცეთა თვალშეუდგამ უსასრულობას.

ასეთი იყო გული ჩემი — ახლა კი მუხტი,
სულ თანამდევი, ათასწილ მეტად მიხმობს ქმედებად.
მძაფრი ტკივილით იზრდება ჩემში შემოქმედება,
დასასრულ ტკბილი, უფრო მწიფე, უფრო დიადი.
მე კი არ ვცხოვრობ, — ჩემგან ლავა მოედინება!

ხშირად, დღე-ღამის ნებისმიერ დროს, მომიტანდა მისი წიგნებიდან რომელიმეს და მთხოვდა ზოგიერთი ლექსის ხმამაღლა წაკითხვას, თან მარწმუნებდა, მხოლოდ შენი წაკითხულის მოსმენა მინდა, პროფესიულ დეკლამაციას ვერ ვიტანო. თუ რა სიხარულით ვუსრულებდი ამ სურვილს, ადვილი მისახვედრია, რადგან მთელი არსებით ვიყავი დანთქმული მის პოეზიაში.

განუწყვეტელი აღფრთოვანებით აღბეჭდილი დღეები ელვის სისწრაფით მიფრინავდა. ჩვენი ეს განდეგილობა გარკვეულ შიშსაც აღგვიძრავდა ხოლმე ლექციებზე და თავშეყრის სხვა ადგილებში ყოფნისას. რა ხშირად შევმკრთალვართ, გულისგამგმირავი სიმღერა რომ შემოგვესმებოდა, შუაღამისას ფრონტისაკენ მიმავალი ჯარისკაცების სიმღერა. სინდისის ქენჯნა არ გვასვენებდა: გვქონდა კი უფლება ასე განმარტოებით ვყოფილიყავით, როცა ირგვლივ გაჭირვება, შიში და სიგიჟე გამეფებულიყო?

ერთ დღესაც რილკემ საწერ მაგიდაზე 20 000 ოქროს კრონის გზავნილის შეტყობინება იპოვნა, რომელიღაც დიდსულოვან ანონიმს რომ გამოეგზავნა, რათა, როგორც თვითონ აღნიშნავდა, პოეტისათვის ომით გამოწვეული მდგომარეობა შეემსუბუქებინა, თავად კი ბრძოლის ველზე წასულიყო. ამ ფაქტით დარცხვენილი და შემცბარი რილკე უცებ ბავშვურმა სიხარულმა აიტანა: „ეს ხომ ჩვენი საჩუქარია“, — წამოიძახა მან, — „ყოველივე ეს იმიტომ ხდება, რომ შენი აქ ყოფნა აღვნიშნოთ“, — გრძნობამორეული და აღფრთოვანებული, ირგვლივ სიხარულს

აფრქვევდა. სულ მალე თავისი მოახლე ჩრდილოეთ გერმანიაში გაუშვა, შეტევის დაწყებამდე ძმის მონახულება რომ მოესწრო. მოსამსახურეებს იგი ყოველთვის ფაქიზად ეპყრობოდა. განსაკუთრებულ მომსახურებას არც ვსაჭიროებდით, რადგან იქვე ოდეონ-ბარში ვსადილობდით, სადაც სხვა ადამიანების არსებობაც შეგვახსენებდა ხოლმე თავს.

რილკეს, დასაჩუქრების დიდი სურვილის გარდა, საჩუქრის მირთმევის საოცარი, ხელოვნებამდე აყვანილი უნარი გააჩნდა. ამის გამო ჩვენი ოთახები მუდამ სავსე იყო ყვავილებით, დახვეწილი გემოვნებით შერჩეული თაიგულებით. დილის ჩვეული სეირნობის შემდეგ, ახალ თვალახელილი დღის ხელუხლებელ სიწმინდეს რომ ეზიარებოდა, მუდამ რაღაც მოულოდნელად ახალი მოჰქონდა თან. ხან ანტიკვარული რაიმე ნივთი, გულდასმით რომ ამოარჩევდა ხოლმე, ანტიკური პატარა ლარნაკი, ან ხისგან გამოკვეთილი სტატუეტი, რომელიც ნატურმორტისთვის შეიძლებოდა გამომდგომოდა, ან ძველებური რამ სამკაული, უპირველეს ყოვლისა კი, წიგნები. ერთხელ „ათას ერთი ღამის“ შესანიშნავი ფრანგული გამოცემა მომიტანა, შემდეგ მონტენის, ფლობერისა და დოსტოევსკის ნაწარმოებები, ცოტა მოგვიანებით გუნდოლფის „გოეთე“. საკმაოდ ძნელი იყო დასაჩუქრების სურვილით ანთებული ადამიანისათვის წინააღმდეგობის გაწევა. ჩემთვის, რა თქმა უნდა, ყველაზე ძვირფასი საჩუქარი ლექსი იყო, სისხამ დილით დაბადებული ლექსი, აი ეს, მაგალითად:

როგორც ფრინველნი, შეხიზნულები
ძველ სამრეკლოთა ვეება ზარებს,
გაეცლებიან ხმებს შემაზარებს
და დილის ჰაერს შელეწილები,
ფრენამისჯილნი, ფრთაგაშლილები
კოშკებს არშიად
შემოეწრენ
მშვენიერ შიშის ასოხვიარებს...

ამ ზართა ზრიალს რაც ვეზიარეთ,
გულსშინა ყოფნა არ გვიწერია...

შინ მობრუნებული, როგორც წესი, წერილების წერას იწყებდა და, როგორც უკვე ცნობილია, ამას სრულიად გაუთვალისწინებლად, უმეტესწილად შემოქმედებით მუშაობაზე გადასვლა მოჰყვებოდა ხოლმე. ამ უზარმაზარი კორესპონდენციის ნაწილი მის ნამუშევრებში გადმოიღვარა, წერილების წერით იგი თავისი შემოქმედებითი გაქანების გამოწვევას ცდილობდა (sich-in Schwung-setzen), თორემ სხვა შემთხვევაში დროს ასე გაფლანგავდა? ამიტომაც ენიჭება მისი წერილების მნიშვნელოვან ნაწილს სრულიად განსაკუთრებული აზრი და ღირებულება.

რამდენიმეჯერ ვცადე ჩემი ქმრისთვის მიმეწვდინა ხმა, რაც არც ისე იოლი აღმოჩნდა, რადგან სულ სხვადასხვა ლაბორატორიებში უხდებოდა მუშაობა. ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, მივაწვდინეთ ხმა და

ჩემი მისამართი ვაცნობე. როცა მომიკითხა, რილკესთან ჩემი შეხვედრის ამბავი მოვუყევი. — „აბა ბედნიერი იქნები", — მითხრა მან, რადგან იცოდა, რა აღფრთოვანებული ვიყავი მისი ლექსებით. — „ჰო, და, ძალიან მინდა, რომ შენც გაიცნო-მეთქი, ვუთხარი და მაშინვე ცოცხლად წარმოვიდგინე, რა ბრწყინვალე საუბრები და აზრთა გაცვლა-გამოცვლა მოჰყვებოდა მათ ურთიერთგაცნობას. სხვა დროს ჩემი ქმრის ვინმესთან შესახვედრად შემზადებას ლამის მთელი დღე სჭირდებოდა ხოლმე. ახლა კი უცებ დამეთანხმა: — კარგი, მოვალო, — მითხრა და კარს უკან გაუჩინარდა. როგორ გავოცდი, როცა ორიოდ საათში მართლა მოვიდა.

მათი ეს პირველი შეხვედრა ძალიან უცნაური აღმოჩნდა, ერთმანეთზე განსხვავებული შთაბეჭდილება მოახდინეს. საღამოს ვახშმობისას ჩემს ქმართან ერთად რესტორანში სუფრას რომ ვუსხედით (იგი, რა თქმა უნდა, მიმიხვდა, რა სიხარულს ვგულისხმობდი ჩემს წერილში, როცა რილკე სამუდამოდ წასული მეგონა), უეცრად გამომიცხადა — „ჩემს შემდეგ, ეს პირველი მნიშვნელოვანი პიროვნებაა, რომელიც შენ შეგხვედრია"... თითქმის მთელი საღამო რილკეზე საუბრობდა განუწყვეტლივ, იმდენად დიდი ზეგავლენა მოახდინა მასზე ამ უკანასკნელის პიროვნებამ.

„ვგონებ, ძალიან გალანტურად ვიქცევი, როცა ისევ იქ მიმყავხარ, საიდანაც წამოგიყვანე, არა?" — მკითხა მან პანსიონამდე მიცილებისას, სადაც მართლაც ვიყავი გაჩერებული ჩვენი ნიშნობის პერიოდში (ამ შენიშვნამ საოცრად ამაფორიაქა და დამაფიქრა ერთ გარემოებაზე, რომელზედაც რილკე მესაუბრებოდა — „კონცენტრირებული წრეების საიდუმლოზე". მეც მქონია ხშირად ისეთი შთაბეჭდილება, რომ ზოგიერთი ადამიანის ბედისწერა განსაზღვრულ ადგილებს უკავშირდება, სადაც იდუმალი კავშირები იკვრება ხოლმე. განა ეს საოცარი დამთხვევა არ იყო, რომ ზუსტად ირშენჰაუზენში, სწორედ იქ, სადაც მე რილკე შემხვდა, ერთი წლის წინ, მე და ჩემს ქმარს გაცხოველებული კამათი გვქონდა რილკეს პოეზიის შესახებ; მაშინ იგი მისი პოეზიის უგულებელყოფას ცდილობდა, რადგან ეშინოდა, მისი ზეგავლენის ქვეშ არ მოქცეულიყო და არჩეული გზიდან არ გადაეხვია. იმ საუბარმა ძალიან ღრმა კვალი დატოვა ჩემში; ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ორ სამყაროს შუა ვიყავი გახირული, რომლებსაც დიდი სიამოვნებით ვიხილავდი გაერთიანებულ-გამთლიანებულს). — ისევ ისეთი ნირწამხდარი მომეჩვენა ჩემი ქმარი, როგორც მაშინ. „რად ამბობ მაგას?" — ჩავეკითხე, — „განა სულ მალე ისევ შენთან არ დავბრუნდები?". როგორც ამიხსნა, არ სურდა ასე სწრაფად შეწყვეტილიყო ბედით შემოთავაზებული ეს მშვენიერი მეგობრობა და, რაც მთავარია, არამც და არამც არ სურდა თვითონ გამხდარიყო ამის მიზეზი. სანამ პასუხად რასმე მოვახერხებდი, ისარივით გაუჩინარდა.

ცოტა არ იყოს, დავიბენი. შინ დაბრუნებულმა რილკეს ვუთხარი, რომელიც მოუთმენლად მელოდა: — „უნდა წავიდე და დაგტოვო, თუმც ჩემი ქმარი თანახმაა, რომ რამდენიმე ხანი კიდევ დავყო აქ, მე კი ისეთი გრძნობა მაქვს, რომ ახლა მასთან წასვლა უფრო სწორი იქ-

ნება". რილკე მთლად გაფითრდა. — „შესძლებ კი, ნამდვილად?..." — რა უნდა მეპასუხა?

შემდგომში ჩვენ, სამივეს, ხშირად გვიხდებოდა ხოლმე ერთად ყოფნა სადილობისას, საუბარი ამაღელვებლად და ხშირად ერთგვარ საინტერესოდ მიმდინარეობდა; მართლაც, გაოცებას იწვევდა, როგორ მიდიოდა რილკე ინტუიციის წყალობით ხანდახან ისეთ დასკვნებამდე, რომლებიც ამა თუ იმ მეცნიერულ აღმოჩენას სავსებით ემთხვეოდა.

რეგინა ულმანი იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც რილკე მოინახულა იმხანად. იგი ბევრად უფრო უცნაური მოვლენა აღმოჩნდა, ვიდრე მე წარმომედგინა, თითქოს სხვა დროებიდან, სხვა სამყაროდან მოვლენილი, გახევებული იჯდა ჩვენ წინ, გლეხურად დაწყობილი ხელებით. მისი მძაფრი, ვიზიონერული მზერა და ერთმანეთისგან განსხვავებული თვალები ხალხურ ოსტატთა მიერ ხისაგან გამოთლილ ფიგურას მოგაგონებდათ. რეგინას მძიმე, ენის ბორძიკით, ძლივს ამოღერღილი საუბარი წინასწარმეტყველებას ან თუნდაც წყევლას უფრო წააგავდა, ვიდრე უბრალო მოკვდავის ნაუბარს. სასაუბრო თემაც საგრძნობლად სცილდებოდა ჩვეულებრივ ადამიანთა ყოველდღიური საქმიანობის საგნებს. სულ ერთი იყო, რას გიამბობდათ, უბრალო სოფლელი მოახლე გოგოს ამბავს, თუ უსინათლო ადამიანის ყოფას აღწერდა, მისი ხმის ტონალობა ეპიურ სიდინჯესა და სისავსეს იძენდა და ჟამი-ჟამ ბიბლიურ სიმაღლეებს აღწევდა. შეიძლება ითქვას, რომ ეს გახლდათ მონოლოგები შიგადაშიგ შეწყვეტილი ხრინწიანი სიცილით, რომელიც იმდენად გაუცნობიერებელი ჰქონდა, რომ მსმენელი სახტად რჩებოდა. იგი ისე საუბრობდა და იცინოდა, თითქოს თავისთავს ელაპარაკებაო. მე გაოცებული შევყურებდი და ვერაფრით წარმომედგინა, რომ მოკლე ხანში ჭეშმარიტი მეგობრები გავხდებოდით, რომ მე მისი მოუხეშაობის მიღმა სინაზისა და დახვეწილობის აურაცხელ საგანძურს აღმოვაჩენდი. რეგინამ ისე მომხიბლა, რომ მოგვიანებით მისი სამი პორტრეტი შევასრულე, რომელთაც, როგორც ცნობილია, რილკე მაღალ შეფასებას აძლევდა.

იგი ერთ მშვენიერ დღეს მანამდე ჩარაზულ კარებს დაეჯაჯგურა და ძალით შეაღო თუ არა, მოულოდნელობისაგან აღტაცებულმა იყვირა: „მოდი, ჩქარა, ნახე!" გაოცებულებს ბრწყინვალე ატელიე გადაგვეშალა თვალწინ, რომელიც ფართო ტერასაზე გადიოდა. — „შენ აუცილებლად უნდა დაიკავო ეს ფართობი! აქ უნდა ხატო! ეს ნიშანია, ზეგარდმო ნიშანი, მე არსად გავემგზავრები, მთელი სართული დავიტოვოთ და თარგმანზე ერთად ვიმუშაოთ. ახლავე ჰკითხე შენს მეუღლეს, დაგრთავს თუ არა ნებას, ატელიე რომ აიღო".

მართლაც მშვენიერი პერსპექტივა იყო, მაგრამ მე ვერ ვბედავდი დავთანხმებოდი. — როცა ჩემ ქმარს დავეკითხე, — „მოვიფიქრებო, — მიპასუხა.

რილკე, მოუთმენლობისაგან ადგილს ვერ პოულობდა; რადგან, როგორც ცნობილია, მისთვის ადგილს, პირობებს შემოქმედებითი მუშაობისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ჩემი მეუღლის გადაწყვეტილება კი იგვიანებდა, მეტისმეტად იგვიანებდა საიმისოდ, რომ

რილკე ამ ციებ-ცხელებას გამკლავებოდა. ერთ დღესაც, ისე რომ ჩემთვის სიტყვაც არ უთქვამს, წერილი გაუგზავნა ჩემს ქმარს, რომელიც შემდეგ წამიკითხა კიდეც. იგი ატყობინებდა ჩვენი აღმოჩენის ამბავს და დასძენდა, თუ რა ბედნიერებას წარმოადგენდა ასეთი პირობები ჩვენი ერთობლივი მუშაობისათვის. „ამ უაღრესად თვითგამანადგურებელი დროის პირობებში", — ამბობდა იგი, — „ჩემთვის საოცრად მნიშვნელოვანია ჩემს მეგობართან ერთად მუშაობის გაგრძელება, რადგან ჩვენ ერთმანეთს ვეხმარებით და ძალას ვმატებთ. ვიცი, — განაგრძობდა იგი, — რომ ჩემი თხოვნა უჩვეულოა, მაგრამ ლულუსგან მსმენია, რომ თქვენც განსაკუთრებული პიროვნება ბრძანდებით; ლულუს სიყვარული თქვენდამი ბავშვურია იმდენად, რამდენადაც ღმერთს ასეთი გაუჩენია. ჩვენ თქვენი იმედი გვაქვს და გადაწყვეტილების მიღებაც თქვენთვის მოგვინდვია"... ხანდახან რილკე საოცრად იმპულსურიც კი იყო ხოლმე.

არავითარი პასუხი. — თითქმის ორი კვირის შემდეგ მთხოვა ჩემმა ქმარმა, — შემხვდიო: „მე, როგორც ვხედავ, საქმე ფრიად მნიშვნელოვან რაიმეს ეხება და არა მხოლოდ შენთვის. ასეთი შეხვედრა იშვიათია, რაღა თქმა უნდა, ამ სიტუაციაში, მე უკან უნდა დავიხიო, ესეც არ იყოს, შენც ვერასოდეს მაპატიებ, მე რომ სხვაგვარად მოვიქცე". — „როგორ უნდა გავიგო ყოველივე ეს?" — ვუთხარი გაოგნებულმა, — „ჯერჯეროობით დარჩი, შემდეგში კი ვნახოთ..."

რილკე შიშნარევი დაძაბულობით მელოდა, როცა ყველაფერი ვუამბე, არ იჯერებდა. გაბრწყინებული სახით ელოდა მომავალი შემოქმედებითი მუშაობის ხანგრძლივ პერიოდს.

ოთახების გადანაწილება სრული დამოუკიდებლობის საშუალებას იძლეოდა და ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ ნანატრ დამოუკიდებლობას გავუფრთხილდებოდით:

... რადგან ცოდვაა, თუკი ცოდვად რამ ჩაითვლება,
არ გაუმრავლო სიყვარულს ძვირფასს თავისუფლება,
იმ ოდენობით, რაც შეუძლია რომ იტვირთოს და აიტანოს.

შევუკვეთეთ ფეხიანი მერხი, რადგან რილკეს ჩვეულებად ჰქონდა, ოთახში ბოლთის ცემისას უეცრად შეჩერებულიყო და მყისიერი აზრი ფეხზე მდგომს ჩაეწერა. მერხის ზომები დადგენილი ჰქონდა, რადგან ყველგან, სადაც კი უმუშავია, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, იგივე ზომები იყო დაცული. დავიწყეთ გეგმაზომიერი მუშაობა. მე ჩემს ატელიეში ვსტავდი. დროდადრო პატარა ბარათს ვლებულობდი. — „შეიძლება გნახო წასვლამდე, ან ვიდრე სადმე გახვალ?" — ხანაც დაშიძახებდა ხოლმე უცნობებისაგან გამოგზავნილი საოცარი წერილების „აჩვენებლად, ანდა ახალ წაკითხულ ლექსებს მიკითხავდა, რომლებიც მნიშვნელოვნად მიაჩნდა. უფრო ხშირად თავისებური ხედვით გამორჩეულ ავსტრიელ პოეტებს. ასეთი იყო თრაქლი, ტკივილიანი, მრუმე, ძირითადი ტონებით აღსავსე ლირიკით, რომელმაც ასე მოკლე ხანს იცოცხლა. პრაღელი კაფკა, მისი „მეტამორფოზა" ხმამაღლა წამიკითხა. უდავოა, რომ რილკესა და კაფკას შორის გარკვეული სიახლოვე არსე-

ბობს, რაც ნაწილობრივ მათ პრალულ წარმოშობას უნდა მიეწეროს. ძირძველი პრალა, განსხვავებულ მიმდინარეობათა ცენტრი, განა შეიძლებოდა, რომ მისი (პრალის — ლ. დ.) ხელშეწყობით ყოველივე კითხვის ქვეშ არ დამდგარიყო? ან ეს იჭვნეული გაურკვევლობა, ძლიერ პიროვნებებს რომ თრგუნავს და მათთვის ახალ-ახალი ხილვებისა [illegible] კიდებელი თვალთახედვისა და გამაჯანსაღებელი პროტესტის [illegible] იქცევა ინერტული დოგმების წინააღმდეგ. ინდივიდუუმი დგას მარტოდმარტო, დაუცველი, იდუმალ ფენომენთა პირისპირ, რომელიც შიშისაგან ისედაც შეპყრობილ-განადგურებული პიროვნების სრულ გამსჭვალვას ცდილობს. აი, ასეთები არიან რილკეცა და კაფკაც, ორივენი, მეტყველების დროს, თითქოსდა მხოლოდ თავის თავს ესაუბრებიან, თითქოს არავინ იყოს მათ წინაშე მსმენელი ვინმე. საკუთარ აღმოჩენებს ერთგულად მიდევნებულნი, საკუთარი უდაბური შინაგანობის წიაღ მიმავალ ბილიკებს ეძიებენ. და რაც ყველაზე უფრო გვხიბლავს რილკესა და კაფკას შემოქმედებაში, ეს გახლავთ პირდაპირი და ულმობელი, სრული ობიექტურობით გამორჩეული მზერა, მიმართული საკუთარი პიროვნებისადმი, როგორც ზოგადად არსებული ჩვეულებრივი საგნისადმი — რილკეს ყველაზე მეტად მაინც ვერფელი ხიბლავდა, ეს ზემგრძნობიარე პოეტი, რომლის ნაწარმოებებიც, როგორიცაა „ჩვენ ვართ“ და „სამყაროს მეგობარი“, მისთვის განსაკუთრებით მახლობელი იყო. ვერფელის აღმოჩენა გახდა მიზეზი ახალი ნაწარმოების შექმნისა — „ახალგაზრდა პოეტის შესახებ“. რილკეს ეს ნაწარმოები ისე განსაკუთრებით მიყვარდა, რომ მე მომიძღვნა.

ეჭვს გარეშეა, უდაოდ არსებობს უფრო ღრმა მიზეზები საიმისოდ, რომ სულთმობრძავი ეს ქვეყანა, უამრავ რასათა გზაჯვარედინი, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ნაზავი, გაურკვეველი მიმართულების მქონე ნამდვილი ლაბირინთი, პოეტების საოცარი ლტოლვის ადგილს წარმოადგენდა; ისინი უნივერსალურად თუ არა, განსაკუთრებული ხაზგასმით გამოხატავდნენ ჩვენი, უფსკრულის პირამდე მისული ეპოქის შემაშფოთებელ პრობლემებსა და ცდომილებებს, ეპოქისა, რომელზეც ვალერი იტყვის: „ჩვენმა ჟამმა მოაწია, დროა თავი მოკვდავად შევიგრძნოთ“-ო.

საღამოობით ვსაუბრობდით, ხან ვსეირნობდით, ხანაც თარგმანზე ვმუშაობდით. ხშირად, ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ქვეშ, ჩვენს დიდ ტერასას მივუყვებოდით ხოლმე ზევით-ქვევით. იქვე დავრგე ყვავილები და ორმეტრიანი კაქტუსები, რომლებმაც ყვავილებიც კი გამოიღეს. მართლაც რომ ჯადოსნური ადგილი იყო, რომლის მსგავსიც არსად მოიძებნებოდა. გამაოგნებლად ის ელვარე, საოცარი სიტყვები და მომაჯადოვებელი სახელებიც კმაროდა, უხვად რომ ამკობდა და მოციმციმე წვიმის წვეთებივით რომ ესხურებოდა ადამიანს. მისი აღტაცებული, იშვიათი სიტყვები თითქოს გმოსავდათ, ეს ის სამოსი იყო, რომელსაც მეტ-ნაკლებად თუ მოირგებდი, მე ყოველთვის ლაღად ვერ ვგრძნობდი მათში თავს. ნუთუ მართლა მე მეკუთვნოდა ეს სიტყვები? ასევე ხომ არ ანებივრებდა ვინმეს უწინ ჩემამდე? ანდა მხოლოდ ექოა, ასე ხმასავსედ რომ გაიჟღერა ამ ხანმოკლე სიყვარულისთვის... მაგრამ მე არც მსურს და არც შემიძლია კითხვის ქვეშ დავაყენო მისი იმ წუთისათვის

სრულყოფილი გულწრფელობა, მისი ჭეშმარიტი განცდის აბსოლუტური რეალობა. ის ხომ ასე ხშირად იტყოდა ხოლმე: „ნუთუ ვერა გრძნობ, ისეთი სასწაული, როგორიც ჩვენია, ისეთი სიხარული, რომელსაც ჩვენ გახვიცდით, მხოლოდ ერთხელ შეიძლება მოხდეს ცხოვრებაში, მხოლოდ ერთადერთხელ!"

ჩვენ ამ ბედნიერ მარტოობაში ყველასაგან მოწყვეტილნი სამუდამოდ ვერ დავრჩებოდით. რესტორანში სადილობისას ვხვდებოდით ომის მოვლენებით შეშფოთებულ და (ათასგვარი საქმეებით) დაზაფრულ ადამიანებს. ეს შთაბეჭდილება კარგა ხანს გაგვყვებოდა ხოლმე. მაგონდება ვალტერ რათენაუსთან გატარებული საღამო, რომელიც განსაკუთრებით დამთრგუნველი აღმოჩნდა. რათენაუ მისთვის დამახასიათებელი აღელვებით და მოზღვავებული გრძნობებით ილაშქრებდა ჩვენი ეპოქის წინააღმდეგ, თუმცა იდეალიზმით მისი გატაცების გამო მომავლის იმედს არ კარგავდა. ზოგიერთი რამ მისი მაშინდელი გამონათქვამებიდან შემდგომში მისსავე წიგნში ამოვიკითხე — „მომავლის საგანთა შესახებ". რილკე დიდი სიმპათიით იზიარებდა მის აზრებს. რათენაუს მსგავსი ადამიანები მეტნი რომ აღმოჩენილიყვნენ, იგიც უფრო დიდხანს იცოცხლებდა და ორ მსოფლიო ომს შორის მოქცეული კაცობრიობის ისტორიაც სულ სხვა გზით წარიმართებოდა. ომისშემდგომ პერიოდში მან დიდი ავტორიტეტი მოიპოვა საზღვარგარეთის საზოგადოებრიობაში და მშვიდობისათვის მებრძოლთა შორისაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პიროვნება გახლდათ. მთელი თავისი არსებითა და სულიერებით დიადი საქმეების აღსრულებისათვის იყო მოწოდებული. მე მხოლოდ ძრწოლით შემიძლია გავიხსენო ის ტრაგიკული აღსასრული, ჰიტლერის ფანატიკოსმა წინამორბედებმა რომ მიუზღეს მას და რომლის მომსწრეც ლამის მეც გავხდი. დავალებული მქონდა, ლექსიკონისათვის ისეთი ცნობილი ადამიანების პორტრეტების შექმნა, როგორებიც იყვნენ აინშტაინი და რათენაუ, ამ უკანასკნელთან მოლაპარაკებულიც კი ვიყავი — გრუნევალდის ვილაში უნდა მივსულიყავი სეანსის ჩასატარებლად; შეხვედრამდე ერთი დღით ადრე გრუნევალდში ვსეირნობდი, უეცრად სროლის ხმა რომ მომესმა ხეივნის მეორე ბოლოდან. სროლას გამოქცეული ადამიანების ღრიანცელი მოჰყვა, რომლებმაც გვერდით ჩამიქროლეს და რათენაუს სახელს გაიძახოდნენ. თვალწინ წარმომიდგა მისი კეთილშობილი თავი, სწორედ ისეთი, 1914 წლის იმ საღამოს რომ ვიხილე... ცოტა ხნის შემდეგ რილკე მწერდა მიუზოს ციხე-კოშკიდან: „რათენაუს სიკვდილი, როგორც უმძიმესი დანაკლისი და დროით აღბეჭდილი ნიშანი, შემაძრწუნებელია და წარმოიდგინე სულ თან მდევს".

იმ დღეებში შევხვდით ვილჰელმ ჰერცოგს, ანეტე კოლბს და სხვადასხვა ადამიანებს, რომლებიც აღშფოთებას ვერ მალავდნენ იმ ზარზეიმის გამო, რუსული არმიის მაზურიის ჭაობებში ჩაძირვის გამაოგნებელმა ამბავმა რომ გამოიწვია. ანეტე კოლბს მამა გერმანელი, დედა კი ფრანგი ჰყავდა, ამიტომ ყველგან პაციფისტური მოხსენებებით გამოდიოდა და განსაკუთრებულ ზემოქმედებას ახდენდა მსმენელებზე, ვინაიდან მისი ორად გახლეჩილი გულისტკივილის წრფელი ამოძახილი არავის ტოვებდა გულგრილს.

მაგრამ ყველა როდი აჰყოლია ამ ხმას. თომას მანი, მაგალითად, პატრიოტულმა ტალღამ გაიტაცა და ახლაც ყურში ჩამესმის, მისი ლექციის დროს როგორ გადაულაპარაკა ჰაინრიხმა (იგულისხმება ჰაინრიხ მანი — ლ. დ.) რილკეს „ჩემი ძმა ჩემთან შედარებით უფრო ლოიალური აზრისა არის“-ო.

ვერჰარნისა და სხვათა დახმარებით, როგორღაც, შემოვლითი გზებით მაინც აღწევდა ჩვენამდე ახალი ამბები. პირველად სწორედ მათგან გავიგეთ, თავდაპირველად გერმანიას რომ არ დასხმიან თავს, ამან საოცარი აღშფოთება გამოიწვია ჩვენში, თუმცა იმავდროულად ქმედებისუნარდაკარგულები და სრულიად უმწეონი ვიყავით. ერთ დღეს წერილი მივიღეთ მართესაგან: „ო, რა აურზაურია ატეხილი რეიმსის საკათედრო ტაძრის ტყვიებით დაცხრილვის გამო! განა უფრო ხშირად თუნდაც ერთი ადამიანის გულში უფრო მეტი ტაძარი არ ნადგურდება?! — რილკე წერილის ტონით შეძრული იყო, თუმცა ტაძრის დაცხრილვის ამბავმა მასზედაც იმოქმედა.

საკუთარ შინაგან სამყაროში ჩაღრმავება, რილკესათვის საფუძველთა საფუძველსა და უმნიშვნელოვანეს ფენომენს რომ წარმოადგენდა, ყოველთვის იოლად როდი ხერხდებოდა. იგი, პოლ ვალერისა არ იყოს, ფიქრობდა, რომ — „მოვლენები მხოლოდ და მხოლოდ საგანთა ზედაპირზე მოდებულ ქაფს წარმოადგენენ“.

ერთ საღამოს ნორბერთ ფონ ჰელინგრატის მოხსენებას ვესწრებოდით, რომელმაც ის-ის იყო ჰოლდერლინის ბრწყინვალე გამოცემა გამოაქვეყნა და მოხსენებაც მასვე მიუძღვნა. იგი ამ თემით იმდენად იყო შეპყრობილი, რომ უნებლიეთ უცნაური ფიქრი აგვეკვიატა, თითქოს ეს არაჩვეულებრივი მოაზროვნე თვით ახალგაზრდა ჰოლდერლინის განსახიერებას წარმოადგენდა. რილკეს მაშინდელი ლექციების ცენტრალური თემაც სწორედ ჰოლდერლინის შემოქმედებასა და ცხოვრებას ეხებოდა და მისი ნაწარმოებებიდან ნაწყვეტებს ხშირად მიკითხავდა ხოლმე ხმამაღლა. ჯერ კიდევ ირშენჰაუზენში ყოფნისას რილკემ ბრწყინვალე ლექსიც კი მიუძღვნა მას. პოეტის ღრმად დრამატული, თუმცა ბერძნული სიმკაცრით დაღდასმული რიტმების დენადობა რილკეზე ძლიერ ზემოქმედებას ახდენდა, ასევე მაღალ შეფასებას აძლევდა იგი ჰოლდერლინის პოეზიის თემატიკასაც. ჰელინგრატის პიროვნებამ და მისმა მოხსენებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა რილკეზე. მე კი შეკვეთა მივიღე და თავს ბედნიერად მივიჩნევდი, რომ ჰელინგრატის პორტრეტი უნდა შემესრულებინა, ვინაიდან მისი მოხდენილად მოყვანილი თავი, გერმანიკული რასის ნაშიერისა და კონსტანტინეპოლის ერთერთი იმპერატორის სახეს მაგონებდა და ძალიან მომწონდა, დახრილი მუქი წარბებით მოჩრდილული, უძიროდ ლურჯი თვალები, მის სახეს აზიურ იერს აძლევდა (დედა წარმოშობით თავადი იყო, გვარად კანტაკუცენა).

მის პორტრეტზე მუშაობისას უეცრად მძიმე, დამთრგუნველი გრძნობა დამეუფლა, რაღაც გაურკვეველი შეგრძნება, თითქოს ამ ღრმა სულიერებით აღბეჭდილ არსებას, მის სისხლსავსე ახალგაზრდობას, ბედისწერა ემუქრებოდა... ცოტა ხანში ეს წინათგრძნობა გამართლდა კიდეც. ომში გაიწვიეს თუ არა, დაიღუპა. ალბათ ჩემი წინათგრძნობა ნა-

სატშიაც გადაიღვარა, რადგან დედამისს, რომელსაც ასე უნდოდა შვილის პორტრეტი ჰქონოდა, სურათის შეხედვაც კი უძძიმდა მისი შვილის ომში წასვლის შემდეგ.

ამ სიკვდილმა რილკეს თავზარი დასცა. „ხედავ“ — მეუბნებოდა იგი — მე რომ ასე ბედნიერი არ ვიყო შენთან ყოფნით, მთლიანად ამ გარდაცვლილებთან ვიქნებოდი სულიერად და იძულებული გავხდებოდი მათი თანამდევი ვყოფილიყავი, როგორც უწინ „რეკვიემში“, ახლა კი მაგისათვის მზად არა ვარ“. — შემდეგ პაულა მოდერზონ-ბეკერის სიკვდილი გაიხსენა, — „რა ვქნა, როგორ მოვიქცე?“ — ვკითხე მე. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ვეება სიმძიმის ქვეშ ვიყავი მოყოლილი, უზარმაზარ პასუხისმგებლობას ლამის გავესრისე! მაშინდელია ეს ლექსიც, თუმცა ჩემთვის არ მოუძღვნია:

მინდა ანგელოსს ვუხმობდე ღამით,
თუ შეიწყნარა თვალები ჩემი.
ეკითხა ეგებ: თუ სჭვრეტო ედემს?
მე კი მიმეგო: იწვის ედემი.

მე მინდა მისკენ ვიბრუნო პირი
ჯიქურ, ვით იმან, ვის არა სურს რა,
ცხოვრება იცან? — მეტყოდეს იგი,
მე კი მიმეგო: ცხოვრება გვმუსრავს.

თუ მიაგნებდა სიხარულს ჩემში,
მის სულში ზეობს მარად რომელიც
და აეტაცნა ანაზდად ხელში
მე კი მიმეგო: ხარობს ცდომილი.

ამ ლექსმა ერთი სხვა ლექსი მომაგონა, თავდაპირველად ელეგიების დასაწყისი რომ უნდა ყოფილიყო. იგი ჩემს პატარა წიგნაკში ჩამიწერა, თუმცა შედარებით უფრო ადრე, ჩვენს შეხვედრამდე ჰქონდა დაწერილი:

ვარ განდეგილი გულის მწვერვალზე. გახედე, იქით
რა მცირედ მოსჩანს;
სიტყვათა ბოლო სანახები, უფრო მაღლა კი,
მთლად ერთი ციდა, — გრძნობის სულ ბოლო
კარ-მიდამოა. იცანი განა?
განდეგილი გულის მწვერვალზე. ქვანიადაგი
იგრძნეს ხელებმა. აქ მადლიანად ჰყვავის
ზოგი რამ; უხმო ვარდნიდან აღმოცენდება
სიმღერა-სიმღერით ხე უმეცარი.
მაგრამ ვინც უწყის? ო, ვინც წვდომა იწყო ცოდნისა,
იგი დუმს ახლა, განდეგილი გულის მწვერვალზე.
აქ ლაღად დაძრწის, განწმენდილი ცნობიერებით,
მავანი იგი, სვლათამამი ნადირი მთისა;

იცვლის სახეს და შეყოვნდება. და სვედაცული დიდი
ფრინველი
წმინდა უარის მალალ მწვერვალს თავს დასტრიალებს,
თუმც დაუცველი, აქ, ეული, გულის მწვერვალზე.

ეს იყო მარტოეული და შემაძრწუნებელი სიდიადე, ამ გრანდიოზულმა ლექსმა თავისი გაგრძელება ჰპოვა ჩემდამი მოძღვნილ შემდეგ ლექსში:

განდეგილს, გულის ქიმზე მორკინალს,
კვლავ მიეახლა ველთა სურნელი
და ამოსუნთქვა უკანასკნელი
შესვა, ვით ლამე სვამს ქარებს, ბნელი.
იდგა და სვამდა, სვამდა იმ სურნელს,
კვლავ მუხლთ იყრიდა, როგორც მლოცველი.

ზეგარდმო ქვიან მის შემოგარენს
ცის უსუნთქველი განერთხა ველი.
ვარსკვლავნი აღარ მკიან სისავსეს
ადამიანთა რომ ზიდავს ხელი,
მსჭვალავენ უბრად მოტირალ სახეს
ვით მიეთ-მოეთს ამვლელ-ჩამვლელი.

თუკი დათრგუნულს ან ჩაფიქრებულს დამინახავდა, შეშფოთებას ვერ მალავდა ხოლმე: „რა ბედნიერი იქნებოდა ნებისმიერი სხვა ჩემს ადგილას“, — ამბობდა იგი, — „მხოლოდ მე არ ვიცი არასოდეს, მაქვს თუ არა ბედნიერების უფლება. რამდენ რასმე მაჩუქებ ხოლმე, რა მადლობელი ვარ შენი! შენ ბევრად უფრო მეტი რამ შემმატე, ვიდრე წარმომედგინა, მაგრამ ჩემთვის აუტანელი იქნებოდა, შენთვის თუნდაც წამიერად შემეშალა ხელი“.

ᲑᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲛᲐᲜᲣᲒᲔᲨᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲤᲐᲥᲘᲖᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲬᲘᲒᲜᲐᲙᲘᲓᲐᲜ ᲔᲠᲗᲘ ᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲘ ᲬᲐᲛᲘᲙᲘᲗᲮᲐ, ᲩᲕᲔᲜᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲛᲓᲔ ᲪᲝᲢᲐ ᲮᲜᲘᲗ ᲐᲓᲠᲔ ᲠᲝᲛ ᲩᲐᲣᲬᲔᲠᲘᲐ; ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲓᲐᲛᲘᲬᲔᲠᲐ ᲙᲘᲓᲔᲪ:

„რამდენი დრო დასჭირდა მას, თავისი უძველესი, საბედისწერო შეცდომა რომ გაეცნობიერებინა: სიყვარული, მასთან შეხებისას რომ იფერფლებოდა, პირად საქმედ რომ მიაჩნდა, თუმცა სინამდვილეში მეტად შორეული, ალბათ არც არაფრის მაუწყებელი იყო მისთვის, ისევე ინდიფერენტული რამ, როგორც უცხო ადამიანის კბილის ტკივილია და მაინც საოცარია, რად გრძნობდა თავს მოვალედ, ეთამაშნა კბილის მკურნალის როლი? ნაცვლად იმისა, რომ უბრალოდ არც კი ჩაღრმავებოდა, არაფერი სცოდნოდა მის შესახებ. რა დიდებული სიწმინდე იქნებოდა მისი ბუნებისა — არ მიმხვდარიყო, რომ სხვებს უყვარდათ, უბრალოდ არ გაეცნობიერებინა, რა ხდებოდა. მას კი თავს დაატყდა გამვლელთა მისკენ მიპყრობილი, შესაძლო მოწიწების გავლენა, ასე რომ აღაგზნებდა, იტაცებდა და აცდუნებდა კიდეც. საბოლოოდ კი მის სიმტკიცესა და შეუვალობას განაპირობებდა უამრავი მისი მგულისხმე-

ბელი, მასზედ დამოკიდებული აურიდებელი, ნახევრად გაცემული გრძნობების ძალმოსილება. ყველა დინება ერთად მოაწყდა და ვერავითარი ძალით, ვერავითარი ხერხით ვერ შესძლო შეწინააღმდეგებოდა ამ მოზღვავებას. მიჯნურნი ყოველი მხრიდან შემოეჯარნენ და მოიმწყვდიეს რკალში. იგი თითქოს ღმერთის მდგომარეობას ეზიარებდა, რომელსაც სხვა გამოსავალი აღარ დარჩენოდა საშყაროს ესოდენ აღვსების გამო — გარდა შვეული მიმართულებისა: ეს კი — ან ჯოჯოხეთს შთანთქმას, ან ცად ამაღლებას გულისხმობდა. სწორედ აქედან იღებდა სათავეს მისი გამოცდილება — მკვდრად ყოფნისა, მისთვის ხომ ყველაფერი ადამიანური მოკვეთილიყო, მაშინ როცა ღვთიურისათვის ძალა აღარ ჰყოფნიდა.

ყვავილები თუ მიჰქონდათ მასთან, ზედმეტი, მეტისმეტად მძიმე, მოჭარბებული ყვავილები, სამარედ ქცევას ნატრულობდა, მათი ზრუნვა-მოვლით რომ არ შეწუხებულიყო. და ისინიც მოდიოდნენ მასთან, როგორც სამარესთან, უმწეო საფლავთან, ასე ურცხვად რომ აძლევდა ყველას დაყვავებისა და მსხვერპლის გაღების უფლებას. განა საკუთარი ცხოვრების განვლილი წლები ისე გაატარა, რომ სიმტკიცე აკლდა? ახლა კი, ოცდათვრამეტი წლის ასაკში მიიღო გადაწყვეტილება — განმტკიცებულიყო. უნდა გარდავიქმნე, ამბობდა იგი, გარდაქმნაა საჭირო. სწორედ იმ დროს, როცა მთელი თავისი სულითა და ხორცით განუზომელად ესწრაფვოდა სიყვარულს, ტკივილით სჭვრეტდა, რომ მის სიყვარულის საგანს ვერა და ვერ იპოვიდა, ვიდრე გულისხმიერი და დამყოლი იქნებოდა იმათ მიმართ, ვინც სიყვარულს სთავაზობდა. სახეები, მის გარშემო რომ ირეოდნენ, ასე დაუფარავად, ხედვას უმრუდებდნენ, უცხო მეტრფის მორცხვი, მიმქრალი სახე რომ ვერ შეემჩნია. მათი მკვეთრი გამოხატულება გადაფარავდა და ხელს უშლიდა ხოლმე საოცნებო ნაკვთების წარმოჩენას. და იგი შეიშალა. იდგა გზის პირას და აღარაფერი იცოდა. ელოდა და ველარ სცნობდა მას, ოცნებაც აღარ შეეძლო: მისი მომავალი განზე დარჩენილიყო.

„აი, ასეთ დღეში ვიყავი, სანამ შენ გიპოვიდი. მაგრამ ახლა კი მივხვდი, რომ ყველაფერი შეიცვლება, სრულიად განახლდება“, — მითხრა მან.

როგორ ეხერხებოდა ნდობის გამომწვევი სინაზით დაეყუჩებინა შეშფოთების პირველივე გამოვლინება. რა სითბოთი იღებდა ჩემს შემოქმედებით მუშაობაში მონაწილეობას. „შენ იმისათვის ხარ მოწოდებული, რომ დიდი ზომის ჯგუფური პორტრეტები ხატო, ოჯახთა მრავალი თაობები უნდა წარმოაჩინო, მათთვის დამახასიათებელი იდუმალი ურთიერთკავშირებითო“, — მეუბნებოდა. იმხანად ეს მართლაც ერთ-ერთი ჩემი ნატვრათაგანი იყო. იგი მოდერნისტულ მხატვრობაში საფუძვლიანად გარკვევას ცდილობდა. გამოფენებზე დავყვებოდი და ჩემს პარიზულ გამოცდილებას ვუზიარებდი, ვესაუბრებოდი კუბისტების შესახებ, რომელთა ზეგავლენას განვიცდიდი.

მახსენდება, ვაისგერბერის „აბესალომის“ წინ შევჩერდით, მისი დაუოკებელი ლტოლვა „ახალი ლექსების“ აბესალომს მოგაგონებდათ, რაც რილკემაც სიხარულით დამიდასტურა.

ერთხელაც ასეთი რამ მოხდა, შუაღამისას უეცრად გამეღვიძა: ვხედავ რილკეს, დგას ჩემს პირისპირ, სავსე მთვარის სხივდაკრული, თითქმის გამჭვირვალე ვჩურჩულებ..., ახლოს არ მომეკარო, ხმა არ გამცე... წამოვდექი და ვმღერივარ, მთელი ღამე ვმღეროდი მელოდიას, რომლის მსგავსიც არასოდეს მსმენია. კაშკაშით მოიწევდა საფეხურ-საფეხურ, ოდნავ დაგუდული, უსასრულოდ წმინდა, საზეიმო-დიადშეხმგვრელ ბგერათა ელერადობა, თანდათან ღრმავდებოდა და ბოლოს სიჩუმედ გაინილეოდა — ამქვეყნიურს არ ჰგავდა. ეს სიყვარულისა და სიკვდილის მელოდია იყო. სიზმრად მომევლინა, ზეციური მადლის ღირსი გავხდი, რადგან მუსიკა არასოდეს შემითხზავს. ყოველივე ეს ჩემს მიერ ადრე გაგონილსა თუ განცდილზე უფრო მშვენიერი, უცხოდ სახიერი, სულში ჩამწვდომი და მძაფრად შიშნეული მისტერიულობით დამუხტული მეჩვენებოდა. რილკეც ჩემსავით შესძრა სიზმარმა და მუხლებზე დაეცა. მართლაც საოცარი იყო, რომ იგი დროულად გამოჩნდა, თორემ სხვა შემთხვევაში ჩემი სიზმარი გაგრძელდებოდა და ისე უკვალოდ გაქრებოდა, რომ ვერავინ ვერაფერს გაიგებდა. „ო, აუცილებლად უნდა ჩავიწეროთ", — წამოიძახა რილკემ. — „რომ არ ვიცი მუსიკის ჩაწერა?!" — „არც არავინ იცი, ვინც შესძლებდა?" — „ჰო, მართლა, ჩემი მეგობარი ხომ მუსიკოსია".

რილკემ დილიდანვე მოძებნა იგი. მის მოსვლას რომ ველოდით, მოულოდნელი რამ მოხდა — რილკემ ერთი ლექსი წაიკითხა გოეთეს „პანდორადან", — რომელიც ჩემი მელოდიის რიტმის საპირისპირო აღმოჩნდა: — „ჰოი, ღმერთებო, ყველაფერი უსასრულოა, ბედნიერება ჩვენი ოდენ რად არს სასრული".

„გამისხლტა, დამეკარგა ჩემი მელოდია!" — წამოვიძახე. ვერავითარი ძალით ველარ გამოვიხმე, აღარაფერმა აღარ გამახსენა, თითქოს ძველეგვიპტური რელიეფის ხაზი ყოფილიყოს, რომელიც ერთნაირი იდუმალებით იტევდა ყველა მისტერიას. იმ წუთებში ჩემს ყველა ნახატს დაუფიქრებლად გავცემდი, ოღონდ ის ზმანებული მელოდია გამხსენებოდა. ჩვენს მეგობარს იმედგაცრუებულნი დავხვდით. „ის მელოდია ალბათ ჩემი სიკვდილის ჟამს თუ მომაკითხავს ისევ", — ვთქვი მე. — „ეჭვიც არ მეპარება", — მიპასუხა რილკემ. — „მაშინ მეც აღარ ვიქნები ამქვეყნად". როგორ ფერმკრთალდება ასეთი ამბები მოყოლისას.

უეცრად მოულოდნელი სიძნელეები წამოიჭრა: — განქორწინების საჩივარი. როგორ უნდა ჩაფლულიყო რილკე იურიდიულ საქმეებში! მხოლოდ ამის გაფიქრებაც კი მზარავდა და ყოვლად აუტანლად მეჩვენებოდა. „ჩვენ უნდა დავცილდეთ", — ვთქვი მე, რილკე კი შემეპასუხა: „მე ლუ ანდრეას-სალომეს ვთხოვ ჩამოვიდეს, მისი სახით მეგობარს შეიძენ, შეიძლება დედასაც კი და აი, ნახავ, ყველაფერი მოწესრიგდება". ლუმ თანხმობით გვიპასუხა. ჩვენს ამ ბედნიერ დღეებს პირველი ჩრდილი დაეცა, თუმცა მე მაინც იმედითა და სიხარულით ველოდი ლუს ჩამოსვლას, რილკეს ხომ უამრავი რამ ჰქონდა მის შესახებ ნაამბობი, და რაოდენ დიდი იყო ჩემი განცვიფრება, როცა მის ჩამოსვლასთან ერთად, ჩვენს მშვიდსა და მყუდრო ცხოვრებაში გარე მოვლენების ნამდვილი გრიგალი შემოიჭრა. ლუს ჩვეულებად ჰქონდა, პატარა საუნივერსიტეტო ქ. გიოტინგენში მთელი წლის მუშაობის შემდგომ (მისი

ქმარიც იმავე უნივერსიტეტში აღმოსავლური ენების კათედრას უძღვებოდა), შეედგინა იმ პიროვნებათა ნუსხა, რომელთა გაცნობაც მნიშვნელოვნად და გადაუდებლად მიაჩნდა. ჩამოვიდოდა თუ არა დიდ ქალაქში, ზოგიერთ იმათგანს ლამის სადგურიდან უკავშირდებოდა ხოლმე.

ლუს ჩამოსვლისთანავე ჩვენი დღეები მისეული პროგრამებით მთლიანად დაკავებული აღმოჩნდა: დილით — სპირიტისტთა თათბირს ესწრებოდა, შუადღეს — ისტორიკოსები ან ასტრონომები, საღამოს კი — ფსიქოანალიტიკოსები, მწერლები ან ექიმები უნდა ენახა. ცალცალკე ეს შეხვედრები უთუოდ საინტერესო იქნებოდა, მაგრამ ეს დაუოკებელი პოპური თავბრუს მახვევდა. ამას ისიც ემატებოდა, რომ უამრავ მიწვევებსა და გაუთავებელი სეირნობების თანამგზავრად რილკესაც გაიყოლებდა ხოლმე, რის გამოც ამ უკანასკნელსაც სუნთქვა ეკვროდა. ასე იყო თუ ისე, ჩვენი სიმშვიდე უკვალოდ გამქრალიყო, რადგან ლუც და მისი ძაღლი დრუჟოკიც ყოველ კუთხე-კუნჭულს ხმაურითა და მოუსვენრობით ავსებდნენ. იგი, გამჭრიახი გონებისა და ძლიერი ტემპერამენტის პატრონი, მიუხედავად ესოდენ ძლიერად გამოხატული მგრძნობიარობისა, მაინც ცხოვრებისეული საღი გონებით მოქმედი პიროვნების შთაბეჭდილებას ტოვებდა. თუ მხედველობაში მივიღებთ მასთან ურთიერთობაში მყოფ საოცრად განსხვავებულ პიროვნებებს და მისთვის დამახასიათებელ რეაქციებს, ხშირად მიჩნდებოდა კითხვა, რა უნდა ყოფილიყო ამ ხანგრძლივი მეგობრობის ნამდვილი, სიღრმისეული საფუძველი. რუსი ქალის სიცოცხლისუნარიანობა, მიწიერი ძალა, ინტელექტუალობის მიუხედავად რომ ღვიოდა მასში, უსათუოდ ახდენდა რილკეზე გავლენას. ლუ ის ადამიანი იყო, მას ნამიან ბალახში ფეხშიშველი სიარული რომ ურჩია, — რაც მნიშვნელოვან მოვლენად იქცა — ძირძველი ნერვიული ცივილიზაციის გაუკულმართებულად აღზრდილი პირმშოსათვის: რილკეს მიაჩნდა, რომ ამგვარად იგი ბუნების წიაღს უბრუნდებოდა. თითქოს ბალახთან შეხებით მიწის მარეგულირებელ ძალას იწოვდა. სხვა რომელიმე ნაკლებად მგრძნობიარე არსებაზე ეს უბრალო პროცესი ესოდენ ძლიერ ზემოქმედებას არც მოახდენდა. მეორეს მხრივ, მე კარგად მესმოდა, რომ ლუს მდიდარი გამოცდილება ახალგაზრდა რილკეზე ძლიერ გავლენას ახდენდა, რომ მას ლუს ტემპერამენტი იზიდავდა და აღაფრთოვანებდა ის საოცარი დამაჯერებლობით აღბეჭდილი საუბრები, თვით ყველაზე უფრო ძნელად გადასაჭრელ დელიკატურ საკითხებს რომ ეხებოდა (რაც ასე მგონია, უფრო მის განსაკუთრებულ შეხედულებებს თუ მიეწერებოდა). უწინარეს ყოვლისა ფაქტი ფაქტად რჩებოდა — რუსეთში მოგზაურობის შთაბეჭდილებები და ლუს პიროვნება ერთურთს შერწყმოდა და ურღვევ კავშირად ჩამოყალიბებულიყო. მის შეხედულებებს ზოგადად ადამიანის შესახებ მისტიურობის ნიშან-წყალიც არ ეტყობოდა; იგი რილკეს პიროვნებაში, თავისი მოძღვრის ფროიდისა არ იყოს, ანალიზს სავსებით დაქვემდებარებულ არსებას ხედავდა, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, მან ამ ანალიზს ლამის თავი შესწირა და ასე განსაჯეთ, რილკეს „ანგელოსი“ ავადმყოფური, არაჯანსაღი წარმოსახვის საგნად მიიჩნია, განა ეს წმინდაწყლის გაუგებრობა არ არის?

უცნაურია, საკმარისი იყო ცხოვრებას რილკე რაიმე გადაწყვეტილების მიღების წინაშე დაეყენებინა, რომ იგი მაშინვე დედობრივი მზრუნველობით ანთებულ ქალებს მიუბრუნდებოდა, რადგან ჩვეულებრივი ცხოვრებისეული პრობლემები, სხვისთვის თავისთავად გასაგები და იოლად გადასაწყვეტი რომ იყო, გადაულახავ წინაღობად ეჩვენებოდა ხოლმე მის წინაშე და ხშირად პოეტის სულიერი ცხოვრების ძირეულ შერყევას იწვევდა. რილკეს მიწერილ წერილებსა და საუბრებში მისი მფარველი ქალბატონებისადმი მრავალი რამ ილექებოდა მისი ცხოვრების მანძილზე განცდილისა და ნაგრძნობისაგან. იგი მდგრად არსებობასა და ურთიერთობებში მკვიდრ საყრდენ წერტილს საჭიროებდა, ალბათ, იმ თავბრუდამხვევი ფრენისას, ჯოჯოხეთურ ლაბირინთებში რომ უსდებოდა. უნდა ვიფიქროთ, რომ თვით სასიყვარულო ურთიერთობებშიც კი ერთი და იგივე სიყვარული გამოსჭვივის, ლამის მის დაბნეულობას რომ იწვევს და ზეიმობს, რათა სხვის ცხოვრებას დაუკავშირდეს მისივე (სიყვარულის — ლ. დ.) მეოხებით? განა ისევ და ისევ საკუთარი პიროვნების პროეცირებას არ განიცდის იგი, როცა მისი სრულიად განსაკუთრებული და უჩვეულო მდგომარეობა დროდადრო „horor vacui"-ის მსგავს მოვლენებს იწვევდა მასში. ყოველივე ამას, მძაფრად გამოხატავს ლექსში, მე რომ მომიძღვნა და შემდეგ კი „ახალ ლექსებშიც" შეიტანა:

ლულუს

ხედავ არა ვარ, და ვიყო თუნდაც,
ვემკვიდრებოდი ლექსის შუაგულს;
ზუსტი, ნამდვილი, ვინც სათუოს და
ნაკლულ ცხოვრებას ვერ ეგუება.

არა ვარ ხედავ. სუფევენ სხვანი;
როს თავს ხრიან ერთი სურვილით
ბრმად, გულმავიწყი ნდომა-წყურვილით, —
დავისადგურებ ჩუმად, ურვილი
ცარიელ ძაღლსა და სავსე ყრმაში.

თუ გავბრწყინდები ღრმად მათ წიაღში,
ჭეშმარიტ სახეს ვასხივებ მათგან,
მაგრამ ქრებიან უეცრად, რადგან
არ ვარ (ძვირფასო, რომ ვიყო მაშინ —)
რაინერი

(რილკესათვის ძაღლი საკუთრივ სუბსტანციაში დაცარიელებულია იმის გამო, რომ დღენიადაგ ადამიანს შეჰყურებს თვალებში და ასე ცხოვრობს, მაშინ, როცა „სავსე ყრმა" თავს ინახავს საკუთარ, აღვსილსა და მოსაზღვრულ სამყაროში).

ლუ ანდრეას სალომეს, მისივე დაუდეგარი სიცოცხლისუნარიანობის წყალობით, მიუხედავად წლოვანებისა და საკუთარ გარეგნობაზე ნა-

კლებად ზრუნვისა (მუდამ ნაცრისფერ „ჯვალო“ კაბებში დადიოდა „რეფორმკლაიდერ“-ს რომ უწოდებდნენ), გრძნობამორეული თაყვანისმცემლები არასოდეს აკლდა. ერთ-ერთი მათგანი თვალწინ მიდგას, ლუს წამოცდენილმა სიტყვამ თვალზე ცრემლი რომ მოჰგვარა და აღელვებისაგან მონოკლი რომ დაუვარდა ძირს. ერთ სალამოს ჩვენ, ლუსა და ფსიქოანალიტიკოს ბარონ G-სთან ერთად, ოდეონ-ბარში ვისხედით; გაცხოველებული საუბრისას ჩემი ყურადღება სამმა წყვილმა თვალმა მიიპყრო და მომხიბლა — განუმეორებელად მშვენიერმა თვალებმა: რილკეს თვალები — სული მარტოოდენ, იისფრად დაბინდულიყვნენ, მის თვალებს საოცარი უნარი გააჩნდათ, უეცრად შეეცვალათ ელფერი და ღრმა ბრწყინვალებიდან ფერმკრთალ ოპალისფერად შეფერილიყვნენ, ბარონ G-ს თვალები ციმციმებდნენ და წმინდა ინტელიგენტური გამოსხივებიდან გამჭოლ ცისფერში გადადიოდნენ, ლუს კი დიდებული ვეფხისებური მზერა შვენოდა. მე აუწერელმა სიამაყემ მომიცვა, რადგან ამ მართლაც დიდებულ შუქს ადამიანთა თვალები ასხივებდნენ.

რილკე, ადვილი მისახვედრია, რომ საკუთარი პიროვნების მიმართ ყოველგვარი ფსიქოანალიზის წინააღმდეგი იყო, თუმცა ამასთანავე, ლუსთან ხანგრძლივი კონტაქტის გამო, როგორც ჩანს, თანდათან უახლოვდებოდა ამ უკანასკნელის მოსაზრებებს სულიერად, თუ, რა თქმა უნდა, ეს მოსაზრებები ზოგიერთი ბერძნული მითისა თუ ტრაგედიიდან არ იყო მისთვის ცნობილი. მესამე ელეგია ზემოთქმულის უდაო დასტურად გვევლინება. ფსიქოანალიზის სხვადასხვა მომენტები ამ ერთ-ერთ უძლიერეს ელეგიაშია თავმოყრილი და სუბლიმირებული:

... და გამოჰყვა საკუთარ ფესვებს, ძლევამოსილ პირველსაწყისში,
სადაც ნამცეცა დაბადება რა ხანია განვლილი ჰქონდა,
ის სიყვარულით ჩამოეშვა უფრო ძველ სისხლში, იმ უფსკრულებში,
სად შემაზრზენი გაწოლილიყო, გამაძღარი მამათა ლეშით.
და ყოველი საშინელება იცნობდა მას და თვალს უკრავდა როგორც
შეთქმული.

დიახ, მზარავი ელიმებოდა...
რა იშვიათად-გაგლიმებია, შენ დედაო, მსგავსი სინაზით,
და ან კი როგორ არ ჰყვარებოდა, როცა მზარავი მას ულიმოდა.
ყრმას შენამდე უყვარდა იგი, რადგან ადრევე,
უკვე შენში დავანებული, ყრმა იმ სითხეში იყო გაქნილი,
ამსუბუქებს რაიც ჩანასახს.
ხედავ, ერთმანეთს როდი ვყვარობთ, ვითა ყვავილნი
მარტოოდენ ერთი წლის ვადით: და როცა გვიყვარს,
უხსოვარ დროის ჩამონაჟურით იჟღინთება მკვლავები ჩვენი,
ო, ქალწულებო, იცოდეთ ერთი: რომ ჩვენ ჩვენს თავში
მერმისის ერთი პირმშო კი არა,
არამედ უზღვავ-უთვალავი, აზავთებული არსება გვიყვარს,
მხოლოდ ერთი ბავშვი კი არა, არამედ ჩვენი მამა-პაპანი,

რომელნიც მთათა ნალეწივით ჩვენს საძირკველში გარინდებულან,
არამედ მშრალი კალაპოტი ოდით დედათა; —
არამედ ვრცელი სანახები, ქუფრ ან ანკარა ბედისწერის ნაგებ
მოქცეული; —

მარტოობის აუცილებლობა ვიგრძენი, მინდოდა ისევ შთაბეჭდილებები მომეწესრიგებინა, ასე მრავლად რომ დამესხნენ თავს, და თან ჩვენი სტუმრის ჩამოსვლით გაჩენილ ფორიაქს გავცლოდი. ასე რომ, ისევ მომიხდა ირშენჰაუზენში ასვლა; ბუნების წიაღში ვეძებდი სიმშვიდეს. ვიცოდი, რილკე რომ დაკავებული იყო და ორი კვირა დავყავი იქ. დავბრუნდი თუ არა, ლუც გაემგზავრა და საშუალება მომეცა, ისევ შევდგომოდი ძუშაობას, თითქოს თავიდან ვიპოვეთ ერთმანეთი. ფიქრიც კი არ მინდოდა არაფერზე. საოცარი მუსიკა იღვრებოდა ყოველი ჟესტიდან და ასე გრძელდებოდა მთელი დღის მანძილზე, თუმცა რილკეს არსებისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობანი, სულ თან რომ ახლდნენ მას, მაინც იჩენდნენ ხოლმე თავს, რაც მაშინ ჩემდამი მოძღვნილ ერთ დიდ ლექსში ვიგრძენი კიდეც:

ვიცოდი, ხედავ რომ არსებობენ
ისეთნი, ვისაც არ ეხერხება
ძეკაცთა შორის სვლა თანხმიერი;
არამედ მათთვის უპირველესი
იყო აღმასვლა, უეცრად
სუნთქვაშეკრულ ზეცაზე.
მერმისი მათი — ფრენა მარადი
ათასწლოვანი ტრფიალის გზებზე.

ვიდრე ღიმილი გაუკრთებოდათ
სტიროდნენ უკვე სიხარულისგან
ტირილის ჟამს კი, ისევ უსწრებდა
სიხარულის მარადისობა.

ნუ მკითხავ, რახანს
გააჩნდათ გრძნობა; ან რახანს
იყვნენ ისევ ხილულნი? რადგან,
შინაგან სანახთა თავზე,
გამოუთქმელ ცათა თაღები
უხილავია და იდუმალი.

ბედი კი სხვაა, მერელა უფრო
ჩანან ძეკაცნი. დგანან ვით ციხე —
სიმაგრეები და ინგრევიან.
მეტრფეები კი საკუთარი რღვევის ფასად
წინამორბედნი არიან მარად; რადგან არ არის
მარადისისგან გამოსავალი. აღტკინებაზე ვინ
იტყვის უარს?

შეუდარებელი ინტენსიურობით დატვირთული დღეები გვედგა. ყოველი დილა ისე გვეგებებოდა, თითქოს რაღაც გველოდა, რაღაც ახალი იწყებოდა, ალსავსე იმედითა და სიხარულით.

უსახელო, განუსაზღვრელ სივრცეს თანდათანობით შევეჩვიეთ და თითქოს საკუთარ სახლში გვეგულებოდა თავი. მე ჩემი ავეჯი გამოვგზავნინე. ერთი ძალიან ლამაზი ხალიჩა რილკეს ალტაცებს საგნად იქცა. — „ისეთია, თითქოს იმპერატორად კურთხევისას ეგო ნაპოლეონს ფეხსთითო“ — ამბობდა. ხშირად უყვარდა ამ ხალიჩაზე გავლა-გამოვლა, თანაც საამისოდ შესაფერისი სამოსიც უნდა სცმოდა. რა ბაგშეური იყო ხანდახან!

მისი გამორჩეული იუმორი, გასაოცარი ასოციაციები, შედარებათა სიზუსტე და თამაშ-თამაშა სილაღე, დროდადრო მოულოდნელ გადამდებ სიხალისად გადაექცეოდა ხოლმე, იმდენად, რომ სიცილისაგან გაგუდულები ბავშვებივით ხალიჩაზე ვეყარეთ. მისგან ყველანაირი სიურპრიზი იყო მოსალოდნელი..

ერთხელაც, რომელიღაც წერილით გაგულისებული დასწვდა ლარნაკს და დიდი ძალით დაანარცხა ძირს. მისმა ამ ქმედებამ და მოულოდნელმა თავშეუკავებლობამ ჩემი უნებური სიცილი გამოიწვია, რაც მაშინვე მასაც გადაედო. ამგვარ წვრილმანებში მუდამ მთელი სულითა და გულით იცოდა აყოლა.

ერთ დღეს მკერავთან დავაპირე წასვლა კაბის მოსაზომებლად, რილკემაც ჩვეულებისამებრ გამოთქვა სურვილი წამომყოლოდა. „არ არის საჭირო“, — ვუთხარი მე, — „ძალიან გთხოვ, ნუ წამოხვალ. შენი დრო მეტისმეტად ფასეულია და ნამდვილად წამმწარდება, ჩემთვის თუ გაფლანგავ-მეთქი“. — „ჰო, რა თქმა უნდა, მართალია“, — დამეთანხმა იგი. საკმარისი იყო სახლიდან გავსულიყავი, რომ ვაგონში ამომაყალს მოვკარი თვალი. — „იცი რა, აუცილებლად უნდა ვნახო, იშოვება თუ არა შესაფერისი ღილები შენი სირმიანი საყელოსათვის და... თანაც მოთმინება არ მყოფნის, მინდა გნახო ღამითა და ოქროთი ნაქსოვ კაბაში“. გამეცინა: — „მართლაც გამოუსწორებელი ხარ!“ — ჩემს განებივრებაზე ვერაფრით ვეუბნებოდი უარს. ყოველგვარი წინასწარგანზრახულობის გარეშე ათასი მომხიბლავი ჟესტით დაიხარჯებოდა ხოლმე. მაგალითად, წესად შემოიღო და ლამის კულტად აქცია ჩემთვის მოემზადებინა ყველაფერი, რაც შეიძლებოდა ღამით დამჭირვებოდა, იქნებოდა ეს სასმელი, საკითხავი თუ სხვა რამ. მახსენდება ლექსი:

> თუ შეგელიე ოდესმე, ნუთუ
> მოგეპარება უჩემოდ რული,
> თუ ვერ გაგენდო ჩემი ჩურჩული,
> არ შემოგევლო, ვით ცაცხვის სუნთქვა?

თვითონაც ბავშვივით ახარებდა ყურადღების სულ უბრალო გამოვლინებაც კი. თეთრი უხეში ძაფით ნაქსოვი გრძელი ხიტონი, რომელშიაც ბერს ჩამოჰგავდა და ღია ფანჯარასთან ძილი რომ შეეძლო, ან აბრეშუმს შავი ხალათი, დღისით რომ ატარებდა და საოცრად მოს-

წონდა, რადგან პატივმოყვარეობა ხანდახან მაინც გადასძლევდა ხოლმე. წარმოიდგინეთ, იმასაც კი აქცევდა ყურადღებას, ესადაგებოდა თუ არა ჩვენი სამოსი ერთმანეთს. ამგვარი უშუალო სიახლოვე სრულიადაც არ გვიშლიდა ხელს იმდენად გაოგნებულები ვყოფილიყავით ხანდახან, რომ ირგვლივ ყველა და ყველაფერი დაგვიწყნოდა. ასე გახსოვთ, შუა ქუჩაში ან ჰოფგარტენის სვეტებიან თაღებს ქვეშ ანაზდად შევყოვნდებოდით ერთხელაც რომ შეგვევლო თვალი ერთმანეთისთვის და გზის გაგრძელებაც კი გვავიწყდებოდა. ერთხელ ყვავილების მაღაზიაში გამყიდველს ჩვენი გამოფხიზლებაც კი დასჭირდა, რათა გაეგო, რაზე შევაჩერეთ არჩევანი...

ეს ჩვენ ვართ ლულუ? თუ ერთმანეთი
გარდასულებმა სცნეს ჩვენი სახით?
და ამ გულების განხმული თაღით
ფრთატერფიანი მიმოდის ღმერთი.

ღმერთი, პოეტებს იხვეჭს რომელიც;
არსი თავისი შეიცნეს სანამ,
მყის ამოიცნო, თან წარიტანა
და განაწესა განუზომლისთვის.

ო, მარტოოდენ ღ მ ე რ თ ს შესწევს ძალა
ჯერთ უსურველი გახსნას, დასახოს,
და ორ დღეს შუა ვით ღამე სახლობს
იგი ანაზდად ჩვენს შორის ახლოს
დგას და ციმციმა ვარსკვლავნი ახლავს.

ჩვენში პოეტებს უხმობს და ამხელს.
შენ ჩუმად ღვივი, გზნებით ვღვივი მეც
და მისი ცისკრის ფრთანათელ მერცხლებს,
გასხივოსნებებს სახეში გვახლის.

ხანდახან მეგობრებიც შემოივლიდნენ ხოლმე. ასე რომ, ვინც მაშინ მჭიდრო ურთიერთობაში იყო რილკესთან, იმათ შესახებაც მინდა მოგითხროთ ცოტა რამ. ყველაზე ხშირი სტუმარი დოქტორ ფონ შტაფენბერგი გახლდათ, უაღრესად დახვეწილი და ჭეშმარიტად დიდბუნებოვანი ადამიანი. იგი რილკეს მკურნალი იყო და მისი სრული ნდობით სარგებლობდა. რუდოლფ კასნერიც ხშირად სტუმრობდა ჩვენთან. მათი ურთიერთობა იმ იშვიათ მამაკაცურ მეგობრობას განეკუთვნებოდა, როცა რილკე სულიერად გახსნილი იყო. როგორც გამანდო, თვით როდენთან საღამოობით მედონის ბაღში სეირნობისას, უნდა წარმოედგინა რომ ქალთან საუბრობდა, რათა ყოველგვარი უკუაზრების გარეშე, თავისუფლად გახსნილიყო მის წინაშე. კასნერს, ამ ბრწყინვალე, ძლიერი სულის პატრონს, ორიოდ ძნელად გასაგები სიტყვით შეეძლო ულრმესი ცნებებისა და აზრების გადმოცემა, ისე რომ სრულიად არ ანაღვლებდა ესმოდა თუ არა მსმენელს მისი ნათქვამი. ხშირად იტყოდა, — ჩვენი

დროის ადამიანი იმდენად უფრო იზოლირებული ხდება, რამდენადაც თავს სამკვდრო-სასიცოცხლო სინამდვილის პირისპირ ხედავს. მიახლოებით იგივეს ამბობს რილკე მეორე ელეგიაში:

ეროვნული ბიბლიოთეკა

... რადგან ჩვენივე გვიმონებს გული
კვლავ როგორც იმათ.
და აღარ ძალგვიძს თვალი ვადევნოთ მას იმ ხატებში,
რომელნიც ღმერთთა სხეულებში მფეთქავ გულსაც ასათუთებენ,
სადაც იგი ზომიერდება და მით უფრო დიდებულია.

შესძლებენ კია როდესმე რილკეს კასნერთან ურთიერთობის მნიშვნელობას საკადრისი პატივი მიაგონ? კასნერის მუდამ თავისებური, უაღრესად პირადული აზრი იმდენად ძლიერი ხედვითაა აღბეჭდილი, რომ მისი, როგორც შემოქმედის, მხოლოდ ფილოსოფიისა და ან მხოლოდ ხელოვნებისადმი მიკუთვნება საკმაოდ ჭირს. კასნერის უნივერსალური, მოუსყიდველი სული, გააზრებული იუმორი, მას ერთ-ერთ ყველაზე უჩვეულო პიროვნებად აქცევდა იმათ შორის, ვინც ცხოვრების მანძილზე შემხვედრია. მე დიდად ვაფასებდი და ძალიან მეამაყებოდა რილკე ჩემი ბავშვობის ფოტოებში მასთან მსგავსების აღმოჩენას რომ ცდილობდა. რილკეს მიერ ნაჩუქარ კასნერის ყველა ნაშრომს დიდხანს ვატარებდი თან. მინდა გავიხსენო მისი „მელანქოლია", „რიცხვი და სახე", აგრეთვე შესანიშნავი ნარკვევები ფიზიონომიის შესახებ.

საოცარ ვიზიონერ შულერთან შეხვედრამ, იმ დროს ყველას რომ ანცვიფრებდა, განსაკუთრებით იმოქმედა რილკეზეც. შულერი ადრე შტეფან გეორგეს წრეს ეკუთვნოდა, თუმცა შემდეგ თავად ჩამოშორდა მისივე განსაკუთრებულობის გამო. სულიერად იგი ძველი რომის სინამდვილეში არსებობდა და წარმოიდგინეთ, საკმაო ცოდნასაც ფლობდა, რომელიც არა მარტო წიგნებით, არამედ საკუთარი სასწაულებრივი ინტუიციის წყალობით გააჩნდა. თავის გამოსვლებში საუბრობდა ძველი რომის მისტერიებზე — სიკვდილის რიტუალებზე, ნადიმებსა და ორგიებზე. იგი სავსებთ დარწმუნებული იყო, რომ ძველი რომაელის რეინკარნაციული გამეორება-განსხეულება იყო; გარეგნობით მართლაც ჩამოჰგავდა ძველ რომაელს. ეპოქა, როცა გაჩნდა და ცხოვრობდა, მისთვის თითქოს არც არსებობდა და თან არავითარი სურვილიც არ ჰქონია, ან არ შეეძლო, გარკვეულიყო მისივე თანამედროვე ცხოვრებაში. იგი დედის მფარველობის ჩრდილქვეშ არსებობდა და მოგვიანებით, როგორც კასნერმა შეგვატყობინა, დედის სიკვდილის შემდეგ, სილატაკეში გარდაიცვალა. მიუხედავად მის მიერ წარმოდგენილი არაჩვეულებრივი დადგმებისა და შელოცვებისა, ადვილად შეიძლებოდა შეშლილად მოგჩვენებოდათ, რომ ზუსტად არ მიეთითებინა განძეულთა სამარხები, რითაც ამტკიცებდა, რომ ყოველი მისი გამონათქვამი სიმართლეს შეეთერებოდა. გათხრები მართლაც ჩაატარეს და აღმოჩნდა, რომ მისი წინასწარმეტყველება ზედმიწევნით ზუსტი იყო. საგნები მართლაც მის მიერ მითითებულ ადგილებში აღმოჩნდა. იგი ხშირად ახსენებდა საუბრისას „გახსნილსა" და მის საპირისპირო „დახურულ ცხოვრებას". ღია ცხოვრება სიკვდილისაკენ გახსნილ არსებობას ნიშ-

ნავდა. რილკემ თავისი უშინაგანესი შეგრძნებების დასტურს მიაგნო მათში. იგი შეძრული იყო და მას აქეთ მის ნაწარმოებებში ხშირად შეხვდებით „ღია ცხოვრებაზე“ საუბარს. იმ დროისათვის, როცა მთელს მსოფლიოში ადამიანები ასე ადვილად და შეუცნობლად იხოცებოდნენ, რილკეს განსაკუთრებით აწუხებდა და ყოველნაირად ცდილობდა გარკვეულიყო სიკვდილ-სიცოცხლესთან დაკავშირებულ აზრებში; ხანდახან უკვირდა სიკვდილის წინაშე ძრწოლას რომ არ განვიცდიდი, თუმცა სხვადასხვა სახით ძალიან ახლოს შემხებია კიდეც. სიკვდილთან პირისპირ შეხების ჩემი საოცარი ამბავი ვუამბე, თუ როგორ გათამაშდა ჩემ თვალწინ გამაოგნებლად დიდებული სურათი, სრულიად თავისუფალი იმ მოვლენებისაგან, სიკვდილის წინაშე შიშს რომ აღძრავს ხოლმე. ის სიკვდილი მთელი თავისი დიდებულებით აღსრულდა. მაშინ თექვსმეტი წლისა ვიყავი; ჩემი პირველი პეიზაჟის დასახატად მეტიის შემოგარენს მივაშურე. გზაში ავდარმა მომისწრო და იქვე თაღლას შევაფარე თავი. შუა თავსხმაში მაღალ, წითურთმიან გოგოს მოვკარი თვალი, თივის ზვინებს შორის მოიწევდა ცელვა-ცელვით. ზურგსუკან ცისარტყელა ედგა უკვე და თითქოს არად ავდებდა აზავთებულ ბუნებას, აგრძელებდა ცელვას სიმღერით, თუმცა ხელს ვუქნევდი გამალებული, აქეთ მოდი, თავი შეაფარე-მეთქი. გოგო ხმამაღლა, მოზეიმე ხმით მღეროდა. უეცრად ზევით აქნეულ ცელს ელვა მისწვდა და აელვარდა, წითური თმები ცეცხლმა აიტაცა, უკანასკნელი ამოკვნესა მოსწყდა გახსნილ ბაგეებს, როცა ცელის მოლაპლაპე პირის რკალი ორეულივით დაადგა ზანტად ვარდნილ სხეულს, რომელსაც სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა. ეს ალმოდებული, ამღერებული სიკვდილი გამარჯვების ზეიმივით გათამაშდა ჩემ თვალწინ. „სანამ ვიცოცხლებ, — ვეუბნებოდი რილკეს, — სიკვდილის ეს დიადი დღესასწაული არასოდეს დამავიწყდება, რადგან ბედისწერამ განმაცდევინა“. ზუსტად ასევე, ბუნების წიაღში, მუშაობაში გართული ვინატრებდი უეცარ სიკვდილს, სადაც ჩემი საკუთარი მხატვრობით სიმღერას შევძლებდი.

რილკეს თითქოს თვალი მოსჭრა ჩემმა მონათხრობმა და ჩემ მიერ განცდილი ზენაარის დიდ წყალობად მიიჩნია.

შულერის სიკვდილის შემდეგ, 1923 წელს იგი კლარა რილკეს სწერდა: ორფეოსისადმი მიძღვნილი სონეტები ბევრს რასმე შეიცავენ ისეთს, რაშიც შულერიც დამეთანხმებოდა, ვინ იცის, ზოგი რამ მასთან შეხების შედეგიც იყოს, რაც თითქოს ასე ღიაა და მაინც ასეთი იდუმალებითაა მოსილი გამოსათქმელად. ორფეოსისადმი მიძღვნილი IX სონეტი თითქოს ზედმიწევნით მისი ხასიათის, მისი სულის გამომხატველია:

და მხოლოდ ლირა ვინც ააღერა
აჩრდილთა სავანეს
ბედავს გუმანით ხოტბის სიმღერას
და გაჰკვეთს სამანებს.

შულერის მაგიური ძალა, შელოცვებით გამომეხმო გარდასულთა სიცოცხლე, რილკეს მაშინდელ ზოგიერთ მისწრაფებას ეხმიანებოდა.

შულერს ისევე როგორც კლაგესს — გეორგეს ყოფილ შეგირდს, მატრიარქატის აღმოჩენა იმ დროისათვის გამოცხადებად მიაჩნდა. გასაგებია, რომ რილკესაც გულზე მოხვდა ეს ახალი მბავი, იგი ხომ ქალის მდგომარეობის შესახებ ჩვენს საზოგადოებაში გამეფებულ აზრს არასოდეს იზიარებდა და ყალბად თვლიდა. როგორც ჩანს, ეშოვა ბახოფენის განთქმული ნაშრომი, რომელიც ხსენებულ თემას ეხებოდა. დიდი ინტერესით ვადევნებდით თვალყურს ცნობილი გრაფოლოგის ლუდვიგ კლაგესის ლექციებს. იგი ხელნაწერებს ციფრობრივად ანაწილებდა მოხატულობის მიხედვით, ნიშნებს უწერდა, 1,2-3,3,4 და ა. შ. ხშირად მიმართავდა ხოლმე შემოქმედ ადამიანებს, რომელთაც, მისი აზრით, განსაკუთრებული ინტუიცია გააჩნდათ ამ მიმართებით. ერთ დღესაც სამი ხელნაწერი გადმომცა და მთხოვა კლასიფიკაცია მ... მეხდინა. მეც უშუალოდ ვუპასუხე 1,2,2-3 და მეტისმეტად დავიმორცხვე, როცა გავიგე, რომ სამივე ხელნაწერი გოეთეს ეკუთვნოდა. კლაგესმა კი შემაქო: „თქვენ ძალიან სწორად შეაფასეთ, ვინაიდან № 1 შთაგონებითი ხასიათის ხელწერითაა დაწერილი, № 2 — პირადი კორესპოდენციიდანაა, ხოლო № 2-3 მის ოფიციალურ ფუნქციებს განეკუთვნებაო. ამ ტიპის ვარიაციები ყველა ნიჭიერი არსებისთვისაა დამახასიათებელი და ეს არა მარტო ხელნაწერით ამოიცნობა. რილკე ხშირად გაუცნობიერებლად უსადაგებდა თავის ენასა და აზრებსაც კი, რომლებიც მუდამ თავისთავადი ელემენტებით გამოირჩეოდნენ, ამა თუ იმ მსმენელსა თუ მკითხველს უბრალო წაკითხვის შედეგად მიღებული გამოცდილებით უნდა დაგესკვნათ, რა ტიპის პიროვნებასთან გქონდათ საქმე. ბუნებრივია, ეს ზეგავლენა იმწამსვე ქრება, როცა იგი არა ვინმე ნაცნობ პიროვნებას, არამედ უცნობ მსმენელს მიმართავს.

სწორედ იმსანაღ, „მიუნხენის კამერშპილენში“ სტრინდბერგის დადგმები იმართებოდა, რაც ძალიან გვიზიდავდა და არა მხოლოდ შესანიშნავი თამაშის გამო, განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო მსახიობი ქალი ემილი უნდა, რომელიც დიდებული აღმატებულობით ასრულებდა „მოჩვენებათა სონატას“, „სიკვდილის როკვაში“ (სხვათა შორის, ამ როლში მისი მთელი რიგი ჩანახატები გავაკეთე, რომლებიც თეატრის ფოიეში იყო გამოფენილი), არამედ არაჩვეულებრივი ინსცენირების გამოც, რაც მკაცრ, სადა ფორმებსა და შთაგონებით ხასიათს ატარებდა, რაც მაშინ საკმაოდ იშვიათი მოვლენა გახლდათ. სტრინდბერგი ოდ გავლენას ახდენდა რილკეზე. ამის შესახებ ერთ წერილშიც წერს: „უპირველეს ყოვლისა ულმობელი თავისებურებით გამოირჩევა ადამიანურობის უნუგეშობა, როგორც მისი მართლაც აბსოლუტური გამოხატულება, მაგრამ, რადგან ვიღაცას მაინც გააჩნია ზემოქმედების ძალა თვით ყველაზე სასოწარკვეთილ ადამიანზედაც კი, განუყოფელი ადამიანური სიდიადის ცნება გამოუთქმელად მაღლა დგას ყოველივეზე, და ასევე უიმედო სიყვარულიც .

რილკე თეატრში ყელამდე დახურული, თითქმის ბოლომდე შებნეული ჟილეტითა და პატარა ლორნეტით დადიოდა ხოლმე. მხოლოდ ამგვარი ფუფუნების უფლებას აძლევდა თავს, რადგან ერჩივნა ყურადღება არ მიეპყრო და შეუმჩნეველი დარჩენილიყო. ალბათ ამიტომაც მიიჩნევენ, რომ იგი თვალშისაცემი გარეგნობისა არ იყო, თუმცა საშუ-

ალო სიმაღლისა გახლდათ. ეს ალბათ მაინც მისი აღნაგობის დამახასიათებელი პროპორციების გამო — თავი და კისერი მოგრძო მოყვანილობისა ჰქონდა, მხრები კი დაქანებული; ვფიქრობ, ოდესაღ წინ გადახრილი, თითქოს მორიდებული დგომის მანერას უნდა დაგაბრალოთ, ყველას რომ ასეთი შთაბეჭდილება რჩებოდა მასზე. ამასთან ერთად საკავშირებით ერთი პატარა სასაცილო ისტორია მომაგონდა.

ერთ საღამოს მე, რილკესა და კლოტილდე სახაროვთან ერთად (მაშინ იგი ფონ დერბის გვარს ატარებდა) — სამეფო თეატრში გახლდით. საკმაოდ ყალბ-პატრიოტული სპექტაკლის შემდეგ, ასე რომ მოგვაწყინა თავი, რილკე გარდერობიდან პალტოების გამოტანაში გვეხმარებოდა — ღია ფერის ხელთათმანები ეცვა და კურტუაზული ჟესტებით გვემსახურებოდა. სრულიად შემთხვევით, ისე რომ არც კი დაუნახავს, ხელი მოუხვდა და ვილაცის სამხედრო ქუდი გადმოაგდო მაგიდიდან. ქუდის მფლობელმა, საკმაოდ მდიდრულად რომ იყო მორთულ-მოკაზმული, ქედმაღლურად და მკაცრი ტონით მიმართა: „შეგეძლოთ მეტი ყურადღება გამოგეჩინათ“. რილკემ მაშინვე ზრდილობიანად მოუხადა ბოდიში. კლოტილდას და მე სიცილი აგვივარდა. იგი ჩვენსკენ გამოემართა ენერგიული ნაბიჯებით და თითქმის ყვირილით მოგვაძახა საოცრად გაგულისებულმა: „სასაცილოს ვერაფერს ვხედავ“. ამ სიტყვებზე ხომ მთლად გადავიხარხარეთ. მეორე დღეს რილკესთან ერთად ჰოფგარტენის კაფეში, რას ვხედავ, გუშინდელი ჩვენი გმირი, ერთ ჩემ ნაცნობ მწერალ ქალთან ერთად მეზობელ მაგიდას არ უზის? „ერთი წუთი დამიცადე“ — ვუთხარი რილკეს და იმათი მაგიდისკენ გავეშურე. კავალერი წამოდგა და ჩაიბუტბუტა: — „მაპატიეთ, ძვირფასო ქალბატონო, გუშინ თქვენს მოსამსახურეს რომ შევუყვირე“. — „არა უშავს, იგი შეჩვეულია ასეთ რამეებს, ალბათ სპექტაკლმა თუ აგაღელვათ და გაგაოგნათ“. — „მართლაც ძალიან ძლიერი დადგმა იყო“. რამდენიმე სიტყვის შემდეგ გამოვემშვიდობე ჩემს ნაცნობს და წასვლისას ვუთხარი: — „სხვათა შორის სპექტაკლი საკმაოდ იდიოტური იყო-მეთქი“. ის-ის იყო ოფიცერი საპასუხოდ მოემზადა, რომ განვაგრძე: „მოსამსახურე კი, სხვათა შორის, რილკე გახლდათ“. — „როგორ“ — ენა დაება უეცრად და უხერხულობისგან სიწითლემ გადაჰკრა. „ოჰ, ეხლავე უნდა მივიდე და ბოდიში მოვუხადო“. ამასობაში დრო ვიხელთე და რილკეს წავჩურჩულე: — „გთხოვ უთხარი, სპექტაკლი ზღაპრული იყო-თქო“. რილკეს გაეცინა და თხოვნა შემისრულა. წარმოიდგინეთ რაოდენ გაოცებული დარჩა ოფიცერი, რომელიც თავისი სამოქალაქო პროფესიით მწერლობდა კიდეც. მართლაც რომ გვარიანად გავერთეთ. იქიდან მოკიდებული საშინლად მაღიზიანებდა, მორიდებული ქცევის გამო ადამიანს დამაკნინებელი ქედმაღლობით რომ უცქერდნენ ხოლმე.

რილკეს მორიდებულობა ძალზედ ბუნებრივი იყო, იგი მთლიანად თავის თავში ჩაბრუნებულ-ჩაკეტილი არსებობდა. კრიტიკის მესვეურებთან არავითარ დათმობაზე არ წასულა, პირიქით, უბრალოდ არაფრად აგდებდა მათ, არაფერი სურდა, არც ქება-დიდება და არც ლანძღვა. მაშინაც კი, როცა მისმა მეგობრებმა და თაყვანისმცემლებმა პარიზში

პატარა წიგნის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით სათაურით „*Reconnaisance á Rilke*“ დიდი ხოტბა შეასხეს. გულის სიღრმემდე შეძრულმა, თავს უფლება არ მისცა გასცნობოდა მის შინაარსს. და ეს არც გადაჭარბებული თავმდაბლობისა და არც ქედმაღლობის გამო. მას მხოლოდ ერთ ადგილზე გაყინვის, შეზღუდვისა ეშინოდა და მართალიც იყო, რადგან გარედან შემოღწეული ეს რეფლექსები გვაიძულებენ თანდათან დავექვემდებაროთ მათ. „განა დროდადრო სახელი არ უნდა შეიცვალო ადამიანმა“ — მითხრა ერთ დღეს — „რათა თავიდან აირიდო თავსმოხვეული ფორმულირებები“. — „ნამდვილად“ — ვუპასუხე მე — „ხშირად მიფიქრია მაგის შესახებ და იგივე შეიძლება ითქვას არა მარტო იმ ადამიანებზე, განთქმული სახელის სიმძიმე რომ აწევთ მხრებზე, არამედ სრულიად ჩვეულებრივ არსებებზედაც, რადგან ეს მნიშვნელოვნად გააადვილებს საკუთარი პიროვნულობის შეუსწავლელი მხარეების გარდასახვასა და განვითარებას. თუმცა შენ მაინც ვერაფერი გიშველის, გამოხატვის შენეული მანერა იმდენად ერთადერთია და ისეა გაჟღენთილი მთელი შენი არსებით, რომ ყველანაირი ფსევდონიმის ქვეშ მაინც აღმოგაჩენენ“.

და მართლაც, რაც რილკეს იცავს ყოველნაირი გავლენისა და შტამპისაგან, ესაა მისი სულის ამაღლებული თავისუფლება. ეტიკეტი, როგორიც არ უნდა იყოს ის, გამორიცხავს მრავალმხრივობასა და მისი უსასრულოდ გადაჭიმული კლავიატურის საოცარ კონტრასტებს. გნებავთ ყველა პოეტზე უფრო ეთერული პოეტი უწოდოთ მას, მაშინვე წამოტივტივდება ისეთი ლექსების დემონია „როგორიცაა მიცვალებულთა განბანვა“, „საწოლი“. მათი გულში ჩამწვდომი, შემზარავი ტონით, ან ტრაგიკული დრამატიზმით აღსავსე „ქრისტეს შთასვლა ჯოჯოხეთს“. არანაირი ყალიბი არ გამოდგება მისთვის, ვერაფერი მოიცავს მას. რილკეს ერთ-ერთ სტრიქონში შეეძლო ჩაეღვარა ის, რისთვისაც სხვებს ტომები დასჭირდებოდათ, უდიდესი ჭეშმარიტებებისათვის ისეთი ზუსტი, ამაღელვებელი გამოხატულებები მიენიჭებინა, რომ გარკვეულ თემებზე ფიქრითაც კი ვერ გაიფიქრებ, მისი მიგნებული სახეები რომ არ აგედევნოს. მაგალითისთვის „მესვეტე“ მაგონდება:

მესვეტე

მას თავს დაატყდა ზღვა ხალხის რისხვა
ტყუილ-მართალის განსჯა არ ზიდა.
გონს რომ მოეგო — თავსაც კარგავდა,
ხალხის ოხშივარს გამოერიდა,
განაწამები სვეტზე ავიდა,

სვეტი კვლავ იდგა აღზევებული
და არამზიდი, ზედ განდეგილი —
თვისი სისუსტის მამხილებელი
უფლის დიდებას ზე აღავლენდა;

შემდეგ მას ხედავენ:

... ჩია კაცუნას, გონზე გადასულს,
ისევ და ისევ ცასთან მოუბარს,
ხან წვიმით ნაწვიმს, ხან მზით გათანგულს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და შემდეგ:

თუმც იგი მაღლით ლამის წყეული
მათთან ნაბრძოლი, ქანცგალეული,
სასომიხდილი ეულ ღაღადით
იფერთხდა ყოველცისმარ დემონებს:
ცვიოდა მატლთა ზანტი ნაკადი
მისი წყლულებით გადმონთხეული,
იმრავლეს მაინც და დაიმონეს
გვირგვინ-ხავერდი და ძოწეული.

სწორედ ესაა ჭეშმარიტების ღრმა კონცენტრაცია: საკმარისია თუნდაც ერთადერთმა ადამიანმა მიაღწიოს საკუთარი შინაგანი ბრძოლების გადალახვით სპირიტალურ შემეცნებას, ისე, რომ არ მიუბრუნდეს საერო ცხოვრებას, მაშინვე ძალას კარგავს და ილუპება სულისათვის მიუღებელი წყევლა-კრულვა, თუ გასრწნილება. მესვეტე საკუთარ მიწიერ ძალისხმევაზე უარს აცხადებს, რათა დღენიადაგ მთელს ცარგვალს ესაუბროს სვეტზე ამაღლებული — „სვეტი კვლავ იდგა აღზევებული და არამზიდი“, — ანუ სიმბოლო იმისა, თუ როგორ უნდა მსახურებდე გარეგან მიზნებს.

რილკეს შემოქმედებაში ყველაზე გასაოცარი ისაა, რომ იგი უმაღლესი პოეზიის მისაღწევად არ საჭიროებს გაექცეს სინამდვილის სულ უბრალო გამოვლინებებს, ან თუნდაც ამოაფაროს საგნები პოეტურ ნიღბებს, რათა უშუალოდ დააკავშიროს ისინი უფართოესი ურთიერთმიმართებებით. თითოეული საგანი, რომელიც მის სულს შეხებია, ყველრად ექოს გამოსცემს, მხოლოდ მისი სულისათვის დამახასიათებელი სიზუსტის ექოს. თვით ყველაზე შეუმჩნეველი მოვლენაც კი, სხვა ყურადღების ღირსადაც რომ არ ჩათვლიდა, საოცრად მეტყველი და მნიშვნელოვანი ხდება. იგი გაოცებას გვიძღვნის, ხანგრძლივ საოცრებას, ჩვენს დადაშბლავებულ გრძნობებს აცოცხლებს და საგანთა სრულიად უჩვეულო ასპექტებს გვიხილვადებს.

როგორც ცნობილია, ხელოვნების ნებისმიერი დარგის მნიშვნელოვანი წარმომადგენლები არა თუ იზღუდავენ თავს, არამედ პირიქით, საკუთარი პიროვნების თვითდადგენისას მეტ თავისუფლებას იჩენენ და ხელის წაკვრაზედაც არ ამბობენ უარს, რაც განახლებული ზემოქმედების საწინდარი ხდება.

მსგავსი რამ ჩაუწერია რილკეს 1900 წლის ვორპსვედეს დღიურში, რაც მოგვიანებით მე გადმომცა:

„..ასეა, ადამიანები ყალბი არისტოკრატები არიან, ჰგონიათ მთელი მათი სიმდიდრე დიდ წინაპართა მოხსენიების ზარ-ზეიმით აღნიშვნასა და ქება-დიდებაშია, მაშინ როცა, რაოდენ უფრო მდიდარნი იქ-

ნებოდნენ, საკუთარი შესაძლებლობების ჯეროვანი პატივისცემით შეფასება რომ ესურვათ.

რადგან, სახელოვან მიცვალებულზე ვინც საუბრობს, ცხოვრებისეული ანეკდოტების გარდა, არაფერი უწყის მის შესახებ, ხოლო ვის პიროვნებაშიც დიდი წინაპარია აღმდგარი, დუმილს ირჩევს.

ამიტომ ნამდვილი პიროვნება საკუთარ უპირატესობას თავად უნდა აცნობიერებდეს, რადგან იმ სამყაროში, მისი პიროვნებით რომ იღებს დასაბამს, არავითარი წარსული არ არსებობს; მისი მამა-პაპანი და წინაპრები, რომელთაგან კულტურა და ძალმოსილება, გვარსახეობა და მიდრეკილებები (ნიჭი) იმემკვიდრა, მისი სულის თანამედროვეები არიან და მხოლოდ მის წიაღში ინარჩუნებენ ქმედითობას და არა მის მოვლინებამდე. ყველა დანარჩენი სხვა ვარსკვლავთა მკვიდრნი იყვნენ და სხვა ვარსკვლავებზე დაასრულეს სიცოცხლე.

ანდა საზოგადოდ როგორ უნდა მოიცვას თანამედროვეობის ისტორიამ ყოველივე, რაც წარსულ დღეთა კუთვნილება იყო და რაც გვიანდელ ნაყოფთა არსში როგორღაც ამეტყველდა და გაცხადდა. ის, რაც დროის ერთ მონაკვეთს ეკუთვნოდა, მხოლოდ მაშინდელი მნიშვნელობით რჩებოდა მოგებული, და ე. წ. „ისტორიული ღირებულება“ მოყვარულთა ღირებულებაა მხოლოდ და ამდენად არცაა საჭირო ყველა აღიარებდეს.

რაც შეეხება ისტორიასა და მისი ზეგავლენის საშიშროებას: წარსულის მოვლენები ისეა გაზვიადებული და ისეთ განზომილებებს აღწევს, რომ ყოველნაირი დღევანდელობა, მიუხედავად დროითი სიახლოვისა და ცვალებადობისა (Bewegung) მცირედ, შეზღუდულად და გარკვეულ წილად უმწეოდაც გამოიყურება; ის აღტაცება და პატივმოყვარეობა, გუშინდელი დიდი პიროვნებების ზეგავლენით რომ იღვიძებს მათს გულმოდგინე მიმდევართა მომდევნო თაობებში, იმდენად უმნიშვნელო და არაფრისმთქმელია ყოველი გმირის ნაკვალევზე გაჩენილ, ცარიელ, მხოლოდღა უსაქმური აღტაცებით გასენილ სივრცესთან შედარებით, რომ დასახელებადაც არ ღირს.

ადამიანები ფრიად გაკვირვებულნი რჩებიან ხოლმე, მათი სიღრმიდან ვინმე მნიშვნელოვანი და ძლიერი თუ აღმოცენდა, იმდენად, რომ, თუ იგი ამასთანავე კარგა ხნის გარდაცვლილია, საკუთარ ყოველდღიურ საქმიანობას ივიწყებენ და მნიშვნელოვანი სიტყვებითა და ცარიელი ჟესტებით აწ მიტოვებულ ადგილს შემოჯარვიან“.

არა, რიღკეს არც ცხოვრებასა და არც ლიტერატურაში არასოდეს გაუფეტიშებია ცნობილი და სახელგანთქმული ადამიანები; ყოველგვარი პოზის გარეშე სავსებით გულღიად აღიარა, „ჰამლეტი“ არ ვიცი, გოეთეს ნაწარმოებებსაც გვიან გავეცანი და ისიც სრულყოფილად ვერაო. და არაფრით სურდა ნიცშესთან დაახლოება. მახსენდება როგორი შინგანი სიმტკიცით მითხრა უარი, ამ უკანასკნელის ნაწარმოებების წაკითხვა რომ შევთავაზე. ასე მგონია, მათი ტემპერამენტების განსხვავების მიუხედავად, რაღაც საერთო მაინც შეიძლება ჰქონოდათ ორივეს. ალბათ ეს თუ იყო იმის მიზეზი, ნიცშე რომ სახიფათო პიროვნებად ესახებოდა.

ცნობილია ნიცშესა და ლუ ანდრეას-სალომეს ახლო ურთიერთობა, თუ არ ვცდები დანიშნულებიც კი იყვნენ. მაშინ ვერაფერით დავადგინე, რა ზემოქმედება მოახდინა მან ლუს პიროვნებაზე, რადგან ჩემთან ერთხელაც კი არ უხსენებია მისი სახელი. ასე იყო თუ ისე, მათი ურთიერთგაცნობისას ლუ ძალიან ახალგაზრდა და მოუთმენელი იყო. იმ პერიოდის ერთი ფოტო არსებობს — ნიცშე თავის ბებერ რეესთან ერთად ცდილობს ორთვალა დასძრას ადგილიდან, რომელშიც ლუ ფეხზე დგას და მათრახი აქვს მომარჯვებული — ნიცშეს გამონათქვამის საოცარი ილუსტრაცია. ლუს გვიანდელი ჩანაწერები გვიჩვენებს, რაოდენ ღრმად იყო ჩახედული მისი შემოქმედების ფსიქოლოგიურ ასპექტებში.

რილკე ზოგიერთ ცნობილ ადამიანთა მიმართ ნაკლებ ყურადღებას იჩენდა, ვიდრე უცხო მხრიდან მოსული ნაწერების ადრესატებისადმი. მათ იგი განსაკუთრებულად ეპყრობოდა არა იმიტომ, რომ უცხოთა შეფასება აკლდა, არამედ თავად ფაქტი — უცნობი ხმები რომ უხმობდნენ, მისთვის ყოველთვის რაღაც მომაჯადოებელს შეიცავდა და ამ ხმებს იდუმალ მიზეზებს მიაწერდა.

დროდადრო კლარა რილკე მოდიოდა. მაღალი, მკაცრი გარეგნობის ქალი და თან პატარა რუთი ახლდა. ჩვენ თავიდანვე სიმპათიით განვეწყვეთ ერთმანეთისადმი და მალევე დავმეგობრდით კიდეც, რაც დღემდე გრძელდება. კლარა ზედმიწევნით პირდაპირი, ძლიერი და სადაა, ამასთანავე ძალიან მგრძნობიარე და გონიერი. პატარა რუთთან მშვენივრად ვერთობოდი, ჯანსაღი, ლაჟვარდა და ჩამრგვალებული ბავშვი იყო. რილკე ბავშვობის ასაკის იდუმალებით მოცულ სამყაროს მაგიურ წრეს ავლებს ირგვლივ და უაღრესი მოწიწების გამო ამ წრის გარღვევას ვერც ბედავს. იგი მხოლოდ გარედან აკვირდება ბავშვობას ყურადღებიანი გაოცებით. მოგვიანებით, ჩემი შვილის ჩამოსვლისასაც, (იგი ადრე მამაჩემთან მყავდა დატოვებული), რილკემ, მისი მცირეწლოვანების მიუხედავად, მაინც მომწერა მაშინვე: „მომიკითხე ნუკელ მთელი გულით, რარიგ მეამაყება, ჩემი მოსვლა რომ სდომნია, მეც ხშირად ვასხენებ და მოულოდნელად აღმოვაჩენ, რომ გულში ჩამვარდნია“. საჩუქრად ისეთი სათამაშოები მოჰქონდა, თავად რომ უნატრია ბავშვობისას. ერთხელ არაჩვეულებრივი სათამაშო ეკიპაჟი გვაჩუქა, ძველებური ლურჯი აბრეშუმგადაკრული სავარძლებით, ამპირის სამოსში გამოწყობილი დიდებული ნეფე-პატარძლით და ასეთივე მშვენიერი მეეტლით. ეს ყველაფერი იმდენად ლამაზი იყო, რომ სათამაშოდ ვერც კი გაიმეტებდით.

რაც შეეხება დედამისის სტუმრობას, შეიძლება ითქვას, ძალიან ეუხერხულებოდა. როგორც ცნობილია, „ლაურიდს ბრიგეს ჩანაწერების“ „maman“-ის პროტოტიპს იგი არ წარმოადგენს, რილკემ მისი ხასიათის მხოლოდ რამდენიმე შტრიხი გამოიყენა. მაგალითად, სცენა ძველი მაქმანებით. „maman“-ივით მასაც გოგონას კაბებში გამოაწყობდა ხოლმე დედამისი, რათა სალონში მსხდომ ქალბატონებს მისალმებოდა, თითქოს ამგვარად მისი უდროოდ გარდაცვლილი დის მაგივრობას სწევდა. რილკესა და დედამისს შორის მჭიდრო ურთიერთობა

არც არასოდეს არსებულა. ცხოვრების დედამისისეული აღქმა რილკეს ყალბად ეჩვენებოდა და ფარისევლური შეზღუდულობის ატანა კი საერთოდ არ შეეძლო. დედამისს, მაგალითად, დაჩემებული ჰქონდა, იესო და მარიამ ღვთისმშობელი ყოველდღე მოდიან ჩემთან ამ, სასტუმროშიო. სადგურზე მის გასაცილებლად მისულებს, დამშვიდობებისას გვითხრა: „იესო და მარიამ ჩემთანა". არა, არ მომესმა, ნამდვილად გავიგონე „ჩემთანა" და არა „შენთანა". მის მოგრძო სახეს, შავი ნაოჭასხმული დიდი პირბადე მეტად უცნაურ იერს აძლევდა. დროგამოშვებით შვილს პირმოთნე წერილებს სწერდა, სიყვარულისა და პატივმოყვარეობის ერთგვარ ნაზავს, რაც ნამდვილად მეტისმეტი იყო და რილკეს გაგულისებას იწვევდა. იგი ყველაზე უფრო გაუცხოებულად სწორედ დედასთან გრძნობდა თავს. ადამიანთა შორის ხანდახან ისეთი დისონასები არსებობს, მთელი ცხოვრების მანძილზე რომ ტვირთად აწევთ და ვერ განთავისუფლებულან. ამ გაუცხოებამ, ასე რომ სტანჯავდა რილკეს, მისი გაღიზიანება გამოიწვია ყოველივე ფორმალურის, ხელოვნურისა და ზედაპირულის, ყოველნაირი სიცრუისადმი და აიძულა საკუთარი სინდისი ძირისძირამდე გამოეკვლია, თვით რომელიმე უცოდველ ტყუილს ამოფარებულ კუთხე-კუნჭულამდე. რილკეს დედის ამბავი იმიტომ გავიხსენე, რომ გასაგები გახდეს ერთი საკმაოდ უცნაური ლექსი, მე რომ მომწერა მამაჩემთან გამგზავრების წინ, რადგან იცოდა, მამასთან მეც რომ ვერ ვგრძნობდი თავს ლაღად; ვერ ვიტყვი, ამით ჩემს მდგომარეობას იზიარებდა, თუ უბრალოდ დასაიმედებლად ჰქონდა დაწერილი:

ოჰ, როგორ მანგრევს მე დედა ჩემი
ქვას გულმოდგინედ ქვაზედ ვადებდი
ჩემს თავშესაფარს ასე ვაგებდი,
თავს ევლებოდა მას დღის ნათელიც,

და აი, მოდის ჩემი გამჩენი,
მოდის და მანგრევს მე დედა ჩემი.

მანგრევს, მაწვალებს, თან მითვალთვალებს
და ვერ კი ხედავს, ვინ ან რას აგებს —
ჩემს ქვის კედელს კვეთს — უჩინარი —
ოჰ, მანადგურებს მე დედა ჩემი.

ჩიტებიც ლაღად ფრენენ ჩემს არეს,
უცხო ძაღლებიც მცნობენ: ის არის —
და ერთადერთი დედა ვერ ამჩნევს,
ჩემს ნელა ნამატ მოწიფულ სახეს.

მე მისგან თბილი სიოც არ მახლია;
არ უდევს ბინა ჰაერთა ახლოს,
გულის მაღალი სენაკის ტყვეა
და განმბანელი მისი ქრისტეა.

ადვოკატთა წერილები მივიღე თუ არა, ძალიან ვთხოვე რილკეს, მიუნხენს გამგზავრებულიყო, რადგან მოსალოდნელი სიძნელეების მოგვარება ჩემს თავზე მინდოდა ამეღო. ისიც გაემგზავრა ყოველგვარი წინასწარგამიზნულობის გარეშე, ჯერ ვიურცბურგს, ცოტა ხნის შემდეგ კი ბერლინიდან მომწერა წერილი:

„ძვირფასო ჩემო, არც მინდა გაგიმხილო რა განწყობილება დამეუფლა, საშინელ გუნებაზე ვარ, უზომოდ დავიღალე, სხვას ვერაფერს გეტყვი, ისე რომ, ჩემს თავს აღარ ვეკუთვნი, ერთი წუთიც კი ვერ გამოვნახე, გონს რომ მოვსულიყავი. გიკვირს ალბათ, აქ როგორ აღმოვჩნდი, მეც გაკვირვებული ვარ და ასე მგონია, კარგა ხანს ვერ მოვიცილებ გაოცების ამ ნისლეულს, როცა წარმოვიდგენ, რომ ფანჯრებს მიღმა ბერლინია.

ახსნასაც ვერ ვუძებნი, ვიურცბურგი აუტანელი მეჩვენა, მიუნხენში დაბრუნება კი ვერ გადავწყვიტე, საით უნდა წავსულიყავი? აქაც პატარ-პატარა საქმეები მქონდა მოსაგვარებელი; კბილის ექიმთან უკვე ვიყავი, შეხვედრებზე შევთანხმდით (ხშირად მისვლა არ მომიწევს), მინდა რამდენიმე საათი ჰაიმელთან შევიარო და ზოგიერთი მეგობარიც მოვინახულო. გრაფის ქალი ბროკდორფიც მინდოდა მენახა, აბა დაფიქრდი: მომწერე, მაძლევ უფლებას? რამდენადაც ვიცი, გროლმანშტრასე 68, შარლოტენბურგი უნდა იყოს მისი მისამართი: ასეა არა? ყველაზე სწრაფად ალბათ აქ მოვახერხებ ჩემი საქმიანობის წინ წაწევას, ასე რომ მშურდა შენში, გახსოვს საქმის საფუძვლიანი ცოდნით რომ მწერდი ვიურცბურგში ყოფნისას. იქ, შეიძლება ითქვას, სრულიად არაფერი იყო გასაკეთებელი, მე ჩემს თავს, ანუ ჩვენ ორივეს სიტყვა მივეცი, ყველაფერი სხვა დროისათვის გადამედო, უკეთესი იქნებოდა ზაფხულისათვის ან შემოდგომისათვის — თანაც ომის გაგონებაც კი არ მინდა. დაუტჰენდისები აღარ დამხვდნენ, ქალბატონი დ. შვედეთს გამგზავრებულა და ისევ საოცრადაა შეწუხებული, ასე უფულოდ რომ დარჩენილა ის სუმატრაში სრულიად უცნობ ხალხთან. მსოფლიოს გარშემო მოგზაურობდა თურმე, ომი რომ ატყდა და ბილეთს ძალა დაუკარგავს. ვფიქრობ, საზოგადოებამ რაღაც უნდა იღონოს მის დასახმარებლად, მით უმეტეს, თუ ლოიდმა გააგზავნა: იმედი მაქვს, მაგ საქმისთვისაც მოვახერხებ და მივაღწევ რაიმეს (რილკე თავისი მეგობრების ბედ-იღბალზე მუდამ ზრუნავდა და აქტიურად იხარჯებოდა კიდეც მათთვის). ამას გარდა, ეგვიპტური ნაკეთობები ერთხელ კიდევ უნდა ვნახო, შტაუფენბერგის მეგობარსაც მინდა გავესაუბრო, იმას, ხელოვნებათმცოდნე რომაა, ხედავ, მთელი პროგრამა მაქვს ჩამოყალიბებული და წინასწარ გათვლილი რიგისდა მიხედვით. ახლა ეს მჭირდება, და ამიტომ შინ ყოფნა არ შემიძლია. როდის ვიქნები? ლალ, ასე მგონია, იმ ადამიანს ვგავარ, დღენიადაგ გადასახტომად რომ ემზადება და საბოლოოდ გადახტომის უფლება კი არა აქვს. სადღაა ჩემი შინაგანი ნახტომი? და მაინც დამიჯერე, არაფერი საყვედურის მსგავსი ჩემს გულს არ ეკარება. ჩვენ კარგად მოვიქეცით, რამდენადაც შევძელით და შენ ასმაგად უკეთ, ვინემ მე.

ო, ლალ, ოღონდაც კიდევ ვიპოვო სწორი მანძილი და ჩემი ცხო-

ცრების ჭეშმარიტი შუაგული, როგორ ვისურვებდი მაშინ შენზე ფიქრს და როგორი კარგი ვიქნებოდი შენთვისაც.

მომწერე თუნდაც ერთი პატარა სიტყვა, რომელიც ახლოდ მე ვიცი: შენ არსებობ და მე წინა ცხოვრებაში არ გადავეშვები, რომელშიც შენ ამოუცნობი იყავი, ჩემო მეგობარო. რაინერ

მე ისევ მუშაობას შევუდექი. რეგინასთან [illegible] ძალიან დამეხმარა განშორების გადატანაში. მისი თავისებური ფიზიონომიით მოხიბლული, გატაცებით ვხატავდი. კარგად მესმის, აღმოსავლეთის ხალხები პორტრეტირებას თავს რომ არიდებენ. ძლიერად გამოკვეთილი ინსტინქტი კარნახობს მათ, რომ ხატვისას იმ პიროვნებას, ვისაც ხატავენ, რაღაც ნაწილი მართლაც ეკარგება. მაგონდება, როგორ წამოიყვირა რეგინამ უეცრად: „შენ მთელი ჩემი კონტური წამართვიო! მე კი მეცინებოდა, რადგან უმალ წარმოვიდგინე, როგორ ივლიდა ამიერიდან კონტურის გარეშე, თუმცა ვგრძნობდი კია, რომ სიმართლის რაღაც მარცვალი მაინც იყო ამ ნათქვამში: ჭეშმარიტი პორტრეტი მაგიური ქმედების ერთ-ერთი სახეა.

რა თქმა უნდა, საღამოობით ბევრს ვსაუბრობდით რილკეს შესახებ. რეგინამ ჩემს წერილებს ერთი თვითონაც მიამატა მისი მისამართით: „ზარები რეკენ და შენი ლექსები, რომლებსაც ეს-ესაა ვკითხულობდით, აედევნენ ამ ელერადობას: როგორ იშვის ყოველი და ისევ უბრუნდება უკან საკუთარ თავს და კვლავ წარმოიშვება, თითქოს არ ძალუძს შეინარჩუნოს თავი მარადისობაში. და ღმერთიც შესაქმის პირველ დღეს თუ სცნობს, იგივე ერთის უთვალავ რაოდენობასა და მრავალსახეობაში. რამდენი ბედი გამოუვლია თუნდაც ერთადერთ საგანს! და ისევ და ისევ იმ ერთი სახით აღვიქვამთ მაინც. მადლობა უფალს, ძვირფასო რაინერ მარია: როგორ მინდოდა მეთქვა შენთვის — და ეხლაც გეტყვი ალბათ, თუ მალე მოხვალ, ვიდრე ორივენი აქ ვართ ერთად, თუ დავიმსახურე ამის უფლება — როგორ მიყვარს ლულუ და აქვე მინდა გამოგიტყდე, როგორ მიყვარხარ შენ: თქვენ ხომ ორივე განსხვავებული შეფერილობის ორი ორქიდეა ხართ თითქოს! — აი, ისევ რეკენ ზარები. ნახვამდის! მაპატიე, შენობით რომ მოგმართე — ლულუსთან რადგან ახლოს ვარ და შენობით ვესაუბრები, შენც ასევე უნდა მოგმართო და არა სხვანაირად. რეგინა“.

ბატონი დოქტორ შტაუფენბერგი ხშირად მოდიოდა. ისიც და სხვა მეგობრებიც საინტერესოდ საუბრობდნენ ხოლმე რილკესთან ერთად სწორედ ამ ოთახებში, სულ ახლახანს რომ დატოვა. შტაუფენბერგმა საშობაოდ აღმითქვა მოვალო, რათა მარტო არ დავრჩენილიყავი. ძალიან მადლიერი დავრჩი, მაგრამ რილკე ტელეგრამით მთხოვდა, სადღესასწაულოდ ბერლინს ჩამოდიო, საშობაო საჩუქრად თან წავუღე რეგინას ჯერაც შეუმშრალი პორტრეტი. საჩვენებლად გავხსენი თუ არა, გაოცების ძახილი აღმოხდა; ძალიან აღტაცებული ჩანდა. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. შობას შევხვდით ერთ მშვენიერ ვილაში, დიდი ნაძვის ხის ქვეშ; ვილა რილკეს მეგობარს ლედი მიტფორდს ეკუთვნოდა და მისთვის დაუთმია. ალბათ ეს ყველაზე მშვენიერი საშობაო დღესასწაული იყო ჩემს ცხოვრებაში. წყნარი, ბედნიერი დღეები

გვედგა. რილკემ ჩამოსვლისთანავე ლურჯი მინის თასი გამომიგზავნა, ფსკერზე ბრინჯაოს ღრაკონს მშვენიერი ორქიდეები უჭირავს, ოქროსცვარდაკრული, იისფერი და თეთრი. საშობაო ხის ქვეშ — ლამაზი ტყავის ჩანთა აღმოვაჩინე, ოქროს ფირფიტიან საკეტზე რილკეს ხელწერით იყო გრავირებული „შობა, 1914“. წამიკითხა მანუსკრიპტი „ახალგაზრდა პოეტისადმი“, რომელიც ტყავის ყდაში ჩაუსვია და ზედ ოქროს ასოებით წაუწერია ჩემი სახელი — მისი ფიქრიანი ყურადღების კიდევ ერთი გამოვლინება, ასე ხელგაშლით რომ მანებივრებდა ხოლმე.

რამდენიმე დღის შემდეგ ეგვიპტის მუზეუმში შევიარეთ, კონსერვატორს ამენოფისი გამოატანინა ვიტრინიდან ჩანახატების შესასრულებლად. ერთად ყოფნისას კიდევ ბევრ ნაცნობს შევხვდით და მაშინვე ვიგრძენი, რომ მართლაც ისეთ ატმოსფეროში უხდებოდა ცხოვრება, წერილებში რომ მწერდა. ამგვარი გადახვევების ცდუნება კი ძალზედ დიდი იყო. ხოლო თუ აზრები „უცნაურ მზადყოფნას იჩენდნენ“, ყოველგვარი დაფანტულობა აუცილებლად უნდა მოეთოკა და ისევ სხვა ტალღაზე გადაწყობილიყო, მიუხედავად გარემოებებისა.

ამ სადღესასწაულო დღეებში რილკე კარგ გუნებაზე ჩანდა თითქოს, სიხარულითა და იმედით იყო აღსავსე, თუმცა მისი სულიერი ამინდი ადვილად იცვლებოდა, პირველივე წერილიდან ვიგრძენი, როგორ იმატა მასში შინაგანმა სულიერმა ამღვრეულობამ.

„აი ესაა, უსაყვარლესო, ქაღალდებიდან ჩემთან რაც არის, წერილების ორი ასლიც აქვეა. შენი სხვა დავალებებიც, პუკსა და ედიტ ბონინს რომ შეეხებოდა, შესრულებულია. სასტუმროში გამაშები რომ დაგვიწყნია, ერთი დღის განმავლობაში რომ ინახებოდა თურმე, პროცენტები დამატებია. ორივეს გიგზავნი შენც და ნუკელსაც [(პროცენტები — დასურათებული წიგნები და სასუსნავები იყო) ლალ]. გუშინ ივა კასნერი იყო ჩემთან, რეგინასაგან იცოდა უკვე, პორტრეტი რომ ჩემთან დატოვე; გაოგნებული დარჩა სურათის ცხოველმყოფელობითა და მნიშვნელოვნებით, ასე რომ ასხივებს ეს პორტრეტი, ჩემზედაც ღლიანიდღე მეტ შთაბეჭდილებას ახდენს და მახარებს, საამისოდ მზადაც რომ ვარ. შენ ჩემთან იყავი, აქ და მე ეს ვერ აღვიქვი, ვერა. ლულუ, დღეების უკან გადათვლას ვუნდები. რა კარგი იყო, ხმამაღლა მითხარ, დამაჯერე უსაყვარლესო, მარტო როცა ვარ ჩემს სენაკში, არაფერი არ მაბადია. რას იტყვი! ხვალ ერთი წელიწადი მეორეში გადაინაცვლებს, როგორი იქნება? რას გვპირდება? ღამით შენთან ვიქნები სულიერად, ალბათ ერთხელაც აგინთებ საახალწლო ხეს, ვიცი, მაშინვე ვგრძნობ. დაე, იდგეს მოგვთა თაყვანისცემის დღემდე. რაინერ“.

ნუთუ დამესიზმრა ასეთი სითბო და ასეთი წყნარი, უშფოთველი სიხარული? არა, უბრალოდ დეპრესიის ტალღამ გადაიყარა, რაც მისივე მდგომარეობის გაურკვევლობის ბრალი იყო. — მე საპასუხო წერილში ვწერდი: „შეგიძლია არ ჩამოხვიდე, თუ ფიქრობ, რომ ბერლინში, ან სადმე სხვაგან მოიკიდებ ფეხს, სადაც შესაძლებლად ჩათვლი. ეს აუცილებელია ჩვენი აქამდე შეუფერხებლად მოღწეული ოცნების გადასარჩენად. შენგან შორს ყოფნა ძალას მმატებს, მოსახდენი უფრო იოლად გადავიტანო.

ვეცდები მაგრად ვიყო, ვიმუშაო და ბევრი რამ მოვამზადო მერმისისათვის. იქნებ მაშინ ყველაზე მეტად უნდა ველოდოთ გაზაფხულის დადგომას, უსაყვარლესო. დღეს დილით შენი გამოგზავნილი დიდებული ვარდები მივიღე. სავსებით გასაგები გახდა ჩემთვის: შეუბღალავად უნდა დავცილდეთ ერთმანეთს, მე არც მსურს გაგრძელო უხერხულ სიტუაციებში. — ჩემზე არ იდარდო. ნუთუ წარსულის მოგონებითა და მომავლის იმედით ცხოვრებას ვერ შევძლებ?"

რამდენიმე დღეც კი არ იყო გასული, რომ ისევ მიუნხენში გამოჩნდა, სულ ორი დღითო, — მითხრა, თუმცა შემდეგ კარგა ხანს ვერ გადაწყვიტა ისევ გამგზავრებულიყო.

ამ პერიოდში შესრულებული რეგინას ორი პორტრეტი ნახა თუ „რა, მაშინვე მისწერა:

„რეგინა

შენი პორტრეტი გამორჩეულად მშვენიერია, ფრიად მნიშვნელოვანი და მრავლისმეტყველი.

ეს-ესაა ვნახე და არც კი ვიცი, რა უფრო მანცვიფრებს, ლულუს ნიჭიერება, ასეთს რომ გხედავს, თუ შენი მადლი — ასეთად გამოიყურებოდე! (აქ ძახილის ნიშანია აუცილებელი).

ზუსტად ისევე, როგორც შარშან დეკემბრის თვეში დახატული პირველი პორტრეტი, შენი ცხოვრების გარკვეული მონაკვეთის დასრულებას ასახავს, ამ სურათითაც მაშინვე იგრძნობა ახალ-ახალი აზრებისა და საწყისისათვის შენი მზდყოფნა, აი ეს არის ახლებურად აღნაგი სული, მთელი თავისი ნათელი გამოსახულებით შენარჩუნებული. რა გამომხატველობით ძალისხმევას აფრქვევს ირგვლივ — ასე მგონია, სავსებით გაჯერებს თავად პორტრეტი იმაში, თუ რა ძლიერად გადმოსცემს შენს პიროვნებას. — ახლა შუათანა სურათსაც მივუზღათ სამაგიერო: მხოლოდ და მხოლოდ გარდამავალი ადგილი შეიძლება მივაკუთვნოთ; სწრაფ, მბორგავ მდინარეში არეკლილი გამოსახულებაა თითქოს, ზუსტად ისეთი, მაშინ რომ იყავი. რა კარგია, როგორი გულწრფელი და მშვენიერი — ესოდენ მნიშვნელოვან სურათ-მტკიცებებს რომ ფლობ, ასეთი თანამიმდევრობით, გიხაროდეს... რაინერ-მარია".

ცოტა ხნის შემდეგ ჩემმა ქმარმა ცნობა მომაწვდინა, გაყრასთან დაკავშირებულ ყოველგვარ პასუხისმგებლობას ჩემს თავზე ავიღებო, ოღონდ ერთი პირობით, ომის დასრულებას უნდა დავლოდებოდით.

რილკემ შვეიცარიაში გამგზავრება შემომთავაზა უცებ, სადაც, როგორც მარწმუნებდა, მისი მეგობრები თავს ბედნიერად ჩათვლიდნენ, თუ ვესტუმრებოდით. მე კი ვერაფრით გადამეწყვიტა, რადგან ასეთი რამ ნაადრევად მეჩვენებოდა. რილკე დროებით ისევ გადმოვიდა ჩვენს ბინაზე ფინკენშტრასეზე. მე უფრო შესაფერისი გარემო მინდოდა მისთვის მომეძებნა, როცა ერთ-ერთმა მეგობარმა ქალმა თავისი ბინა დაუთმო დროებით. ეს იყო ჰერტა კიონიგი, რომელიც თავის ადგილმამულში აპირებდა გამგზავრებას. რილკემ მასვე მიუძღვნა მეხუთე ელეგია, რადგან მისი ბინის სასტუმრო ოთახში პიკასოს დიდი სურათი „მოხეტიალე ჯამბაზები" ეკიდა, რომელიც მეხუთე ელეგიის შექმნის

ამოსავალ წერტილად იქცა, თუმცა ამ თემაზე რილკე ადრეც მუშაობდა, პარიზში ყოფნისას; ელეგიაში მოხმობილი ყველა პერსონაჟი უკვე შესწავლილი ჰყავდა. ბაზრობის ეს სამყარო მუდამ განსაკუთრებით იზიდავდა მას. ერთხელ პარიზთან ახლოს ტულუზ-ლოტრეკის ყოფილი, იმ დროისათვის შებერებული მოდელი „ლა გულუ" აღმოაჩინა, ვეფხვთან ერთად რომ გამოდიოდა სცენაზე. პიკასოს სურათმა ეს მოგონება იმდენად გაუცოცხლა, რომ ეს საოცარი ელეგია დასაწერად მომწიფებული აღმოჩნდა.

საერთო მეგობრებს ჩემს ატელიეში ვიღებდით ხოლმე. ასე გაიცნო რილკემ ცნობილი ხელოვნებათმცოდნე დოქტორი ვილჰელმ ჰაუზენშტაინი, მწერალი ჰანს კაროსსა, რომელიც პროფესიით ექიმი იყო და რილკეს თავისი ავადმყოფების ამბებს უყვებოდა. თავის მხრივ, რილკეც გამოუტყდა, იდუმალი სურვილი მუდამ მქონდა ექიმი გავმხდარიყავიო (როგორ შეიძლებოდა მისი ექიმობა, ამ პროფესიის ფსიქიური მხარე უბრალოდ გაანადგურებდა სრულიად!).

ამ მძაფრად ცვალებადი სინამდვილის ჟამს მას პოეტის მოწოდება ხანდახან საოცრად არაქმედითად ეჩვენებოდა. მთელ თავის განვლილ სიცოცხლეს არამართებულად მიიჩნევდა, მის თვალში ყველა, მსოფლიოც კი, მცდარ გზაზე შემდგარად ესახებოდა. ყველა შემთხვევაში წონასწორობა შერყეული ჰქონდა, თითქმის განადგურებული იყო. კასნერი როგორც ძველი მეგობარი, აფხიზლებდა დროდადრო. სასოწარკვეთას ნუ მიეცემი, ყველამ თავისი ტვირთი უნდა ზიდოსო. მეც ვცდილობდი, ნუგეში მეცა, სხვებს უნდა შეუმსუბუქო და აარიდო ამ საშინელი დროის ზეგავლენა, რათა არ დაიღუპონ საბოლოოდ, სწორედ ამით რომ სულიერი გზნება შეინარჩუნო-მეთქი — მაინც აფორიაქებული იყო. მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მშვიდად ყოფნა და მუშაობა არ შეეძლო უბრალოდ, როცა ქვეყანა, კაცობრიობა ასეთი ნგრევის მსხვერპლად ქცეულიყო, ისე მძაფრად შეიგრძნობდა ამ პირველი მექანიკური ომის საფრთხეს და გუმანით გრძნობდა წინასწარ 1939 წლის ჯოჯოხეთური საშინელების მოახლოებას და იმასაც კი, რაც ამ ამბებს შეიძლებოდა მოჰყოლოდა. „მთელს მონაპოვარს ემუქრება მანქანა, ვიდრე თავნებობს აზრით, მორჩილების ვერშემგუები..." — ასე იწყებს მეორე ნაწილის X სონეტს. „ფრონტზე რომ გაგაგზავნთ, რას იზამ?" — შიშნარევი ხმით ვკითხე ერთ დღეს. ხელები გაშალა: „ვიყვირებ: ო, ჩემო მეგობრებო! და თავს მოვაკვლევინებ". და მართლაც ასე მოიქცეოდა. მოგვიანებით მობილიზებაში მყოფი, სუსტი ჯანმრთელობის მიზეზით გაანთავისუფლეს, ისე რომ არც კი უთხოვია. გარდა ამისა, მისი შემოქმედების თაყვანისმცემლები ყოველნაირად ეცადნენ, სამხედრო სამსახურიდან დაეხსნათ.

იმხანად ბევრი არაჩვეულებრივი ადამიანი აღმოვაჩინეთ, რომლებიც ჩვენს ყოველდღიურობას სრულიად გარიდებულნი იყვნენ. გერმანია იმთავითვე ამგვარი გამორჩეული პიროვნებების სამშობლო იყო, ასე რომ აწონასწორებდნენ მასების კონფორმისტულ სულს. მათ შორის გავიცანით და-ძმა დერლეთები. ძმა უწინ ასევე გეორგეს წრეს ეკუთვნოდა, ფანატიკოსი იყო, რომელიც კათოლიციზმს განსაკუთრე-

ბულ აზრს ანიჭებდა და, როგორც ამბობდნენ, არც მეტი და არც ნაკლები, პაპის ტახტს ესწრაფვოდა. მისი და — ანნა, შუა საუკუნეების ტრანსში მყოფ მონაზონს მოგაგონებდათ. ფერმკრთალი, სიფრიფანა, ასკეტური გარეგნობისა იყო; საუბარი ამაღლებული და ოდნავ არქაული ჰქონდა. უმეტესად ძმას დასდევდა აჩრდილივით, ხვლებს აღაპყრობდა და ამბობდა: „...ჩემი ძმა ამბობს“... და იწყებდა მისი ნათქვამის სიტყვა-სიტყვით გამეორებას, თითქოს ანტიკური მოზეიმე ქოროს როლს ასრულებდა. მთელი თავისი სიცოცხლე ამ გაფეტიშებულ ძმას შესწირა, რომელიც, როგორც ამბობდნენ, რაღაც წიგნს წერსო, რაც სრულ გადატრიალებას მოახდენსო. თუკი ვინმეს მარტოდ მოიგდებდა ხელში, მაშინვე მაგიურ ძალებსა და იდუმალ ფორმულებს მიმართავდა ხოლმე. მის ირგვლივ არსებული გარემოცვა და ატმოსფეროც შესანიშნავად ესადაგებოდა ამ ექსპერიმენტებს. სამი პარალელურად განლაგებული ოთახი სხვენში, სამივე ვიწრო და გვირაბივით გრძელი, ფანჯრები იატაკამდე აღწევდა, იქ მოხვედრილს თავბრუსხვევა გეუფლებოდა უმალ და გეგონა, ფართოდ გაშლილი გოთიკური მოედნის — მარიენპლაცის შუაგულს ენარცხებოდი. ოთახის უკანა მხარე ბნელით იყო მოცული. სიღრმეში ვარდის ფურცლებით მოფენილი მოსასვენებელი ტახტი იდგა და ნაირ-ნაირი ნელსაცხებლების სურნელება გაბრუებდა. „ძმა“ მოკლე მოულოდნელ კითხვებს სვამდა დიქტატორივით და უფრო განკარგავდა, ვიდრე საუბრობდა; გიბრძანებდა ვარდით მოფენილ ტახტზე გაშოტილიყავი, ვიდრე მბრძანებლურ რიტუალურ სიტყვას მოათავებდა. ყველაფერთან ერთად იქვე ახლოს მდებარე სამრეკლოების ზართა რეკა და ყვავების წრიული ფრენა გაოგნებდათ, რომლებიც სახლს გარს ევლებოდნენ. გამოგიტყდებით, ამ მაგთან მარტო მისვლისა ცოტა არ იყოს შეშინოდა, რადგან ყველაფერ ამას იმ დიონისური მისტერიების სუნი ასდიოდა, ადრე გეორგეს წრეში რომ ასრულებდნენ ხოლმე. ამასთან „პაპის სავარძლის“ მსურველი“ თუ იყო, მისი ქმედება მთლად „კათოლიკურს“ არ ჰგავდა. შინ გულამოვარდნილი და აცასცახებული დავბრუნდი იმ მაპიპნოზირებელი ზემოქმედებისაგან გაბრუებული, რომელიც „ძმის“ არსებიდან მოედინებოდა. სახლში კასნერი და რილკე დამხვდნენ, როცა ვუამბე თავს რაც გადამხდა, სიცილი ვერ შეიკავეს, რა თქმა უნდა, ჩემი მონათხრობი მაშინ უფრო მრავლისმეტყველ დეტალებს შეიცავდა, ახლა კი დრო-ჟამმა რამდენადმე გააფერმკრთალა. დერლეთის ავტორიტარულმა სტილმა ნათელი გამოხატულება ჰპოვა იმ პუბლიკაციებში, რომლებიც „პროკლამაციებსა“ და „ფრენკიშე კურიერში“ გამოქვეყნდა. მისი ლექსები მართლაც ძალიან უჩვეულო და ძლიერი იყო. ვოლფსკელი, გეორგეს წრის წარმომადგენელთაგან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი პიროვნება, პოეტი და ფილოსოფოსი, იმავე დროს მისი ყველაზე ერთგული და მგზნებარე მიმდევარი იყო, ტანად მაღალი და ვამხდარი აღნაგობისა; მუდამ ანთებული მისი თვალები, ნათელმხილველური ელვარების მიუხედავად, თითქმის ვეღარ ხედავდნენ. იგი აღამიანებსა და საგნებს, შეიძლება ითქვას, უფრო სურნელით სცნობდა, ვიდრე ხედავდა. მიუხედავად ამისა, მისი შინაგანი ცეცხლოვანება მის თვალებს გასაოცარ ამაღლებულ

თვისებებს ანიჭებდა, რაც ასე აკლდათ მათ ამ ხნის განმავლობაში. შეუცდომლად შეეძლო ანტიკური ხანის საგნები ამოეცნო. ერთხელ მასთან ერთად აუერ დალტთან შევიარეთ, როცა ჩემდა გასაოცრად, მიუხედავად მისი თითქმის აბსოლუტური სიბრმავისა, კუთხეში მდგარი ბნელი თაროდან ბაროკოს სტილის ორი შანდალი გადმოალებინა, რომლებიც მაშინვე შევიძინე.

მგრძნობიარე, ფეთქებადი და ენთუზიაზმით სავსე დიდი ცოდნისა და განსწავლულობის მაგალითი იყო. საუბრისას მისი გასულიერებული სიტყვები, ხან მოულოდნელად მოკლე და სხარტი, ხან კი ერთმანეთში გველებივით ჩახვეულ-ჩაწნულები ზიმზინებდნენ ან ფოიერვერკივით, მაშხალებივით გაიელვებდნენ. მისთვის დამახასიათებელი უსაზღვროება რილკესთან მიმართებაში ნაკლებად გამოსადეგი იყო, რადგან ეს უკანასკნელი თვით გამაოგნებელ საგნებზეც კი თავშეკავებულად გამოხატვას ამჯობინებდა, თუმცა ვოლფსკელის შესახებ მითხრა ერთხელ: რასაც მისი მდიდარი, ზედმეტად გადატვირთული სამზარეულო გვთავაზობს, მოსანელებლად ძნელია, მაგრამ ის ცეცხლი, რაზედაც ეს ყველაფერი მზადდება, ნამდვილი ცეცხლიაო". ვოლფსკელი ემიგრაციაში გარდაიცვალა და მისი დროის ერთ-ერთ უდიდეს გერმანელ პოეტად მიიჩნევენ, ხოლო ის ნაწარმოებები, გადახვეწილობის დროს რომ დაწერა, მხარს უმშვენებს მის მიერვე გალმერთებულ დიდოსტატს შტეფან გეორგეს.

სრულიად განსხვავებული, თავისებური ნიუანსი შემოჰქონდა ჩვენს წრეში მხატვარ კლეეს. ფაქიზი, წყნარი და შინაგანი სულიერებით აღბეჭდილი, ვიოლინოს უკრავდა ჩვენს ტერასაზე — სავსე მთვარის შუქზე და გვაჯადოებდა ისევე, როგორც მისი დიდებული აკვარელები, თვეობით რომ გვიტოვებდა ხოლმე აღსაქმელ-დასათვალიერებლად. მის ნამუშევრებთან ამ ხანგრძლივ კონტაქტს უნდა ვუმადლოდეთ, დღევანდელ ხელოვნებას ალღო რომ აუღო რილკემ, თუმცა მთლად დარწმუნებული არა ვარ, მართლა მოსწონდა თუ არა კლეეს მაშინდელი ზედმიწევნით რომანტიულ-ლირიული გატაცება ისევე, როგორც მისი დახვეწილი მუსიკალობა, რომელიც მის მხატვრობასა და დაკვრაშიც ერთნაირად იგრძნობოდა.

რილკეს დატყვევება შეეძლო ვიოლინოს ერთ გაჟღერებას, ან თუნდაც სიმღერის ერთ რომელიმე ხმას, მაგრამ ხშირად თავს არიდებდა დიდი სიმფონიური კომპოზიციების მოსმენას, რადგან ამგვარი მუსიკის სილრმისეული განცდა მის სულიერ ძალებს აღემატებოდა. ასეთი მძაფრი ზემოქმედების გავლენითაა დაწერილი ერთი საოცარი ლექსი, ჩემს ხელნაწერთა წიგნაკში რომ ჩამიწერა:

მომნუსხოს რისხვამ, მუსიკავ, შენი გრძნეული რიტმის!
ხარ საყვედური ამაღლებული, ზედ გულს მირქმული,
თავდაურვებით აზვირთებული.
ო, გულო ჩემო:
დიდებულება იხილე შენი. ყოველთვის ძალგიძს

არ აჰყვე რხევას? თუმც კი თაღები უზენაესნი,
კვლავ მოელიან, რომ მათ აღავსებ
ორღანისებრი უზღვავი ღელვით.
რაღად მიელტვი შორი სატრფოს მიმქრალ
ხატებას? —
შენს მონატრებას არ ჰყოფნის სუნთქვა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომ საშინელი სამსჯავროს მორბედს —
საყვირს ჩაჰბეროს ანგელოსისა
და ქარიშხლები შვას ანაჟღერი:
ო, არ არსებობს, ჯერ არ შობილა,
ვისაც ასეთი წყურვილით ელი...

იგი განსაკუთრებით დაინტერესებული იყო იმხანად მითებით; ხშირად ხვდებოდა ფელიქს ნოგერატს, რომელიც მითების დიდი მცოდნე და ამ სფეროს გამოცდილი მკვლევარი გახლდათ. რამდენადაც მაგონდება, გემის კიჩოზე გამოსახული ფიგურები, ე. წ. გალიონის ფიგურები ამ საუბრებში მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ და მახსოვს, რა დიდ ხანს ჩამრჩა გონებაში სიტყვები: „ნილაბი არის ღმერთი". განა ეს იმის დასტურად არ გამოდგებოდა, „ახალგაზრდა პოეტისადმი" მიძღვნილ წერილში რომ ამბობს რილკე: „ეს ასეა მართლაც, ღმერთებმა არავითარი საშუალება არ ითაკილეს ჩვენი სააშკარაოზე გამოყვანისა: მათ ეგვიპტის უძლიერესი მეფეები აღმოგვაჩენინეს თავიანთ აკლდამებში და ჩვენ საკუთარი თვალით ვიხილეთ მათი სრულიად ბუნებრივი ხრწნის პროცესი, ასე რომ მეფეთაც კი მოკვდავთათვის დამახასიათებელი არაფერი დაჰკლებიათ. სარკოფაგების, პირამიდების აგებისა და საკმევლის მილმა ცა არ გახსნილა. მათ ვერც თიხისაგან დამზადებული პურები და ვერც მხევლები ვერ გამოიყენეს იმქვეყნიური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. იგი, ვინც გაიაზრებს, უწმინდესი და უსასტიკესი ხილვების რა სისავსე იქნა უგულვებელყოფილი და უკუგდებული აქ (და ისევ და ისევ) ჩვენი აზროვნებისათვის მიუწვდომელი, საამისოდ მოხმობილი არსებების მიერ, არ შეიძლება არ თრთოდეს ჩვენი განუზომლად უფრო დიდი მომავლის წინაშე. და თუ იგი ასევე გაითვალისწინებდა, რა მოუვიდოდა ადამიანის გულს, მის გარეშე, გარე სამყაროში, ქვეყნიერების რომელსამე კუთხე-კუნჭულში გარკვეულობა, სიცხადე (*Gewißheit*) რომ წარმოშობილიყო, საბოლოო, სრული სიცხადე, როგორ განადგურდებოდა ერთი დარტყმით მისი ათასწლეულებით ნამრავლ-გაასკეცებული დაძაბული ცნობისმოყვარეობა, თუმცა ადგილი, ახლა უფრო სახელმოხვეჭილი მაინც დარჩებოდა, ოღონდ ისეთი, მის წარსულს რომ საიდუმლოდ მოიგონებდნენ. რადგან, მართლაც, ღმერთების სიდიადეც მათსავე აუცილებლობაზეა დამოკიდებული: როგორი თავშესაფარიც არ უნდა მივუჩინოთ, ვერსად იქნებიან ისე დაცულნი, როგორც ჩვენს გულებში. სიზმარეულნი გულს ჩაგვივარდებიან ხოლმე, ჯერაც გაუნაწილებელი გეგმებით აღსავსენი, იქ იყრიან თავს სერიოზული ბჭობისათვის; მათი გადაწყვეტილება იქ იწყებს ხორცშესხმას"... ეს სიტყვები მიგვანიშნებენ, ის, რასაც ჩვენ

ვქმნით, მაშასადამე სურათი — სახება, ღვთაებრივია თავად, ღვთისაკენ სწრაფვა-მონატრებაა, ღვთის სიახლოვის შეგრძნება და ღვთაებრივი არსია.

დროგამოშვებით პაულ კლეესთან გამართულ კონცერტებზე გვეპატიჟებოდნენ, მისი მეუღლე არაჩვეულებრივი პიანისტი იყო. მახსოვს ერთ-ერთმა მუსიკოსმა ქალმა სურვილი გამოთქვა „კორნეტის" მუსიკალურ თანხლებას შევასრულებო — (მუსიკა უნგრელ კომპოზიტორს ეკუთვნოდა). ჩვენც გავემართეთ მოსასმენად. რილკეს მიაჩნდა — „კორნეტს" საკუთარი მუსიკალობა გააჩნია და მუსიკალურ თანხლებას საერთოდ არ საჭიროებსო. საერთოდ კი საკუთარი ნაწარმოებების ყოველნაირი გახმოვანების წინააღმდეგი იყო, რაც მისი გამომცემლისადმი მიწერილ წერილშიცაა ხაზგასმული: „ის, რომ „კორნეტი" ახლა უკვე მელოდრამატული სახითაც გავრცელდა (მას შემდეგ, რაც თავისი მუსიკის გარეშე არსებობაც მწვერვალამდე აიყვანა), არც შეიძლება გულზე დიდად მეხატებოდეს, ამით მისი დონე დაბლა ეშვება ხელოვნების გაორებულ ორაზროვან სახეობამდე, რაც არათუ ერთ მთლიანობად, არამედ გულწრფელობას მოკლებულადაც მესახება. მუსიკას შერეული კი რამდენადმე წყალწყალა გულითადობის ელფერსაც იძენს, თითქოსდა ახალი პოპულარობის მოხვეჭა სწყუროდეს. ეს კი ანაზდეულ ტკივილს მპირდება — მისი საზოგადოებაში ამგვარი კეთილგანწყობილი მიღების ხილვა..." განა ხანდახან მწერლისათვის, ხელოვანისათვის უხერხული არ არის იმის გაგება, რაოდენ შეუსაბამოდ მაღალ შეფასებას აძლევენ ადამიანები მისეულ ახალგაზრდობისდროინდელ ნაწარმოებს, რომელსაც არა თუ უგულვებელყოფს, არამედ, ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ პირველი საფეხურია მისი შემოქმედებისათვის. „მაშასადამე, ეს „კორნეტი" ჩემს მაგივრად მოგზაურობს მთელს მსოფლიოში", — ამბობდა იგი. და მართლაც, 1914 წელს მრავალი ჯარისკაცის საველე ჩანთაში იპოვიდით ამ წიგნს. მას შემდეგ რა გზა აღარ გამოიარა რილკემ, რა სიზუსტე და იმავდროულად რა ტრანსპოზიცია, როგორი აღმაფრენა განიცადა აბსოლუტურ სულიერებამდე. „ახალ ლექსებში" იგი მიისწრაფვის გარკვეულწილად გარდაისახოს ჭვრეტის საგანში, რათა შესძლოს იგი (საგანი) შიგნიდან გარეთ შექმნას. მას უკვე მუსიკალური ტონის მომაჯადოვებელი ძალა, სურათ-ხატებისა და სიმბოლოების თავგრუდამხვევი ზემოქმედება კი არ მართავს, არამედ კონსტრუქციული, არქიტექტონული ნება, რომელიც შინაგანი აუცილებლობიდან გამომდინარე ძერწავს ფორმას. „ახალგაზრდა გრაფ კალკროიტისადმი მიძღვნილ რეკვიემში" ვკითხულობთ:

... პოეტთა ძველი ჩვევა წყეული,
საცა თქმა სჯობდა, არჩევენ სულთქმას,
საკუთარ გრძნობის განსჯას მისდევენ,
ვერარას ქმნიან. და სჯერათ ისევ
იციან თითქოს, რა გააჩნიათ
სასიხარულო, თუ საწუხარი.
თითქოსდა ლექსად სინანულისა,
თუ ხოტბის თქმისა ჰქონდეთ უფლება.

სნეულთა მოთქმით ხმობენ სატკივარს.
იმის მაგივრად, მეტყველ მყარ სიტყვად
გარდაისახონ, იმ ქვისმთლელივით,
ტაძრის აგებას შეჭიდებული,
ქვის გულგრილობად რომ გარდიქმნებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიტმი და ხმოვანების შეფერილობა მოვლენიდან იბადება და მთლიანად ემთხვევა მას. ამ ლექსებს სრულიად ახალი ზემოქმედების ძალა გააჩნიათ, ახალი გაბედულება, მისი გამჭოლი მზერის გავლენით, თითქოს სიღრმიდან რომ იმზირება და მათ (ლექსებს — ლ. დ.) ქირურგიული სიზუსტით, ლამის შიშისმგვრელ სიახლოვეს რომ ანიჭებს, საოცრად მგრძნობიარე ძალა, რომელიც ძალისმიერად ერწყმის ზეგრძნობიერს და მისტერიად იქცევა. აქ შექმნილია აქამდე მიუღწეველი სიხისტისა და სიმძაფრის მატარებელი სახეების სამყარო, ხშირად მრუმე, ტანჯვა-წამებით აღსავსე, მღელვარებითა და შინაგანი წინააღმდეგობით დატენილი. ეს ლექსები ნაკლებადაა ფართო საზოგადოებრიობისათვის მიღებული და მე მიკვირს, რომ დღესაც რილკეს თაყვანისმცემელთაგან მრავალნი ბოლომდე ვერც კი უღრმავდებიან ამ ლექსებს, როგორც ჩანს. საერთოდ, რილკეს უზარმაზარი და მრავალმხრივი შემოქმედებიდან, მკითხველები მხოლოდ იმ ნაწარმოებების სიღრმეებს არიან ზიარებულნი, სულიერი გარდასახვის არცთუ ღრმა და შორს მიმავალი პროცესი რომ სჭირდებათ. მაშინ, როცა სწორედ მათშია ის ამოუცნობი მხურვალება და ცოდნით გაჯერებული ალქიმია: „საშინელი სამსჯავრო“, ან „მკვდრეთით აღმდგარი“ საამისოდ ზუსტი მაგალითებია:

საშინელი სამსჯავრო

დამფრთხალნი ისე, როგორც არასდროს,
მოსავსავენი, დაფლეთილები,
დამსკდარ მიწაზე, ვით ქანდარაზე,
ჩვეულ სუდარას ჩაფრენილები.

სხედან, ვერ ახსნის იმათ ვერავინ.
თუმც ანგელოსნი ფხიზლობენ ისევ,
არც რა გამორჩეთ დაუზვერავი,
დაშრეტილ ტაფებს ზეთავენ მყისვე.

და იღლიებში შეუმალავენ,
რაც წუთისოფლის ორომტრიალში
შერჩათ მათ თბილი, შეუბღალავი,..

. . . . . .

რომ არ შეეხოს უფლის მარჯვენას
სიცივე, ფრთხილად როს მოიხილავს
თხემით ტერფამდე მათ განსასჯელად.

და შემდეგ:

მკვდრეთით აღმდგარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერასდროს შესძლო, ბოლო ყამამდე
ან უარეყო, ან განდობოდა,
რომ სიყვარულით გაბრწყინდებოდა;
და ჩაიკეცა, ჯვარს მიყრდნობილი,
ტრფობის ტკივილი ემოსა ოდენ,
თვალ-მარგალიტით შემოჭდობილი.

. . . . . .

შემდეგ კი, როცა ნელსაცხებელად,
თვალცრემლიანი დასწვდა სუდარას,
აღმდგარმა მკვდრეთით მისად საოხად
ზენეტარებით აუწყა: არა.

. . . . . .

ქალმა მღვიმეში აღიქვა მხოლოდ,
იგი, სიკვდილით განამტკიცები,
რად უკრძალავდა ნელსაცხებელით,
წინასწარგრძნობას თუნდაც შეხების,

სურდა შეექმნა მისგან მხევალი,
ვინც სატრფოსაკენ აღარ იხრება
და ქარაშოტთა თანამდევარი,
მის ხმიერებას გაეჯიბრება.

ამ უკანასკნელ ლექსში ადამიანური სიყვარულის თემა ხშირად მეორდება, რომელიც მარადიული სიყვარულის წინამორბედ საფეხურს უნდა წარმოადგენდეს, სიყვარულის პირვანდელ საგანს უნდა აღემატებოდეს, რათა მარადისობაში დაიმკვიდროს ადგილი.

ეს, მისი ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელი მრავალმხრივი ურთიერთობები განმარტავენ დიადი მეტრფეებისადმი მის აღტაცებას და მათ გაღმერთებას; ისეთნი როგორებიც იყვნენ: პორტუგალიელი მონაზონი, ვისი წერილებიც მისი თარგმნილია, იულია დე ლეპინასი, ლუიზე ლაბე, გასპარა სტამპა და სხვანი. აგრეთვე ბეტინა, გოეთესადმი მიწერილი მისი წერილები დიდხანს აჯადოებდნენ რილკეს. მათ ყველას დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ პოეტის მიწერ-მოწერაში. რილკეს აოცებდა მათი შინაგანი ცეცხლი, მთელ სამყაროდ რომ იქცა მათთვის და რომელშიც საკუთარ თავსაც კი აღემატებოდნენ, სწორედ ამ სამყაროში, ყოველგვარი განხორციელების მიღმიერ მხარეს სუნთქავდნენ ისინი თავისუფლად. პირველ ელეგიაში ვკითხულობთ:

თითქმის გშურს კიდეც მიტოვებულ მიჯნურებისა,
რომელთა გრძნობას უფრო ძლიერ ტრფობად მიიჩნევ,
ვიდრე სიყვარულს წყურვილმოკლულთა.
მუდამ თავიდან წამოიწყე ქებათა-ქება,
ვერასოდეს რომ ვერ მიაღწევს საწადელ მიზანს,
გახსოვდეს: გმირი თავს ინარჩუნებს.
თვით სიკვდილიც კი საბაბია მისი ყოფნისა:
დაბადება უკანასკნელი.
ხოლო მიჯნურებს ქანცმიხდილი დედაბუნება
უკან იბრუნებს, თითქოს მეორედ
მათ შესაქმნელად ძალა არ ჰყოფნის.
თუ გიფიქრია შენ საკმარისად გასპარა სტამპას დიდ
სიყვარულზე,
ან მიჯნურისგან მიტოვებულ ქალწულზე, ვისაც
ამ ამაღლებულ სიყვარულის ნიმუში შესძრავს:
მისი მსგავსი თუ გავხდებიო?
ბოლოს და ბოლოს ძველთა-ძველი ეს სატკივარი
აღარ გახდება ჩვენთვის უფრო ნაყოფიერი?
არ დადგა ჟამი, თან გვიყვარდეს, თან გავერიდოთ
მეტრფეს და თრთოლვით ავიტანოთ ეს განშორება
ვით ლარს იგუებს ისარი, რათა
ნახტომში ფრენად შენივთული თავს აღემატოს,
რადგან ამ ქვეყნად ვერსად დარჩები.

ბოლო დროის ნერვიულობამ დამჭანცა და ექვსი კვირით შვეიცარიას მივაშურე, სილსმარიას სიახლოვეს, საიდანაც ახალი ძალებით დამუხტული, ხალისით აღსავსე დავბრუნდი. ჩვენი დაახლოების ერთი წლისთავის აღსანიშნავად ცოტა ხნით ავედით ირშენჰაუზენში. ეს ხანი ჩემს საუკეთესო მოგონებებს განეკუთვნება. მიუხედავად ათასგვარი დაბრკოლებებისა, ცხოვრებისეული გზის პატარა მონაკვეთი ერთად გავლიეთ — მე საშუალება მქონდა რილკეს ცხოვრების წესს, მის სიხარულს, გრძნობათა სამყაროს, ნერვიულობასა და კონფლიქტებს დავკვირვებოდი. სიხარულს მანიჭებდა ის გარემოება, ბევრი რამ რომ გავიგე და ჩავწვდი, ისიც კი, რაც ხანდახან ტკივილს მაყენებდა კიდეც. მისი გრძნობების მოზღვავებისა და უკუქცევის მონაცვლეობა ყოველთვის ადვილი გასაგები არ იყო ჩემთვის და ხშირად გამოცდის წინაშე აღმოვჩენილვარ. მაგრამ იქ, მთებში ყოფნამ დიდი შვება და ჰარმონია მაგრძნობინა. რილკემ ინზელ-ალმანახში, ომისდროინდელ სიმღერებს რომ შეიცავს და რომელიც ერთი წლის უკან წამიკითხა კიდეც, ჩამიწერა:

ლ

გახსოვს ხომ ისევ: შენს ლბილ მდელოზე
რომ წაგიკითხე ადრიან დილით
(იმ პირველდელი, ნეტარი დროის
საგანძურს რომ ამოვარიდე),

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლოვა-დიდების საგალობელი.
ასე მეგონა, რომ კიდით-კიდე
ცხოვრება შენი, მაღლით მესმოდა;
რომ ყველა მხრიდან ახლოვდებოდა;
ლორთქო ბალახებს უბრად სწყდებოდა
და ჩემს ხმის სივრცეს უერთდებოდა.
მაგრამ უეცრად, როცა დავდუმდით,
უკიდეგანო სიახლოვიდან
შენს მგრძნობიარე არსებაში კვლავ დაგაბრუნე.
შორს ყოფნა მხოლოდ სმენაა სრული:
უსმინე. ახლა შენ ხარ სიჩუმე.
თუმც მზერა ჩემი გაგამთლიანებს
და შენივთდება საყვარელი: სხეული შენი.

რ.

იმდროინდელ ნაცნობ ბილიკებს განახლებულ მიგნებებთან და განახლებულ სიხარულამდე მივყავდით ხოლმე, ხშირად სეირნობა გვიანობამდეც გასტანდა, როცა ვარსკვლავებით მოჭედილი ცა დაგვნათოდა თავს. ერთხელაც, როდესაც რილკე ომით გამოწვეულ შემოქმედებით უმოქმედობას ჩიოდა, ვუთხარი: „განა შენს ბუნებას უფრო არ შეეფერება, ასტრონომიას მიუძღვნა თავი, თუკი მაინცდამაინც მოწესრიგებულ სამუშაოს ეძიებ, ვიდრე ექიმობა მოინდომო-მეთქი?“ — ვთქვი თუ არა, მაშინვე მომეჩვენა, რომ ჩემი რჩევა მცდარი იყო.

მე ლაღად ავყევი ამ დიდებული ღამეებით მოგვრილ აღტაცებას, თუმცა გულის სიღრმეში მაინც ვიცოდი, რომ ვერავითარი მეცნიერება, ვერავითარი სისტემატიური ცოდნა ვერ გაუწევდა მას სათანადო სამსახურს იმაში, რისთვისაც მოწოდებული და განსაზღვრული იყო. რილკეს თავისი არჩევანი მოვლენებს შორის უნდა მოეხდინა იმ კანონების გათვალისწინებით, რომლებიც მის შინაგან მოწოდებას შეესაბამებოდნენ. რაღაც მომენტამდე თითქოს ჩემი იდეით დაინტერესებულიც კი ჩანდა, მაგრამ მის განხორციელებამდე საკმაო გზა რჩებოდა მაშინაც კი, თუ ჯარში არ გაიწვევდნენ. წლის ბოლოს ყველაფერი უნდა გადაწყვეტილიყო.

რილკემ სიურპრიზი მომიწყო, ძერწვისათვის საჭირო ყველანაირი მასალა მომიტანა და ჩემი პირველი ცდები ქანდაკებაში სწორედ იმდროინდელია. რა გულთბილი ყურადღება იყო მისგან, ასეთი რამ რომ შემომთავაზა! ორივე შემოქმედებითი ცეცხლითა და წყურვილით ვიყავით აღსავსენი.

ხშირად უთქვამს, თქვენ, სახვითი ხელოვნების წარმომადგენლები, შესაშურ უპირატესობას ფლობთ, წმინდა ხელოსნობასთან რომ გაქვთ კონტაქტი, რადგან უკვე ესეც კი ძალისხმევის გამდიდრების წყაროაო.

ამასთანავე დროის უდიდესი ნაწილი დოსტოევსკის ნაწარმოებთა კითხვას ეთმობოდა, რაც რუსეთისადმი მის მარადიულ მონატრებას განახლებულ სიმძაფრეს ანიჭებდა. რილკემ იქ, რუსეთში მიაგნო ყველა

ადამიანური საკვანძო საკითხისადმი თავდადებულ დამოკიდებულებას, ასეთ წინააღმდეგობას რომ ქმნის ჩვენი თანამედროვე ცხოვრების წესთან და რასაც საბოლოოდ აბსურდამდეც კი მივყავართ. ერთ-ერთ გვიანდელ ლექსში ვკითხულობთ:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოყვასო, ნუთუ ახალი ეთქმის,
როცა მარჯვენას ჯაბნის მანქანა.
მცდარმა გარდაქმნამ გაცდუნათ განა,
მალე დასცხრება, ვინც „ახალს“ ელტვის.

და შემდეგ:

არ დაიჯერო, უშორესი ტრანსმისიონნი
რომ აბრუნებენ მერმისის ბორბალს.
რადგან ეონებს ხმობენ ეონნი.
აღსრულდა მეტი, ვიდრე ვჭვრეტთ მომხდარს...

რუსი, ათეისტიც რომ იყოს, როგორლაც მაინც მორწმუნე რჩება. რწმენა მისი არსების საფუძველთა საფუძველს წარმოადგენს. შეიძლება ეს გარკვეულწილად რუსეთის უვრცელესი ლანდშაფტებისა და უკიდეგანო მანძილების გამოც ხდება, რადგან ერთმანეთისგან ესოდენ დაშორებული ადამიანები საკუთარი პიროვნებისადმი მოკრძალებულ დამოკიდებულებას იძენენ. ასევე შეიძლება აიხსნას ის მოთხოვნილებაც, ჩვენ რომ გადაჭარბებულად მივიჩნევთ, როცა ადამიანები ერთმანეთთან ურთიერთობას ცდილობენ განუწყვეტლივ, რათა ერთობლივად ჩასწვდნენ იმ დიდ მისტერიებს, ჩვენს არსებასა და ჩვენს მიღმურ სამყაროში რომ არსობენ და ბევრად უფრო არსებითნი არიან მათთვის, ვიდრე ყველაფერი დანარჩენი ცხოვრებაში. აქედანვე გამომდინარეობს, მეზობელთან ნებისმიერ დროს სტუმრობის უფლებას რომ აძლევენ თავს, რათა საკუთარი სინდისის ქენჯნა, კონფლიქტები და პრობლემები გაანდონ ერთმანეთს. როდესაც საქმე ადამიანთა სულიერ მდგომარეობასა და ბედისწერას ეხება, კლასობრივი განსხვავება აღარც კი არსებობს. პრინცები თავიანთ მებაღეებს ესტუმრებიან, საშინელ დანაშაულში გამოუტყდებიან და თავიანთი სინდისის ქენჯნას აშიშვლებენ.

ერთხელ ღამით, რომელიღაც ძველ სასტუმროში, რილკესთან შევიდა ახალგაზრდა ოფიცერი, რომელიც ალიონზე ისევ უნდა გამგზავრებულიყო, — მოუთხრო მთელი თავისი ცხოვრება, გადმოუშალა მისი საზრუნავი, სულიერი შიშები, ცოდვები, პრობლემები, რათა აღარასოდეს შეხვედროდა მეტად. მან „ძმას“ მიმართა და მართლაც ნამდვილი „ძმა“ იპოვა.

ყოველივე ეს რილკესთვის რუსული ცხოვრების საფუძველს წარმოადგენს. ჩვენ დასავლელნი ამგვარ საკითხებს თუკი საინტერესოდ მივიჩნევთ, ალბათ რამდენიმე საათს თუ შევწირავთ, მარტოობის საათებს. საერთოდ კი ვცდილობთ ჩვენი არსებობა ორგანიზებული გავხადოთ, ყოველმხრივ გავარკვიოთ და აქედან ვამომდინარე, მივიღოთ ესა თუ ის

გადაწყვეტილება. ზედმიწევნით, გამოკვეთილად რუსული კი რასაც ჰქვია, ესაა ნიჭი ყოველგვარი სიფრთხილისა და დაზღვეულობისადმი უყურადღებო დამოკიდებულებისა. რუსი არც თავს უფრთხილდება და არც იმას, რაც გააჩნია.

რილკეს, უპირველეს ყოვლისა, იზიდავს რუსული სულის ღმერთთან ურთიერთობისას არსებული მუდმივი ფორიაქი. ეს მარადიული კითხვაა, ისევ და ისევ რომ დაისმის. ღმერთი, რომელიც ჩვენს წარმოსახვაში უნდა შევქმნათ, რომელსაც უნდა ვუხმოთ და ბრძოლით მოვიპოვოთ, ღმერთი, რომელიც მარადიულ ეჭვს ბადებს, მომავლის ღმერთი, მხოლოდ მკრეხელობისას რომ წარმოჩინდება, როგორ უნდა ვიარსებოთ მის გარეშე? იმ ღმერთის გარეშე, რომელსაც პასიურად ვერ აღვიქვამ, რომელიც იმით არ კმაყოფილდება, შინ რომ დავაკავოთ, რომელიც ერთხელ და სამუდამოდაა ჩვენი ეკლესიის გაქვავებულ რიტუალებში დრაპირებული, რომელიც ამქვეყნად მხოლოდ ნამდვილ სისხლნაკლოვანებად ქცეული რწმენით ცოცხლდება. ეს უკანასკნელი აზრი უძლიერესადაა ჩამოყალიბებული ლექსში „ღმერთი შუა საუკუნეებში“:

იგი საუნჯედ სურდათ ჰყოლოდათ,
სურდათ განეგო წუთისოფელი,
და ბოლოს ექცნენ მძიმე ლოდებად
(ცად ამაღლების დამაბრკოლებლად)

მათი ზვიადი კათედრალების
მასით და ტვირთით...

ჯერ კიდევ „ჟამნში“ აქვს ნათქვამი: „და არავითარი ეკლესიები, ღმერთს რომ ამწყვდევენ, დატყვევებული დაჭრილი ცხოველივით“... მსგავსი აზრია გამოთქმული მეათე ელეგიაშიც:

ო, რა უკვალოდ გაუქარწყლებდა მათ ანგელოსი ნუგეშის ბაზარს,
ეკლესია რომ ემიჯნება, შეძენილი მზამზარეულად:
სუფთად მოვლილი და ჩარაზული — გაწბილებული იმედების
ამარა მდგარი,
ისე ვით ფოსტის სამსახური კვირადღეობით.

მე ვგრძნობდი, როგორ ხდებოდა ჩემთვის თანდათან ყველაფერი გასაგები, რაც „ჟამნ“-ში ღმერთის ტრადიციულ გაგებას ეწინააღმდეგებოდა და რაც ძლიერ ზემოქმედებას ახდენდა ჩემზე. „მეზობელი ღმერთი“, ღმერთი, „რომელიც ჩვენი საგანძურის მემკვიდრეა“, ჩვენი „ვაჟიშვილი“, და მრავალი ამგვარი მიმართვა ჩემს გაუცხოებას იწვევდა. აქ საქმე თავად ცხოვრების გაღმერთებას ეხებოდა ამოუწურავ ხატ-სახეებში. ღმერთი რილკესათვის სიცოცხლის იდუმალებით მოცული ინტენსივობაა თავად, მარადისობა, დროით ხორცშესხმული რომ იძენს ელვარებას. მისი რელიგიურობა უგულვებელყოფს ყოველგვარ კომპრომისს, ყოველნაირ ნუგეშისცემას. თავად ქრისტესაც კი „ზეთის-

ხილის ბაღში“ (გეთსიმანიის ბაღში), განარიდებს იგი ანგელოსს, რომელიც შეიძლებოდა ნუგეშად ქცეულიყო, რომ სასოწარკვეთილი ეჭვი გასრულებულიყო, ის სასოწარკვეთა, რაც ახალი ხილვების წყაროდ შეიძლება იქცეს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიტვირთე მარტომ ძეკაცთა სევდა,
მეგონა ვძლევდი, იმედად შენდა,
შენ არ ხარ, ჰოი, სირცხვილი, ელდა...

თქვეს: ანგელოსი ფრთას ფრთაზე სცემდა. —

რად ანგელოსი? დაღამდა ოდენ
და ხელაღებით ფურცლავდა ფოთლებს,
მოწაფენი კი სიზმრად შფოთავდნენ
რად ანგელოსი? დაღამდა ოდენ.

ო, ღამე ბნელი, ჩუმი, ჩვეული
უთენებია ასე ათასგზის.
თვლემდნენ ძაღლები, ქვები ეული
ღამე მწუხარე, გულჩახვეული,
იცდის, იმედით კვლავ გათენების...

რილკე ხშირად, განსაკუთრებით კი ბოლო წლებში ხაზს უსვამს ქრისტიანობისადმი თავის ოპოზიციურ დამოკიდებულებას, ხანდახან მოულოდნელად მწვავე, უაღრესად თამამი სიტყვებითაც კი. მისი გატაცება ფრანჩესკო ასიზელით ამ რამდენადმე წარმართი წმინდანით „ვისშიც ყოველი სათნოება და მიწიერით განაოცები აღტაცება ღრმად სულდგმულობდა“, სრულიადაც არ ეწინააღმდეგებოდა მისივე ხსენებულ შეხედულებებს. ეს წმინდანი არსებათა სქოლასტიკურ იერარქიას არ სცნობს, მისი ნეტარი პანთეიზმი რილკემ ააღერა „სილატაკისა და სიკვდილის წიგნში“:

... სხვათა უმეტეს მოყვარული, ღრმა, სახიერი,
გაჩნდა და მრწემი წელიწადის მსგავსად ცხოვრობდა;
ბულბულთა შენთა შავგვრემანი ძმა სულიერი,
ვისშიც ყოველი სათნოება და მიწიერით
განაოცები აღტაცება ღრმად სულდგმულობდა...

რა ახლოსაა იგი აქ ინდოეთის შეცნობასთან, სადაც ასე ძალუმად სუნთქავს სულიერება, სადაც ბავშვების აღზრდას იმით იწყებენ, რომ თითოეულ მცენარესა, ქვასა თუ ცხოველში მთელი სამყარო დაანახონ მათ და მიესალმონ ამგვარად აღქმულ ბუნებას.

რილკეს მთელი არსება სიცოცხლისადმი სიყვარულსა და დაუოკებელ ლტოლვას აფრქვევდა. მისი უმძიმესი დეპრესიები კი ამ სიყვარულის გამოვლინების მეორე მხარე და ასპექტი იყო. თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ რამოდენიმე კვირის მანძილზე, ჩვენი ერთად ყოფნისას,

სიხარულით თავბრუდახვეული ჩანდა, სწორედ მაშინდელია ეს ჩანაწერი ჩემს წიგნში:

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

დაღლილი ურვის ამღვრეულ ლოდინს
გვარიდებს, ერთურთს რომ ვამცნობთ თრთოლვიდ
სიტყვა. რომელი? — აღვესრულებით —
ო, კოცნა სიტყვად აჟღერდა როდის?

კოცნა ოდესღაც სიტყვას ნიშნავდა,
ჯიქურად მეტყველს ღია ცის ზღურბლთან
სიტყვებს, ბჭეებიც ვერ გაუმკლავდა,
თუ კოცნა იყო ყვირილი სულთა...

ყვირილი სმობდა მშვენიერ ბორცვებს
შენი მკერდისა. ამოიგმინა ისინი ზეცამ,
ციურ გრიგალთა ყმაწვილობისას...

ჩვენი ერთადყოფნის საათები დამუხტული და ფრთაშესხმული იყო. განა მის პოეზიასა და მის ამოუწურავ ფიქრებსა თუ აზრებში ჩემს არსებობასაც არ ეკავა ადგილი? თავის მხრივ, ისიც სურვილით იყო აღსავსე, რაც შეიძლება ღრმად ჩასწვდომოდა მხატვრობაში ჩემი გრძნობების სიღრმეს. როგორი წყურვილით, როგორი მზადყოფნით უგდებდა ყურს ჩემს გაუწაფავ ახსნა-განმარტებებს, როცა ვუხსნიდი: „მე მინდა, ჩემს ნამუშევრებში საგნები, ნივთები კიდეც იყოს ასახული და იმავდროულად არც იყოს; მინდა, ისინი მხოლოდ იმით წარმოჩინდნენ, რაც მათ იდუმალი კავშირებით აერთიანებს-მეთქი. მაგრამ მათი იდუმალი კავშირების მიგნება ნიშნავდა, რომ მე ვიპოვე ის, რასაც ღმერთის ხელწერას ვუწოდებდი, ეს კი მარად მიუღწეველი უნდა დარჩეს“.

როგორ ვხარობდი, რილკეს მთელი ამ დროის მანძილზე თითქმის დაწყნარებულს, იმედით აღსავსესა და შემოქმედებითი აღმაფრენით დამუხტულს რომ ვხედავდი. ხშირად ისე მესაუბრებოდა, თითქოს „ათას ერთი ღამის ზღაპარს“ მიყვებაო და თან სარკესთან მივყავდი. სარკეები განსაკუთრებული მიზიდულობის ფენომენად მიაჩნდა. „ანარეკლებში არსებობა“ ერთ-ერთი ის გამოთქმაა, რომელსაც იგი ხშირად უბრუნდება და რომელსაც მრავალი მნიშვნელობა შეიძლება მივანიჭოთ.

უპირველესად, საქმე გვაქვს ადამიანის გარემოში შექმნილ გახსნილ გამანძილებულ სივრცესთან, რომელიც საშუალებას აძლევს მას, საკუთარ გარემოცვასთან შერწყმული, ერთ სურათად გამთლიანებული იხილოს თავი. სიჩუმის სტიქიაც სარკეს განეკუთვნება და ასევე მნიშვნელოვანია. გარკვეული მანძილით დაშორება, „შეუღწევადობა“ ანარეკლის აღქმის გამძაფრებას უწყობს ხელს. არამატერიალურ სივრცეში გამოსახულების არეკვლის სასწაული ერთხელ მაინც განუცდია თითოეულ ჩვენთაგანს ბავშვობისას. ამ ხელშეუხებელ სამყაროში შეღწევა ფანტაზიით უფროა შესაძლებელი, ვიდრე თვალთახედვით, რაც გვიბიძგებს ხილულ საგანთა მიღმა, სხვა უხილავი სამყაროც ვიგულისხმოთ; ანდა რატომაც არ უნდა არსებობდეს ხილული სინამდვილის მი-

ღმა რომელიღაც სამყარო, ჩვენთვის უხილავი? აჩრდილთა ან გარდაცვლილთა სამყარო? ყველაზე უფრო ადვილად სწორედ ისინი შეიძლებდნენ ამ საუფლოში შეღწევას. ალბათ არცთუ უსაფუძვლო იყო, სოფლად სარკეზე ქსოვილს რომ ჩამოაფარებდნენ ხოლმე მიცვალებულის დაკრძალვის შემდეგ, რათა თავიდან აეცილებინათ მოჩვენებათა მოლანდება. რილკე, რა თქმა უნდა, ასე არ მოიქცეოდა, იგი ხომ განსაკუთრებული სიფრთხილით ეპყრობოდა გარდაცვლილებს. სარკის ფენომენი უამრავ კითხვას სვამს და იმავდროულად გვთავაზობს კიდეც, ვეცადოთ ჩავწვდეთ საკუთარი არსებობის აზრსა და საფუძველს. რილკესათვის სარკე, უპირველეს ყოვლისა, ქალის სამყაროა. იგი უკანვე ასხივებს ქალის გამოსახულებას, რაც ამ უკანასკნელისათვის საზრდოს ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს ლამის. რილკე ქალის დამოკიდებულებას სარკისადმი რამდენადმე განასხვავებს მამაკაცის დამოკიდებულებისაგან და უპირისპირებს მათ ერთმანეთს:

ისე გვიძირავს მამაკაცებს სარკის კრიალი,
თითქოს გვისრუტავს ჩვენი არსის ჭა იდუმალი;
ქალი კი ეძებს და თავისას მაინც მიაგნებს.
თავს იორმაგებს, რომ გასრულდეს და გამთლიანდეს.

ეშურე სატრფოვ, სამკვიდრებლად ცივ მინის წიალს,
შენმა შენდამი ლტოლვამ თავი კვლავ განიახლოს
და იმისათვის აღიდგინოს სახე უცვლელი,
რაც ამ ლტოლვაში არის სიტყვით გამოუთქმელი.

აღმატებული შენი ასლით: ხარ რა მდიდარი
შენი თმით, ღაწვით, გიბრუნდება შენივ დასტური;
და საკუთარი ანარეკლით აღვსილი, სრული,
თრთის მზერა შენი, მიდარებით დანაბინდარი.

შემდეგ თვეში მამასთან გავემგზავრე ვისბადენს. რილკემ ფრანკფურტამდე გამაცილა, სადაც თავისი მეგობრები ფონ დერ ჰაიდტები მოინახულა. იქიდან ისევ ვისბადენში დაბრუნდა, რათა მამაჩემთან ვიზიტის შემდგომ მეც უკან გამოვეცილებინე.

მიუნხენში დავბრუნდით თუ არა, ჩვენს მეგობრებს მივაშურეთ. რილკეს ძალიან იზიდავდა ლოტე პრიტცელი თავისი ხელოვნებით, რომელსაც მე ვხატავდი და რომელმაც მთელი თავისი შემოქმედება თოჯინების შექმნას შეალია, ასეთ ფანტასტიურ და არარეალურ გამოსხივებას რომ აფრქვევდნენ ირგვლივ. ისინი ამოკვნესასავით და მთვარის შუქივით სევდიანები იყვნენ და გარკვეულ შინაგან დრამასაც ატარებდნენ თითქოს; რალაცა ჰქონდათ ხელოვნური, ოდნავ პერვერსიულიც კი. რილკე ასე გამოხატავს თავის აზრს:

„ის წრე რომ განისაზღვროს, რომელშიაც ამ თოჯინების არსებობა მიედინება, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ მათი ყოფიერება ბავშვებს გამორიცხავს“.

მისი ცნობილი ნარკვევი „ზოგიერთი რამ თოჯინების შესახებ“, ლოტე პრიტცელის თოჯინების ქმედების შედეგია. ლოტე იმ ბოჰემურ ჯგუფში იყო გაერთიანებული, ავანგარდულ მოძრაობას რომ ეკუთვნოდა. ვილჰელმ ჰაუზენშტაინიც, ცნობილი ხელოვნებათმცოდნე, რილკემ ჩემს სახელოსნოში გაიცნო. ეს ნაცნობობა შემდეგ სანგრძლივ მეგობრობაში გადაიზარდა. მხატვრებიც ხშირად მოდიოდნენ ჩემთან, მათ შორის კასპარი და მისი მეუღლე, კასპარ-ფილზერი.

რილკე წერდა მამაჩემს იმხანად:

„ღრმად პატივცემულო საიდუმლო მრჩეველო,

რადგან ვიცი, რა ინტერესით ადევნებთ თვალყურს თქვენი ქალიშვილის, ლულუს მხატვრობას და რომ ამასთან ძალიან იშვიათად გაქვთ საშუალება ბოლოდროინდელი ნამუშევრებიდან საკუთარი თვალით გეხილათ რომელიმე, თავს უფლებას ვაძლევ, ავყვე ჩემს სურვილს და ამ მშვენიერ შუადღეს გაცნობოთ, რომ ახლახანს ლულუს გამოფენის მსგავსი ღონისძიება ჰქონდა. მე წილად მხვდა ბედნიერება, სხვა მრავალ პიროვნებასთან ერთად, როგორიც არის მხატვარი კასპარი მეუღლითურთ (ორივე აღიარებული და მნიშვნელოვანი ხელოვანია). მათ თავი მოიყარეს ქ-ნ ლულუს ახალი ნამუშევრების სანახავად. ზედმიწევნით ამაღელვებელი იყო კასპარის აზრის მოსმენა ზოგიერთ პორტრეტსა და პეიზაჟზე. ხარბი ინტერესით ათვალიერებდა იგი ნამუშევრებს და სურვილი უჩნდებოდა მეტი და მეტი, თითქმის ყველაფერი ენახა გულდასმით. ეს კი მისი საფუძვლიანი დაინტერესების ხარისხზე მეტყველებს. მცირე შესვენების შემდეგ, რაც ჩაით გამასპინძლებას მოჰყვა, ისევ სურათებს მივუბრუნდით, ბოლოს ძველი ნამუშევრებიც გადავათვალიერეთ და ნათელი გახდა, რა უზღვავი შრომა დასჭირდა მათ შექმნას, ამაში თუნდაც მათი მოცულობის ერთი თვალის შევლებითაც კი დარწმუნდებით. წარმოდგენილი ძველი ნამუშევრების რაოდენობრივი სიჭარბის მიუხედავად, ახლები ხარისხის ინტენსივობის მიხედვით სწორედაც რომ არაფრით ჩამოუვარდებიან ძველებს. რამდენიმე საათის განმავლობაში გაცხოველებული ინტერესით ვარჩევდით სურათებს და რადგან ჭეშმარიტად გამოცდილი საქმის მცოდნის აზრი და შეფასება აღსაქმელ საგანს სრულად ახლებურად და მნიშვნელოვნად წარმოაჩენს იმათთვის, ვისაც ეგონა რომ ეს საგანი მისთვის ცნობილი იყო უკვე, — მეც, ასევე, ზოგიერთი სურათისადმი უფრო ძლიერი და სავსებით გარკვეული დამოკიდებულება გამიჩნდა. ის ენერგია, დასმული ამოცანის ყოველჯერადი გადაწყვეტა რომ მოითხოვს, განსაკუთრებით პორტრეტებს ვგულისხმობ, აღემატება კიდეც იმას, რაც შეიძლება შევბედოთ საზოგადოდ ქალს მოთხოვნის სახით. სიუჟეტის ასეთი ძლიერი, ლამის ხელშესახები ჩავლება, მუშაობის წყალობით მყისიერი აღქმისათვის გათვალისწინებული და ყურადსაღები პრობლემის სოლიდურსა და საფუძვლიან განხორციელებად გარდაიქმნება. მაშინვე გრძნობთ, რომ ეს ხელოვნება უფრო ღრმა სუნთქვით სუნთქავს და ძალას იკრებს შინაგანი გამძლეობის ხარჯზე: — და რა უკეთესი მტკიცება-ღა უნდა არსებობდეს მისი სიცოცხლისუნარიანობისა და მომავალი წარმატებების საწინდრად...“

ასე შეეძლო მოხიბლულიყო ყველა იმ ნამუშევრით და მხარდაჭერა არ დაეკლო, რომელსაც ღირსეულად ჩათვლიდა; შეეძლო აღფრთოვანებულიყო პორტრეტებით, რომელთაც შიგნიდან დანახულად მიიჩნევდა თითქოს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ჯერ კიდევ შორს იყვნენ იმ ტრანსპოზიციის, საოცარი სიზუსტისა და სკულპტურული მონუმენტურობის მიღწევისაგან, რაც ასე გამოარჩევდა მის მიერ შექმნილ პორტრეტებს მაგალითად, როგორიცაა დოჟის პორტრეტი:

დ ო ჟ ი

უცხო დესპანნი იყვნენ მოწმენი,
როგორ ზღუდავდნენ მას და მის საქმეს;
და როს დიდების ცრუ მეხოტბენი
ლიქნით ათრობდნენ დოჟთა სასახლეს.

გარსშემოარტყეს ჯაშუშთა ალყა,
ძალაუფლებამ არ დასცადოსო,
დამფრთხალნი ფრთხილად აწვდიდნენ საზრდოს
მის ხელმწიფებას, ვით ლომს და ვაყას.

თავად ორპირი, არად აგდებდა
იმათ მცდელობას და განდიდებას
არ ირიდებდა. სენიორიას
რაშიც ეგონა იგი მორჩილი,
დასთრგუნა თავად. თმაშეევერცხლილი
დამარცხდა წლებით. დრო მოერია.

ცოტა ხანში კატარინა კიპენბერგი გვესტუმრა, რილკეს ნაწარმოებების გამომცემლის მეუღლე და მისი ძველი თაყვანისმცემელი. მან შემდგომში მრავალი მნიშვნელოვანი ნარკვევი გამოაქვეყნა რილკეს შესახებ, სადაც კარგად ჩანს, როგორი გულისყურითა და განსაკუთრებული ცოდნით ადევნებდა პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებას თვალყურს.

კატარინამ ლაიფციგს მიმიპატიჟა რილკეს არყოფნის პერიოდში, რათა მისი და მისი შვილების პორტრეტები დამეხატა. იმ დროს მისი ქმარი სამხედრო სამსახურში გაიწვიეს და ჩვენ ძალიან დავახლოვდით. სწორედ მაშინ წარმოიშვა სულიერი მეგობრობა, უწყვეტი მიწერ-მოწერით განმტკიცებული, მისი სიცოცხლის ბოლომდე რომ გაგრძელდა. საღამოობით გამომცემლობაში გამოგზავნილ ხელნაწერებს ერთად ვკითხულობდით და შთაბეჭდილებებს ვუზიარებდით ერთმანეთს. ჩვენი საუბარი, რაღა თქმა უნდა, რილკეს პიროვნებას ხშირად უბრუნდებოდა. მას კიპენბერგებთან ის ოთახი ეკავა ხოლმე, რომელშიც ამჯერად მე ვიყავი გაჩერებული, ე. წ. „კოშკის ოთახი", ასეთი მადლიერებით რომ მოიხსენიებდა. ჩვენ ბევრს ვსაუბრობდით მის შემოქმედებაზე და ვცდილობდით საიმისოდ უკეთესი პირობებისათვის მიგვეგნო, წინააღ-

მდეგობებით აღსავსე მის მოუხელთებელ ბუნებას რომ შეეფერებოდა, ლტოლვას უფრო წყნარი, სტაბილური ცხოვრებისაკენ, რაც ასე ეწინააღმდეგებოდა მის აშკარად გამოკვეთილ მოთხოვნილებას მუდმივი ცვლადობისა და ეს არა მარტო ადამიანებს, არამედ ქვეყნებსაც ეხებოდა. ძირითადად იგი ყველგან უცხოდ რჩებოდა. „უცხო"-შიც იგი იგულისხმება თავად:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იგი მოყვასთა აზრსა და წუხილს
სულ არ ნაღვლობდა, კითხვები ღლიდა,
ისევ გზას ადგა; ჰკარგავდა, ცდიდა —
რადგან ყარიბის ღამეს გატეხილს

ტრფობის ღამეზე საამოდ სთვლიდა.
ზღაპრულ ღამეებს ჭვრეტდა, უთევდა,
როცა თაღები ვარსკვლავიერი
განიხმებოდნენ, ცათამიერი
ასპარეზობის ჟამი სუფევდა;
სხვა ღამეები თავს იწონებდნენ
სოფლებით, მთვარით განაწონებით,
თითქოს სამსხვერპლოს სწირავდნენ ზეცას,

ანდა მორუხოდ ამხელდნენ ბალებს
კეთილშობილთა ციხე-დარბაზებს,
სადაც სახლობდა სულ ერთი წამით
თუმცა იცოდა, ულრმესად სწამდა,
რომ ვერ დარჩება ვერსად ვერავინ;

. . . . . .

უკვე სედავდა უცხო ალაგებს —
ხიდებს, გზებს, ქვეყნებს, უცნობ ქალაქებს

. . . . . .

და ამ ყველაფრის უგულვებელი
სიცოცხლის ხალისს, სიმდიდრეს, სახელს,
არ მიელტვოდა. თუმც კი ანაზდად
სადღაც ქალაქში მოედნის ახლოს,
ქვაგალეული შადრევნის ავზი
საკუთრებად და განძად მიაჩნდა.

ამ ლექსში თავს იჩენს გაორებული დამოკიდებულება, რაც რილკეს ახასიათებს როგორც სიმდიდრისა, ასევე სიღარიბის მიმართ. ეს არ არის საკუთრების ხელში ჩაგდებით მოგვრილი სიხარული, რასაც მას მშვენიერება ანიჭებს და რაიც ფუფუნებისა და სიჭარბის მეოხებით მიიღწევა. ფუფუნება ითქმის სიტყვის მაღალი, საუკეთესო მნიშვნელობით, რაც დალხინებული, დიდებულად არსებობის ატრიბუტია და არა შემოთავაზებული და რეკლამირებული საქონელი, რომელიც მხო-

ლოდ მას შეუძლია შეიძინოს, ვინც სარფიან საქმიანობას ეწევა. იგი ცხე-დარბაზებსა და კოშკებში ეძიებდა ამგვარ დიდებულებას, ეს, სადაც ცხოვრების მაღალი სტილი იყო შენარჩუნებული, ხოლო რაც უკვე გამქრალიყო, მისი ფრთიანი ფანტაზია ავსებდა და განასრულებდა. სინამდვილეში მან, რა თქმა უნდა, იცოდა, რომ ნამდვილი კეთილშობილური ჩამომავლობა და დიდებულება ჩვენს დროში უკვე აღარსად მოიპოვებოდა. „პილიგრიმობის წიგნში“ ნათქვამია:

მოხუცებულან მეფეთ-მეფენი,
ტახტის მემკვიდრეს ველარ სტოვებენ
ყრმობას უკვდებათ უფლისწულები,
ხოლო ასულნი უფეროულები
სნეულ გვირგვინებს ძალას უთმობენ.

მდაბიო ამსხვრევს უზალთუნებად,
ქვეყნის მეფროვე მმართველ-მზრუნველი
იმ მანქანათა ცეცხლს შეუკეთებს,
მის ნება-სურვილს რომ ასრულებენ;
ბედნიერება მოსრეს სრულებით...

ხანდახან მისი რამდენადმე ბრმა გატაცება მაღალი საზოგადოების საგნებით ღიმილს იწვევდა, და უნდა გამოვტყდე, რომ მეც და კატარინაც არ ვიყავით გამონაკლისები. მიუხედავად იმისა, რომ მისი თვალსაზრისიდან გამომდინარე, მშვენივრად გვესმოდა, რომ საქმე ეხებოდა იმ საგნებს, სრულიად რომ გაქრნენ როგორც ცნება, საგნებს, ადამიანის გრძნობას რომ იტვირთავს და თავის წიაღში კვლავგადაცემის უნარს რომ ინახავს და რომელთაც იგი ცდილობდა ამგვარად შეენარჩუნებინა თავის თავში, ადგილს რომ უთმობენ, როგორც იგი უწოდებდა „ამერიკიდან მომხდურ იაფფასიან საგნებს“.

ბრწყინვალე ცხოვრების წესისადმი მისი აღტაცება თვალნათლივ ჩანს ლექსში „უცხო“, სადაც იმავდროულად იგრძნობა სიყვარული ყველასგან მიტოვებული საგნებისადმი, როგორიცაა შადრევნის ავზი, ყოველდღიურად რომ ხვდება თვალში. ასე ახლოს მიაქვს მას გულთან ყველასაგან გადავიწყებული, მარტოდ შთენილი საგნების არსებობაც. განა ტკივილამდე ახლოს არ დგას იგი, ნამდვილ ძმასავით, შეშლილთა და დაბეჩავებულთა გვერდით?

მისი გული ყველა ქმნილების სიცოცხლესთან ერთად ჰარმონიულად ძგერს. იგი ბოლომდე ჩასდევს თვით უკიდურესად დაცემულთ, მათი სიძულვილით სავსე რეაქციებსა და გაუკუღმართებულ არსებობას ძირის ძირამდე. განა ხანდახან არ შეიძლება ითქვას, თითქოს უფსკრულისაკენ გვიბიძგებსო ცდუნებას აყოლილი, როგორც ეს „მათხოვრებშია“?:

გაგრძელება შემდეგ ნომერში

№ 609
28 X 1904

ცნობილ ქართველ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს, ჟურნალ „საუნჯის“ ყოფილ მთავარ რედაქტორს, ბატონ **შოთა ნიშნიანიძეს** მიმდინარე წელს დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდებოდა.

ჟურნალ „საუნჯის“ რედაქცია და სარედაქციო საბჭო კიდევ ერთხელ გულთბილად იხსენებს დიდებულ პოეტსა და შესანიშნავ რედაქტორს.

•

ლმერთო. მიმშავლე სათნოების ლღე...
მიმშავლე ეჯვის განახლების ლღე.
ძყრმე. მცრობაზე აძალლების ლღე.
მიმშავლე მცრებთან ძერიგების ლღე.
საკუთარ თავთან ძერკინების ლღე.
ნნგვათა ცოდვების გამამთლების ლღე.
ჩემი ცოდვების ანათემის ლღე.
მიმშავლე ძენთან ძენგვლერების ლღე.
ძენთვის ამ ქვეყნის ძეგვლერების ლღე.
ლმერთო. მიმშავლე სათნოების ლღ...

შოთა ნიშნიანიძე